ჯოჯო მოიესი

მე, შენამდე

პროლოგი

2007 წელი

სააბაზანოდან გამოდის. ქალს უკვე ღვიძავს, ბალიშებს მიჰყრდნობია და საწოლის გვერდით მიწყობილ ტურისტულ ბროშურებს ფურცლავს. მისი მაისური აცვია, გრძელი თმა ისე აბურდვია, ძალაუნებურად, წუხანდელი ღამის კადრები გონებაში ერთიმეორის მიყოლებით ცოცხლდება. ადგილზე ჩერდება, პირსახოცით თმას იმშრალებს და თვალწინ ჩარბენილი ღამის მოგონებებით ტკბება.

ქალი ბროშურებიდან თავს სწევს და ტუჩებს ბუსხავს. საამისოდ, ცოტა არ იყოს, უკვე დიდია. მართალია, ცოტა ხანია, რაც ერთმანეთს ხვდებიან, მაგრამ ეს ჟესტი ისევ საყვარელ პრანჭიობად აღიქმება.

– აუცილებელია სულ მთა-მთა ვიწოწიალოთ და ხრამებში ჩავეკიდოთ? წესიერი შვებულება ერთად პირველად გვაქვს და არაფერია აქ ისეთი, რაც ან საიდანმე გადახტომას არ მოითხოვს, ან... – აქ თავს აჩვენებს, თითქოს ზიზღისგან აკანკალებს, – ცხვრის ტყაპუჭის ჩაცმას.

ბროშურებს საწოლზე ისვრის, კარამელისფრად გარუჯულ მკლავებს თავზემოთ ჭიმავს და ნებიერად იზმორება. ჩახლეჩილი ხმა აქვს – უძილოდ გატარებული საათების მყარი დასტური.

– რას იტყვი მდიდრულ სპაზე ბალის კუნძულზე? ქვიშაში ვიკოტრიალებდით... საათობით ვინებივრებდით... გრძელი, დუნე ღამეები... დასვენება...

– ასეთი დასვენება საჩემო ამბავი არაა. რაღაცით დაკავებული უნდა ვიყო, რამეს უნდა ვაკეთებდე.

და ამისთვის თვითმფრინავიდან გადმოხტომაა საჭირო?

– ჯერ სცადე და კრიტიკა მერე.

ქალს სახე ეჭმუხნება.

– რა გენაღვლება, მაგრამ, შენი ნებართვით, კრიტიკა მირჩევნია.

ნოტიო კანზე მაისური ეკრობა. თმას ივარცხნის და მობილურ ტელეფონს რთავს. მყისიერი ვიბრაცია გამოტოვებული ზარებისა და შეტყობინებების ვრცელ სიაზე მიანიშნებს.

– კარგი, ახლა უნდა წავიდე. საუზმობა არ დაგავიწყდეს.

საწოლისკენ იხრება, კოცნის. ქალს პარფიუმერიის სასიამოვნო და თბილი სურნელი ასდის. მისი თმის არომატს ზურგიდან ისრუტავს. წამიერად აზრები უწყდება, როცა კისერზე ხელებს შემოხვევს და თავისკენ მიიზიდავს.

– ამ შაბათ-კვირას ხომ წავალთ სადმე?

ქალის მკლავებიდან თავს უხალისოდ იხსნის.

– ეგ იმაზეა დამოკიდებული, ეს მოლაპარაკებები როგორ დამთავრდება. ჯერჯერობით შეთანხმება ჰაერშია გამოკიდებული. არაა გამორიცხული, რომ ნიუ-იორკში მომიწიოს წასვლა. ნებისმიერ შემთხვევაში, რას იტყვი, ხუთშაბათს რომ ვისადილოთ? რესტორანი შენ შეარჩიე.

ტყავის მოტო-ხელთათმანები კარზე ჰკიდია და მისკენ მიდის.

ქალი თვალებს ეჭვიანად ჭუტავს.
– სადილი. მარტო ვიქნებით, თუ მის ბლექბერიც ჩვენთან ერთად ისადილებს?
– რა?
– ჰო, თითქოს შენი გოგო ისაა და მე კი ტელეფონი, რომელიც ხელს გიშლით, – აქ ისევ ტუჩებს ბუსხავს, – ასე მგონია, შენს თავს მართმევს.
– ზარს გავუთიშავ.
– უილ ტრეინორ! – ჭირვეულდება, – ხანდახან მაინც ხომ შეგიძლია, რომ გამორთო?!
– წუხელ ხომ გამოვრთე?
– იმიტომ, რომ იძულებული იყავი.
– ახლა ამას იძულება ჰქვია? – ეცინება და ხელთათმანებს ხსნის. ლისა მის ფიქრებზე გავლენას საბოლოოდ კარგავს. ტყავის ქურთუკს მხარზე იგდებს და გასვლისას, კარიდან ჰაეროვან კოცნას უგზავნის.
ბლექბერიზე ოცდაორი შეტყობინება ციმციმებს. პირველი დილის სამ საათსა და ორმოცდაორ წუთზე ნიუ-იორკიდან არის შემოსული. როგორც ჩანს, რაღაც სამართლებრივი პრობლემაა. ლიფტით მიწის ქვეშ, ავტოსადგომზე ჩადის. გზად შეტყობინებებს კითხულობს და ცდილობს, ღამით გამოტოვებულ ამბებს წამოეწიოს.
– დილა მშვიდობისა, მისტერ ტრეინორ!
დარაჯი გამოდის თავისი მოსასვენებელი ფარდულიდან, რომელიც წყალგაუმტარი მასალითაა გადახურული. თუმცა, რომელი წვიმისგან აპირებს იქ თავის დაცვას, გაუგებარია. უილი ხანდახან ფიქრობს ხოლმე, რას აკეთებს დარაჯი გამთენიის უმოქმედო საათებში, როდესაც სათვალთვალო კამერების უძრავ გამოსახულებებსა და სამოცი ათასი ფუნტის ღირებულების მანქანების თვეობით გამოუყენებელ და გაკრიალებულ ბუფერებს შეჰყურებს. მკლავს ტყავის ქურთუკში უყრის და დარაჯს ეკითხება:
– როგორი ამინდია გარეთ, მიკ?
– საშინელი, სერ. კოკისპირულად წვიმს.
უილი ჩერდება.
– მართლა? მაშ, მოტოციკლით ვერ წავალ?
მიკი ხელებს ასავსავებს.
– არა, არა, სერ. თუ სიკვდილი არ მოგდომებიათ ან ცურვა არ იცის თქვენმა მოტოციკლმა, არ ღირს.
უილი მოტოციკლს უყურებს და ხელიდან ტყავის ხელთათმანებს იძრობს. რამდენად საწინააღმდეგო აზრიც უნდა ჰქონდეს ლისას, ის კაცი ნამდვილად არაა, ასეთ უაზრო რისკზე წავიდეს. მოტოციკლის სათავსოს სახურავს ხდის, ხელთათმანებს აწყობს და ისევ კეტავს. მიკი მისკენ გასროლილ გასაღებს ერთი თითით ჰაერში იჭერს.
– თუ არ შეწუხდები, ჩემი კარის ქვეშ შეაცურე მოგვიანებით.
– რა პრობლემაა, სერ. გინდათ, ტაქსი დაგიჭიროთ?
– არა. მე თვითონ. შენ რაღატომ გაგლუმპო?!
მიკი ღილაკს აჭერს და სადგომის კარი ავტომატურად იხსნება. უილი გარეთ გადის და დარაჯს, მადლობის ნიშნად, ხელს უწევს. კარგად არც გათენებულა, სიბნელეს

პერიოდულად ელვა და ჭექა-ქუხილი კვეთს, მაგრამ ლონდონის ცენტრალურ ქუჩებში უკვე გაუვალი საცობებია. არადა, ჯერ მხოლოდ რვის ნახევარია. უილი საყელოს იწევს და სწრაფი ნაბიჯებით გზაჯვარედინისკენ ეშვება იმედით, რომ ტაქსის იქ უფრო ადვილად დაიჭერს. ქუჩები ნიაღვარს მიაქვს, წყალი დილის სუსტ სინათლეს ირეკლავს და ასფალტი სრიალებს. გადასასვლელთან პიჯაკებში გამოწყობილ სხვა ადამიანებს ამჩნევს და გულში იგინება. როდის აქეთაა, რომ მთელი ლონდონი ასე ადრიანად იღვიძებს? – სინამდვილეში ყველას ეს კითხვა აწუხებს. ფიქრობს, სად შეაფაროს თავი, ტელეფონი ურეკავს. რუპერტია.

– გამოსული ვარ. ტაქსის დაჭერას ვცდილობ.

ამჩნევს, რომ გზის მეორე მხრიდან, ნარინჯისფერი შუქის ციმციმით, ტაქსი უახლოვდება. მისკენ სწრაფად მიიწევს და იმედი აქვს, რომ სხვა გამვლელებს ჯერ არ შეუმჩნევიათ. ავტობუსი გაბმული სიგნალით მოქრის, მას კიდევ მუხრუჭების ღრჭიალით დიდი სატვირთო მოჰყვება. ყურთასმენა აღარაა.

– ვერ გავიგე, რუპ! – ჩაჰყვირის ტელეფონს და ცდილობს, ქუჩის ხმაური გადაფაროს, – კიდევ ერთხელ გამიმეორე.

უსაფრთხოების კუნძულზე ხტება. გარშემო მანქანები მდინარესავით მიედინება. ტაქსი ისევ ნარინჯისფრად ციმციმებს, რაც იმის ნიშანია, რომ ჯერ კიდევ თავისუფალია. ხელს ჰაერში იქნევს იმედით, რომ მძღოლი მანქანების, ადამიანების ნაკადსა და თავსხმაში თვალს მოჰკრავს.

– ჯეფს უნდა დაურეკო ნიუ-იორკში. ჯერ კიდევ ღვიძავს და გელოდება. მთელი ღამე ვცდილობდით, რომ დაგკავშირებოდით.

– რა ხდება?

– სამართლებრივი ხასიათის საკითხია. ხელშეკრულებაში ორი მუხლის დამატება უნდათ, სადაც... ხელმოწერა... ასლებზე, – რუპერტის სიტყვები სველ ასფალტზე ჩავლილი მანქანის საბურავების ხმაურიან სისინში იკარგება.

– ვერ გავიგე!

ამასობაში ტაქსის მძღოლი ამჩნევს. სვლას ანელებს, მოპირდაპირე მხარესვე ჩერდება და წყლის შხეფებს ისვრის. შორიახლოს ტაქსის მიმართულებით გამოქცეულ კაცს ხედავს, რომელიც იმედგაცრუებული ჩერდება მას მერე, რაც აშკარა ხდება, რომ უილი მანქანამდე მასზე ადრე მიდის. გამარჯვების ეს პატარა განცდა ღიმილს ჰგვრის.

– მისმინე, კელის უთხარი, რომ დოკუმენტაცია მაგიდაზე დამიდოს. 10 წუთში ვიქნები. გზის ორივე მხარეს იხედება. მანქანამდე მისაღწევად ქუჩის გადაჭრაა საჭირო. თავს ხრის და სირბილით მიიწევს. დანიშნულების ადგილი უკვე ენის წვერზე ადგას, რომ მძღოლს მიაძახოს – „ბლექფრაიარსი“. წვიმის წყალი საყელოდან წურწურით ჩასდის. ახლოსაა, მაგრამ სანამ ოფისში მივა, ერთიანად გაიჟღინთება. მდივანს გაგზავნის, რომ სხვა პერანგი მოუტანოს.

– და კიდევ, სანამ მარტინი ჩაერთვება, მანამდე უნდა დავიზღვიოთ თავი და მოვაგვაროთ...

გამყივანი სიგნალი ესმის და თავს სწევს, – კლაქსონის მჭახე ხმაა. წინ ტაქსის შავი მანქანის გვერდი პრიალებს, მძღოლს ფანჯარა უკვე ჩაუწევია და მას უყურებს. თვალის

კუთხიდან, მხედველობის უკიდურეს არეში ძალიან დიდი სისწრაფით მომავალ ფიგურას ამჩნევს. ტრიალდება და წამის ამ მეასედში აცნობიერებს, რომ მომავალ მოტოციკლს გზაზე ეღობება. არ აქვს დრო, ადგილი, რომ გაეცალოს. მოულოდნელობისგან თითები უდუნდება და ბლექბერი ასფალტზე ეცემა. ყვირილი ესმის – ალბათ, საკუთარი. უკანასკნელი, რასაც ხედავს, ტყავის ხელთათმანია, შეძრწუნებული მზერა ჩაფხუტს ქვემოდან, რომელიც მისსავე შეძრწუნებას ირეკლავს. მერე აფეთქება და თითქოს, ყველაფერი უთვალავ ნაწილაკად იშლება.

მერე – არაფერი.

II

დებილი არ ვარ. მგონი, დროა, დავაზუსტო. მაგრამ, ცოტა არ იყოს, ძნელია, არასრულფასოვნების განცდამ არ შეგიპყროს ტვინიკოსების გარემოცვაში. ჩემი და, რომელიც ჩემზე უმცროსია, ჯერ ჩემს კლასში დასვეს, შემდეგ კიდევ გადაახტუნეს და სკოლა ჩემზე ადრე დაამთავრა.

ყველაფერს, რაც ალღოს, ჭკუას მოითხოვდა, კატრინა ჩემზე მალე ხვდებოდა და ჩემზე ადრე აკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ თვრამეტი თვით უმცროსი იყო. ყველა წიგნი, რაც კი წამიკითხავს, უფრო ადრე ჰქონდა წაკითხული. ყველა ფაქტი, რაც კი სადილობისას სუფრასთან მიხსენებია, უკვე იცოდა. ის არის ერთადერთი ადამიანი ჩემს ნაცნობებს შორის, რომელსაც გულწრფელად უყვარს გამოცდები. ხანდახან ვფიქრობ, ასე იმიტომ მაცვია, რომ ერთადერთი რამ, რაც ტრინას არ შეუძლია, ტანსაცმლის შეხამებაა. მოდა და სტილი სულ არ აინტერესებს. ტომარაც რომ ჩამოაცვა, საწინააღმდეგო არაფერი ექნება. ამაზე ზრუნვა მისთვის უგუნურება და დროის კარგვაა.

მამაჩემი „ბატს“ მეძახის, რადგან ყოველთვის იმას ვამბობ, რაც პირველი მომადგება ენაზე. დედაჩემის აზრით, „უცნაური“ ვარ. ეს უბრალოდ ზრდილობიანი ფორმულირებაა იმის გამოსახატავად, რომ ჩემი ჩაცმულობისა ვერა გაუგია რა.

მაგრამ, თუ არ ჩავთვლით მოზარდობის მოკლე პერიოდს, არასდროს მინდოდა, რომ ტრინას დავმსგავსებოდი ან ჩვენი სკოლის რომელიმე სხვა გოგოს. თოთხმეტ წლამდე ბიჭური ჩაცმულობა მომწონდა. ახლა კი განწყობის მიხედვით, იმას ვიცვამ, რის ხასიათზეც გამეღვიძება. აზრი არც აქვს, რომ მიღებული სტანდარტით ჩავიცვა. პატარა ტანის ვარ, მუქი თმა მაქვს და, მამაჩემს თუ დავუჯერებთ, ელფს ვგავარ. აქ „ელფების სინატიფე და მშვენება“ სულაც არ იგულისხმება. უშნო არ მეთქმის, მაგრამ ეჭვი ძალიან მეპარება, ვინმემ ლამაზად ჩამთვალოს. სინარნარესა და გრაციოზულობას ვერავინ დამაბრალებს. პატრიკი ხანდახან „კუნკულას“ მეძახის ხოლმე, როცა ჩემი საწოლში შეტყუება უნდა, მაგრამ ამისათვის ტყავიდან გამოძრომა არ სჭირდება. ერთმანეთს შვიდი წელია ვხვდებით. ოცდაექვსი წლის ვარ და ჯერ კიდევ არ ვიცი, რა მინდა ცხოვრებაში. სანამ სამსახური არ დავკარგე, ამაზე არც დავფიქრებულვარ. სადღაც გულის სიღრმეში ვფიქრობდი, რომ, ალბათ, პატრიკს ცოლად გავყვებოდი, ერთ-ორ ბავშვს გავაჩენდი და რამდენიმე ქუჩის იქით გადავიდოდი საცხოვრებლად. თუ არ ჩავთვლით ეგზოტიკურ

გემოვნებას ტანსაცმელში და ჩემს მოკლე აღნაგობას, ვერაფრით გამომარჩევდით ქუჩაში გამვლელი ნებისმიერი გოგოსგან. ორჯერ შემოხედვაც კი არ მოგინდებოდათ, ალბათ. მე ვიყავი ჩვეულებრივი გოგო, ჩვეულებრივი ცხოვრებით და ამით ძალიანაც კმაყოფილი გახლდით.

* * *

– გასაუბრებაზე პიჯაკი ჩაიცვი, – დაიჟინა დედაჩემმა, – ამ ახალგაზრდებს ისე გაცვიათ, როგორც მოგეხუშტურებათ.

– პიჯაკითა და გაპუდრული პარიკით თუ არ ვახვრეპინე სუპი მოხუცს, სხვანაირად როგორ შეიძლება.

– ნუ ჭკუისკოლოფობ!

– ახალ პიჯაკს ახლა ვერ ვიყიდი. სამსახურში რომ არ ამიყვანონ, მერე?

– ჩემი ჩაიცვი. ლამაზ ბლუზსაც გაგიუთოვებ. და კიდევ, თუ ღმერთი გწამს, ამ ერთხელ მაინც არ დაიკოსო თავზე ეს... – ხელები გაასავსავა და თმაზე მიმანიშნა, რომელიც, როგორც წესი, თავის ორივე მხარეს თითო ნასკვად მქონდა შეკრული, – პრინცესა ლეას კიკინები. ერთხელ მაინც დაემსგავსე ნორმალურ ადამიანს.

დედაჩემთან კამათს აზრი არ ჰქონდა. როგორც მივხვდი, მამაჩემიც კარგად დაამუშავა, რომ სანამ სახლიდან გავიდოდი, ჩემს ჩაცმულობაზე და, განსაკუთრებით, შემოტკეცილ ქვედაბოლოზე კომენტარი არ გაეკეთებინა.

– ნახვამდის, საყვარელო, – გამოსცრა ტუჩებს შორის, – წარმატებებს გისურვებ. კარგად გამოიყურები... საქმიანად.

უხერხული ის კი არ იყო, რომ დედაჩემის ტანსაცმელი მეცვა, ან ის, რომ მსგავსი თარგი ოთხმოციანი წლების ბოლოს იყო მოდაში. არამედ ის, რომ ქვედაბოლო პატარა მქონდა. წელის სარტყელმა დიაფრაგმის არეში ჩამაჭირა. ვცადე, დისკომფორტი პიჯაკით დამემალა. მამაჩემი, მგონი, არ ტყუის, დედაჩემს რომ დასცინის, ისეთი გამხდარია, ჭრაჭუნით დადისო.

ავტობუსში ჩავჯექი. შეგრძნება მქონდა, რომ ავად ვხდებოდი. გასაუბრების გამოცდილება, ფაქტობრივად, არასდროს მქონია. „ბათერდ ბანში“ მუშაობა მაშინ დავიწყე, როცა ტრინას დავენაძლევე, რომ სამსახურს ერთ დღეში ვიპოვიდი. დავადე თავი, კაფეში შევედი და ფრენკს პირდაპირ ვკითხე, დამხმარე ხომ არ გჭირდებათ-მეთქი? აღმოჩნდა, რომ კაფე, საერთოდაც, იმ დღით გაიხსნა და ჩემმა შეთავაზებამ მადლიერებისგან ფრენკი კიდევაც დააბნია.

უკან რომ ვიყურები, ვერც კი ვიხსენებ, ანაზღაურების შესახებ საუბარი თუ გვქონდა. შემომთავაზა, რომ ხელფასს ყოველკვირეულად გადამიხდიდა, მეც დავთანხმდი. წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებლად გამახსენებდა, რომ თავიდანვე იმაზე მეტი თანხა შემომთავაზა, ვიდრე მოთხოვნა შემეძლო.

ნეტა რას ეკითხებიან ხოლმე გასაუბრებაზე? საიდმა მითხრა, რომ კაცი მომვლელიც ჰყავდათ, რომელიც „ინტიმურ საჭიროებებს“ აგვარებდა (ეს ფრაზა ყურში მომხვდა). მეორე მომვლელის ფუნქცია ამ ეტაპზე ცოტა ბუნდოვანი რჩებოდა. უკვე ვხედავდი ჩემს თავს,

როგორ ვწმენდდი მოხუცს პირიდან დორბლს და ხმამაღლა, თითქმის ყვირილით ვეკითხებოდი, ჩაი ხომ არ უნდოდა.

როდესაც ბაბუამ ინსულტის შეტევის შემდეგ გამოჯანმრთელება დაიწყო, თავისით არაფრის კეთება შეეძლო. მის მაგივრად ყველაფერს დედა აკეთებდა. მამა მეუბნებოდა, დედაშენი წმინდანიაო, რაშიც ვეთანხმებოდი, რადგან ამ ქალს შეეძლო, ბაბუასთვის უკანალი ეწმინდა და სახლიდან კივილით არ გაქცეულიყო. დარწმუნებით ვიცოდი, რომ მე ასეთი წმინდანი არ ვიყავი. შემეძლო, ბაბუასთვის საჭმელი მომემზადებინა, მისთვის ჩაი გამეკეთებინა, მაგრამ სხვა დანარჩენს რაც შეეხება, ამის არც სურვილი მქონდა და არც უნარი.

გრანტაჰაუსი სტორტფოლდის ციხესიმაგრის სხვა მხარეს იდგა. შუა საუკუნეების დროინდელ კედლებთან ახლოს, გრძელი, უასფალტო გზის გაყოლებაზე სხვა ოთხ სახლთან და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის ტრესტის შენობასთან ერთად – ზუსტად ტურისტული ზონის შუაგულში. მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში ამ სახლთან, ალბათ, მილიონჯერ ჩამივლია და, რეალურად, ერთხელაც არ დამინახავს. ახლა კი, როცა პარკირებისათვის გამოყოფილ ადგილს გავცდი და სიცარიელესა და მოწყენილობაში მივუყვებოდი მინიატურულ გასართობ რკინიგზას, როგორც შეეფერება მიტოვებულ საზაფხულო ატრაქციონს თებერვალში, შევამჩნიე, რომ სახლი იმაზე დიდი იყო, ვიდრე წარმომედგინა. წითელი აგურით იყო ნაშენი და ორკარიანი შესასვლელი ჰქონდა. ასეთ სახლებს ექიმების მოსაცდელ კაბინეტებში შემორჩენილი „სოფლის ცხოვრების“ ძველ ჟურნალებში ნახავთ.

შენობამდე მისასვლელი ბილიკი ავიარე და ვცდილობდი, იმაზე არ მეფიქრა, ფანჯრებიდან ვინმე ხომ არ მაკვირდებოდა. ასეთ გზაზე სიარული ცუდ მდგომარეობაში გაყენებს და ავტომატურად თავს არასრულფასოვნად გაგრძნობინებს. ის იყო, ვიფიქრე, კარს რომ გამიღებენ, მხედრული სალამი ხომ არ მივცე-მეთქი, რომ კარი მართლა გაიღო და შევხტი.

ჩემზე არცთუ ბევრად უფროსი გოგო პარმაღზე გამოვიდა. თეთრი, განიერი შარვალი ეცვა და სამედიცინო უნიფორმის მსგავსი ზედა. მკლავზე პალტო ჰქონდა გადაკიდებული და იღლიაში საქაღალდე ამოეჩარა. ჩავლისას თავაზიანად მომესალმა.

– გმადლობთ, რომ მოხვედით, – გაისმა ხმა შიგნიდან, – დაგიკავშირდებით.

შუახანს მიტანებული, მაგრამ ლამაზი ქალი დავინახე, ძვირადღირებული ვარცხნილობით. მისი ელეგანტური შარვლისა და პიჯაკის ფასი, ალბათ, ბევრად აღემატებოდა მამაჩემის მთელი თვის ხელფასს.

– თქვენ, ალბათ, მის კლარკი ბრძანდებით.

– ლუისა, – მივუგე სწრაფად და ხელი ჩამოსართმევად გავუწოდე, როგორც დედაჩემმა დამარიგა.

ახალგაზრდებმა ხელის ჩამორთმევის ტრადიცია სულ დაივიწყესო, ერთსულოვნად ბუზღუნებდნენ ჩემი მშობლები. ძველ დროში ვინ წარმოიდგენდა ასე ცალყბად მისასალმებელ შეძახილებს და გადაკოცნას ხომ საერთოდ. სავარაუდოდ, არც ამ ქალს მოეწონებოდა გადასაკოცნად რომ მივვარდნოდი.

– დიახ, გასაგებია, მობრძანდით, – ხელი უსწრაფესად ჩამომართვა, თუმცა მზერა არ მოუშორებია. ვგრძნობდი, უკვე ჩემი შეფასებით იყო დაკავებული, – აქეთ მობრძანდით, გეთაყვა. მისაღებში ვისაუბროთ. მე კამილა ტრეინორი მქვია.

დაღლილი ჩანდა. სავარაუდოდ, ერთი და იმავე ტექსტით უკვე არაერთი პრეტენდენტი გაესტუმრებინა. უზარმაზარ ოთახში შევყევი, რომლის ერთი მხარე ეზოში გადიოდა და იატაკიდან ჭერამდე შემინული იყო. წითელი ხის მსხვილი კარნიზებიდან ელეგანტურად ეშვებოდა მძიმე ფარდები, იატაკი კი ულამაზესი სპარსული ორნამენტებით გაწყობილი ხალიჩით იყო დაფარული. ცვილისა და ანტიკვარული ავეჯის სუნი იდგა. კედლების გაყოლებაზე მრავლად იყო განლაგებული პატარა მისადგმელი მაგიდები პრიალა ზედაპირითა და მოჩუქურთმებული ხის სამშვენისებით. უცებ დამაინტერესა, სად აწყობდნენ ტრეინორები ჩაის ფინჯნებს.

– როგორც ვხვდები, დასაქმების ცენტრის მიერ გამოქვეყნებული განცხადების საშუალებით მოხვდით ჩვენთან. დაბრძანდით.

სანამ საქაღალდეში დოკუმენტებს ფურცლავდა, მე შეუმჩნევლად ვცდილობდი, ოთახი კარგად დამეთვალიერებინა. რატომღაც წარმომედგინა, რომ აქაურობა სამკურნალო დაწესებულებას ემსგავსებოდა, ყველგან ხელსაწმენდები, სახვევები, ეტლები და მსგავსი ატრიბუტიკა იქნებოდა. მაგრამ სახლი შემაძრწუნებლად ძვირ სასტუმროს ჰგავდა, ფუფუნებაში ჩაფლულს და სავსეს ისეთი ნივთებითა და ავეჯით, რომელთაც ადამიანზე მეტი ღირებულება ჰქონდა. სერვანტზე სურათები ელაგა, მოვერცხლილ ჩარჩოში, მაგრამ საკმაოდ მოშორებით ვიჯექი და ფოტოებზე სახეებს ვერ ვარჩევდი. სანამ ქალი ფურცლებს ჩაჰკირკიტებდა, მე მოხერხებულად გავსწორდი, რომ სურათები კარგად დამენახა. აი, ამ მომენტში გაისმა ხმა, რომელიც არცერთ ხმაში არ აგერევა – მოტკეცილ კაბაზე ნაკერი გამერღვა. დავხედე და ჭარხალივით გავწითლდი. ბარძაყზე გვერდით ნაკერს პირი დაეღო და აბრეშუმის გაგლეჯილი ძაფები და ნაჭრის ფოჩები შემომყურებდა.

– ესე იგი... მის კლარკ... კვადრიპლეგიის მქონე ადამიანთან მუშაობის გამოცდილება გქონიათ?

– არა, – ვუთხარი მისის ტრეინორს და თან ვცდილობდი, ქვედაბოლოზე ნახევი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, პიჯაკით დამეფარა.

– დიდი ხანია, რაც მომვლელად მუშაობთ?

– იცით... არასდროს მიმუშავია, – როგორც კი ვუპასუხე, იქვე საიდის ხმა ჩამესმა ყურში და დავამატე, – დარწმუნებული ვარ, რომ ადვილად ავითვისებ.

– იცით რა არის კვადრიპლეგია?

– როდესაც... ეტლს ხარ მიჯაჭვული? – ძლივს ამოვილუღლუღე დაბნეულმა.

– გააჩნია, საიდან შეხედავ და როგორ იტყვი. კვადრიპლეგიის სხვადასხვა ფორმა არსებობს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქვედა კიდურების სრულ და ზედა კიდურების ნაწილობრივ პარალიზებასთან. ამასთან დაკავშირებით პრობლემა ხომ არ გაქვთ?

– პაციენტზე მეტი პრობლემა ნამდვილად არ მექნება, – აქ რაღაც ღიმილისმაგვარი მინდოდა, მაგრამ მისის ტრეინორი გამეხებული სახით მიყურებდა. – მაპატიეთ, იმის თქმა არ მინდოდა, რომ...

– მანქანის ტარება იცით, მის კლარკ?
– დიახ.
– დარღვევები ხომ არ გაქვთ?
თავი გავაქნიე და მისის ტრეინორმა თავის დავთრებში რაღაც ჩაინიშნა. ნარღვევი ქვედაბოლოზე იზრდებოდა და როცა ავდგებოდი, ალბათ, უკვე ძელზე მოცეკვავე ლას ვეგასელის შესახედაობა მექნებოდა.
– კარგად ხართ? – გამომცდელად შემომხედა მისის ტრეინორმა.
– ცოტა დამცხა. თუ შეიძლება, ჟაკეტს გავიხდი, – სანამ რამეს მეტყოდა, ჟაკეტი შემოვიძრე და წელზე ისე შემოვიხვიე, რომ ნარღვევი დაეფარა.
– ძალიან ცხელა. – ვუთხარი მისის ტრეინორს და გავუღიმე, – გარედან ახალი შემოსული ვარ და.. ხომ გესმით?
პატარა უხერხული პაუზა გაჩნდა და მისის ტრეინორი თავის ქაღალდებს მიუბრუნდა.
– რამდენი წლის ბრძანდებით?
– ოცდაექვსის.
– წინა სამსახურში ექვსი წელი გაატარეთ?
– დიახ, რეკომენდატორის წერილიც უნდა გქონდეთ.
– დიახ, – მისის ტრეინორმა რეკომენდაცია ამოიღო და ალმაცერად შეხედა. – თქვენი ყოფილი დამსაქმებელი წერს, რომ თბილი, კომუნიკაბელური და სიცოცხლისმოყვარე ადამიანი ხართ.
– მე მოვისყიდე, რომ ასე დაეწერა.
ისევ ეს უემოციო, კრიტიკული სახე. „ჯანდაბა“ – გავიფიქრე ჩემთვის. ისეთი განცდა მქონდა, რომ საცდელი ობიექტი ვიყავი და სულაც არ მომწონდა ეს შეგრძნება. უცბად შემრცხვა დედაჩემის იაფფასიანი სინთეტიკური ქსოვილისგან შეკერილი ბლუზის გამო, ნათურების შუქზე რომ პრიალებდა. ჩემი ყველაზე სადა შარვალი და მაისური უნდა ჩამეცვა. ყველაფერი შეიძლებოდა ჩამეცვა იმის გარდა, რაც იმ მომენტში მეცვა.
– ძველი სამსახური რაღატომ დატოვეთ, თუკი იქ ასე ძალიან გაფასებდნენ?
– ფრენკმა, ანუ, მეპატრონემ, კაფე გაყიდა. ციხესიმაგრის ძირშია. „ბათერდ ბანი“ ჰქვია. უფრო სწორად, ერქვა, – გამოვასწორე შეცდომა, – იქ მუშაობას დიდი სიამოვნებით გავაგრძელებდი.
მისის ტრეინორმა თავი დამიქნია. არ ვიცი, იმიტომ, რომ უბრალოდ კომენტარი არ ჰქონდა, თუ იმიტომ, რომ ისიც ნასიამოვნები იქნებოდა, კაფეში რომ დავრჩენილიყავი.
– და მაინც, რა გინდათ, რომ აკეთოთ ცხოვრებაში?
– უკაცრავად?
– დიახ, რა კარიერული სწრაფვები გაქვთ? ეს სამსახური თქვენთვის რაიმეს საფუძველია? ტრამპლინია? რა პროფესიული ოცნება გაქვთ, რომლის მიღწევაც გინდათ?
პირდაღებული შევყურებდი. ეს რა კითხვა იყო. მახეს მიგებდა?
– მე... მაგაზე მართლა არ მიფიქრია. მას შემდეგ, რაც სამსახური დავკარგე, მე უბრალოდ... – აქ დიდი ნერწყვი ჩავყლაპე, – მინდა, რომ ისევ მქონდეს სამსახური.

ალბათ, ყველაზე სუსტი კანდიდატი ვიყავი, ვისაც მისის ტრეინორი შეხვედრია. ადამიანი გასაუბრებაზე მოდის და ისიც კი არ იცის, რა უნდა. მისის ტრეინორს სახეზე ეტყობოდა, რომ მეთანხმებოდა.

კალამი დადო და პირდაპირ შემომხედა.

– კარგი... მის კლარკ. მითხარით, რატომ უნდა დაგიქირაოთ მაინცდამაინც თქვენ და, მაგალითად, არა წინა კანდიდატი, რომელსაც კვადრიპლეგიის მქონე ადამიანთან მუშაობის შვიდწლიანი გამოცდილება აქვს?

თვალებში შევხედე.

– გულახდილად გიპასუხოთ? არ ვიცი, – არაფერი მიპასუხა, ამიტომ კიდევ დავამატე, – თქვენი გადასაწყვეტია.

– როგორ, ერთი მიზეზის დასახელებაც არ შეგიძლიათ, თქვენ რატომ უნდა დაგიქირაოთ? აქ უცებ თვალწინ დედაჩემის სახე დამიდგა. რომ წარმოვიდგინე აქედან სახლში დახეული ტანსაცმლით და მორიგი წარუმატებელი ინტერვიუთი უნდა დავბრუნებულიყავი, გული შემიღონდა. თან ამ სამუშაოში ხომ ცხრა ფუნტს მპირდებოდნენ საათში.

გამოვფხიზლდი.

– იცით... ყველაფერს სწრაფად ვითვისებ. ავად არასდროს ვხდები. ციხესიმაგრის მეორე მხარეს ვცხოვრობ და უფრო ღონიერი ვარ, ვიდრე ვჩანვარ. იმას ნამდვილად შევძლებ, რომ თქვენს მეუღლეს გადაადგილებაში დავეხმარო...

– ჩემს მეუღლეს? ჩემს მეუღლესთან არა, ჩემს შვილთან მოგიწევთ მუშაობა.

– თქვენს შვილთან? – გავოგნდი, – დიახ... მუშაობა არ მეზარება. ადამიანებთან ურთიერთობა კარგად გამომდის... ყველანაირ ადამიანთან... და გადასარევად ვამზადებ ჩაის, – უკვე მართლა სისულელეების ლაპარაკი დავიწყე. მისი შვილის ხსენებამ ძალიან დამაბნია, – მამაჩემი კი ამბობს, რომ ეს დიდი ვერაფერი ნიჭია, მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რომ ერთ ფინჯან კარგ ჩაის ბევრი რამის გამოსწორება შეუძლია...

მისის ტრეინორი უკვე ძალიან უცნაურად მიყურებდა.

– მაპატიეთ, – ჩავიბურტყუნე, როგორც კი გავაცნობიერე, რა ვთქვი, – იმის თქმა კი არ მინდა, რომ... პარაპლეგია.. არა, კვადრიპლეგია მინდოდა, რომ მეთქვა... ის, რაც თქვენს შვილს სჭირს... ერთი ფინჯანი ყავით არ გამოსწორდება, ცხადია.

– ნება მომეცით, გითხრათ, მის კლარკს, რომ ეს არ არის სტაბილური და მუდმივი სამუშაო. მომვლელი მაქსიმუმ ექვსი თვით გვჭირდება. ამიტომაც არის ანაზღაურება... პროპორციული. სწორი და შესაბამისი ადამიანის პოვნა გვინდა.

– მერწმუნეთ, მას შემდეგ, რაც რამდენიმე ცვლას მეფრინველეობის ფაბრიკაში გაატარებ, გუანტანამო ბეიზეც კი გაძლებ ექვსი თვე.

„ღმერთო ჩემო, მოკეტე, ლუისა!“ – ტუჩზე ვიკბინე.

მისის ტრეინორს ყურადღება არ გაუმახვილებია. საქაღალდე დახურა.

– ჩემს შვილს, უილს, თითქმის ორი წლის წინ უბედურება შეემთხვა და ტრავმა მიიღო. ოცდაოთხსაათიან მზრუნველობას საჭიროებს. საქმის უმეტეს ნაწილს პროფესიონალი მომვლელი ასრულებს. სულ ცოტა ხნის წინ სამუშაოს დავუბრუნდი. საჭიროა, მომვლელი

აქ დღისითაც იყოს, რომელიც უილს კომპანიას გაუწევს, დაეხმარება საკვების მიღებასა და სხვადასხვა წვრილმანში, რომ თავი არ დაიზიანოს, – კამილა ტრეინორმა თავი დახარა. – ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მის გვერდით იყოს ადამიანი, ვინც ამ პასუხისმგებლობას აცნობიერებს.

ყველაფერი, რასაც ამბობდა და მანერა, როგორც ამბობდა, იმაზე მიანიშნებდა, რომ ამ საქმისთვის სრულიად გამოუსადეგარი ვიყავი.

– გასაგებია, მისის ტრეინორ, – ვთქვი მე და ჩანთას დავწვდი.

– ესე იგი, მზად ხართ ამ სამუშაოსთვის?

ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ, მეგონა, რაღაც არასწორად გავიგე.

– უკაცრავად?

– საქმეს რაც შეიძლება მალე უნდა შეუდგეთ. ანაზღაურებას ყოველკვირეულად მიიღებთ.

მთლად დავიბენი.

– გინდათ მითხრათ, რომ მე ამიყვანთ ნაცვლად... – ძლივს ამოვღერღე.

– სამუშაო დღე საკმაოდ გრძელია – დილის რვა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე. შესაძლოა, უფრო გვიანობამდეც. სადილობისთვის შესვენება, როგორც ასეთი, არ გექნებათ, მაგრამ, როდესაც უილთან ნათანი, მისი პროფესიონალი მომვლელი ლანჩის დროს მოვა, თავისუფალი ნახევარი საათი გამოგიჩნდებათ.

– ესე იგი, სამედიცინო გამოცდილება... არ გჭირდებათ?

– სამედიცინო მეთვალყურეობის მხრივ, უილს ყველაფერი აქვს, რაც შესაძლებელია. ჩვენ ისეთი ადამიანი გვჭირდება, ვინც მის განწყობასა და... ხასიათზე იზრუნებს. მისი ცხოვრება... გართულდა და მნიშვნელოვანია, რომ... – მისის ტრეინორს შეეტყო, რომ საუბარი უჭირდა და გაჩერდა. მზერა ფანჯრებს მიღმა გაუშტერდა. ბოლოს, როგორც იქნა, ისევ მომიტრიალდა და განაგრძო, – მოდით, ასე ვთქვათ, რომ მისი გუნება-განწყობა ჩვენთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკური მდგომარეობა. ხომ გესმით?

– დიახ. გასაგებია. უნიფორმა უნდა მეცვას?

– არა. უნიფორმა ნამდვილად არ არის საჭირო, – აქ ფეხებზე დამხედა, – თუმცა, შესაძლოა, რაიმე უფრო მოკრძალებულის ჩაცმა მოგიხდეთ.

მეც დავიხედე. წელზე შემოხვეული ჟაკეტი გვერდზე მომქცეოდა და გარღვეული ქვედაბოლოდან ბარძაყი მთლიანად მიჩანდა.

– ბოდიშს ვიხდი. იცით გაირღვა და... ჩემი არც არის.

მისის ტრეინორი აღარ მისმენდა.

– ყველაფერს დეტალურად აგიხსნით, როცა დაიწყებთ. უილი არ არის მარტივად საურთიერთო ადამიანი, მის კლარკ. ეს სამუშაო თქვენგან ფსიქოლოგიურ მზაობასა და შემართებას მოითხოვს, პროფესიულ ჩვევებზე მეტადაც კი. ასე რომ... მზად ხართ, ხვალიდანვე შეუდგეთ?

– ხვალიდან? კი, მაგრამ... ჯერ არ გამაცნობთ?

– უილს მძიმე დღე აქვს. აჯობებს, თუ დილით, სუფთა ფურცლიდან დავიწყებთ.

– კარგი, – ვუპასუხე მე და დედაჩემის ჟაკეტი გავისწორე, – დიდი მადლობა. ხვალ დილით, რვა საათზე შევხვდებით.

* * *

დედა მამას თეფშზე კარტოფილს უღებდა. ორი დადებული ჰქონდა, მესამე და მეოთხეს ასაღებად მამამ ლანგრისკენ გაიწია. დედამ ლანგარი აცალა, მაგრამ მამა რომ მაინც გადასწვდა, ხელებში კოვზი ჩაუკაკუნა და აღების საშუალება არ მისცა. პატარა მაგიდასთან ისხდნენ ჩემი მშობლები, ჩემი და და ტომასი, ბაბუა და პატრიკი, რომელიც ოთხშაბათობით ჩვენთან სადილობდა ხოლმე.

– მამა, – მიმართა დედამ ბაბუას, – გინდა, რომელიმემ ხორცი დაგიქუცმაცოთ? ტრინა, მიეხმარე ბაბუას.

ტრინა მაგიდაზე გადაიხარა და ბაბუას თეფზე ხორცი წვრილად დაუჭრა. თავის გვერდით, ტომასის თეფშზე იგივე უკვე გაეკეთებინა.

– ძალიან მძიმედ არის ის კაცი, ლუ?

– ალბათ, არც ისე, რაკი ჩვენს ქალიშვილს ანდეს მისი მოვლა, – შენიშნა მამამ.

ჩემს ზურგს უკან ტელევიზორი იყო ჩართული, მამას და პატრიკს თან ფეხბურთისთვის რომ ეყურებინათ. წამდაუწუმ, როცა დაძაბული მომენტი შეიქმნებოდა, საჭმლით პირგამოტენილები გაშეშდებოდნენ და ჩემ უკან ეკრანს მიაშტერდებოდნენ.

– მე ვფიქრობ, რომ ეს კარგი შესაძლებლობაა. ერთ-ერთ ყველაზე დიდ და მდიდრულ სახლში იმუშავებს. კარგ ოჯახში. ინტელიგენტი ხალხია, არა, საყვარელო?

ჩვენს ქუჩაზე ინტელიგენტებს ეძახდნენ ყველა ოჯახს, სადაც კრიმინალი არ ჰყავდათ.

– მგონი, კი.

– იმედი მაქვს, რევერანსის გაკეთება არ დაგვიწყებია, – ჩაიხითხითა მამაჩემმა.

– პირისპირ შეხვდი? – მკითხა ტრინამ და იქვე მყისიერი რეაქციით მოასწრო ტომასის შეჩერება, რომელიც იდაყვით ეჯახებოდა წვენის ჭიქას, – ხეიბარია? როგორ გამოიყურება?

– ხვალ შევხვდები.

– უცნაურია. ყოველდღე, მთელი დღე მის გვერდით უნდა გაატარო. მთელი ცხრა საათი. იმას უფრო ხშირად ნახავ, ვიდრე პატრიკს.

– ეგ ძნელი არ იქნება,– ვუპასუხე მე.

პატრიკმა თავი მოიკატუნა, ვითომ არც გაუგია.

– ყოველ შემთხვევაში, გარყვნილი გამოხტომებითა და ხელის წავლებით ვერ შეგაწუხებს, – თქვა მამამ.

– ბერნარდ! – შესძახა აღშფოთებულმა დედამ.

– რას მერჩი, რაც ყველამ გულში გაიფიქრეთ, ის ვთქვი. ამაზე უკეთეს უფროსს შეყვარებულისთვის ვერ ინატრებდი, პატრიკ.

პატრიკმა გაიღიმა. ამისთვის არ ეცალა. დედაჩემის მოგერიებით იყო დაკავებული, რომელიც დაჟინებით ცდილობდა, მისთვის კარტოფილი დაემატებინა. მარტის დასაწყისში მარათონისთვის ემზადებოდა და ამ თვეში ნახშირწყლებს ერიდებოდა.

– იცი, რა ვერ გავიგე? ახლა ჟესტური ენის სწავლა მოგიწევს? თუ კომუნიკაცია არ შეუძლია, როგორ უნდა გაგაგებინოს, რა უნდა?

– დედა, არავის უთქვამს, ლაპარაკი არ შეუძლიაო, – სინამდვილეში, დიდად არ მახსოვდა, რა მითხრა მისის ტრეინორმა. ჯერ კიდევ შოკირებული ვიყავი, რომ დამიქირავეს.

– შეიძლება, რამე მოწყობილობის საშუალებით შეუძლია ურთიერთობა. აი, იმ მეცნიერივით... სიმპსონებში რომ იყო.

– პედერასტი, – წამოიძახა ტომასმა.

– არა, – თქვა მამამ.

– სტივენ ჰოკინგი, – შეეშველა პატრიკი.

– ჰო, ჰო, ეგ, – თქვა დედამ და გამანადგურებელი მზერით შეხედა მამას. რომ მოენდომებინა, ასეთი მზერით ბაბუას თეფშზე სტეიკსაც დააქუცმაცებდა, – ხვდები, რა სიტყვებს ასწავლი ბავშვს?!

– მე რა შუაში ვარ. წარმოდგენა არა მაქვს, საიდან მოიტანა. მე არ მისწავლებია.

– პედერასტი, – გაიმეორა ტომასმა და პირდაპირ მიაჩერდა მამას.

ტრინამ თვალები აატრიალა.

– იმ თავისი რაღაც ხმოვანი აპარატიდან გაყინული ხმით რომ ელაპარაკა მთელი დღე, ჭკუიდან შევიშლებოდი. წარმოიდგინეთ. „წყალი დამისხი. წყალი დამისხი“, – ცხვირზე ხელი მიიჭირა და რობოტისებრი ხმით თქვა ტრინამ.

ტრინა ჭკვიანი გოგო იყო, მაგრამ როგორც მამა წამოაყვედრებდა ხოლმე, საკმარისად ჭკვიანი ვერ აღმოჩნდა, რომ შარში არ გახვეულიყო. პირველი იყო ჩვენს ოჯახში, ვინც უნივერისტეტში ჩააბარა, მაგრამ ტომასის დაბადებამ არ აიძულა, რომ დამამთავრებელ კურსზე სწავლისთვის თავი დაენებებინა. დედას და მამას ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ ერთ დღესაც ტრინა ოჯახს ბედნიერებას აზიარებდა. ან, მინიმუმ, წესიერ სამსახურს მაინც იშოვიდა და უსაფრთხოების კამერებთან არ იჯდებოდა ყვავილების მაღაზიაში. მოკლედ, რაღაც უნდა მოეხერხებინა.

– საიდან მოიტანეთ, რომ რაკი ეტლში ზის, მაინცდამაინც რობოტის ხმით ლაპარაკობს? – ვკითხე ოჯახის წევრებს.

– რაც უნდა იყოს, ფაქტია, რომ მთელი დღე მასთან უნდა გაატარო. პირი მოწმინდო ხოლმე, წყალი დაალევინო და ეგეთი რამეები.

– მერე რა მოხდა? ეგეც არ იყოს ახლა უმაღლესი მათემატიკა და ბირთვული ფიზიკა.

– თქვა ქალმა, რომელმაც ტომასს პამპერსი უკუღმა ჩააცვა.

– ეგ მხოლოდ ერთხელ მოხდა.

– ორჯერ. იმის გათვალისწინებით, რომ მისთვის პამპერსი სულ სამჯერ გამოგიცვლია, ცოტა არაა.

მწვანე ლობიო გადმოვიღე და ჭამა გავაგრძელე, გაბრაზება რომ არ შემტყობოდა. არადა, სახლისკენ ავტობუსში რომ ჩავჯექი, მსგავსმა ფიქრებმა იქიდანვე შემაწუხა. რაზე უნდა გვესაუბრა? რა უნდა მექნა, თუ მთელი დღე თავჩაქინდრული იჯდებოდა და მომაშტერდებოდა ხოლმე? ხომ გავგიჟდებოდი... რომ ვერ მივმხვდარიყავი, რა უნდოდა? ჩემს უყურადღებობასა და გაფანტულობაზე ლეგენდები დადიოდა. ჩვენს სახლში აღარც ოთახის მცენარეები იყო, აღარც შინაური ცხოველები, მას შემდეგ, რაც ზაზუნასა და ოქროს

თევზ რენდოლფს დავმართე. ის პირგამეხებული ქალი, დედამისიც, იქ უნდა ყოფილიყო და თვალყური ედევნებინა? ეს აზრი ძალიან არ მომწონდა. მისის ტრეინორი ისეთი ტიპის ქალი იყო, რომლის უბრალო შემოხედვაზეც კი ფეხი გადამიბრუნდებოდა.

– პატრიკ, შენ რას ფიქრობ ამ ყველაფერზე?

პატრიკმა წყალი მოსვა და მხრები აიჩეჩა.

ფანჯრის რაფებზე კოკისპირული წვიმა შხაპუნობდა, მაგრამ დანა-ჩანგლისა და თეფშების წკარუნში ეს ხმა ძლივს აღწევდა.

– კარგად უხდიან, ბერნარდ. მეფრინველეობის ფაბრიკაში ღამეების თენებას ეს ნამდვილად სჯობს.

სუფრასთან პატრიკს ყველა ერთსულოვნად დაეთანხმა.

– ეს უკვე ბევრს ნიშნავს. თუ ჩემს ახალ სამსახურზე მხოლოდ იმის თქმა შეგიძლია, რომ ქათმების კაკანის სმენას, ხორცისა და ბუმბულის განცალკევებას სჯობს, რაღა მიჭირს, – ვუთხარი პატრიკს.

– სამსახურის შემდეგ შეგიძლია წახვიდე, პატრიკთან ერთად ივარჯიშო და ფორმაში ჩადგე.

– ფორმაში ჩავდგე, არა? დიდი მადლობა, მამა, – მინდოდა კარტოფილი კიდევ გადმომეღო, მაგრამ აქ გადავიფიქრე.

– რატომაც არა?! – თქვა დედაჩემმა, რომელიც ორიოდე წუთით ჩამომჯდარიყო. ამან ყველა გაგვაოცა, მაგრამ უცებ ისევ წამოხტა, რომ ახლა ბაბუასთვის დაესხა საწებელი, – სამომავლოდ გაითვალისწინე. ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი გაქვს.

– მაგას ადრე ენაგატლეკილობა ერქვა, – ჩაიფრუტუნა მამაჩემმა.

– სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ სამსახური ვიშოვე, სადაც ბევრად მეტს მიხდიან, ვიდრე წინა სამსახურში.

– მაგრამ ეს სამსახური დროებითია, – ჩაერთო პატრიკი, – მამაშენი მართალია. პარალელურად, სხეულზე ზრუნვა უნდა დაიწყო. ნამდვილად შეგიძლია, რომ კარგი პირადი მწვრთნელი გახდე, თუ მოინდომებ.

– არ მაქვს სურვილი, ვინმეს პირადი მწვრთნელი გავხდე. საერთოდ არ მაინტერესებს ეგ... კუდაბზიკობა და მაიმუნობა, – პატრიკის საქმიანობა სასაცილოდ ავიგდე. საპასუხოდ მხოლოდ ჩაიცინა.

– თავი დაანებეთ, სამაგიეროდ, დივანზე მიწოლა და დღის შოუს ყურება უნდა, სანამ საწრუპი ჩხირით ამის მომჩვარული ხეიბარი კრემსუპს შეხვრეპს.

– ჰო. აბა რა, მაპატიე, ტრინა, მე რას მივხვდები, რამხელა ფიზიკური და გონებრივი ძალისხმევა გჭირდება, რომ გეორგინების თაიგული ერთი ვაზიდან მეორეში გადადო.

– გეხუმრებით, საყვარელო, – მითხრა მამამ და ჩაი მოსვა, – ძალიან გვიხარია, რომ სამსახური იშოვე და ვამაყობთ შენით. მართლა აღარ ვინერვიულებდი შენზე, ეს ექვსი თვის ამბავი რომ არა. მაგრამ დარწმუნებული ვარ, როგორც კი იმ სახლში ფეხს შედგამ, ეგ პედერასტები ვეღარც შეგელევიან.

– პედერასტი, – წამოიძახა ტომასმა.

– მე რა შუაში ვარ, – წამოიძახა პირგამოტენილმა მამამ, ვიდრე დედა რამის თქმას მოასწრებდა.

III

– დიდი ხანი არაა, რაც სახლს ფლიგელი მივაშენეთ. მანამდე ამ ადგილას თავლა იყო. მერე მივხვდით, რომ უილისთვის ასე აჯობებდა. მისთვის აქ ყოფნა უფრო მოსახერხებელი იქნებოდა, ვიდრე სახლის ძირითად ნაწილში, რადგან ყველაფერი ერთ სართულზე იყო განლაგებული. ეს მოსასვენებელი ოთახია ნათანისთვის, როცა ღამით აქ დარჩენა უწევდა. პროფესიონალის დახმარება განსაკუთრებით პირველ დღეებში გვჭირდებოდა. მისის ტრეინორი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ბაკუნით, მტკიცე და მკვირცხლი ნაბიჯით მიუყვებოდა კორიდორს. ხან ერთ კარს შეაღებდა, ხან – მეორეს, უკან არც იხედებოდა. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ჩემ მიმართ მაღალი და მკაცრი მოლოდინები ჰქონდა.

– აი, მანქანის გასაღები. თქვენც ჩვენი ოჯახის სადაზღვევო პაკეტით ისარგებლებთ. იმედი მაქვს, ყველა ის ინფორმაცია, რაც მომაწოდეთ, სიმართლეს შეესაბამება. ნათანი გაჩვენებთ, როგორ მუშაობს პანდუსი. თქვენი მოვალეობა მხოლოდ ისაა, რომ უილის ეტლი სწორ პოზიციაზე განათავსოთ, დანარჩენს მანქანა თავად იზამს. თუმცა... აქვე უნდა გითხრათ, რომ უილი ამ დროისათვის გასეირნების სურვილს დიდად არ ამჟღავნებს.

– გარეთ ჯერ საკმაოდ გრილა და...

მისის ტრეინორს ჩემი რეპლიკა არ შეუმჩნევია.

– სამზარეულოში შეგიძლიათ ჩაი ან ყავა მოიმზადოთ ხოლმე. რასაც მოისურვებთ, ყველაფერს აქ ნახავთ. კარადები ყოველთვის სავსეა. სააბაზანო აქაა.

კარი შეაღო და დავინახე თეთრი მეტალისა და პლასტმასის ნაწილებისგან აწყობილი სპეციალური საწეველა, რომელიც აბაზანის თავზე ეკიდა. საშხაპისთვის ღია სივრცე გამოეყოთ. ქვეშ დაკეცილი ეტლი იდგა. იქაურობა ჯერ კიდევ სველი და დაორთქლილი იყო. კუთხეში მინის კარებიანი სათავსო მიედგათ, აკურატულად მიწყობილი შეკვრებით სავსე. კარიდან ვერ გავარჩიე, რა იყო, მაგრამ სადეზინფექციო საშუალებებს ჰგავდა. მისის ტრეინორმა კარი მიხურა და ჩემკენ სწრაფად შემოტრიალდა.

– კიდევ ერთხელ უნდა გითხრათ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, უილის გვერდით მუდმივად იყოს ვიღაც. წინა მომვლელი ერთხელ რამდენიმე საათით წავიდა, საკუთარი მანქანის შესაკეთებლად. უილმა კი... მის არყოფნაში თავი დაიზიანა.

მისის ტრეინორმა ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა. როგორც ჩანს, ამ ამბის გახსენება ჯერ კიდევ ტკივილს აყენებდა.

– მე არსად წავალ.

– თავისთავად ცხადია, რომ პატარა შესვენებები დაგჭირდებათ... პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ არ შეიძლება უილის დატოვება, ვთქვათ, ათ-თხუთმეტ წუთზე მეტი ხნით. თუ რაღაც გარდაუვალი საჭიროება დადგება, შეგიძლიათ ისარგებლოთ შიდა ხაზით და დარეკოთ, იქნებ, ჩემი მეუღლე სახლში იყოს. ასევე, შეგიძლიათ დამირეკოთ მობილურზე. თუ

გამოსასვლელი დღე ან დღეები დაგჭირდებათ, ეცადეთ, მაქსიმალურად ადრე გამაფრთხილოთ. შემცვლელის პოვნა არც ისე ადვილია.

– გასაგებია.

მისის ტრეინორმა ჰოლში მდებარე განჯინა გამოაღო. ისე საუბრობდა, თითქოს მრავალგზის რეპეტიციაგავლილ მოხსენებას კითხულობდა. უცბად გამეფიქრა, ნეტავ, მერამდენე მომვლელი ვიყავი და რამდენი ჩემნაირი მუშაობდა აქ ჩემამდე.

– თუ უილი დაკავებული იქნება, ძალიან დამავალებთ, საოჯახო საქმეებს ოდნავ ხელს თუ შეავლებთ. თეთრეულს გარეცხავთ, ოთახს მტვერსასრუტით დაასუფთავებთ და მსგავსი წვრილმანები. დასასუფთავებლად რაც დაგჭირდებათ, ნიჟარის ქვედა სათავსოშია. შესაძლოა, უილმა არ მოისურვოს მუდმივად თქვენ გვერდით ყოფნა. თქვენ ორს თავად მოგიწევთ ურთიერთობის ფორმატი განსაზღვროთ.

მისის ტრეინორმა ჩემი ტანსაცმელი შეათვალიერა. თითქოს, პირველად ახლა დამინახაო. გაბურძგნული ბეწვის ჟილეტი მეცვა. მამაჩემმა რომ შემომხედა, სუფთა ემუ ხარო, სახლიდან გამოსვლისას მომაძახა. ვცადე გამეღიმა, მაგრამ ეს არ იყო ადვილი საქმე.

– რა თქმა უნდა... მე ძალიან მინდა და ვიმედოვნებ, რომ... ერთმანეთს შეეწყობით. კარგი იქნება, თუ თქვენში მეგობარს დაინახავს და არა პროფესიონალს, რომელიც მასთან საურთიერთოდ დაიქირავეს.

– გასაგებია. და... რისი კეთება მოსწონს ხოლმე... ზოგადად.

– ფილმებს უყურებს. ზოგჯერ რადიოს უსმენს, ან უბრალოდ, მუსიკას. სპეციალური ციფრული მოწყობილობა აქვს. თუ ახლოს დაუდებთ, თავადაც შეუძლია გამოყენება. თითებში მოძრაობის უნარი შერჩენილი აქვს, მაგრამ ხელში რაიმეს დაჭერა არ შეუძლია. გავიბადრე. რაკი ფილმები და მუსიკა უყვარდა, რაღაც საერთო მაინც გვქონია. უცებ წარმოვიდგინე, როგორ ვიცინით მე და ეს კაცი რომელიმე ჰოლივუდურ კომედიაზე, ან მაგალითად, ცეკვაცეკვით როგორ ვასუფთავებ მის ოთახს, ის კიდევ მუსიკას უსმენს. ამას უკვე არა უშავდა. ვინ იცის, იქნებ დავმეგობრებულიყავით კიდეც.

– რაიმე კითხვა ხომ არ გაქვთ?

– არა.

– მაშინ წავიდეთ. ერთმანეთს გაგაცნობთ, – მითხრა მისის ტრეინორმა და საათს დახედა, – ნათანს მისი ჩაცმა მომთავრებული უნდა ჰქონდეს.

კართან შევდექით. მისის, ტრეინორმა დააკაკუნა.

– უილ, აქ ხარ? მინდა მის კლარკი გაგაცნო.

ხმა არავის გაუცია.

– უილ? ნათან?

ახალზელანდიური აქცენტით გამოგვეპასუხნენ.

– უილი მზად არის, მისის თი.

მისის ტრეინორმა კარი შეაღო. მისაღებ ოთახში აღმოვჩნდით. ოთახის ერთი კედელი მთლიანად მინის ფანჯრებისა და კარებისაგან აეგოთ.ეს მხარე კანტიკუნტად დასახლებულ ველ-მინდვრებს გადაჰყურებდა. ალბათ, უფრო დიდი სივრცე რომ გამოჩენილიყო. კუთხეში შეშის სანთურა ტკაცუნობდა, უზარმაზარი ბრტყელეკრანიანი

ტელევიზორის წინ ჩალისფერი დივანი იდგა, რომელზეც ცხვრის ტყაპუჭი მიეფინათ. ოთახში მშვიდი და სასიამოვნო გარემო იყო – სკანდინავიურ სტილში გადაწყვეტილი და მარტოხელა მამაკაცის სამყოფელის შესაფერისი.

ოთახის ცენტრში შავი ფერის ეტლი იდგა, რომლის საჯდომიცა და საზურგეც ცხვრის ტყავით იყო გაწყობილი. უსაყელო თეთრ სამედიცინო ფორმაში გამოწყობილი ჩასკვნილი ახალგაზრდა დახრილიყო და მამაკაცის ტერფებს ეტლის ფეხსადებზე ასწორებდა. როგორც კი ოთახში შევედით, ეტლში მჯდომმა მამაკაცმა შუბლზე ჩამოყრილი გაბურძგნული თმიდან გამოგვხედა. თვალი თვალში გამიყარა და პატარა პაუზის შემდეგ ისე ამოიღმუვლა, ძარღვებში სისხლი გამეყინა. მერე ტუჩებიც დამანჭა და ახლა რაღაც სხვანაირი, მაგრამ კვლავ არაადამიანური ხმა ამოუშვა.

ვიგრძენი, როგორ დაიჭიმა დედამისი.

– უილ, შეწყვიტე!

მისის ტრეინორისთვის არც შეუხედავს, არხეინად განაგრძობდა სადღაც მკერდის სიღრმიდან იურული პერიოდის პარკის ბინადრების გახმოვანებას. რაღაც საშინელი, შემაძრწუნებელი ხმა იყო. დიდი ძალისხმევით ვიკავებდი თავს, რომ ოთახიდან არ გავვარდნილიყავი. კაცი მეჯღანებოდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა და თან თვალს არ მაშორებდა. ეს იყო გაუგებარი და ბუნდოვანი რისხვის გროტესკული გამოსახულება. ვიგრძენი, როგორ ჩავფრენოდი ჩანთას და როგორ ვფითრდებოდი.

– უილ, გთხოვ! ნუ აკეთებ ასე, გთხოვ, უილ! – მისის ტრეინორის ხმაში ისტერიული ნოტები გაისმა.

„ღმერთო ჩემო, მე ამას ვერ გავუძლებ“, – გავიფიქრე და ძლივს მოვახერხე, რომ ნერწყვი ჩამეყლაპა. ეტლში მჯდომი კაცი ისევ მე მომშტერებოდა. როგორც ჩანს, მე მელოდა, რომ რამე მომემოქმედა.

– მე... მე ლუისა ვარ, – აცახცახებული ხმით ამოვიკნავლე წამიერად ჩამოვარდნილ სიჩუმეში. დავაპირე ჩამოსართმევად ხელი გამეწოდებინა, მაგრამ კიდევ კარგი, დროულად გამახსენდა, რომ ვერ ჩამომართმევდა და ჰაერში უხერხულად ავიქნიე, – შემოკლებით ლუ.

ჩემთვის მოულოდნელად და უეცრად, სახე დაულაგდა და თავი გაასწორა. გამჭოლი მზერით მიყურებდა და სახეზე ძლივს შესამჩნევი ირონიული ღიმილი დასთამაშებდა.

– დილა მშვიდობისა, მის კლარკ. როგორც ვხვდები, თქვენ ხართ ჩემი ახალი პირადი მცველი.

ამასობაში, ნათანმა მისი ეტლში სწორად მოთავსება დაასრულა, წამოდგა და თავი გადააქნია.

– რა ცუდი ადამიანი ხარ, მისტერ თი. ძალიან ცუდი! – ჩაიცინა მან, თავისი ფართე ხელი გამომიწოდა და რბილად ჩამომართვა. ერთიანად სიმშვიდესა და აუღელვებლობას აფრქვევდა, – შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ახლა იხილეთ, უილის მიერ კრისტი ბრაუნის (კრისტი ბრაუნი (19321981) – ირლანდიელი მწერალი და მხატვარი, რომელსაც ცერებრალური დამბლის მძიმე ფორმა ჰქონდა. ყველაზე მეტად ცნობილია თავისი ავტობიოგრაფიული წიგნით, „ჩემი მარცხენა ტერფი“, რომლის მიხედვითაცაა

გადაღებული ამავე სახელწოდების ოსკაროსანი ბიოგრაფიული დრამა, დენიელ დეილიუისით მთავარ როლში. ნ.ბ.) საუკეთესოდ განსახიერებული როლი. არ შეშინდეთ, მიეჩვევით. ისე არ იკბინება, როგორც ყეფს.

მისის ტრეინორი თავისი თლილი თითებით კისერზე ჩამოკიდებულ ჯვარს ჩაჰფრენოდა. თხელი ოქროს ძეწკვის გაყოლებაზე ჯვარს ნერვიულად ათამაშებდა. სახე გაშეშებოდა.

– ახლა მე დაგტოვებთ. შიდა ზარით დარეკავთ, თუ რამე დაგჭირდებათ. უილის დღიური რუტინისა და მისი დამხმარე საშუალებების გამოყენების წესის შესახებ ნათანი დაგელაპარაკებათ.

– დედა, მეც აქ ვარ. საჭირო არაა. ისე ნუ საუბრობ, თითქოს არაფერი მესმოდეს. ტვინზე დამბლა ჯერ არ დამცემია.

– რა თქმა უნდა, თუმცა, როდესაც მსგავსი უსაქციელობის მორიგი გამოხტომა გექნება, აჯობებს, მის კლარკი თუ პირდაპირ ნათანს დაელაპარაკება.

აქ შევამჩნიე, რომ მისის ტრეინორი შვილს არ უყურებდა, როცა ელაპარაკებოდა. უილის გარშემო ათი ნაბიჯის რადიუსში აცეცებდა მზერას.

– დღეს სახლიდან ვმუშაობ. ლანჩის დროს შემოგივლით. მის კლარკ...

– დიახ, – ჯერ კიდევ ვკნაოდი.

მისის ტრეინორი ოთახიდან გავიდა. ერთხანს მდუმარედ ვიდექით, სანამ მისი ქუსლების ხმა ჩაიკარგებოდა დერეფანში, რომელიც სახლის ძირითად ნაწილში გადიოდა. სიჩუმე ნათანმა დაარღვია.

– უილ, ალბათ, წინააღმდეგი არ იქნები, მის კლარკს შენი წამლების შესახებ მოვუყვე. ტელევიზორი ხომ არ ჩავრთო? ან მუსიკა?

– რადიო ოთხი, ნათან, გმადლობ.

– ახლავე.

სამზარეულოში გავედით.

– კვადრიპლეგიის მქონე ადამიანთან ურთიერთობის გამოცდილება არ გაქვს, როგორც მისის თიმ მითხრა.

– მართალია.

– კარგი. დღეს ყველაფერს ერთად არ მოგაყრი. აქ არის საქაღალდე, სადაც ყველაფერია, რაც დაგჭირდება, რომ უილის დღიური რუტინის შესახებ იცოდე. აქვეა ყველა ნომერი, სადაც საჭიროების შემთხვევაში უნდა დარეკო. გირჩევ, რომ ყურადღებით წაიკითხო, როგორც კი თავისუფალი წუთები გამოგიჩნდება. არა მგონია, ასეთი ბევრი გქონდეს. ნათანმა ქამრიდან გასაღები მოიხსნა და ჩაკეტილი განჯინა გახსნა. იქაურობა სავსე იყო წამლების გაუხსნელი კოლოფებითა და ფლაკონებით.

– ეს, ძირითადად, ჩემი მოვალეობაა. მაგრამ თუ საგანგებო სიტუაცია შეიქმნა, შენც უნდა იცოდე, რა სად დევს და რა რისთვის არის. კედელზე ცხრილია, სადაც დეტალურად არის გაწერილი, დღის რომელ მონაკვეთში რა სჭირდება. თუ ამ დადგენილ გრაფიკს მიღმა მისცემ რამეს, აი აქ ჩაწერ, – მიმანიშნა თითით, სადაც ჩანაწერები უნდა მეწარმოებინა, – მაგრამ გირჩევ, რომ ყველაფერი მისის თისთან შეათანხმო, ყოველ შემთხვევაში, თავიდან მაინც.

– არ ვიცოდი, წამლების მიცემაც თუ შედიოდა ჩემს მოვალეობაში.

– ნუ გეშინია. ძნელი არაა. თვითონაც იცის, როდის რა უნდა მიიღოს. თუმცა, შესაძლოა დახმარება დასჭირდეს. აი ამ ფიალას ვიყენებთ ხოლმე. შესაძლოა, ამ პატარა ქვასანაყის გამოყენება მოგიწიოს, როცა წამალი სასმელში გექნება შესარევი.

ერთ-ერთი ფლაკონი ავიღე. მსგავსი რაოდენობის წამალი, აფთიაქის გარდა, ერთად არსად მენახა.

– კარგი. ესე იგი, ამ ორ წამალს იღებს სისხლის წნევის დასარეგულირებლად. ერთი იმისთვისაა, რომ ძილის წინ წნევამ დაიწიოს, ხოლო მეორე იმისთვის, რომ გაღვიძებისას და დღის დასაწყისში ტონუსში მოვიდეს. ესენი იმისთვის სჭირდება, რომ კუნთების სპაზმები ვაკონტროლოთ – ერთი აბი დილით უნდა მისცე, მეორე ნაშუადღევს. ამათი ყლაპვა არ უჭირს, პატარა აბებია. ესენი შარდის ბუშტის სპაზმისთვისაა, ეს კი მჟავის რეფლუქსისთვის. თუ ჭამის შემდეგ თავს შეუძლოდ იგრძნობს, ეს უნდა დაალევინო. აი, ეს დილის ანტიჰისტამინია, აქეთ დევს ცხვირის აეროზოლი, მაგრამ სანამ წავალ, ამათ მე ვაძლევ ხოლმე, ამიტომ შენ ზრუნვა არ მოგიწევს. თუ ტკივილი შეაწუხებს, პარაცეტამოლი დასჭირდება. ძილის წამალსაც იღებს ხოლმე, მაგრამ დღის განმავლობაში უფრო ღიზიანდება, ამიტომ თავს ვარიდებთ. აი, ეს კი – ხელში ახალი ფლაკონი აიღო ნათანმა, – ანტიბიოტიკებია, რომელსაც ყოველ ორ კვირაში ერთხელ კათეტერის შეცვლისას იღებს. ესეც ჩემი მოვალეობაა და შენ ამის გაკეთება არ მოგიწევს, თუ ისე არ მოხდა, რომ ქალაქიდან ვიქნები წასული. მაგრამ ამ შეთხვევაშიც დეტალურ ინსტრუქციას დაგიტოვებ. წესები მკაცრად უნდა დაიცვა. აქვე ნახავ რეზინის ხელთათმანებს, თუ მისი დაბანა მოგიწევს. ესაა კრემი, რომელიც უნდა გამოიყენო, თუ შეამჩნევ, რომ ნაწოლი უჩნდება, მაგრამ რაც ჰაერგამტარი მატრასები შევიძინეთ, ეს პრობლემა აღარ დამდგარა.

ხმის ამოუღებად ვიდექი. ჯიბიდან ახალი გასაღები ამოიღო და ისიც გადმომცა.

– ეს სათადარიგო გასაღებია. არავის მისცე. უილსაც კი. გასაგებია? ჩათვალე, რომ საკუთარ სიცოცხელსავით უნდა გაუფრთხილდე.

– ამდენი რამ ერთად როგორ უნდა დავიმახსოვრო, – ამოვიოხრე.

– აქ ყველაფერი წერია. დღეისათვის მხოლოდ იმის დამახსოვრება მოგიწევს, რომ სპაზმების საწინააღმდეგო აბები უნდა დაალევინო. აი, ესენი. ჩემი მობილურის ნომერიც გქონდეს. როცა დაგჭირდება, დამირეკე. როცა აქ არ ვმუშაობ, ვსწავლობ, ასე რომ, მირჩევნია, ხშირად არ მირეკო, მაგრამ, სანამ ყველაფერში გაერკვევი, არ მოგერიდოს. საქაღალდეს მივაჩერდი. ისეთი გრძნობა მქონდა, გამოცდაზე გავდიოდი, რომლისთვისაც არ მოვმზადებულვარ.

– ტუალეტში გასვლა რომ მოუნდეს... რა ვქნა? – ვკითხე ნათანს და ის საწეველა გამახსენდა, სააბაზანოში რომ ვნახე, – არა მგონია, რომ მოვერიო... – ძალიან მოვინდომე, სახეზე არ დამტყობოდა, რომ პანიკაში ვიყავი.

– მსგავსი არაფრის კეთება მოგიწევს, – თავის გაქნევით მიპასუხა ნათანმა, – მაგ მოვალეობას კათეტერი ასრულებს, ლანჩის დროს შემოვივლი და გამოვუცვლი. შენ მისი ფიზიკური მოვლა არ გევალება.

– აბა, რა მევალება?

ნათანი იატაკს ჩააშტერდა და მცირე პაუზის მერეღა შემომხედა.

– ეცადე, რომ ცოტა გაამხიარულო. იცი... ცოტა არ იყოს და მძიმე ხასიათი აქვს. ექსცენტრულიცაა. რა გასაკვირია... თუ გარემოებებს გავითვალისწინებთ. სქელკანიანი უნდა გახდე. წეღან იმ პატარა გამოხტომითაც შენი წყობიდან გამოყვანა უნდოდა.

– ასე გულუხვად ამიტომაც იხდიან?

– რა თქმა უნდა. აბა, შენი ლამაზი თვალებისთვის კი არა, – ნათანმა მხარზე ხელი დამარტყა. გველნაკბენივით შევხტი. შეცბა და დაამატა – არაფერი უჭირს. არაა აუცილებელი, გარშემო ფეხის წვერებზე იარო. მე მომწონს კიდევაც.

ეს ისეთი ტონით თქვა, რომ ჩავთვალე, ალბათ, ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც უილ ტრეინორის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა.

უკან, მისაღებში შევყევი. უილი რადიოს უსმენდა. ფანჯარასთან მისულიყო. ჩვენკენ ზურგით იდგა და გარეთ იყურებოდა.

– მე მოვრჩი, უილ. რამე ხომ არ გინდა, სანამ წავალ?

– არა, გმადლობ, ნათან.

– ჩვენი ყოჩაღი მის კლარკის ხელში გტოვებ. მაშ, დროებით, მეგობარო.

პანიკის შეტევამ ისევ წამომიარა. სასოწარკვეთილი შევყურებდი ნათანს, როგორ იცვამდა ქურთუკს და წასასვლელად ემზადებოდა.

– აბა, არ მოიწყინოთ, – შემოგვძახა, თვალი ჩამიკრა და წავიდა.

შუაგულ ოთახში ვიდექი გაშეშებული, ხელები ჯიბეებში მეწყო და წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მეთქვა ან მექნა. უილ ტრეინორი ისევ ფანჯრიდან იყურებოდა, თითქოს, ჩემს არსებობასაცვერ ამჩნევდა.

– ჩაი ხომ არ გაგიკეთოთ? – ამოვთქვი ბოლოს და ბოლოს, როცა სიჩუმე უკვე აუტანელი გახდა.

– აჰ, რა თქმა უნდა. გოგონა, რომელსაც ჩაის მომზადებით გააქვს თავი. მაინტერესებდა, რა დრო დაგჭირდებოდათ, რომ საკუთარი შესაძლებლობები გამოგევლინათ. არა, არ მინდა, გმადლობთ.

– იქნებ ყავა?

– ცხელი სასმელებისგან თავს შევიკავებ, მის კლარკ.

– შეგიძლიათ, ლუ დამიძახოთ.

– რა მნიშვნელობა აქვს, რას დაგიძახებთ?

პასუხად მხოლოდ თვალები დავახამხამე და წამიერად პირი დავაღე. მალევე მივხვდი და მოვკუმე. მამა მეუბნება ხოლმე, ასე იმაზე უფრო სულელს ჰგავხარ, ვიდრე სინამდვილეში ხარო.

– მაშინ... რამე ხომ არ მოგიტანოთ?

მოტრიალდა და შემომხედა. რამდენიმე კვირის გაუპარსავი წვერი ჰქონდა, მზერა – გაბეზრებული. ხმის ამოუღებლად შებრუნდა.

– მაშინ მე... – აქეთ-იქით მიმოვიხედე, – ვნახავ, რამე ხომ არ არის გასარეცხი.

ოთახიდან გამოვედი. გული ამოვარდნაზე მქონდა. სამზარეულოში თავი სამშვიდობოს დავიგულე, მობილური ამოვიღე და ჩემს დას შეტყობინება გავუგზავნე: „საშინელება

ხდება. ვეზიზღები“ რამდენიმე წამში პასუხიც მოვიდა: „ჯერ სულ ერთი საათია, მანდ ხარ, შე ქვეშაფსია! დედა და მამა ხომ იცი, რა დღეში არიან. თავი ხელში აიყვანე და საათობრივ ანაზღაურებაზე იფიქრე. გკოცნი.“

მობილური შევინახე და ამოვიხვნეშე. სააბაზანოში გასარეცხი ტანსაცმლისა და თეთრეულის კალათები ავიღე. სარეცხი მანქანა მეოთხედითაც არ შეივსო. რამდენიმე წუთს ვიდექი და მანქანის ინსტრუქციას ვსწავლობდი. მეშინოდა, შემთხვევით რაიმე ისეთზე არ მიმეჭირა ან ისეთ რეჟიმში არ ჩამერთო, რომ უილსა და მისის ტრეინორს ისევ ისე შემოეხედათ, თითქოს დებილი ვიყავი. მანქანა ჩავრთე. ვიდექი და ვფიქრობდი, კიდევ რისი გაკეთება შემეძლო. ჰოლის განჯინიდან მტვერსასრუტი გამოვიღე და კორიდორს რამდენჯერმე ავუარ–ჩავუარე. ორი საწოლი ოთახიც დავასუფთავე. გონებაში სულ ის მიტრიალებდა, ერთი ჩემს მშობლებს დაანახა ახლა ჩემი თავი-მეთქი. აუცილებლად მოითხოვდნენ, რომ ამ მდგომარეობაში ჩემთან სამახსოვრო ფოტო გადაეღოთ. მოსასვენებელი საწოლი ოთახი, რომელიც ნათანისთვის იყო განკუთვნილი, თითქმის, სულ ცარიელი იყო. სასტუმროს ოთახს ჰგავდა. ალბათ, აქ ხშირად არ რჩებოდა. რა თქმა უნდა, ამ დასკვნას სულაც არ გავუკვირვებივარ.

უილ ტრეინორის საწოლ ოთახთან შევდექი. შემდეგ მაინც დავარწმუნე თავი, რომ დალაგება ამ ოთახსაც ისევე სჭირდებოდა, როგორც სხვა ოთახებს და შესვლა გავბედე. კედლის მთელ გაყოლებაზე სტელაჟი იდგა და მასზე ჩარჩოში მოთავსებული ოცამდე ფოტო მაინც ელაგა.

საწოლის გარშემო რომ ვასუფთავებდი, ფოტოებისკენ თვალი გამექცა. აქ იყო ფოტო კაცისა, რომელიც კლდიდან ბანჯით ხტებოდა, მკლავები რიო-დეჟანეიროს ქრისტეს ქანდაკებასავით გაეშალა. აქვე იყო ფოტო ჯუნგლებში ახალგაზრდა კაცისა, რომელიც უილს ჰგავდა. კიდევ ერთი ფოტო ნასვამ მეგობრებთან ერთად. ყველას სმოკინგი ეცვა და ბაფთა ეკეთა, ხელები ერთმანეთზე გადაეხვიათ. თვალში კიდევ ერთი ფოტო მომხვდა. უილი აქ სათხილამურო ტრასაზე იდგა, გრძელი და ქერათმიანი გოგოს გვერდით, რომელსაც დიდი შავი სათვალე ეკეთა. სურათი ხელში ავიღე, რომ კარგად შემეხედა. ფოტოზე სუფთად იყო გაპარსული. მიუხედავად იმისა, რომ სახე მზის კაშკაშა სხივებით ჰქონდა განათებული, მაინც შესამჩნევი იყო ის ფერი და იერი, ფულიან ტიპებს რომ ადევთ ხოლმე... წელიწადში სამჯერ რომ დადიან დასასვენებლად და ირუჯებიან. განიერი, დაკუნთული მხარბეჭი ჰქონდა, რომელსაც საციგურაო კოსტიუმიც ვერ უფარავდა. ფოტო ფრთხილად დავაბრუნე თავის ადგილას და მტვერსასრუტი საწოლის უკან შევაძვრინე. როგორც იქნა, მოვრჩი, გამოვრთე და ელექტროზონრის ახვევა დავიწყე. ის იყო დენცქვიტადან უნდა გამომეძრო, რომ სადღაც გვერდით, თვალის კუთხიდან მოძრაობა შევამჩნიე. მოულოდნელობისგან შევხტი. უილ ტრეინორი შემოსასვლელში გაჩერებულიყო და მიყურებდა.

– კურშეველი. ორწელიწად-ნახევრის წინ.

გავწითლდი.

– მაპატიეთ. მე უბრალოდ...

– უბრალოდ, ჩემს ფოტოებს ათვალიერებდით და ფიქრობდით, რამხელა უბედურებაა, ასეთი ცხოვრების შემდეგ, ხეიბრად რომ იქცევი.
– არა, – ვუთხარი და კიდევ უფრო მეტად გავწითლდი.
– დანარჩენი ფოტოები ქვედა უჯრაშია, თუ გადაულახავი ცნობისმოყვარეობა კიდევ შეგაწუხებთ, – მითხრა უილმა. ეტლი ყრუ წრიპინით მარჯვნივ შეატრიალა და წავიდა.

* * *

დრო საშინლად იწელებოდა და ასე მეგონა, ერთი დილა კი არა, რამდენიმე წელი გავიდა. არ მახსოვს, ასე ბოლოს როდის ვითვლიდი წუთებსა და საათებს. ვცდილობდი, რაც შეიძლება მეტი საქმე გამომენახა საკუთარი თავისთვის. თაროებიც დავწმინდე, ყველაფერი დავაწკრიალე, ოღონდ მისაღებ ოთახში არ შევსულიყავი. ვიცოდი, რომ ეს არ იყო კარგი საქციელი ჩემი მხრიდან, მაგრამ სინდისი ნამდვილად არ მაწუხებდა. პირველის ნახევარზე ნათანი მოვიდა. გარედან ცივი, სუფთა ჰაერი შემოიტანა და ცალი წარბი ასწია.
– აბა? როგორაა საქმე?
– კარგად, – ვუპასუხე. არ მახსოვს ოდესმე ვინმეს დანახვა ასე გამხარებოდა.
– ძალიან კარგი. თუ გინდა, ნახევარი საათით შეისვენე. მე და მისტერ თის დღის ამ მონაკვეთში პატარა საქმე გვაქვს ხოლმე.
პალტოს ასაღებად სირბილით გავიქეცი. ლანჩზე გარეთ გასვლას სულაც არ ვგეგმავდი, მაგრამ შვებისგან კინაღამ გული წამივიდა, როგორც კი სახლის დატოვების საშუალება მომეცა. საყელო ავიწიე, ჩანთა მხარზე მოვიგდე და ისეთი სისწრაფით დავეშვი გზაზე, თითქოს სადმე მაგვიანდებოდა. სინამდვილეში კი ნახევარი საათი ახლომდებარე ქუჩებზე ხეტიალში გავატარე. გარეთ ყინავდა, პირზე აფარებული შარფიდან ჩემი ამონასუნთქი თეთრ ღრუბლად გამოდიოდა. რაც „ბათერდ ბანი“ დაიხურა, ქალაქის ამ ნაწილში კაფეს ვეღარ ვნახავდი. ციხესიმაგრე გაუკაცრიელებულიყო. უახლოესი ადგილი, სადაც ჭამა შეიძლებოდა, ლუდის ბარ-რესტორანი იყო. მაგრამ, ეჭვი მაქვს, იქ ერთი ჭიქა ყავის დასალევადაც არ მეყოფოდა ფული, არათუ საჭმელად. მის სადგომზე უზარმაზარი და ძვირადღირებული მანქანები ეყენა, ახალთახალი სანომრე ნიშნებით. სახლთან შორიახლოს დავდექი. ისეთ ადგილას, რომ ფანჯრებიდან არავის დავენახე და ჩემს დას დავურეკე.
– ტრინა.
– ხომ იცი, სამსახურში ვარ და ვერ დაგელაპარაკები. ხომ არ გამოიქეცი?
– არა, უბრალოდ მინდოდა, რომ რომელიმე ახლობლის ხმა გამეგონა.
– ასეთი ცუდია?
– ტრინა, ვეზიზღები. ისე მიყურებს, თითქოს მკვდარი თაგვი ვიყო, კატამ რომ მიუთრია. ჩაისაც კი არ სვამს. ვემალები.
– ყურებს არ ვუჯერებ.
– რატომ?

– მე რომ მეწუწუნები და მეკრუსუნები, მიდი და დაელაპარაკე. ცოდოა. იმ ოხერ ეტლში ზის და ვერ დგება. შენ კიდევ დგახარ და შეჰყურებ დოყლაპიასავით. დაელაპარაკე. ახლოს გაიცანი. ამაზე უარესი რაღა უნდა მოხდეს?

– არ ვიცი... არა მგონია, რომ შევძლო.

– არ ვაპირებ ახლა დედას დავურეკო და ვუთხრა, რომ სამსახურში ნახევარი დღეც ვერ გაძელი. ახლა თუ წამოხვალ, საერთოდ არაფერს გადაგიხდიან. ასე არ შეიძლება. ასე ვერ მოიქცევი. არ გაქვს უფლება, რომ ოჯახს ეს გაუკეთო.

ჩემი და მართალი იყო და მივხვდი, რომ იმ მომენტში ისიც მძულდა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე დამიყვავა. ზოგადად, ასე ლაპარაკი არ სჩვეოდა და ამან შფოთვა უფრო მომიმატა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძალიან კარგად ესმოდა, ჩემთვის ყველაზე საზიზღარ საქმეს ვაკეთებდი.

– მისმინე, მხოლოდ ექვსი თვე. მხოლოდ ექვსი თვე! შედეგად, რეზიუმეში რაღაც ღირებულს მიუთითებ გამოცდილებად და ისეთ სამსახურს ნახავ, როგორიც მოგწონს. მოდი, ასე შეხედე: ყველაფერს რომ თავი დაანებო, მეფრინველეობის ფაბრიკაში ღამეების თენებას აღარ სჯობს?

– ღამის ცვლა მეფრინველეობის ფაბრიკაში, ზღაპრული შვებულებაა თუ შევადარებთ...

– უნდა გავიქცე, ლუ. მოგვიანებით ვილაპარაკოთ.

* * *

– გინდათ, ნაშუადღევს სადმე წავიდეთ? მანქანაში ჩავსხდეთ და სადაც მოისურვებთ, გავაქროლოთ.

ნათანი თითქმის ნახევარი საათის წასული იყო. რამდენადაც შემეძლო, ჩაის ჭიქები იმდენად დიდხანს ვრეცხე და ვწმინდე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ამ სახლში, სამარისებურ სიჩუმეში კიდევ ერთ საათსაც თუ გავატარებდი, თავი ამიფეთქდებოდა. თავი ჩემკენ მოატრიალა.

– მაინც სად ფიქრობთ, რომ წავიდეთ?

– რა ვიცი, იქნებ ქალაქიდან გავიდეთ და უბრალოდ გავისეირნოთ.

ხანდახან ვცდილობ, ასე მოვიქცე ხოლმე – ტრინასავით. ის ხომ ერთერთი იმ ადამიანთაგანია, ყოველთვის ოლიმპიური სიმშვიდით რომ გამოირჩევიან და ყოველთვის აქვთ სწორი პასუხი ყველაფერზე. შესაბამისად, მათთან უთანხმოებას ყველა ერიდება. ყურებში საკუთარი ხმა ახლა მეც საკმაოდ პროფესიონალურად და თავდაჯერებულად ჩამესმოდა.

– ქალაქიდან გავიდეთ, – თქვა მან, თითქოს, დაფიქრდაო, – და იქ რას ვნახავთ? რამდენიმე ხეს? ცის ნაგლეჯს?

– რა ვიცი. ჩვეულებრივ, რას აკეთებთ ხოლმე?

– არაფერს ვაკეთებ, მის კლარკ. მე არაფერს ვაკეთებ. აღარაფერს ვაკეთებ. მე უბრალოდ ვარსებობ.

– ჰო, მაგრამ... – მე არ ვნებდებოდი, – მითხრეს, რომ მანქანა გყავთ, რომელიც ადაპტირებულია ეტლის მომხმარებლისათვის.

– მერე რა? გეშინიათ, რომ ყოველდღიურად თუ არ გამოიყენეთ, დაჟანგდება?
– არა, მაგრამ მე...
– გინდათ, დამარწმუნოთ, რომ ჩემთვის გარეთ გასვლა სასარგებლოა?
– მე უბრალოდ ვიფიქრე, რომ...
– იფიქრეთ, რომ მანქანით გავლა, სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა კარგ ხასიათზე მომიყვანს?
– მე ვცდილობ, რომ...
– მის კლარკ, სტორტფოლდის შემოგარენში მანქანით გასეირნება ჩემს ცხოვრებას არ შეცვლის უკეთესობისკენ, – მითხრა და ზურგი მაქცია.
თავი ჩაქინდრა. უცებ ვიფიქრე, რომ შეიძლება მოხერხებულად არ იჯდა, მაგრამ ახლა ამას ვერ ვკითხავდი. ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით.
– გინდათ, კომპიუტერი მოგიტანოთ?
– რატომ? რაიმე ჯგუფი ხომ არ გაგახსენდათ ანონიმ კვადრიპლეგიანებისთვის? „ღირსეული ცხოვრება ბორბლებზე“, „გმირები ეტლებში“ ან რამე მაგდაგვარი?
ღრმად ჩავისუნთქე. შევეცადე, რომ, რაც შეიძლება მტკიცედ და დამაჯერებლად მელაპარაკა.
– კარგი... მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთად დიდი დროის გატარება მოგვიწევს, ხომ არ აჯობებს, რომ ერთმანეთის შესახებ მეტი ვიცოდეთ?
ისეთი სახე ჰქონდა, ენა დამება. კედელს მიშტერებოდა და ყბა უკანკალებდა.
– მთელი დღე არაა პატარა დრო იმისათვის, რომ სულ ვიღაცის გვერდით იყო. მთელი დღე... – განვაგრძე მე, – თუ მეტყვით, რისი კეთება გინდათ, მაშინ მე... მაშინ მე ყველაფერს ისე ვიზამ, როგორც გესიამოვნებათ.
სიჩუმე უკვე აუტანელი იყო. ვგრძნობდი, როგორ ყლაპავდა ჩემს სიტყვებს, როგორ მშთანთქავდა მე მთლიანად. არ ვიცოდი, ხელებისთვის რა მომეხერხებინა. ტრინა და მისებური კომპეტენტური ქცევისა და ლაპარაკის მანერაც გაიდღაბნა და გაქრა.
როგორც იქნა, ეტლმა დაიწრიპინა და ჩემკენ ნელა მოტრიალდა.
– თქვენ შესახებ, აი, რა ვიცი, მის კლარკ. დედაჩემმა მითხრა, რომ ბევრი ლაპარაკი გიყვართ, – ამას რომ ამბობდა, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ეს ავადმყოფობა იყო, – შეიძლება, რომ ერთ რამეზე შევთანხმდეთ? როდესაც აქ იქნებით, დაივიწყეთ, რომ ლაპარაკი გიყვართ, კარგი?
ნერწყვი ჩავყლაპე და ვიგრძენი, როგორ ამივიდა სახეზე ალმური.
– კარგი, – ვუთხარი, როცა ლაპარაკის უნარი დამიბრუნდა, – სამზარეულოში ვიქნები. თუ რამე მოგინდებათ, დამიძახეთ.

* * *

– ასე მალე არ დანებდები!
ჩემს საწოლზე ვეგდე, ფეხები კედელზე მქონდა აწყობილი, როგორც მაშინ, როცა მოზარდი ვიყავი. ვახშმის შემდეგ ამოვედი და ასე ვიწექი, რაც ნამდვილად არ იყო ჩემი ჩვეული მდგომარეობა. რაც ტომასი დაიბადა, ის და ტრინა უფრო დიდ ოთახში გადავიდნენ, მე კი ამ ოთახში დავბინავდი. ოთახი ისეთი პატარა იყო, ერთბაშად ნახევარ

საათზე მეტხანს თუ გაჩერდებოდი, კლაუსტროფობია შეგაწუხებდა. მაგრამ ახლა ქვემოთ, დედასთან და ბაბუასთან ერთად ჯდომა არ შემეძლო. დედა შეშფოთებული მიყურებდა და დროდადრო ისროდა ისეთ რეპლიკებს, როგორიცაა „მალე ყველაფერი უკეთესად იქნება, საყვარელო“, „აბა, დღევანდელ დღეს, რომელი სამსახური ვარგა?“ და ა.შ. თითქოს, ძალიან იცნობდა შრომის ბაზარს და სადმე მაინც უმუშავია უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. ეს სიტუაცია თავს დამნაშავედ მაგრძნობინებდა. არადა, არაფერი ჩამიდენია.

– მე არ მითქვამს, რომ დანებებას ვაპირებ. ღმერთო ჩემო, ტრინა, ყველაფერი იმაზე უარესადაა, ვიდრე წარმომედგინა. ძალიან საწყალი და უბედურია.

– მოძრაობა არ შეუძლია, რა თქმა უნდა, საწყალი და უბედურია.

– არა, თან ძალიან გესლიანია და საზიზღარი. რაც არ უნდა ვთქვა ან შევთავაზო, ისე მიყურებს, თითქოს დებილი ვიყო, ან ისეთ კომენტარს გააკეთებს, რომ თვითონ მგონია თავი დებილი.

– ალბათ, მართლა თქვი რამე დებილობა. არა უშავს. ერთმანეთს მიეჩვევით.

– ნამდვილად არ მითქვამს! ძალიან ვფრთხილობდი. საერთოდ არაფერი მითქვამს. სულ ორჯერ ამოვიღე ხმა. ერთხელ ჩაი შევთავაზე და ერთხელ – მანქანით გავლა.

– იქნებ, ზოგადად, თავიდან ყველასთან ასე იქცევა. გცდის, რამდენ ხანს გაძლებ. დარწმუნებული ვარ, ბევრი შენნაირი მომვლელი გამოიცვალეს.

– იმასაც კი ვერ იტანდა, მასთან ერთად ერთ ოთახში რომ ვიყავი. არა მგონია, მე ამას გავუძლო, კატრინა. მართლა არა მგონია, სერიოზულად გეუბნები, დარწმუნებული ვარ, გამიგებდი, შენც იქ რომ ყოფილიყავი.

ტრინას არაფერი უთქვამს, ცოტა ხანს ჩუმად მიყურებდა. მერე ადგა და კარიდან გაიხედა, თითქოს ამოწმებდა, ვინმე ხომ არ გვისმენდა.

– უნივერსიტეტში დაბრუნებას ვაპირებ, – თქვა ბოლოს.

რამდენიმე წამი დამჭირდა, რომ აზრზე მოვსულიყავი თემის ამ უეცარი ცვლილების შემდეგ.

– ღმერთო ჩემო, კი, მაგრამ...

– სესხს ავიღებ და სწავლის გადასახადს ასე დავფარავ. მაგრამ არის შანსი, რომ დაფინანსება მივიღო, ტომასის გამო. თან უნივერსიტეტმა გადასახადი შემიმცირა, იმიტომ, რომ... – აქ ხმას კიდევ უფრო დაუწია, – დარწმუნებულები არიან, რომ მე ამას შევძლებ. ბიზნესის ადმინისტრირების კურსიდან ვიღაც გარიცხეს. მომდევნო სემესტრის დასაწყისში მის ადგილას შეუძლიათ რომ ჩამსვან.

– მერე ტომასი?

– უნივერსიტეტის კამპუსში საბავშვო ბაღიც აქვთ. საერთო საცხოვრებელში ვიქნებით ორივე. თითქმის ყოველ შაბათ-კვირას სახლში გავატარებთ.

– ღმერთო.

სახეზე ყურადღებით მაკვირდებოდა. არ ვიცოდი, რა გამომეტყველება უნდა მიმეღო.

– ძალიან მინდა, რომ ჩემი ტვინი რაღაც სერიოზულით ისევ დაკავდეს. აღარ შემიძლია ამ ყვავილების ატანა. სწავლა მინდა. მინდა, განვვითარდე და წინ წავიწიო. მომბეზრდა ეს ლარნაკებში წყლის გამოცვლა და მუდმივად გაყინული ხელები.

ორივემ მის ხელებს შევხედეთ, ჩვენი სახლის ტროპიკული კლიმატის პირობებშიც კი, სილურჯე რომ დაჰკრავდა.

– მაგრამ...

– ჰო, ლუ... მე ვეღარ ვიმუშავებ. ვერ შევძლებ, რომ დედას რამით დავეხმარო. ეგ კი არა... შეიძლება, მშობლებისგან იქით დამჭირდეს დახმარება, – აქ შეეტყო, რომ თავს ძალიან უხერხულად გრძნობდა. ისეთი თვალებით მიყურებდა, თითქოს, პატიებას მთხოვდა. ქვემოთ დედა ტელევიზორს უყურებდა დარაღაცაზე მთელი გულით იცინოდა. მერე გავიგეთ ბაბუას უყვებოდა რაღაცას. სატელევიზიო შოუებს რომ უყურებდნენ, დედა ბაბუას მოსმენილს უმეორებდა ხოლმე. ვერაფრით დავარწმუნეთ, რომ ეს საჭირო არ იყო. მე ენა წამერთვა. ჩემი დის სიტყვებს ნელნელა ვაცნობიერებდი და თანდათან ვხვდებოდი, ეს რას ნიშნავდა. თავი მაფიის მსხვერპლი მეგონა, რომელსაც ცოცხლად აბეტონებდნენ.

– მე ეს უნდა გავაკეთო, ლუ. მინდა, ჩემს შვილს მეტი შესაძლებლობა ჰქონდეს, ვიდრე მე და შენ გვქონდა. ერთადერთი გზა, რომლითაც შემიძლია რამეს მივაღწიო, უნივერსიტეტში დაბრუნებაა. მე არც პატრიკი მყავს, შენგან განსხვავებით და ალბათ, არც არასდროს მეყოლება. არავის უნდა შვილიან ქალთან სერიოზული ურთიერთობა. რაც შემიძლია და არ შემიძლია, ყველაფერი უნდა ვიღონო, ლუ, – პასუხად რომ არაფერი ვუთხარი, დაამატა, – ტომასისა და ჩემ გამო.

თავი დავუქნიე.

– ლუ, მაპატიე.

ჩემი და ასეთი არასდროს მინახავს. თავს მართლა უხერხულად ვგრძნობდი. თავი ავწიე და გავუღიმე. პასუხი რომ გავეცი, საკუთარი ხმა მე თვითონ ვეღარ ვიცანი:

– როგორც შენ მითხარი, მიჩვევა უნდა. ყველაფერი კარგად იქნება. ჯერ პირველი დღეებია და მაგიტომ მიჭირს. ნამდვილად ასეა.

IV

ორი კვირა გავიდა და ამასობაში, მეც ჩემი რუტინა გამოვიმუშავე. ყოველ დილით, რვა საათზე გრანტაჰაუსში მივდიოდი, შესვლისას, დავიძახებდი, რომ მოვედი. მერე კი, როცა ნათანი უილის ჩაცმას დაამთავრებდა, ყურადღებით ვუსმენდი მის დირექტივებს უილისთვის მისაცემ წამლებთან დაკავშირებით... და რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო, მის გუნებაგანწყობასთან დაკავშირებითაც.

მას შემდეგ, რაც ნათანი წავიდოდა, უილს ტელევიზორს ან რადიოს ჩავურთავდი, წამლებს დავალევინებდი, ხან აბების სახით, ხან მინიატურული მარმარილოს ქვასანაყით დაფქვილს, სასმელში შევურევდი. როგორც წესი, დაახლოებით ათ წუთში პირდაპირ მაგრძნობინებდა, რომ ჩემი დანახვა აღარ უნდოდა. ამის შემდეგ, ისღა დამრჩენოდა, პატარა ფლიგელის დასუფთავებითა და სხვა საქმეებით დავკავებულიყავი, გამერეცხა ჩაის

ტილოები, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ იყო გასარეცხი, გამეხეხა ისედაც დაწკრიალებული პლინთუსები და გულდასმით გამომეწმინდა ყველა კუთხეკუნჭული მტვერსასრუტის ყველაზე უცნაური და იშვიათად გამოყენებადი დანამატების საშუალებით. რელიგიური რიტუალისათვის შესაფერისი გულმოდგინებით შევყოფდი ხოლმე თავს მისტერ ტრეინორის ოთახში – ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ, როგორც მისის ტრეინორმა დამარიგა. ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე მდგომარეობაში, ზურგით მხვდებოდა და ეზოში იყურებოდა.

მოგვიანებით ჭიქა წყალს მივუტანდი ან მაღალკალორიულ სპეციალურ სასმელს, რისი დახმარებითაც ინარჩუნებდა წონას, სასმელი პასტელისფერ წებოვან სალაფავს მაგონებდა, ან უბრალოდ მისთვის იმ დღისათვის გამოწერილი საკვები მიმქონდა. თითებში მოძრაობის უნარი შერჩენილი ჰქონდა, მაგრამ მთლიანად ხელში – არა, ამიტომ მე მიწევდა მისთვის ყოველი ლუკმის პირში ჩადება. ეს იყო ყველაზე საზიზღარი წუთები დღის განმავლობაში. ზრდასრული მამაკაცის ასე პატარა ბავშვივით გამოკვება ძალიან მაცბუნებდა. ვიბნეოდი და საშინლად ტლანქ, მოუქნელ მოძრაობებს ვაკეთებდი. უილსაც იმდენად ეზიზღებოდა ეს პროცესი, რომ ამ დროს თვალებშიც კი არ მიყურებდა. შუადღის პირველიც არ იყო, რომ ნათანი მოდიოდა ხოლმე. მე ჩემს პალტოს ხელს დავავლებდი და გარეთ გავრბოდი. ხანდახან ლანჩისთვის განკუთვნილ სენდვიჩს იქვე ციხესიმაგრესთან, ავტობუსის გაჩერებაზე ვჭამდი, რაც, ალბათ, ერთობ შესაბრალისი სანახაობა იყო გამვლელთათვის, მით უფრო იმ სიცივეში, მაგრამ ეს სულ არ მადარდებდა. მთავარი იყო, დრო მომეხელთებინა და იმ სახლისთვის ცოტა ხნით მაინც თავი დამეღწია. ფილმს ჩავურთავდი ხოლმე. უილი „DVD კლუბის“ წევრი იყო და ყოველდღიურად ახალი ფილმები მოსდიოდა ფოსტით. თუმცა ფილმის ერთად ყურება არასდროს შემოუთავაზებია. ამიტომ, ამ დროს ან სამზარეულოში მივდიოდი, ან მოსასვენებელ ოთახში. სამსახურში წიგნებისა და ჟურნალების წაღება დავიწყე, მაგრამ როგორც კი ხელში ავიღებდი, სინდისი მაწუხებდა, რომ სინამდვილეში საქმე არაფერი მქონდა და წაკითხულზე კონცენტრირებას ვეღარ ვახერხებდი. დღის ბოლოს მისის ტრეინორი შემოივლიდა ხოლმე. ბევრს არაფერს მეტყოდა. სასხვათაშორისოდ მკითხავდა, ყველაფერი თუ რიგზე იყო. თუმცა, ერთადერთი სწორი პასუხი ამ კითხვაზე ის იყო, რომ ყველაფერი რიგზე მიდიოდა.

უილს ჰკითხავდა, რამე ხომ არ სჭირდებოდა. ასევე, სასხვათაშორისოდ შესთავაზებდა მომდევნო დღეს გარეთ გასეირნებას, მეგობართან სტუმრობას, რომელსაც უილის ამბავი დიდი ხანია ძალიან აინტერესებდა. უილის პასუხი ყოველთვის მკაცრი უარი იყო, თუმცა ხანდახან მთლად უხეში და უკმეხი არა. ასეთი დამოკიდებულება მისის ტრეინორს გულს სტკენდა, თითებით მაშინვე ყელზე დაკიდებული ჯვრისა და ძეწკვის წვალებას იწყებდა და მალევე ტოვებდა ფლიგელს.

უილის მამა ჩაფსკვნილი, კეთილშობილი შესახედაობის კაცი იყო. როგორც წესი, მაშინ მოდიოდა, როცა მე უკვე წასასვლელად მზადებას ვიწყებდი. ისეთი ტიპი იყო, როგორებიც კრიკეტის მატჩებზე პანამიანი ქუდით, ალბათ, ხშირად გინახავთ. მას შემდეგ, რაც ქალაქში მაღალანაზღაურებადი სამსახური დატოვა, ახლა ციხესიმაგრის მენეჯმენტით იყო

დაკავებული. იმ კეთილ მიწათმფლობელებს მაგონებდა, სხვადასხვა ნაწარმოებში რომ შემხვედრია და სიბერეში პატარა ბოსტანში მუშაობით ჭიას რომ ახარებენ „ფორმის შესანარჩუნებლად“. საღამოს ზუსტად ხუთ საათზე თავის საქმიანობას ამთავრებდა და უილთან ერთად ტელევიზორის საყურებლად ჯდებოდა. ხანდახან გასვლისას მისი კომენტარები შემომესმებოდა ხოლმე ახალ ამბებში გადმოცემულ ამა თუ იმ სიუჟეტზე. ამასობაში, პირველი ორი კვირის განმავლობაში უილი უფრო ახლოს გავიცანი. ვხედავდი, როგორ ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, ისე ელაპარაკა, ისე მოქცეულიყო, თითქოს, საერთო არაფერი ჰქონდა იმ ადამიანთან, ვინც სინამდვილეში იყო, გარეგნულადაც კი. ღია წაბლისფერი თმა უფორმოდ გაჰბურძგვნოდა და ხელს არავის აკიდებინებდა. წვერი ლამის მკერდზე ეფინა. ნაცრისფერ თვალებში მუდმივად დაღლილობა ჩასდგომოდა, ან მუდმივი დისკომფორტის კვალი ემჩნეოდა, როგორც ნათანმა აღნიშნა. უშინაარსო, ცარიელი მზერით იყურებოდა ადამიანივით, რომელიც გარემომცველი სამყაროსგან მოწყვეტილია და ცხოვრების დინებასაა ჩამორჩენილი. ხანდახან ვფიქრობდი, რომ ეს ერთგვარი თავდაცვის მექანიზმი შეიძლებოდა ყოფილიყო. შეიძლება, ასეთი იყო მისი სტრატეგია, გამკლავებოდა თავის ცხოვრებაში დატრიალებულმოვლენებს – თავი ისე დაეჭირა, თითქოს ეს მას არ ეხებოდა. მინდოდა, რომ შემცოდებოდა. მართლა მინდოდა. ხანდახან, როდესაც ფანჯარასთან მიმჯდარს და ეზოში მოცქირალს თვალს შევავლებდი, ვფიქრობდი, რომ ეს იყო ყველაზე სევდიანი ადამიანი, ვინც კი ოდესმე მენახა. დღე დღეს მისდევდა და მე ვხვდებოდი, რომ მისი მდგომარეობის მიზეზი მხოლოდ ეტლში ჯდომა, ფიზიკური თავისუფლების დაკარგვა კი არ იყო, არამედ ეს დაუსრულებელი ჯაჭვი უპატივცემულობის, ჯანმრთელობის პრობლემების, რისკებისა და დისკომფორტისა. მე რომ უილის ადგილზე ვყოფილიყავი, მეც იგივე განცდა დამეუფლებოდა, უმწეობისა და ბრაზის.

მაგრამ, ღმერთო ჩემო, ისე უსამართლოდ და ამაზრზენად მექცეოდა. რაც არ უნდა მეთქვა, არ არსებობდა, გესლიანი რეპლიკა არ მოეყოლებინა. თუ ვკითხავდი, ხომ არ სციოდა, მპასუხობდა, პლედი რომ მჭირდებოდეს, ენაზე დამბლა კი არ დამცემია, გეტყოდითო. თუ ვკითხავდი, მტვერსასრუტის ხმაური ფილმის ყურებისას ხელს ხომ არ უშლიდა, მპასუხობდა, თქვენნაირ საზრიან ადამიანს, ალბათ, უკვე მოფიქრებული აქვს უხმო მტვერსასრუტის მოდელიო. როდესაც ვაჭმევდი, სულ ბუზღუნებდა და სულ უკმაყოფილო იყო, საჭმელი ხან ძალიან ცხელი იყო, ხან ძალიან გრილი, ან უდროოდ ვტაკებდი ახალ ლუკმას, მაშინ, როცა ჯერ წინა არ ჰქონდა ჩაყლაპული. რაც არ უნდა მეთქვა ან გამეკეთებინა, ისე შეატრიალებდა, რომ სულელად წარმოვჩენილიყავი.

ამ პირველი ორი კვირის განმავლობაში მეც ვისწავლე უემოციო სახის მიღება მისი გამოხტომების პასუხად. უხმოდ შევტრიალდებოდი ხოლმე და ოთახიდან გავდიოდი. საერთოდაც, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მისთვის რაიმეს თქმას ვერიდებოდი. უკვე ვგრძნობდი მისდამი სიძულვილი მეპარებოდა. ისიც გრძნობდა.

წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, რომ ძველი სამსახური იმაზე მეტად მომენატრებოდა, ვიდრე მისი დაკარგვის პირველ დღეებში. მენატრებოდა ფრენკი, მისი სიხარული და კეთილი სალამი, როცა დილით დამინახავდა ხოლმე. მენატრებოდნენ კლიენტები, მათთან

ძალდაუტანებელი საუბარი და სიკეთით სავსე ტალღები ჩემ გარშემო. ეს სახლი კი, მიუხედავად მისი სილამაზისა და ფუფუნებისა, თავისი დაძაბული მდუმარებით, მორგს უფრო მაგონებდა. „ექვსი თვე!“ ვუმეორებდი ჩემს თავს განუწყვეტლივ, როცა აქ ყოფნა აუტანელი გახდებოდა. „ექვსი თვე!“

ხუთშაბათიც დადგა. დილით, ჩვეულებისამებრ, უილისთვის დილის მაღალკალორიულ სასმელს ვამზადებდი, როცა ჰოლიდან მისის ტრეინორის ხმა შემომესმა. სხვა ადამიანების ხმაც ისმოდა. კოვზი ხელში გამიშეშდა და ერთ ადგილას გავჩერდი. ახაგალზრდა ქალის ხმას ვარჩევდი. მერე კაცისაც გავიგე.

მისის ტრეინორი დერეფანში შემოვიდა, სადაც სამზარეულოს კარიც გამოდიოდა. თავი ისე დავიჭირე, ვითომ ძალიან დაკავებული ვიყავი და ჭურჭელი ავახმაურე.

– რძე და წყალია? სამოცი ორმოცზე შეფარდებას ხომ იცავ? – მკითხა მისის ტრეინორმა და სასმელს ჩახედა.

– დიახ. დღეს მარწყვით ვუმზადებ.

– უილის მეგობრები მოვიდნენ მის სანახავად. ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ...

– აქაც უამრავი საქმე მაქვს, – ვუპასუხე მისის ტრეინორს. სინამდვილეში, ძალიანაც გამიხარდა, რომ შანსი მომეცა, ერთი საათით მაინც უილისგან თავი დამეღწია. სქელი წვენი უილისთვის გადმოვიღე და მისის ტრეინორს შევხედე.

– სტუმრები ყავას ხომ არ ინებებენ?

გაკვირვებულმა შემომხედა.

– დიახ, კარგი იქნებოდა. ყავა კარგი იქნება. იცით... მე ვფიქრობ, რომ...

ჩვეულებრივზე მეტად დაძაბული ჩანდა. თვალებს კორიდორისკენ, საიდანაც სტუმრების ჩუმი ხმა შემოდიოდა, მალ-მალე აპარებდა. ჩემთვის გასაგები იყო, რომ უილს სტუმრები კარს ხშირად არ უტალახებდნენ.

– მე... ალბათ, მარტოებს დავტოვებ, – კორიდორში ისევ გაიხედა, ფიქრებით სადღაც სხვაგან ქროდა, – რუპერტი. ეს რუპერტია. უილის ძველი მეგობარი სამსახურიდან. – მითხრა და უეცრად ჩემკენ შემოტრიალდა.

მომეჩვენა, რომ ეს სპონტანური ქცევა იყო. ძალიან დათრგუნული და განერვიულებული ჩანდა, უნდოდა, ფიქრები ვიღაცისთვის გაეზიარებინა, თუნდაც ეს მე ვყოფილიყავი.

– და ალისია... ისინი... ისინი ძალიან ახლოს იყვნენ. იყო დრო... ყავას თუ შესთავაზებთ, ძალიან კარგი იქნება. გმადლობთ, მის კლარკ.

* * *

წუთით შევყოვნდი, სანამ შევიდოდი. კარი თეძოთი შევაღე, რომ წონასწარობა შემენარჩუნებინა და ლანგარი, რომელიც ხელში მეჭირა, არ გამვარდნოდა.

– მისის ტრეინორმა მითხრა, რომ ყავა გესიამოვნებოდათ, – ვთქვი, როგორც კი შევედი და ლანგარი დაბალ მაგიდაზე დავდე.

უილის ფიალა მისი ეტლის სპეციალურ დამჭერში მოვათავსე, საწრუპი ისე დავუდე, რომ სურვილის შემთხვევაში თვითონ, დამოუკიდებლად მისწვდენოდა. ახლაღა შევათვალიერე მისი სტუმრები. ჯერ ქალს დავაკვირდი. გრძელი ფეხები ჰქონდა, ქერა თმა

და კარამელისფერი კანი. ისეთი ტიპის ქალი იყო, როგორების დანახვაზეც სულ ერთი კითხვა მებადება: ადამიანები ნამდვილად ერთი ბიოლოგიური სახეობის არსებები ვართ? ადამიანიბედაურის ჯიშისა იყო. ასეთ ქალებს ხანდახან შემთხვევით წავაწყდებოდი ხოლმე, როგორც წესი, როდესაც ტურისტული მარშრუტით მოძრაობდნენ და ციხე სიმაგრისკენ გზად „ბათერდ ბანში“ შემოივლიდნენ. ძვირადღირებული საბავშვო ბრენდების ტანსაცმელში გამოწყობილი შვილების თანხლებით შემოქროლდებოდნენ და ქმრებს თავნება, კაპრიზული ხმით ჰკითხავდნენ: „ჰარი, საყვარელო, ყავას ხომ არ მიირთმევ? ვკითხავ ლატე მაკიატოს მომზადება თუ იციან აქ.“ ესეც ჭეშმარიტად ქალი ლატე მაკიატო იყო. მთელმის პერსონას ფულის, ძალაუფლებისა და აღიარების სურნელი ასდიოდა და მისი ცხოვრებაც, ალბათ, პრიალა ჟურნალების ილუსტრაციებს ჰგავდა. უფრო ახლოდანაც შევხედე და უცბად გონება გამინათდა – ეს იყო ის ქალი, უილის თხილამურებიანი ფოტოდან. აქვე ისიც შევამჩნიე, რომ თავს ძალიან უხერხულად გრძნობდა.

უილს ლოყაზე აკოცა, მერე უკან დაიხია და ნაძალადევად გაიღიმა. გაკრეჭილბეწვიანი ტყავისგან შეკერილი ყავისფერი ჟილეტი ეცვა. მე რომ ასეთი ჟილეტი ჩამეცვა, თოვლის კაც იეტის დავემსგავსებოდი. ყელზე ღია ნაცრისფერი ქაშმირის შარფი მოეხვია და მის ბოლოებს აწვალებდა. მგონი, ვერ გადაეწყვიტა, მოეხსნა, თუ დაეტოვებინა.

– კარგად გამოიყურები, – უთხრა უილს, – მართლა. თმა მოგიზრდია.

უილს პასუხი არ გაუცია. უხმოდ შეჰყურებდა და ისეთი შეუვალი სახე ჰქონდა, როგორც არასდროს. მის მიმართ ერთგვარი მადლიერებით გავიმსჭვალე, რაკი დავრწმუნდი, რომ ნამდვილად არ ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვისაც ასეთი გამომეტყველებით უყურებდა ხოლმე.

– ვაჰ, ახალი ეტლი?! – მამაკაცმა უილის ეტლის საზურგეს ხელი დაუტყაპუნა, ნიკაპი მოკუმშა და თავი ისე დააქნია, თითქოს, ბოლო მოდელის სპორტულ მანქანას აფასებდა, – კარგი რამე ჩანს. როგორ ვითარდება ტექნოლოგიები.

არ ვიცოდი, რა მექნა. ერთხანს უძრავად ვიდექი და სხეულის სიმძიმე ერთი ფეხიდან მეორეზე გადამქონდა, სანამ სიჩუმეში უილის ხმა არ გაისმა.

– ლუისა, ცეცხლს შეშა შეუკეთეთ, თუ შეიძლება. მგონი, ცოტა აგრილდა.

პირველად მოხდა, რომ სახელით მომმართა.

– რა თქმა უნდა, – ვუპასუხე სწრაფად.

საჩხრეკით ნაკვერჩხალი გავასწორე და კალათში საჭირო ზომის ნაპობების ძებნა დავიწყე.

– აუტანლად ცივა გარეთ, – თქვა ქალმა, – აგუზგუზებული ცეცხლი ახლა ნამდვილი მისწრებაა.

სანთურას კარი გავაღე და შევუკეთე.

– აქ კიდევ უფრო ცივა, ვიდრე ლონდონში, – დაამატა ქალმა.

– ნამდვილად ეგრეა, – დაეთანხმა მამაკაცი.

– მეც ვფიქრობ სახლში მსგავსი ღუმელი ხომ არ დავდგა. ბუხარზე მეტად ათბობს. – ალისია დაიხარა და ისე დაკვირვებით დაუწყო სანთურას ყურება, თითქოს მსგავსი რამ ცხოვრებაში არ ენახა.

– ჰო, მეც გამიგია, – კვლავ დაეთანხმა მამაკაცი.

– უნდა შევათვალიერო, იმ საქმეს რომ მორჩები, მერე... – უცებ შეცბა და მცირე პაუზის მერე დაამატა, – გემრიელი ყავაა.

– აბა... როგორ მიდის შენი საქმეები, უილ? – მოჩვენებითი მხიარულებით იკითხა მამაკაცმა.

– რა გითხრა, მოსაწყენად არ მცალია, ისე ვერთობი.

– ფიზიოთერაპიასა და ამბებს ხომ აქცევ ყურადღებას? პროგრესი არის?

– არა მგონია, თხილამურებით სრიალში გაგეჯიბრო, რუპერტ, – უპასუხა უილმა სარკასტული ტონით.

კინაღამ გამეღიმა. აი, ასეთ უილს ვცნობდი მეც. დაყრილი ნაცარი მოვასუფთავე. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ყველა მე მიყურებდა. სიჩუმე ჩამოწვა. ნეტავ, რამე ხომ არ მიჩანსმეთქი, ძლივს შევიკავე თავი, არ შემემოწმებინა.

– კარგი, – თქვა უილმა ბოლოს და ბოლოს, – რით დავიმსახურე ეს პატივი, რომ მესტუმრეთ. უკვე... რვა თვე გავიდა, არ შევხვედრივართ.

– ოჰ, ვიცი, ვიცი. მაპატიე... ისეთი დაკავებული ვარ, ვერ წარმოიდგენ. ახალი სამსახური მაქვს ჩელსიში. საშა გოლდსტეინის ბუტიკის მენეჯერი ვარ. ხომ გახსოვს საშა? შაბათობითაც კი მიწევს მუშაობა. პირიქით, მაგ დღეს უფრო დაკავებულები ვართ ხოლმე. ძლივს ვახერხებ თავისუფალი რამდენიმე საათის გამონახვას, – ალისიას ხმა აუკანკალდა, – რამდენჯერმე დაგირეკე. გითხრა დედაშენმა?

– ლიუინსში სრული სიგიჟე ტრიალებს. შენც ხომ კარგად იცი, როგორც ხდება ხოლმე, უილ. ახალი პარტნიორი გვყავს. ახალგაზრდა ტიპია ნიუ-იორკიდან. ბეინსი. დენ ბეინსი. ერთმანეთს შეხვედრიხართ?

– არა.

– ძმაო, ნამდვილი მანიაკია, მგონი ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობს და სხვებისგანაც იმავეს მოითხოვს, – ხმაზე შეატყობდით, რომ საუბარი რუპერტისთვის უფრო კომფორტული მიმართულებით წარიმართა და შვება იგრძნო, – ხომ იცი, ამ ამერიკელებმა როგორ იციან. არც შესვენების დროს დაგანებებენ თავს, არც იუმორის გრძნობა აქვთ. გეუბნები, უილ, ყველაფერი შეიცვალა.

– მართლა?

– ჰო. სამსახური უპირველეს ყოვლისა. ხანდახან ისეთი შეგრძნება მიჩნდება, რომ სკამს შევეზარდე.

ასე მეგონა, რომ ოთახში სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. რომელიღაცამ ჩაახველა.

ავდექი და ხელები ჯინსებზე შევიწმინდე.

– გავალ და შეშას შემოვიტან, – ჩავიბურტყუნე ჩუმად უილის მისამართით. კალათი ავიღე და გამოვედი.

გარეთ ყინავდა, მაგრამ ხან რას მივედე და ხან რას. ოღონდ კი დრო მომეკლა, სათითაოდ ვარჩევდი შეშის თითოეულ ნაპობს. დიდი დილემის წინაშე ვიდექი, უნდა ამერჩია, არათითის მოყინვა და დაკარგვა მერჩივნა, თუ უკან, ოთახში დაბრუნება. მაგრამ ძალიან შემცივდა, საჩვენებელმა თითმა, რომელიც კერვისას ძალიან მადგებოდა, პირველმა

დაიწყო გალურჯება, ამიტომ დავნებდი. ოთახს როგორც კი მივუახლოვდი, ქალის აღელვებული ხმა გავიგე, რომელიც ოდნავ შეღებული კარიდან ჩემამდე აღწევდა.

– უილ, ჩვენ აქ სხვა რამის გამოც მოვედით. შენთვის... ახალი ამბავი გვაქვს.

კართან შევჩერდი. კალათი ხელიდან ხელში გადამქონდა და ვერ მომეფიქრებინა, როგორ მოვქცეულიყავი.

– მე ვიფიქრე, რომ... უფრო სწორად, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ასე აჯობებდა... სწორი იქნებოდა, რომ შენთვის გვეთქვა... მაგრამ.. მოკლედ, ასეთი ამბავი გვაქვს. მე და რუპერტი დაქორწინებას ვაპირებთ.

გავქვავდი. ვფიქრობდი, ისე როგორ გამოვბრუნებულიყავი, რომ არავის გაეგო.

– მესმის, რომ შენთვის ამის მოსმენა, ალბათ, ძნელია და შოკში ხარ. ჩემთვისაც შოკი იყო. ჩვენ... იცი, ჩვენ შორის დიდხანს არაფერი ყოფილა მას შემდეგ, რაც...

შეშის სიმძიმისგან მკლავები მტკიოდა. კალათს დავხედე. ვფიქრობდი, რა მექნა.

– მე და შენ ხომ... ჩვენ...

ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

– უილ, გთხოვ, გვითხარი რამე.

– გილოცავთ, – თქვა, როგორც იქნა.

– ვიცი, ახლა რასაც ფიქრობ. მაგრამ არცერთს ეს აზრადაც არ გვქონია. მართლა დიდხანს მხოლოდ მეგობრები ვიყავით. მეგობრები, რომლებიც შენზე ღელავდნენ და ნერვიულობდნენ. შენი ავარიის შემდეგ... რუპერტი რომ არ მყოლოდა გვერდით, არ ვიცი, რა მეშველებოდა...

– რამხელა დიდსულოვნებაა.

– გთხოვ, უილ, ასე ნუ ლაპარაკობ. ეს ძალიან მტკივნეულია. ძალიან მეშინოდა შენთვის ამის თქმა. ორივეს გვეშინოდა.

– ეგ აშკარაა, – ცივად მიუგდო უილმა.

აქ რუპერტმაც ამოიღო ხმა.

– ეს იმიტომ გითხარით, რომ შენ გამო ორივე განვიცდით და შენზე ვზრუნავთ. არ გვინდოდა, რომ ეს ვინმე სხვისგან გაგეგო. მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ამას უნდა ხვდებოდე. ორი წელი გავიდა, ბოლოს და ბოლოს.

ისევ სიჩუმე. როგორც იქნა, მივხვდი, რომ მეტის მოსმენა აღარ მინდოდა და ნელა-ნელა, ფრთხილად უკან დახევა დავიწყე, სუნთქვა მეკვროდა. მაგრამ რუპერტი ხმას თანდათან უწევდა და მაინც მესმოდა.

– კარგი რა, ძმაო. მესმის, რომ შენთვის ძნელია... ეს ყველაფერი. მაგრამ თუ ლისასთვის კარგი გინდა, მისი ბედნიერება უნდა გაგიხარდეს.

– უილ, გთხოვ, თქვი რამე.

– გილოცავთ, – თქვა უილმა კიდევ ერთხელ, – დარწმუნებული ვარ, რომ ორივეს ბედნიერი ცხოვრება გექნებათ.

ალისიამ რაღაც გააპროტესტა, სიტყვები ვერ გავარჩიე. მაგრამ მალევე შეაწყვეტინა რუპერტმა.

– წამოდი, ლისა. დროა, წავიდეთ. უილ, შენთან დალოცვის მისაღებად არ მოვსულვართ. ეთიკისა და ზრდილობის საკითხი იყო. ლისა ფიქრობდა, უფრო სწორად, ჩვენ ორივე ვფიქრობდით, რომ შენ ეს უნდა გცოდნოდა. ვწუხვარ, ძმაო. მე... მე იმედი მაქვს, რომ შენ კარგად იქნები. როცა ყველაფერი.. ნუ... როცა ცოტა დალაგდები, შემეხმიანე.

ნაბიჯების ხმა გავიგე. კალათს ისევ ხელი დავავლე, თითქოს, იმ წუთას შემოვედი. კორიდორში მათი ხმა გავიგე და ალისიაც დავინახე. თვალები ჩაწითლებოდა, თითქოს ტირილს აპირებსო.

– შეიძლება სააბაზანოში შევიდე? – მკითხა გაბზარული ხმით.

თითით უსიტყვოდ ვანიშნე შესაბამის კარზე. დაკვირვებით შემომხედა. ეტყობა სახეზე მეწერა, რასაც ვფიქრობდი. გრძნობების დამალვა მაინცდამაინც არასდროს მეხერხებოდა.

– ვიცი, რასაც ფიქრობთ, – მითხრა პაუზის შემდეგ. – მაგრამ მე ყველაფერი ვცადე. მართლა ვცადე. თვეების განმავლობაში უშედეგოდ... ყოველ ჯერზე ხელს მკრავდა, – ნიკაპი ჩამოუგრძელდა, სახე აერია, – არ უნდოდა, რომ მის გვერდით ვყოფილიყავი. ეს აშკარად დამანახა.

ჩემგან რაღაცის მოსმენას ელოდა.

– ეს არ არის ჩემი საქმე, – დიდხანს არ მილოდინებია.

ერთმანეთის პირსპირ ვიდექით.

– იცით, ადამიანს მხოლოდ მაშინ დაეხმარები, თუ მას თავად უნდა, რომ დაეხმარო, – მითხრა და წავიდა.

რამდენიმე წუთით დავიცადე. მათი მანქანის ხმას ვუსმენდი, რომელიც თანდათან გვშორდებოდა. მერე სამზარეულოში შევედი. ერთხანს უძრავად ვიდექი. მერე ჩაიდნით წყალი დავდგი, არადა, სულ არ მინდოდა ჩაი. ჟურნალი ავიღე, მაგრამ უკვე წაკითხული მქონდა. საბოლოოდ, კორიდორში დავბრუნდი. შეშით სავსე კალათა ავიღე და მისაღებ ოთახში შევიძურწე. კარზე ოდნავ დავაკაკუნე, რომ უილი მიმხვდარიყო, შევდიოდი.

– მინდოდა მეკითხა, ხომ არ გინდათ, რომ... – დავიწყე და იქვე მივხვდი, ოთახში არავინ იყო. საერთოდ არავინ. მერე მტვრევის ხმა გავიგე. კორიდორში გამოვვარდი და კიდევ ერთი ასეთი ხმა გაისმა, რომელსაც შუშის ლეწვის ხმაც მოჰყვა. ხმები უილის საწოლი ოთახიდან მოდიოდა. „ღმერთო ჩემო, ღმერთო, ოღონდ ახლა დაჭრილი და სისხლიანი არ დამხვდეს“, – პანიკაში ჩავვარდი. მისის ტრეინორის გაფრთხილება გამახსენდა – თხუთმეტ წუთზე მეტი ხნით უილის მარტო დატოვება არ შეიძლებაო. თხუთმეტ წუთზე მეტი ხანი ნამდვილად გასული იყო.

კორიდორში კისრისტეხით გავიქეცი. მისი ოთახის კართან მივსრიალდი, ხელები კარის ჩარჩოს ჩავჭიდე და შევიხედე. უილი შუა ოთახში გაჩერებულიყო, გაჯგიმული და გაშეშებული თავის ეტლში. ეტლის ხელსადებებზე ტროსტი გადაედო, რომელიც ოდნავ ირხეოდა, რადგან მარცხენა მხრიდან ჰაერში იყო გადმოკიდებული. თაროებზე ერთი ფოტოც აღარ იდგა. ძვირადღირებული ჩარჩოები ძირს ნამტვრევებად ეყარა. ხალიჩაზე მინის ნამსხვრევები ბრჭყვიალებდა. კალთაც სავსე ჰქონდა ხის ჩარჩოებითა და შუშის ნაწილებით. ბრძოლის არენას თვალი მოვავლე და გული საგულეში ჩამიდგა, რაკი

დავრწმუნდი, რომ უილი არ დაშავებულიყო. მძიმედ სუნთქავდა, რაც ჩაიდინა, მისგან მცირე ძალისხმევას არ მოითხოვდა.

ეტლი ჩემკენ მოატრიალა. ქვეშ მინის ნამსხვრევებმა გაიტკაცუნა. ჩვენი მზერა გადაიკვეთა. თვალებში უსასრულო სიცარიელე ჰქონდა. აბა, გამებედა და საპასუხოდ თანაგრძნობა გამომეხატა.

მუხლებზე დავხედე და მერე გარშემო, იატაკი მოვათვალიერე. თვალში მისი და ალისიას ფოტო მომხვდა. ქალის სახეს ვერცხლისფერი ჩარჩო ფარავდა და ზემოდან ნატეხები ეყარა. ნერწყვი გადავყლაპე, ფოტოს მზერა მოვაშორე და მას შევხედე. ეს რამდენიმე წამი საუკუნოდ გაგრძელდა.

– საბურავი არ დაგეშვათ, – ვუთხარი და თავით ეტლზე ვანიშნე, – თორემ „დანკრატი“ საიდან მოგიტანოთ.

თვალები გაუფართოვდა. ერთი წუთით ვიფიქრე, რომ ახლა მე დამატეხავდა თავზე მთელ რისხვას. მაგრამ სახეზე ძლივს შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა.

– ადგილზე დარჩით. მტვერსასრუტს მოვიტან. – ვუთხარი და დერეფანში გავედი. ზურგით როგორც კი შევტრიალდი, გავიგე, როგორ დაეცა ტროსტი იატაკზე და მომეჩვენა, რომ მაპატიეთო, ჩაიჩურჩულა.

* * *

„ქინგს ჰედი“ ხუთშაბათ საღამოს ყოველთვის ხალხით იყო გაძეძგილი. ბართან ტევა საერთოდ არ იყო. პატრიკსა და მის ნაცნობს შორის, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, რუტერი ერქვა, ძლივს ჩავეკვეხე. დროდადრო ავხედავდი ხოლმე ცხენის აღკაზმულობის ელემენტებს, დეკორაციად რომ გამოეყენებინათ და ჩემ თავზემოთ მუხის ხის ძელებზე ეკიდა. კედლები ციხესიმაგრის ფოტოებით იყო გაფორმებული. თავს ვიკატუნებდი, თითქოს, გაცხოველებულ ინტერესს ვიჩენდი, რაზე ლაპარაკობდნენ ჩემ გარშემო. თუმცა, სხვა სასაუბრო თემა პატრიკსა და მის მეგობრებს, გარდა კანქვეშ ცხიმის მოლეკულების მოცულობისა და საკვებში ნახშირწყლების პროცენტული რაოდენობისა, არ ჰქონდათ. ხშირად მიფიქრია, რომ „ჰაილსბერის ტრიატლონის ტიტანების“ შეკრებები ყოველ ორ კვირაში ერთხელ, ბარის მეპატრონისათვის ღამის ნამდვილი კოშმარი იქნებოდა. ალკოჰოლს მარტო მე ვსვამდი და ჭამითაც მე ვჭამდი, ისიც მხოლოდ ჩიპსებს. დანარჩენები მინერალურ წყალზე ისხდნენ, დიდი-დიდი დიეტური კოკა-კოლა აეღოთ და მაშინაც დამატკბობელი საშუალებების პროცენტებს ითვლიდნენ სასმელში. თუ ხანდახან საჭმელს შეუკვეთდნენ, სალათს, მაშინაც ოფიციანტს სისხლს უშრობდნენ – სალათის სოუსი უნდა ყოფილიყო სრულიად უცხიმო ინგრედიენტებისგან მომზადებული და ქათმის ხორცს არავითარ შემთხვევაში უნდა შეჰყოლოდა კანი. მე ჯიუტად ვუკვეთავდი ჩიპსებს მარტო იმიტომ, რომ ამათზე მეცინა – ვითომ სულ არ უნდოდათ.

ვერ ვიტყვი, რომ ეს შეკრებები ოდნავ მაინც მომწონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთელი დღით მეც დაკავებული ვიყავი და პატრიკიც შეუსვენებლად ვარჯიშობდა, ეს იყო თითქმის ერთადერთი გზა, რომ ერთმანეთი ნამდვილად გვენახა. ჩემ გვერდით იჯდა, დაკუნთულ ბარძაყებზე შორტები ასკდებოდა, არადა გარეთ ყინავდა. კლუბის

წევრებისთვის ღირსების საკითხი იყო, რაც შეიძლება ცოტა ტანსაცმელი სცმოდათ. მამაკაცებს თითის სიმსხო ძარღვები დაჰბერვოდათ და თავს იწონებდნენ ძვირადღირებული, დაუმარცხებელი სპორტული ტანსაცმლითა და აქსესუარებით, რომელთაც რაღაც საიდუმლო „მომაკვდინებელი“ მახასიათებლები ჰქონდა და უკიდურესი სიმსუბუქით გამოირჩეოდნენ. ერთმანეთს საომარი დანადგარების სახელებს ეძახდნენ, მაგალითად, სკადს. კუნთებს ჭიმავდნენ, ათამაშებდნენ, ტრავმებს აჯიბრებდნენ და დაუღალავად აქებდნენ ერთმანეთს. გოგოები უმაკიაჟოდ იყვნენ, ყინვაში უსასრულო სირბილისა და ვარჯიშისაგან კანი ასწითლებოდათ. ამრეზით მიყურებდნენ და ხანდახან, ცოტა არ იყოს და გაოგნებითაც, ალბათ, ამ დროს გონებაში ცხიმის რაოდენობას ითვლიდნენ ჩემს სხეულზე და ასკვნიდნენ, რომ ეს წარმოუდგენლად მიუღებელი რამ იყო.

– საშინელება იყო, – ვუთხარი პატრიკს და თან გულში ვფიქრობდი, როგორ შემეკვეთა ჩიზქეიქი მათი ზიზღიანი მზერის გარეშე, – წარმოიდგინე, მისი უახლოესი ძმაკაცი და შეყვარებული ერთად.

– ვერ გაამტყუნებ, – მიპასუხა პატრიკმა, – აი, დაფიქრდი... მე რომ კისერს ქვემოთ მოწყვეტილი ვიყო, ჩემთან იქნებოდი?

– რა თქმა უნდა, ვიქნებოდი.

– არ არსებობს. მე თვითონაც არ მენდომებოდა.

– მაგრამ მე მაინც არ დაგტოვებდი.

– წინააღმდეგი ვიქნებოდი და როგორ? არ დავუშვებდი, ვიღაც ჩემთან სიბრალულის გამო გაჩერებულიყო.

– რა შუაშია სიბრალული? შენ მაინც იგივე ადამიანი იქნებოდი.

– არ ვიქნებოდი. იგივე ადამიანი ვეღარ ვიქნებოდი, – ცხვირი შეეჭმუხნა, – სიცოცხლეც აღარ მენდომებოდა. ყველა წვრილმანში სხვისი დახმარება დამჭირდებოდა. ღმერთო ჩემო, ტრაკი ვიღაც უცხო ტიპს როგორ უნდა აწმენდინო. წარმოიდგინე... რამდენი რამ აღარ შეგიძლია... – თავი გადააქნია, – აღარც სირბილი, აღარც ველოსიპედი, – უცებ შეშფოთებულმა შემომხედა, თითქოს, რაღაცას მიხვდაო, – აღარც სექსი.

– სექსი როგორ არ გექნებოდა. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ქალი ზემოდან უნდა იყოს.

– მთლად უარესი.

– სასაცილო ხარ.

– თან თუ კისერს ქვემოთ პარალიზებული ხარ.. ალბათ... ალბათ, ინსტრუმენტი ისე არ გიმუშავებს, როგორც საჭიროა.

ალისია გამახსენდა... რომ მეუბნებოდა, ყველაფერი ვცადე, მაგრამ თვეების განმავლობაში არაფერი გამომივიდაო.

– დარწმუნებული ვარ, ვიღაცებს ძალიანაც უმუშავებთ. ნებისმიერ შემთხვევაში საამისოდ რამე საშუალებები მოიძებნება... თუ საკითხს შემოქმედებითად მიუდგები.

პატრიკმა ჩაიცინა და წყლის ჭიქა აიღო.

– ხვალ პირადად ჰკითხე. ხომ მეუბნებოდი, საზიზღარი ადამიანიაო. იქნებ ყოველთვის ასეთი იყო, ტრავმის მიღებამდეც? იქნებ, სწორედ ამიტომ მიატოვა შეყვარებულმა. ამაზე არ გიფიქრია?

– არ ვიცი... – ვთქვი დაფიქრებით და მათი ერთობლივი ფოტო გამახსენდა, – ფოტოზე ისეთი ბედნიერები ჩანდნენ. ერთად თავს, ალბათ, კარგად გრძნობდნენ.

მაგრამ აქ ისევ ჩავფიქრდი. ფოტო რას ამტკიცებდა? სახლში მეც მქონდა ჩარჩოში ჩასმული ჩემი და პატრიკის ერთი ფოტო, სადაც ისეთი სახით შევცქეროდი პატრიკს, თითქოს, ის იყო ცეცხლმოკიდებული შენობიდან გამოვეყვანე და სიკვდილს გადავერჩინე. არადა, სინამდვილეში, ფოტოს გადაღების მომენტში, ხისთავიანი ხარ-მეთქი, ვუთხარი და პასუხად მწარედ შემაგინა. პატრიკს უილის ბედი უკვე აღარ აინტერესებდა.

– ჯიმ... ჯიმ, ახალი სუპერმსუბუქი ველოსიპედები რომ გამოუშვეს, ნახე? მოგეწონა? თემის შეცვლა არ გამიპროტესტებია. ისევ ალისიას ნათქვამზე ვფიქრობდი. ძნელი წარმოსადგენი არ იყო, როგორ მოექცეოდა უილი და ხელს ჰკრავდა. მაგრამ, როცა ვიღაც მართლა გიყვარს, განა შენი მოვალეობა არაა, რომ მის გვერდით იყო? დაეხმარო, როცა დეპრესიაში იქნება... ჭირსა და ლხინში...

თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რომ ჩემი დამსაქმებლის პირად ცხოვრებას ასე განვიხილავდი. თან მაშინ, როცა, ალბათ, ყველასგან ისედაც ამის მოთმენა უწევდა. ეს ხომ შეუძლებელი იყო, რომ ადამიანებს მისი ცხოვრების ინტიმური დეტალების განსჯა არ დაეწყოთ. პატრიკმა მუჯლუგუნი წამკრა.

– რას იტყვი ჩემს იდეაზე?

– რომელ იდეაზე?

– ტრიატლონში მონაწილეობაზე. „ექსტრემალურ ვიკინგებში“. სამოცი მილი ველოსიპედით, ოცდაათი მილი – სირბილი და ცურვა ჩრდილოეთის ზღვის გაყინულ წყლებში.

„ექსტრემალურ ვიკინგებს“ მოწიწებით ახსენებდნენ. ვისაც აქ მონაწილეობა მიეღო, ტრავმებს ისე ატარებდნენ და ისე იხსენებდნენ შეჯიბრებს, როგორც განსაკუთრებულად სასტიკი ბრძოლების ამბებს ჰყვებიან ხოლმე ომის დამსახურებული ვეტერანები. პატრიკი აღტაცებისგან ტუჩებს იჭამდა. ჩემს შეყვარებულს დაკვირვებით შევხედე და უცებ გამიელვა, რომ უცხოპლანეტელს მაგონებდა. გულის სიღრმეში მერჩივნა, რომ ტელემარკეტინგში ემუშავა და ბენზინ-გასამართი სადგურების მაღაზიებიდან შოკოლადებით ჯიბეგამოტენილი გამოსულიყო.

– ამას მართლა აპირებ?

– რატომაც არა? ასეთ ფორმაში აქამდე ჯერ არ ვყოფილვარ.

თვალწინ გამიელვა ყველა დამატებითმა ვარჯიშმა, დაუსრულებელი საუბრების პერსპექტივამ წონებსა და დისტანციებზე, გარშემოწერილობებსა და ამტანობაზე. პატრიკის ყურადღების მიპყრობა კიდევ უფრო გამიჭირდებოდა.

– ჩემთან ერთად ივარჯიშე, – შემომთავაზა, მაგრამ ორივემ კარგად ვიცოდით, რომ თავისი სიტყვების თვითონაც არ სჯეროდა.

– არა, იყოს, გმადლობთ, – ვუპასუხე მე, – მაგრამ შენ, რა თქმა უნდა, შენი უნდა სცადო, – ვთქვი და უყოყმანოდ შევუკვეთე ჩიზქეიქი.

* * *

რატომღაც ჩავთვალე, რომ წინა დღის მოვლენები ჩემსა და უილს შორის ყინულს გაალღვობდა, მაგრამ ძალიან ვცდებოდი.

სახლში როგორც კი შევედი, უილს ფართოდ გავუღიმე და ხელის აწევით მივესალმე. არც კი შემოუხედავს, უძრავად იყურებოდა ფანჯრიდან.

– არ აქვს კარგი დღე, – მითხრა ნათანმა, როცა პალტოს იცვამდა.

მოქურუხებული და უღიმღამო დილა იდგა. კოკისპირული წვიმა ფანჯრებს ეშხეფებოდა და წარმოუდგენელი ჩანდა, ოდესმე მზეს თუ კიდევ ვიხილავდით. ასეთ დღეებში მეც კი მეკარგებოდა ხოლმე სიცოცხლის ხალისი. ასე რომ, სულაც არ გამკვირვებია, რომ უილი ჩვეულებრივზე უხასიათოდ იყო. დილის გრაფიკს კეთილსინდისიერად გავყევი და საკუთარ თავს ვუმეორებდი, რომ ამაში განსაკუთრებული არაფერი იყო. რა აუცილებელია, რომ დამქირავებელი გიყვარდეს? ადამიანების აბსოლუტურ უმეტესობას ნამდვილად არ უყვარს თავისი დამსაქმებელი. ფოტოები ისევ ქვედა უჯრაში ეწყო, სადაც წინა დღით დავაბინავე. სხვა საქმეებს რომ მოვრჩი, ძირს ფეხმორთხმით დავჯექი, უჯრიდან ამოვიღე და დახარისხება დავიწყე. ცალკე ვალაგებდი იმ ჩარჩოებს, რომელთა შეკეთებაც შემეძლო. სხვათა შორის, ჩხირკედელაობა მეხერხება. თანაც, დროის გასაყვანად მშვენიერი შესაძლებლობა იყო.

დაახლოებით ათი წუთი ამ მდგომარეობაში ვიყავი, როცა საქმიანობა ელექტრო ეტლის მოკლე წრიპინმა შემაწყვეტინა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ უილი მიახლოვდებოდა. შემოსასვლელში იდგა და მიყურებდა. თვალები ჩაშავებოდა. ნათანმა მითხრა, რომ ზოგჯერ ღამით დაძინებას საერთოდ ვერ ახერხებდა. წარმოდგენაც კი მიჭირდა, რას გრძნობდა, როცა საწოლში გაუნძრევლად იწვა, ვერ იძინებდა, ვერც დგებოდა, შავბნელი ფიქრები უტრიალებდა და საათებს ითვლიდა გათენებამდე.

– იქნებ რამდენიმე გაკეთდეს-მეთქი, ვიფიქრე, – ვუთხარი უილს და ერთ-ერთი ფოტო, რომელზეც ბანჯით ხტებოდა, ხელში ავიღე. ვცადე მხიარული გამომეტყველება მიმეღო. „გვერდით ენერგიული, პოზიტიური ადამიანი სჭირდება“, – ვფიქრობდი ჩემთვის.

– რატომ?

თვალები დავახამხამე.

– უბრალოდ... ზოგიერთი ისევ გამოდგება. ხის წებო ვიყიდე და მოვიტანე. თუ გინდათ, შევაკეთებ. თუ გინდათ, შესვენებაზე ქალაქში შევირბენ და ახალ ჩარჩოებს მოვიტან, ან თუ გინდათ, ერთად წავიდეთ... თუ მოისურვებთ...

– ვინ დაგავალა ჩარჩოებზე ზრუნვა?

თვალები ბრაზით უელავდა.

„ცუდად არის ჩემი საქმე“, – გავიფიქრე.

– მე... მე მინდოდა, რომ დაგხმარებოდით.

– გინდოდათ, რომ ის გადაგეკეთებინათ, რაც მე გავაკეთე.

– მე... მე...

– იცით რა, ლუისა?! ძალიან დამავალებდით, მარტო თქვენ არა, ერთხელ მაინც, ვინმეს იმაზე გეფიქრათ, მე რა მინდა. ფოტოები შემთხვევით არ დამილეწავს. ეს არც აფექტური მდგომარეობის შედეგი იყო. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ არ მინდა ამ ფოტოებს ვხედავდე. ფეხზე წამოვდექი.

– უკაცრავად, მე არც მიფიქრია, რომ...

– რა თქმა უნდა, იფიქრეთ, რომ თქვენ უკეთ იცოდით. „მოდი, ახლა ამ ფოტოებს ისევ დავალაგებ, რომ ამ საცოდავმა ინვალიდმა ფოტოების ყურებით მაინც გაიხაროს“ – აი, რა იფიქრეთ. არ მჭირდება, რომ ეს უბადრუკი ფოტოები ყოველ წუთს თვალში მეჩხირებოდეს, როცა საწოლში გაუნძრევლად ვწევარ, სანამ ვინმე მომაკითხავს და ამაყენებს. გასაგებია? დავიდა თქვენს ტვინამდე?

ნერწყვი გადავყლაპე და თითქმის ჩურჩულით ვთქვი:

– იმ ფოტოს შეკეთებას, ალისიასთან ერთად რომ ხართ, არც ვაპირებდი. ეგეთი სულელიც არ ვარ... მე ვიფიქრე, რომ დროთა განმავლობაში, შეიძლება გეფიქრათ, რომ...

– ღმერთო ჩემო!.. – ზურგი შემაქცია და მჭახე ხმით წამოიძახა, – დამდეთ პატივი და ფსიქოთერაპიის სეანსს ნუ ჩამიტარებთ. წადით და ისევ თქვენი სულელური ჟურნალები იკითხეთ, თუ რასაც აკეთებთ ხოლმე, როცა ჩაის არ ამზადებთ.

მისმა სიტყვებმა გამაცეცხლა. ვიწრო გასასვლელში ეტლით მანევრირებდა, რომ დერეფანში გასულიყო. სანამ მოვასწრებდი გააზრებას, რის თქმას ვაპირებდი, მანამდე მივაძახე:

– სულ არაა აუცილებელი, რომ ასე პროჭულად იქცეოდეთ.

ჩემი სიტყვები სიჩუმეში გონგის შემოკვრას ჰგავდა. ეტლი გაჩერდა. დიდი პაუზა იყო. მერე ძალიან ნელა მოტრიალდა, რომ სახეზე შემოეხედა. ხელის მტევანი ეტლის მართვის სახელურზე ედო.

– რა თქვით?

თვალებში შევხედე. საკუთარი გულისცემა მესმოდა.

– თქვენი მეგობრები ნაბიჭვრულად მოგექცნენ. კარგი. ვის არ მოსვლია. ალბათ, ასეთ შეფასებას იმსახურებენ. მაგრამ მე აქ დღიდან დღემდე იმას ვცდილობ, რომ ყველაფერი გავაკეთო, რაც შემიძლია. ასე რომ, მადლობელი დაგრჩებით, თუ სიცოცხლეს მეც ისევე არ გამიმწარებდით, როგორც ყველას, ვინც თქვენ გარშემოა.

უილს თვალები გაუფართოვდა. წუთები გავიდა, სანამ რამეს მიპასუხებდა.

– მე თქვენ აქ არ მჭირდებით.

– მე თქვენ არ აგიყვანივართ სამსახურში. დედათქვენმა დამიქირავა. და თუ ის თავად არ მეტყვის, რომ ჩემი დანახვა აღარ უნდა, ადგილზე ვრჩები. იმიტომ კი არა, რომ თქვენი დარდი მაქვს, ან ეს საზიზღარი სამუშაო მომწონს, ან თქვენი ცხოვრების შეცვლასა და გაუმჯობესებაზე ვოცნებობ, არამედ იმიტომ, რომ ფული მჭირდება. გესმით თქვენ? ფული მჭირდება.

უილის გამომეტყველება დიდად არ შეცვლილა, მაგრამ მომეჩვენა, რომ გაოგნებული იყო. ასეთ საუბარს ნამდვილად არ იქნებოდა მიჩვეული. დარწმუნებული ვარ, იშვიათად თუ გაბედავდა ვინმე, რომ მისთვის წინააღმდეგობა გაეწია.

„ჯანდაბა, ახლა კი ნამდვილად დამერხა“, – ვიფიქრე ჩემთვის, როცა ემოციებმა დაცხრობა დაიწყო და მივხვდი, რა შარში გავყავი თავი.

მაგრამ უილი ცოტა ხანს უსიტყვოდ მიყურებდა და როცა მზერა არ ავარიდე, ღრმად ამოისუნთქა, თითქოს, რაღაც ძალიან უსიამოვნო უნდა თქვასო.

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა და ეტლი შეაბრუნა, – უბრალოდ, ფოტოები ქვედა უჯრაში ჩაალაგეთ, კარგი? ყველა.

ეტლმა დაბალ ხმაზე დაიწრიპინა და გამშორდა.

V

თითქოს, ვიღაცამ კატაპულტით ამომტყორცნა და ახალ რეალობაში ამოვყავი თავი. სხვა ადამიანის ცხოვრებაში ისეთი სისწრაფით შევიჭერი, თითქოს უცხო სახლის ფანჯარაზე გარედან ვიყავი აკრული. ასეთ დროს ყოველთვის იძულებული ხდები გადაიაზრო, ვინ ხარ ან როგორ აღგიქვამენ სხვები.

ჩემი მშობლებისთვის დროის ამ მოკლე, ოთხკვირიან ინტერვალში, ოდნავ უფრო საინტერესო გავხდი. მე ახლა დამაკავშირებელი რგოლი ვიყავი სრულიად სხვა სამყაროსთან. განსაკუთრებით დედაჩემი მისვამდა ყოველდღიურად უამრავ კითხვას გრანტაჰაუსის და ამ სახლში არსებული ჩვეულებების შესახებ. ამას იმ ზოოლოგის მანერით აკეთებდა, მეცნიერული მეთოდოლოგიით რომ შეისწავლის აქამდე უცნობ არსებასა და მის სადგომს. „ჭამის დროს მისის ტრეინორი ყოველთვის ნაჭრის ხელსახოცებს იყენებს?“, „მტვერსასრუტით სახლს ჩვენსავით ყოველდღე ასუფთავებენ?“, „კარტოფილს როგორ ამზადებენ და რასთან ერთად მიირთმევენ?“ – ბოლო არ უჩანდა მის კითხვებს.

დილაობით სამსახურში მკაცრი დირექტივებით მიშვებდა, რომ დამედგინა, რა ბრენდის ტუალეტის ქაღალდს იყენებდნენ ტრეინორები ან თეთრეული, რომელსაც ხმარობდნენ, ნაწილობრივ პოლიესტერსაც შეიცავდა, თუ მთლიანად ბამბის იყო. ძალიან იმედგაცრუებული რჩებოდა, როცა მსგავს დეტალებს არ ვაკვირდებოდი და ვერ ვიმახსოვრებდი. დედაჩემი გულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, რომ მაღალი საზოგადოების ხალხი, სინამდვილეში, ღორებივით ცხოვრობდა. ეს მას შემდეგ, რაც ექვსი წლის ასაკში მოვუყევი ჩემი სკოლელისა და დედამისის შესახებ, რომელიც თავიანთ სახლში თამაშს გვიკრძალავდა, „მტვრის ბუღი რომ არ დაგვეყენებინა“.

როდესაც სახლში მოვედი და დედას ანგარიში ჩავაბარე, რომ დიახ, ძაღლს ნამდვილად აძლევდნენ სამზარეულოში ჭამის უფლებას... რომ ტრეინორები სახლის პარმაღს ყოველდღე არ ხეხავდნენ დედაჩემივით, ტუჩები მომუწა, მამაჩემს გახედა და კმაყოფილი სახით დააქნია თავი, თითქოს, ამ ინფორმაციით ყველა ეჭვი დავადასტურე მაღალი საზოგადოების წამომადგენელთა ფეთხუმობის შესახებ.

არ ვიცი, იმის გამო, რომ ჩემს შემოსავალზე იყვნენ დამოკიდებულები, არ ვიცი, იმიტომ, რომ ხედავდნენ, როგორ არ მომწონდა ჩემი სამსახური, თუ რაიმე სხვა მიზეზი ჰქონდათ

კიდევ, მაგრამ ფაქტია, რომ სახლში ახლა უფრო მეტ პატივისცემას ვიმსახურებდი. დიდი არაფერი შეღავათი მქონია, მაგრამ მამაჩემი აღარ მეძახდა „სქელტრაკას“ და დედაჩემი ყოველდღე, სამსახურიდან დაბრუნებისას, ცხელ ჩაის მახვედრებდა.

პატრიკისა და ჩემი დისთვის არაფერი შეცვლილა – ისევ დამცინოდნენ, მე ისევ ვიბუტებოდი, მერე ისევ მეხუტებოდნენ და მკოცნიდნენ. მე თვითონაც ისევ ისე აღვიქვამდი თავს. ისევ ისე გამოვიყურებოდი, ძველებურად მეცვა, ანუ, როგორც ტრინამ აღნიშნა, მეორადების მაღაზიაში მოწყობილი საჭიდაო შეჯიბრში გამარჯვებულივით. წარმოდგენა არ მქონდა, რას ფიქრობდნენ ჩემზე გრანტაჰაუსის ბინადრები. უილისას ვერაფერს გაიგებდი. ნათანისთვის, ვეჭვობ, რომ მე ვიყავი ერთ-ერთი რიგითი რგოლი სხვა მომვლელების გრძელ ჯაჭვში. თავი მეგობრულად ეჭირა, მაგრამ დისტანციას ინარჩუნებდა. ალბათ, არც სჯეროდა, რომ იქ დიდხანს შევრჩებოდი. მისტერ ტრეინორი თავაზიანად დამიკრავდა ხოლმე თავს, როცა ჰოლში შევხვდებოდით, ზრდილობის გულისთვის მკითხავდა, საცობი ხომ არ იყო გარეთ, ან თავს ხომ კარგად ვგრძნობდი. დარწმუნებული არ ვარ, რომ საერთოდ მიცნობდა, სადმე სხვაგან და სხვა სიტუაციაში რომ შევხვედროდი.

მაგრამ მისის ტრეინორისთვის... ღმერთო ჩემო, მისის ტრეინორისთვის მე ვიყავი გამოშტერებულთა შორის ყველაზე გამოშტერებული და უპასუხისმგებლოთა შორის ყველაზე უპასუხისმგებლო ადამიანი დედამიწის ზურგზე.

ყველაფერი ფოტოებით დაიწყო. მისის ტრეინორის თვალს ამ სახლში არაფერი ეპარებოდა, ამიტომ, წინასწარვე უნდა მცოდნოდა, რომ სურათებისა და ჩარჩოების დალეწვა მიწისძვრის ტოლფასი იქნებოდა მისთვის. დამკითხა, რამდენი ხნით მყავდა დატოვებული უილი ყურადღების გარეშე, რატომ, რამდენად სუფთად ავწმინდე მინის ნამტვრევები. პირდაპირ არ უსაყვედურია. მეტისმეტად კარგად იყო აღზრდილი საიმისოდ, რომ ხმისთვის აეწია, მაგრამ ჩემს პასუხებზე რომ თვალებს ახამხამებდა და „ჰმ, ჰმ“ – ამბობდა, ჩემთვის ესეც ბევრის მთქმელი იყო. სულ არ გამკვირვებია, როცა ნათანმა მითხრა, რომ მომრიგებელი მოსამართლე იყო.

მისის ტრეინორმა მითხრა, რომ, მისი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ უილს ამდენი ხნით აღარ დავტოვებდი, რაც არ უნდა უხერხული სიტუაცია შექმნილიყო. „ბატონო?!“ შემდეგისთვის, როცა მტვრებს გადავწმენდდი, ნივთები ასე ახლოს კიდესთან აღარ დამელაგებინა, რომ შემთხვევით არ ჩამოცვენილიყო. „ბატონო?!“ (როგორც ჩანს, ერჩივნა ეფიქრა, რომ ფოტოები შემთხვევითობას ემსხვერპლა). უკანასკნელი დონის იდიოტად მაგრძნობინებდა თავს და, შესაბამისად, მის გვერდით როცა ვიყავი, ნამდვილად ვგავდი უკანასკნელი დონის იდიოტს. მაინცდამაინც მაშინ მადგებოდა თავზე, როცა იატაკზე რაღაც დამივარდებოდა, როცა ქურას ვეჯახირებოდი, ან შეშის ნაჭრებს ვარჩევდი გარეთ დროის გასაყვანად. იდგა და ირონიული, შეწუხებული მზერით მიყურებდა.

რაც არ უნდა უცნაური იყოს, მისი ასეთი დამოკიდებულება უფრო მაღიზიანებდა, ვიდრე უილის უხეშობა. რამდენჯერმე კიდევაც დავაპირე პირდაპირ მეკითხა, ყველაფერი თუ რიგზეა-მეთქი. მაგალითად ასე: „თქვენ მე მითხარით, რომ ჩემი დამოკიდებულებების გამო აგყავდით სამსახურში და არა პროფესიული უნარჩვევების გამო. ჰოდა, მეც აქ ვარ და

ყოველ დამპალ დღეს თქვენი შვილის გამხიარულებას ვცდილობ. ანუ, ის მიიღეთ, რაც გინდოდათ. ჰოდა, რა პრობლემაა?“

მაგრამ კამილა ტრეინორი ის ქალი არ იყო, მასთან ასე გელაპარაკათ. თან, ისეთი შეგრძნებაც მქონდა, რომ ამ სახლში არასდროს არავინ ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა და არავინ იყო ერთმანეთთან გულახდილი.

„ლილი, ბოლო გოგონა თქვენამდე, ერთდროულად ორი სახის ბოსტნეულს ამზადებდა ტაფაზე“, – ამით მეუბნებოდა, ძალიან ურევ სამზარეულოსო.

„ჩაის ხომ არ მიირთმევ, უილ?“ – ეს იმას ნიშნავდა, წარმოდგენა არ მაქვს, რაზე გელაპარაკოო.

„დოკუმენტები მაქვს მოსაწესრიგებელი“, – ანუ შენი უხეშობის მოსმენას აღარ ვაპირებ, წავედიო.

ყველაფერ ამას მცირედ შესამჩნევი შეწუხებული ტონით ამბობდა და ყელზე დაკიდებულ ჯვარს აწვალებდა. ისეთი თავშეკავებული იყო, ისეთი მოზომილი. მასთან შედარებით დედაჩემი ნამდვილი ოზი ოზბორნი იყო. მეც თავაზიანად ვუღიმოდი, თავს ისე ვიჭერდი, რომ ვერაფერს ვამჩნევდი და ვაკეთებდი იმას, რისთვისაც ფულს მიხდიდნენ.

ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი.

– რა ჯანდაბად ცდილობთ, რომ სტაფილო შემომაპაროთ?

თეფშს დავხედე. მანამდე ტელევიზორში წამყვანს ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი, მომიხდებოდა თუ არა, მისნაირად რომ შემეღება თმა.

– სულაც არა.

– როგორ არა. დავინახე. მიურმოურიეთ და საწებელში ჩამალეთ.

გავწითლდი. მართალი იყო. ვიჯექი, უილს ვაჭმევდი, მთელი ყურადღება ორივეს ახალი ამბების გამოშვებისკენ გვქონდა მიპყრობილი. უილის სადილი როსტბიფისა და კარტოფილის პიურესგან შედგებოდა. დედამისმა დამავალა, რომ სამი სახის ბოსტნეული შემერია, მიუხედავად იმისა, რომ თავად უილმა მკაფიოდ მითხრა, რომ იმ დღით ბოსტნეულის მიღება არ სურდა. თუმცა ნებისმიერი საკვები, რაც მისთვის მზადდებოდა, მკაცრი, ბალანსირებული კვების რეჟიმის ნაწილი იყო.

– რატომ ცდილობთ, რომ სტაფილო შემომტენოთ?

– არ ვცდილობ.

– ანუ აქ სტაფილო არ არის? – თეფშზე პატარა ნარინჯისფერ ნამცეცებს დავხედე.

– კარგი. არის.

წარბები ასწია და განმარტებას დაელოდა.

– მე... ვიფიქრე, რომ თქვენთვის ბოსტნეული კარგი იქნებოდა.

ნაწილობრივ მისის ტრეინორის დასაცავად, ნაწილობრივ კი ჩვევის გამო ვუპასუხე ასე. ტომასსაც ასე ვაჭმევდი ყოველთვის. ბოსტნეულის პიურეს ვაკეთებდი და პასტასთან ან კარტოფილის დიდ ლუკმებთან ერთად ვაყოლებდი. ბოსტნეულის ყოველი ნაწილაკი, რასაც ტომასს შევაპარებდი, დიდი გამარჯვება იყო.

– მოდით, დავაზუსტოთ. თქვენ ფიქრობთ, რომ ერთი ჩაის კოვზი სტაფილო ჩემი ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს?

ჩემი განზრახვა მისეული ინტერპრეტაციით ნამდვილად სისულელედ ჟღერდა. მაგრამ მე ამასობაში ვისწავლე, რომ უილის ნათქვამსა და მის საქციელზე მძაფრი რეაქციები აღარ მქონოდა.

– გასაგებია. ეს აღარ განმეორდება, – ვუთხარი მკაფიოდ.

უცებ სიცილი დაიწყო. სიცილი ისე მოულოდნელად წასკდა და ისე ხმამაღლა, მგონი თვითონაც არ ელოდა.

– ღმერთო ჩემო, – გააქნია თავი. მე გაოგნებული ვუყურებდი, – კიდევ რას მირევთ ხოლმე საჭმელში? მალე, ალბათ, იმასაც მეტყვით, აბა, დიდი პირი გამიღე, მოვიდა თვითმფრინავი ან მატარებელი გვირაბში შედისო.

ცოტა ხანს დავფიქრდი.

– არა, ეგრე არ ვიტყოდი. მისტერ ჩანგალი მომწონს. მისტერ ჩანგალი თვითმფრინავსა და მატარებელს არ ჰგავს, – გამახსენდა, რამდენიმე თვით ადრე, ზუსტად ასე ვლაპარაკობდი ტომასთან.

– ასე დედაჩემმა გთხოვათ?

– არა... მისმინეთ... უილ. ბოდიში. მე... უბრალოდ არ მიფიქრია...

– რომ არ გიფიქრიათ, ეგ არ მიკვირს.

– კარგი, კარგი. ამოვიღებ ამ ოხერ სტაფილოს, თუ ეს ასე გიშლით ნერვებს.

– ნერვებს სტაფილო კი არ მიშლის, ის მიშლის, რომ შეშლილი ქალი საჭმელში რაღაცებს მიყრის და ჩანგალს ბატონოთი მიმართავს.

– ეგ ხუმრობა იყო. სტაფილოს ამოვიღებ და...

ზურგი შემაქცია.

– ჭამა აღარ მინდა. ჩაი მომიმზადეთ, – მითხრა და ოთახიდან რომ გავდიოდი, მომაძახა – და არ გაბედოთ და ყაბაყი არ ჩამიხეხოთ ჩაიში.

ის იყო, ჭურჭელი გავრეცხე, რომ სამზარეულოში ნათანი შემოვიდა.

– კარგ ხასიათზეა, – მითხრა და ჩაის ჭიქა მომაწოდა.

– ნუთუ? – ჩემს სენდვიჩს ვჭამდი. გარეთ ძალიან ციოდა და სახლიც ისეთი მტრულად განწყობილი აღარ მეჩვენებოდა. შესვენებაზე გარეთ არ გავსულვარ.

– ჰო, ასე თქვა, საჭმელში საწამლავს მიყრისო. მაგრამ ხომ ხვდები... კარგი გაგებით თქვა.

რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ძალიან მესიამოვნა.

– ჰო... – ვუპასუხე და ვცადე სიხარული დამემალა, – ჯერ სადა ხართ, ცოტაც მაცადეთ.

– უფრო მეტსაც ლაპარაკობს. კვირები ისე გადიოდა, რომ შეიძლებოდა საერთოდ ხმა არ ამოეღო. ბოლო დღეებში აჭიკჭიკდა.

გამახსენდა, უილმა რომ მითხრა ერთხელ, სტვენას თუ არ შეწყვეტ, ეტლით გადაგივლიო.

– მგონი, მე და შენ ჭიკჭიკს სხვადასხვა რამეებს ვეძახით.

– კრიკეტზე ვილაპარაკეთ. და კიდევ იცი რა... – აქ ხმას დაუწია, – მისის თიმ მკითხა დაახლოებით ერთი კვირის წინ შენზე, რას ფიქრობ, კარგად მუშაობსო? მე ვუთხარი, პროფესიონალია-მეთქი, მაგრამ მას, ალბათ, სხვა რამის მოსმენა უნდოდა. გუშინ შემოვიდა და მითხრა, ჩემი ყურით გავიგე, უილი და მის კლარკი იცინოდნენო.

წინა საღამო გავიხსენე.

– კი არ ვიცინოდით, მე დამცინოდა, – ვუთხარი ნათანს, – მოკვდა სიცილით რომ პესტო არ ვიცოდი, რა იყო. ვუთხარი, ვახშმად პასტა იქნება მწვანე საწებლით-მეთქი და ჩაბჟირდა.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს. რამდენი ხანია, მისი სიცილი არავის გაუგია.

მართალი იყო. მე და უილმა ნამდვილად გამოვნახეთ გზა, როგორ აგვეტანა ერთმანეთის გვერდით ყოფნა. ეს იმას ნიშნავდა, რომ რაღაცას მწარედ მეტყოდა და მე ხანდახან ხურდას დავუბრუნებდი. მაგალითად, მეტყოდა, რომ რაღაცა ცუდად გავაკეთე, მე ვეუბნებოდი, რომ თუ ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო მისთვის, თავაზიანად ეთხოვა. როცა გამლანძღავდა და სკამზე დადებულ ჭიკარტს შემადარებდა, ვეტყოდი, ერთი, აბა, სცადე და რამდენ ხანს გაქაჩავ მაგ უჭიკარტოდ-მეთქი. ცოტა ძალდატანებით ხდებოდა ეს ყველაფერი, მაგრამ ორივეს გვაწყობდა. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ სწორედ ეს მოსწონდა, ვიღაცა რომ ეწინააღმდეგებოდა და ეუხეშებოდა, ეუბნეოდა, რომ ცუდად იქცეოდა. როგორც ჩანს, ტრავმის მიღების შემდეგ, მის გარშემო ყველა თითის წვერებზე დადიოდა – სავარაუდოდ, ნათანის გარდა. მაგრამ სწორედ ნათანი იყო, ვისაც უილი ავტომატური პატივისცემით ეპყრობოდა და ვისაც მის მწარე კომენტარებზე ისედაც ნერვი არ უტოკავდა. ნათანი ადამიანის ტყავით შემოსილ ჯავშნიან მანქანას ჰგავდა.

– ასე რომ, შენ იმაზე იზრუნე, კიდევ დაგცინოს ხოლმე.

– ეგ არაა ძნელი დავალება, – ვუპასუხე ნათანს და ჩაის ჭიქა ნიჟარაში ჩავდე. გარდა იმისა, რომ სახლში ატმოსფერო შეიცვალა, კიდევ ერთი დიდი ცვლილება ის იყო, რომ უილი ისე ხშირად აღარ მთხოვდა მარტო დამეტოვებინა და ერთი-ორჯერ თავისთან ერთად ფილმის ყურებაც შემომთავაზა. წინააღმდეგობა არ გამიწევია, როცა სანახავი ფილმი „ტერმინატორი“ იყო, მიუხედავად იმისა, რომ სერიის ყველა ფილმი ნანახი მქონდა. მაგრამ, როცა მეორედ ფრანგული კინოს ყურება შემომთავაზა სუბტიტრებით, დისკის ყდას დავხედე და ვუთხარი, რომ ამ სეანსს, ალბათ, გამოვტოვებდი.

– რატომ? – მკითხა.

– არ მიყვარს ფილმების სუბტიტრებით ყურება, – მხრები ავიჩეჩე მე.

– ეგ იგივეა, რომ თქვა, არ მიყვარს ფილმი მსახიობებითო. რა სისულელეა. რას ჰქვია, სუბტიტრებით ყურება არ გიყვარს? კითხვა გეზარება თუ ვერ ასწრებ?

– უბრალოდ, დიდად არ მიყვარს უცხოური ფილმები.

– სულ უცხოურ ფილმებს არ ვუყურებთ „ადგილობრივი გმირის“ მერე? თქვენ ჰოლივუდი ბირმინგემის გარეუბანი ხომ არ გგონიათ?

– რა სასაცილოა...

ვერაფრით დაიჯერა, რომ სუბტიტრებით ფილმი არც არასდროს მენახა. საღამოობით ტელევიზორის პულტი ჩემს მშობლებს ჰქონდათ ოკუპირებული, პატრიკი უცხოურ ფილმს ისევე უყურებდა, როგორც ქსოვის გაკვეთილებზე ივლიდა ჩემთან ერთად საღამოს საათებში. უახლოეს მეზობელ ქალაქში მულტიპლექსი მხოლოდ უახლეს საომარ ფილმებს ან რომანტიკულ კომედიებს უჩვენებდა. როგორც წესი, იქაურობა სავსე იყო კაპიუშონწამომხობილი ახურუშებული მოზარდი შეყვარებულებით. ასე რომ, ზრდასრული მოსახლეობა იქ სიარულს ერიდებოდა.

– ეს ფილმი უნდა ნახოთ, ლუისა. ეს ბრძანებაა, – ეტლი შეაბრუნა და სავარძელზე თავით მიმითითა, – აქ დაჯექით და არ გაინძრეთ, სანამ ფილმი არ დამთავრდება. არასდროს მინახავს უცხოური ფილმიო. ღმერთო ჩემო... – თქვა ბუზღუნით.

ძველი ფილმი იყო კუზიან კაცზე, რომელმაც ფრანგულ სოფელში მემკვიდრეობით მიიღო სახლი. უილმა თქვა, ცნობილი წიგნის მიხედვით არის გადაღებულიო, მაგრამ წიგნის შესახებაც არაფერი მსმენოდა მანამდე. პირველი ოცი წუთი ეკლებზე ვიჯექი. სუბტიტრებიც ნერვებს მიშლიდა და ვფიქრობდი, რა რეაქცია ექნებოდა უილს, რომ მეთქვა, ტუალეტში მინდა-მეთქი.

მერე რაღაც მოხდა. თავი დავანებე იმაზე ფიქრს, რომ ძნელი იყო ერთდროულად კითხვაც და ყურებაც, უილს წამლების მიღება ხომ არ უწევდა და რას იფიქრებდა მისის ტრეინორი ამ დროს რომ დავენახე. განვიცდიდი ღარიბი კაცისა და მისი ოჯახის ამბავს, რომელთაც უსინდისო მეზობლები ატყუებდნენ. კუზიანი კაცი რომ მოკვდა, ჩუმად ვიცრემლებოდი და ცინგლებს მაჯით ვიწმენდდი.

– აბა... – უილი გვერდით ამომდგომოდა და ეშმაკურად მიყურებდა, – საერთოდ არ მოგეწონათ, როგორც ჩანს.

ავიხედე და ჩემდა გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ გარეთ უკვე დაბნელებულიყო.

– ახლა უნდა დამცინოთ? – ჩავიბურტყუნე ჩუმად და ხელსახოცებს გადავწვდი.

– ცოტათი. უბრალოდ გაოგნებული ვარ. ამხელა ქალი ხართ და როგორ მოახერხეთ, რომ... რამდენი წლის ხართ ისე?

– ოცდაექვსის.

– ოცდაექვსი წლის ხართ და აქამდე ფილმი არ გინახავთ სუბტიტრებით, – მაკვირდებოდა, როგორ ვისრესდი თვალებს.

ხელსახოცს დავხედე და მივხვდი, რომ ტუშიც ჩამოვიდღაბნე.

– არ ვიცოდი, თუ სავალდებულო იყო, – ჩავიბუზღუნე წყრომით.

– კარგი. მაშინ რას აკეთებთ ხოლმე, ლუისა კლარკ? რითი ერთობით, თუ ფილმებსაც არ უყურებთ?

ხელსახოცი დავკუჭე და მუჭში მოვიქციე.

– გაინტერესებთ, რას ვაკეთებ, როცა აქ არ ვარ?

– თქვენ არ მეუბნებოდით, ერთმანეთი უნდა გავიცნოთო. ასე რომ, თამამად, მომიყევით საკუთარ თავზე რამე.

უილს საუბრის ისეთი მანერა ჰქონდა, ვერასდროს იქნებოდი დარწმუნებული დაგცინოდა, თუ სერიოზულად გელაპარაკებოდა. სამაგიეროს გადახდის დრო მოვიდა.

– რატომ? – ვკითხე მე, – ასე უცბად ვითომ რატომ დაინტერესდით ჩემით?

– თუ ღმერთი გწამთ. ეგეც არ იყოს ახლა სახელმწიფო საიდუმლოება და რამედ ღირდეს თქვენი სოციალური ცხოვრება, – დაეტყო, რომ გაღიზიანდა.

– არ ვიცი... – ვუპასუხე მე, – დასალევად მივდივარ ლუდის ბარში. ხანდახან ტელევიზორს ვუყურებ. მივდივარ და თვალს ვადევნებ, როგორ დარბის ჩემი შეყვარებული. არაფერი განსაკუთრებული.

– თვალს ადევნებთ, როგორ დარბის თქვენი შეყვარებული?

– დიახ.
– მაგრამ თვითონ არ დარბიხართ.
– არა, მე... მთლად შესაბამისი აღნაგობა არ მაქვს, – ვუპასუხე და მკერდზე დავიხედე.
ამაზე გაეღიმა.
– კიდევ?
– რა კიდევ?
– ჰობი არ გაქვთ? მოგზაურობთ? ადგილები, სადაც წასვლა გინდათ?
ისეთ კითხვებს მისვამდა, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პედაგოგი მეგონა. დავფიქრდი.
– არ მაქვს ჰობი. ცოტას ვკითხულობ. მოდა მაინტერესებს.
– მოხერხებულად შეგირჩევიათ, – შენიშნა ირონიულად.
– მკითხეთ და გიპასუხეთ. ხომ ვთქვი, რომ არ მაქვს ჰობი, – ისეთი ტონი მქონდა, თითქოს, თავს ვიმართლებდი, – ბევრს არაფერს ვაკეთებ. რა არის გაუგებარი? სამსახურისახლი სამსახური-სახლი.
– სად ცხოვრობთ?
– ციხესიმაგრის მეორე მხარეს. რენფრიუროუდზე.
ვერ მიხვდა. რა თქმა უნდა, რას მიხვდებოდა. ციხესიმაგრის სხვადასხვა მხარეს სხვადასხვა ცხოვრება მიედინებოდა.
– გზატკეცილთან ახლოს არის. მაკდონალდსთან.
თავი დამიქნია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისევ წარმოდგენა არ ჰქონდა, რომელ ქუჩას ვგულისხმობდი.
– მოგზაურობა?
– პატრიკთან ერთად... ჩემი შეყვარებულია. ესპანეთში ვარ ნამყოფი. ჩემს ბავშვობაში ოჯახთან ერთად მხოლოდ დორსეტში თუ წავიდოდით, ან ტენბიში. ტენბიში დეიდაჩემი ცხოვრობს.
– რა გინდათ?
– რას ქვია, რა მინდა?
– რა გინდათ ამ ცხოვრებისგან?
თვალები დავახამხამე.
– რაღაც ფილოსოფიური კითხვაა.
– ზოგადად მაინტერესებს. თვითანალიზით დაკავდით-მეთქი, არ მითქვამს. უბრალოდ ვკითხულობ, რა გინდათ? ოჯახის შექმნა? ლეკვების დაყრა? კარიერა? მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო?
დიდხანს ვდუმდი. სანამ რამეს ვიტყოდი, მანამდეც ვიცოდი, რომ ჩემი პასუხი იმედს გაუცრუებდა.
– არ ვიცი, ამაზე მართლა არასდროს მიფიქრია.

* * *

პარასკევს საავადმყოფოში წავედით. კიდევ კარგი, სანამ იმ დილით სამსახურში არ მივედი და არ მითხრეს, წინასწარ არ ვიცოდი, რომ უილს ვიზიტი ჩანიშნული ჰქონდა, თორემ, ალბათ, მთელი ღამე ნერვიულობისგან არ დამეძინებოდა, რომ იქ მე უნდა წამეყვანა მანქანით. მანქანის ტარება ვიცი, დიახ. მაგრამ ისევე ვატარებ, როგორც, მაგალითად, ფრანგულს ვლაპარაკობ. სხვათა შორის, შესაბამისი გამოცდაც ჩაბარებული მაქვს. მაგრამ საჭესთან წელიწადში ერთხელ თუ დავჯდებოდი ხოლმე. იმის გაფიქრებაც კი, რომ უილი თავისი ეტლით ადაპტირებულ მანქანაში უნდა ჩამესვა, მეზობელ ქალაქში უსაფრთხოდ წამეყვანა და წამომეყვანა, სასოწარკვეთილებაში მაგდებდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში ვოცნებობდი, რომ გარეთ გასვლა ჩემი სამუშაო საათების ნაწილი გამხდარიყო. ახლა ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ როგორმე სახლში დავრჩენილიყავი. მისი სამედიცინო ისტორია სხვა მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საქაღალდეებთან ერთად მქონდა შენახული – ბაინდერები დანიშნულების მიხედვით იყო დასათაურებული, როგორც „ტრანსპორტი“, „დაზღვევა“, „ცხოვრება შეზღუდული შესაძლებლობით“, „დანიშნულებები“. სამედიცინო ისტორია ავიღე და შევამოწმე, ნამდვილად იმ დღის თარიღი იყო ჩანიშნული თუ არა. იმედი მქონდა, რომ უილს რაღაც შეეშალა.

– დედათქვენიც მოდის?

– არა. ექიმთან არ დამყვება.

გაკვირვება ვერ დავმალე. მისის ტრეინორისგან უჩვეულო იყო, მკურნალობასთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსში ჩართული არ ყოფილიყო.

– ადრე დამყვებოდა, მაგრამ მერე მოვრიგდით, – დაამატა რამდენიმე წამში.

– არც ნათანი?

მის წინ მუხლებზე ვიდექი. ისე ვნერვიულობდი, რომ ლანჩს როცა ვაჭმევდი, საჭმელი მუხლებზე გადავასხი. ახლა ვუწმენდდი, მაგრამ შარვალი დავუსველე ამასობაში. უილს არაფერი უთქვამს გარდა იმისა, ბოდიშს ნუღარ იხდიო, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ამან ვერ დამამშვიდა.

– რატომ მეკითხებით?

– ისე, უბრალოდ, – არ მინდოდა სცოდნოდა, რომ მეშინოდა.

მთელი ის დრო, როცა, როგორც წესი, დალაგებით ვიყავი ხოლმე დაკავებული, წაღმაუკუღმა ვკითხულობდი პანდუსის და მანქანის მოხმარების ინსტრუქციას. ამან მაინცდამაინც არ მიშველა და ისევ გული მიკანკალებდა, როდის დადგებოდა წუთი და უილი ჰაერში უნდა ამეწია.

– გეყოფათ, კლარკ. რა მოხდა?

– კარგი. უბრალოდ... ვიფიქრე, რომ რაკი პირველად მივდივართ, კარგი იქნება, თუ ვინმე გამოცდილიც თან გვახლდება.

– ჩემგან განსხვავებით?

– მე ეგ არ მითქვამს.

– იმიტომ, რომ მე წარმოდგენა არ მაქვს, რა მჭირდება?

– პანდუსის მოხმარება იცით? – მივახალე პირდაპირ, – შეგიძლიათ მითხრათ, რა და როგორ უნდა?

მშვიდად შემომხედა. თუ მანამდე საჩხუბრად იყო მომართული, ახლა ნამდვილად გადაეფიქრებინა.

– მართალია. ნათანი წამოვა. დამატებით ორი ხელი არ გვაწყენს. თან ვიფიქრე, რომ ნაკლებად იჭირვეულებთ, გვერდით თუ იქნება.

– არ ვჭირვეულობ, – გავაპროტესტე მისი ნათქვამი.

– რა თქმა უნდა, არა, – მითხრა ცინიკურად და მუხლებზე დაიხედა, სველი ტილოთი რომ ვუწმენდდი. პასტის სოუსი ამოვიყვანე, მაგრამ ერთიანად დამბალი იყო.

– ახლა ჩემზე ხალხს უნდა აფიქრებინოთ, რომ ჩავიფსი.

– ჯერ არ დამიმთავრებია, – ვუთხარი მე, თმის საშრობი შევაერთე და უბეზე მივუშვირე. ცხელი ჰაერის მოხვედრისთანავე, წარბები მაღლა აწია.

– ჰო... – ვუთხარი მე, – პარასკევი შუადღისთვის მეც სხვა გეგმები მქონდა.

– დაძაბული ხართ, არა?

ჩემი შესწავლით იყო დაკავებული, ვგრძნობდი.

– გეყოფათ, კლარკ! ცხელი ჰაერის მასებს თქვენ კი არ გიშხუილებენ გენიტალიებზე.

არაფერი ვუპასუხე. მისი ხმა საშრობის ბღუილში ძლივს მესმოდა.

– უარესი რა უნდა მოხდეს? ეტლში აღმოვჩნდები, თუ რა?

სულელურად იხუმრა, მაგრამ სიცილისგან თავი ვერ შევიკავე. უილი ცდილობდა, რომ თავი უკეთ მეგრძნო. სხვა რა უნდა მეფიქრა?

* * *

გარედან მანქანა ჩვეულებრივს ჰგავდა, მაგრამ როდესაც უკანა კარი გაიღო, ავტომატურად გადმოიწია პანდუსი და მიწის ზედაპირს დაებჯინა. ნათანის ზედამხედველობით უილის საგარეო ეტლი (გარეთ გასასვლელად სხვა ეტლს ხმარობდა) პანდუსზე მოვათავსე, ელექტრომუხრუჭი შევამოწმე და მივუთითე, რომ ეტლის მანქანაში შეყვანის ოპერაცია შეესრულებინა. ნათანი მეორე მხრიდან დაჯდა, უილს ღვედი გადაუჭირა და ეტლს ბორბლები დაუფიქსირა. ხელები მიკანკალებდა, მძღოლის ადგილზე დავჯექი, ხელის მუხრუჭი ამოვწიე, სახლის ეზოდან ნელა დავეშვი და გეზი საავადმყოფოსკენ ავიღე.

სახლს გარეთ უილი თითქოს დაპატარავდა. გრილი ამინდი იდგა. მე და ნათანმა კაშნე მოვახვიეთ და თბილი პალტო ჩავაცვით, თუმცა ნიკაპი ჩაწია, ხმას საერთოდ აღარ იღებდა, თითქოს, გარემომ დათრგუნა. რამდენჯერაც სარკიდან გავხედავდი (ამას ხშირად ვაკეთებდი. ნათანის იქ ყოფნაც ვერ მამშვიდებდა ბოლომდე და სულ მეგონა, რომ ეტლი საიმედოდ არ იდგა), ფანჯრიდან იყურებოდა, სახეზე ჩვეული შეუვალი გამომეტყველება აღბეჭდვოდა. როცა ორმოში ჩავარტყამდი ან ცუდად დავამუხრუჭებდი, რაც რამდენჯერმე მომივიდა, ოდნავ შეკრთებოდა ხოლმე და მშვიდად იცდიდა, სანამ გონს მოვიდოდი. საავადმყოფომდე რომ მივაღწიეთ, უკვე ოფლად ვიყავი დაღვრილი. მანქანების სადგომს სამჯერ შემოვუარე, სანამ ისეთ ადგილს ვიპოვიდი, რომ უილს საკმარისი სივრცე ჰქონოდა

მანქანიდან გადმოსასვლელად და სანამ არ მივხვდი, რომ ორივე მოთმინებას კარგავდა. ბოლოს, როგორც იქნა, მანქანა გავაჩერე და პანდუსი გადმოვწიე. ნათანი მიეხმარა უილს, რომ მანქანიდან ჩამოგორებულიყო.

– ყოჩაღ, – მითხრა ნათანმა და ბეჭზე ხელი დამკრა, მაგრამ საკუთარ სიყოჩაღეში ძალიან მეპარებოდა ეჭვი.

არის ისეთი რაღაცები, რასაც ყურადღებას არ აქცევ, სანამ ეტლით მოსარგებლესთან ერთად არ მოგიწევს შეჯახება. მაგალითად, როგორი უვარგისია ზოგიერთი ტროტუარი, არასწორი, დაზიანებული, ორმოებიანი ზედაპირით. უილი დამოუკიდებლად მიდიოდა, გვერდით მივყვებოდი და ვამჩნევდი, როგორ აჯაყჯაყებდა უსწორმასწორო მონაკვეთები ტროტუარზე, როგორი სიფრთხილე სჭირდებოდა, რომ რამეს არ წამოსდებოდა. ნათანს თავი ისე ეჭირა, რომ ვერ ამჩნევდა, მაგრამ ვხედავდი, ისიც როგორ აკვირდებოდა. უილს სახე შეჭმუხნოდა და ტემპის შეუნელებლად, მტკიცედ მიდიოდა. ცალკე იმაზე მეშლებოდა ნერვები, როგორი შეუგნებელი იყო მძღოლების უმრავლესობა. მანქანები ზედ ტროტუარების დაქანებულ ასასვლელ-ჩასასვლელებთან მიეჩერებინათ, ან ერთმანეთთან იმდენად მჭიდროდ ეყენათ, რომ ეტლი ვერ გაივლიდა. გაცოფებული ვიყავი და რამდენჯერმე ისიც ვიფიქრე, საქარე მინაზე ბარათს დავუტოვებ და მივახვედრებ, როგორ კარგადაც იქცევიან-მეთქი, მაგრამ ნათანისა და უილისთვის ეს, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი ამბავი იყო. ნათანი შესაფერის გასასვლელებს და გზას ეძებდა, უილს ვანიშნებდით და როგორც იქნა, მივაღწიეთ საავადმყოფომდე. უილს ერთი სიტყვაც არ უთქვამს, რაც სახლიდან გამოვედით.

საავადმყოფო დაბალ შენობაში იყო განთავსებული და ერთიანად გაეკაშკაშებინათ. გაკრიალებულ მიმღებში შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, რომ მოდერნისტულ სასტუმროში იყავით და არა საავადმყოფოში – ეს, ალბათ, კერძო დაზღვევის დამსახურება იყო. უკან დავიხიე, უილმა მიმღებში მჯდომ თანამშრომელს თავისი სახელი და გვარი უთხრა, მერე კი სამივე გრძელ დერეფანს გავუყევით. ნათანს თან უზარმაზარი ზურგჩანთა მოჰქონდა, სადაც ყველაფერი იყო, რაც შესაძლოა, უილს დასჭირვებოდა, თუნდაც ამ ხანმოკლე ვიზიტის დროს – დაწყებული სასმელი ჭიქებიდან, დამთავრებული გამოსაცვლელი ტანსაცმლით. ნათანმა ჩანთა დილით ჩემ თვალწინ ჩაალაგა და თითოეული ნივთის შემთხვევაში მიხსნიდა, რატომ მოჰქონდა და რაში შეიძლებოდა უილს ეს დასჭირვებოდა.

– კარგია, რომ ამის კეთება ხშირად არ გვიწევს, – მითხრა, როცა ჩემს გაოგნებულ სახეს შეხედა.

ექიმის კაბინეტში უილს აღარ შევყოლილვარ. მე და ნათანი მოსაცდელში კომფორტულ სავარძლებში მოვთავსდით. აქ საავადმყოფოებისთვის დამახასიათებელი სუნი არ იდგა. ფანჯრის რაფაზე ვაზა იდგა ახლად დაკრეფილი ყვავილებით. თან ჩვეულებრივით კი არა, უზარმაზარი ეგზოტიკური ყვავილებით, რომელთა დასახელებაც კი არ ვიცოდი. ცალკე ხელოვნება იყო, როგორ მინიმალისტურ თაიგულებად იყო ყვავილები გადანაწილებული.

– რას აკეთებენ? – ვიკითხე მას შემდეგ, რაც ნახევარი საათი გავიდა.

ნათანმა წიგნიდან თავი აიღო.

– გეგმური შემოწმებაა ყოველ ექვს თვეში ერთხელ.
– რომ ნახონ, პროგრესი თუ აქვს?
ნათანმა წიგნი დადო.
– პროგრესი ვერ ექნება, ლუისა. ზურგის ტვინი აქვს დაზიანებული.
– მაგრამ შენ ხომ მისი ფიზიოთერაპევტი ხარ და რაღაცებს აკეთებინებ ხოლმე.
– ეგ იმისთვისაა, რომ ფიზიკური მდგომარეობა შევუნარჩუნოთ, კუნთების ატროფია და ძვლების დემინერალიზაცია არ განუვითარდეს, ფეხებში სითხე არ ჩაუდგეს და ა.შ.
ცოტა ხანს გაჩუმდა. ისევ რომ დაილაპარაკა, ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს, რის თქმასაც აპირებდა, იმედს გამიცრუებდა და ამიტომ მიფრთხილდებოდა.
– უილი ვეღარ გაივლის, ლუისა. ასე მარტო ჰოლივუდურ ფილმებში ხდება. ჩვენ უბრალოდ იმას ვცდილობთ, რომ ტკივილი არ ჰქონდეს და ის მცირედი მოძრაობის უნარი შევუნარჩუნოთ, რაც აქვს.
– გიჯერებს ხოლმე? სავარჯიშოებს აკეთებს? აი, რასაც ფიზიოთერაპიის სეანსებზე აკეთებინებ. რასაც მე ვთავაზობ, არაფრის კეთება არ უნდა ხოლმე.
ნათანმა ცხვირი შეჭმუხნა.
– აკეთებს, მაგრამ უგულოდ. თავიდან რომ დავიწყეთ, ძალიან მოწადინებული იყო. რეაბილიტაციას სერიოზულად უდგებოდა, მაგრამ, როცა ერთი წელი გავიდა და წინსვლა არ იყო, ხალისიც დაკარგა და რწმენაც, რომ ამას აზრი აქვს.
– შენ როგორ ფიქრობ, აქვს აზრი?
ნათანი იატაკს ჩააჩერდა.
– გულახდილად გითხრა? უილს კვადრიპლეგია აქვს. C5 და C6 მალებია დაზიანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ამის ქვემოთ პარალიზებულია... – ხელი გულმკერდის ზედა ნაწილზე მიიდო. – დაზიანებული ზურგის ტვინის გამოჯანმრთელება ჯერ არავის ეხერხება.
კარს მივაჩერდი და უილის სახეზე ვფიქრობდი... იმ სახეს, საავადმყოფოსკენ გზად რომ ჰქონდა, იმ გაცისკროვნებულ სახეს ვადარებდი, მის ძველ ფოტოებზე რომ მენახა.
– მედიცინა წინ მიიწევს, ასე არაა? ვინ იცის... ასეთ ადგილებში, ახლა რომ ვართ... ალბათ, სხედან ადამიანები და განუწყვეტლივ ამაზე ფიქრობენ და მუშაობენ.
– ჰო, ეს კარგი საავადმყოფოა, – თქვა ნათანმა გულგრილი სახით.
– იმედი ყველაზე ბოლოს კვდება, ასე არაა?
– რა თქმა უნდა, – შემომხედა, მიპასუხა და თავი ისევ წიგნში ჩარგო.

* * *

სამ საათს თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა ნათანის თანხმობით ყავის მოსატანად წავედი. მითხრა, ეს ვიზიტები დიდხანს გრძელდება ხოლმე და სანამ მოხვალ, ციხეს მე გავამაგრებო. მიმღებში ვიბოდიალე, ხან ჟურნალები ვათვალიერე, ხან შოკოლადის ფილები.
ჩემგან რა გასაკვირია და, უკანა გზაზე საავადმყოფოს დერეფნებში და გასასვლელგამოსასვლელებში დავიკარგე. რამდენიმე ექთანს ვკითხე, საით უნდა წავსულიყავი, ორი მათგანი საერთოდ ვერ მიხვდა, რას ვეკითხებოდი. სანამ მივაღწიე,

ხელში ყავაც გამიცივდა და მოსაცდელიც ცარიელი დამხვდა. რომ მივუახლოვდი, ექიმის კაბინეტის კარი ოდნავ შეღებული იყო. გარეთ გავჩერდი, მაგრამ თავში მისის ტრეინორი მიტრიალებდა და საიდანღაც მისი ხმა ჩამესმოდა, რომელიც უილის მარტო დატოვების გამო მკიცხავდა. კიდევ ერთხელ!

– ასე რომ, სამ თვეში ისევ შევხვდებით, მისტერ ტრეინორ, – გავიგე ექიმის ხმა, – სპაზმების საწინააღმდეგო მედიკამენტები შევცვალე, უახლოეს დღეებში დაგირეკავენ და ანალიზის პასუხებს შეგატყობინებენ. სავარაუდოდ, ორშაბათს.

– ქვემოთ აფთიაქში არის ეს ახალი წამლები? – ჰკითხა უილმა.

– დიახ, აქვე შეგიძლიათ შეძენა. დანარჩენი წამლებისაც.

– საქაღალდე ავიღო? – ქალის ხმა იყო.

ჩავთვალე, რომ უკვე გამოდიოდნენ. დავაკაკუნე და ვიღაცამ მითხრა, შემოდითო. ორი წყვილი თვალი გაოცებით მომაჩერდა.

– უკაცრავად, – თქვა ექიმმა და სკამიდან წამოიმართა, – მეგონა, ფიზიოთერაპევტი იყავით.

– მე უილის... დამხმარე ვარ, – ვთქვი და კარებში შევყოვნდი. უილი თავის ეტლში გამართული იჯდა და ნათანი მაისურს აცმევდა. – უკაცრავად, ჩავთვალე, რომ უკვე დაასრულეთ.

– ერთი წუთით დაგველოდეთ, ლუისა, – ოთახი უილის ხმამ გადმოკვეთა.

ბურტყუნით კიდევ მოვიბოდიშე და გამოვედი. სახე მეწვოდა. იმის გამო არა, რომ უილის შიშველი, გამხდარი და ნაიარევებით დაფარული ტანი დავინახე. არც ორაზროვანი და შეცბუნებული მზერის გამო, ექიმმა როგორც შემომხედა და როგორც მისის ტრეინორი მიყურებდა ხოლმე ყოველდღე. ეს იყო მზერა, რომელიც მაგრძნობინებდა, რომ რამდენადაც არ უნდა გაზრდილიყო ჩემი საათობრივი ანაზღაურება, მაინც იგივე დაბდურა იდიოტი ვიყავი. არა... რამაც დამზაფრა, უილის მაჯებზე ფერდაკარგულ წითელ ხაზებად შერჩენილი ნაჭდევები იყო, გრძელი, უსწორმასწორო იარები, რომელთა დაფარვა ვერ მოასწრო ნათანმა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი სისწრაფით ჩამოუქაჩა უილს მკლავები, როცა ოთახში შევედი.

VI

თოვლი ისე მოულოდნელად წამოვიდა... სახლიდან რომ გამოვედი, ცა ლურჯად ლივლივებდა. ნახევარი საათიც არ გასულიყო, რომ კინაღამ გავცდი ტრეინორების სახლს, რომელიც საშობაოდ სქელი თეთრი გლაზურით მორთულ ტორტს ჰგავდა. სახლამდე გზა ძლივს ავიარე. ფეხები უკვე მოყინული მქონდა და გაჭირვებით მივათრევდი. ჩინური აბრეშუმის უთხელეს მოსასახამში ერთიანად მაკანკალებდა. ფოლადისფერი რუხი უსასრულობიდან მსხვილი თეთრი ფიფქებით უხვად ბარდნიდა. თოვლს გრანტ-ჰაუსიც დაეფარა და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ხმებიც დაეხშო და დედამიწაც უჩვეულოდ შეენელებინა. აკურატულად გაკრეჭილი ბუჩქების მესრის მიღმა ვხედავდი, როგორი სიფრთხილით დაყავდათ მძღოლებს მანქანები, ტროტუარებზე ქვეითად

მოსიარულეებს უცურავდათ ფეხი და პერიოდულად შეკივლებები მესმოდა ხოლმე. კაშნე ცხვირამდე შემოვიფუთნე. თავზედს ვიწყევლიდი, რომ ხავერდის მოკლე კაბითა და ბალერინებით ვიყავი გამოსული.

ჩემდა გასაკვირად, კარი არა ნათანმა, არამედ უილის მამამ გამიღო.

– წევს, – მითხრა და შემოსასვლელიდან ცას ახედა, – არ არის კარგად. ვფიქრობდი, ექიმთან დამერეკა თუ არა.

– ნათანი სად არის?

– დილისთვის გაგვეთავისუფლა. რა თქმა უნდა, მაინცდამაინც დღეს უნდა მომხდარიყო ეს. იმ წყეული სააგენტოდან მოვიდა ექთანი და რამდენიმე წამში უკან გავარდა. თოვა თუ გაგრძელდა, არ ვიცი, რა გვეშველება, – მხრები აიჩეჩა, თითქოს, მართლა არაფერი გვეშველებოდა. პასუხისმგებლობა გადმომაბარა და დაეტყო, რომ ამით კმაყოფილი იყო, – თქვენ იცით, რაც უნდა ქნათ? – მომაძახა მხარს უკნიდან.

მოსასხამი გავიხადე, ფეხსაცმელებიც და რამდენადაც ვიცოდი, რომ მისის ტრეინორი სასამართლოში იყო (თავისი პროფესიული საქმიანობის გრაფიკიც დაგვიწერა სამზარეულოში უილის დღის წესრიგთან ერთად), სველი წინდებიც გავიხადე და გასაშრობად რადიატორზე მივაფინე. თეთრეულის კალათში უილის ახლად გარეცხილი წინდები ეწყო. ამოვიღე და ჩავიცვი. იმდენად დიდი მქონდა, მეცინებოდა, რომ ვუყურებდი, მაგრამ სამაგიეროდ, მშრალად და თბილად ვიყავი.

უილი არ გამომპასუხებია, როცა დავუძახე. ამიტომ ცოტა ხნის შემდეგ, სასმელი მოვუმზადე, კარზე ფრთხილად დავუკაკუნე და ოთახში თავი შევყავი. მკრთალ შუქზე საბანქვეშ მისი ფიგურა ძლივს გავარჩიე. ჩასძინებოდა.

გამოვბრუნდი და კარი მივხურე. იმ საქმეებს შევუდექი, რასაც, ჩვეულებრივ, დილაობით ვაკეთებდი ხოლმე.

დედაჩემი, შეიძლება ითქვას, ფიზიკურ სიამოვნებას განიცდიდა, როცა სახლი მუდმივად დაწკრიალებული და დალაგებული ჰქონდა. უკვე ერთი თვე გასულიყო, რაც ყოველდღე მტვერსასრუტი მეკავა ხელში და ვალაგებდი. მაინც ვერ მივხვდი, რა იყო ამაში ასეთი მიმზიდველი და აღსაფრთოვანებელი. ეჭვი მაქვს, არც არასდროს დადგებოდა ჩემს ცხოვრებაში ეტაპი, როცა დიდი სიამოვნებით არ გადავულოცავდი მსგავს საქმეს ვინმე სხვას.

მაგრამ ასეთ დღეს, თან როდესაც უილიც ლოგინში იყო ჩაწოლილი, სამყაროც ისეთი უძრავი და მშვიდი იყო გარეთ, ერთგვარი მედიტაციური სიამოვნება ნამდვილად მოჰქონდა ფლიგელის ერთი ბოლოდან მეორესკენ სვლას და დასუფთავებას. სანამ მტვერს ვწმენდდი და იატაკს ვაპრიალებდი, ოთახიდან ოთახში ამოღლიავებული რადიო დამქონდა. ძალიან ხმადაბლა ვუსმენდი, რომ უილი არ შემეწუხებინა. პერიოდულად მასთან ოთახში ვიხედებოდი, რომ შემემოწმებინა, ხომ ნამდვილად სუნთქავდა. შუადღის პირველი საათი რომ გახდა და ჯერ კიდევ ეძინა, მაშინ კი უკვე შევშფოთდი.

შეშის კალათა ავავსე და შევამჩნიე, რომ ამასობაში, რამდენიმე დუიმი თოვლი დადებულიყო. უილს ახალი სასმელი მოვუმზადე და დავუკაკუნე. სიჩუმე. ისევ დავუკაკუნე, ამჯერად უფრო ხმამაღლა.

– დიახ? – ხმა ხრინწიანი ჰქონდა, თითქოს კაკუნმა გააღვიძაო.
– მე ვარ. – რომ არ მიპასუხა, დავამატე, – ლუისა ვარ. შეიძლება, შემოვიდე?
– სტრიპტიზს ვცეკვავ და ხელი არ შემიშალოთ.
ოთახში ბნელოდა, სქელი ფარდები ისევ ჩამოფარებული იყო. შევედი და ერთხანს შევჩერდი, რომ თვალი სიბნელეს შეჩვეოდა. უილი გვერდზე იწვა, ერთი ხელი წინ ჰქონდა გადმოგდებული, თითქოს ტანი უნდა აზიდოსო. მაშინაც ასე იწვა, როცა პირველად შემოვიხედე. ხანდახან მავიწყდებოდა, რომ საწოლში თავისით გადატრიალება არ შეეძლო. თმა ცალ მხარეს ჩამოჰყროდა, საბანი აკურატულად ჰქონდა შემოკეცილი. ოთახში დასაბანი მამაკაცის თბილი სუნი იდგა – განა უსიამოვნო, მაგრამ მაინც უჩვეულო შუა კვირის სამუშაო დღისთვის.
– რა გავაკეთო? სასმელი გინდათ?
– გვერდის შეცვლა მინდა.
უილის სასმელი კომოდზე დავდგი და საწოლს მივუახლოვდი.
– როგორ... როგორ უნდა მოვიქცე?
ნერწყვი ფრთხილად ჩაყლაპა, თითქოს, ეს მტკივნეული იყო.
– წამომწიეთ და გადამაბრუნეთ. მერე საწოლის საზურგე ასწიეთ. აი, აქედან, – თავით მანიშნა, რომ ახლოს მივსულიყავი, – მკლავები იღლიებში ამომდეთ. ხელები ჩემ ზურგს უკან გადააჯვარედინეთ და უკან მიმწიეთ. ახლა საწოლს მიეყრდენით, რომ წელი არ გეტკინოთ.
თავს ვერ მოვიკატუნებ და ვერ ვიტყვი, რომ თავს უხერხულად არ ვგრძნობდი. უილს ჩავხუტებოდი, ნესტოები მისი სუნით გამჟღენთოდა, კანზე მისი სხეულის სითბოს ვგრძნობდი. მეტი სიახლოვე უკვე ისღა იქნებოდა, ყურეზე თუ ვუკბენდი. ამ სიტუაციამ, ცოტა არ იყოს, წონასწორობა დამაკარგვინა. აზრებს თავს ძლივს ვუყრიდი.
– რა მოხდა?
– არაფერი, – ამოვისუნთქე და ხელი მყარად მოვკიდე. ისეთი პოზა დავიკავე, რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, უსაფრთხოდ მეჭირა. იმაზე მხარბეჭიანი იყო, ვიდრე მეგონა და უფრო მძიმეც. სამ თვლაზე უკან მივწიე.
– ღმერთო ჩემო, – წამოიძახა ჩემს მხარზე.
– რა მოხდა? – უცებ ისე შემეშინდა, კინაღამ ხელი გავუშვი.
– ხელები ყინულივით ცივი გაქვთ.
– ჰო, თავი რომ შეგეწუხებინათ და საწოლიდან ამდგარიყავით, დაინახავდით, რომ გარეთ თოვს.
სანახევროდ ვხუმრობდი, მაგრამ ახლა შევამჩნიე, მაისურქვეშ როგორი ცხელი იყო – შინაგანად ხურდა, ეტყობოდა. ოდნავ ამოიოხრა, როცა ზურგს უკან ბალიში გავუსწორე. რამდენადაც შესაძლებელი იყო, ნელა და მსუბუქად ვმოძრაობდი. პულტზე მიმითითა, რომლის საშუალებითაც მის მხრებსა და თავს სასურველ სიმაღლეზე გავაჩერებდი.
– ძალიან არა, თავბრუ მეხვევა, – ჩაიბუტბუტა ჩუმად.
მის პროტესტს ყურადღება არ მივაქციე და საწოლის გვერდით ლამპა ავანთე, რომ სახეზე შემეთვალიერებინა.

– თავს კარგად გრძნობთ? – სანამ ორჯერ არ გავუმეორე, პასუხი არ გამცა.
– ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი საუკეთესო დღეა.
– ტკივილგამაყუჩებელი გინდათ?
– ჰო, ყველაზე ძლიერი რომელიცაა.
– იქნებ... პარაცეტამოლი?
გრილ ბალიშს მიჰყრდნობოდა და იღიმოდა. წყლით სავსე ფიალა მივაწოდე და დაველოდე, სანამ ჩაყლაპავდა.
– გმადლობ, – მითხრა და მე შევცბი. აქამდე ჩემთვის მადლობა არასდროს გადაუხდია. თვალები დახუჭა. ცოტა ხანს კარებში ვიდექი და თვალს ვადევნებდი. პირი ოდნავ ღია ჰქონდა, სუნთქვისას მკერდი აუდიოდა და ჩამოუდიოდა. მძიმედ სუნთქავდა, უფრო მეტად, ვიდრე სხვა დღეებში. ეტლის გარეშე აქამდე ჯერ არ მენახა. ვერ გადამეწყვიტა, რა მექნა. იქნებ, წნევა აწუხებდა?
– წადით, – ჩუმად ჩაიბუტბუტა.
წამოვედი.

* * *

შუადღის პირველის ნახევარზე დედაჩემს მოუწერია, თოვლის გამო მამას მანქანა ვერ გამოჰყავსო. სახლისკენ სანამ წამოხვალ, ჯერ დარეკეო, – მარიგებდა. არ ვიცი, რა ჰქონდა გეგმაში, მამა უნდა გამოეგზავნა ციგით და სენბერნარის თანხლებით? რადიოში ადგილობრივ ახალ ამბებს ვუსმენდი. გზებზე პრობლემები შექმნილიყო, საცობებიო, მატარებლების რეისების გადადება ან შეფერხებაო, მოულოდნელი ქარბუქის გამო დროებით სკოლებიც დახურულიყო. უილის ოთახში კიდევ შევიხედე. მისი ფერი არ მომეწონა. გაფითრებულიყო, მაგრამ ლოყებზე წითელი ლაქები ჰქონდა.
– უილ? – მივმართე ფრთხილად.
არც განძრეულა.
– უილ?
ვგრძნობდი, პანიკა მეწყებოდა. კიდევ ორჯერ დავუძახე, უკვე ხმამაღლა. ხმას არ მცემდა. დავიხარე. გაშეშებული იწვა. მკერდიც არ მოძრაობდა. სუნთქვა... სუნთქვას მაინც ვიგრძნობდი. სახე სახესთან მივუტანე და ვცდილობდი, მისი სუნთქვა მეგრძნო. მაგრამ არაფერი, კიდევ უფრო მივუახლოვდი და ფრთხილად შევეხე. შეკრთა, თვალები გაახილა. რამდენიმე სანტიმეტრი მაშორებდა მის სახესთან.
– ბოდიში, – წამოვიძახე და უკან გავხტი.
თვალები დაახამხამა და ოთახში მიმოიხედა. თითქოს, ეს პერიოდი სახლიდან შორს იყოო.
– ლუ ვარ, – ვუთხარი, რადგან თითქოს ეჭვი შემეპარა, რომ მცნობდა.
გამომეტყველებაზე დაეტყო, რომ ცოტა გაღიზიანდა.
– ვიცი.
– სუპი გინდათ?
– არა, გმადლობთ, – თვალები ისევ დახუჭა.

– ტკივილგამაყუჩებელი? ლოყებზე ოფლის წვეთები უბრწყინავდა. საბანიც ნოტიო ჩანდა და სიმხურვალეს აფრქვევდა. ავნერვიულდი.

– როგორ მოვიქცე? ნათანი თუ არ მოვა, რა უნდა გავაკეთო?

– არაფერი. კარგად ვარ, – ჩაიბუტბუტა და თვალები ისევ დახუჭა.

საქაღალდეში რაც იყო, ყველაფერს გადავხედე. ვცდილობდი, გამერკვია, რამე ხომ არ გამომრჩენოდა. წამლების სათავსო გავხსენი, რეზინის ხელთათმანებს, დოლბანდებს ხელი შევავლე. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მექნა და როგორ უნდა გამომეყენებინა. შიდა ხაზზე დავრეკე, იმედი მქონდა, რომ უილის მამას დაველაპარაკებოდი, მაგრამ წკრიალი ცარიელ სახლში ჩაიყლაპა და კედლებს ექოდ მოედო.

ის იყო, მისის ტრეინორთან დარეკვაზე ვფიქრობდი, რომ უკანა კარი გაიღო და ნათანი შემოვიდა. თბილად ჩაფუთნულიყო, შალის კაშნე ეხვია და ქუდიც ეფარა. სახე თითქმის არ უჩანდა. გარედან ცივი ჰაერი და შლეიფად ფანტელები შემოყვა.

თითქოს, სახლი ღრმა ძილიდან გამოფხიზლდაო.

– მადლობა ღმერთს, მოხვედი, – შევძახე მე, – არ არის კარგად. მთელი დილაა, სულ სძინავს. არც უჭამია და არც დაულევია რამე. აღარ ვიცოდი, რა მექნა.

ნათანმა პალტო ჩამოიფერთხა.

– ფეხით მომიწია მოსვლა. ავტობუსები არ დადის.

მე მისთვის ჩაის მოსამზადებლად სამზარეულოსკენ გავეშურე, ნათანი კი უილთან შევიდა.

სამზარეულოში იქამდე შემოვიდა, სანამ ჩაიდანი ადუღდებოდა.

– ერთიანად იწვის. რამდენი ხანია, რაც ასეა? – მკითხა.

– მთელი დილაა. შევამჩნიე, რომ ცხელი იყო, მაგრამ მითხრა, მარტო ძილი მინდაო.

– ღმერთო ჩემო! მთელი დილა? არ იცი, რომ მის სხეულს ტემპერატურის რეგულირება არ შეუძლია?

გვერდზე გამწია და წამლების სათავსოსთან მივარდა.

– სასწრაფოდ ანტიბიოტიკები გვინდა. რაც შეიძლება, ძლიერი.

ფლაკონი ქვასანაყში ჩაცალა და გაბრაზებულმა ხმაურით დაფხვნა.

მის ზურგს უკან ადგილს ვერ ვპოულობდი.

– პარაცეტამოლი მივეცი.

– ბარემ სნიკერსი გეჭმია.

– მე რა ვიცოდი. არავის უთქვამს. თბილად დავაფარე.

– ყველაფერი იმ ოხერ საქაღალდეში გაქვს, ლუისა! მისმინე, უილი ისე არ ოფლიანობს, როგორც ჩვენ. უფრო სწორად, ოფლი საერთოდ არ გამოსდის ზურგის ტვინის დაზიანების ადგილიდან ქვემოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ პატარა გაციების დროსაც კი სიცხე სასტიკად აუვარდება ხოლმე მაღლა. ვენტილატორი მოძებნე. მის ოთახში დაგვჭირდება, სანამ არ გაგრილდება. სველი პირსახოციც წამოიღე, რომ კისერზე შემოვახვიოთ. ექიმს ვერ ვაჩვენებთ, სანამ თოვა არ შეწყდება. ჯანდაბა იმ სააგენტოს ექთანს. დილით რომ ამ მდგომარეობაში ნახა, როგორ არ გადაიყვანა.

ნათანი ასეთი გაბრაზებული ჯერ არ მინახავს. გაჩუმდა. ვენტილატორის მოსატანად გავიქეცი.

ორმოცი წუთი დაგვჭირდა, სანამ უილის ტემპერატურა დასაშვებ მაჩვენებლამდე დაიწევდა. სანამ ველოდით, როდის შევიდოდა მოქმედებაში ყველაზე ძლიერი წამალი, რაც კი ციების საწინააღმდეგოდ გვქონდა, ერთი სველი პირსახოცი შუბლზე დავადე, მეორე კი კისერზე შემოვახვიე, როგორც ნათანმა მასწავლა. უილს გავხადეთ, მკერდზე ბამბის ზეწარი გადავაფარეთ და ვენტილატორი მივუშვირეთ. შიშველ სხეულზე მისი მაჯის იარები კიდევ უფრო თვალშისაცემად ჩანდა. მეც და ნათანსაც თავი ისე გვეჭირა, თითქოს, მათ ვერ ვხედავდი.

მთელი ეს პერიოდი, როცა თავს დავტრიალებდით, უილი ჩუმად იყო, ნათანის კითხვებზე, მხოლოდ დიახს ან არას პასუხობდა. ხანდახან ამასაც ისე გაურკვევლად ამბობდა, ეჭვი მეპარებოდა, რომ საერთოდ ესმოდა, რას ეთანხმებოდა ან უარობდა. ახლა, როცა სინათლეზე ვუყურებდი, გავაცნობიერე, მართლა როგორ ავად იყო და საშინლად ვიგრძენი თავი, რომ ამას აქამდე ვერ მივხვდი. გაუჩერებლად ვიხდიდი ბოდიშს, სანამ ნათანმა არ მითხრა, ნუ შემაწუხეო.

– კარგი. დამაკვირდი, რას და როგორ ვაკეთებ. შეიძლება მოგვიანებით იმავეს გაკეთება შენც მოგიწიოს.

გაპროტესტება არც მიფიქრია, მაგრამ, როდესაც ნათანმა უილს პიჟამა ჩამოუწია, შიმშილისგან ჩავარდნილი მუცლის ფერმკრთალი კანი გაუშიშვლა და ფრთხილად მოაშორა დოლბანდი პატარა მილს, რომელიც მისი მუცლის ღრუდან გამოდიოდა, აქ გულისრევა ვიგრძენი. ნათანმა მილი ფრთხილად გაასუფთავა და დოლბანდი გამოცვალა. მაჩვენა, როგორ უნდა შემეცვალა პაკეტი, რომელიც საწოლზე იყო მიმაგრებული და ისიც ამიხსნა, რატომ იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი ყოველთვის უილის სხეულის დონეზე დაბლა ყოფილიყო. მე თვითონვე გამიკვირდა, როცა, თითქოს არაფერიაო, ისე გამოვედი უილის ოთახიდან თბილი სითხით სავსე პაკეტით ხელში. კიდევ კარგი, უილი არ მიყურებდა, იმიტომ არა, რომ რაიმე მწარე კომენტარს გააკეთებდა, არამედ იმიტომ, რომ მე მისი ინტიმური რუტინის მოწმე გავხდი. ეს კი მასაც შეაცბუნებდა და თავს უხერხულად აგრძნობინებდა.

– ესეც ასე, – თქვა ნათანმა. როგორც იქნა, ერთსაათიანი წვალების შემდეგ, უილი სუფთა, ახალ თეთრეულში მშვიდად იწვა და თვლემდა. შესაძლოა, მთლად ჯერ არ გამოჯანმრთელებულიყო, მაგრამ თავისი ავამდყოფობით აღარც მაშინებდა.

– იძინოს. მაგრამ ორიოდე საათში გააღვიძე და იზრუნე იმაზე, რომ თავისი მაღალკალორიული სასმლის საუკეთესო და დიდი დოზა მიიღოს. წამლები ხუთ საათზე დაალევინე. ტემპერატურა მაგ დროისათვის ცოტას აუწევს, მაგრამ საშიში არაფერია. მანამდეც არაფერი მოხდება.

რასაც მეუბნებოდა, ყველაფერს ბლოკნოტში ვიწერდი. მეშინოდა, რომ რამე არ გამომრჩენოდა, არასწორად არ გამეგო.

– საღამოს მოგიწევს ყველაფერი გაიმეორო, რაც წეღან გავაკეთეთ. რამე პრობლემა ხომ არაა? – ნათანი ისევ შეიფუთნა და გარეთ გავიდა, – წაიკითხე ყველაფერი, რაც

საქაღალდეში გაქვს. ნუ გეშინია. თუ რამე გაგიჭირდა, დამირეკე. ყველაფერს დეტალურად აგიხსნი. კიდევაც დავბრუნდები, თუ ეს მართლა საჭირო იქნება.

* * *

ნათანის წასვლის შემდეგ, უილის ოთახში შევბრუნდი. მისი მარტო დატოვების მეშინოდა. კუთხეში ტყავის ძველი სავარძელი იდგა, ლამპით გვერდზე. ეს, ალბათ, უილის წინა ცხოვრების გადმონაშთი იყო. წიგნების თაროდან მოთხრობების რომელიღაც კრებული ავიღე, სავარძელში ფეხი მოვირთხი და კითხვა დავიწყე.

ოთახში უცნაური სიწყნარე იდგა. ფარდებს შორის ჭუჭრუტანიდან ვხედავდი გარეთ ყველაფერი თეთრად შემოსილი, მშვიდი და ლამაზი იყო. შიგნით თბილოდა და სიჩუმე იდგა. ფიქრების ნაკადს პერიოდულად ცენტრალური გათბობის ტკაპუნი და შიშინი თუ მირღვევდა. ვკითხულობდი და დროდადრო უილს ვაკვირდებოდი. მშვიდად ეძინა. უცბად გავაცნობიერე, რომ ცხოვრებაში არ მქონია მომენტი, როდესაც უბრალოდ ჩუმად ვიჯდებოდი და არაფრის კეთებით ვიქნებოდი დაკავებული. სიჩუმეს ისეთ სახლში, სადაც მე გავიზარდე, ადამიანი ვერ შეიცნობდა. იქ გამუდმებით ისმოდა მტვერსასრუტის ხმა, გაჰყვიროდა ტელევიზორი და ხორხოცებდნენ ადამიანები. იმ იშვიათ წუთებში, როდესაც ტელევიზორი გამორთული იყო, მამაჩემი ელვის პრესლის თავის ძველ ჩანაწერებს რთავდა და ბოლო ხმაზე უსმენდა. კაფეშიც მუდმივად ხალხი ზუზუნებდა და ჭურჭელი ჩხაკუნობდა. აქ საკუთარი ფიქრების მოსმენა შემეძლო. საკუთარი გულისცემის ხმაც კი მესმოდა. ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე, რომ ეს მომწონდა.

ხუთ საათზე ჩემმა მობილურმა დაიწკარუნა და შეტყობინება მოვიდა. უილი შეკრთა. სავარძლიდან სასწრაფოდ წამოვძვერი, რომ დროულად ამეღო და უილი არ შემეწუხებინა. „მატარებლების რეისები გაუქმდა. შესაძლებელია, რომ ღამით დარჩეთ? ნათანი ვერ დარჩება. კამილა ტრეინორი“

ისე ვუპასუხე, რომ არც კი დავფიქრებულვარ, რას ვწერდი.

„რა თქმა უნდა. პრობლემა არ არის.“

ჩემს მშობლებს დავურეკე და გავაფრთხილე, რომ ვრჩებოდი. დედაჩემი დამშვიდდა. ისიც რომ ვუთხარი, ამის გამო დამატებით გადამიხდიან-მეთქი, კიდევაც გამხიარულდა.

– ბერნარდ, გაიგე? – აქ აშკარად ხელის გული სანახევროდ დააფარა ყურმილს, მაგრამ ხმა მაინც მესმოდა, – ფულს ახლა ძილშიც უხდიან.

– სათავისო საქმე უპოვია, – წამოიძახა მამაჩემმა, – აწი შეუძლია ოცნების კარიერაც რომ აიწყოს.

შეტყობინება პატრიკსაც გავუგზავნე, მივწერე, რომ მთხოვეს სამსახურში ღამითაც დავრჩენილიყავი და მოგვიანებით დავურეკავდი. რამდენიმე წამში პასუხიც მივიღე:

„ამაღამ ქალაქის ერთი ბოლოდან მეორესკენ ვირბენ.

ნორვეგიისთვის საუკეთესო ვარჯიშია. გკოცნი.“

ასეთი არაფერი მენახა. ვერასდროს გავიგებდი, რა აღაფრთოვანებდა შუაღამისას, ყინვაში, შორტებსა და მაისურში გამოწყობილს რომ უნდა ერბინა.

უილს ეძინა. ჩემთვის საჭმელი მოვიმზადე. უილსაც გავუკეთე სუპი, თუ მოგვიანებით ჭამას მოინდომებდა. შეშაც გავამზადე იმ შემთხვევისთვის, თუ მომჯობინდებოდა და მისაღებ ოთახში მოინდომებდა გასვლას. კიდევ რამდენიმე მოთხრობა წავიკითხე და დავფიქრდი, ბოლოს როდის ვიყიდე ჩემთვის წიგნი. პატარა რომ ვიყავი, კითხვა მიყვარდა, მაგრამ მას შემდეგ, მოზრდილობაში, ჟურნალების გარდა, რამე თუ წამეკითხა, ვერ ვიხსენებდი. კითხვა ტრინას უყვარდა ძალიან. ყოველთვის, როდესაც ხელში წიგნს ვიღებდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მის ტერიტორიაზე ვიჭრებოდი. მასზე და ტომასზე ვფიქრობდი, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში რომ გადავიდოდნენ და ვერაფრით გამეგო, ეს მახარებდა, მწყინდა, თუ რაღაც უფრო რთულსა და შუალედურს განვიცდიდი. შვიდ საათზე ნათანმა დარეკა. ღამით ჩემი იქ დარჩენის ამბავმა გაახარა.

– მისტერ ტრეინორს ვერ ვუკავშირდები, – ვუთხარი ნათანს, – სახლის ნომერზეც ვრეკე, მაგრამ არავინ მპასუხობს. არც შიდა ხაზზე.

– ჰო... ალბათ, წავიდა.

– წავიდა?

უცბად შემაშინა იმის წარმოდგენამ, რომ ამხელა სახლში მე და უილი მთელი ღამით მარტო ვრჩებოდით. მეშინოდა, ისევ რამე დიდი შეცდომა არ დამეშვა და უილის ჯანმრთელობა საფრთხეში არ ჩამეგდო.

– მაშინ მისის ტრეინორს დავურეკავ.

ნათანი ცოტა ხანს დადუმდა.

– არა, აჯობებს, თუ არ დაურეკავ.

– მაგრამ...

– მისმინე, ლუისა, მისტერ ტრეინორი... ხანდახან... ხშირად სახლიდან მიდის ხოლმე, როდესაც მისის ტრეინორი ქალაქში რჩება.

ერთი ან ორი წუთი მაინც დამჭირდა, სანამ მივხვდებოდი, რას მეუბნებოდა.

– ოჰ...

– კარგია, რომ შენ მანდ ხარ. სულ ესაა. თუ დარწმუნებული ხარ, რომ უილი უკეთესად არის, მე დილით მოვალ.

* * *

არსებობს „ჯანმრთელი საათები“ და არსებობს „ავადმყოფი საათები“, როდესაც დრო იყინება, იწელება... როდესაც ცხოვრება – რეალური ცხოვრება – სადღაც შენგან შორს მიედინება. ტელევიზორს ვუყურე, ვჭამე, სამზარეულო დავალაგე, უხმაუროდ დავდიოდი ფლიგელში. ბოლოს ისევ უილის ოთახში შევედი.

როგორც კი კარი მივხურე, თავი გაამოძრავა და შემომხედა.

– რომელი საათია, კლარკ? – მოგუდული ხმით მკითხა.

– ცხრის თხუთმეტი წუთია.

თავი ჩაჰკიდა და სცადა გადაეხარშა, რა დრო გავიდა.

– შეიძლება, დავლიო?

მის ხმას ჩვეული სიხისტე და უკმეხობა აკლდა. ავად ყოფნამ, როგორც იქნა, გააადამიანურა. სასმელი მივეცი და ლამპა ავანთე. საწოლის კიდეზე ჩამოვუჯექი და შუბლი გავუსინჯე, როგორც დედაჩემი აკეთებდა ხოლმე, როცა პატარა ვიყავი. ზომაზე ოდნავ უფრო ცხელი იყო, მაგრამ რა შედარებაა, ბევრად უკეთ იყო.

– ცივი ხელები გაქვთ.

– მაგაზე წუწუნი უკვე მოასწარით.

– მართლა? – გულწრფელად გაუკვირდა.

– სუპი გინდათ?

– არა.

– მოხერხებულად წევხართ?

ვერასდროს წარმოვიდგენდი, რამდენად არაკომფორტულად გრძნობდა თავს, მაგრამ, ალბათ, იმაზე მეტად, ვიდრე ისურვებდა.

– მეორე მხარეს მინდა გადაბრუნება. უბრალოდ გადამატრიალეთ. წამოჯდომა არ მინდა. საწოლზე ავძვერი და გადავაბრუნე. რამდენადაც შემეძლო, მსუბუქად. ისეთ მწვავე სიმხურვალეს ნამდვილად აღარ აფრქვევდა, ჩვეულებრივი ტემპერატურა ჰქონდა, საბანქვეშ ჩათბუნებული ადამიანის ტემპერატურა.

– რამე ხომ არ გინდათ კიდევ?

– სახლში წასვლის დრო არ მოვიდა?

– მაგაზე ნუ დარდობთ, – ვუპასუხე მე, – აქ ვრჩები.

მზის უკანასკნელი სხივი თვალს მიეფარა და საბოლოოდ ჩამობნელდა. ისევ თოვდა. ფანჯრის მიღმა, ლამპიონის შუქზე ფანტელები ციმციმებდა. პარმაღს ღია ოქროსფერი, მელანქოლიური ფერი ედგა. ჩუმად ვისხედით და მონუსხულები შევყურებდით.

– შეიძლება, რაღაც გკითხოთ? – ვთქვი ბოლოს. ვხედავდი მის ხელებს საბანს ზემოდან. მისი მკლავები ისე მეუცნაურებოდა – ასეთი ჩვეულებრივი და ძლიერი რომ ჩანდა და, ამავდროულად, ვიცოდი, რომ... გამოუსადეგარი იყო.

– რა გაგაჩერებთ?..

– რა მოხდა? – ნაიარევები მის მაჯებზე მოსვენებას არ მაძლევდა. პირდაპირ ვერ ვკითხავდი.

ცალი თვალით შემომხედა.

– ანუ როგორ გავხდი ასეთი?

თავი დავუქნიე. თვალები ისევ დახუჭა.

– უბედური შემთხვევა მოტოციკლით. ჩემით არა. რიგითი ფეხით მოსიარულე ვიყავი ამ შემთხვევაში.

– მეგონა, თხილამურებით სრიალისას ან ბანჯოთი ხტომისას დაგემართათ.

– ყველას ასე ჰგონია. ღმერთს კარგი იუმორის გრძნობა აქვს. სახლთან ახლოს გზაზე გადავდიოდი. აქ არა, – მიპასუხა უილმა, – ლონდონის სახლს ვგულისხმობ.

თაროზე წიგნებს მივაჩერდი. გამომცემლობა „პინგვინ ბუქსის“ მოთხრობებსა და რომანებს შორის ელაგა ლიტერატურა ბიზნესის შესახებ: „კორპორაციული სამართალი“,

„შერწყმისა და შთანთქმის სტრატეგიები“, სახელმძღვანელოები ისეთი ავტორებისა, რომლებიც არასდროს გამეგო.

– არ შეიძლებოდა, რომ სამსახურზე უარი არ გეთქვათ?

– არა. უარი ვთქვი სამსახურზეც, ბინაზეც, გართობაზეც, დასვენებაზეც, ცხოვრებაზეც... ჩემს ყოფილ შეყვარებულს უკვე იცნობთ. – აქ მცირე ხნით შეჩერდა, მაგრამ ამ პაუზამ მის ხმაში აღელვება ვერ შენიღბა, – თუმცა, მადლობა უნდა ვთქვა, რომ გადავრჩი. ამ შემთხვევის მერე დიდხანს იყვნენ დარწმუნებულები, რომ ვერ ვიცოცხლებდი.

– გეზიზღებათ აქაურობა? აქ ცხოვრება...

– ჰო.

– არ შეიძლება, რომ ისევ ლონდონში გადახვიდეთ?

– ასე არა.

– ჰო, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ უკეთ გახდეთ? ასეთი ტიპის ტრავმების მკურნალობაში მედიცინა წინ მიდის.

უილმა ისევ დახუჭა თვალები.

ცოტა ხანს მოვიცადე. თავქვეშ ბალიში გავუსწორე და საბანი ამოვუკეცე.

– ბოდიში... – ვთქვი და წელში გავსწორდი, – თუ ზედმეტი კითხვები დავსვი. გინდათ, წავიდე?

– არა. დარჩით. მელაპარაკეთ, – ნერწყვი გადაყლაპა. თვალები ისევ გაახილა. მისი მზერა ჩემსას შეხვდა. გაუსაძლისად დაღლილი ჩანდა, – რამე კარგი მომიყევით.

ერთხანს მერიდებოდა, მერე მის გვერდით მეც ბალიშებს მივეყრდენი. თითქმის სრულ სიბნელეში ვისხედით და თვალს ვადევნებდით ფიფქებს, ლამპიონის შუქზე რომ გაიბრწყინებდნენ და სიბნელეში იკარგებოდნენ.

– იცით... მეც ასე ვეუბნებოდი ხოლმე მამაჩემს, – ვთქვი, როგორც იქნა, – მაგრამ ისიც რომ გითხრათ, ის როგორ მპასუხობდა, ჩათვლით, რომ გიჟი ვიყავი.

– იმაზე მეტად გიჟი, ვიდრე ახლა ხართ?

– როდესაც ცუდ სიზმარს ვნახავდი ან ცუდ ხასიათზე ვიყავი, ან რაიმესი შემეშინდებოდა, მამა მიმღეროდა ხოლმე... – სიცილი ამიტყდა, – არა, არ შემიძლია.

– განაგრძეთ.

– მოლაჰონკის სიმღერას მიმღეროდა.

– მოლა... რას?

– მოლაჰონკის სიმღერა. არ მეგონა, თუ არსებობდა ადამიანი, ვინც ეს სიმღერა არ იცის.

– მერწმუნეთ, კლარკ, – ჩაილაპარაკა სუსტად, – ჩემი ყურები მოლაჰონკს ჯერ არ შეურყვნია.

ღრმად ჩავისუნთქე, თვალები დავხუჭე და დავიწყე:

„როოგოოორ მინდა ვცხოვრობდეეე
მოოლაააჰონკის მიწაზეეე,
დაავიიიბადე, სადაც მეეე
და ვუუკრაააავდი ბანჯოზეეე“

– ღმერთო ჩემო!

კიდევ ერთხელ ჩავისუნთქე და გავაგრძელე:
„როოოს მივااااკითხე ოსტატსااა
უშვეელე-მეეეთქი ბანჯოსااა,
სიიიმები დამწყდაარაოოო,
არ ეეეშველებაა, არაოოო“
ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოწვა.
– არანორმალური ხართ, კლარკ. მთელი ოჯახი არანორმალურები ხართ.
– თქვენ წარმოიდგინეთ, ეს სიმღერა მშველოდა.
– საშინლად მღერით. იმედია, მამათქვენი მაინც მღეროდა უკეთესად.
– მგონი, სხვა რამ გინდოდათ, გეთქვათ, მაგალითად: „გმადლობთ, მის კლარკ, რომ ჩემი გამხიარულება მოინდომეთ“.
– მაგ მონდომებას ისეთივე შედეგი ექნება, როგორც ფსიქოთერაპევტების სეანსების სრულ უმრავლესობას, რაც კი მიმიღია. კარგი, კლარკ. – დაამატა მოგვიანებით, – მითხარით კიდე რამე. ოღონდ ისეთი, რომ სიმღერა არ დაგჭირდეთ.
ცოტა ხანს დავფიქრდი.
– იმ დღეს ჩემი ფეხსაცმელები ხომ შეამჩნიეთ...
– მაგათ ვერშემჩნევას მოხერხება უნდა.
– მოკლედ, დედაჩემის აზრით, ჩემი სიყვარული უცნაური ფეხსაცმელების მიმართ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა სამი წლის ვიყავი. ერთ დღეს ფირუზისფერი ბრჭყვიალებით გაწყობილი ბოტები მიყიდა. იმ დროისათვის ეს დიდი ამბავი იყო. მაშინ ყველა ბავშვს მწვანე ბოტები ეცვა, ძალიან იღბლიანებს – წითლები. როგორც კი სახლში მოვიტანე და გაგასინჯე, მას მერე ცოცხალი თავით ვეღარ გხდიდითო. თურმე, საწოლშიც მეცვა, როცა მაბანავებდნენ, მაშინაც, საბავშვო ბაღშიც. მოკლედ, მთელი ზაფხული ფეხიდან არ გამიხდია. ჩემი საყვარელი ჩაცმულობა ეგ იყო – ბრჭყვიალა ფეხსაცმელები და ბზიკა კოლგოტები.
– ბზიკა კოლგოტები როგორია?
– შავი და ყვითელი ზოლებით.
– რა სილამაზე იქნება, წარმომიდგენია.
– სულ არაა სასაცილო!
– სასაცილო კი არა, საზიზღრობაა!
– შესაძლოა, ესეც საზიზღრობად ჩათვალოთ, უილ ტრეინორ, მაგრამ რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს თქვენთვის, არიან გოგონები, რომლებიც მარტო იმიტომ არ იცვამენ, რომ მამაკაცებს მოაწონონ თავი.
– სისულელეა.
– არაფერიც! არაა სისულელე.
– ყველაფერს, რასაც ქალი აკეთებს, მამაკაცებისთვის აკეთებს. ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ, სექსისთვის ვაკეთებთ. „წითელი დედოფალი“ არ წაგიკითხავთ?
– წარმოდგენა არ მაქვს, რა წიგნია „წითელი დედოფალი“. მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, უილ ტრეინორ, რომ მე... აქ, ახლა... თქვენს საწოლზე იმისთვის არ

ვზივარ და „მოლაჰონკის სიმღერას“ იმისთვის არ ვმღერი, რომ სექსი მინდა. და როდესაც სამი წლის ვიყავი, მაშინ უბრალოდ ძალიან, ძალიან მომწონდა ზოლიანი კოლგოტები. უცბად მივხვდი, რომ შფოთვა, რომელსაც დილიდან ატანილი ვყავდი, უილთან ლაპარაკში თანდათან ქრებოდა. მე აღარ ვიყავი მხოლოდ მომვლელი, რომელსაც საცოდავი ხელ-ფეხწართმეული ადამიანი მებარა. მე უბრალოდ მე ვიყავი, გოგო, რომელიც ერთ ცინიკოს ბიჭთან ერთად იჯდა და ლაყბობდა.

– კარგი, მაგრამ იმ ულამაზეს და უმოდურეს ბრჭყვიალა ბოტებს რა დაემართა?

– დედაჩემმა გადაყარა. მე კიდევ სოკო გამიჩნდა.

– გადასარევი ამბავია.

– კოლგოტებიც გადამიგდო.

– რატომ?

– არ ვიცი, მაგრამ ძალიან დამწყდა გული. ასეთი კოლგოტები სხვაგან არსად მინახავს. აღარც არასდროს მქონია კოლგოტი, რომელიც ასე მეყვარებოდა. ეტყობა, აღარ აკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, დიდი გოგოებისთვის არ აკეთებენ.

– რა უცნაურია.

– დამცინეთ, ჰო... ასე ძალიან არაფერი გყვარებიათ?

ძლივსღა ვხედავდი. ოთახში უკვე ძალიან ბნელოდა. შემეძლო, სინათლე ამენთო, მაგრამ რაღაც მაჩერებდა. როგორც კი მივხვდი, რა წამოვროშე, მაშინვე ვინანე.

– ჰო, – მიპასუხა ჩუმად, – მყვარებია.

ცოტა ხანს კიდევ ვისაუბრეთ. მერე ჩაეძინა. მე ვიწექი, მის სუნთქვას ყურს ვუგდებდი და ვფიქრობდი, ნეტავ რას იტყვის, უცებ რომ გაეღვიძოს და დამინახოს, ასე რომ მივჩერებივარ... მეტისმეტად ჩამოგრძელებულ თმაზე, დაღლილ თვალებზე, გაბურძგნულ წვერზე ვაკვირდები-მეთქი. მაგრამ ადგილიდან არ ვიძვროდი. საათი საათს მისდევდა. მე თითქოს სიურეალისტურ კუნძულზე ვიჯექი და გარს დროის მდინარე მერტყა. მის გარდა ერთადერთი ადამიანი ვიყავი სახლში და ისევ მეშინოდა, რომ გვერდიდან მოვშორებოდი. თერთმეტ საათს რომ გადასცდა, შევამჩნიე, რომ ოფლიანობა მოემატა, სუნთქვა დაუმძიმდა. გავაღვიძე და ციების წამლები მივეცი. არაფერი უთქვამს, რამდენჯერმე მადლობის ნიშნად ჩაიბუტბუტა. ზეწარი და ბალიშის პირი გამოვუცვალე. როცა ისევ ჩაეძინა, მისგან ერთი ფუტის მოშორებით დავწექი და დიდი ხნის მერე მეც ჩამეძინა.

* * *

ჩემი სახელის ძახილმა გამაღვიძა. საკლასო ოთახში ვიჯექი, მერხზე ჩამძინებოდა. მასწავლებელი ცარცით დაფაზე აკაკუნებდა და ჩემს სახელს იმეორებდა. ვიცოდი, ყურადღებას თუ არ მივაქცევდი, მასწავლებელი ამას დივერსიულ აქტად ჩამითვლიდა, მაგრამ მერხიდან თავის აწევას ვერაფრით ვახერხებდი.

– ლუისა.

– მმმმმჰ..

– ლუისა.

ძალიან რბილი მერხი მქონდა. თვალები გავახილე. სახელს ზედ თავზე დამძახოდნენ. ჩუმად, მაგრამ მახვილით და სისინით – ლუისსსა!

საწოლზე ვიწექი. თვალები დავახამხამე, ფოკუსი გავასწორე, ავიხედე და თავზე, თურმე, კამილა ტრეინორი მადგა. სქელი შალის პალტო ეცვა და მხარზე ჩანთა გადაეკიდა.

– ლუისა.

წამოვხტი და საწოლზე წამოვჯექი. ჩემ გვერდით უილს ეძინა, პირი ოდნავ გაეღო, მკლავი იდაყვში მოხრილი ჰქონდა. ფანჯრიდან სინათლე შემოდიოდა. აშკარა იყო, რომ ნათელი, მაგრამ ცივი დილა იდგა.

– ოჰ...

– აქ რას აკეთებთ?

თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს რაღაც სამარცხვინო საქციელის ჩადენისას წამასწრეს. თვალები მოვიფშვნიტე. ვცდილობდი, აზრებისთვის თავი მომეყარა. აქ რატომ ვიყავი? რა უნდა მეთქვა?

– უილის საწოლში რას აკეთებთ?

– უილი... – ვუპასუხე ხმადაბლა, – უილი თავს კარგად არ გრძნობდა... მე... მე ვიფიქრე, რომ თვალს თუ არ მოვაშორებდი...

– რას ნიშნავს, თავს კარგად არ გრძნობდა? ჰოლში გელოდებით.

ოთახიდან გავიდა. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვდა, რომ წამებში უკან მივყოლოდი. ასეც მოვიქეცი, თან ვცდილობდი, რომ ტანსაცმელი გამესწორებინა. გული მიგრძნობდა, რომ წინა დღის მაკიაჟით მთელი სახე მოთხუპნული მქონდა.

უილის საწოლი ოთახის კარი ჩემს ზურგს უკან მიხურა.

მის წინ ვიდექი, თმას ვაწვალებდი და აზრებს ვიკრებდი.

– უილს სიცხე ჰქონდა. ნათანი როცა მოვიდა, წამლები მისცა და დაუწია, მაგრამ მე კარგად არ ვიცოდი ტემპერატურის რეგულირების ამბავი... ჰოდა.. ამიტომ ვიფიქრე, რომ თუ მასთან დავრჩებოდი და თვალს არ მოვაშორებდი... ნათანმა ასე მითხრა...

ჩემი სიტყვები ისეთ აბდაუბდად ჟღერდა, იმაშიც არ ვიყავი დარწმუნებული, რომ სიტყვებს ერთმანეთს სწორად ვაბამდი.

– რატომ არ დამირეკეთ? თუ ავად იყო, მაშინვე ჩემთვის უნდა დაგერეკათ, ან მისტერ ტრეინორისთვის.

აი, აქ გამინათდა გონება და ერთბაშად გამოვფხიზლდი. „მისტერ ტრეინორი, ღმერთო ჩემო!“ – საათს ავხედე. რვას თხუთმეტი წუთი აკლდა.

– მე არ... მე ნათანმა მითხრა, რომ...

– მისმინეთ, ლუისა. ამას უმაღლესი მათემატიკის ცოდნა არ სჭირდება. ძალიან მარტივია. თუ უილი იმდენად ცუდად იყო, რომ მის ოთახში დარჩენა მოგიწიათ, ეს ისეთი ამბავია, რონ ჩემთვის დაუყოვნებლივ უნდა გეცნობებინათ.

– დიახ.

თვალებს ვახამხამებდი და იატაკს ჩავჩერებოდი.

– ვერ ვხვდები, რატომ არ დამირეკეთ. მისტერ ტრეინორთან დაკავშირება მაინც თუ სცადეთ?

„ნათანმა გამაფრთხილა, არაფერი თქვაო“, – ვფიქრობდი ჩემთვის.

– მე...

სწორედ ამ მომენტში ფლიგელის კარი გაიღო და მისტერ ტრეინორი შემოვიდა. იღლიაში გაზეთები ამოეჩარა.

– დაბრუნდი? – უთხრა ცოლს და მხრებიდან ფიფქები ჩამოიბერტყა, – ძლივს გავედი გარეთ, რომ გაზეთები და რძე მომეტანა. საშინელება ხდება. მოყინული გზებისთვის რომ თავი ამერიდებინა, შემოვლითი გზებით მივედი „ჰენსფორდ ქორნერში“.

მისის ტრეინორმა ქმარს შეხედა. წამით დავფიქრდი, შეამჩნია, თუ არა, რომ იგივე პერანგი და სვიტერი ეცვა, რაც წინა დღეს.

– იცოდი, რომ უილი ღამით ცუდად იყო?

მისტერ ტრეინორმა თვალებში შემომხედა. მე მზერა ავარიდე და ჩემს ფეხებს დავაშტერდი. ასე უხერხულად თავი ოდესმე თუ კიდევ მიგრძვნია, არ ვიცოდი.

– ჩემთან დარეკვა სცადეთ, ლუისა? მაპატიეთ... არაფერი გამიგია. მე მგონი, ამ შიდა ხაზს რაღაც პრობლემები აქვს. ამ ბოლო დროს რამდენჯერმე მოხდა ასე, რომ ვერ გავიგე. წუხელ თავს მეც შეუძლოდ ვგრძნობდი. მკვდარივით მეძინა.

ჯერ კიდევ უილის წინდები მეცვა. ვუყურებდი და სირცხვილით ვიწვოდი. ნეტავ მისის ტრეინორი ამის გამოც თუ მისაყვედურებდა.

მაგრამ ჩემთვის არ ეცალა.

– სახლამდე ძლივს მოვაღწიე. კარგი... მე... მე დაგტოვებთ. მაგრამ რამე მსგავსი თუ კიდევ განმეორდა, მაშინვე დამირეკავთ, გასაგებია?

მისტერ ტრეინორისთვის სახეში შეხედვაც არ მინდოდა.

– დიახ, – ვთქვი მე და სამზარეულოში შევიყუჟე.

VII

გაზაფხული ერთ ღამეში დადგა. თითქოს, ზამთარი დაუპატიჟებელი სტუმარივით გაეხვა თავის პალტოში და ღამის უკუნში დაუმშვიდობებლად გაქრა. ყველაფერი გამწვანდა, მზის სხივები გზებზე უხვად იღვრებოდა. გაზაფხულის დამამშვიდებელი სურნელი იდგა. ჰაერში იგრძნობოდა, რომ მალე გარემო ყვავილებით გადაიპენტებოდა. ამ ყველაფერს კი ჩიტების კეთილხმოვანი ჭიკჭიკი ეფინებოდა.

მთელი ეს გარდასახვა უჩემოდ მოხდა. წინა ღამეს პატრიკთან დავრჩი. თითქმის ერთი კვირა იყო, არ მენახა, ვარჯიშის გაძლიერებული პროგრამის გამო. ზღვის მარილის აბაზანის მიღების შემდეგ ორმოცი წუთი ისეთი დაღლილი იყო, აღარც მელაპარაკებოდა. ზურგზე ხელს ვუსვამდი, მისი ცდუნების იშვიათი მცდელობის ნიშნად, მაგრამ წკიპურტი წამკრა, თითქოს, თავიდან მომიშორა და ძალიან დაღლილი ვარო, ჩაიბურდღუნა. ოთხი საათის შემდეგ, გაშტერებული და უკმაყოფილო, ისევ ჭერს შევყურებდი და ძილი არ მეკარებოდა.

მე და პატრიკმა ერთმანეთი მაშინ გავიცანით, როცა სტაჟიორი ვიყავი „ქათინგ ეჯში“ – ჰაილსბერის ერთადერთ სილამაზის სალონში, სადაც ქალებსაც ემსახურებოდნენ და

მამაკაცებსაც. ერთ დღესაც პატრიკი შემოვიდა და ნომერი ოთხი ვარცხნილობა მოითხოვა. სამანტა, სალონის მეპატრონე, დაკავებული იყო და მე მოვემსახურე. როგორც მერე ამბობდა ხოლმე, ჩემი შეჭრილი ვარცხნილობა იყო არა უბრალოდ ყველაზე ცუდი ვარცხნილობა მის ცხოვრებაში, არამედ ყველაზე ცუდი ვარცხნილობა კაცობრიობის ისტორიაში. სამი თვის შემდეგ მივხვდი, რომ, მართალია, საკუთარი ბუწუწების ლაგება მომწონდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ სხვების ვარცხნილობებსაც თავს გავართმევდი. ამიტომაც, სილამაზის სალონი დავტოვე და მუშაობა ფრენკის კაფეში დავიწყე.

ჩვენი პაემნების დასაწყისში პატრიკი გაყიდვების სფეროში მუშაობდა და არაფერი ერჩივნა ლუდის სმას, გაზგასამართი სადგურების მაღაზიების შაქარყინულებს, ლაპარაკს სპორტზე და სექსს (ამ უკანასკნელს არა ლაპარაკით, არამედ ქცევით ჰყვარობდა). პრიორიტეტებიც ზუსტად ამ მიმდევრობით ჰქონდა გადანაწილებული. ჩვენი საუკეთესო საღამოები ამ სრულ პროგრამას მოიცავდა. უფრო მეტად ჩვეულებრივი ტიპი ეთქმოდა, ვიდრე სიმპათიური. ტრაკი ჩემზე უფრო სქელი ჰქონდა, მაგრამ ეს მომწონდა. მომწონდა მისი სიმტკიცე, მომწონდა, თავი როგორ ეჭირა, როცა გარს ვევლებოდი. მამა გარდაცვლილი ჰყავდა. გული მითბებოდა, როცა ვხედავდი, როგორ ეპყრობოდა დედას – მზრუნველად და ყურადღებიანად. ის და მისი ოთხი და-ძმა უოლტონებს (უოლტონები – ამერიკული სერიალი ერთი ოჯახის შესახებ 70-80-იან წლებში, სამი მხატვრული ფილმი სერიალის გაგრძელების სახით.) ჰგავდნენ. ერთმანეთი მართლა ძალიან უყვარდათ. როდესაც მასთან პირველ პაემანზე წავედი, შინაგანი ხმა ჩამძახოდა, ეს კაცი არასდროს მოგაყენებს ტკივილსო და მას შემდეგ, შვიდი წლის განმავლობაში, საბაბი არ მომცემია, რომ ჩემს შინაგან ხმაში ეჭვი შემეტანა.

მერე მარათონელად იქცა.

პატრიკის მუცელი აღარ იყო რბილი და მყუდრო, როცა ვაწვებოდი. პირიქით, მყარი და შეუვალი გახდა, ფიცარივით. თან წარამარა აიწევდა ხოლმე მაისურს და საგნებს ირტყამდა, რომ ეჩვენებინა, რამდენად გამძლე და მკვრივი კუნთები ჰქონდა. სულ გარეთ ყოფნის გამო, სახე გადატეტკვოდა და აჰქერცვლოდა. ბარძაყები კი არა, უზარმაზარი კუნთები აჯდა. თავისთავად, რა თქმა უნდა, სექსუალური შესახედავი იყო და მარტო შესახედავიც არ იქნებოდა, სექსი რომ მართლა ნდომებოდა. მაგრამ სინამდვილეში, თვეში დაახლოებით ორჯერ ვიწექით ერთად. მეც არ ვიყავი ის ტიპი, რომ ინიციატივა გამომეჩინა. რაც უფრო მეტად იკუნთებოდა, მით უფრო მეტად იყო შეპყრობილი საკუთარი სხეულის ფორმებითა და მით უფრო ნაკლებ ინტერესს იჩენდა ჩემდამი. რამდენჯერმე ვკითხე კიდევაც, იქნებ აღარ მოგწონვარ-მეთქი, მაგრამ ცალსახა პასუხს მაძლევდა: „შენ ძალიან ლამაზი ხარ. უბრალოდ მე დავიქანცე. რაც არ უნდა მოხდეს, არ მინდა, რომ გახდე. კლუბის გოგოები ისეთები არიან, ყველასი ერთად რომ აიღო, ერთი ნორმალური ძუძუ არ გამოვა.“ – მინდოდა მეკითხა, ასეთი რთული მათემატიკური განტოლება როგორ ამოხსენი-მეთქი, მაგრამ რაკი მის ნათქვამს კომპლიმენტის დანიშნულება ჰქონდა, აღარ მიკითხავს. მინდოდა, რომ მეც გამომეჩინა ინტერესი მისი საქმიანობის მიმართ. მართლა მინდოდა. ტრიატლონის კლუბის შეხვედრებზეც

დავდიოდი, ვცდილობდი, სხვა გოგოებთან მეჭორავა. მაგრამ მალევე მივხვდი, რომ მათ შორის ანომალიური შემთხვევა ვიყავი – სხვა ბიჭებს ჩემნაირი შეყვარებულები არ ჰყავდათ. კლუბის დანარჩენი წევრები ან მარტოები იყვნენ, ან თავისნაირი დაკუნთული შეყვარებულების გვერდით. წყვილები ერთად ვარჯიშობდნენ, ერთად გეგმავდნენ შაბათკვირას სპანდექსის შორტებში, საფულეებით თავმომწონედ დაატარებდნენ ერთმანეთის სურათებს, რომლებიც სხვადასხვა შეჯიბრზე იყო გადაღებული, ან მათ საერთო გამარჯვებას ასახავდა. ყოვლად აუტანელი ამბავი იყო. სექსუალური მანიაკი ნამდვილად არ გახლდით. ბოლოს და ბოლოს, დიდი ხანი ვიყავით ერთად. მაგრამ ჩემს რომელიღაც გარყვნილ ნაწილს უკვე ეჭვი ეპარებოდა ჩემს მიმზიდველობაში.

პატრიკს არასდროს ადარდებდა ჩემი ჩაცმის „შემოქმედებითი“ მანერა, როგორც თავად უწოდებდა. მაგრამ იქნებ ბოლომდე გულწრფელი არ იყო? პატრიკის სამსახური, მთელი მისი სოციალური ცხოვრება ახლა სხეულის კონტროლის იდეის გარშემო ტრიალებდა – მისი მორჯულების, გამოწრთობის, გამოძერწვის ამოცანების ირგვლივ. იქნებ იმ მოპუსკული, მკვრივი და მოტმასნილ შარვლებში გამოკვართული საჯდომების შემხედვარეს ჩემი აღარ მოსწონდა? იქნებ, ჩემი სიმრგვალეები, რაც მანამდე ყოველთვის მეგონა, რომ მადას აღძრავდა, ახლა მისი მომთხოვნი თვალისათვის ფუმფულა და უფორმო ცომად ქცეულიყო?

ეს ფიქრები მიფუთფუთებდა თავში, როცა მისის ტრეინორი შემოვიდა და მე და უილს გარეთ გასვლა გვიბრძანა.

– დამლაგებლებს ვთხოვე, მოსულიყვნენ და საგაზაფხულოდ გენერალურად დაელაგებინათ აქაურობა. სანამ ისინი აქ არიან, გარეთ გადით და ამინდით დატკბით.

უილმა შემომხედა და წარბები ზემოთ აზიდა.

– ეს თხოვნა არ არის, არა, დედა?

– მე უბრალოდ ვფიქრობ, რომ კარგი იქნება, სუფთა ჰაერი ჩაგეყლაპა. პანდუსი გამართულია. ლუისა, ჩაისაც ხომ არ გაიყოლებდით?

ნამდვილად არ იყო ურიგო შემოთავაზება. ბაღი ძალიან გალამაზებულიყო. თითქოს, ტემპერატურის უმნიშვნელო მომატებამ გარშემო ყველაფერს გადააწყვეტინა, გამწვანებულიყო. თითქოს არსაიდან გაჩენილიყვნენ ნარგიზები. მათი ყვითელშეპარული კვირტები მიანიშნებდა, რომ სადაცაა, ყვავილებიც გაიშლებოდა. ყავისფერ ტოტებზე კვირტები ჩვენ თვალწინ სკდებოდა, მრავალწლიანი მცენარეები დაჟინებითა და მტკიცედ მოიწევდნენ მუქი, ნესტიანი მიწიდან. კარი გავაღე და ეზოში გავედით. უილი ეტლით მიუყვებოდა ქვიშა-ქვის ფილებით დაგებულ ბილიკს. თუჯის მერხზე მიმანიშნა, რომელზეც სქელი ბალიშები ეყარა. მეც დავჯექი. თავები გადავწიეთ, სახეები მზის ჯერ კიდევ სუსტ სხივებს მივუშვირეთ. ერთხანს ასე ვისხედით და ბუჩქების მესერში მოძიძგილავე ბეღურების ჟივილხივილს ვუსმენდით.

– რა გჭირთ?

– რას გულისხმობთ?

– ძალიან ჩუმად ხართ.

– თვითონ გაქვთ ნათქვამი, ჩემთან ჩუმად იყავითო.

– ასე ძალიან ჩუმადაც არა. ეს უკვე მაშინებს.
– ყველაფერი რიგზეა, – ვუთხარი და ცოტა ხანში დავამატე, – შეყვარებულის ამბებია... თუ მართლა გაინტერესებთ.
– აჰ... ის მორბენალი.
თვალები გავახილე, რომ დამენახა, დამცინოდა, თუ სერიოზულად ლაპარაკობდა.
– რა მოხდა? აბა? მოუყევით ძია უილს.
– არა.
– დედაჩემი კიდე ერთი საათი მაინც არ გაუშვებს დამლაგებლებს და მთვარეულებივით აბორიალებს სახლში. ასე რომ, ლაპარაკი მაინც მოგიწევთ.
წელში გავსწორდი და სახით მისკენ შევბრუნდი. მის საშინაო ეტლს ჰქონდა ღილაკი, რომლითაც წამოწევა შეეძლო, რათა მოსაუბრე ადამიანს სიმაღლეში გასწორებოდა. მეტწილად არ იყენებდა, რადგან ხშირად თავბრუს ახვევდა, მაგრამ ახლა დააჭირა და მომიწია მისთვის ქვემოდან ამეხედა.
პალტო შემოვიხვიე და ალმაცერად გავხედე.
– კარგი, რისი მოსმენა გინდათ?
– რამდენი ხანია, რაც ერთად ხართ?
– ექვს წელზე ცოტა მეტია.
გაკვირვებულმა შემომხედა.
– ბევრია.
– ჰო, ნუ... – ვუთხარი და გადავიწიე, რომ მის მუხლებზე პლედი გამესწორებინა. მატყუარა ამინდი იყო – მზე იმაზე მეტს გპირდებოდა, ვიდრე მოცემა შეეძლო.
– რას საქმიანობს?
– პერსონალური ტრენერია.
– ამიტომაც დარბის.
– ამიტომაც დარბის.
– როგორია? სამი სიტყვით როგორ დაახასიათებდით – თუ ასე უფრო გაგიადვილდებათ.
დავფიქრდი.
– პოზიტიური. სანდო. სხეულზე ცხიმის ფენის გადანაწილებით შეპყრობილი.
– ეგ უკვე შვიდი სიტყვაა.
– ესე იგი, ოთხი უფასოდ გერგოთ. ის როგორია?
– ვინ ის?
– ალისია, – ისევე შევხედე, როგორც თვითონ მიყურებდა, – ჯიქურ და პირდაპირ.
ღრმად ჩაისუნთქა და ჩემ თავს ზემოთ ჭადრის ხეს შეაჩერდა. თმა თვალებში ეფხატებოდა და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ წავწვდენოდი და გვერდით არ გადამეწია.
– თვალისმომჭრელი, სექსუალური, ჭირვეული და საოცრად დაეჭვებული საკუთარ თავში.
– რა აქვს დასაეჭვებელი? – ისე წამომცდა, არც კი დავფიქრებულვარ, რას ვამბობდი.
თითქმის კმაყოფილი სახე ჰქონდა.

– გაგიკვირდებათ, მაგრამ ისეთი გოგოები, როგორიც ლისაა, მთელი ცხოვრება გარეგნობით ვაჭრობენ. თვითონვე იჯერებენ, რომ მეტი არაფერი გააჩნიათ. მაგრამ არ ვარ სამართლიანი ახლა მის მიმართ. დიზაინი ეხერხება. ტანსაცმლის, ინტერიერის. შეუძლია, ყველაფერი გაალამაზოს.

ენაზე ვიკბინე, რომ არ მეთქვა, ყველას შეუძლია გარდერობისა და სახლის გალამაზება, საფულის ნაცვლად ოქროს საბადო თუ ექნება-მეთქი.

– შეეძლო, სულ რამდენიმე ნივთი გადაეადგილებინა ოთახში და იქაურობას მთლიანად შეცვლიდა. ვერასდროს ვხვდებოდი, ამას როგორ ახერხებდა, – თავი სახლისკენ გადააქნია, – ეს ფლიგელიც მან მოაწყო, როცა აქ გადმოვედი.

გონებაში შევაფასე იდეალურად მოწყობილი მისაღები ოთახი და მივხვდი, რომ ჩემი აღფრთოვანება დაცხრა და ვცდილობდი, იქაურობისთვის ნაკლი გამომეძებნა.

– რამდენ ხანს იყავით ერთად?

– რვა-ცხრა თვე.

– არაა დიდი დრო.

– ჩემთვის დიდი დროა.

– ერთმანეთი როგორ გაიცანით?

– საზეიმო ვახშამზე შევხვდით. საშინლად მოსაწყენ წვეულებაზე. თქვენ?

– სალონში. მე სტილისტი ვიყავი, ის კიდევ – ჩემი კლიენტი.

– ოჰ.. შაბათ-კვირას დამატებითი კერძო მომსახურებით?

ეტყობა, ისეთი გამოლენჩებული სახე მქონდა, თავი გააქნიადა ხმადაბლა მითხრა:

– კარგი. არაფერი.

სახლის შიგნიდან მტვერსასრუტის მოგუდული ზუზუნი ისმოდა. დასუფთავების კომპანიიდან ოთხი ქალი იყო მოსული და ერთნაირი უნიფორმები ეცვათ. ვერ გამეგო, ორი საათის განმავლობაში რა უნდა ეპოვათ დასასუფთავებელი ამ დაწკრიალებულ სახლში.

– გენატრებათ?

უილი შორს და უმისამართოდ იყურებოდა. მერე მომიბრუნდა. მისი ხმა მტკიცედ და დამაჯერებლად ჟღერდა.

– მენატრებოდა. მაგრამ ვიფიქრე ამაზე და მივხვდი, რომ მისგან და რუპერტისგან კარგი წყვილი გამოვა.

თავი დავუქნიე.

– სასეირო ქორწილი ექნებათ, ერთ-ორ ბაჭაჭყანას დააგდებენ, როგორც თავად იტყოდით, სოფლად აგარაკს იყიდიან და დაახლოებით ხუთ წელიწადში რუპერტი თავის მდივანს მიადგება.

– ალბათ, მართალი ხართ.

ეშხში შევედი.

– ცოლი სულ გაღიზიანებული იქნება, ოღონდ მიზეზს თვითონაც ვერ მიხვდება, მოსაწყენ ვახშმებსა და წვეულებებზე ქმარს თავს მოულოდნელად დაესხმება და სხვების თვალწინ დაგესლავს ხოლმე. ქმარი კიდევ არ გაეყრება, იმიტომ, რომ ალიმენტების გადახდას არ მოინდომებს.

უილი მომიტრიალდა, რომ კარგად შემოეხედა.

– სექსი ექვს კვირაში ერთხელ ექნებათ. კაცს გაგიჟებით ეყვარება შვილები, მაგრამ მათ აღსაზრდელად და ცოლის მისახმარებლად ხელს არ გაანძრევს. ცოლს ექნება იდეალური თმა, მაგრამ მუდმივად უკმაყოფილო სახე, – განსასახიერებლად ტუჩები მოვმუწე, – იმიტომ, რომ ვერასდროს მოახერხებს ბოლომდე თქვას, რასაც ფიქრობს. გულის გადაყოლებას ვარჯიშით ეცდება და პილატესის სისტემას აიკვიატებს ან ძაღლს იყიდის, ან... რა ვიცი... ცხენს და ჯირითის მწვრთნელთან გააბამს ფლირტს. კაცი ორმოცი წლის რომ გახდება, ძუნძულს დაიწყებს და „ჰარლიდეივიდსონს“ იყიდის, რაზეც ცოლი დასცინებს. ყოველდღე, როცა სამსახურში მივა და თავის ახალგაზრდა კოლეგებს შეხედავს, მოუსმენს შაბათ-კვირას რომელ ბარში როგორი გოგო ააგდეს, ან საიდან სად გააგრძელეს გართობა, მიხვდება, რომ როგორღაც – ოღონდ, აი, ამას კი ვეღარ მიხვდება, როგორ – მახეში გააბეს.

უილისკენ შევბრუნდი. თვალს არ მაშორებდა.

– უკაცრავად, – ვთქვი მცირე პაუზის შემდეგ, – არ ვიცი, რა დამემართა.

– ცოტა არ იყოს და... უკვე მეცოდება თქვენი მორბენალი შეყვარებული.

– პატრიკი არაფერ შუაშია, – ვუპასუხე მე, – უბრალოდ წლების განმავლობაში კაფეში ვმუშაობდი. ასეთ ადგილას უამრავ რამეს ხედავ და უამრავ რამეს ისმენ. აკვირდები, როგორ იქცევიან ადამიანები, რა სქემებს მიჰყვებიან. გაგიკვირდებოდათ, ისეთი საყურებელია.

– ამიტომაა, რომ ოჯახი არ გაქვთ?

თვალები დავახამხამე.

– ალბათ, ასეა.

ის აღარ მითქვამს, რომ სინამდვილეში ცოლად გაყოლა სერიოზულად არც არავის შემოუთავაზებია.

* * *

შეიძლება ისე ჩანდა, რომ ყველაფერი ერთფეროვნად მიდიოდა, მაგრამ სინამდვილეში, უილთან ერთად გატარებული დღეები სხვადასხვანაირი იყო. გააჩნია, როგორ ხასიათზე იდგა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რამდენად აწუხებდა ტკივილები. ხანდახან, სახლში როგორც კი შევიდოდი და სახეზე შევხედავდი, ვხვდებოდი, რომ არც ჩემთან ლაპარაკი უნდოდა და არც არავისთან. ამიტომ უსიტყვოდ ვიწყებდი ჩემი საქმის კეთებას, მისი საჭიროებების დაკმაყოფილებას ისე, რომ არ შემეწუხებინა ზედმეტი კითხვებით, რა უნდოდა და როგორ.

ტკივილს ბევრი რამ იწვევდა. ჰქონდა ზოგადი ხასიათის ტკივილები, რაც კუნთების ატროფიით იყო გამოწვეული. მიუხედავად ნათანის მცდელობისა და ფიზიოთერაპიისა, უილის სხეული კუნთოვან მასას კარგავდა. საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო აწუხებდა მუცელი, სტკიოდა მხარი, აწუხებდა შარდის ბუშტის ინფექციისგან გამოწვეული ტკივილები, რომლის თავიდან არიდებას მაინც ვერ ვახერხებდით, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ვცდილობდით. ტკივილგამაყუჩებლების

გადაჭარბებული მიღების გამო, აწუხებდა კუჭის წყლული, რადგან იყო დრო, როცა მუჭებით სვამდა.

პერიოდულად, ერთ პოზაში დიდხანს და გაუნძრევლად ჯდომის გამო, ნაწოლები უჩნდებოდა. მათ მოსაშუშებლად წოლითი რეჟიმი რამდენჯერმე გამოუწერეს, მაგრამ ლოგინში წოლაზე მეტად არაფერი სძულდა. იწვა, რადიოს უსმენდა და თვალებიდან რისხვას აფრქვევდა. არცთუ იშვიათად აწუხებდა თავის ტკივილი – მე თუ მკითხავთ, ბრაზისა და გაცრუებული მოლოდინების გვერდითი ეფექტი. იმხელა გონებრივი ენერგია ჰქონდა, რომელსაც ვერაფერზე ხარჯავდა, რომ არ გამიკვირდებოდა, ასე ყოფილიყო. ყველაზე მეტად აცლიდა ძალას ხელებსა და ფეხებში წვის შეგრძნება – სასტიკი, უწყვეტი და პულსირებადი. გონება თითქმის ებინდებოდა. ასეთ დროს თასს ცივი წყლით ვავსებდი, ხელებსა და ფეხებს ვუსველებდი ან სველ, ცივ ფლანელს შემოვახვევდი ხოლმე, რომ როგორმე ეს დისკომფორტი შემემსუბუქებინა. ყბა უკანკალებდა და ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ქრებოდა, სხეულიდან გადიოდა, თითქოს, ეს იყო ერთადერთი გზა, რომ ტკივილს გამკლავებოდა. თავადაც მიკვირდა, ისე უცნაურად შევეჩვიე უილის ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. უსამართლობა იყო, რომ კიდურები, რომელთაც ვერც იყენებდა და ვერც გრძნობდა, ამდენ ტანჯვას ჰგვრიდა.

ყველაფერ ამის მიუხედავად, არასდროს წუწუნებდა. ამიტომ დამჭირდა კვირები, სანამ ვისწავლიდი შემჩნევას, რომ რაღაც აწუხებდა. ახლა უკვე შემეძლო, გამეშიფრა წვრილი ნაოჭები თვალების გარშემო, მისი სიჩუმე, მისი მცდელობები გარიდებოდა ყველას და ყველაფერს. უბრალოდ მთხოვდა: „წყალი მომიტანეთ, ლუისა, თუ შეიძლება“, ან „მგონი, ტკივილგამაყუჩებლის დალევის დროა“. ხანდახან ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ სახეზე მონაცრისფრო-მოყვითალო ფერი ედებოდა. ეს ყველაზე ცუდი დღეები იყო.

სხვა დროს ერთმანეთს ძალიანაც ვეგუებოდით. როგორც ეს თავიდან იყო, საუბრისას თავს ისე მომაკვდინებლად შეურაცხყოფილად აღარ გრძნობდა. დღევანდელი დღეც ასეთი იყო – ტკივილის გარეშე. როდესაც მისის ტრეინორმა გამოგვხედა და დამლაგებლებს კიდევ ოცი წუთის საქმე დარჩათო, გვაცნობა, ჩვენ ორივესთვის ჩაი დავასხი და ბაღში გავიარეთ. უილი ბილიკს მიუყვებოდა, მე ბალახზე დავდიოდი და თან თვალს ვადევნებდი ჩემი ქუსლიანი ატლასის ფეხსაცმელები როგორ მუქდებოდა ნამისგან.

– საინტერესო ფეხსაცმელი აგირჩევიათ, – მითხრა უილმა.

ზურმუხტისფერი მწვანე იყო. მეორეული ტანსაცმლის მაღაზიაში ვნახე. პატრიკმა მითხრა, რომ როცა ესენი გაცვია, ელფების დრაგქუინს ჰგავხარო.

– აქაურივით არ გაცვიათ. ყოველდღე ველი, რა გაუგონარ შეხამებას მოიფიქრებთ და რითი გამომეცხადებით.

– აქაურების ჩაცმულობა როგორია?

ოდნავ მარცხნივ გადაიწია, რომ ბილიკზე პატარა დაზიანებისთვის გვერდი აევლო.

– მაგალითად, ბეწვეული. ან თუ, ვთქვათ, დედაჩემის ყაიდის ადამიანი ხართ, „იეგერის“ ან „ვისლის“ ბრენდის ტანსაცმელი უნდა გეცვათ, – აქ უცბად შემომხედა, – ეს ეგზოტიკური გემოვნება სად აითვისეთ? კიდევ სადმე ცხოვრობდით?

– არსად.

– ეგ როგორ... სულ აქ ცხოვრობდით?

– დიახ. მხოლოდ აქ, – გავჩერდი, მეც შევხედე და ხელები გულზე დავიკრიფე, თითქოს თავდაცვის ნიშნად, – მერე? რა არის ამაში უცნაური?

– ისეთი პატარა ქალაქია, ისეთი შეზღუდული... ყველაფერი მარტო ამ ციხესიმაგრის ირგვლივ ტრიალებს, – ბილიკზე შევჩერდით და ციხესიმაგრეს გავხედეთ, რომელიც ჩვენგან მოშორებით უცნაურ, გუმბათოვან გორაკზე წამომართულიყო. ისეთი სრულყოფილი იყო, თითქოს მონდომებულ, ბეჯით ბავშვს დაეხატა, – ყოველთვის მეგონა, რომ ეს ისეთი ადგილი იყო, სადაც ადამიანები მაშინ ბრუნდებოდნენ, როდესაც ყველაფრით დაიღლებოდნენ... ან იმიტომ ცხოვრობდნენ აქ, რომ მათ წარმოსახვას მეტი გასაქანი არც ჰქონდა.

– გმადლობთ.

– თავისთავად... ამაში ცუდი არაფერია. მაგრამ... ღმერთო ჩემო. აქ საერთოდ არ არის დინამიკა. აქ არც შესაძლებლობებია, არც საინტერესო ადამიანები, არც იდეები. აქაურებისთვის ისიც კი შოკის მომგვრელია, თუ ტურისტული მაღაზიის დახლებზე დაწყობილ მაცივარზე მისაკრობ მაგნიტებზე მდინარის განსხვავებული ხედი იქნება დახატული.

თავი ვერ შევიკავე, არ გამცინებოდა. გასულ კვირას ადგილობრივი გაზეთი ზუსტად ამაზე წერდა.

– ოცდაექვსი წლის ხართ, კლარკ. აქედან უნდა გარბოდეთ, სამყაროს დასაპყრობად მიგეჩქარებოდეთ, შარში ეხვეოდეთ ბარებში და თქვენი უცნაური გარდერობით თავს იწონებდეთ საეჭვო რეპუტაციის მამაკაცებთან.

– მე აქაც ბედნიერი ვარ.

– არ უნდა იყოთ.

– ძალიან გიყვართ, ჭკუა ასწავლოთ სხვებს და მიუთითოთ, როგორ უნდა მოიქცნენ, არა?

– მხოლოდ მაშინ, როცა ვიცი, რომ მართალი ვარ, – მიპასუხა უილმა, – ჩაის ჭიქა მომიბრუნეთ, თუ შეიძლება, ვერ ვწვდები.

საწრუპი მოვღუნე და ისე გავაჩერე, რომ მარტივად მისწვდენოდა. დავიცადე, სანამ მოსვამდა. სიცივემ ყურის ნიჟარები გაუწითლა.

დაიჯღანა.

– ღმერთო ჩემო. ჩაის მზადებით გაგქონდათ თავი და ასეთ საზიზღრობას როგორ მასმევთ.

– ლესბოსურ ჩაის ხართ მიჩვეული, – ჩავიფრუტუნე ამრეზით, – ჩინურ ბალახ-ბულახებსა და „ლაპსანგ სუშონგს“.

– ლესბოსური ჩაი. ამას მაინც სჯობს, პარკეტის ლაქის გემო რომ აქვს.

– ესე იგი, ჩემი ჩაიც კი არ ვარგა, – მერხზე მის წინ ჩამოვჯექი, – რატომ გგონიათ, რომ საკუთარი აზრი უნდა გამოთქვათ ყველაფერზე, რასაც ვამბობ ან ვაკეთებ და ამის გამო არავინ უნდა გაგცეთ პასუხი?

– რატომაც არა, ლიუსა კლარკ. მიდით, თამამად. თქვენც გამოთქვით თქვენი მოსაზრება.

– თქვენზე?

თეატრალურად გაიღიმა.
– განა არჩევანი მაქვს?
– თმა უნდა შეიჭრათ, თორემ მაწანწალას ჰგავხართ.
– მაგას დედაჩემიც ამბობს.
– საზიზღრად გამოიყურებით. გაიპარსეთ მაინც, ბოლოს და ბოლოს. ამხელა წვერში ყბა მაინც არ გეფხანებათ?
გვერდულად გამომხედა.
– გეფხანებათ. აი, ასეც ვიცოდი. კარგი. შუადღით მაგ საქმეს მივხედავ.
– ღმერთო ჩემო, არა!
– არა კი არა, კი! ხომ მთხოვეთ, მოსაზრება გამოთქვიო, ჰოდა, ესაა ჩემი პასუხი. თქვენ უბრალოდ წყნარად უნდა იჯდეთ.
– თუ უარს ვიტყვი?
– ხელს მაინც ვერ შემიშლით. წვერს თუ კიდევ გაიზრდით, საჭმლის ნამცეცებით გამოგევსებათ ხოლმე და იმათი გამობერტყვა ცალკე საქმედ დამემატება. ღმერთს გეფიცებით, სასამართლოში გიჩივლებთ სამუშაო ადგილზე არასათანადო მოპყრობის გამო.
უილმა გაიღიმა. მგონი, გავამხიარულე. სევდიანად ჟღერს, ალბათ, მაგრამ იმდენად იშვიათად იღიმოდა, რომ მისი თითოეული ჩაცინება სიამაყის გრძნობით მავსებდა.
– კლარკ. რაღაც უნდა გთხოვოთ.
– რა?
– ყური მომფხანეთ, თუ შეიძლება. თორემ გავგიჟდები.
– თუ მოგფხანთ, თმას შემაჭრევინებთ? ცოტათი მაინც.
– ცეცხლს ეთამაშებით, კლარკ.
– ფრთხილად, ნუ მანერვიულებთ. თორემ მაკრატლის ხმარება დიდად არ მეხერხება.

* * *

სამართებლები და საპარსი ქაფი ძლივს ვიპოვე აბაზანის სათავსოში. ბამბისა და ხელსაწმენდების უკან ისე საგულდაგულოდ მიემალათ, აშკარაა, დიდი ხანი იყო, არავის გამოეყენებინა. უილი სააბაზანოში შევიყვანე, ნიჟარა თბილი წყლით ავავსე, ეტლზე თავის მისადები ოდნავ უკან გადავაწევინე და ნიკაპზე თბილი ფლანელი დავადე.
– ეს რად მინდა? მართლა სილამაზის სალონს აწყობთ? რაში გჭირდებათ ფლანელი?
– არ ვიცი, – ვაღიარე გულწრფელად, – ფილმებში სულ ასე იქცევიან. ეს იგივეა, რაც ცხელი წყალი და პირსახოცი, როცა ქალი ბავშვს აჩენს.
ტუჩებს ვერ ვხედავდი, მაგრამ თვალების გარშემო წვრილ-წვრილი მხიარული ნაოჭები გაუჩნდა. ნეტავ სულ ასე ყოფილიყო. ისე მინდოდა, რომ ბედნიერი ყოფილიყო და მის სახეზე აღარ მენახა შეწუხებული, დატანჯული გამომეტყველება. გაუჩერებლად ვყბედობდი და ანეკდოტებს ვყვებოდი, ოღონდ სიჩუმე არ ჩამოვარდნილიყო. ყველაფერს ვაკეთებდი, რომ გამეხანგრძლივებინა მომენტი, სანამ ისევ მოიქუფრებოდა.

სახელოები დავიკაპიწე და საპარსი ქაფი ყურებამდე წავუსვი. ერთ წამს შევყოვნდი. სამართებელი მივადე და ვუთხარი: „მგონი, არ მითქვამს, რომ აქამდე მხოლოდ საკუთარი ფეხები გამიპარსავს, არა?“

სამართებელს ძალიან ნელა და ფრთხილად ვუსვამდი კანზე. დავდუმდი. სიჩუმეს მხოლოდ სამართებლის წყალში ჩატყაპუნების ხმა არღვევდა, როცა ნიჟარაში ქაფისა და თმის მოსაშორებლად ვყოფდი. უილ ტრეინორის სახეს ვაკვირდებოდი, ვსწავლობდი ხაზებს – მისი ასაკისთვის შეუფერებლად მომრავლებულ და ღრმა ნაოჭებს, რომლებიც თავს ტუჩის კუთხეებთან იყრიდა. სახიდან თმა გადავუწიე და ღრმა ნაწიბურები დავინახე, სავარაუდოდ, უბედური შემთხვევის კვალი. თვალებქვეშ მუქი ჩრდილები უძილო ღამეებზე ჰყვებოდნენ ამბავს. ღრმა ღარი, წარბებს შორის, უტყვ ტკივილზე მეტყველებდა. თბილი კანიდან მოტკბო სურნელი ასდიოდა, საპარსი ქაფისა და კიდევ რაღაცის, თავად უილის, დახვეწილი და მიმზიდველი სურნელი. თანდათან იკვეთებოდა მისი სახე, რომელსაც აქამდე გაბურძგნულ წვერში მალავდა. ჩემთვისაც სრულიად გასაგები ხდებოდა, რომ ალისიას მოსახიბლად დიდი ძალისხმევა არ დასჭირდებოდა.

ნელა და ფრთხილად ვმოქმედებდი. ისიც მაგულიანებდა, რომ თვითონ მშვიდად იყო. გავიფიქრე, რომ ტრავმის მიღების შემდეგ, თუ ვინმე ოდესმე შეხებია უილს, მხოლოდ სამედიცინო და თერაპიული მიზნებით. ამიტომ თითებით კანზე ნაზად ვეხებოდი, რომ ამას რაც შეიძლება ნაკლები საერთო ჰქონოდა უგრძნობელ და ხისტ ქმედებებთან, რასაც ნათანისგან და ექიმებისგან იყო მიჩვეული.

უნდა ვაღიარო, რომ უილის გაპარსვა ინტიმური მომენტი იყო. მივხვდი, რომ შესაძლოა, ვცდებოდი, როცა მეგონა, რომ ეტლი იქნებოდა ბარიერი და მისი წყალობით ჩვენი ურთიერთობა დაიცლებოდა ყოველგვარი გრძნობებისმიერი ასპექტებისგან. ყველაფერი ისე არ იყო, როგორც მეგონა. შეუძლებელია, ასე ახლოს იყო ადამიანთან, თითებქვეშ მისი კანის თრთოლვას გრძნობდე, მასთან ერთად ერთი ჰაერით სუნთქავდე, მისი სახისგან შენს სახეს რამდენიმე სანტიმეტრი აშორებდეს და ამის გამო წონასწორობა არ დაკარგო. მეორე ყურამდე რომ მივედი, თავს უკვე უხერხულად ვგრძნობდი, თითქოს, რაღაც უხილავ ზღვარს გადავაბიჯე.

შესაძლოა, ჩემი ფიქრების მდინარება უილმა კანზე ჩემი თითების შეხებით ამოიცნო, ან იქნებ გარემომცველი ადამიანების ფიქრების წაკითხვის ნიჭი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, თვალები გაახილა და დაჟინებით შემომხედა.

ერთხანს ჩუმად მიყურა, მერე კი თავი გაასწორა.

– ახლა არ მითხრათ, რომ წარბებიც მომპარსეთ.

– მხოლოდ ერთი, – ვუპასუხე მე. სამართებელი წყლის ჭავლს მივუშვირე და ვინატრე, რომ სანამ მოვტრიალდებოდი, სახეზე სიწითლეს გადაევლო.

– კარგი, – ვთქვი ბოლოს და ბოლოს. სულ ეს იყო. ახლა ნათანი უნდა მოვიდეს, არა?

– მერე და თმა? – მკითხა უილმა.

– მართლა გინდათ, რომ შეგჭრათ?

– რატომაც არა?

– მეგონა, არ მენდობოდით.

მხრები აიჩეჩა, რამდენადაც შეეძლო. სინამდვილეში, ეს მხრების ოდნავი შერხევა იყო მხოლოდ.

– თუ შედეგად რამდენიმე კვირა მაინც აღარ იწუწუნებთ, მზად ვარ, ეს მცირედი მსხვერპლი გავიღო.

– ღმერთო ჩემო, დედათქვენი სიხარულისგან გაგიჟდება, – ვუთხარი და საპარსი ქაფის ბოლო ქულა მოვაცილე სახიდან.

– ჰო, მაგრამ ეს ჩვენ ვერ შეგვაჩერებს და განზრახვაზე ხელს ვერ აგვაღებინებს.

* * *

თმა მისაღებ ოთახში შევჭერი. ცეცხლი დავანთე, ფილმიც ჩავრთეთ – რომელიღაც ამერიკული თრილერი. მხრებზე პირსახოცი დავაფინე, ვუთხარი, მაკრატელი საუკუნეა ხელში არ ამიღია, მაგრამ იმაზე უარესად, როგორც ახლა გაქვთ თმა, მაინც არ გექნებათმეთქი.

– გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ, – მიპასუხა მან.

საქმეს შევუდექი, თითებს შორის მისი თმა მისრიალებდა და გულდასმით ვცდილობდი, გამეხსენებინა ის რამდენიმე ძირითადი წესი, რომლის სწავლაც სალონში მოვასწარი. უილი ფილმს უყურებდა, მოდუნებული და, შეიძლება ითქვას, კმაყოფილი ჩანდა. შიგადაშიგ ფილმზე რაღაცას მეუბნებოდა – კიდევ სად თამაშობდა მთავარი როლის შემსრულებელი, პირველად სად ნახა და ა.შ. პასუხად ჩავიფრუტუნებდი ხოლმე ისე, თითქოს ძალიან დიდი ინტერესით ვუსმენდი. ზუსტად ტომასს როგორც ვეპასუხებოდი, როცა თავის სათამაშოებს მაჩვენებდა და მათზე მიყვებოდა. სინამდვილეში კი მთელი ჩემი არსებით ვიყავი კონცენტრირებული, რომ არ დამემახინჯებინა. როგორც იქნა, დავამთავრე, თმა მხრებიდან ჩამოვუბერტყე და წინ გავიქეცი, რომ შემეხედა, როგორ გამოიყურებოდა.

– აბა? – უილმა ფილმი დააპაუზა.

წელში გავიმართე.

– დარწმუნებული არ ვარ, რომ თქვენი სახის ასე ღიად ყურება მომწონს. ცოტა არ იყოს და მოსვენებას მაკარგვინებს.

– შემცივდა, – თავი აქეთ-იქით გადააქნია, რომ ახალ შეგრძნებებს დაჰკვირვებოდა.

– მოიცადეთ. ორ სარკეს მოვიტან და ისე შეხედეთ, როგორც წესი და რიგია. არ გაინძრეთ. აქაურობა ჯერ მოსასუფთავებელია და ყურიც ჯერ არ მომიჭრია.

მის საწოლ ოთახში შევედი და უჯრებში ვიქექებოდი, რომ პატარა სარკე მენახა. ამ დროს გავიგე კარის დაჯახუნების ხმა, რომელსაც ორი წყვილი ფეხის ნაბიჯების ხმა მოყვა.

მისის ტრეინორი ხმამაღლა და აღელვებით ლაპარაკობდა.

– ჯორჯინა, გთხოვ, არ გინდა.

ვიღაცამ მისაღები ოთახის კარი გამოგლიჯა. სარკეს ხელი დავტაცე და ოთახიდან გამოვვარდი. ისღა მაკლდა, კიდევ ერთხელ დავედანაშაულებინე უყურადღებობაში. მისის ტრეინორი მისაღები ოთახის შესასვლელში იდგა, ხელები პირზე აეფარებინა და თვალს ადევნებდა დაპირისპირებას, რომელიც, როგორც ჩანს, მანამდე არ ენახა.

– ყველაზე ეგოისტი ადამიანი ხარ, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ, – კიოდა ახალგაზრდა ქალი, – დაჯერებაც კი მიჭირს, უილ. ყოველთვის ეგოისტი იყავი, მაგრამ ახლა ყველა ზღვარს გადახვედი.

– ჯორჯინა, – მისის ტრეინორმა მზერა ჩემზე გადმოიტანა, როგორც კი მივუახლოვდი, – გთხოვ, გაჩერდი.

ოთახში შევედი. უილს პირსახოცი ისევ მხრებზე ეფინა და ეტლის ბორბლებთან მისი ღია წაბლისფერი თმა ეყარა. წინ ახალგაზრდა ქალი იდგა. მუქი ფერის გრძელი თმა ჰქონდა, რომელიც სახელდახელოდ, ცხენის კუდივით გამოენასკვა. გარუჯული იყო, ძვირად ღირებული გახეხილი ჯინსი ეცვა და ზამშის ყელიანი ფეხსაცმელი. ალისიასავით ლამაზი და პროპორციული ნაკვთები ჰქონდა. კბილები ისე თეთრად უელავდა, კბილის პასტის რეკლამიდან გადმოსული გეგონებოდათ. სახე ბრაზისგან ალეწილი ჰქონდა და უილს ისევ ეჩხუბებოდა, როცა შევედი, მისი კბილებიც ამიტომ დავინახე.

– არ მჯერა.. ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი რამ საერთოდ მოგივიდა აზრად. რას ფიქრობდი...

– გთხოვ, ჯორჯინა, – მისის ტრეინორმა ხმას აუწია, – ახლა ამის დრო არ არის.

უილს სახეზე ნერვი არ უტოკავდა. მოპირდაპირე კედელზე რაღაც წერტილს უძრავად მიშტერებოდა.

– უილ... რამე ხომ არ გჭირდებათ? – ვკითხე მშვიდად.

– თქვენ ვინ ხართ? – მკვეთრი მოძრაობით მომიბრუნდა ახალგაზრდა ქალი. ახლაღა შევამჩნიე, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

– ჯორჯინა, გაიცანი ლუისა კლარკი, – თქვა უილმა, – ჩემთვის დაქირავებული კომპანიონი, ენით აღუწერლად ორიგინალური და ნოვატორი სტილისტი. ლუისა, გაიცანით ჩემი და, ჯორჯინა. ავსტრალიიდან ამხელა მანძილი იმისთვის გადმოლახა, რომ თავზე დამკიოდეს.

– სულ არ მეხუმრება! – თქვა ჯორჯინამ, – დედამ მითხრა... გესმის? ყველაფერი მითხრა.

არავინ განძრეულა.

– ხომ არ დაგტოვოთ? – ვიკითხე მორიდებით.

– კარგი იქნებოდა, – მისის ტრეინორი ისე ჩაჰფრენოდა დივნის საზურგეს, თითების სახსრები გათეთრებოდა.

ოთახიდან გამოვიძურწე.

– ლუისა, ზუსტად თქვენი შესვენების დროა.

ავტობუსის გაჩერებაზე მომიწევდა ჩემი ლანჩი მეჭამა. სამზარეულოდან სენდვიჩები ავიღე, პალტო მოვიცვი და უკანა კარიდან გავედი.

სანამ სახლიდან გავიდოდი, ოთახიდან ისევ მომესმა ჯორჯინას ხმამაღალი სიტყვები: „აზრად არ მოგსვლია, უილ, რომ გჯერა ეს შენ თუ არ გჯერა, ეს ამბავი მარტო შენ არ გეხება?“

* * *

ზუსტად ნახევარი საათის შემდეგ დავბრუნდი. სახლში უკვე სიმშვიდე იდგა. ნათანი სამზარეულოს ნიჟარაში ჩაის ჭიქას რეცხავდა. როგორც კი დამინახა, ჩემკენ შემოტრიალდა.

– როგორ ხარ?

– წავიდა?

– ვინ?

– და.

– აჰ... – თავი აატრიალა ნათანმა, – თურმე ვინ ყოფილა. ჰო, წავიდა. აქ რომ მოვედი, ზუსტად მაშინ ჯდებოდა თავის მანქანაში. ოჯახური უთანხმოება ჰქონდათ, არა?

– არ ვიცი, – ვუპასუხე მე, – უილს თმას ვჭრიდი, ჯერ ბოლომდე არც დამემთავრებინა, რომ ეს ქალი შემოვარდა და უილს დაეტაკა. მეგონა, კიდევ რომელიღაც შეყვარებული იყო. ნათანმა მხრები აიჩეჩა.

მივხვდი, რომ უილის პირადი ცხოვრების განხილვაში არ ჩაერთვებოდა, თუნდაც, რამე სცოდნოდა.

– თვითონ მშვიდად არის. არ ყოფილხარ ცუდი სტილისტი. კარგი გიქნია, რომ იმ ჯაგნარისგან გაათავისუფლე.

მისაღებ ოთახში შევედი. უილი ტელევიზორს მიშტერებოდა. ფილმი ზუსტად იმ მომენტზეიყო გაჩერებული, სადაც დავტოვე.

– გინდათ, ისევ ჩავრთო? – ვკითხე მე.

ერთხანს ხმა არ გამცა. თითქოს, ჩემი სიტყვები არც გაუგიაო. თავი მხრებში ჩაერგო. ის მშვიდი, მოდუნებული და კმაყოფილი გამომეტყველება, მანამდე რომ ჰქონდა, სადღაც გამქრალიყო. უილი ისევ პირქუში და შეუვალი ნიღბის მიღმა ჩაკეტილი დამხვდა. თვალები დაახამხამა, თითქოს უეცრად ახლაღა დამინახაო და თავი დამიქნია.

– დიახ, რა თქმა უნდა.

* * *

გასარეცხი ტანსაცმლის კალათით ჰოლში გავედი. მათი საუბარი გავიგონე. ფლიგელის კარი ოდნავ შეღებული იყო და გრძელ კორიდორში მისის ტრეინორისა და მისი ქალიშვილის ხმები ტალღებად იბნეოდა. უილის და მოგუდული ხმით ქვითინებდა, მის ხმაში წეღანდელი რისხვა აღარ ისმოდა და ახლა ბავშვივით სლუკუნებდა.

– ასე არ შეიძლება, რაღაც გზა უნდა არსებობდეს. რაიმე ახალი აღმოჩენა მედიცინაში. ამერიკაში რომ წაიყვანო? იქ ყოველდღიურად წინ მიიწევენ.

– სამედიცინო სფეროში მიმდინარე მოვლენებს მამაშენი თვალს ადევნებს. მაგრამ... არა... საყვარელო, ჯერჯერობით კონკრეტული არაფერია.

– ისეთი... ისეთი სხვანაირია. თითქოს გადაწყვიტა, რომ ყველაფერში მარტო ცუდი დაინახოს.

– თავიდანვე ასე იყო, ჯორჯი. უბრალოდ ერთმანეთს მხოლოდ მაშინ ხვდებოდით, როცა სახლში ჩამოდიოდი. მაშინ... მაშინ ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი. მოწადინებული იყო, სჯეროდა, რომ რაღაც შეიცვლებოდა.

თავი უხერხულად ვიგრძენი, რომ ასეთ პირადულ საუბარს ვუსმენდი. მაგრამ ვერც ცნობისმოყვარეობას ვძლიე და კარისკენ ახლოს ფრთხილად მივიწიე. ფეხზე წინდები მეცვა, რაც იატაკზე ჩემი ნაბიჯების ხმას სრულიად ახშობდა.

– ჯორჯი... შემომხედე. მე და მამა არაფერს გეუბნებოდით. არ გვინდოდა, გენერვიულა. მაგრამ უილმა... – ლაპარაკი ძალიან უჭირდა, – უილმა თავის მოკვლა სცადა.

– რა?

– მამაშენმა იპოვა. დეკემბერში მოხდა ეს. ეს... ეს საშინელება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ გაგონილმა მხოლოდ დაადასტურა ის, რასაც ისედაც ვხვდებოდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ძარღვებში სისხლი გამეყინა. შეკავებული ტირილის ხმა გავიგე, მისის ტრეინორი შვილს ჩურჩულით ამშვიდებდა. დიდხანს ხმა აღარავის ამოუღია. მერე კი ისევ ჯორჯინას ნამტირალევი ხმა გაისმა.

– ესე იგი, ის გოგო...?

– ჰო, ლუისა აქ იმისთვისაა, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

გავშეშდი. კორიდორის მეორე ბოლოში, სააბაზანოდან უილისა და ნათანის ხმადაბალი ბუტბუტი ისმოდა. წარმოდგენა არ ჰქონდათ, მეორე ბოლოში, რამდენიმე ნაბიჯის იქით, რა ხდებოდა. კართან კიდევ უფრო ახლოს მივედი. მე ხომ ეს იმ მომენტიდანვე ვიცოდი, უილის მაჯებზე ნაიარევები რომ შევნიშნე. ახლა ყველაფერი გასაგები იყო. მისის ტრეინორის შფოთვაც და მკაცრი გაფრთხილებაც, რომ უილი დიდხანს მარტო არ უნდა დამეტოვებინა; უილის ბრაზი და გაღიზიანება ჩემი იქ ყოფნის გამო; ფაქტი, რომ დროის დიდ შუალედებში საქმე, ფაქტობრივად, არაფერი მქონდა და მეგონა, ტყუილად ვიყავი. მე უბრალოდ მეთვალყურე ვიყავი. მე თვითონ ეს არ ვიცოდი, მაგრამ უილმა ხომ იცოდა. ამიტომაც ვძულდი.

კარის სახელურს მივწვდი, რომ ფრთხილად დამეხურა. ნეტავ, ნათანმა თუ იცოდა რამე. ნეტავ, უილი ახლა ოდნავ მაინც უფრო ბედნიერი თუ იყო. გავაცნობიერე, რომ უილს ჩემ მიმართ კი არ ჰქონდა აგრესია, არამედ იმ ფაქტის მიმართ, რომ მასზე სამეთვალყურეოდ დამიქირავეს. ამის გამო ერთგვარი ეგოისტური კმაყოფილება ვიგრძენი.

– ამის უფლებას ვერ მისცემ, დედა. როგორმე უნდა შეაჩერო.

– ეს ჩვენი გადასაწყვეტი არ არის, საყვარელო.

– როგორ არ არის... არის! რაკი შენ გთხოვა დახმარება, ესე იგი, არის, – უმწეოდ აპროტესტებდა ჯორჯინა.

კარი ვეღარ მივხურე.

– არ მჯერა, რომ ამაზე დათანხმდი. არ მჯერა, რომ ამაზე ფიქრობ საერთოდ. შენი მრწამსი? ღმერთს რა პასუხს გასცემ? რისთვის წვალობდი? ან რა აზრი ჰქონდა მის გადარჩენას მაშინ?

მისის ტრეინორს უჩვეულოდ მშვიდი ხმა ჰქონდა.

– უსამართლოდ მექცევი, ჯორჯინა.

– შენ მითხარი, მე თვითონ წავიყვანო. რანაირად...

– შენ გგონია, მე რომ უარი მეთქვა, ვინმე სხვას არ სთხოვდა?

– მაგრამ „დიგნიტასი“? (დიგნიტასი – შვეიცარული კომპანია, რომელიც პროფესიონალი ექიმებისა და ექთნების საშუალებით ეხმარება სასიკვდილო დაავადებების, ან მწვავე ფიზიკური და ფსიქიკური ავადმყოფობების მქონე ადამიანებს სიცოცხლის შეწყვეტაში. ასევე ეხმარება იმ ადამიანებს, რომელთაც თვითმკვლელობა გადაწყვიტეს და ხელთ აქვთ ფსიქიატრის დასკვნა, რომ ფლობენ გადაწყვეტილების მიღების უნარს და აქვთ სიღრმისეული დასკვნა ფისიქიკური ჯანმრთელობის შესახებ.) ასე არ შეიძლება. ვიცი, მესმის, რომ უჭირს, მაგრამ ეს შენ და მამასაც ბოლოს მოგიღებთ. შენც ხომ კარგად იცი?.. იფიქრე, რა მდგომარეობაში ჩავარდები შენ თვითონ. იფიქრე, რა გამოხმაურება მოჰყვება ამას, როგორ აისახება შენს სამსახურზე, თქვენი, ორივეს რეპუტაციაზე. ამას როგორ ვერ აცნობიერებს? ასეთი რამ საერთოდ როგორ გთხოვა? როგორ გაბედა?ასე როგორ შეუძლია, რომ ოჯახს მოექცეს? როგორ შეგიძლიათ, რომ ამაში თქვენც დაეხმაროთ? – ისევ აქვითინდა.

– ჯორჯი...

– ასე ნუ მიყურებ, დედა. უილი მიყვარს. ძალიან მიყვარს. ჩემი ძმაა, ჩემთვის სულერთი არაა, რა უნდა, რას გრძნობს... მაგრამ ამის ატანა არ შემიძლია. ამაზე ფიქრიც კი არ შემიძლია. უფლება არ ჰქონდა, რომ ეს ეთხოვა. უფლება არ გაქვთ, რომ ამაზე დათანხმდეთ. ამით მარტო მის კი არა, საკუთარ სიცოცხლესაც ანადგურებთ.

უკან დავიხიე. თავში სისხლი მომაწვა, ყურები ისე მიწუოდა, მისის ტრეინორის ხმის გარჩევაც კი მიჭირდა.

– ექვსი თვე, ჯორჯი. ექვს თვეს დამპირდა. აღარ მინდა, რომ ეს ამბავი კიდევ ახსენო, განსაკუთრებით, სხვისი თანდასწრებით. ჩვენ... – აქ ღრმად ჩაისუნთქა, – ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მხოლოდ ვილოცოთ, რომ დარჩენილ დროში რაღაც მოხდება. რაღაც ისეთი, რაც გადაწყვეტილებას შეაცვლევინებს.

VIII კამილა

ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ჩემი შვილის სიკვდილს ხელს შევუწყობდი. დაწერილის წაკითხვაც კი უცნაურია... მსგავსად დასათაურებულ სტატიებს ხომ ყვითელ პრესაში წააწყდებით.

მე არ ვიყავი ის ადამიანი, ვისაც მსგავსი რამ უნდა დამართოდა. ყოველ შემთხვევაში, მეგონა, რომ არ ვიყავი. მკაცრად სტრუქტურირებული ცხოვრება მქონდა – თანამედროვე სტანდარტებით თუ ვიმსჯელებთ, სრულიად ჩვეულებრივი. თითქმის ოცდაჩვიდმეტი წელი გასულიყო, რაც ოჯახი შევქმენი. ორი შვილი გავზარდე, ავიწყე კარიერა, ვეხმარებოდი ბავშვებს სკოლაში, ვიყავი მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის წევრი. როდესაც შვილები ფეხზე დავაყენე და ჩემი მზრუნველობა აღარ სჭირდებოდათ, თავი მთლიანად პროფესიულ საქმიანობას მივუძღვენი.

საარბიტრაჟო სასამართლოში თითქმის თერთმეტი წელი ვიმუშავე. ჩემ თვალწინ ჩაიარა ადამიანთა ყოფის სრულმა სპექტრმა. ვხვდებოდი სასოწარკვეთილ მაწანწალებს, რომელთაც უჭირდათ საკუთარ თავში ეპოვათ ძალა და ის მაინც მოეხერხებინათ, რომ სასამართლოს სხდომაზე დროულად გამოცხადებულიყვნენ, ვხვდებოდი რეციდივისტებს, განრისხებულ, სახეარეულ ახალგაზრდა მამაკაცებსა და დედებს, რომლებიც ვალებს ვერ იხდიდნენ. არ არის ადვილი, შეინარჩუნო სიმშვიდე და ემპათია, როდესაც ხედავ ერთსა და იმავე სახეებს, ერთსა და იმავე შეცდომებს, კიდევ და კიდევ. ხანდახან საკუთარ ხმაში მოუთმენლობასა და გაღიაზიანებას თავადვე ვიჭერდი. ადამიანთა მოდგმის უგუნურება და უუნარობა, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებისა, ხანდახან ხასიათს წამიხდენდა ხოლმე.

არც ჩვენი პატარა ქალაქი – თავისი მშვენიერი ციხესიმაგრით, კულტურულ ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობების სიმრავლით, ფერწერული სილამაზის მქონე სოფლის ტიპის ბილიკებით – იყო ამისგან დაცული. რეგენტობის ეპოქის დროინდელ მოედნებზე უსაქმურად დაყიალებდნენ მოზარდები და სიდრს სვამდნენ. ჩალით გადახურული კოტეჯების კედლებს მიღმა ქმრები აქაც ურტყამდნენ ცოლებსა და შვილებს. ხანდახან ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მეფე კნუდ დიდი ვიყავი, ამაოდ დამაშვრალი და შეუსმენელი, აოხრებულ და ქაოსის ტალღებით მოცულ სამყაროში. მაგრამ მე მიყვარდა ჩემი საქმე. მიყვარდა იმიტომ, რომ მწამდა წესრიგის, მორალის. მწამდა, რომ არსებობს ავი და კარგი, რაც არ უნდა ძველმოდურად ჟღერდეს ჩემი შეხედულებები.

განსცდელის ჟამს ყველაზე მეტად ჩემი ბაღი მეხმარებოდა. როდესაც ბავშვები წამოიზარდნენ, მებაღეობა ჩემი მთავარი მისწრაფება გახდა. რომელ მცენარეზეც არ უნდ მიგეთითებინათ, დაუფიქრებლად გეტყოდით მის ლათინურ სახელწოდებას. უცნაური კია – არასდროს მისწავლია ლათინური. ბავშვობაში ქალთა საჯარო სკოლაში დავდიოდი, სადაც ყველაზე დიდი მონდომებით მზარეულობასა და ქარგვას გვასწავლიდნენ. ანუ იმას, რაც ყველაზე მეტად გამოგვადგებოდა მომავალში კარგ ცოლებად რომ შევმდგარიყავით. მაგრამ ყვავილების ლათინური სახელწოდებები მაინც წარუშლელად ჩამებეჭდა გონებაში. საკმარისი იყო, ერთხელ მომეკრა ყური, რომ აღარასდროს დამავიწყდებოდა. მაგალითად, Helleborus niger, Eremurus stenophyllus, Athyrium niponicum. (შავი ხარისძირა, შრეში, გვიმრა.) ისე სხაპასხუპით შემიძლია ჩამოვთვალო, სკოლაშიც არ მივსულვარ ასეთი მომზადებული არასდროს.

ამბობენ, მებაღეობის ფასს მაშინ იგებ, როცა გარკვეულ ასაკს მიაღწევო. ჩემი აზრით, ამაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის. ეს ყველაფერი სიცოცხლის ზოგად ციკლს უნდა უკავშირდებოდეს. არის რაღაც სასწაულებრივი, როცა თვალს ადევნებ ცივი ზამთრის მერე როგორი ოპტიმიზმითა და დაჟინებით მოიწევენ მცენარეები მიწიდან, როცა აკვირდები ყოველ წელს როგორი განსხვავებული და მრავალფეროვანი დიდებულებით წარმოგიდგება ბუნება. ყოფილა პერიოდები... პერიოდები, როდესაც ჩემს ქორწინებას მიწისძვრა არყევდა. ასეთ დროს ჩემი ბაღი ჩემი თავშესაფარიც იყო და ციხესიმაგრეც. თუმცა, გულახდილი რომ ვიყო, ისეთი პერიოდებიც ყოფილა, ბუნებას ტკივილი რომ მოუტანია. მაგალითად, ვერ წარმოიდგენთ, როგორ გიცრუვდება იმედი და გტკივა გული,

როდესაც შენი საგულდაგულოდ მოვლილი და ასაყვავებლად გამზადებული ყვავილების რიგს ღამით ვიღაც რეგვენი რომ გადათელავს. მაგრამ... მაშინაც კი, როდესაც ასეთი შემთხვევების გამო ვჩიოდი, მაშინაც კი, როდესაც ქანცი მწყდებოდა, მაშინაც კი, როცა, ჩემი ძალისხმევის მიუხედავად, თესლი ნაყოფს არ იღებდა, მაშინაც კი, როდესაც ჩემი ფრჩხილები არასდროს გამოიყურებოდა იდეალურად სუფთად, ეს ყველაფერი მაინც მაბედნიერებდა. მაბედნიერებდა გარეთ, ბუნებასთან ახლოს ყოფნის შეგრძნება, მისი სურნელი, მიწა ჩემს თითებქვეშ, კმაყოფილება, როდესაც ვუყურებდი, როგორ იზრდებოდნენ, ხარობდნენ, ბრწყინავდნენ და თრთოდნენ მცენარეები საკუთარი მშვენიერებით. უილის თავს დამტყდარი უბედური შემთხვევის შემდეგ, ბაღი მთელი წლით მივაგდე. მხოლოდ იმიტომ არა, რომ დრო არ მქონდა... რა თქმა უნდა, ეს უსასრულო საათები საავადმყოფოში, გაუთავებელი სიარული წინ და უკან, შეხვედრები... ოჰ, ღმერთო... ეს შეხვედრები... ეს ყველაფერი ძალღონეს მაცლიდა. სამსახურიდან ექვსი თვით შვებულება ავიღე – „ოჯახური მდგომარეობის მიზეზით“. მაგრამ არც ეს იყო საკმარისი. უბრალოდ... ერთბაშად ყველაფერმა აზრი დაკარგა. მებაღე დავიქირავე, რომ იქაურობა წესრიგში ყოფილიყო და წლის საუკეთესო დროს სულ ერთი-ორჯერ ზერელედ თუ დამიხედავს ჩემი მცენარეებისთვის.

როდესაც უილი სახლში წამოვიყვანეთ, ფლიგელის ადაპტირება დავასრულეთ და საცხოვრებლად მოვამზადეთ, მხოლოდ მაშინ დამიბრუნდა ბაღში ფუსფუსის სურვილი. რაღაც უნდა მეჩვენებინა ჩემი შვილისთვის.რაღაც ისეთი, რასაც შევხედავდით და ჩუმად ვეტყოდი, ყველაფერი იცვლება, ვითარდება, ხანდახან მარცხდება, მაგრამ ცხოვრება გრძელდება... რომ ჩვენ ყველა სიცოცხლის ერთი დიდი ციკლის შემადგენელი ნაწილები ვართ, ჭანჭიკები რაღაც სქემაში, რომელიც ერთმა ღმერთმა იცის, როგორია. რა თქმა უნდა, უილს ეს ვერ ვუთხარი – ერთმანეთთან საუბარი მაინცდამაინც არასდროს გამოგვდიოდა, მაგრამ მინდოდა, რომ ეს დამენახვებინა. ეს ერთგვარი მდუმარე პირობა უნდა ყოფილიყო, რომ ცხოვრებას უფრო ფართო კუთხიდან უნდა შეხედო და მაშინ შეძლებ, უფრო ნათელი მომავალი დაინახო.

* * *

სტივენმა ბუხარში შეშის ნახევრად ჩამწვარი ნაპობები საჩხრეკით ოსტატურად გაასწორა. ნაპერწკლები საკვამურისკენ ტკაცატკუცით ავარდა. ზემოდან შუაში ახალი შეშის ნაპობიც დაადო. ჩემგან ზურგით იდგა. როგორც სჩვეოდა, ცეცხლის ალს მშვიდად და კმაყოფილებით მისჩერებოდა. ხელის გულები ველვეტის შარვალზე ჩამოიბერტყა. როგორც კი შევედი, მოტრიალდა. ჭიქა გავუწოდე.

– გმადლობ. ჯორჯი არ ჩამოვა?

– არა მგონია.

– რას აკეთებს?

– მაღლაა და ტელევიზორს უყურებს. მარტო ყოფნა უნდა. უკვე ვკითხე.

– ჩამოვა. ალბათ, მგზავრობამ დაღალა და მაგიტომ.

– იმედია, სტივენ. ყოველ შემთხვევაში, ახლა ჩვენი დანახვა არ უნდა.

ერთხანს ჩუმად ვიდექით და ცეცხლს შევყურებდით. ოთახში ბნელოდა და სიმშვიდე იდგა. ფანჯრების რაფებს ქარი ეხეთქებოდა და წვიმა ახმაურებდა.

– საზიზღარი ღამეა.

– ჰო.

ოთახში ძაღლი შემოვიდა და კუდის ქიცინით ცეცხლის წინ გაწვა. ხან ერთს და ხან მეორეს სიყვარულით შემოგვცქეროდა.

– ისე, რას ფიქრობ? – მკითხა სტივენმა, – თმის შეჭრის ამბავს ვგულისხმობ.

– არ ვიცი. მინდა მჯეროდეს, რომ ეს კარგის ნიშანია.

– ეს ლუისა არაა, მგონი, ხელწამოსაკრავი გოგო, არა?

დავინახე, როგორ ჩაიღიმა ჩემმა ქმარმა. „ოღონდ ლუისაც არა“, – გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ ეს აზრი იმავე წამს უკუვაგდე.

– ჰო, ჰო. მეც მგონია, რომ მართალი ხარ.

– როგორ გგონია, ესაა ის ადამიანი, ვინც გვჭირდებოდა?

სანამ ვუპასუხებდი, ჭიქიდან მოვსვი – ორი თითის დადებაზე ჯინი, ერთი ნაჭერი ლიმონი და ბლომად ტონიკი.

– ვინ იცის?.. მე უკვე წარმოადგენაც აღარ მაქვს, რა არის სწორი და რა – არა, სტივენ, – ვუპასუხე.

– უილს მოსწონს. დარწმუნებული ვარ, რომ მოსწონს. იმ დღეს, ტელევიზორს ვუყურებდით, ახალი ამბების გამოშვებას და თან ვლაპარაკობდით. ორჯერ ახსენა. ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა.

– ჰო. ნუ... მე შენ ადგილას ძალიან ბევრი მოლოდინი არ მექნებოდა.

– რატომ?

სტივენი მოტრიალდა. ვხედავდი, როგორ მაკვირდებოდა. იქნებ, ჩემს ახალ ნაოჭებს სწავლობდა თვალების გარშემო... ან როგორ იქცა ბოლო დღეებში ჩემი ტუჩები შფოთვისგან მთრთოლავ თხელ ხაზებად. ჩემს პატარა ოქროს ჯვარსაც შეავლო თვალი, რომელსაც ბოლო დროს არ ვიშორებდი. არ მიყვარდა, როცა ასე მიყურებდა. ვერ ვაღწევდი თავს შეგრძნებას, რომ ასეთ დროს ვიღაც სხვას მადარებდა.

– მე უბრალოდ რეალისტი ვარ.

– ისე ლაპარაკობ... ისე ლაპარაკობ, თითქოს უკვე ელოდები, ეს როდის მოხდება.

– მე ვიცნობ ჩემს შვილს.

– ჩვენს შვილს.

– ჰო, ჩვენს შვილს.

მაგრამ გულში ვიფიქრე, რომ ამის მიუხედავად, უილი, უფრო მეტად მაინც ჩემი შვილი იყო – „არასდროს ყოფილხარ მის გვერდით... ემოციურად. შენ უბრალოდ ცარიელი ადგილი ხარ, რომელზეც შთაბეჭდილების მოხდენას უილი თავდაუზოგადავად ცდილობდა.“

– გადაიფიქრებს, – თქვა სტივენმა, – მანამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

ისევ ისე ვიდექით. დიდი ყლუპი მოვსვი. ბუხრის სიმხურვალესთან შედარებით, სასმელი ყინულივით ცივი მომეჩვენა.

– ვფიქრობ და... – ვთქვი მე ბუხარზე თვალმიშტერებულმა, – სულ მგონია, რომ რაღაც მეპარება. რაღაცას ვერ ვითვალისწინებ.

ჩემი ქმარი ისევ მაკვირდებოდა. მის მზერას ვგრძნობდი, მაგრამ საპასუხო მზერას ვერ ვუბრუნებდი. იქნებ, ეს იყო მომენტი, როდესაც შეიძლებოდა, სიახლოვე გვეგრძნო, მაგრამ ამისთვის ერთმანეთს უკვე ძალიან დავშორებოდით.

მანაც მოსვა.

– იმას აკეთებ, რაც შეგიძლია, ძვირფასო.

– მესმის. ეგ ვიცი, მაგრამ მაინც არ არის საკმარისი...

ბუხრისკენ შებრუნდა და საჩხრეკს დასწვდა. შეშას შესწორება არ სჭირდებოდა, მაგრამ ცეცხლს იქამდე უკირკიტა, სანამ ოთახიდან არ გამოვედი.

რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ასე მოვიქცეოდი.

* * *

როდესაც უილმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ მაცნობა, ორჯერ მოუწია, რომ ჩემთვის გაემეორებინა, რა უნდოდა. პირველ ჯერზე სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც სწორად ვერ გავიგე. როდესაც მივხვდი, რას მთხოვდა, სიმშვიდე არ დამიკარგავს. მერე ვუთხარი, რომ არასერიოზული იყო მისი სიტყვები და მაშინვე ოთახიდან გამოვედი. უსამართლო პრივილეგიას ფლობ ასეთ დროს, როცა შეგიძლია, ეტლში მჯდომ ადამიანს სწრაფი ნაბიჯით გაეცალო. ფლიგელსა და სახლის ძირითად ნაწილს შორის ორი საფეხურია. ნათანის დახმარების გარეშე მათ ვერ გადმოლახავდა. ფლიგელის კარი მივხურე, ვიდექი და ყურებში ჯერ კიდევ ჩემი შვილის სიტყვები რეკდა. ნახევარი საათი ადგილიდან არ გავნძრეულვარ.

არ მომეშვა. ბოლო სიტყვა ყველგან და ყოველთვის მისი უნდა ყოფილიყო. მის სანახავად ყოველ შესვლაზე თავის მოთხოვნას დაჟინებით მიმეორებდა, სანამ, ფაქტობრივად, იქ შესვლა არ შემაძულა. „დედა, ასე ცხოვრება არ მინდა. ეს არ არის ჩემი არჩევანი. ჩემი გამოჯანმრთელების შანსი არ არსებობს. ასე რომ, სრულიად გონივრულია ჩემი თხოვნა, რომ მომცე საშუალება, ყველაფერი ისე დავასრულო, როგორც საჭიროდ მივიჩნევ.“ ვუსმენდი და თვალნათლივ ვხედავდი, როგორი იქნებოდა საქმიან შეხვედრებზე. კარიერამ გახადა ასეთი – მდიდარი და ამპარტავანი. მიჩვეული იყო, რომ მისი სიტყვა კანონი იყო. ვერ ეგუებოდა, რომ როგორღაც ახლა მისი მომავალი ჩემს ხელში იყო, რომ მე ისევ გავხდი დედა.

დიდი ხანი დასჭირდა, სანამ დამითანხმებდა. იმიტომ არა, რომ რელიგია მიკრძალავდა. თუმცა, რა თქმა უნდა, იმის გაფიქრება, რომ ამ სასოწარკვეთილი გადაწყვეტილების გამო ჯოჯოხეთის ალი ელოდა, გულს მიკლავდა. მე მირჩევნია, მწამდეს ღმერთის, მოწყალე ღმერთის, რომელსაც ესმის ჩვენი ტანჯვა და შეცოდებებს მოგვიტევებს.

სინამდვილეში, ამის უკან იდგა ის, რასაც ვერასდროს გაიგებ ადამიანი, სანამ დედა არ გახდები... როცა შენს შვილში ზრდასრულ მამაკაცს კი ვერ ხედავ, შენს ხმაურიან, გაუპარსავ, დაუბანელ, ჯიუტ შთამომავალს, მანქანის არასწორად პარკირებისათვის გამოწერილი ჯარიმებით, ტალახიანი ფეხსაცმელებითა და აწეწილი პირადი ცხოვრებით...

არამედ ხედავ ყველა იმ ადამიანს, რომელიც კი ოდესმე ყოფილა... ერთ სხეულში ჩატეულს.

ვუყურებდი უილს და ვხედავდი ახალშობილს, რომელიც სამშობიარო ტკივილებით გატანჯულს გულზე დამაწვინეს, მე კიდევ ვერ ვიჯერებდი, რომ ამ ქვეყნად კიდევ ერთი ადამიანი მოვავლინე. ვხედავდი ჩვილს, რომელიც ხელზე მეტანებოდა, ვხედავდი სკოლის მოსწავლე პატარა ბიჭუნას, სკოლიდან თანაკლასელებზე გაბრაზებული და აცრემლებული რომ მოდიოდა. ვხედავდი ტკივილს, სიყვარულს, ისტორიას. უილი ამ ყველაფრის განადგურებას მთხოვდა, პატარა ბავშვის, ზრდასრული მამაკაცის, მთელი ამ სიყვარულის, მთელი ამ ისტორიის.

მერე კი, 22 იანვარს, სწორედ იმ დღეს, როდესაც მე სასამართლოში შევრჩი და ვარჩევდი მაღაზიის ქურდების, დაზღვევის არმქონე მძღოლებისა თუ გაცეცხლებული ყოფილი პარტნიორების საქმეებს, სტივენმა ფლიგელში შეაბიჯა და ჩვენი შვილი თითქმის უგონო მდგომარეობაში იპოვა. თავი გადმოჰკიდებოდა, ეტლის ბორბლებთან მუქი, წებოვანი სისხლის გუბე დამდგარიყო. დაჟანგული ლურსმანი ეპოვა, რომელიც უკანა შემოსასვლელში ნახევარი დიუმის სიგრძეზე გამოშვერილიყო ნაჩქარევად ნამუშევარი ხის ნაჭრიდან. ლურსმანზე მიჭერილი მაჯით ეტლი წინა და უკან უტარებია, სანამ ხორცი და სისხლძარღვები არ დაიჯიჯგნა. ამ დღემდე ვერ წარმომედგინა, რამდენად მტკიცე იყო მისი გადაწყვეტილება. ვერ წარმომედგინა, რამ აიძულა, რომ ასეთი ტკივილი და ზიანი მიეყენებინა თავისთვის.

ექიმებმა გვითხრეს, რომ კიდევ ოცი წუთიც რომ დაგეგვიანათ, ვერ გადავარჩენდითო. ისიც დაუფარავად გვითხრეს, რბილად რომ ვთქვათ, ეს განგაშის და დახმარების მოთხოვნის სიგნალი არ ყოფილა, როგორც თვითმკვლელობის მცდელობისას ხშირად ხდებაო.

როდესაც საავადმყოფოდან მახარეს, რომ უილი იცოცხლებდა, ბაღში გავედი და ავღრიალდი. ვწყევლიდი ღმერთს, ბუნებას, განგებას, ყველაფერს, რამაც ჩვენს ოჯახს ამდენი უბედურება დაატეხა თავს. ახლა რომ ვიხსენებ ჩემს თავს, შეშლილს ვგავდი. ცივი საღამო იყო, ბაღში ვიდექი, ჩემი ბრენდით სავსე ჭიქა Euonymus compactus-ის (წითელი ჭანჭყატი.) დიდ მეწამულ ბუჩქს შევალეწე და ავყვირდი. ჩემი ხმა ჰაერს ჰკვეთდა, ციხესიმაგრის კედლებს ეხეთქებოდა და ექოდ იფანტებოდა. გაშმაგებული ვიყავი იმ ფაქტით, რომ გარშემო ყველაფერი მოძრაობდა, ვითარდებოდა, იზრდებოდა, მრავლდებოდა და ჩემი შვილი... ჩემი სისხლი და ხორცი, ჩემი სიცოცხლით სავსე, ქარიზმატული, ლამაზი ბიჭი იქცა, აი, ამად – უმოძრაო, უსიცოცხლო, გასისხლიანებულ, ტანჯულ არსებად. ბუნების სილამაზე და სიცოცხლისუნარიანობა ახლა შეურაცხმყოფდა. ვყვიროდი, ხმის ჩახლეჩვამდე ვყვიროდი და ვიძახდი სიტყვებს, რომლებიც არც კი მეგონა, რომ ვიცოდი. ასე ვიყავი, სანამ სტივენი არ გამოვიდა და მხარზე ხელი არ დამადო. მიცდიდა, როდის გავჩუმდებოდი.

არ ესმოდა, იცით?.. აქამდე ვერ გაიგო. ვერ გაიაზრა, რომ უილი კიდევ ეცდებოდა ამას. რომ ამიერიდან მოგვიწევდა მუდმივად ფხიზლად ვყოფილიყავით მომდევნო მსგავსი შემთხვევის მოლოდინში – მოლოდინში, რიდის რა უბედურებას დამართებდა თავს.

მოგვიწევდა გარემოსთვის მისი თვალით გვეყურებინა. დროულად შეგვემჩნია ნივთიერებები, რომლებითაც შეიძლებოდა, თავი მოეწამლა, ბასრი საგნები, რომელთა დახმარებითაც დაასრულებდა იმ საქმეს, დაწყევლილმა მოტოციკლეტისტმა რომ დაიწყო ლონდონში. მთელი ჩვენი ცხოვრება ახლა უნდა აწყობილიყო იმაზე, რომ მსგავსი რამ აღარ მომხდარიყო. უპირატესობა უილის მხარეს იდგა. მას არაფერზე უწევდა ფიქრი.

ორი კვირის შემდეგ, უილს დავთანხმდი.

რა თქმა უნდა, დავთანხმდი.

მეტი გზა მქონდა, განა?!

IX

იმ ღამით ვერ დავიძინე. ჩემს კოლოფივით ოთახში გაუნძრევლად ვიწექი, ჭერს მივშტერებოდი და გონებაში გასული ორ თვის ამბებს ვალაგებდი, უკვე იმის გათვალისწინებით, რაც ახლა ვიცოდი. ყველაფერმა ადგილი იცვალა, გადაადგილდა, ამოყირავდა და ისე განლაგდა, რომ საერთო სურათს უკვე ვეღარ ვცნობდი.

თავს გაბითურებულად ვგრძნობდი, ჭკუასუსტ დოყლაპიად, რომელიც აზრზე არ იყო, ირგვლივ რა ხდებოდა. მეგონა, ტრეინორები ჩემგან მალულად იცინოდნენ, როცა ვცდილობდი, რომ უილს ბოსტნეული ყოველდღიურად მიეღო. ახლა კიდევ თმის შეჭრა... სასაცილო იყო ყველა ეს პატარა მცდელობა, რომ მას თავი უკეთესად ეგრძნო. რა აზრი ჰქონდა?

გონებაში ვიმეორებდი და ვიმეორებდი, კიდევ და კიდევ ვიხსენებდი საუბარს, რომელიც ჩუმად მოვისმინე. იქნებ, სხვანაირად გამეგო, სხვანაირი ახსნა მომეძებნა, თავს ვირწმუნებდი, რომ რაღაც არასწორად მომესმა. მაგრამ დიგნიტასში ხალხი დასასვენებლად არ დადის. ვერ დამეჯერებინა, რომ კამილა ტრეინორს შეეძლო საკუთარი ხელით შვილისთვის მსგავსი რამ გაეკეთებინა. რა თქმა უნდა, ყოველთვის ცივ ადამიანად მივიჩნევდი და მის სიახლოვეს ყოფნა უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდა. მაგალითად, არაფრით შემეძლო წარმომედგინა, როგორ ეხვეოდა შვილებს, ისე, როგორც დედაჩემი გვეხუტებოდა ხოლმე, ლაღად და სუნთქვის შემკვრელად, სანამ აფართხალებულები ჩვენ თვითონ არ დავუსხლტებოდით. საერთოდაც, გულახდილად რომ ვთქვა, ვფიქრობდი, რომ შვილებთან მსგავსი მოპყრობა და ურთიერთობები მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისთვის იყო დამახასიათებელი. ბოლოს და ბოლოს, ახლახან დავამთავრე „სიყვარული ცივ კლიმატში“, („სიყვარული ცივ კლიმატში“ – ინგლისელი ავტორის, ნენსი მიტფორდის რომანი, რომელიც 1949 წელს დაიბეჭდა და რომლის პერსონაჟებიც არისტოკრატთა წრეს ეკუთვნიან.) რომელიც უილის ბიბლიოთეკიდან ავიღე. მაგრამ საკუთარი ნებით და აქტიურად მიიღო მონაწილეობა საკუთარი შვილის სიკვდილში?! ეს უკვე მეტისმეტი იყო.

მისის ტრეინორის ქცევა ახლა კიდევ უფრო ცივი მეჩვენებოდა, მისი მოქმედებების უკან ავბედითი ჩანაფიქრები მელანდებოდა. მასზე ვბრაზობდი. უილზეც ვბრაზობდი. ორივეზე, რადგან შირმად გამომიყენეს. ვბრაზდებოდი იმაზე, რამდენი საათი

გამიტარებია ფიქრში, როგორ გამეუმჯობესებინა უილის ყოფა, როგორ მოვქცეულიყავი, რომ თავი კომფორტულად და ბედნიერად ეგრძნო. თუ არ ვბრაზობდი, სევდა შემომაწვებოდა ხოლმე. ვიხსენებდი, როგორი გაბზარული ხმით ამშვიდებდა მისის ტრეინორი ჯორჯინას და მეცოდებოდა. მესმოდა, რომ ისიც გაუსაძლის მდგომარეობაში იყო. მაგრამ ყველაზე მთავარი და ძლიერი განცდა ძრწოლა იყო. მეშინოდა იმის, რაც ახლა ვიცოდი. როგორ უნდა იცხოვრო მშვიდად, როცა სიკვდილამდე დღეებს ითვლი? როგორ შეეძლო ამ კაცს, დილით რომ თითებქვეშ მის კანს ვგრძნობდი, თბილსა და მფეთქავს, უბრალოდ გადაეწყვიტა, რომ სიცოცხლე უნდა დაესრულებინა? როგორ შეიძლებოდა, რომ ოთხ თვეში, ყველას თანხმობით, ეს სხეული მიწაში გახრწნილიყო?

ვერავის ველაპარაკებოდი. ეს იყო ყველაზე უარესი. მეც ტრეინორების საიდუმლოს თანამონაწილე გავხდი.

ვახშამზე უარი ვთქვი. საწოლში ვიწექი. ჩემი ფიქრები უფრო და უფრო ბნელდებოდა. ბოლოს მათ სიმძიმეს ვეღარ გავუძელი. ცხრის ნახევარზე დაბლა ჩავედი და ტელევიზორს მდუმარედ მივუჯექი, ბაბუას გვერდით. ის იყო ერთადერთი ადამიანი ოჯახში, რომელიც დანამდვილებით ვიცოდი, კითხვებით ტვინს არ გამიხვრეტდა. თავის საყვარელ სავარძელში იჯდა, ეკრანს მიშტერებოდა და გულმოდგინედ დაეკოსებინა ცხვირზე სათვალე. ვერაფრით ვხვდებოდი, ასეთ დროს ტელევიზორს ნამდვილად უყურებდა, თუ მისი გონება სრულებით სხვაგან ქროდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ არაფერი გინდა, საყვარელო? – მკითხა დედამ და ჩაით ხელში, გვერდით ამეტუზა. ჩვენს ოჯახში დარწმუნებულები იყვნენ, რომ არ არსებობდა პრობლემა, რომელსაც ჭიქა ჩაით არ ეშველებოდა.

– არა, არ მშია, გმადლობ.

დავინახე, როგორ გადახედა მამაჩემს. ვიცოდი, მოგვიანებით ერთმანეთში წყრომით იბუტბუტებდნენ, რომ ტრეინორები ძალიან ბევრს მამუშავებდნენ, რომ ასეთ ინვალიდზე ყოველდღიური ზრუნვა ძალიან მძიმე შრომა იყო ჩემთვის. ვიცოდი, თავებს დაიდანაშაულებდნენ, რომ მათ გამხადეს იძულებული, ამ სამუშაოს დავთანხმებოდი. მომიწევდა, ხელი არ შემეშალა მათთვის, რომ სწორედ ასე ეფიქრათ.

* * *

პარადოქსია, მაგრამ მომდევნო დღეს უილი კარგ ხასიათზე დამხვდა – უჩვეულოდ ენაწყლიანობდა, თავდაჯერებული იყო და ტრადიციისამებრ მიტევდა. ბოლო დღეებთან შედარებით ყველაზე მეტს ლაპარაკობდა. თითქოს, ჩემთან კინკლაობა უნდოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, რომ არ ავყევი.

– ეს ნაჯახით საკაფავი საქმე როდის უნდა დაამთავროთ, კლარკ?

მისაღებ ოთახს ვასუფთავებდი. დივანზე ბალიშებს ვასწორებდი ამ მომენტში და გაოცებულმა ავიხედე მაღლა.

– რა თქვით?

– თმაზე გეუბნებით. სანახევროდ რომ შემჭერით. ასე ხომ ვიქტორიანული პერიოდის ბავშვთა სახლში მიბარებულ ობოლს ვგავარ.

თავი მიატრიალა, რომ საკუთარი ნახელავი კარგად შემეთვალიერებინა.
– თუ, რა თქმა უნდა, ესეც თქვენი ალტერნატიული ხედვის შესახებ განაცხადი არ არის.
– გინდათ, კიდევ შეგჭრათ?
ეს პროცესი თქვენც გეხალისებოდათ და თან მეც აღარ ვემსგავსები ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტს.
მდუმარედ გამოვიტანე პირსახოცი და მაკრატლები.
– ნათანი ცალსახად ძალიან კმაყოფილია, რომ ადამიანს დავემსგავსე, – განაგრძო უილმა, – მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ რაკი სახე გამოვაჩინე, ახლა გაპარსვა ყოველდღე მომიწევს.
– ოჰ...
– წინააღმდეგი ხომ არ ხართ? შაბათ-კვირას, როცა აქ არ იქნებით, გასაპარსი წვერით მხატვრებისა და დიზაინერების შესახედაობას შევითავსებ.
მასთან ლაპარაკი არ შემეძლო. თვალებში შეხედვაც კი მიჭირდა. დაახლოებით ისე, მოულოდნელად რომ გაიგებ, შენი შეყვარებული რაღაცას გატყუებს. ისეთი განცდა მქონდა, რომ მიღალატა.
– კლარკ.
– ჰმ?..
– დუმილის აღთქმა დადეთ? ისევ სულ ჩუმად ხართ. სად წავიდა ჩვენი ცნობილი ენაჭარტალა?
– უკაცრავად, – ვთქვი მე.
– ისევ ის მორბენალი გაბრაზებთ? ამჯერად რა ჩაიდინა? გაიქცა და აღარ დაბრუნებულა?
– არა.
უილის თმის მცირე ბღუჯა ავიღე, საჩვენებელ და შუა თითებს შორის მოვიქციე. თითებზემოთ თმა დავიტოვე, მაკრატლის პირებს შორის მოვაქციე მოსაჭრელად, მაგრამ ხელები არ მემორჩილებოდა. ეს როგორ უნდა გაეკეთებინათ? ინექციას გაუკეთებდნენ? წამალს დაალევინებდნენ? თუ ოთახში დატოვებდნენ, სადაც ბევრი სამართებელი იდებოდა.
– დაღლილი ჩანხართ. ამის თქმა არ მინდოდა, როცა შემოხვედით, მაგრამ... ჯანდაბა, საშინლად გამოიყურებით.
– ოჰ.
ნეტავ, ვინც კიდურებს ვერ ამოძრავებს, იმათ როგორ ეხმარებიან? შევამჩნიე, მაჯებზე დავყურებდი, რომელთაც ყოველთვის გრძელი სახელოები ფარავდა. კვირების განმავლობაში მეგონა, რომ მას უბრალოდ უფრო მეტად სციოდა, ვიდრე ჩვენ. მორიგი ტყუილი.
– კლარკ?
– დიახ?
მიხაროდა, რომ მის უკან ვიდექი. არ მინდოდა, რომ ჩემი სახე დაენახა.
თითქოს, რაღაცის მოერიდა. ის ადგილი კისერზე, რომელიც თმით ჰქონდა დაფარული, კიდევ უფრო ფერმკრთალი ჩანდა, ვიდრე კანის დანარჩენი ნაწილი – რბილი, თეთრი და ფაქიზი.

– მისმინეთ... ჩემი დის გამო ბოდიშს გიხდით... ძალიან... ძალიან გაბრაზებული იყო. მაგრამ უფლება არ ჰქონდა, ასე უხეშად ელაპარაკა. ხანდახან მეტისმეტად პირდაპირია და ვერ ხვდება, რამდენად უსამართლოდ ექცევა ადამიანებს, – ერთხანს შედგა, – ავსტრალიაშიც ამიტომ ცხოვრობს, ასე მგონია.

– იქ გულახდილი ხალხი ცხოვრობს?

– რა?

– არაფერი. თავი გადმომიწიეთ.

მაკრატელსა და სავარცხელს ვატრიალებდი, ჩემებური მეთოდით ვკრეჭდი, წრიულად მივუყვებოდი, სანამ მთლიანად არ მოვამთავრე და თმის თითოეული ბეწვი ერთმანეთში არ ჩავსვი. იატაკზე, მოჭრილი თმა ეყარა.

* * *

დღის ბოლოს თავში ყველაფერი დალაგდა. უილი მამამისთან ერთად ტელევიზორს უყურებდა. პრინტერიდან ფურცელი ავიღე, სამზარეულოში ქილიდან – კალამი და დავწერე ყველაფერი, რაც სათქმელი მქონდა. ქაღალდი გავკეცე, კონვერტიც ვიპოვე და მასში ჩავდე. წერილი სამზარეულოს მაგიდაზე დავტოვე, კამილა ტრეინორის სახელზე. საღამოს წამოსვლა რომ დავაპირე, უილი და მამამისი რაღაცაზე საუბრობდნენ. უფრო სწორად, უილი იცინოდა. შემოსასვლელში შევყოვნდი, ჩანთა მხარზე გადავიკიდე და ყური მივუგდე. რატომ იცინოდა? რა ამხიარულებდა, როცა სულ რამდენიმე კვირა დარჩენოდა, სანამ სიცოცხლეს მოისწრაფებდა?

– მე წავედი, – დავიძახე შემოსასვლელიდან და გავედი.

– კლარკ, – გამომძახა უილმა. რაღაცას ამბობდა, მაგრამ კარი გამოვიხურე და მისი სიტყვები აღარ გამიგია.

იმ მოკლე მანძილზე, რომელიც ავტობუსით გავიარე, ვფიქრობდი, სახლში რომ მივიდოდი, მშობლებისთვის რა უნდა მეთქვა. გაგიჟდებოდნენ. მე ხომ, მათი აზრით, საუკეთესო და მაღალანაზღაურებადი სამსახური დავტოვე. პირველი შოკის შემდეგ დედაჩემი ტრაგიკული სახით შეეცდებოდა ჩემს დაცვას, რომ ჩემთვის ეს უკვე მეტისმეტი იყო და ვერ გავუძელი. მამაჩემი, ალბათ, მკითხავდა, რატომ არ ვგავდი ჩემს დას. ამას ხშირად მეუბნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მე არ დამინგრევია ჩემი მომავალი უდროო დროს დაფეხმძიმებით და ეს მე არ ვიყავი ფინანსურად დამოკიდებული ჩემს ოჯახზე, რომელთაც თან ჩემი შვილის მოვლა-პატრონობაც ევალებოდათ. ჩვენს სახლში ამ თემაზე საუბარი აკრძალული იყო, რადგან, დედაჩემს თუ დავესესხებით, გამოვიდოდა ისე, თითქოს ტომასი ღმერთის საჩუქარი არ იყო. არადა, ყველა ბავშვი ღმერთის საჩუქარია. ისინიც კი, უადგილოდ და ხშირად რომ იძახიან: „პედერასტი, პედერასტი“ და რომელთა წყალობითაც ოჯახის შრომისუნარიანი წევრების სრული უმრავლესობა ან უმუშევარია, ან ნორმალური სამსახურის პოვნა არ შეუძლიათ.

ოჯახს სიმართლეს ვერ ვეტყოდი. უილთან და მის ოჯახთან ვალდებული არაფერში ვიყავი, მაგრამ ვერ დავუშვებდი, რომ ჩემ გამო მთელ ქალაქს მათი გაკიცხვა და გაჭორვა დაეწყო.

თავში ეს ფიქრები მიტრიალებდა, ავტობუსის გაჩერებაზე რომ ჩამოვედი და სახლის მიმართულებით წავედი. ჩვენი ქუჩის კუთხეში რომ შევუხვიე, წივილ-კივილი მომესმა და აზრები გამეფანტა.

ჩვენს სახლთან ხალხი შეჯგუფებულიყო. შემეშინდა და ნაბიჯს ავუჩქარე. მაგრამ მალევე დავინახე ჩემი მშობლები, პარმაღზე რომ იდგნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ. მივხვდი, ჩვენს სახლში ცუდი არაფერი ხდებოდა. ჩვენს მეზობლად მცხოვრები ხმაურიანი ცოლქმრის მორიგი დებოში იყო.

რიჩარდ გრიშემი რომ ერთგული ქმარი არ იყო, ამ ქუჩაზე ყველამ იცოდა, მაგრამ მათი სახლის წინ დატრიალებული სცენებით თუ ვიმსჯელებთ, მისმა ცოლმა ეს ახლაღა გაიგო.

– შენ მე იდიოტი ხომ არ გგონივარ?! შენი მაისური ეცვა, გესმის?! სწორედ ის მაისური, დაბადების დღეზე რომ გაჩუქე!

– საყვარელო... დიმპნა... ეს ის არ არის, რაც შენ გგონია.

– შენი საყვარელი „შოტლანდიური კვერცხის“ გულისთვის შევედი. ეგ ძუკნაც იქ იყო და შენი მაისური ეცვა! უსირცხვილო, გახრწნილი დედაკაცი! მე კიდევ არც კი მიყვარს ეს „კვერცხი შოტლანდიურად“!

ნაბიჯი ისევ შევანელე. მეზობლების პატარა ჯგუფში გზას მივიკვლევდი, რომ ჩვენს ჭიშკრამდე მიმეღწია. დავინახე, როგორ გახტა გვერდზე რიჩარდი, DVD ფლეიერი რომ აერიდებინა. ფლეიერს წყვილი ფეხსაცმელი მოჰყვა.

– რამდენი ხანია, რაც ამ დღეში არიან?

დედაჩემს წელზე წინსაფარი შემოერტყა, გულზე დაკრეფილი მკლავები გაშალა და მაჯაზე საათს დახედა.

– საათის სამი მეოთხედი იქნება. ბერნარდ, რას იტყვი? ასე იქნება, არა?

– გააჩნია, ათვლას საიდან დაიწყებ, ფანჯრიდან რომ ტანსაცმელი გადმოყარა, თუ ქმარი სახლში რომ დაბრუნდა და ეს ამბავი დახვდა.

– დავუშვათ, სახლში რომ დაბრუნდა.

მამა დაფიქრდა.

– მაშინ, ალბათ, უფრო ნახევარი საათი იქნება. თუმცა, პირველი თხუთმეტი წუთში ფანჯრიდან ნივთების ძირითადი ნაწილის გადმოყრა მოასწრო.

– მამაშენი ამბობს, ამჯერად სახლიდან თუ მართლა გააპანღურა, რიჩარდის „ბლექ ენდ დეკერი“ (ბლექ ენდ დეკერი – საოჯახო ხელსაწყოების მწარმოებელი ფირმა.) მე გამომადგებაო.

ხალხი მატულობდა. დიმპნა გრიშემი გაჩერებას, როგორც ჩანს, არც აპირებდა. პირიქით, სეირის მაყურებლების ხათრით, უფრო მეტ ეშხში შედიოდა.

– მომაშორე შენი ბინძური ქაღალდები, – იკივლა და ფანჯრიდან ჟურნალ-გაზეთები დასტადასტა მოაფრიალა.

ხალხი ამან ცოტა გაამხიარულა.

– ვნახავ ერთი, როგორ მოეწონება შენს ძუკნას, მთელ კვირა დღეს ტუალეტში ამ ჟურნალებით რომ ჩაიკეტები, – ფანჯარას მოშორდა და შიგნით შევიდა, ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა და ეზოში ახლა გასარეცხი თეთრეული გადმოყარა, – შენი ტურტლიანი

ნიფხვებიც მომაშორე! ვნახოთ, რა ხასიათზე დადგება, ყოველდღე რომ ესენი ექნება სარეცხი, ისევ „სექსი ულაყი“ იქნები თუ არა.

რიჩარდი უმწეო სახით ამოიღლიავებდა ხოლმე დიმპნას მიერ გადმოყრილ ნივთებს, რომელთაც ბოლო არ უჩანდა. პერიოდულად, ფანჯრის მისამართით, რაღაცას შეჰყვირებდა, მაგრამ ხალხის ხმაურში და დიმპნას კივილში მისი სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო. გასარეცხი ტანსაცმლის მიმართ ინტერესი არავის გამოუჩენია, სამაგიეროდ, კომპაქტდისკები და ვიდეოთამაშები სარგებლობდა პოპულარობით. მჭახე ხმა გაისმა. ფანჯრიდან სტერეოსისტემა გადმოეშვა.

რიჩარდმა ჯერ თითქოს თვალებს არ დაუჯერა.

– გაგიჟდი, შე ჩათლახო, შენა?!

– იმ გარაჟის ტრიპერიან ელამ ტროლს შენ ხერხავ და კიდევ მე ვარ გიჟი და ჩათლახი?!

დედაჩემი მამაჩემს მიუბრუნდა.

– ჩაის დალევ, ბერნარდ? მგონი, ცოტა აგრილდა.

მამაჩემს მეზობლების სახლისთვის თვალი არ მოუშორებია.

– ჩაი კარგი იქნებოდა, ძვირფასო. მადლობა.

დედაჩემი შიგნით შევიდა. ამ დროს მანქანა დავინახე. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ უცბად ვერც ვიცანი მისის ტრეინორის ზღვისფერი ლურჯი მერსედესი, რომელიც ნელა და ფრთხილად გვიახლოვდებოდა.

მისის ტრეინორმა მანქანის შუშა ჩასწია, გამოიხედა და შორიახლოს მიმდინარე ალიაქოთს დააკვირდა. ერთხანს შეყოვნდა, სანამ მანქანიდან გადმოვიდოდა. შემცბარი იდგა და სახლების რიგს უყურებდა, ალბათ, ნომრებს აკვირდებოდა. მერე მეც დამინახა. სანამ მამაჩემი მკითხავდა, საით მივდიოდი, პარმაღიდან მოვწყდი და მისის ტრეინორისკენ წავედი. შეჯგუფებულ ხალხთან ახლოს იდგა და ისე შეჰყურებდა ამ სცენას, როგორც მარია ანტუანეტა – აჯანყებულ გლეხებს.

– ოჯახური უთანხმოებაა, – ვუთხარი მე.

სწრაფად გამომხედა, თითქოს, შერცხვა, რომ თუნდაც მცირედი ინტერესი გამოხატა იმის მიმართ, რაც ხდებოდა.

– გასაგებია.

– ეს კიდევ არაფერია ამათ სკანდალებთან შედარებით. ოჯახურ თერაპიაზე სიარულმა ეტყობა მაინც გაჭრა.

მისი ელეგანტური შალის მოსაცმელი, მარგალიტის საყურეები, საუცხოო ვარცხნილობა სრულიად საკმარისი იყო, რომ თეთრი ყვავივით გამოჩენილიყო ჩვენი ქუჩის ფონზე, სადაც ადამიანებს სპორტული შარვლები და ქსელური მაღაზიების იაფფასიანი, ჭყეტელა ტანსაცმელი ეცვათ. პირგამხებული იდგა, უფრო მკაცრი ჩანდა, ვიდრე იმ დილით, უილის საწოლ ოთახში ჩაძინებულს რომ დამადგა თავზე. წამის რაღაც მეასედებში მოვასწარი იმის გაფიქრებაც, რომ კამილა ტრეინორი ნამდვილად არ მომენატრებოდა.

– თქვენთან საუბარი მინდა, იქნებ რამდენიმე წუთი დამითმოთ, – ხმამაღლა საუბარი უწევდა, რომ ქუჩის ხმაურში მისი ნათქვამი გამეგო.

ხალხს შევხედე და მერე უკან, ჩემი სახლისკენ გავიხედე. ვერაფრით წარმოვიდგინე, როგორ უნდა შემეყვანა მისის ტრეინორი ჩვენს მისაღებში, სადაც ტომასის სათამაშო მატარებლები ეყარა, ტელევიზორის წინ მოგუდულად ხვრინავდა ბაბუა და დედა ჰაერში არომატიზატორებს ასხამდა, რომ მამაჩემის წინდების სუნი ჩაეხშო. ტომასიც იქვე დაბრაცუნობდა, მერე კი ახლადშემოსულ სტუმარს მიეგებებოდა: „პედერასტი, პედერასტი“.

– ჰმ... ახლა ამისთვის ნამდვილად არ არის კარგი დრო.

– იქნებ, ჩემს მანქანაში ჩავსხდეთ? მისმინეთ, ლუისა, მხოლოდ ხუთ წუთს გთხოვთ. რა თქმა უნდა, მოვალე ხართ, რომ მომისმინოთ.

რამდენიმე მეზობელმა ჩვენკენ გამოიხედა და დამაკვირდა, როცა მის მანქანაში ვჯდებოდი. გამიმართლა, რომ გრიშემების სკანდალი უფრო ცხელი თემა იყო ჩემი მეზობლებისთვის, თორემ იმ საღამოს მათი საუბრის მთავარი თემა მე ვიქნებოდი. ჩვენს ქუჩაზე ასეთი ამბავია, თუ ძვირადღირებულ მანქანაში ჯდები, ეს იმას ნიშნავს, რომ ან ვინმე ფეხბურთელი ააგდე, ან გამომძიებლებთან გაქვს საქმე.

კარი უხმაუროდ ჩაიკეტა და უეცრად სრული სიჩუმე ჩამოწვა. მანქანაში ტყავის სუნი იდგა. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით, მე და მისის ტრეინორი, არავითარი კანფეტების სახვევები, ჭუჭყი, მიკარგული სათამაშოები, არომატიზირებული საკიდები, რომელნიც სამი თვის წინ მიგდებული რძის კოლოფის საზიზღარ სუნს ნიღბავდნენ.

– მე მეგონა, რომ თქვენ და უილი ერთმანეთს კარგად შეეგუეთ, – პირდაპირ იყურებოდა და ისე ლაპარაკობდა. როდესაც ხმა არ გავეცი, ისევ დაამატა, – ფულის გამო?

– არა.

– უფრო დიდი შესვენება გინდათ? მე მესმის, რომ ნახევარი საათი არ გყოფნით. შემიძლია, ნათანს ვთხოვო, რომ...

– დრო არაფერ შუაშია, არც ფული.

– მაშინ...

– არ მინდა თქვენთან მუშაობა...

– მისმინეთ, ასე არ შეიძლება, მოკლე წერილი რომ დამიტოვეთ და გამოიქეცით, გგონიათ, რომ არ ვიკითხავ, რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს?

ღრმად ჩავისუნთქე.

– თქვენი საუბარი მოვისმინე. თქვენი და თქვენი ქალიშვილის. გუშინ საღამოს. და მე არ მინდა... მე არ მინდა ამის თანამონაწილე ვიყო.

– აჰ.

სიჩუმეში ვისხედით. მისტერ გრიშემი ცდილობდა შესასვლელ კარამდე გზა გაეკვალა. მისის გრიშემი იმ ნივთებსაც თავზე აყრიდა, რაც აქამდე გადმოყრას გადარჩენოდა. ჭურვების არჩევანით თუ ვიმსჯელებთ – ტუალეტის ქაღალდი, ტამპონების ყუთები, ჯაგრისები, შამპუნის ბოთლი – ამჯერად უკვე სააბაზანოს დაცარიელებაზე გადასულიყო.

– გთხოვთ, არ წახვიდეთ, – მშვიდად თქვა მისის ტრეინორმა, – უილი თავს თქვენთან კარგად გრძნობს. ასე კარგად ძალიან დიდი ხანია არ ყოფილა. ჩემთვის... ჩვენ ყველასთვის ძალიან ძნელი იქნება, რომ თქვენი შემცვლელი ვიპოვოთ.

– მაგრამ თქვენ ხომ აპირებთ... თქვენ ხომ უილი იქ უნდა წაიყვანოთ, სადაც ადამიანებს ეხმარებიან თავი მოიკლან. დიგნიტასში.

– არა. მე იმას ვაპირებ, ყველაფერი გავაკეთო, რაც შემიძლია და დავარწმუნო, რომ ეს არ ქნას.

– მაგალითად? რა გაქვთ გეგმაში? ლოცვა?

მისის ტრეინორმა შემომხედა. ამას დედაჩემი „ძველმოდურ მზერას“ დაარქმევდა.

– აქამდე უნდა მიმხვდარიყავით, უილი რომ თავის თავში ჩაიკეტება, არ არსებობს ადამიანი, ვინც შეძლებს, მას რამე შეასმინოს.

– ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, – ვუპასუხე მე, – მე მხოლოდ იმისთვის გჭირდებით, რომ უილმა რაღაც არ ითაღლითოს და დროზე ადრე არ ჩაიდინოს რამე... სანამ ექვსი თვე გავა. სულ ეს არის, არა?

– არა, ასე არაა.

– ამიტომაც იყო, რომ ჩემი კვალიფიკაცია არ გადარდებდათ.

– მე ჩავთვალე, რომ თქვენ ლაღი, მხიარული ადამიანი იყავით, რომელიც სხვებს არ ჰგავს. თქვენ არ ჰგავდით მედდას, ექთანს. თქვენ... თქვენ არ იქცეოდით სხვების მსგავსად. მე ვიფიქრე... მეგონა, რომ მის გამხიარულებას შეძლებდით. და ასეც მოხდა – თქვენს მას ახალისებთ, ლუისა. იმ საშინელი წვერის გარეშე რომ დავინახე გუშინ... როგორ გითხრათ... თქვენ ხართ იმ უიშვიათეს ადამიანთაგანი, ვისაც უილის სულში შეღწევა შეუძლია.

– როგორ გგონიათ, უფრო სამართლიანი არ იქნებოდა, გეთქვათ, რომ სინამდვილეში მისი დარაჯი ვიყავი?

კამილა ტრეინორმა ისე გამიღიმა და ისეთი ხმით მიპასუხა, როგორ მშვიდად და ზრდილობიანადაც ესაუბრებიან იმბეცილებს. დავფიქრდი, ნეტავ, თუ აცნობიერებდა, რომ მისი ლაპარაკის მანერა თანამოსაუბრეებს თავს იდიოტებად აგრძნობინებდა. საინტერესოა, ნეტავ მიზანმიმართულად ხომ არ ივითარებდა ამ უნარს. მე, ალბათ, ვერასდროს მოვახერხებ თავი ისე დავიჭირო, რომ ადამიანმა თავი ჩემზე დაბლა მდგომად ჩათვალოს.

– როცა პირველად შევხვდით, მაშინ, ალბათ, ასეც იყო. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ უილი თავის სიტყვას შეასრულებს. ექვს თვეს დამპირდა და ექვსი თვე გვაქვს. ეს დრო გვჭირდება, ლუისა. ეს დრო გვჭირდება იმისთვის, რომ დავანახოთ, მისთვისაც არსებობს შესაძლებლობები. მე იმედი მაქვს, ჩავუნერგავთ იდეას, რომ მასაც შეიძლება ცხოვრება უხაროდეს, მაშინაც კი, როცა ასეთ ცხოვრებას ის თავად არ გეგმავდა.

– მაგრამ ტყუილია ეს ყველაფერი. თქვენ მეც მომატყუეთ და ერთმანეთსაც ატყუებთ. არ მისმენდა. სახე ჩემკენ მოაბრუნა, ჩანთიდან ჩეკების წიგნაკი ამოიღო, კალამი უკვე ხელში ეჭირა.

– რას ითხოვთ? ხელფასს გაგიორმაგებთ. მითხარით, რამდენი გინდათ.

– თქვენი ფული არ მჭირდება.

– მანქანა? პრემია? მაინც რა?

– არა...

– მაშინ... რა უნდა გავაკეთო, რომ გადაგაფიქრებინოთ?

– ვწუხვარ, მაგრამ... უბრალოდ, არ მინდა...

მანქანიდან გადმოსასვლელად მოვემზადე. ხელი ჩამავლო და აღარ გაუშვია, ძლიერად მიჭერდა და თრთოდა. ორივე მის ხელს ვუყურებდით.

– კონტრაქტზე ხელი გაქვთ მოწერილი, მის კლარკ, – თქვა მან, – ხელმოწერით დაადასტურეთ, რომ ჩვენთან ექვს თვეს იმუშავებდით. ჩემი გაანგარიშებით, აქედან მხოლოდ ორი თვე გავიდა. მე უბრალოდ გთხოვთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულოთ.

ხმა გაებზარა. მის ხელს დავხედე. ერთიანად უკანკალებდა.

– გთხოვთ, – თქვა ჩუმად და ნერწყვი ჩაყლაპა.

ჩემი მშობლები პარმაღიდან იყურებოდნენ. ვხედავდი, ხელში ჩაის ფინჯნები ეკავათ. ეს იყო ორადორი ადამიანი, რომელიც მოჩხუბარი მეზობლების კარს არ მისჩერებოდა. ცივად შებრუნდნენ, როცა დაინახეს, რომ მეც შევამჩნიე. ახლა მომხვდა თვალში, რომ მამაჩემს საღებავის ლაქებით დასვრილი შოტლანდიური ჩუსტები ეცვა.

მანქანის კარი გავაღე.

– მისის ტრეინორ, მე მართლა არ შემიძლია გულხელდაკრეფილი ვიჯდე და ვუყურო... ძალიან უცნაურია ეს ჩემთვის. არ მინდა, რომ ამის ნაწილი ვიყო.

– უბრალოდ დაფიქრდით. ხვალ წითელი პარასკევია. თუ მეტი დრო გჭირდებათ მოსაფიქრებლად, უილს ვეტყვი, რომ ოჯახში ამ დღეს განსაკუთრებულად ატარებთ. მერე შაბათ-კვირაც მოდის და საფიქრალად დრო გექნებათ. მაგრამ გთხოვთ. დაბრუნდით. დაბრუნდით და უილს დაეხმარეთ.

სახლში უკანმოუხედავად შევედი. მისაღებ ოთახში დავჯექი და ტელევიზორს მივაჩერდი. ჩემი მშობლები შემოვიდნენ, ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს და თავი ისე დაიჭირეს, თითქოს, სულ არ მაკვირდებოდნენ.

ათ წუთზე მეტი გავიდა, როცა ბოლოს და ბოლოს გავიგე, როგორ დაძრა მისის ტრეინორმა მანქანა და წავიდა.

* * *

ხუთი წუთიც არ იყო გასული, რაც ჩემი და სახლში დაბრუნდა და მაშინვე დამეტაკა. კიბე ჩემს ოთახამდე ქარბორბალასავით ამოირბინა და კარი შემომიგლიჯა.

– შემოდი, არ მოგერიდოს, – ვუთხარი მე. საწოლზე ვიწექი, ფეხები კედელზე მქონდა ალაგებული და ჭერს მივჩერებოდი. კოლგოტები და ოქროსფერი ბრჭყვიალებით გაწყობილი ლურჯი შორტი მეცვა, რომელიც ამ პოზაში ბარძაყებიდან უშნოდ ჩამომკიდებოდა.

კატრინა კარებში გაჩერდა.

– ეს მართალია?

– რა, დიმპნა გრიშემმა რომ, როგორც იქნა, თავისი მუსუსი და ნამუსგარეცხილი ქმარი სახლიდან მიაბრძანა?

– ნუ მომინდომე ენაკვიმატობა. შენს სამსახურზე გეკითხები.

ფეხის ცერა თითი შპალერზე ნახატების კონტურებს გავაყოლე.

– ჰო, განცხადება დავუტოვე. ვიცი, დედასა და მამას ეს ამბავი სულ არ გახარებიათ. დიახ, დიახ და დიახ – წინასწარ ყველაფრის პასუხად, რაც ახლა თავში გიტრიალებს და მომაყრი. კარი ფრთხილად მიხურა და საწოლის ბოლოში ჩამოჯდა.

– არ მჯერა, რას ბოდავ, – მომახალა მოურიდებლად.

ფეხებზე ხელი მკრა, კედლიდან ჩამომიცურდა და მთელი ტანით საწოლზე გავიშხლართე. გავსწორდი და წამოვჯექი.

– აუ!

– არ მჯერა, – აჭარხლებული სახით განრისხებული დამსისინებდა ტრინა, – დედა განადგურებულია. მამა არ იმჩნევს, მაგრამ ისიც. რა უნდა ქნან? ოჯახმა როგორ უნდა იარსებოს? ხომ იცი, რომ მამა ისედაც პანიკაშია თავისი სამსახურის გამო. ასეთი კარგი სამსახურიდან როგორ წამოხვედი?

– ლექციას ნუ მიკითხავ, ტრინა.

– ვიღაცამ მაინც ხომ უნდა შეგაგნებინოს რამე! ასეთ ანაზღაურებას სხვაგან არსად მოგცემენ. როგორ აისახება ეს ყველაფერი შენს რეზიუმეში?

– შენი ჭირიმე, თავი ისე ნუ მოგაქვს, თითქოს რამე ან ვინმე გადარდებდეს საკუთარი თავის გარდა.

– რა?

– ფეხებზე გკიდია, მე რას ვაკეთებ და რა მინდა. ოღონდ კი წახვიდე და შენი ფრთოსანი კარიერა მკვდრეთით აღადგინო. მე მარტო იმისთვის გჭირდები, რომ ოჯახის ბიუჯეტი შევავსო და შენს შვილს ფაფა არ მოვაკლო. სხვა არაფერი გეკითხება.

ვიცოდი, როგორ ხისტად და მკვახედ ჟღერდა ჩემი სიტყვები, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. წლების განმავლობაში დაგროვილმა ბოღმამ ამოხეთქა.

– თითოეულ ჩვენგანს უწევს, აკეთოს ის, რაც ეზიზღება, მარტო იმიტომ, რომ პატარა კატრინამ თავისი წყეული ამბიციები დაიკმაყოფილოს

– მე არაფერ შუაში ვარ.

– მართლა?

– ჰო, ეს შენ არ შეგიძლია, გამოიყენო ერთადერთი ნორმალური შესაძლებლობა, რაც ამ თვეების განმავლობაში მოგეცა.

– შენ ჩემს სამსახურზე არაფერი იცი.

– მე ის ვიცი, რომ საშუალოზე ბევრად მეტ ფულს გიხდიან და ეს საკმარისია. მეტი არაფრის ცოდნა მჭირდება.

– ცხოვრებაში ყველაფერი ფულით არ იზომება, ტრინა.

– მართლა? ჩადი და ეგ დედას და მამას უთხარი.

– შენ ნუ მიკითხავ მორალს და ნუ მასწავლი, ფული რა არის, როცა ოჯახისთვის წლების განმავლობაში ერთი პენსიც არ დაგიხარჯავს.

– ხომ იცი, რომ ტომასის გამო ხელფეხშეკრული ვარ.

ხელი მოვკიდე და კარისკენ ვუბიძგე. არ მახსოვს, ბოლოს ხელით როდის შევეხე, მაგრამ იმ მომენტში ისეთი გამწარებული ვიყავი, რომ ადამინის გალახვაზეც არ დავიხევდი უკან

და ეჭვი მაქვს, ჩემი და მემსხვერპლებოდა კიდეც, ცოტა ხანსაც რომ დარჩენილიყო ოთახში.

– თავი დამანებე, ტრინა, გასაგებია? შემეშვი და მარტო დამტოვე.

კარი ცხვირწინ მივუჯახუნე. როცა ბოლოს და ბოლოს გავიგე, კარს როგორ მოშორდა და კიბეზე ჩავიდა, გადავწყვიტე, არ მეფიქრა, რას ეტყოდა მშობლებს. არ მეფიქრა იმაზე, როგორ ჩათვლიდა ყველა ერთხმად, რომ კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩემი უნიათობა. არ მეფიქრა, რას იტყოდა საიდი დასაქმების ცენტრიდან და მე როგორ ავუხსნიდი, რატომ დავტოვე ყველაზე მაღალანაზღაურებადი სამსახური მომსახურების სფეროში. არ მეფიქრა მეფრინველეობის ფაბრიკასა და კიდევ იმაზე, რომ სადღაც, მის დამპალ დერეფნებში, ჯერ კიდევ ინახებოდა უნიფორმა, რომელსაც ჩემი სახელი ეწერა.

დავწექი და უილზე ფიქრი განვაგრძე. ვიხსენებდი მომენტებს, როცა ბრაზობდა, როცა სევდიანი იყო. თავში დედამისის სიტყვები მიტრიალებდა, რომ მე ვიყავი ერთერთი იმ უიშვიათეს ადამიანთაგანი, ვისაც მის სულში შეღწევა შეეძლო. გამახსენდა, როგორ იკავებდა სიცილს, როცა „მოლაჰონკის სიმღერას“ ვუმღეროდი იმ ღამეს, ფანჯრებს მიღმა ლამპიონის შუქზე ოქროსფრად რომ ელვარებდა თოვლი. ვფიქრობდი მის თბილ კანზე, რბილ თმასა და ხელებზე, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალ ადამიანს ეკუთვნოდა, ბევრად უფრო ჭკვიანს, ვიდრე მე ვიქნები ოდესმე, ადამიანს, რომელსაც ჩემზე კარგი იუმორიც ჰქონდა, მაგრამ მაინც ვერ ეპოვა უკეთესი გამოსავალი, გარდა თვითგანადგურებისა. ცრემლებს ვეღარ მოვერიე. ბალიშს ჩავეხუტე და ავტირდი. ჩემი ცხოვრება ახლა ბევრად უფრო მუქ ფერებში მეხატებოდა, ვიდრე ოდესმე წარმომედგინა. რას არ მივცემდი, იმ დროში დავბრუნებულიყავი, როცა ჩემი მთავარი საზრუნავი იყო კაფეში მე და ფრენკს დღის განმავლობაში ქიშმიშიანი ფუნთუშები არ შემოგვკლებოდა.

კარზე კაკუნი გაისმა

ცხვირი ხმაურით მოვიხოცე.

– თავი დამანებე, კატრინა.

– მაპატიე.

კარს მივაჩერდი.

მისი ხმა მოგუდულად ისმოდა. თითქოს ტუჩები გასაღების ღრიჭოსთან მოეტანა.

– ღვინო მოვიტანე. შემომიშვი, გთხოვ, თორემ დედა გაიგებს. ჯემპრის ქვეშ „ბობ ზი ბილდერის“ ორი ქილა მაქვს დამალული. ხომ იცი, ოთახში შეკეტილად ღვინის სმის ამბავი არ მოეწონება.

საწოლიდან წამოვძვერი და კარი გავაღე.

ჩემს ცრემლიან თვალებს და ნამტირალევ სახეს შეხედა და კარი ზურგსუკან მიხურა.

– კარგი, – თქვა ტრინამ, ღვინის ქილა გახსნა და ჭიქაში ჩამომისხა, – ახლა მითხარი, რა მოხდა სინამდვილეში?

ჩემს დას ყურადღებით შევხედე.

– არავისთან წამოგცდეს, რასაც ახლა გეტყვი. არც მამასთან და განსაკუთრებით, არც დედასთან.

მერე კი ვუთხარი.

ვინმესთვის უნდა მომეყოლა.

* * *

ბევრი რამ იყო, რის გამოც ჩემი და მაღიზიანებდა. რამდენიმე წლის წინ გაჩვენებდით სიებად ჩამოწერილ სავსე ფურცლებსაც, რაც ამ თემაზე მიჯღაბნია. ვერ ვიტანდი იმის გამო, რომ სქელი, სწორი თმა ჰქონდა. მე კიდევ ბოლოები მეყოფოდა, როგორც კი სიგრძე მხრებს ჩამოსცილდებოდა. ვერ ვიტანდი იმასაც, რომ შეუძლებელი იყო მისთვის რამე გეთქვათ და მას ეს უკვე არ სცოდნოდა. ვერ ვიტანდი, რადგან სკოლაში სწავლის პერიოდში მასწავლებლები მუდმივად მამუნათებდნენ და დამძახოდნენ, როგორი ჭკვიანი და განსაკუთრებული იყო ტრინა, თითქოს, მათ გარეშეც მუდმივად მის ჩრდილში არ მიწევდა ცხოვრება. ვერ ვიტანდი კიდევ იმის გამოც, რომ ოცდაექვსი წლის ასაკში კოლოფივით ოთახში ვცხოვრობდი, რომ მას და მის უკანონო შვილს უფრო დიდი ოთახი ჰქონოდათ. მაგრამ ხანდახან ნამდვილად ბედნიერი ვიყავი, რომ ჩემი და იყო. იმიტომ, რომ კატრინა შეძრწუნებული არ აცახცახებულა, არც შოკში ჩავარდნილს დაუჟინია, რომ მშობლებისთვის ყველაფერი მომეყოლა. აღარც ის უთქვამს, რომ სამსახურის მიტოვებით შეცდომას ვუშვებდი.

– ღმერთო ჩემო, – თქვა ტრინამ და ღვინის დიდი ყლუპი მოსვა.

– დიახ...

– მაგრამ ეს მისი კანონიერი უფლებაა. ხელს ვერ შეუშლიან.

– ვიცი.

– ჯანდაბა. ყველაფერი ამერია.

ამასობაში, სანამ ვყვებოდი, ორ-ორი ჭიქა უკვე ჩავწრუპეთ. ვგრძნობდი, ლოყები უკვე წითლად მიღვიოდა.

– მისი დატოვება ძალიან მიჭირს, მაგრამ ამის თანამონაწილე ვერ გავხდები, ტრინ, არ შემიძლია.

– ჰმ... – ჩაფიქრდა. ზოგადად, ჩემს დას ისეთი სახე აქვს, თითქოს სულ ფიქრობს. ეს აიძულებს ხალხს, რომ ჯერ შეიცადონ, სანამ დაელაპარაკებიან. მე კიდევ მამა მეუბნება, რომ როცა ვფიქრობ, ადამიანმა რომ შემომხედოს, ეგონება, რომ ტუალეტში მინდა.

– არ ვიცი, რა ვქნა.

შემომხედა და უცებ სახე გაუნათდა.

– მარტივია. ძალიან მარტივია.

კიდევ თითო ჭიქა ჩამოასხა.

– უი! ღვინო გვიმთავრდება. კარგი. მოკლედ. ყველაფერი მარტივია. ფული ხომ აქვთ?

– არ მჭირდება მე მაგათი ფული, ტრინა. დედამისმა შემომთავაზა,ხელფასს მოგიმატებო, მაგრამ ეგ არაფერ შუაშია.

– მოკეტე, გოგო. მაცადე, შენთვის კი არ ვამბობ. თავიანთი ფული თავად ჰქონდეთ. უბედური შემთხვევის გამო, ალბათ, კიდევ სადაზღვევოსგან მიიღებდნენ ერთ ტონას. ჰოდა, მიხვალ და ეტყვი, რომ გჭირდება ფული, რომელსაც გამოიყენებ... რამდენი დარჩა? ჰო, ოთხი თვის განმავლობაში და შენ გადააფიქრებინებ უილ ტრეინორს.

– რა?

– გადაწყვეტილებას გადააფიქრებინებ-მეთქი. შენ თვითონ მითხარი, რომ მთელ დროს ოთხ კედელშუა ატარებს. მცირედით დაიწყებ. ერთხელ რომ გამოიყვან, ორჯერ რომ გამოიყვან, მერე თავადაც მოუნდება. ყოველ შემდეგ ჯერზე დაგეგმავ არაჩვეულებრივ რამეს, ნებისმიერ რაღაცას, რაც მას სიცოცხლის ხალისს დაუბრუნებს. თავგადასავლები, მოგზაურობა, ცურვა დელფინებთან ერთად, ნებისმიერი რამ და წავიდა! მეც დაგეხმარები. ბიბლიოთეკაში ინტერნეტით მოვძებნი საინტერესო იდეებს. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი რამის მოფიქრება შეგვიძლია. სანამლეოს ჩამოვალ, რომ ეს მართლა გაახალისებს. გაშტერებული ვუყურებდი.

– კატრინა...

– ვიცი, ვიცი, – ჩაიხითხითა ჩემი ღიმილის პასუხად, – ნამდვილი გენიოსი ვარ.

X

გაოცებულები მიყურებდნენ. უფრო სწორად, გაოცება კიდევ ძალიან მსუბუქად არის ნათქვამი. მისის ტრეინორი თავზარდაცემულს ჰგავდა, მერე დაბნეულობა დაეტყო, ბოლოს კი სახე ჩვეულებისამებრ შეუვალი გაუხდა. მისი ქალიშვილი, ჯორჯინა მის გვერდით დივანზე ფეხებაკეცილი იჯდა და გაჯავრებული მიყურებდა. დედაჩემი როცა ასეთი სახით შემომხედავდა, ეს კარგს ნამდვილად არაფერს მოასწავებდა. მე უფრო მეტ ენთუზიაზმს ველოდი მათგან.

– მაინც რისი გაკეთება გინდათ?

– ჯერ არ ვიცი. ჩემს დას ინტერნეტში ძიება კარგად ეხერხება. მიპოვის კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებისთვის რა შესაძლებლობები არსებობს. მაგრამ ჯერ თქვენგან მინდოდა, გამეგო, რამდენად ხართ მზად ამისთვის?

სასტუმრო ოთახში ვისხედით. ეს იგივე ოთახი იყო, სადაც თავის დროზე მისის ტრეინორთან გასაუბრება მქონდა. ოღონდ, ამჯერად მისის ტრეინორი და მისი ქალიშვილი დივანზე ჩამომსხდარიყვნენ. ოჯახის ბებერი ძაღლი კი მათ შუაში იდორბლებოდა. მისტერ ტრეინორი ბუხართან იდგა. მე ჩემი ფრანგული მუქი ლურჯი ჯინსის ქურთუკი მეცვა, მოკლე კაბა და სამხედრო ჩექმა. წამიერად გამიელვა, რომ აჯობებდა, უფრო საქმიანი ჩაცმულობა ამერჩია ამ დღისთვის, როცა ტრეინორებთან ჩემი გეგმების გასაცნობად მოვდიოდი-მეთქი.

– მოდით, პირდაპირ ვთქვათ, – წინ გადმოიხარა კამილა ტრეინორი, – თქვენ გინდათ, რომ უილი ამ სახლიდან წაიყვანოთ.

– დიახ.

– თავგადასავლებს აზიაროთ, – ეს ისეთი სახით თქვა, გეგონებოდათ, მოყვარულიქირურგი ვიყავი და მის შვილზე სკალპელით ხელში ექსპერიმენტების ჩატარებას ვგეგმავდი.

– დიახ. როგორც უკვე გითხარით, ჯერ არ ვიცი, რას ვიზამთ. მაგრამ იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახლიდან გავიყვანოთ და მისი თვალსაწიერი გავაფართოვოთ.

შეიძლება ადგილობრივადაც ვნახოთ რამე მისთვის საინტერესო, მერე კი კიდევ უფრო შორსაც წავიდეთ.

– გულისხმობთ... საზღვარგარეთ?

– საზღვარგარეთ? – თვალები დავახამხამე, – მე ლუდის ბარს ვგულისხმობდი... რამე შოუს, წარმოდგენას... დასაწყისისთვის.

– უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უილი სახლიდან თითქმის არ გასულა, საავადმყოფოში გეგმურ ვიზიტებს თუ არ ჩავთვლით.

– დიახ... და იცით... მე მგონია, რომ მისი გადარწმუნება უნდა ვცადო.

– და თქვენც, თავისთავად ცხადია, ამ თავგადასავლებში თან ახლდებით, არა? – წამოისროლა ჯორჯინა ტრეინორმა.

– მისმინეთ, არაფერია ამაში რაღაც გასაოცარი. მე სერიოზულად გთავაზობთ, ვცადოთ, უილმა დასაწყისისთვის სახლიდან გასვლა როგორმე დაიწყოს – გასეირნება ციხე-სიმაგრის გარშემო, საღამოს გატარება ლუდის ბარში. თუ ბოლოს ეს იმით დამთავრდება, რომ ფლორიდაში დელფინებთან ერთად ცურვას მოინდომებს, მთლად გადასარევი იქნება. მაგრამ მე ახლა მართლა ის მინდა მხოლოდ, რომ სახლიდან გავიდეს და რამე სხვაზეც იფიქროს, – ის აღარ დამიმატებია, რომ მარტო იმის გაფიქრებზეც კი ცივი ოფლი მასხამდა, საავადმყოფოში უილი მარტოს უნდა მეტარებინა. საზღვარგარეთ მასთან ერთად მარტო წასვლა ისეთივე მოსალოდნელი იყო ჩემგან, როგორც მარათონში მონაწილეობა და გამარჯვება.

– მე ვფიქრობ, ეს შესანიშნავი აზრია, – თქვა მისტერ ტრეინორმა, – უილის გარეთ გასვლა იქნება საუცხოო ამბავი ჩვენთვის. ხომ არ შეიძლება, სულ ოთხ კედელს შესცქეროდეს... ყოველდღე.

– ეს ჩვენც ვცადეთ, სტივენ, – შეეპასუხა მისის ტრეინორი, – გულხელდაკრეფილები ხომ არ ვმსხდარვართ? მე პირადად ვცადე არაერთხელ და უამრავჯერ.

– ვიცი, ძვირფასო, მაგრამ ჩვენ წარმატებას ვერ მივაღწიეთ. თუ ლუისა მოიფიქრებს რამეს, რისთვისაც უილი მზად იქნება, რომ სცადოს, ეს ხომ მხოლოდ სასიხარულო ამბავი იქნება ჩვენთვის?

– დიახ, ზუსტად, თუ „მზად იქნება, რომ სცადოს“ – საქმეც ესაა..

– ეს ხომ მხოლოდ იდეაა, – ვთქვი მე და უცებ გავღიზიანდი. გასაგები იყო, საითაც მიჰყავდა საუბარი მისის ტრეინორს, – თუ თქვენ არ გსურთ, რომ ეს გავაკეთო...

– მაშინ წახვალთ? – თვალებში შემომხედა მისის ტრეინორმა.

მზერა არ ამირიდებია. მისი აღარ მეშინოდა. იმიტომ, რომ ახლა ვიცოდი, ჩემზე უკეთესი არაფრით იყო. ეს იყო ქალი, რომელსაც შეეძლო ნება მიეცა საკუთარი შვილისთვის, რომ მის თვალწინ დაესრულებინა სიცოცხლე.

– დიახ, ალბათ, ასე ვიზამ.

– ეს უკვე შანტაჟია.

– ჯორჯინა!

– არ გვინდა ეს მიეთმოეთი და რევერანსები, მამა.

წელში გავიმართე.

– არა. ეს არ არის შანტაჟი. ეს არის ის, რა პირობითაც თანახმა ვარ, ვიმუშაო. მე ვერ ვიჯდები მშვიდად და ვერ დავიცდი, სანამ უილი... უილი... – ხმა ჩამიწყდა.

ყველა საკუთარ ჩაის ფინჯანს ჩააჩერდა.

– როგორც უკვე აღვნიშნე, – თქვა მისტერ ტრეინორმა მტკიცედ, – მე ვთვლი, რომ ეს ძალიან კარგი იდეაა. თუ უილს დაითანხმებთ, მე ვერ ვხედავ რისკს, რომ ჩანაფიქრი განახორციელოთ. ძალიან გამიხარდებოდა, სადმე დასასვენებლად რომ წასულიყო. უბრალოდ... მხოლოდ გვითხარით ჩვენგან რა გჭირდებათ.

– იდეა მაქვს, – მისის ტრეინორმა ქალიშვილს მხარზე ხელი ჩამოადო, – იქნებ, შენც მათთან ერთად წახვიდე, ჯორჯინა.

– მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, – ვთქვი მე, რადგან შანსი იმისა, რომ უილი სადმე დასასვენებლად წასვლაზე დამთანხმებოდა დაახლოებით იგივე იყო, როგორიც ინტელექტუალურ სატელევიზიო შოუში ჩემი გამარჯვება.

ჯორჯინა ტრეინორი შეიშმუშნა და ადგილი იცვალა.

– არ შემიძლია. ორ კვირაში ახალ სამსახურს ვიწყებ. ინგლისში ჩამოსვლას კიდევ დიდხანს ვერ შევძლებ.

– ავსტრალიაში ბრუნდები?

– ასე რატომ გაგიკვირდა? ხომ გითხარი, რომ სტუმრად ჩამოვდიოდი.

– ჰო, მაგრამ ვიფიქრე, რომ... შექმნილი ვითარების გამო, უფრო დიდხანს დარჩებოდი. კამილა ტრეინორი ქალიშვილს ისე მიაჩერდა, როგორც არასდროს შეუხედავს უილისთვისაც კი, რაც არ უნდა უხეშად დალაპარაკებოდა ეს უკანასკნელი.

– დედა, ეს მართლა ძალიან კარგი სამსახურია. ამისთვის ვშრომობდი ბოლო ორი წელიწადი, ამის მიღწევა მინდოდა, – მამას გახედა, – მთელ ჩემს ცხოვრებას თავდაყირა ვერ დავაყენებ იმის გამო, რომ უილს სულიერი კრიზისი აქვს. დიდხანს სიჩუმე ჩამოწვა.

– ეს უსამართლობაა. ეტლში მე რომ აღმოვჩენილიყავი, უილსაც სთხოვდი, რომ თავისი ცხოვრებისეული გეგმები შეეცვალა?

მისის ტრეინორი ქალიშვილს აღარ უყურებდა. ჩემს სიას ჩავხედე და მერამდენეღაცაჯერ წავიკითხე პირველი აბზაცი.

– მეც მაქვს ჩემი ცხოვრება, დედა, – ჯორჯინას ხმა ისე ჟღერდა, თითქოს, რამეს აპროტესტებდა.

– კარგი, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, – შვილს მხარზე ხელი დაადო მისტერ ტრეინორმა და ნაზად მოუჭირა.

– კარგი, ასე იყოს, – მისის ტრეინორმა მის წინ დაწყობილი ფურცლები ააშრიალა, – მაშინ ასე მოვიქცეთ: ყველაფრის საქმის კურსში უნდა ვიყო, რასაც დაგეგმავთ, – თქვა და თვალებში შემომხედა, – გეგმას შევაფასებ და, თუ დრო მექნება, ვცდი და მეც ავიღებ შვებულებას, რომ თქვენთან ერთად წამოვიდე. ამ სეზონისთვის გამოყოფილი შვებულების დღეები ჯერ არ ამითვისებია, ასე რომ...

– არა.

ყველა მისტერ ტრეინორისკენ შევტრიალდით. ძაღლს თავზე ხელს უსვამდა. სახის გამომეტყველება მშვიდი და თბილი ჰქონდა, მაგრამ ხმა – მტკიცე.

– არა მგონია, რომ შენც უნდა წახვიდე, კამილა. უილს უნდა მივცეთ საშუალება, დამოუკიდებელი იყოს.

– მაგრამ მას არ შეუძლია დამოუკიდებელი იყოს, სტივენ. უამრავი რამ არის გასათვალისწინებელი, როცა უილი სადმე მიდის. ეს ძალიან რთულია. მე არა მგონია, რომ შეგვიძლია, ასე უბრალოდ მივანდოთ...

– არა, ძვირფასო, – გაიმეორა მისტერ ტრეინორმა, – ნათანს შეუძლია დახმარება და ლუისა ყველაფერს გაართმევს თავს.

– მაგრამ...

– უილს უნდა მივცეთ გასაქანი, რომ თავი კაცად იგრძნოს. ეს კიდევ შეუძლებელია, როცა მუდმივად დედა და და დაგტრიალებენ გარშემო.

მისის ტრეინორი შემეცოდა. სახეზე ისევ ქედმაღალი გამომეტყველება ეფინა, მაგრამ ნიღაბქვეშ ვხედავდი მის შეცბუნებას, რადგან თითქოს, ვერც გაეგო, რას აკეთებდა მისი ქმარი. თითებით მაშინვე ყელსაბამს სწვდა.

– ვიზრუნებ, რომ კარგად და უსაფრთხოდ იყოს, – ვთქვი მე, – და ყველაფერს გაგაგებინებთ, რასაც დავგეგმავთ. ცხადია, წინასწარ.

გამეხებული სახით იჯდა. მხოლოდ ყვრიმალის ძვალქვეშ უფეთქავდა პატარა ნერვი. ამ მომენტში, ალბათ, ყველაზე მეტად ვძულდი დედამიწის ზურგზე.

– მეც მინდა, რომ უილს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდეს, – ვთქვი ბოლოს.

– გვესმის, – მიპასუხა მისტერ ტრეინორმა, – და თქვენს მონდომებას ძალიან ვაფასებთ. კეთილგონიერებასაც.

ვერ მივხვდი, ეს ბოლო სიტყვა უილს უკავშირდებოდა, თუ ზოგადად გულისხმობდა. მისტერ ტრეინორი წამოდგა და მივხვდი, ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემი წასვლის დრო დადგა. ჯორჯინა და დედამისი ისევ ხმის ამოუღებლად და გაუნძრევლად ისხდნენ დივანზე.ვიგრძენი, როგორც კი ოთახიდან გავიდოდი, გაცხარებული საუბარი დაიწყებოდა.

– მაშ, კარგი, – ვთქვი მე, – ყველაფერს ქაღალდზე დაწერილს მოგაწვდით, როგორც კი გეგმას შევიმუშავებ. მალე ვიზამ. არ გვაქვს ბევრი...

მისტერ ტრეინორმა მხარზე ხელი მომითათუნა.

– ვიცი, ვიცი. გაგვაგებინეთ, როცა მზად იქნებით, – მითხრა მან.

* * *

ტრინა ხელებს უბერავდა და ორთქლით ითბობდა, კანკალებდა და უნებურად ხტუნავდა, თითქოს ადგილზე ვარჯიშობსო. ჩემი მუქი მწვანე ბერეტი ეფარა და უნდა ვაღიარო, ჩემთვის გამაღიზიანებლად, მას უფრო უხდებოდა, ვიდრე მე. გადმოიხარა და მიმითითა სიაზე, რომელიც ორიოდე წუთის წინ ჯიბიდან ამოიღო და მომცა.

– მესამე ვარიანტი, ალბათ, უნდა გამორიცხო, ან იქამდე გადადო, სანამ კარგად დათბება.

სიას დავხედე.

– კალათბურთი კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებისთვის? ისიც კი არ ვიცი, კალათბურთი საერთოდ უყვარს თუ არა.

– მაგას არ აქვს მნიშვნელობა. ჯანდაბა. ძალიან ცივა, – ყურებზე ბერეტი ჩამოიწია ტრინამ, – საქმე ისაა, რომ ამით დაინახავს, მის მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს რა შეუძლიათ. დაინახავს, რომ ეს ადამიანები, რომლებიც მის მსგავსად ცუდად გრძნობდნენ თავს, ახლა მისდევენ სპორტს და ათასი რამით არიან დაკავებულები.

– ეჭვი მეპარება. დამოუკიდებლად ჭიქის აღებაც არ შეუძლია. ეს ხალხი, ვინც კალათბურთს თამაშობს, ალბათ, პარაპლეგიის მქონეა. ვერ ვხვდები, ბურთი კალათში როგორ უნდა ჩააგდო, თუ ხელებს არ გამოიყენებ.

– შენ იმას ვერ ხვდები, რა არის აქ მთავარი. უილ ტრეინორს არაფრის კეთება მოუწევს, მას უბრალოდ თვალსაწიერის გაფართოება სჭირდება. ხვდები? ჩვენ მას უნდა დავანახოთ, როგორ ცხოვრობენ სხვა შეზღუდული ადამიანები.

– კარგი, რაკი ასე ამბობ...

ხალხი აჩოჩქოლდა. მოშორებით მორბენლები გამოჩნდნენ. ფეხის წვერებზე თუ ავიწეოდი, გაჭირვებით მეც დავინახავდი. ორი მილის დაშორებით ხეობაში თეთრი მოხტუნავე წერტილების ჯგუფი ჩანდა, რომელიც სიცივეში, სინესტესა და პირქუში დღის სინათლეზე გზას ჩვენი მიმართულებით მოიკვლევდა. საათს დავხედე. თითქმის ორმოცი წუთი გასულიყო, რაც აქ ვიდექით. ამ ადგილს სავსებით გონივრულად ეძახდნენ „ქარის გორას“. სიცივისგან ფეხებს ველარ ვგრძნობდი.

– თუ შორს წასვლა არ გენდომება, ადგილობრივი გასართობებიც მოვიძიე. ორიოდე კვირაში სპორტის ცენტრში მატჩი გაიმართება. შეუძლია, ფსონსაც ჩამოვიდეს.

– ფსონს?

– ჰო, ასე თან ჩართული იქნება და თან თამაში არ მოუწევს. აი, გამოჩნდნენ. როგორ გგონია, ჩვენამდე რამდენ ხანში მოაღწევენ?

ჩვენ თავზემოთ გაჭიმული ბრეზენტის ბანერი, რომელსაც ცივი ქარაშოტი აფრიალებდა, დიდი ასოებით იუწყებოდა, რომ „ზაფხულის ტრიატლონის ფინიშის ხაზთან“ ვიდექით.

– რა ვიცი. ოცი წუთი? ან უფრო მეტი. ყოველი შემთხვევისთვის, შოკოლადი „მარსი“ წამოვიღე. გინდა? – ჯიბეში ხელი ჩავიყავი. ქარი ტრინას მომზადებულ სიას მართმევდა, – კიდევ რა ვარიანტები გვაქვს?

– ხომ მითხარი, მოქმედების არეალის გაფართოება მინდაო. – შოკოლადის ჩემს წილს დააკვირდა, – შენი უფრო დიდია.

– მაშინ ეს აიღე, თუ გინდა. მე მგონი, მისი ოჯახი ფიქრობს, რომ აქედან რაღაც გამორჩენას ველი.

– რა? რაკი გინდა, რომ მათმა შვილმა რამდენიმე დღე უზრუნველად და უდარდელად გაატაროს? ღმერთო ჩემო! მადლობა გითხრან, რომ ამას ცდილობ და მაგათნაირი არ ხარ. შოკოლადი მოკბიჩა.

– კარგი. მოკლედ... მეხუთე მგონი ყველაზე კარგია. შეუძლია კომპიუტერის მოხმარებაც ასწავლონ. თავზე დაუმაგრებენ მოწყობილობას... როგორ გითხრა, ჯოხივით არის. ასე ადამიანს შეუძლია, თავის მოძრაობითა, და ჯოხის გამოყენებით კლავიატურაზე ბეჭდოს. კვადრიპლეგიის მქონე ადამიანების უამრავი ჯგუფია ინტერნეტში. ახალ მეგობრებს გაიჩენდა. სახლის დატოვება ყოველ ჯერზე აღარც მოუწევდა. რამდენიმე ასეთ ადამიანს

ვეჩათავე. არ ჩანდნენ ცუდი ტიპები. ნორმალური ხალხი იყო, სხვათა შორის, – აიჩეჩა მხრები ტრინამ.

შოკოლადის ჩვენ-ჩვენ წილს მდუმარედ ვჭამდით და თვალს ვადევნებდით, როგორ გვიახლოვდებოდნენ დაქანცული მორბენლები. პატრიკს ვერ ვხედავდი. ვერასდროს ვპოულობდი ხოლმე. ისეთი გარეგნობა ჰქონდა, რომ ადვილად იკარგებოდა ხალხის მასაში.

ტრინამ ისევ თავის მომზადებულ სიაზე მიმითითა.

– მერე კულტურის განყოფილება მოდის. კონცერტი იმართება სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის. ჰო თქვი, კულტურული ადამიანიაო.ჰოდა, უბრალოდ დაჯდება, თვალებს დახუჭავს და მუსიკასთან ერთად, სადაც უნდა, გაფრინდება. მუსიკის დახმარებით ადამიანს შეუძლია საკუთარი სხეულიდანაც კი გავიდეს, ასე არაა? ულვაშიანი დერეკი რომაა, ჩემი თანამშრომელი, ხომ იცი? მან მითხრა ამ კონცერტის შესახებ. შეიძლება ხმაური იყოსო, აი, ნამდვილად შეზღუდული ვინცაა, ისინი შეიძლება ყვიროდნენ, ან რამე მსგავსი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაინც მოეწონება. ცხვირი შევჭმუხნე.

– არ ვიცი, ტრინა...

– შენ ახლა კულტურის ხსენებამ დაგაფეთა. არაფერი გიჭირს, უბრალოდ მის გვერდით იჯდები. ჰო, ბატი-ბუტის კნატუნსა და ბუტერბროდის ჭამას მაინცდამაინც იქ ნუ დაიწყებ. აი, თუ რამე უფრო მადიანი გინდა, – ეშმაკურად შემომხედა ჩემმა დამ, – სტრიპტიზკლუბიც შეიძლება. ამისთვის ლონდონში შეგიძლია, წაიყვანო.

– ჩემი დამსაქმებელი სტრიპტიზიორებში წავიყვანო?

– ხომ მითხარი, ყველაფერს მე ვუკეთებო. აჭმევ, ასუფთავებ და ა.შ. ვერ ვხვდები, რა პრობლემაა, რომ შენს გვერდით აუდგეს კიდეც. დიდი ამბავი.

– ტრინა!

– წარმოიდგინე, როგორ ენატრება. შეგიძლია სტრიპტიზიორს გადაუხადო, რომ პერსონალურად მისთვის იცეკვოს და მოეფეროს.

რამდენიმე ადამიანმა გამოგვხედა და ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულა. ჩემი და ახარხარდა. თავისუფლად შეეძლო სექსზე ასე ლაპარაკი. თითქოს, მორიგი გასართობი ყოფილიყო, ვითომც არაფერიაო.

– მეორე მხრივ, უფრო დიდი და ხანგრძლივი მოგზაურობაც შეგიძლია დაგეგმო. არ ვიცი, რომელი მოგეწონება, მაგრამ შეიძლება ღვინის დეგუსტაციისთვისაც წახვიდეთ ლუარაში... დამწყებებისთვის არ არის ცუდი ვარიანტი.

– კვადრიპლეგიის მქონე ადამიანისთვის დალევა შეიძლება?

– არ ვიცი. თვითონ ჰკითხე.

სიას უნუგეშოდ დავხედე.

– კარგი... მაშინ დავბრუნდები ახლა ტრეინორებთან და მოვახსენებ, რომ მათი შვილი, რომელსაც თვითმკვლელობა აქვს გადაწყვეტილი, დასათრობად მიმყავს და მათი ფულის სტრიპტიზიორებსა დადაქირავებულ მოცეკვავეებში გაფლანგვას ვაპირებ, ამის მერე თუ დრო დამრჩა, პარაოლიმპიურ თამაშებზეც მივაგორებ...

ტრინამ ფურცელი ხელიდან გამომტაცა.
– მაშინ უკეთესი შენ მოიფიქრე, მაგრამ ეჭვი მეპარება, მოახერხო.
– მე უბრალოდ ვიფიქრე... არ ვიცი, – ცხვირი მოვიფხანე, – გულახდილად რომ გითხრა, ცოტა მეშინია. იმაზეც კი ვერ დამითანხმებია, რომ ბაღში გამოვიდეს ხოლმე.
– ამ განწყობით თუ დაელაპარაკები, ვერც დაითანხმებ. შეხედე. მოდიან. გავიღიმოთ.

* * *

– მიდი, პატრიკ! – ამოვიკნავლე, მაგრამ ვერ დამინახა. სწრაფად ჩამირბინა და ფინიშის ხაზისკენ გაიქცა.

* * *

ტრინა უკვე ორი დღე იყო, არ მელაპარაკებოდა, რადგან მის მიერ შედგენილი სიით სათანადოდ არ აღვფრთოვანდი. მშობლებს ეს არ შეუმჩნევიათ. იმითაც ძალიან ბედნიერები იყვნენ, რომ სამსახურიდან წამოსვლა გადავიფიქრე. ავეჯის ქარხნის მენეჯმენტმა კვირის ბოლოს შეხვედრების მთელი სერია ჩანიშნა და მამა დარწმუნებული იყო, რომ მასაც გამოუშვებდნენ. ორმოცი წლის ასაკის ზემოთ ამ წმენდას ჯერ არავინ გადარჩენია.
– ძალიან მადლობლები ვართ შენი, საყვარელო, რომ ასე გვეხმარები, – მეუბნებოდა დედა იმდენად ხშირად, რომ თავს ეს უკვე უხერხულად მაგრძნობინებდა. იმ კვირას მოსაწყენად არ გვეცალა. ტრინამ წასასვლელად მზადება დაიწყო და ბარგს ალაგებდა. ყოველდღე მიწევდა ავსულიყავი და მისი ჩანთები, რაც უკვე ჩალაგებული ჰქონდა, გადამემოწმებინა, რომ მენახა, კიდევ რას დაავლო ხელი ჩემი ნივთებიდან. ჩემი ტანსაცმლის უმეტესობას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ გაჭირვებით დავიბრუნე უკან თმის საშრობი, პრადას ყალბი სათვალე და ჩემი საყვარელი კოსმეტიკის ჩანთა, რომელსაც ლიმონები ეხატა. რამეს რომ ვეტყოდი, მხრებს აიჩეჩავდა, მაინც არ იყენებ და რაში გჭირდებაო, თითქოს ეს ამართლებდაასეთი იყო ტრინა. დარწმუნებული იყო, რომ ყველაფრის უფლება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ტომასი ჰყავდა, ოჯახის ნებიერა ნაბოლარას როლიდან ვერ გამოვიდა. განცდას, რომ მთელი სამყარო მოვალე იყო მის ირგვლივ ეტრიალა, ძალიან ღრმად ჰქონდა მასში ფესვები გადგმული. პატარაობაში, ისტერიკაში რომ ვარდებოდა, როცა ჩემს რომელიმე ნივთს მოინდომებდა, დედაჩემი მომიბრუნდებოდა და აქეთ მე მიწყრებოდა, მიეცი, რა მოგივიდაო, ოღონდ კი სიმშვიდე ყოფილიყო სახლში. დაახლოებით ოცი წელი გავიდა მას შემდეგ და დიდად არაფერი შეცვლილა. ახლა ვალდებულები ვიყავით, ტომასისთვის მიგვეხედა, გამოგვეკვება, რომ ტრინას გასართობადაც დარჩენოდა დრო და არ ენერვიულა. დაბადების დღეზე და საშობაოდ მისთვის განსაკუთრებული საჩუქრები უნდა გვეყიდა, „იმიტომ, რომ ტომასის გამო ბევრ რამეზე უხდებოდა უარის თქმა“. ჩემი ლიმონებიანი კოსმეტიკის ჩანთის გარეშეც გაძლებდა, როგორმე! ჩემი ოთახის კარზე ფურცელი მივაკარი და მივაწერე: „ჩემი ნივთები მე მეკუთვნის, მოშორდი აქედან!“ ტრინამ ფურცელი ჩამოხია და დედაჩემს უთხრა, რომ მე

უმწიფარი არსება ვიყავი და ტომასსაც კი თითში ჰქონდა უფრო მეტი ჭკუა, ვიდრე მე, ამხელა ქალს – თავში.

მაგრამ მე სხვა რამეზე დავფიქრდი. ერთ საღამოს, როცა ტრინა თავის ლექციებზე წავიდა, დედას, რომელიც მამაჩემის პერანგებს ახარისხებდა და დასაუთოვებლად ამზადებდა, სამზარეულოში, გვერდით მივუჯექი.

– დედა...

– ჰო, შვილო.

– ტრინა რომ წავა, მის ოთახში რომ გადავიდე, რას ფიქრობ?

დედა შედგა. მამას პერანგი გულზე მიიდო და დაფიქრდა.

– არ ვიცი. ამაზე მართლა არ მიფიქრია.

– წარმოიდგინე, ის და ტომასი თუ აქ მაინც არ იქნებიან, ნამდვილად მეკუთვნის, რომ ნორმალურ ოთახში დავიძინო. აბა, ცარიელი რომ იყოს, სანამ ისინი საერთო საცხოვრებელში იქნებიან, რა სისულელეა.

დედამ თავი დამიქნია და აკურატულად გაკეცილი პერანგი კალათში მოათავსა.

– მგონი, მართალი ხარ.

– და სხვათა შორის, ეგ ოთახი ისედაც მე მეკუთვნის. უფროსი ვარ, ბოლოს და ბოლოს. მაგას მარტო ტომასის გამო ერგო.

ჩემი არგუმენტები დამაჯერებლად ჟღერდა.

– მართალი ხარ. დაველაპარაკები ტრინას, – მითხრა დედამ.

თუმცა, უკეთესი იქნებოდა, რომ ჩემს დას ჯერ მე დავლაპარაკებოდი. სამი საათის შემდეგ გაცეცხლებული და სახეარეული ტრინა მისაღებ ოთახში შემოვარდა.

– დამპალო, რომ მოვკვდე, ჩემს კუბოში ჩაწოლასაც არ დამაცდი.

ბაბუას გაეღვიძა და ხელები გულზე დაიკრიფა.

ტელევიზორს თვალი მოვაცილე.

– რაზე ლაპარაკობ?

– შაბათ-კვირას რომ მოვალთ მე და ტომასი, სად დავიძინებთ? შენს კოლოფა ოთახში ორივე ვერ დავეტევით. ორი საწოლის დასადგმელი ადგილიც კი არ არის.

– ნამდვილად ეგრეა. შეგახსენებ, რომ მაგ ოთახში მთელი ხუთი წელი მე გავატარე, – იმის ცოდნა, რომ ამაზე მართალი აქამდე, ალბათ, არასდროს ვყოფილვარ, უფრო მეტი ენამწარობისკენ მიბიძგებდა, ვიდრე განზრახული მქონდა.

– ჩემს ოთახში შენ ვერ შეხვალ. არაა ეს სწორი.

– შენ ხომ მაინც არ იქნები.

– მაგრამ მაინც მჭირდება! წარმოუდგენელია, რომ მე და ტომასი შენს ოთახში მოვთავსდეთ. მამა, უთხარი რამე!

მამას ნიკაპი საყელოში ჩაემალა და ხელები გულზე დაეკრიფა. ვერ იტანდა, როცა მე და ჩემი და ვჩხუბობდით და ყოველთვის ცდილობდა, რომ მტყუან-მართლის გარჩევა დედაჩვენისთვის გადაებარებინა.

– დაწყნარდით, გოგოებო, – თქვა მან.

– როგორ დაგიჯერე. ახლა გასაგებია, რატომ მეხმარებოდი, რომ სწავლა გამეგრძელებინა.

– რა? შენ მეხვეწებოდი, რომ სამსახურიდან არ წამოვსულიყავი და ფინანსურად დაგხმარებოდი და ახლა გახდა ეს ჩემი მზაკვრული ჩანაფიქრი?

– როგორი ორპირი ადამიანი ხარ!

ხალიჩაზე ქაფიანი წყალი ჩამოსდიოდა, – მშვიდად ვისაუბროთ. ბაბუა არ გაანერვიულოთ.

კატრინას სახე დაეფოთლა, როგორც მაშინ, როცა პატარები ვიყავით და თავისი ვერ გაჰქონდა ხოლმე.

– ერთი სული აქვს, სახლიდან წავიდე. ესაა საქმე!. მარტო ეს უნდა, მეტი არაფერი. ბოღმისგან სკდება, მე რომ გულხელდაკრეფილი არ ვზივარ და მინდა რაღაცას მივაღწიო ცხოვრებაში. შურს და ყველაფერს აკეთებს, რომ სახლში დაბრუნება გამიჭირდეს.

– ისიც კი არ იცი, შაბათ-კვირას სახლში მოხვალ თუ არა, – გამწარებულმა ყვირილი დავიწყე, – დასაძინებლად ოთახი დავიმსახურე და არა კარადა. სახლში საუკეთესო ოთახს შენ იყავი დაპატრონებული მარტო იმიტომ, რომ ჭკუა არ გეყო, მუცელი რომ არ გამოგებერა.

– ლუისა! – იყვირა დედაჩემმა.

– შენს თავს მიხედე, ჩლუნგო, წესიერი სამსახური ვერ გიშოვია და ამხელა ქალი ისევ მშობლებთან ერთად ცხოვრობ. რა მოხდა? მიხვდი, ბოლოს და ბოლოს, რომ პატრიკი შენი ცოლად მომყვანი არ არის?

– საკმარისია! – დაიღრიალა მამაჩემმა, – ყელში ამომივიდა! ტრინა, სამზარეულოში, ჩქარა! ლუ, დაჯექი და შენი ხმა აღარ გავიგო! ისედაც ჩემი გამჭირვებია და ბევრი საზრუნავი მაქვს ცხოვრებაში, რომ ახლა კიდევ თქვენს წიკვინს ვუსმინო!

– შენ თუ კიდევ იმედი გაქვს, რომ იმ სულელური სიის შედგენაში დაგეხმარები, ძალიან ცდები. ამას არ შეგარჩენ! – წამისისინა ტრინამ, როცა დედამ ხელისკვრით გაიყვანა ოთახიდან.

– ძალიანაც კარგი. შენი დახმარება არაფერში მჭირდება, ღორო! – მივაძახე მე და იქვე მოვკეტე, რადგან მამაჩემმა გაზეთი „რადიო ტაიმსი“ ჩამაფარა თავში.

* * *

შაბათ დილით ბიბლიოთეკაში წავედი. სკოლის მერე აქ, მგონი, ფეხიც არ შემომიდგამს. ალბათ, იმის შიშით, რომ ვინმეს ჯუდი ბლუმის წიგნის დაბრუნება არ მოეთხოვა, რომელიც მეშვიდე კლასში დავკარგე, ან ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომელი არ წამომწეოდა ვიქტორიანული სტილის სვეტებს შორის დაკიდულ კარებში, როცა შენობიდან გამოსვლას დავაპირებდი და მკაცრად არ მოეთხოვა 3,853 ფუნტი სტერლინგი ჯარიმის სახით.

ბიბლიოთეკაში ყველაფერი სხვანაირად დამხვდა. წიგნების ნახევარი კომპაქტ-დისკებსა და DVD-ებს ჩაენაცვლებინა. უზარმაზარი თაროები და სტენდები ახლა აუდიო წიგნებით იყო სავსე. აღარც სრული სიჩუმე იდგა. სიმღერისა და ტაშის ცემის ხმა მოდიოდა საბავშვო წიგნების კუთხიდან, სადაც დედებისა და ბავშვების ჯგუფს მოეყარა თავი. სექცია, სადაც ადრე მოხუცები ისხდნენ და თვლემდნენ, ან გაზეთებს კითხულობდნენ, ახლა აღარ

არსებობდა და მის ადგილას დიდი, ოვალური მაგიდა იდგა კომპიუტერებით. ერთ-ერთ კომპიუტერს ფრთხილად მივუჯექი. იმედი მქონდა, რომ არავინ მიყურებდა. წიგნები და კომპიუტერები ჩემი დის საქმეა. როგორც ჩანს, ჩემნაირ ადამიანს პირველად არ ხედავდნენ და ეს შიში და ტერორიც, რასაც განვიცდიდი, მათთვის უცხო არ იყო – ბიბლიოთეკარი მომიახლოვდა და ლამინირებული ბარათი გადმომცა, სადაც დაწვრილებით იყო დატანილი კომპიუტერის მოხმარების ინსტრუქცია. თავზე არ დამდგომია, ჩუმად ჩაილაპარაკა, რომ თუ დამჭირდებოდა, იქვე იქნებოდა და თავისი მერხისკენ წავიდა. დავრჩით მხოლოდ მე, ჩემი მორყეული სკამით და შავი ეკრანი.

წლების განმავლობაში ერთადერთი კომპიუტერი, რომლისთვისაც ხელი მიხლია, პატრიკისა იყო. ისიც კომპიუტერს მხოლოდ სავარჯიშო პროგრამების გადმოსაწერად და „ამაზონზე“ სხვადასხვა ტექნიკის, აღჭურვილობისა თუ სპორტული წიგნების შესაკვეთად იყენებდა. თუ კიდევ რამეში ადგებოდა კომპიუტერი, არ ვიცი და არც მინდა, ვიცოდე. ბიბლიოთეკარის მიერ მოცემულ ინსტრუქციებს მივყევი. ყურადღებით ვამოწმებდი ყველა ოპერაციას, რომელიც უნდა შემესრულებინა. ჩემდა გასაკვირად, გამოვიდა. თანაც, უბრალოდ გამოვიდა კი არა, ადვილიც აღმოჩნდა.

ოთხი საათის შემდეგ ჩემ მიერ შედგენილი სია უკვე რაღაცას ჰგავდა. სხვათა შორის, არც ჯუდი ბლუმი უხსენებია ვინმეს. შეიძლება, იმიტომ, რომ ჩემი დის საშვით ვისარგებლე. სახლისკენ გზად საკანცელარიო მაღაზიაში შევიარე და კედლის კალენდარი ვიყიდე. ისეთი, ოფისებში რომ აქვთ და თანამშრომლები პერმანენტული მარკერით შვებულების ვადებს აღნიშნავენ ხოლმე. ჩემს პატარა ოთახში კალენდარი კარზე შიგნიდან ფრთხილად მივაკარი და ის დღე მოვნიშნე, როცა ტრეინორებთან მუშაობა დავიწყე, თებერვლისდასაწყისში. მერე ჩემი ხელშეკრულების დასრულების თარიღი აღვნიშნე – 12 აგვისტო. იქამდე ოთხ თვეზე ოდნავ ნაკლები რჩებოდა. უკან დავიხიე და კალენდარს მივაჩერდი, რომ გამეაზრებინა, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. ვუყურებდი და ვხვდებოდი, თავი სად გავყავი.

ამიერიდან მომიწევდა, რომ ეს პატარა თეთრი კვადრატები შემევსო ისეთი რამეებით, რაც უილს ბედნიერებას, კმაყოფილებას, სიხარულს, ან უბრალოდ სიამოვნებას მოუტანდა. მომიწევდა ეს პატარა სივრცეები გამეფერადებინა გამოცდილებებითა და შთაბეჭდილებებით. ეს უნდა მეჩუქებინა კაცისთვის, რომელსაც თავისი უღონო ხელფეხის გამო თავად ამის გაკეთება არ შეეძლო. მხოლოდ ოთხი თვის სამყოფი ნაბეჭდი კვადრატები მქონდა მოგზაურობისთვის, სტუმრობებისთვის, ლანჩებისა და კონცერტებისთვის. უნდა მეპოვა პრაქტიკული საშუალებები ამის განსახორციელებლად და თან წინასწარ ყველაფერი გამეთვალა, რომ ნებისმიერი მარცხისგან თავი დამეზღვია. მერე კი უილი უნდა დამერწმუნებინა, რომ ამ ყველაფერში მონაწილეობა მიეღო. კალენდარს მივაჩერდი. კალამი ხელში გამიშეშდა. ქაღალდის ეს პატარა ნაგლეჯი ახლა პასუხისმგებლობების უზარმაზარ ტვირთს იტევდა.

ას ჩვიდმეტი დღე დამრჩენოდა, რომ უილი დამერწმუნებინა, სიცოცხლის გაგრძელება ღირდა.

XI

არსებობს ადგილები, სადაც წელიწადის დროების მონაცვლეობას გადამფრენ ჩიტებზე დაკვირვებით ან ზღვის ტალღების მიქცევითა და მოქცევით ამოიცნობთ. აქ, ჩვენს პატარა ქალაქში კი გაზაფხულის მოსვლას ტურისტების მობრუნება გვაუწყებდა ხოლმე. ჯერ პატარა ჯგუფები გამოჩნდებოდა, გაუბედავად რომ ჩამოდიოდნენ მატარებლებიდან, ან მანქანებიდან და ღია, ფერადი საწვიმრები ეცვათ. ხელში ტურისტული მეგზურები და ეროვნული მემკვიდრეობის ადგილობრივი ტრესტის საწევროები ჩაებღუჯათ. კიდევ რომ ჩამოთბებოდა და სეზონიც გახურდებოდა, თითქოს პირდაპირ ციდან ცვიოდნენ ამერიკელები, იაპონელები და უცხოური სკოლების მოსწავლეები, რომლებიც ერთიანად მოსდებოდნენ მთავარ ქუჩებს და ციხესიმაგრის მთელი პერიმეტრი დაეფარათ. ზამთრობით ამ ქალაქში ცოტა რამეს თუ ნახავდით ღიას. მდიდრები სარგებლობდნენ შესაძლებლობით, რასაც ზამთრის გრძელი, ცივი თვეები აძლევდათ და საზღვარგარეთ აგარაკებზე მიდიოდნენ. უფრო გამძლეები რჩებოდნენ და საშობაო წვეულებებს აწყობდნენ. სარგებელს ადგილობრივი ფოლკლორული კონცერტებიდან და ხელნაკეთი ნივთების ბაზრობებიდანაც ნახავდა ადამიანი. ტემპერატურის მატების პირდაპირპროპორციულად, ციხესიმაგრესთან სადგომები მანქანებით ივსებოდა. ადგილობრივი ბარები კლიენტების მატებას ითვალისწინებდნენ და მომარაგებას ზრდიდნენ. კიდევ ორიოდე მზიანი კვირაც და მიძინებული სავაჭრო ქალაქიდან ისევ ტურისტებისთვის მიმზიდველ ტრადიციულ ინგლისურ ქალაქად გავიბრწყინებდით. გორაზე ავედი, თავს ვარიდებდი სეზონის პირველ დამსვენებლებს, ჩანთებით რომ დაზურგულიყვნენ და ხელში რუკები ეჭირათ. ფოტოაპარატები უკვე მიემართათ ციხე სიმაგრისკენ. რამდენიმეს გავუღიმე, რამდენიმემ კამერა ღიმილით თვითონ გამომიწოდა და გავჩერდი, რომ მათთვის ფოტო გადამეღო. ადგილობრივები ხშირად ბუზღუნებდნენ ტურისტულ სეზონზე, საცობების, გადატვირთული საზოგადოებრივი ტუალეტების, კაფეებში უცნაური შეკვეთებისა და პრეტენზიების გამო – „სუში არ გაქვთ? როლებიც არ გაქვთ?“,

მაგრამ მე არა. მე მომწონდა, ტურისტებს უცხო ადგილებიდან მონაბერი სუნთქვა რომ შემოჰყვებოდათ ხოლმე. მომწონდა ეს წუთიერი გაელვებები ცხოვრებისა, რომლებიც ადგილობრივი ყოფიერებიდან სადღაც შორს, პარალელურად მიედინებოდა. მომწონდა უცხო აქცენტებზე დაკვირვება და გამოცნობა, ქვეყნიერების რომელი კუთხიდან იყვნენ ეს ადამიანები. მომწონდა ჩაცმულობის შესწავლა ადამიანებისა, რომელთაც თვალით არასდროს ენახათ „ნექსთის“ კატალოგი და არასდროს ეყიდათ ხუთსაცვლიანი შეკვრა „მარკს ენდ სპენსერში“.

– გახარებული ჩანხართ, – მითხრა უილმა, როგორც კი შევედი და ჩანთა შემოსასვლელში მივაგდე. ეს ისეთი ტონით თქვა, გეგონება შეურაცხყოფას მაყენებდა.

– იმიტომ, რომ დღეს დიდი დღეა.

– რატომ?

– გარეთ გავისეირნებთ და იმიტომ. ნათანი ცხენების დოღის საყურებლად მიგვყავს.

უილმა და ნათანმა ერთმანეთს გადახედეს. კინაღამ სიცილი ამიტყდა. კარგმა ამინდმა გული გამიხალისა. დილით მზე რომ დავინახე, ვირწმუნე, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა.

– ცხენების დოღი?

– დიახაც! დოღი იმართება... – ჯიბიდან ბლოკნოტი ამოვიღე, – ლონგფილდში. ახლავე თუ გავალთ, მესამე შეჯიბრს დროულად მივუსწრებთ. ხუთი ფუნტი დავდე „იღბალას“ გამარჯვებაზე, ასე რომ, გაინძერით.

– ცხენების დოღი.

– ჰო, ნათანი არასდროს ყოფილა.

დღის გეგმების შესაბამისად, ლურჯი, დალიანდაგებული მოკლე კაბა მეცვა და ტყავის საცხენოსნო ჩექმა. ყელზე შარფი მქონდა შემოკვანძული, რომელსაც კიდეებზე ცხენის კუდივით გამოკრული ფოჩები ჰქონდა.

უილი ყურადღებით მაკვირდებოდა, მერე ეტლი ისე შეაბრუნა, რომ ნათანისთვისაც კარგად შეეხედა.

– ეს შენი დიდი ხნის ოცნებაა, არა, ნათან?

ნათანს თვალები გადავუბრიალე.

– ჰო... – თქვა მან და ღიმილად დაიღვარა, – ასეა. ცხენების ნახვა ძალიან მინდა.

ნათანი, რა თქმა უნდა, გაფრთხილებული მყავდა. პარასკევს დავურეკე და ვკითხე, რომელიმე დღეს ხომ არ შეეძლო, რომ ჩვენთვის თავისუფალი დრო დაეთმო. ტრეინორები დათანხმდნენ, რომ მისთვის დამატებით გადაეხადათ თანხა (უილის და ავსტრალიაში უკვე გაფრენილიყო. ალბათ, უნდოდათ, დარწმუნებულები ყოფილიყვნენ, რომ მათ შვილს ჩემთან ერთად ვინმე „გონიერი“ არსებაც ახლდებოდა). მაგრამ, სანამ კვირა არ დადგა, ვერაფრით გადავწყვიტე, სად სჯობდა წავსულიყავით. იპოდრომი დასაწყისისთვის იდეალური ვარიანტი იყო – კარგი ამინდი და მანქანით ნახევარი საათის სავალი გზა.

– და თუ გეტყვით, რომ წამოსვლა არ მინდა?

– მაშინ ორმოცი ფუნტი ჩემი ვალი გექნებათ.

– ორმოცი ფუნტი? ვითომ რატომ?

– ეგ არის ჩემი მოგება. 5 ფუნტი დავდე და 8 ფუნტი მერგება თითო დოლარის სანაცვლოდ, – მხრები ავიჩეჩე, – „იღბალას“ ნდობა შეიძლება.

მგონი, წონასწორობა დავაკარგვინე.

ნათანმა ხელები მუხლებზე დაირტყა.

– მაგარია! თან როგორი კარგი დღეა, – თქვა მან, – გინდათ, ლანჩი წავიღოთ?

– არა, – ვუპასუხე მე, – იქ კარგი რესტორანია. როცა ჩემი ცხენი გაიმარჯვებს, მოგებული თანხით მე გპატიჟებთ.

– ეტყობა, დოღზე ხშირად დადიხართ, – თქვა უილმა.

სანამ ისევ რამეს იტყოდა, მე და ნათანმა პალტოში გავახვიეთ, მე კი მანქანის მოსაყენებლად გავიქეცი.

* * *

ყველაფერი დაგეგმილი მქონდა, ხომ გესმით. ერთ მშვენიერ, მზიან დღეს იპოდრომზე მივიდოდით. შევათვალიერებდით გაპრიალებულ ჯიშიან ბედაურებსა და მათზე ამხედრებულჟოკეებს, ღია ფერის მოფრიალე კოსტიუმებში. დაუკრავდა სასულე ორკესტრი, შეიძლება ორი ორკესტრიც კი. იქაურობა სავსე იქნებოდა ხალისიანი ადამიანებით, ვიპოვიდით ადგილს, საიდანაც ყველაზე კარგად დავინახავდით და ვუგულშემატკივრებდით ჩვენს ცხენებს, რომლებიც გაიმარჯვებდნენ. უილს ბრძოლისა და შეჯიბრის ჟინი აიტაცებდა და აზარტულად ჩაერთვებოდა, რომ ჩემსა და ნათანზე მეტი მოეგო. ყველაფერი გათვლილი მქონდა. მერე კი, როცა ცხენების ყურებით დავიღლებოდით, წავიდოდით რესტორანში, რომელსაც საიტზე ძალიან კარგი შეფასებები და გამოხმაურებები ჰქონდა და იქ ვისადილებდით.

მამაჩემს უფრო ხშირად უნდა დავუჯერო ხოლმე. „თუ გინდა, გაიგო, რას ნიშნავს, როდესაც მოლოდინი იმარჯვებს გამოცდილებაზე, ოჯახური გართობა უნდა დაგეგმო გარეთ,“ – ამბობდა ხშირად.

ყველაფერი ჯერ კიდევ მანქანების სადგომიდან დაიწყო. იქამდე ინციდენტის გარეშე მივედი. ახლა უფრო მეტად ვიყავი საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, რომ უილს არ ამოვაყირავებდი, საათში 15 მილზე მეტი სიჩქარით თუ ვივლიდი. ხალისიანად ვტლიკინებდი მთელი გზა, ხან ამინდს ვაქებდი, ხან სოფლის გზას და ხედებს, ხან მანქანებისგან თავისუფალ მოძრაობას. იპოდრომზე შესასვლელად რიგი არ დაგვხვედრია. თავად იპოდრომიც იმაზე პატარა აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. მანქანების სადგომიც თითქმის ცარიელი იყო.

მაგრამ არავის გავუფრთხილებივარ, რომ სადგომზე ბალახი დამხვდებოდა, რომლის ქვეშაც მთელი ზამთრის მანძილზე დანესტილი მიწა იყო. უკანსვლით შევედით (ესეც არ გამჭირვებია, რადგან ცოტა მანქანა იდგა). როგორც კი პანდუსი გადმოვუშვით, ნათანი შეშფოთდა.

– ძალიან რბილი ზედაპირია, – თქვა მან, – ჩაეფლობა.

ტრიბუნებს გავხედე.

– მთავარია, ბილიკამდე მივიყვანოთ.

– ეს ეტლი ერთი ტონაა, – თქვა ნათანმა, – ბილიკამდე ორმოცი ფუტია.

– კარგი რა. დარწმუნებული ვარ, როცა ეტლებს აკეთებენ, მიწის ცოტა რბილ ზედაპირსაც ითვალისწინებენ.

უილი ეტლით ფრთხილად გადმოვიყვანე მანქანიდან. დაშვებისთანავე რამდენიმედუიმით ლაფში ჩაეფლო. არაფერი უთქვამს. სახეზე ეწერა, რომ თავს არაკომფორტულად გრძნობდა და თითქმის მთელი გზა ხმაც არ ამოუღია.

– არა უშავს, – ვთქვი მე, – ეტლს ხელით წავიყვანთ. დარწმუნებული ვარ, არ გაგვიჭირდება.

უილი ოდნავ უკან გადმოვწიეთ, მე ერთ სახელურს დავეჭდე, ნათანი – მეორეს და ეტლს მივაწექით. წინ ძალიან ნელა მივიწევდით. ხშირად ვჩერდებოდი, რადგან მკლავები მტკიოდა და ჩემი გაკრიალებული ჩექმაც ტალახის სქელი ფენით დაიფარა. როცა, როგორც

იქნა, ბილიკამდე მივაღწიეთ, უილის პლედი სანახევროდ გადმოცურებულიყო და ეტლის ბორბლებში მოყოლილიყო. ერთი კუთხე დაფლეთილი და ტალახიანი ჰქონდა.

– ეგ არაფერი, – თქვა უილმა მშრალად, – უბრალოდ ქიშმირის ქსოვილია, მეტი არაფერი. ყურადღება არ მივაქციე.

– კარგი. ესეც ასე. გამოვაღწიეთ, ახლა გართობის დროა.

ჰო, როგორ არა, გართობის დროა... ვის მოუვიდა აზრად, რომ იპოდრომზე ტურნიკეტები გაეკეთებინა?! თითქოს იმდენი ხალხი აწყდებოდათ, ვერ უმკლავდებოდნენ. მე და ნათანი ჯერ ტურნიკეტს მივაჩერდით, მერე უილის ეტლს, მერე ერთმანეთს გადავხედეთ.

ნათანი ბილეთების სალაროსთან მივიდა და ჩვენი გასაჭირი შიგნით მჯდომ ქალს აუხსნა. ქალმა თავი გამოყო, რომ უილისთვის შეეხედა, მერე კი ტრიბუნების შორეული ბოლოსკენ მიგვანიშნა.

– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების შესასვლელი იქით არის, – თქვა მან.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე“ ისე მკვეთრად და გამოთქმით თქვა, გეგონება დეკლამატორების შესარჩევ კონკურსში იღებდა მონაწილეობას. შესასვლელი, რომელზეც მიგვითითა, ორასი იარდის მოშორებით იყო. სანამ იქამდე მივაღწიეთ, ლურჯი და კამკამა ცა ღრუბლებმა დაფარა და გრიგალი ამოვარდა. რა თქმა უნდა, ქოლგის წამოღებაზე არც მიფიქრია. იხტიბარის გაუტეხლად დავიწყე ცანცარი, რა სასაცილო იყო ეს ყველაფერი და სახალისო. საკუთარი ხმა და ლაპარაკი უკვე მე თვითონვე მიშლიდა ნერვებს.

– კლარკ, – თქვა უილმა ბოლოს, – მოეშვი, კარგი? მგონი ძალიან დაიღალე.

ტრიბუნებზე დასაჯდომად ბილეთები ვიყიდეთ. თითქმის გულწასულმა, რომ როგორც იქნა, მოვაღწიეთ, უილი გადახურულ სექციაში გადავიყვანე, მთავარი ტრიბუნის გვერდით. სანამ ნათანი უილის სასმელის შეზავებით იყო დაკავებული, მე გვერდით სხვა მაყურებლების თვალიერება დავიწყე.

ჩვენ ზემოთ, შემინულ აივანზე, პიჯაკიანი მამაკაცები საქორწილო კაბებში გამოწყობილ ქალებს შამპანურს სთავაზობდნენ. ჩანდა, იქ სითბო და სიმყუდროვე იყო. ალბათ, ეს იყო „პრემიერ ზონა“, რომლის გასწვრივაც ბილეთების კიოსკის დაფაზე უნამუსოდ ატყორცნილი ფასები ეწერა. წითელზონრიანი პატარა სამკერდე ნიშნები ეკეთათ, რაც სხვებისგან გამოარჩევდა. ვიფიქრე, ჩვენი ლურჯი ზონრები გადაგვეცვალა, მაგრამ ერთადერთი ჯგუფი იპოდრომზე, ეტლის თანხლებით, შეუმჩნევლად ვერ გაძვრებოდა. ჩვენ გვერდით, ტრიბუნის გაყოლებაზე, მამაკაცები ტვიდის კოსტიუმებში და ქალები მოკლე მანტოებში, პლასტმასის ჭიქებიდან ყავას სვამდნენ. ბარძაყებზე მათარები ჰქონდათ მიმაგრებული. იპოდრომზე შინაურულად გამოიყურებოდნენ და ჩვენი მსგავსი ლურჯი სამკერდეები ეკეთათ. კლასობრივი სისტემების ნაირსახეობას ასრულებდა ახალგაზრდა მამაკაცების ჯგუფი პოლოს ზოლიან მაისურებში. ხელში ლუდის ქილები ეკავათ და, როგორც ჩანს, იპოდრომზე ისინიც დროის გასატარებლად მოსულიყვნენ. თავი ყველას გადაპარსული ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სავარაუდოდ, სამხედრო სამსახურიდან იყვნენ. პერიოდულად სიმღერას შემოსძახებდნენ, ხმაურობდნენ, ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ და ძიძგილაობდნენ. ტუალეტისკენ გზად რომ ჩავუარე, სტვენა ამიტეხეს და ზურგიდან შუა თითი ვუჩვენე. ამ დროს ერთმანეთის მიყოლებით შვიდი-რვა

ცხენი გამოჭენდა და ჩემ მიმართ ინტერესი დაკარგეს. მუშათა კლასისთვის დამახასიათებლად ჯიქურ დაიკავეს ადგილები ტრიბუნაზე და შემდეგი ჭენებისთვის მოემზადნენ.

გარშემო ღრიანცელი რომ ატყდა და ცხენები სტარტთან დადგნენ, ჩემს ადგილს დავუბრუნდი. ადგილზე გავშეშდი და აღფრთოვანებული ვადევნებდი თვალს ცხენების დოღს, მათზე ამხედრებულ გაშმაგებულ ფერადტანსაცმლიან მამაკაცებს, რომელნიც პირველობისთვის იბრძოდნენ.

ჩვენ თვალწინ გათამაშდა „სისთერვუდის თასი“, მერე კი გამოვლინდა „პირველი დოღის“ გამარჯვებული, სადაც ის ცხენები მონაწილეობენ, რომელთათვისაც ეს პირველი დოღი იყო. თავისი პატარა ფსონის წყალობით, ნათანმა ექვსი ფუნტი მოიგო. უილმა ფსონის დადებაზე უარი განაცხადა. ყველა შეჯიბრს თვალს ადევნებდა, მაგრამ ხმას არ იღებდა. ნიკაპი ქურთუკის მაღალ საყელში ჩაერგო. ვიფიქრე, იმდენი ხანია, გარეთ არ გამოსულა, ალბათ, ეს ყველაფერი ეუცნაურება-მეთქი და გადავწყვიტე, საერთოდ არ შემემჩნია რამე.

– კიდევ რამდენი შეჯიბრია საჭირო, რომ ამბიციები დაკმაყოფილებულად ჩათვალოთ?

– ნუ ბუზღუნებთ. ამბობენ, რომ ერთხელ ცხოვრებაში ყველაფერი უნდა სცადო, – ვთქვი მე.

– ჰო, ალბათ, გარდა ინცესტისა და მორისის ცეკვებისა. აი, ცხენების დოღიც სადღაც მაგ კატეგორიაშია.

– სულ თქვენ არ მეუბნებით, რომ თვალსაწიერი უნდა გავიფართოო. აღიარეთ, რომ მოგწონთ აქ და თავს ნუ იკატუნებთ, – ვუპასუხე მე.

ის შეჯიბრიც დაიწყო, სადაც ფსონი მქონდა დადებული. „იღბალას“ მხედარს მეწამული კოსტიუმი ეცვა ყვითელი რომბებით. თეთრ მოაჯირს იქით ვადევნებდი თვალს მათ ჭენებას. ცხენს თავი წინ წაეხარა, ჟოკეის ფეხები ფერდებში მიეჭირა, მკლავებს ცხენის კისრის მოძრაობას აყოლებდა, წინ და უკან.

– მიდი, მიდი! – მთელი აზარტით ჩაერთო ნათანი, მიუხედავად იმისა, რომ ფსონი დადებული არ ჰქონდა. ხელები მოემუჭა და მქროლავ ცხოველებს თვალს არ აშორებდა.

– მიდი, იღბალა! – ვყვიროდი მეც, – სადილი შენ უნდა გვაჭამო.

ვხედავდი, გამარჯვების შანსი აღარ ჰქონდა და ამაოდ ცდილობდა. ნესტოები გაფართოებოდა, ყურები თავზე გაეკრა. გული ამომიჯდა. ბოლო ფერლონგში ყვირილის ხალისი დავკარგე.

– კარგი, ყავა იყოს, – ვთქვი მე, – ყავაზეც თანახმა ვარ.

გარშემო ტრიბუნებზე ხალხი ყვიროდა. ორი სკამის იქით გოგო დახტოდა და კიოდა. შევამჩნიე, რომ ჯერ კიდევ თითის წვერებზე ვიდექი. უილს გამოვხედე. თვალები დაეხუჭა. წარბებს შორის ღრმა ღარი დასტყობოდა. ცხენებს თვალი მოვაშორე და ჩავიმუხლე.

– უილ, კარგად ხართ? – ვკითხე და სახე ახლოს მივუტანე, – რამე ხომ არ გჭირდებათ?

– ვისკი. დიდი ჭიქით, – მიპასუხა უილმა.

თვალი თვალში გამიყარა. დაღლილი და გაბეზრებული ჩანდა.

– წავიდეთ, ვისადილოთ, – თქვა ნათანმა.

ეს ოთხფეხა თვითმარქვია „იღბალა“ ფინიშთან მეექვსე მიფორთხდა. ხალხში მორიგი ჩოჩქოლი ატყდა და გამომცხადებლის ხმაც გაისმა: „ქალბატონებო და ბატონებო, დამსახურებული გამარჯვება წილად ხვდა „სიყვარულის ვარსკვლავს“, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. ფინიშთან მეორე მოვიდა „ზამთრის მზე“, რომელსაც ოდნავ ჩამორჩა „მედგარი ბარნი“ და მესამე ადგილს დასჯერდა.“

უილის ეტლით გზას მივიკვლევდით უყურადღებო ადამიანებში, რომელთაც პირდაპირ ქუსლებში ვურტყამდი, თუ ჩემს წამოძახილზე – „უკაცრავად“ – ყურსაც არ შეიბერტყავდნენ. ლიფტთან რომ მივედი, უილმა მაშინღა ამოიღო ხმა.

– ახლა რა გამოდის, კლარკ? ჩემი ორმოცი ფუნტი ვალი გაქვთ?

* * *

რესტორანი ახლად გარემონტებული დაგვხვდა. მზარეული სატელევიზიო ვარსკვლავი იყო, მისი პოსტერები მთელ იპოდრომზე იყო გაკრული. მენიუ წინასწარვე მქონდა ნანახი.

– ამათი საფირმო კერძი არის იხვი ფორთოხლის სოუსში, – ვუთხარი უილს და ნათანს,

– რეტრო სამოცდაათიანი წლებიდან.

– თქვენი ტანსაცმელივით, – შენიშნა უილმა.

სითბოში და ხალხისგან მოშორებით, ცოტა ხასიათზე მოვიდა. გარშემო იყურებოდა, ნიკაპი საყელოში აღარ ჰქონდა ჩამალული და საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილს აღარ ჰგავდა. შიმშილისგან და ცხელი სადილის მოლოდინში მუცელი მიბუყბუყებდა. უილის დედამ „ჯიბის ფულად“ ოთხმოცი ფუნტი მოგვცა. გადაწყვეტილი მქონდა, რომ ჩემი სადილის ფულს ჩემი ჯიბიდან გადავიხდიდი. მერე კი ანგარიშს ვაჩვენებდი. ასე რომ, რაც მომინდებოდა, იხვი ფორთოხლის სოუსში, თუ სხვა რამ, თამამად შევუკვეთდი.

– საჭმელად გარეთ ხშირად გადიხარ, ნათან? – ვიკითხე მე.

– მე უფრო ლუდისა და სწრაფი კვების მოყვარული კაცი ვარ, – მიპასუხა ნათანმა, – მაგრამ მიხარია, რომ დღეს აქ მოვედით.

– თქვენ, უილ? ბოლოს როდის ისადილეთ რესტორანში? – დავსვი მორიგი კითხვა.

უილმა და ნათანმა ერთმანეთს გადახედეს.

– რაც მე აქ ვმუშაობ, არცერთხელ, – თქვა ნათანმა.

– რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, დიდად არ მიზიდავს, როცა უცხო ადამიანების თვალწინ კოვზით მაჭმევენ.

– მაშინ ისეთი მაგიდა ავიღოთ, რომ სხვა კლიენტების თვალისგან მოშორებით დავსხდეთ, – ვთქვი მე. რაღაც ამგვარს ჩემითაც ვვარაუდობდი, – ოღონდ დარბაზში თუ ცნობილი ადამიანები აღმოჩნდებიან, წაგებაში იქნებით.

– აბა, რა, ცნობილი ადამიანების ტევა არ იქნება. ეგენი ოღონდ ტალახიან პატარა იპოდრომებზე ატარე მარტში, მეტი არაფერი უნდათ.

– უილ ტრეინორ, ხასიათს მაინც ვერ გამიფუჭებთ, – ვუთხარი მე, როგორც კი ლიფტის კარი გაიღო, – ბოლოს სასადილოდ სადღაც რომ წავედი, ოთხი წლის ვიყავი. მეზობლის ბავშვს დაბადების დღე ჰაილსბერის ერთადერთ ბოულინგის ცენტრში გადაუხადეს. იქ ყველაფერი კლიარში იყო ამოვლებული. სხვათა შორის, ბავშვებიც.

ხალიჩიან კორიდორს მივუყვებოდით. მინის კედელს მიღმა რესტორანი დავინახე, სადაც ბევრი ცარიელი მაგიდა იდგა.

– გამარჯობა, – ვუთხარი ქალს მისაღებში, – მაგიდა მინდა, სამი ადამიანისთვის, თუ შეიძლება, – და იქვე ჩურჩულით დავამატე, – უილს დაჟინებით არ შეხედოთ, თორემ თავს უხერხულად იგრძნობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქაურობა მოეწონოს.

– თქვენი სამკერდე ნიშანი, თუ შეიძლება, – მიპასუხა ქალმა.

– უკაცრავად?

– პრემიერ ზონის საშვი.

გაოგნებული შევყურებდი.

– ეს რესტორანი მხოლოდ პრემიერ ზონის კლიენტებისთვის არის.

უკან უილსა და ნათანს გავხედე. ჩემი ხმა არ ესმოდათ, მოთმინებით იდგნენ და მიცდიდნენ. ნათანი უილს პალტოს გახდაში დაეხმარა.

– იცით... პირველად მესმის, რომ ადამიანს არ შეუძლია იქ ჭამოს, სადაც მოისურვებს. ჩვენ ლურჯი საშვები გვაქვს.

გამიღიმა.

– უკაცრავად, მაგრამ აქ მხოლოდ პრემიერ ზონის კლიენტები დაიშვებიან. ყველგან ასე წერია ჩვენს რეკლამაში.

ღრმად ჩავისუნთქე.

– კარგი, სხვა რესტორნები არის?

– სამწუხაროდ, ჩვენი ჩვეულებრივი რესტორანი რიგითი კლიენტებისთვის ახლა რემონტდება. მაგრამ ტრიბუნების გაყოლებაზე ჯიხურები დგას და შეგიძლიათ, იქ შეიძინოთ რამე საჭმელად, – ეტყობა დაინახა, სახე რომ წამეშალა და დაამატა, – ღორის ხორცის გემრიელი ღვეზელები აქვთ. შემწვარი ხორცია ფუნთუშის ცომში, ვაშლის სოუსით.

– ჯიხურებში...

– დიახ.

მისკენ გადავიხარე.

– გთხოვთ, – ვუთხარი, – გრძელი გზა გამოვიარეთ. ჩემი მეგობარი სიცივეს ვერ იტანს. არ შეიძლება, რომ აქ დავსხდეთ მაგიდასთან? აუცილებელია, რომ თბილად გვყავდეს. მართლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასიამოვნოდ გაატაროს დღე.

ცხვირი შეჭმუხნა.

– ძალიან ვწუხვარ, მართლა. წესი წესია და მე არ შემიძლია, გადავუხვიო. ამის გამო სამსახურს დავკარგავ. მაგრამ ქვემოთ არის ადგილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის. იქ შეგიძლიათ, განმარტოვდეთ და მოისვენოთ. მოედანზე ხედი არ აქვს, მაგრამ მყუდროა.

თვალებში მივაჩერდი. ვგრძნობოდი, ტვინში სისხლი მასხამდა. მის მკერდზე მიკრულ ბარათს დავაკვირდი.

– მისმინეთ, შერონ, – ვუთხარი მტკიცედ, – ნახევარზე მეტი დარბაზი ცარიელია. რა თქმა უნდა, რესტორნის ინტერესშია, რომ მეტი კლიენტი ჰყავდეს, რომელიც აქ ისადილებს,

ვიდრე ცარიელი იყოს. და რისთვის? რაღაც საიდუმლო კლასობრივი დაყოფის მარეგულირებელი წესების გამო?!

სახიდან ღიმილი თანდათან გაუქრა.

– მადამ, უკვე ყველაფერი აგიხსენით. წესები თქვენი გულისთვის რომ დავარღვიოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველასთვის უნდა დავარღვიოთ.

– ნესტიანი ორშაბათია. რესტორანში მაგიდები ცარიელია. გვინდა, ვისადილოთ, ძვირადღირებული კერძი შევუკვეთოთ, ქსოვილის ხელსახოცებით და მთელი ამბავი. არ გვჭირდება ჯიხურების ღორის ხორცის ღვეზელები და სადღაც უფანჯრო სოროში ჯდომა, რაც არ უნდა მყუდრო იყოს.

რესტორნის სხვა კლიენტები შემოსასვლელში მიმდინარე კამათმა დააინტერესა და ყველამ ჩვენ დაგვიწყო ყურება. დავინახე, როგორი შემცბარი სახე ჰქონდა უილს. ის და ნათანი მიხვდნენ, რომ რაღაც რიგზე არ იყო.

– მაშინ პრემიერ ზონის საშვი უნდა შეგეძინათ.

– კარგი, – ვუთხარი და ხელჩანთაში ჩავძვერი საფულის მოსაძებნად, – რა ღირს ეგ თქვენი პრემიერ ზონის საშვი?

ჩანთიდან ზონრები, ავტობუსის ძველი ბილეთები და ტომასის პატარა სათამაშო მანქანები ამომიცვივდა. ფეხებზე მეკიდა. უილს აუცილებლად ექნებოდა მდიდრული სადილი ამ რესტორანში.

– აი, აიღეთ. რამდენი? კიდევ ათი? ოცი?

დაკუჭული ბანკნოტები წინ დავუყარე.

ფულს მშვიდად დახედა.

– ვწუხვარ, მადამ, მაგრამ საშვებს აქ ჩვენ არ ვყიდით. ეს რესტორანია. ბილეთების კიოსკთან მოგიწევთ დაბრუნება.

– რომელიც იპოდრომის მეორე მხარესაა.

– დიახ.

ერთმანეთს დაჟინებით მივაჩერდით.

– ლუისა, წავიდეთ, – გაისმა უილის ხმა.

უეცრად ვიგრძენი, როგორ ამევსო ცრემლებით თვალები.

– არა, – ვთქვი მე, – ეს უბრალოდ სასაცილოა. ამხელა გზა გამოვიარეთ. თქვენ აქ დარჩით, მე კიდევ გავიქცევი და ჩვენთვის პრემიერ ზონის საშვებს ვიყიდი. მერე კი დავსხდებით და ვისადილებთ.

– ლუისა, მე არ მშია.

– რომ შევჭამთ, ყველაფერი კარგად იქნება. ცხენებს ვუყურებთ და ა.შ. ყველაფერი კარგად იქნება.

ნათანი წინ წამოვიდა და ხელზე ხელი დამადო.

– ლუისა, მე მგონი, უილს უბრალოდ სახლში წასვლა უნდა, მართლა.

მთელი რესტორანი ახლა ჩვენ გვიყურებდა. კლიენტები ჯერ მე მომაჩერდებოდნენ, მერე მზერა უილზე გადაჰქონდათ და სახეზე ხან სიბრალული ეხატებოდათ, ხან – ზიზღი.

არაფერი გამომივიდა. სრული მარცხი განვიცადე. მისაღების ქალს ავხედე, რომელიც თავს უხერხულად გრძნობდა მას შემდეგ, რაც უილის ხმაც გაიგო.

– გმადლობთ, – ვუთხარი მე, – გმადლობთ ასეთი სტუმართმოყვარეობისთვის.

– კლარკ, – უილის ხმა გამაფრთხილებლად ჟღერდა.

– დიდი მადლობა, რომ ასეთი მოქნილები და კეთილგანწყობილები ხართ. აუცილებლად ვურჩევ ყველას, რომ გეწვიონ.

– ლუისა!

ჩანთას ხელი დავტაცე და იღლიაში ამოვიდე.

– სათამაშო მანქანა დაგივარდათ, – დამიძახა ქალმა, კარებში რომ გავდიოდი, რომელიც ნათანს ჩემთვის ღიად ეჭირა.

– რა მოხდა, მაგასაც საშვი სჭირდება? – ვკითხე გამწარებულმა და ლიფტში შევედი. ხმას არ ვიღებდით. ბრაზისა და სიმწრისგან ხელები მიკანკალებდა და სანამ ქვემოთ ჩავდიოდით, ვცდილობდი, ცახცახი შემეკავებინა.

* * *

ღორის ხორცის სამი ღვეზელი შევუკვეთეთ, კრეკერი და ვაშლის სოუსი. საჭმელად ტენტით გადახურულ ფარდულს შევეფარეთ. ნაგვის პატარა ურნაზე ჩამოვჯექი, რომ უილის სიმაღლეზე ვყოფილიყავი და დავხმარებოდი ხორცი პატარა ლუკმებად დაენაწევრებინა, თითებით ვუგლეჯდი, როცა დასჭირდებოდა. დახლს უკან ორი გამყიდველი ქალი იდგა. თავს იკატუნებდნენ, რომ არ გვიყურებდნენ. არადა, ვგრძნობდი, როგორ სწავლობდნენ უილს და ერთმანეთში ჩურჩულებდნენ, როცა ეგონათ, რომ ვერ ვხედავდით. „საცოდავი კაცი, რა აზრი აქვს მაგის ცხოვრებას“ – ასე მეგონა, რომ სიტყვებიც მესმოდა. ვეცადე იმაზე აღარ მეფიქრა, უილი რას გრძნობდა ახლა.

წვიმა გაჩერდა. მაგრამ ადგილი ქარისგან დაუცველი იყო და აცივდა. იპოდრომის ყავისფერ-მწვანე ზედაპირი ბილეთებით იყო მოფენილი, ჰორიზონტი დაცარიელდა. მანქანების სადგომიც შეთხელებულიყო. შორიდან ისმოდა გამომცხადებლის ხმა, რომელიც იუწყებოდა, რომ ზოგიერთი შეჯიბრი გადაიდო.

– მგონი უკვე დროა, რომ წავიდეთ, – თქვა ნათანმა, უცბად შეცბა და დააყოლა, – ძალიან კარგი იყო აქ, მაგრამ საცობებს რომ ჩავასწროთ.

– არ მოეწონა? – მკითხა ერთ-ერთმა ქალმა, როცა ნათანმა ბალახზე უილის ეტლი გააგორა.

– არ ვიცი, ალბათ, უფრო მეტად მოეწონებოდა, ამდენი არამკითხე ადამიანის ცნობისმოყვარე თვალი რომ ლუკმის გადაყლაპვას არ უშლიდეს , – ვუპასუხე მე და უილის ღვეზელის ნარჩენები ურნაში ხმაურით ჩავყარე.

მანქანაში ჩაჯდომა და პანდუსის აკეცვა ადვილი საქმე არ იყო. იმ რამდენიმე საათის განმავლობაში, რაც შიგნით ვიყავით, მანქანების მისვლამოსვლამ სადგომი ტალახის ერთ დიდ ტბად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ არც ნათანი უჩიოდა ძალღონეს და მეც ვეხმარებოდი, მანქანამდე შუა გზაში გავჩერდით. საბურავები ღრმად ჩაეფლო, ამაოდ სრიალებდა და ჭრიალებდა. მე და ნათანიც კოჭებამდე ტალახში ვტოპავდით.

– არაფერი გამოვა, – თქვა უილმა.
– დახმარება გვჭირდება, – მითხრა ნათანმა, – ადგილიდანაც ვეღარ ვძრავ.
გავიჭედეთ.
უილმა რაღაც გაურკვეველი ხმა ამოუშვა. ისეთი გაბეზრებული და გულგაწვრილებული ჩანდა, როგორც არასდროს.
– შემიძლია, მანქანაში წინ დაგსვა, უილ, სავარძელი ოდნავ უკან მივწიოთ. მერე მე და ლუისა ეტლის ამოტანას ვცდით.
– ისღა აკლდა დღევანდელ დღეს, რომ ბავშვივით ხელში აყვანილი მატაროთ. – კბილებს შორის გამოსცრა უილმა.
– მაპატიე, მეგობარო, – უპასუხა ნათანმა, – მე და ლუ მარტოები ამას ვერ გავუმკლავდებით. ლუ, შენ ნამდვილად ჩემზე ლამაზი ხარ. შედი შიგნით და იქნებ, დამხმარეები მოიყვანო.
უილმა თვალები დახუჭა და კრიჭა შეკრა. მე ტრიბუნებისკენ გავიქეცი.

* * *

სრულიად უცხო ადამიანებთან ურთიერთობა მაინცდამაინც არ გამომდის, მაგრამ სასოწარკვეთილებისგან ამისთვის აღარ მცხელოდა. მთავარ ტრიბუნაზე ადამიანთა ერთი ჯგუფიდან მეორესთან გადავდიოდი და ვთხოვდი, რამენიმე წუთი დაეთმოთ. შემომხედავდნენ, ტანსაცმელს შემითვალიერებდნენ და ისე მიყურებდნენ, თითქოს, რაღაც სულელურ ზღაპარს ვუყვებოდი.
– მომდევნო შეჯიბრს ველოდებით, – ამბობდა ერთი.
– ვწუხვარ, სამის ნახევრიდან შემიძლია, – მეუბნებოდა მეორე.
ვიფიქრე, ერთ-ორ ჟოკეის ვთხოვ-მეთქი, მაგრამ რომ მივუახლოვდი, სანამ პირს გავაღებდი, მივხვდი, ჩემზე პატარა ტანისები იყვნენ.
ცხენების სადგომამდე სანამ მივიდოდი, შეკავებული ბრაზისგან უკვე სიცხე მიწევდა. ხალხს უკვე ღიმილით კი არა, ღრენით ვთხოვდი დახმარებას. ბოლოს მხიარული ღლიცინი გავიგე და ის ბიჭები დავინახე, პოლოს ზოლიან მაისურებში რომ იყვნენ გამოწყობილები. ზურგებზე წარწერა ჰქონდათ: „მარკის ბოლოს ბრძოლა“. ხელში „პილსნერ ენდ ტენენტსის“ მორიგი ქილები ეკავათ. ოვაციებით შემხვდნენ, როცა მივუახლოვდი. თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ისევ შუა თითი არ მეჩვენებინა.
– გაიღიმე, გოგონი. მარკის ბანდას ქორწილის წინა ზეიმი გვაქვს შაბათ-კვირას, – შემომაბოყინა რომელიღაცამ და დათვისხელა ტორი მხარზე ჩამომადო.
– უკვე ორშაბათია, – ვუპასუხე მე და ვცადე თავი ამერიდებინა.
– რას ლაპარაკობ, მართლა ორშაბათია? – უკან დაიხია.
– ნამდვილად. თქვენთან დახმარების სათხოვნელად მოვედი, – ვუთხარი მე.
– რასაც მეტყვი, ყველაფერს შეგისრულებ, ფისო, – მითხრა და თავისი ჭკუით, მაცდურად ჩამიკრა თვალი.
მისი მეგობრები გარს შემოგვეხვივნენ. ფეხზე ძლივს იდგნენ.
– ჩემს მეგობარს უნდა დაეხმაროთ. მანქანების სადგომზეა.

– ოჰ, დიდი ბოდიში, მაგრამ ახლა ვერავის დავეხმარები, ფისუნია.

– შემდეგი შეჯიბრი იწყება, მარკ. ფსონი აქ არ გიდევს? მგონი მე აქ მიდევს. ზურგი მაქციეს და ყურადღებას აღარ მაქცევდნენ. უკან სადგომისკენ გავიხედე და უილის გადახრილი ფიგურა დავინახე. ნათანი ისევ სახელურებს ეჯაჯგურებოდა. წარმოვიდგინე, როგორ ვბრუნდებოდი სახლში და ვეუბნებოდი უილის მშობლებს, რომ მისი უძვირესი ეტლი სადღაც იპოდრომზე ტლაპოში დავტოვე. მერე ტატუ დავინახე.

– ის ჯარისკაცია, – წამოვიძახე ხმამაღლა, – ყოფილი ჯარისკაცი.

ყველა ჩემკენ მოტრიალდა.

– მძიმედ დაიჭრა. ერაყში. გვინდოდა, რომ მისთვის სასიამოვნო დღე გვეჩუქებინა, მაგრამ ჩვენი დახმარება არავის უნდა, – ვამბობდი და თვალები ცრემლებით მევსებოდა.

– სად არის?

– მანქანების სადგომზე. უამრავ ადამიანს ვთხოვე, მაგრამ არავინ დაგვეხმარა.

– წამოდით, ძმებო. ჩვენ ამას არ დავუშვებთ, – მატარებლის ვაგონებივით ჩამწკრივებულები გამომყვნენ უკან. როცა ეტლამდე მივაღწიეთ, ნათანი უილის გვერდით იდგა. უილს სიცივისგან პალტოს აწეულ საყელოში ჩაერგო თავი, მიუხედავად იმისა, რომ ნათანმა მხრებზე კიდევ ერთი პლედი მოახურა.

– ამ თავაზიანმა ჯენტლმენებმა დახმარება შემოგვთავაზეს, – გამოვაცხადე რიხით. ნათანი ლუდის ქილებს მიაჩერდა. უნდა ვაღიარო, ამ ბიჭებში კეთილშობილი რაინდების დანახვა ადვილი საქმე არ იყო.

– სად გინდათ, რომ წავიყვანოთ? – იკითხა ერთმა.

დანარჩენები უილს შემოეხვივნენ და ესალმებოდნენ. ერთმა ლუდი შესთავაზა. აშკარად არ შეუმჩნევია, რომ უილს რომც მოენდომებინა, ქილას ვერ გამოართმევდა.

ნათანმა ჩვენი მანქანისკენ მიანიშნა.

– უკანა მხრიდან. მაგრამ ამისთვის ტრიბუნებამდე უნდა მივიყვანოთ და მერე მანქანა მოვატრიალოთ.

– რა საჭიროა, – გამოეპასუხა ერთი და ზურგზე ხელი დაჰკრა, – პირდაპირ მანქანამდეც მივიყვანთ, არა ძმებო?

თანხმობის ნიშნად ყველამ ერთხმად შეჰყვირა. უილის ეტლს გარს შემოერტყნენ. მორიდებით მივუახლოვდი.

– არ ვიცი... მანქანამდე დიდი მანძილია... თან ეტლი ძალიან მძიმეა.

გალეწილი მთვრალები იყვნენ. ლუდის ქილებიც ძლივს ეჭირათ ხელში. ერთმა თავისი ქილა მე მომაჩეჩა.

– შენ არ ინერვიულო, ფისუნია. ჯარისკაცისთვის რას არ გავაკეთებთ, არა, ძმებო?

– აქ არ დაგტოვებთ, მეგობარო. მოძმე კაცს გასაჭირში არასდროს ვტოვებთ.

უილს სახეზე შევხედე და მისი გაოგნებული გამომეტყველების პასუხად თავი ენერგიულად გადავაქნიე. მგონი, ისედაც არაფრის თქმას აპირებდა. მოღუშული იყურებოდა. მერე კი, მთვრალმა ახალგაზრდებმა რომ უცებ ხელი დაავლეს და ჰაერში აიტაცეს, სახეზე ცოტა შეშფოთება დაეტყო.

– რომელ პოლკში იყო, ფისო?

ვცადე გამეღიმა და გონება დავძაბე, რამე სისულელე არ მეთქვა.
– მსროლელებში... – წამოვიძახე უცბად, – მსროლელთა მეთერთმეტე პოლკში.
– მსროლელთა მთერთმეტე პოლკი არც კი გამიგია, – თქვა ერთმა.
– ახალი დანაყოფია, – ენა დამება, – ზესაიდუმლო. ერაყში დაფუძნდა.
ფეხსაცმელები ტალახში უცურავდათ. გული გახეთქვაზე მქონდა. უილი მიწიდან რამდენიმე დუიმზე ჰაერში იყო, თითქოს, ტახტრევანზე იჯდა. ნათანი უილის ჩანთის მოსატანად გაიქცა და მანქანაც გააღო.
– წვრთნას კატერიკში გადიოდნენ?
– დიახ, ზუსტად მანდ, – ვთქვი მე და სასწრაფოდ შევცვალე თემა, – აბა, რომელი თქვენგანი ირთავს ცოლს?
სანამ მარკსა და მის მეგობრებს თავს დავაღწევდით, ტელეფონის ნომრების გაცვლაც მოვასწარით. ჯიბეები ამოიტრიალეს და თითქმის ორმოც ფუნტს გვთავაზობდნენ უილის სარეაბილიტაციო ფონდისთვის. მაშინღა მოვიშორე თავიდან, როცა ვუთხარი, ჩვენ სახელზე თუ დალევდნენ, ამით უბედნიერესები ვიქნებოდით. მომიწია, სათითაოდ ყველა გადამეკოცნა და სანამ ჩამოვუარე, ლუდის ოხშივარისგან კინაღამ თავბრუც დამეხვა. ხელს ბოლომდე ვუქნევდი, სანამ თვალს ტრიბუნებზე არ მიეფარნენ და ნათანმა არ დამისიგნალა, მანქანაში დაჯექიო.
– კარგი ბიჭები იყვნენ, არა? – ვთქვი მხიარულად, როგორც კი ფარები ავანთე.
– ყველაზე მაღალმა მთელი ქილა მარჯვენა ფეხზე დამაცალა. ლუდსახარშის სუნი ამდის. – თქვა უილმა.
– დაუჯერებელია, – წამოიძახა ნათანმა, როგორც კი იპოდრომის ტერიტორიაზე მთავარ შემოსასვლელს გავუსწორდით, – შეხედეთ, სადგომზე მთელი სექციაა გამოყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის. ზედ ტრიბუნასთან და მთლიანად ასფალტია.

* * *

დღის ბოლომდე უილს ხმა თითქმის არ ამოუღია. ნათანს დაემშვიდობა, როცა თავის სახლთან ჩამოვსვით და დარჩენილი დრო, სანამ მე ციხესიმაგრისკენ მივდიოდი, ჩუმად იჯდა. მოძრაობა გადატვირთული არ იყო. ტემპერატურა ისევ დაცემულიყო. ამასობაში მანქანა ფლიგელთან გავაჩერე.
უილის ეტლი დავწიე, შიგნით შევედით და ცხელი დასალევი მოვუმზადე. ფეხსაცმელები გამოვუცვალე, შარვალიც. ლუდით დასვრილი ტანსაცმელი სარეცხ მანქანაში შევყარე და ცეცხლიც დავანთე. ტელევიზორი ჩავრთე, ფარდები ჩამოვაფარე, რომ ოთახი უფრო მომყუდროვებულიყო, განსაკუთრებით ცივ ამინდში ასეთი ვოიაჟის შემდეგ. ახლოს რომ ჩამოვუჯექი ჩაის ფინჯნით ხელში, მაშინღა შევამჩნიე, რომ არ ლაპარაკობდა. არა იმიტომ, რომ დაღლილი იყო, ან ტელევიზორის ყურება უნდოდა, არამედ, უბრალოდ, მე არ მელაპარაკებოდა.
– რამე მოხდა? – ვკითხე, როცა ჩემი კომენტარი ადგილობრივი ახალი ამბების შესახებ მესამედ დატოვა უპასუხოდ.

– ეგ თქვენ უნდა მითხრათ, კლარკ.
– რა?
– თქვენ ხომ ყველაფერი იცით ჩემ შესახებ. ჩემზე უკეთ. ასე რომ, თქვენ მითხარით.
თვალებში შევხედე.
– მაპატიეთ, – ვთქვი ბოლოს, – ვიცი, რომ დღეს ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც ვგეგმავდი. მაგრამ მე უბრალოდ მინდოდა, რომ სასიამოვნო გასეირნება მოგვეწყო. მართლა მეგონა, რომ მოგეწონებოდათ.
აღარ დამიმატებია, რომ ეს თვითონ იყო საშინლად ბუზღუნა ადამიანი... რომ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა გამოვიარე იმისთვის, რომ მიმეცა მისთვის გართობის შესაძლებლობა, მას კიდევ საერთოდ არ უცდია, რომ სიამოვნება მიეღო. არ მითქვამს, იმ იდიოტური საშვების ყიდვის საშუალება რომ მოეცა, გემრიელად ვისადილებდით და ეს ყველაფერს დაგვავიწყებდა.
– ზუსტად მაგაშია საქმე.
– რაში?
– იმაში, რომ თქვენც არ განსხვავდებით სხვებისგან.
– ეს რას ნიშნავს?
– თავი რომ შეგეწუხებინათ, კლარკ და ჩემთვის გეკითხათ... ერთხელ მაინც რომ მოგსვლოდათ აზრად, ჯერ ჩემთვის გეთქვათ ამ ჩვენი გასეირნების შესახებ, გეტყოდით. გეტყოდით, რომ ვერ ვიტან ცხენებს, დოღს. ვერასდროს ვიტანდი. მაგრამ ასე არ მოიქეცით. თქვენთვის მოიფიქრეთ, მე რა უნდა გამეკეთებინა, რა მომეწონებოდა და უკითხავადვე განახორციელეთ. თქვენც ისევე მოიქეცით, როგორც დანარჩენები იქცევიან. თქვენც ჩემ მაგივრად მიიღეთ გადაწყვეტილება.

XII

შემიძლია, ზუსტად დაგისახელოთ დღე, რომლის შემდეგაც მე უშიშარი აღარ ვიყავი. ეს თითქმის შვიდი წლის წინ მოხდა, ივლისის მიწურულს, ერთ-ერთ ზარმაც და ალმურადენილ დღეს. ციხე-სიმაგრის ირგვლივ მდებარე ვიწრო ქუჩები გაძეძგილი იყო ტურისტებით. მათი გზააბნეული ნაბიჯების ხმა და გორაზე ჩამწკრივებული ნაყინების გასაყიდი ფურგონების სიგნალი ერთმანეთში ირეოდა.
რამდენიმე თვით ადრე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ბებია. ზაფხულს სევდის ბლანტი ბადე გადაჰფარვოდა და ყველაფერს, რასაც ვაკეთებდით, ფერს უკარგავდა. ამან ჩააჩუმა მუდმივი დრამები მე და ჩემი დის ურთიერთობაში, უარი გვათქმევინა სეირნობისა და პიკნიკების მოწყობის საზაფხულო ჩვეულებაზე. დედაჩემი თითქმის მთელი დღე სამზარეულოს ნიჟარასთან იდგა, წელში გამართულიყო და ცდილობდა, ცრემლები შეეკავებინა. დილაობით, მამა მკაცრი, მოღუშული სახით მიდიოდა სამსახურში. სიცხისგან ალაპლაპებული სახით ბრუნდებოდა და სიტყვას არ ძრავდა, სანამ ლუდის ქილას არ გახსნიდა და დალევდა. ჩემი და უნივერსიტეტის პირველი კურსის მერე სახლში დაბრუნებულიყო. მისი გონება ჩვენი პატარა ქალაქიდან

უკვე შორს ჰქროდა. მე ოცი წლის ვიყავი და პატრიკის გაცნობამდე კიდევ სამი თვე იყო დარჩენილი. ეს ჯერ კიდევ იმ იშვიათ ზაფხულთაგანი გახლდათ, როცა შეგვეძლო თავისუფლებით დავმტკბარიყავით – არავითარი ფინანსური ვალდებულებები, არავითარი ვალები, არც დრო მემართა ვინმესი. სეზონური სამსახური მქონდა და ძალიან ბევრი თავისუფალი დრო, რომ მაკიაჟის კეთებაში მევარჯიშა, ქუსლიანი ფეხსაცმელი ჩამეცვა, (ამაზე მამაჩემი დაიჯღანებოდა ხოლმე) და საერთოდ, მეფიქრა, ვინ ვიყავი და რა მინდოდა ცხოვრებაში.

იმ დროს ნორმალურად მეცვა, უფრო სწორად, სხვა გოგოების მსგავსად. მქონდა გრძელი თმა, რომელიც მხრებს უკან მქონდა გადაყრილი, მუქი ლურჯი ჯინსი, მოტკეცილი მაისურები ვიწრო წელსა და მაღალ მკერდს უსვამდა ხაზს. საათობით ვისხედით და ვისვამდით ტუჩის ამა თუ იმ მბზინავ საცხს და ვვარჯიშობდით თვალის მუქი მაკიაჟის გაკეთებაში დაბინდული მზერის მისაღებად. ყველაფერი გვიხდებოდა, მაგრამ საათობით ვწუწუნებდით არარსებულ ცელულიტსა და კანის დეფექტებზე. იდეები მაწუხებდა. ბევრი რამის გაკეთება მინდოდა. ერთი ჩემი ძველი ნაცნობი სკოლიდან მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ წავიდა და იქიდან ისეთი სხვანაირი დაბრუნდა, ვერ იცნობდით. თითქოს, ის არ ყოფილიყო, 11 წლის ასაკში ფრანგულის გაკვეთილებზე საპნის ბუშტებს რომ უშვებდა ხოლმე. ავიხირე, ავსტრალიის მიმართულებით იაფი ბილეთი შევიძინე და ვეძებდი ვინმეს, ვინც წამომყვებოდა. მომწონდა ის ეგზოტიკურობა, ის იდუმალება, რაც მოგზაურობამ ჩემს ნაცნობს შესძინა. გარესამყაროს მსუბუქი სიო მოჰქონდა, რომელიც საოცრად მიზიდავდა და მაცდუნებდა. აქ ყველამ ყველაფერი იცოდა ჩემ შესახებ. ჩემი დის ხელში, საერთოდ, ვის რა დაავიწყდებოდა.

პარასკევი დღე იდგა, მთელი დღე მანქანების სადგომზე ვიმუშავე სხვა გოგონებთან ერთად, რომლებიც, ასევე, ჩემი სკოლელები იყვნენ. სტუმრებს ვხვდებოდით და ციხე სიმაგრის მისადგომებთან ხელნაკეთი ნივთების ბაზრობაზე ვეპატიჟებოდით. მთელი დღე ვხარხარებდით, თაკარა სიცხეში შუშხუნა სასმელებს ვსვამდით, თავზე ლურჯი ცა გვეხურა და ციხის ქონგურებს მზე ელაციცებოდა. არცერთ ტურისტს ჩაუვლია, ჩემთვის რომ არ გაეღიმა. როგორ არ უნდა გაუღიმო მხიარულ, მოკისკისე გოგონებს. დღის ბოლოს ოცდაათი ფუნტი გადაგვიხადეს. ორგანიზატორები ისეთი კმაყოფილები იყვნენ, რომ ზემოდან თითოეულს კიდევ ხუთი ფუნტი დაგვიმატეს. გადავწყვიტეთ, აღგვენიშნა და ვიზიტორთა ცენტრთან ახლოს მდებარე სადგომზე მომუშავე ბიჭებთან ერთად დასალევად წავედით. განათლებული ბიჭები იყვნენ, მორაგბეების მაისურები ეცვათ და მოგრძო თმა ჰქონდათ. ერთ-ერთს ედი ერქვა, დანარჩენი ორი უნივერსიტეტში სწავლობდა, არ მახსოვს, რომელში. ისინიც ჩვენსავით არდადეგებზე ფულს აგროვებდნენ. მთელი კვირა სტიუარდებად მუშაობის მერე, ფული ბლომად მოეგროვებინათ და როცა ჩვენ ჩვენი დაგვიმთავრდა, გულუხვად გვთავაზობდნენ სასმელს შემთვრალ ადგილობრივ გოგოებს, ერთმანეთს კალთაში რომ ვუსხედით, თმას მხრებს უკან ვიყრიდით, დაუსრულებლად ვკისკისებდით და ამათ ფულიან ბიჭებს ვეძახდით. თითქოს, სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. განიხილავდნენ აკადემიური შესვენების გატარებას სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, ავტო სტოპით მოგზაურობას ტაილანდში და სტაჟირების პერსპექტივებს

საზღვარგარეთ. ჩვენ ვუსმენდით და ვსვამდით. მახსოვს, ჩემმა დამ რომ შემოიხედა ამ დროს ლუდის ბარის ბაღში, ბალახზე გავშხლართულიყავით. დედამიწის ზურგზე ყველაზე ძველი და დაძენძილი კაპიუშონიანი მაისური ეცვა, მაკიაჟიც არ ესვა. დამავიწყდა, რომ უნდა შევხვედროდი. ვუთხარი, დედას და მამას გადაეცი, სახლში მაშინ დავბრუნდები, ოცდაათი წლის რომ გავხდები-მეთქი. არ ვიცი, რატომ მომეჩვენა ჩემი ნათქვამი ისე მახვილგონივრულად, რომ ისტერიკული სიცილი ამიტყდა. წარბები შუბლზე აუვიდა და წასვლისას ისე შემომხედა, თითქოს, ყველაზე სამარცხვინო ადამიანი ვიყავი დედამიწის ზურგზე.

როდესაც ბარი „წითელი ლომი“ დაიკეტა, წავედით და ციხესიმაგრის ლაბირინთის ცენტრში დავსხედით. ვიღაც ჭიშკარზე გადაძვრა და დიდი ხნის ძიძგილაობისა და ხითხითის მერე გზა გავიგენით. ძლიერ სიდრს ვწრუპავდით, მერე რომელიღაცამ მოსაწევი ამოიღო. მახსოვს, ვარსკვლავებს რომ შევცქეროდი და ისეთი შეგრძნება მქონდა,თითქოს ცის უსასრულო სიღრმეში მივქროდი. მიწისა და ბალახის რბილი ზედაპირი გარშემო უზარმაზარი ხომალდის ბორტი მეგონა. ვიღაც გიტარას უკრავდა. ვარდისფერი ატლასის მაღალქუსლიანი ფესაცმელი მეცვა, რომლებიც მაღალ ბალახში მოვისროლე და დავივიწყე. მეგონა, მთელი სამყარო ჩემს ფერხთით გართხმულიყო.

ეს იყო, დაახლოებით, ნახევარი საათით ადრე, სანამ გავაცნობიერებდი, რომ ჩემ გარდა, არცერთი გოგო აღარ იყო იქ.

როცა უკვე კარგა ხანი გასულიყო, რაც ვარსკვლავების კიაფი მძიმე ღრუბლებს გადაეფარა, ჩემმა დამ ლაბირინთის ცენტრში მიპოვა, დადუმებული და აკანკალებული. როგორც არაერთხელ აღვნიშნე, ჩემი და ჭკვიანი გოგოა, ყოველ შემთხვევაში, ჩემზე ჭკვიანი ნამდვილად არის.

ის არის ერთადერთი ადამიანი ჩემს ნაცნობებს შორის, რომელსაც ლაბირინთიდან სწრაფად და უსაფრთხოდ გამოსვლა შეუძლია.

* * *

– გაგეცინებათ, მაგრამ ბიბლიოთეკაში სიარული დავიწყე.

უილი თავისი კომპაქტდისკების კოლექციას უყურებდა. მოტრიალდა და დამელოდა, სანამ მის სასმელს ეტლის ჭიქის დამჭერში მოვათავსებდი.

– მართლა? რას კითხულობთ?

– ისეთს არაფერს. თქვენ არ მოგეწონებათ. ერთმანეთს რომ გაიცნობენ, მერე შეუყვარდებათ და მსგავსებს. მაგრამ მე მომწონს.

– იმდღეს ჩემს ფლანერი ო’კონორს კითხულობდით, – სასმელი მოსვა და ყურადღებით შემომხედა, – ავად რომ ვიყავი.

– მოთხრობებზე ამბობთ? როგორ შეამჩნიეთ?

– როგორ არ შევამჩნევდი. წიგნი საწოლზე გადაშლილი დამიტოვეთ და მისი აღება არ შემეძლო.

– აჰ...

– ასე რომ, შეეშვით ბულვარული რომანების კითხვას. წაიღეთ კონორის მოთხრობები სახლში და ეგ წაიკითხეთ.

უარის თქმა დავაპირე, მაგრამ მივხვდი, რომ მე თვითონ არ ვიცოდი, რატომ უნდა მეუარა.

– კარგი. როგორც კი დავამთავრებ, დაგიბრუნებთ.

– მუსიკა ჩამირთეთ, კლარკ.

– რა ჩავრთო?

დამისახელა, რა უნდოდა და თავით მიმანიშნა, საიდან უნდა ამეღო. გადავხედე და საჭირო დისკი ვიპოვე.

– ერთი მეგობარი მყავს. მთავარი მევიოლინეა ალბერტის (როიალ ალბერტ ჰოლი) სიმფონიურ ორკესტრში. ამას წინათ დამირეკა, მომავალ კვირას აქვე ახლოს კონცერტი აქვს. აი, ამას დაუკრავს. მოგისმენიათ?

– კლასიკური მუსიკის არაფერი გამეგება. უფრო სწორად, ხანდახან მამაჩემი შემთხვევით კლასიკური მუსიკის რადიოს ჩართავს ხოლმე, მაგრამ...

– კონცერტზე არასდროს ყოფილხართ?

– არა.

ისეთი გაოცებული სახე ჰქონდა, ნამდვილად შოკში ჩავარდა.

– ერთხელ „ვესტლაიფის“ კონცერტზე წავედი. მაგრამ ეს, ალბათ, არ ითვლება. ჩემმა დამ აიჩემა. ჰო... და კიდევ რობი უილიამსის კონცერტზე დასწრებას ვაპირებდი ჩემს ოცდამეორე დაბადების დღეზე, მაგრამ რაღაცით მოვიწამლე.

უილმა, როგორც აქამდე არაერთხელ, ისე შემომხედა, თითქოს, ვიღაცის სხვენში წლების განმავლობაში გამოკეტილი ველური არსება ვიყავი.

– უნდა წახვიდეთ. ჩემი მეგობარი ბილეთებს დამპირდა. მართლა კარგი იქნება. დედა წაიყვანეთ.

გავიცინე და თავი გადავაქნიე.

– ეგ არ გამოვა. დედაჩემი არსად დადის. თან ეს საჩემო ამბავი არაა.

წარბშეკრულმა შევხედე.

– მე თქვენი პროექტი არ ვარ, უილ. ჩვენ აქ „ჩემს მშვენიერ ლედის“ არ ვთამაშობთ.

– „პიგმალიონს“.

– რა?

– პიესას, რომელსაც გულისხმობთ, „პიგმალიონი“ ჰქვია. „ჩემი მშვენიერი ლედი“ უბრალოდ მისი უნიჭო ანარეკლია.

დაჟინებით შევხედე, მაგრამ არ იმოქმედა. დისკი ჩავრთე. რომ მოვტრიალდი, კიდევ თავს აქნევდა.

– საშინელი სნობი ხართ, კლარკ.

– რა? მე?!

– ყველაფერზე უარს ამბობთ და თავს უმტკიცებთ, რომ ეს თქვენთვის არ არის.

– ასეც არის.

– მერე და რა იცით? არაფერი გაგიკეთებიათ ცხოვრებაში, არსად ყოფილხართ. წარმოდგენაც კი არ გაქვთ, ვინ ხართ.

რა იცოდა ამ ადამიანმა, მე რას ვფიქრობდი საკუთარი თავის შესახებ. კიდევაც გავბრაზდი, რომ ამაზე წარმოდგენა არ ჰქონდა.

– აუცილებლად წადით. და გახსენით გონება.

– არა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ იქ თავს უხერხულად ვიგრძნობ. თითქოს... თითქოს ყველამ ყველაფერი იცის.

– ვინ? რა იცის?

– ყველა მიხვდება, რომ ჩემი ადგილი იქ არაა.

– მე რაღა ვთქვა?

ერთმანეთს შევხედეთ.

– კლარკ, სადაც არ უნდა მივიდე, ხალხი ისე მიყურებს, თითქოს ჩემი ადგილი იქ არაა. ჩუმად ვისხედით, როცა მუსიკა ჩაირთო. მისტერ ტრეინიორი სახლის ჰოლში ტელეფონზე ლაპარაკობდა. ფლიგელამდე, თითქოს ძალიან შორიდან, მოგუდული სიცილის ხმა აღწევდა. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების შესასვლელი იქით არის“ – გამახსენდა მოლარე ქალის სიტყვები იპოდრომზე. თითქოს, უილი რაღაც სხვა ჯიშის ცხოველი ყოფილიყო.

დისკის გარეკანს დავხედე.

– წავალ, თუ თქვენც წამომყვებით.

– მაგრამ მარტო მაინც არ წახვალთ.

– გამორიცხულია.

ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით, სანამ ჩემს ნათქვამს ხარშავდა.

– ღმერთო ჩემო, მართლა საჯდომში შერჭობილი ჭიკარტივით ხართ.

– მაგიტომაც არ გბეზრდებათ გამეორება.

* * *

ამჯერად გეგმების დაწყობა არ დამიწყია. არაფრის მოლოდინი მქონდა. უბრალოდ, გულის სიღრმეში ვიმედოვნებდი, რომ იპოდრომის მარცხის შემდეგ, უილი მაინც მზად იყო, ფლიგელი დაეტოვებინა. მისმა მეგობარმა მევიოლინემ დაპირებული ბილეთები გამოგვიგზავნა, რომელთაც კიდევ საინფორმაციო ბუკლეტი ახლდა კონცერტის ჩასატარებელი ადგილიდან. სახლიდან ორმოცი წუთის სავალზე იყო. ჩემი საშინაო დავალება ბეჯითად შევასრულე – გადავამოწმე, სად ჰქონდათ მანქანების სადგომი და გამოყოფილი იყო თუ არა სათანადო ადგილები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. დარბაზშიც დავრეკე, რომ შემემოწმებინა, რამდენად მარტივად შეეძლო უილს თავის ადგილამდე მისვლა. მითხრეს, რომ წინ დაგვსვამდნენ და ჩემთვის სკამსაც დადგამდნენ უილის ეტლის გვერდით.

– საუკეთესო ადგილია, – მითხრა მოლარე ქალმა მხიარულად, – ორკესტრთან ძალიან ახლოს ხართ და მუსიკის პირველ ტალღებს პირველები ხვდებით. მე სულ მანდ დაჯდომაზე ვოცნებობ ხოლმე.

ისიც კი მკითხა, ხომ არ გინდათ, სადგომზე ვინმე დაგახვედროთ, ვინც ადგილებამდე მისვლაში დაგეხმარებათო. შემეშინდა, რომ უილს ზედმეტი ყურადღება არ ესიამოვნებოდა, ამიტომ მადლობა გადავუხადე და უარი ვუთხარი.

საღამოც მოახლოვდა. არ ვიცი, ვინ უფრო ღელავდა, მე თუ უილი. ჩვენი წინა გასეირნების მარცხს ჯერ კიდევ ძალიან განვიცდიდი. მისის ტრეინორიც ცალკე მიმატებდა შფოთვას. თოთხმეტჯერ შემოვიდა ფლიგელში, რომ დაეზუსტებინა, სად და როდის იმართებოდა კონცერტი და კონკრეტულად რას გავაკეთებდით.

უილის საღამოს პროცედურები დასჭირდება კონცერტის შემდეგ და ესეც დროს მოითხოვსო, მითხრა. უნდოდა, ეზრუნა იმაზე, რომ დასახმარებლად ვინმე კიდევ იქნებოდა. მაგრამ გვიან საღამოს ნათანს სხვა გეგმები ჰქონდა. მისტერ ტრეინორიც სხვაგან აპირებდა წასვლას.

– ამ პროცედურებს საათნახევარი მაინც დასჭირდება, – გამომიცხადა აფორიაქებულმა.

– და ეს ყველაფერი სასტიკად მოსაწყენია, – აღნიშნა უილმა.

მივხვდი, თავის დაღწევას ცდილობდა, რომ არ წამოსულიყო.

– ყველაფერს მე მივხედავ, – ვთქვი მე, – თუ უილი მეტყვის, რა უნდა ვქნა. არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ დავრჩე, თუ ეს საჭიროა, – ვთქვი თითქმის დაუფიქრებლად, სანამ გავიაზრებდი, რას ვთანხმდებოდი.

– ორივე მოუთმენლად უნდა დაველოდოთ, ისეთი საქმეა, – ჩაილაპარაკა უილმა გაბრაზებულმა, როგორც კი დედამისი გავიდა, – საჯდომს რომ დამითვალიერებთ, ეს ერთი. თან მომიწევს ლოგინში ჩამაწვინოს ადამიანმა, რომელსაც შიშველი სხეულის დანახვაზე გონება ეკარგება.

– საიდან მოიტანეთ, რომ შიშველი სხეულის დანახვაზე გონება მეკარგება?

– კლარკ, არავინ მინახავს, თავს ასე არაკომფორტულად გრძნობდეს ადამინის სხეულის დანახვისას, როგორც თქვენ.

– მაშინ დედათქვენმა გაგიკეთოთ, რაც გჭირდებათ, – მივუგდე მკვახედ.

– ჰო, ეგ კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ამ საღამოს გარეთ გასვლას.

ახლა უკვე გარდერობის პრობლემა დადგა. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა ჩამეცვა. იპოდრომზე შესაფერისად არ მეცვა. რა გარანტია მქონდა, რომ იგივე არ დამემართებოდა? უილს ვკითხე, რა სჯობს, რომ ჩავიცვა-მეთქი, მაგრამ ისე შემომხედა, თითქოს, გიჟი ვიყავი.

– სინათლე ჩამქრალი იქნება, – ამიხსნა მან, – თქვენ არავინ შემოგხედავთ, ყველა მუსიკის მოსმენაზე იქნება კონცენტრირებული.

– ქალების არაფერი გაგეგებათ, – ვუპასუხე მე.

ბოლოს მამაჩემის ანტიკური პერიოდის ჩემოდანში სამი ხელი ტანსაცმელი ჩავაწყვე და სამსახურში ავტობუსით წავიღე. მხოლოდ ასე თუ არ გადავიფიქრებდი წასვლას საერთოდ.

ნათანი ჩაის დროს, ექვსის ნახევარზე მოვიდა და სანამ უილს ამზადებდა, მე სააბაზანოში შევედი. პირველად ჩავიცვი ვარიანტი, რომელსაც „არტისტულად“ მივიჩნევდი. ღილებიანი მწვანე კაბა, რომელსაც ქარვის უზარმაზარი ქვები ჰქონდა მიმაგრებული. ჩემს წარმოსახვაში, ხალხი, რომელიც კლასიკური მუსიკის კონცერტებზე დადიოდა, შემოქმედებითი ნატურითა და ექსტრავაგანტურობით უნდა ყოფილიყვნენ გამორჩეულები. მისაღებ ოთახში რომ შევედი, უილიცა და ნათანიც უსიტყვოდ მომაჩერდნენ.

– არა, – მშრალად მომიჭრა უილმა.

– ეს შეიძლება, დედაჩემს ჩაეცვა, – მითხრა ნათანმა.

– არასდროს გითქვამთ, რომ დედათქვენი ნანა მუსჰურის (ნანა მუსჰური – ბერძენი მომღერალი.) ჰგავდა, ნათან, – თქვა უილმა.

ორივემ ჩაიხითხითა, როგორც კი კარი გამოვიხურე.

ჩაცმულობის მეორე ვარიანტად მკაცრი შავი კაბა მქონდა, ირიბად აჭრილი თარგით, თეთრი საყელოთი და მანჟეტებით, რომელიც მე თვითონ შევკერე. ჩემი აზრით, კოხტა და პარიზული სტილის კაბა იყო.

– ისე გამოიყურებით, თითქოს ახლა ნაყინი უნდა ჩამოატაროსო, – მომახალა უილმა.

– ნამდვილად, დამლაგებელიც კარგი გამოვიდოდა, – დაუდასტურა ნათანმა, – ისე, მართლა, ჩაიცვი ხოლმე ეს კაბა დღისით.

– მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, ნახეთ, ხვალ ჩაიში თუ სარეცხის ფხვნილი არ ჩაგიყაროთ. მესამე კაბა ჩავიცვი – ვინტაჟის სტილის მუქი წითელი ატლასის კაბა, რომელიც აშკარად უფრო ხელმომჭირნე თაობაზე იყო გათვლილი. ყოველ ჯერზე, როცა ჩაცმას დავაპირებდი, ჯერ ვლოცულობდი, რომ წელზე ელვა შემკვროდა. მაგრამ ამ კაბაში 50-იანი წლების ვარსკვლავს ვგავდი და, საერთოდაც, ისეთი კაბა იყო, შეუძლებელს ხდიდა, თავი მომხიბვლელად და თავდაჯერებულადარ გეგრძნო. მხრებზე ვერცხლისფერი ბოლერო მოვიგდე, ყელზეც ნაცრისფერი შარფი მოვიხვიე, რომელიც დეკოლტეს მიფარავდა, შესაფერისი პომადაც წავისვი და მისაღებში შევედი.

– აუჰ! ეს უკვე სხვა საქმეა, – აღფრთოვანება არ დამალა ნათანმა.

უილმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა. მეც ამ დროს შევამჩნიე, რომ პერანგი და პიჯაკი ჩაეცვა. სუფთად გაპარსულიყო და შეჭრილ თმაშიც საოცრად მიმზიდელად გამოიყურებოდა. რომ დავინახე, ღიმილისგან თავი ვერ შევიკავე. იმიტომ კი არა, რომ კარგად გამოიყურებოდა. ის მახარებდა, რომ მოინდომა.

– აი, ეს სწორედ ისაა, რაც უნდა იყოს, – თქვა უილმა. ხმა ცივი და მოზომილი ჰქონდა. ყელზე ხელი მოვიკიდე, რომ შარფი გამესწორებინა.

– მოსასხამი დატოვეთ.

მართალი იყო. ვიცოდი, რომ მთლად არ შეეფერებოდა. მოვიხსენი და სკამის საზურგეზე ფრთხილად გადავკიდე.

– შარფიც.

ხელი ყელზე გამიშეშდა.

– შარფი? რატომ?

– არ უხდება და იმიტომ. თითქოს, რაღაცის დამალვას ცდილობთ.
– მაგრამ მე... ასე მთელი მკერდი მიჩანს.
– მერე რა? – აიჩეჩა მხრები უილმა, – მისმინეთ, კლარკ, როცა ასეთი კაბა გაცვიათ, საკუთარი თავის რწმენით უნდა ატაროთ. არა მარტო სხეულით, სულიერადაც უნდა შეავსოთ.
– უილ ტრეინორ, მარტო თქვენ შეგიძლიათ ჭკუა დაარიგოთ ქალს, როგორ ჩაიცვას და ატაროს კაბა!
მაგრამ შარფი მაინც მოვიხსენი.
ნათანი უილის ჩანთის ჩასალაგებლად წავიდა. ვფიქრობდი, კიდევ როგორ ვუკბინო და ხაზი გავუსვა მის ვითომ მზრუნველობით უტაქტობასმეთქი. მოვტრიალდი და დავინახე, ისევ მიყურებდა.
– გადასარევად გამოიყურებით, კლარკ, – მითხრა მშვიდად, – მართლა.

* * *

ჩვეულებრივ, რიგით ადამიანებს, რომელთაც კამილა ტრეინორი მუშათა კლასს უწოდებდა, უილთან მიმართებაში რამდენიმე ძირითადი ჩვევა შევნიშნე. სრული უმრავლესობა აშტერდებოდა. ზოგიერთი თანაგრძნობით გაუღიმებდა, სიმპათიას გამოხატავდა, ან ზურგს უკან, თეატრალურად მკითხავდა, რა მოუვიდაო. ძალიან მინდოდა მეპასუხა, ომში დაიჭრა-მეთქი, უბრალოდ რეაქციები მაინტერესებდა, მაგრამ თავს ვიკავებდი.
საზოგადოების შუა ფენას ასეთი რამ ახასიათებდა – თავს ისე იჭერდნენ, თითქოს, არ უყურებდნენ, მაგრამ სინამდვილეში – უყურებდნენ. უბრალოდ პირდაპირ რომ მისჩერებოდნენ, საამისოდ უფრო ზრდილობიანები იყვნენ. ამის ნაცვლად, თვალის კუთხიდან, გვერდულად აკვირდებოდნენ, ვითომ, სულ არ აინტერესებდათ. სანამ არ გასცდებოდა, მერე კი მობრუნდებოდნენ და დაურიდებლად მიაჩერდებოდნენ ზურგში, მაშინაც კი, როცა პარალელურ რეჟიმში ვინმეს ესაუბრებოდნენ. მასზე პირდაპირ არ ლაპარაკობდნენ. ეს ძალიან ტლანქი საქციელი იქნებოდა.
საკონცერტო დარბაზის ფოიეში შევედით, იქ უკვე დაგვხვდნენ ჯგუფებად მდგარი მსმენელები. ერთ ხელში ხელჩანთები და კონცერტის პროგრამა ეკავათ, მეორეში – ჯინ ტონიკი. რომ ჩავივლიდით, მათი ჩურჩული შლეიფად მოგვყვებოდა. არ ვიცი, შეამჩნია თუ არა ეს უილმა. ხანდახან ვფიქრობდი, რომ ერთადერთი გზა, რომლითაც ამას შეიძლებოდა გამკლავებოდა, ის იყო, რომ საერთოდ არ შეემჩნია, თუ რამეს ხედავდა და ესმოდა. დავსხედით. მხოლოდ ორნი ვიყავით ადგილების ცენტრალური სექციის წინ. ჩვენ მარჯვნივ კიდევ ერთი ადამინი იჯდა ეტლში, მხიარულად ესაუბრებოდა ორ ქალს, რომლებიც აქეთ-იქით ესხდნენ. ვუყურებდი და იმედი მქონდა, რომ უილიც დაინახავდა. მაგრამ ის პირდაპირ იყურებოდა, თავი მხრებში ჩაერგო, თითქოს ცდილობდა, უჩინმაჩინად ქცეულიყო.
„აქედან არაფერი გამოვა“ – მკარნახობდა შინაგანი ხმა.

– რამე ხომ არ გინდათ? – ჩავჩურჩულე უილს.

– არა, – თავი გააქნია და ნერწყვი ჩაყლაპა, – უფრო სწორად, მინდა. საყელოში რაღაც მფხაჭნის.

გადავიხარე და სახელოს ქვეშ ხელი შევუცურე. ნაილონის იარლიყი დამხვდა. მოვქაჩე, იმედი მქონდა, რომ მოვაძრობდი, მაგრამ მტკიცედ იყო მიკერებული.

– ახალი პერანგია? მართლა გაწუხებთ?

– არა. უბრალოდ ვიხუმრე.

– ჩანთაში მაკრატელი ხომ არ გვაქვს?

– არ ვიცი, კლარკ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ჩემით არასდროს ჩამილაგებია. ჩანთაში მაკრატელი არ აღმოჩნდა. უკან მივიხედე, სადაც სხვა მსმენელები ისხდნენ, ერთმანეთში ბუტბუტებდნენ და საკონცერტო პროგრამას განიხილავდნენ. უილი თუ აქ არ მოეშვებოდა და მთელ ყურადღებას მუსიკაზე არ გადაიტანდა, ეს საღამოც ჩაგვეშლებოდა. კიდევ ერთ კატასტროფას უკვე ვერ გადავიტანდი.

– არ გაინძრეთ, – ვუთხარი მე.

– რატომ?

სანამ კიდევ სიტყვის თქმას მოახერხებდა, გადავიხარე, საყელო კისერზე ფრთხილად გადმოვუწიე, თავი ახლოს მივუტანე და იარლიყი წინა კბილებს შორის მოვიქციე. რამდენიმე წამში მოვახერხე კარგად დამეთრია, თვალები დავხუჭე და ვცადე, ყურადღება არ მიმექცია მამაკაცის სუფთა სურნელისთვის, მისი კანის შეხებისთვის ჩემს ტუჩებზე, საერთოდ, ჩემი არაადეკვატური ქცევისთვის. როგორც იქნა, გავწყვიტე. თავი გამოვწიე, თვალები გავახილე და გამარჯვებული ღიმილით მოვიშორე პირიდან იარლიყი.

– ესეც ასე, – ვთქვი მე და იარლიყი სკამებს შორის ჩავაგდე.

უილი გაოგნებული მიყურებდა.

– რა?

სკამზე შევტრიალდი და იმ ხალხს შევხედე, ვინც უკან გვესხდა. უეცრად ყველამ საკონცერტო პროგრამაში ჩაყო თავი. ისევ უილს მოვუბრუნდი.

– კარგით, რა. დიდი ამბავი, ჯერ არ უნახავთ გოგო, რომელიც პერანგს იარლიყს კბილებით აძრობს?

როგორც ჩანს, ჩემმა საქციელმა ლაპარაკის უნარი დაუკარგა. თვალები რამდენჯერმე დაახამხამა და თავი ოდნავ გადააქნია. შევამჩნიე, რომ პერანგის თეთრი საყელო პომადით გავუწითლე.

კაბა გავისწორე.

– ყოველ შემთხვევაში, ორივემ მადლობა უნდა ვთქვათ, რომ შარვლის იარლიყმა არ შეგაწუხათ.

სანამ რამეს მიპასუხებდა, ორკესტრის წევრები გამოვიდნენ. საზეიმო ფრაკებსა და საღამოს კაბებში გამოწყობილიყვნენ. პუბლიკა დადუმდა. მეც კი ავღელდი. ხელები მუხლებზე დავილაგე და ადგილზე გავსწორდი. პირველი ბგერები გაისმა და უეცრად მთელი დარბაზი ერთიანმა ჰარმონიამ წალეკა, ყველაზე ცოცხალმა და მომნუსხველმა, რაც კი ოდესმე მომესმინა. დამბურძგლა და სუნთქვა შემეკრა.

უილი გვერდიდან მიყურებდა. რამდენიმე წუთისწინანდელი ღიმილი ჯერ კიდევ სახეზე ეფინა. „კარგი, ახლა კონცერტით ვისიამოვნოთ“ – თითქოს, ამბობდა მისი გამომეტყველება.

დირიჟორი წინ წაიწია, პიუპიტრზე ორჯერ დაჰკრა და სრული სიჩუმე ჩამოწვა. ვგრძნობდი, როგორ დუმდა და როგორ თრთოდა მთელი პუბლიკა მოლოდინში. მერე კი დიროჟორმა ჯოხი დაუშვა და უეცრად მთელი დარბაზი მუსიკის ჰანგებით გაივსო. ბგერებს, თითქოს, ფიზიკურად ვგრძნობდი. უბრალოდ ყურით კი არ აღვიქვამდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მელოდია ჩემში გადიოდა, გარს შემომევლებოდა. ამას სხეულის ყველა უჯრედით ვგრძნობდი. ტანზე ჭიანჭველები დამადიოდნენ და ხელისგულები გამიოფლიანდა. უილს ამდაგვარი არაფერი უთქვამს ჩემთვის. მე კიდევ მეგონა, მოვიწყენ-მეთქი. ეს იყო ყველაზე მშვენიერი რამ, რაც კი ოდესმე მომესმინა. წარმოუდგენელი რამ ემართებოდა ჩემს აღქმასა და წარმოსახვას. ვიჯექი და უნებურად მეფიქრებოდა ყველაფერზე, რაზეც, წლები იყო, აღარ მეფიქრა. მივიწყებულმა ემოციებმა წამლეკა, ახალი აზრები და ემოციები განდევნა, თითქოს, საკუთარ სხეულში ვეღარ ვეტეოდი. ეს უკვე მეტისმეტიც კი იყო, მაგრამ მინდოდა, რომ ეს არასდროს დამთავრებულიყო. მინდოდა, რომ სამუდამოდ ასე ვმჯდარიყავი. უილს მალულად გავხედე. ისიც მონუსხული იჯდა, თითქოს ფრთაშესხმულიც კი. შევბრუნდი და უცბად შემეშინდა, კიდევ შემეხედა. შემეშინდა მისი გრძნობების, დანაკარგის სიღრმის, თავად მისი შიშის. უილ ტრეინორის ცხოვრება იმდენად უსწრებდა ჩემს გამოცდილებებს... მე ვინ ვიყავი, რომ მისთვის მესწავლებინა, როგორ უნდა ეცხოვრა...

* * *

უილის მეგობარმა ბარათი გადმოგვცა და კონცერტის დასრულების შემდეგ, კულისებში მიგვიპატიჟა, მაგრამ უილმა წასვლა არ მოინდომა. ვცადე, გადამერწმუნებინა, მაგრამ ნიკაპზე შევატყე, არ გადაიფიქრებდა. ვერ დავადანაშაულებდი. გამახსენდა, როგორ უყურებდა ყოფილი თანამშრომელი რუპერტი ამას წინათ. მისი მზერა ერთდროულად გამოხატავდა სიბრალულს, უპირატესობის შეგრძნებასა და სადღაც გულის სიღრმეში, სიხარულსაც, რომ მან არ იგემა ბედის ეს კონკრეტული დარტყმა. ვხვდებოდი, უილს უამრავი მსგავსი შეხვედრა მოენელებინა.

დავიცადეთ, სანამ მსმენელები დარბაზიდან გაილალნენ და იქაურობა დაცარიელდა, მერე კი გარეთ გამოვედით და მანქანების სადგომისკენ დავეშვით. უილი მანქანაში ყოველგვარი გართულების გარეშე ჩავსვი. ბევრს არ ვლაპარაკობდი. ყურებში ისევ რეკდა მუსიკა და არ მინდოდა, რომ ეს შეწყვეტილიყო. ვიხსენებდი, როგორ უკრავდა უილის მეგობარი და მუსიკით როგორ ერთიანად შთანთქმული იყო. იქამდე არასდროს მეფიქრა, რომ მუსიკას შეუძლია სულის ყველაზე დაფარული კუნჭულებიც კი გაგიხსნას, სადღაც სხვაგან წაგიყვანოს, იქაც კი, კომპოზიტორს ფიქრად რომ არ ჰქონია. დაგიტოვოს ანაბეჭდი, რომელსაც სულ თან ატარებ. დარბაზში რომ ვისხედით, რაღაც პერიოდით უილის არსებობაც კი გადამავიწყდა.

ფლიგელთან შევჩერდით. ჩვენ წინ, კედელს ზემოთ ციხესიმაგრის კონტურები ჩანდა, სავსე მთვარის მისტიკური სინათლით, გოროზად წამომართული ბორცვის თავზე.

– ესე იგი, კლასიკური მუსიკა სათქვენო საქმე არაა.

სარკეში გავხედე. იღიმოდა.

– დიახ. ოდნავადაც არ მომეწონა.

– შევამჩნიე.

– განსაკუთრებით ის მომენტი არ მომეწონა, დასასრულისკენ, ვიოლინო რომ უკრავდა მხოლოდ.

– ეგეც შევამჩნიე, რომ განსაკუთრებით ეგ მონაკვეთი არ მოგეწონათ. იმდენად არ მოგეწონათ, რომ თვალებზე ცრემლებიც კი მოგერიათ.

გამეცინა.

– მართლა საოცარი იყო, – ვუთხარი უილს, – არ ვიცი, რამდენად საჩემო საქმეა კლასიკური მუსიკა, ზოგადად, მაგრამ ეს არაჩვეულებრივი იყო, – ცხვირი მოვიფხანე, – მადლობა. დიდი მადლობა, რომ კონცერტზე წამიყვანეთ.

ერთხანს სიჩუმეში ვისხედით. ციხესიმაგრეს შევყურებდით. როგორც წესი, ღამით ნაგებობა სპეციალური განათების ნარინჯისფერ შუქშია ხოლმე გახვეული, მაგრამ ახლა, სავსე მთვარის ქვეშ, იქაურობას არაამქვეყნიური ლურჯი ეფინა.

– იქ როგორი მუსიკა ჰქონდათ ნეტავ, ამაზე არ გიფიქრიათ? – ვკითხე ცოტა ხნის შემდეგ, – რაღაცას ხომ აუცილებლად დაუკრავდნენ...

– ციხესიმაგრეში? რაღაც შუა საუკუნეების დროინდელს. სხვადასხვასიმიან საკრავზე. მთლად კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ რამდენიმე საინტერესო ჩანაწერი შემიძლია გათხოვოთ, თუ გინდათ. ყურსასმენებით შედით ციხესიმაგრეში და სრულ შთაბეჭდილებას შეიქმნით.

– არა. ციხესიმაგრეში შესვლა ნამდვილად არ მინდა.

– ყოველთვის ასე ხდება, როცა რომელიმე ღირსშესანიშნაობის გვერდით ცხოვრობ. ცოტა ხანს კიდევ მდუმარედ ვისხედით და მანქანის ძრავას ვუსმენდით.

– კარგი, – ვთქვი მე და ღვედი შევიხსენი, – შიგნით შევიდეთ. საღამოს პროცედურების დრო მოვიდა.

– ერთი წუთით, კლარკ.

მისკენ შევბრუნდი. უილს ჩრდილი ადგა და სახეს კარგად ვერ ვარჩევდი.

– ცოტა ხანი მოიცადეთ. სულ ერთი წუთი.

– ცუდად ხომ არ ხართ? – მზერა მისი სავარძლისკენ გამექცა, რამე ხომ არ გაეჭედა, რამე არასწორად ხომ არ გავაკეთემეთქი, ვიფიქრე.

– ყველაფერი რიგზეა. უბრალოდ...

მისი მუქი პიჯაკის ფონზე ღია ფერის პერანგი მკვეთრად ჩანდა.

– სახლში შესვლა არ მინდა ჯერ. მინდა, ცოტა ხანს ვიჯდე და არ ვიფიქრო... – ნერწყვი ჩაყლაპა.

სიბნელეშიც კი იგრძნობოდა, რომ გაუჭირდა.

– უბრალოდ... მინდა, ცოტა ხანს კიდევ ვიყო მამაკაცი, რომელიც წითელკაბიან გოგოსთან ერთად კონცერტზე იყო. კიდევ სულ რამდენიმე წუთი.

მანქანის კარის სახელურს ხელი გავუშვი.

– რა თქმა უნდა.

თვალები დავხუჭე და თავი გადავწიე. ერთხანს ასე ვისხედით – ორი ადამიანი გონებაში ჩარჩენილი მუსიკის ჰანგებში მოლივლივე, შთანთქმული სავსე მთვარის ქვეშ ჩამოწოლილი ციხესიმაგრის ჩრდილში.

* * *

მე და ჩემს დას არასდროს გვილაპარაკია იმაზე, რაც იმ ღამით მოხდა ლაბირინთში. არც ვარ დარწმუნებული, რომ ამას შევძლებდით. რამდენიმე წუთს ჩახუტებული ვყავდი. მერე ტანსაცმელი მაპოვნინა და როდესაც ფეხსაცმელების მოძებნა დააპირა, გავაჩერე. მაინც აღარასდროს ჩავიცვამდი. ნელ-ნელა სახლისკენ წავედით. მე ფეხშველა მივდიოდი, ხელკავი გვქონდა გაყრილი და ისე. მას შემდეგ, რაც პირველ კლასში შევიდა და დედაჩემი მაიძულებდა, რომ ყურადღება მიმექცია, ასე აღარ გვივლია.

სახლში რომ მივედით, პარმაღზე შევჩერდით. ტრინამ თმა გადამიწია, ცხვირსახოცით თვალები მომწმინდა და შიგნით ისე შემიყვანა, თითქოს, არაფერი მომხდარიყო.

მამას ჯერ კიდევ ეღვიძა და ფეხბურთს უყურებდა.

– რა გეჩქარებოდათ, გოგოებო... – გამოგვძახა საყვედურით, – გასაგებია, რომ პარასკევია, მაგრამ...

– ჰო, მამა, – ერთხმად ვუპასუხეთ ორივემ.

მაშინ ჩემი ოთახი ის იყო, რომელიც ახლა ბაბუას ეკუთვნის. მაღლა ჩუმად ავედი და სანამ ჩემი და რაიმეს თქმას მოახერხებდა, კარი შევიხურე.

მომდევნო კვირას თმა მოკლედ შევიჭერი. ავსტრალიაში გასაფრენი ბილეთი უკან დავაბრუნე. თანასკოლელ გოგოებს აღარ ვხვდებოდი. დედა ისევ გლოვობდა და არაფერი შეუმჩნევია. მამაჩემმა ჩემს ხასიათში ცვლილება და ოთახში შეკეტვის ახალი ჩვევა „ქალურ პრობლემებს“ დააბრალა. მე მივხვდი, ვინ ვიყავი და ეს ახალი მე სრულიად განსხვავდებოდა კისკისა გოგოსგან, რომელიც უცხოებთან დალევას არ ერიდებოდა. ეს გოგო აღარ იცვამდა ისეთ ტანსაცმელს, რომელიც, შესაძლოა, ვინმეს გამომწვევად ჩაეთვალა. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ მიიზიდავდა ისეთ მამაკაცებს, „წითელ ლომში“ რომ დადიოდნენ.

ცხოვრება ნელ-ნელა კალაპოტს დაუბრუნდა. სილამაზის სალონში სამსახური ვიშოვე, მერე კაფეში გადავედი და ყველაფერი უკან დარჩა.

იმ დღის შემდეგ სასახლესთან უამრავჯერ გამივლია.

მაგრამ მას შემდეგ ლაბირინთში აღარასდროს შევსულვარ.

პატრიკი ბილიკის განაპირას იდგა და ადგილზე დარბოდა. „ნაიკის“ ახალი მაისური და შორტები გაოფლილ კუნთებზე მისწებებოდა. ცოტა ხნით გავუარე, რომ მომეკითხა და მეთქვა, იმ ღამით ლუდის ბარში ტრიატლონის შეხვედრას ვერ დავესწრებოდი. ნათანი არ იქნებოდა და საღამოს პროცედურები მე უნდა ჩამეტარებინა.

– უკვე მესამე შეხვედრას ტოვებ.

– მართლა? – გავიოცე და თითებზე გადავითვალე, – მგონი, მართალი ხარ.

– მომავალ კვირას მაინც უნდა მოხვიდე. ვიკინგების შეჯიბრზე გასამგზავრებლად გეგმებს ვაწყობთ. ისიც არ გითქვამს, დაბადების დღისთვის რა გინდა, – აჭიმვების კეთება დაიწყო, ფეხს მაღლა სწევდა და მუხლს მკერდზე იკრავდა, – ვიფიქრე, კინოში ხომ არ წავულიყავით-მეთქი. სანამ ვვარჯიშობ, მსუყე სადილები და ვახშმები ახლა არ მაწყობს.

– ჰმ... დედა და მამა განსაკუთრებული ოჯახური სადილისთვის ემზადებიან.

ხელით ქუსლს მოეჭიდა და მიწაზე დაეშვა.

ძალაუნებურად დავაკვირდი, როგორი კუნთიანი და დაძარღვული გაუხდა ფეხები.

– მაგას რომანტიკულ ვახშამს ვერ დაარქმევ.

– ვერც კინოში წასვლას. ყოველ შემთხვევაში, თავს ვალდებულად ვგრძნობ, პატრიკ. დედა ბოლო დროს ცოტა მოწყენილია.

ტრინა გასულ კვირას გადავიდა (ჩემი ლიმონებიანი კოსმეტიკის ჩანთის გარეშე, სხვათა შორის). დედა დაითრგუნა. თავს უარესად გრძნობდა, ვიდრე მაშინ, როცა ტრინა პირველად წავიდა უნივერსიტეტში. ტომასის არყოფნას ისე განიცდიდა, როგორც მოჭრილი ხელის დაკარგვას. სათამაშოები, რომლებიც ბავშვის დაბადების მომენტიდან მთელ მისაღებ ოთახში იყო მიმოფანტული, ახლა ყუთებში ჩაეწყოთ და თვალისთვის მიეფარებინათ. აღარც შოკოლადიანი თითის ანაბეჭდები ჩანდა კარადებზე და აღარც წვენის პატარა საწრუპიანი კოლოფები. ვეღარავის მიაკითხავდა დედა საბავშვო ბაღში დღის სამ საათსა და თხუთმეტ წუთზე სახლში წამოსაყვანად და ვეღარავის ეჭუკჭუკებოდა სახლისკენ მომავალ მოკლე გზაზე. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა დედა სახლიდან გადიოდა. ახლა წასასვლელი აღარსად იყო, თუ ყოველკვირეულად მამასთან ერთად პროდუქტების შესაძენად გასვლას არ ჩავთვლით.

სამი დღე სახლის კედლებს უმიზნოდ აწყდებოდა, მერე კი საგაზაფხულო გენერალური ლაგება დაიწყო. ისეთი მონდომებითა და ენერგიით ალაგებდა, რომ ბაბუაც კი დაფრთხა. ბურდღუნით აპროტესტებდა, როცა დედა მტვერსასრუტით მის სავარძელს მიადგებოდა გამოსასუფთავებლად, ან მხრებზე მტვრების საწმენდ ტილოს გადაატარებდა. ტრინამ გაგვაფრთხილა, პირველი რამდენიმე კვირა სახლში არ დავბრუნდები, რომ ტომასი ახალ გარემოს შეეგუოსო. როცა ყოველ საღამოს, შეთანხმებისამებრ, დარეკავდა, დედა ელაპარაკებოდა, მერე ნახევარი საათით თავის ოთახში ჩაიკეტებოდა და ტიროდა.

– ბოლო დროს სულ გვიანობამდე მუშაობ. თითქმის ვეღარ გნახულობ.

– შენც სულ ვარჯიშობ. ყოველ შემთხვევაში, კარგად მიხდიან, პატრიკ. დამატებითი დროით მუშაობაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი.

საწინააღმდეგო არგუმენტის პოვნა გაუჭირდებოდა.

ახლა ყველაზე დიდ ხელფასს ვიღებდი, რაც კი ოდესმე მქონია. ორმაგი ოდენობის თანხას ვაძლევდი მშობლებს. ყოველთვე დაგროვებით ანაბარზეც შემქონდა თანხა და მაინც იმაზე მეტი ფული მრჩებოდა, ვიდრე დახარჯვა შემეძლო. ნაწილობრივ იმიტომ, რომ იმდენ ხანს ვმუშაობდი, გრანტა ჰაუსიდან როცა გამოვდიოდი, ყველაფერი დაკეტილი იყო. კიდევ იმიტომაც, რომ ფულის დახარჯვა დიდად არაფერში მინდებოდა. თავისუფალ დროს ბიბლიოთეკაში მივდიოდი და ინტერნეტით საინტერესო ინფორმაციას ვეძებდი. კომპიუტერმა წინ მთელი სამყარო გადამიშალა და ნაბიჯ-ნაბიჯ ჩემთვის მისაწვდომი გახადა. ეს კი სირინოზის მაცდუნებელ და შემთრევ სიმღერას უდრიდა.

ყველაფერი წერილით დაიწყო, რომელიც მადლობის ნიშნად მივიღე. კონცერტიდან რამდენიმე დღის შემდეგ უილს ვუთხარი, რომ კარგი იქნებოდა, მისი მეგობარი მევიოლინესთვის წერილი გაგვეგზავნა და მადლობა გადაგვეხადა.

– გზად ლამაზი ღია ბარათი ვიყიდე, – ვუთხარი მე, – მიკარნახეთ, რისი თქმაც გინდათ და მე დავწერ. ჩემი საუკეთესო კალამიც თან მაქვს.

– არაა საჭირო.

– რა?

– კარგად გაიგეთ, რაც.

– არაა საჭირო? იმ კაცმა საუკეთესო ადგილებზე დასაჯდომი ბილეთები გვაჩუქა. თვითონაც თქვით, რომ ფანტასტიკური კონცერტი იყო. მადლობა რაღა გახდა?!

უილს ყბა გაშეშებოდა და ხმას არ მცემდა.

კალამი დავდე.

– ისე მიეჩვიეთ სხვებისგან ყველაფრის გაუნძრევლად მიღებას, რომ გგონიათ, თქვენთან ყველა ვალდებულია?

– არ გესმით, კლარკ, რამხელა იმედგაცრუებისა და უმწეობის განცდაა, როცა ვიღაც შენს სიტყვებს შენ მაგივრად წერს. და ეს ბოლოში მიწერილი ფრაზა... „ამისა და ამის სახელით“... უბრალოდ სასაცილოა.

– ჰო? ყოველ შემთხვევაში, ეგ მაინც სჯობს დიდ, მსუქან და მრავლისმეტყველ დუმილს, – ჩავიბუზღუნე გაბრაზებულმა, – მე მაინც გადავუხდი მადლობას. საერთოდ არ ვახსენებ თქვენს სახელს. გინდათ და იყავით ეგოისტი, უმადური ტრაკი.

ბარათი დავწერე და ფოსტით გავგზავნე. ხმა ამაზე მეტად აღარ ამომიღია, მაგრამ იმ საღამოს, როცა უილის სიტყვები ჯერ კიდევ ჩამესმოდა ყურში, სამსახურიდან ბიბლიოთეკისკენ გადავუხვიე. ვეძებდი, არსებობდა თუ არა რაიმე მოწყობილობა, რომლის გამოყენებითაც უილი თავად შეძლებდაყველაფრის დაწერას, რასაც მოინდომებდა. უკვე ერთ საათში სამი არჩევანი მქონდა – ხმის ამომცნობი პროგრამა, კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც თვალის დახამხამებაზე რეაგირებდა და მესამე, რაც ადრე ჩემმა დამაც ახსენა – ჯოხისებრი შუბლზე დასამაგრებელი მოწყობილობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, თავზე დასამაგრებელი ვარიანტი სასაცილოდ აიგდო, მაგრამ ბოლოს მაინც დათმო და აღიარა, რომ ხმის ამომცნობი პროგრამა შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო. ერთ კვირაში, ნათანის დახმარებით, პროგრამა კომპიუტერზე დავაინსტალირეთ. კომპიუტერის სპეციალური სადგამი ეტლზე დავუმაგრეთ, რომ

მოხერხებულად ესარგებლა. ახლა უკვე აღარ იყო სხვებზე დამოკიდებული, რომ ვინმეს მის მაგივრად ტექსტი აეკრიფა. თავიდან თითქოს ერიდებოდა, მაგრამ მერე, რაც ვურჩიე, რომ ყველაფრის წერა დაეწყო სიტყვებით, „მის კლარკ, ჩაიწერეთ, რომ...“, უკვე თამამად დაიწყო პროგრამით სარგებლობა.

მისის ტრეინორიც კი ვერაფერს მისაყვედურებდა.

– თუ კიდევ რამეს აღმოაჩენთ, რაც უილს გამოადგება, გაგვაგებინეთ, – მითხრა ისეთი მომუწული ტუჩებით, თითქოს, მაინც უჭირდა დაჯერება, რომ ეს, შესაძლოა, ერთმნიშვნელოვნად სასარგებლო რამ ყოფილიყო.

სამი დღის შემდეგ, სამსახურში წასასვლელად სახლიდან რომ გამოვედი, ფოსტალიონმა წერილი გადმომცა. ავტობუსში გავხსენი. ვიფიქრე, რომ რომელიმე შორეული ნათესავისგან დაბადების დღის ნაადრევი მოლოცვა იქნებოდა. კონვერტში ნაბეჭდი ფურცელი იდო:

„ძვირფასო კლარკ,

გიგზავნით წერილს ნიშნად იმისა, რომ მთლად უმადური და ეგოისტი ტრაკი არ ვარ და თქვენს ძალისხმევას ძალიან ვაფასებ.

გმადლობთ,

უილი“

ისე გადავიხარხარე, რომ ავტობუსის მძღოლმა გამომძახა, ლატარეაში ხომ არაფერი მოიგეო.

* * *

კოლოფივით ოთახში გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ, სადაც ტანსაცმლის ერთი ნახევარი გარეთ მეყარა, მეორე ნახევარი კი სხვა ოთახების კარადებში, ტრინას ოთახი სადედოფლო აპარტამენტად მეჩვენებოდა. ვერ დამეჯერებინა, საწოლში რომ ვიწექი, აქეთ-იქით გაშვერილი ხელებით კი ოთახის ორ მოპირდაპირე კედელს არ ვეხებოდი. ვნებივრობდი და თავისუფლებით ვტკბებოდი. საოჯახო ნივთების მაღაზიაში წავედი, საღებავი და ახალი ფარდები ვიყიდე, საწოლისთვის ახალი გადასაფარებელიც და მასალა თაროებისთვის, რომელიც მე თვითონ ავაწყე. იმიტომ კი არა, რომ დურგლობა მეხერხა, უბრალოდ მაინტერესებდა, თუ შევძლებდი.

ამ ყველაფრის მოტანიდან მეორე დღესვე დავიწყე ოთახის გაღებვა. სამსახურიდან რომ მოვდიოდი, ღამით თითო საათს ვმუშაობდი და კვირის ბოლოს, როცა დავასრულე, მამაჩემიც კი იძულებული გახდა, ეღიარებინა, ყველაფერი რომ კარგად გამომივიდა. ჩემს თაროებს მიაჩერდა, ფარდები, რომლებიც თავადვე დავკიდე, გაარხია და მხარზე ხელი დამადო.

– ყოჩაღ, ლუ, თურმე, როგორ შეგძლებია.

ახალი საბანი ვიყიდე, იატაკზე პატარა ხალიჩა დავაგე და უზარმაზარი ბალიშებიც მოვიტანე – იქნებ, ვინმეს შემოევლო და მოსვენება ნდომებოდა. ოღონდ, უნდა ითქვას, რომ

არავის შემოუვლია. კალენდარი ახლა ახალნაყიდ კარზე ეკიდა. ჩემ გარდა ვერავინ ხედავდა და კიდევაც რომ დაენახა ვინმეს, მაინც ვერაფერს მიხვდებოდა.

ყოველდღე, სამსახურში რომ მივდიოდი, ვფიქრობდი ადგილებზე, სადაც უილის წაყვანა შემეძლო. შორეული გეგმები არ მქონდა. ყოველდღიურად ვფიქრობდი და ვგეგმავდი მის გარეთ გაყვანას და ხალისიანი განწყობის შენარჩუნებას. იყო დღეები, როცა კიდურები ეწვოდა, ან როცა ინფექცია შეეჭრებოდა და სიცხიანი, გასაცოდავებული იწვა საწოლში, ეს ყველაზე მძიმე იყო. მაგრამ კარგ დღეებში, გაზაფხულის მზის ქვეშ, მისი რამდენჯერმე გასეირნება მაინც მოვახერხე. ახლა ვიცოდი, რომ ერთ-ერთი, რაც უილს ყველაზე მეტად სძაგდა ამ ქვეყანაზე, უცხო ადამიანებისგან გამოვლენილი სიბრალული იყო. ამიტომ შემოგარენში ლამაზ ადგილებს ვპოულობდი და მიმყავდა. დაახლოებით, ერთი საათი მაინც ვისხედით სიმშვიდესა და სიმარტოვეში. ვაწყობდი პიკნიკებს, ვისხედით გაშლილი მინდვრების კიდეებზე და სახეს ვუშვერდით გაზაფხულის მსუბუქ და სურნელოვან სიოს, უილის ფლიგელისგან შორს.

– ჩემს შეყვარებულს თქვენი გაცნობა უნდა, – ვუთხარი ერთ შუადღეს, როცა ყველისა და მჟავე კიტრის სენდვიჩს ლუკმა-ლუკმა ვუნაწევრებდი.

ქალაქიდან რამდენიმე მილის დაშორებით ვიყავით, გორაზე ავსულიყავით და ხეობის გადაღმა ციხე-სიმაგრეს ვუყურებდით, რომელიც ჩვენგან ცხვარშეფენილი მდელოებით იყო დაშორებული.

– რატომ?

– უნდა, რომ იცოდეს, მთელ საღამოებს გვიანობამდე ვისთან ერთად ვატარებ.

შევამჩნიე, ჩემმა ნათქვამმა გაამხიარულა.

– ესე იგი, მორბენალი.

– ჩემს მშობლებსაც უნდათ.

– ცოტა არ იყოს და ვნერვიულობ, როცა გოგო მეუბნება, რომ მისი მშობლები უნდა გავიცნო. მართლა, როგორ არის დედათქვენი?

– ისევ ისე.

– მამათქვენის სამსახურზე ახალი ისმის რამე?

– არა. ყოველ კვირას ეუბნებიან, რომ, აი, ახლა დამთავრდება ყველაფერი, აი ახლაო... მოკლედ, მთხოვეს, რომ პარასკევს, ჩემს საიუბილეოდ მოწყობილ სადილზე დამეპატიჟეთ. მხოლოდ უახლოესი ადამიანები იქნებიან, შინაურულად... მაგრამ ეგ არაფერი... ვუთხარი, რომ წამოსვლას მაინც არ მოინდომებდით.

– ვითომ რატომ არ მოვინდომებდი?

– უცხო ადამიანებში ყოფნა გძულთ. ვერ იტანთ სხვების თანდასწრებით ჭამას და ჩემი შეყვარებულის სახელის გაგონებაც არ გინდათ. რა ძნელი მისახვედრია.

პროვოკაციაზე წამოვაგე. საუკეთესო გზა, რომ უილი რამეზე დაგეთანხმებინათ, იყო იმის თქმა, რომ კარგად იცოდით, ამას არ გააკეთებდა. მის ჯიუტ, წინააღმდეგობის გაწევის სურვილით შეპყრობილ მეს ამის დაშვება არ შეეძლო.

რამდენიმე წუთს უხმოდ ილუკმებოდა.

– არა, მე მოვალ თქვენს დაბადების დღეზე. ბოლოს და ბოლოს დედათქვენსაც საქმე გაუჩნდება, სხვა თუ არაფერი.

– მართლა? ღმერთო ჩემო. რომ ვეტყვი, ამ საღამოსვე დაიწყებს იატაკის ხეხვასა და მტვერის წმენდას.

– დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი ბიოლოგიური დედაა? რაღაც გენეტიკური მსგავსება ხომ უნდა არსებობდეს. კლარკ, სენდვიჩი, თუ შეიძლება. და ცოტა მჟავე კიტრი კიდევ დაუმატეთ.

სინამდვილეში, მხოლოდ სანახევროდ ვხუმრობდი. იმის გააზრებაზე, რომ კვადრიპლეგიის მქონე ადამიანისთვის უნდა ემასპინძლა, დედაჩემი ერთიანად აკანკალდა. ხელები ჯერ ლოყებზე იტკიცა, მერე სერვანტში ჭურჭლის გადალაგება გადმოლაგებას მიჰყო ხელი, თითქოს, რამდენიმე წუთში უილი უკვე აქ იქნებოდა.

– ტუალეტში შესვლა რომ მოუნდეს? პირველ სართულზე სააბაზანო არ გვაქვს. არა მგონია, რომ მამაშენმა მისი აყვანა შეძლოს. მეც დავეხმარებოდი, მაგრამ... ხელი სად მოვკიდო, როგორ მოვკიდო? პატრიკი არ დაეხმარება?

– დედა, დამიჯერე, ასეთ რამეებზე ნერვიულობა ნამდვილად არ მოგიწევს. მართლა.

– საჭმელი? პიურე უნდა გავუკეთოთ? არის რამე, რაც არ ეჭმევა?

– არა, უბრალოდ დამხმარე სჭირდება, რომ საჭმელი პირში ჩაუდოს.

– მაგას ვინ იზამს?

– მე ვიზამ. დამშვიდდი დედა. სასიამოვნო ადამიანია. აი, ნახავ, მოგეწონება.

ყველაფერი ასე დავგეგმეთ: ნათანი გაუვლიდა უილს და ჩვენთან მოიყვანდა, მერე კი ორ საათში მოაკითხავდა და სახლში წაიყვანდა, საღამოს პროცედურებსაც ის ჩაუტარებდა. დახმარება შევთავაზე, მაგრამ ორივემ დაიჟინა, რომ საკუთარ დაბადების დღეზე მაინც „ეკლებზე არ უნდა მევლო და დამესვენა“. როგორი აშკარა იყო, რომ ჩემს მშობლებს არ იცნობდნენ.

– რვის ნახევარზე სახლის კარი გავაღე და პარმაღზე უილი და ნათანი დავინახე. უილს პერანგი და პიჯაკი ეცვა. არ ვიცოდი, უნდა გამხარებოდა, რომ მოინდომა და გამოეწყო, თუ პირიქით, მწყენოდა, რადგან მთელი საღამო დედაჩემი იქოთქოთებდა და ინერვიულებდა, რომ სტუმარს სათანადოდ ჩაცმული არ დახვდა.

– სალამი.

უკან მამაჩემიც მომყვა.

– აბა, როგორი პანდუსია, ბიჭებო? – მთელი შუადღე ხის პორტატული პანდუსის კეთებას მოანდომა სახლში შემოსასვლელი საფეხურებისთვის.

ნათანმა უილის ეტლი პანდუსზე ფრთხილად შეაყენა და სახლში შემოვიდნენ.

– კარგია, – თქვა ნათანმა, როგორც კი მათ უკან კარი მივხურე, – ძალიან კარგიც კი. ბევრად უარესი პანდუსები მინახავს საავადმყოფოებში.

– ბერნარდ კლარკი, – მამაჩემმა ნათანს ხელი ჩამოართვა. უილსაც გაუწოდა. იმავე წამს გააცნობიერება და დარცხვენილა ხელი ჩასწია, – ბერნარდი. უკაცრავად, მე... არ ვიცი, როგორ მოგესალმოთ... არ შემიძლია, ჩამოგართვათ... – ენა დაება მამას.

– რევერანსიც საკმარისია.

მამა უილს მიაჩერდა და როცა მიხვდა, რომ იხუმრა, გულზე მოეშვა, ხმამაღლა გადაიხარხარა და უილს მხარზე ხელი მოუთათუნა.

– ჰაჰ! რევერანსი! კარგი იყო. ჰაჰ.

ამ ეპიზოდმა პირველი ყინული გაალღვო. ნათანი მალევე გამოგვემშვიდობა და თვალი ჩამიკრა. უილი სამზარეულოში შევიყვანე. დედას ხელში ქვაბი ეჭირა და ხელის ჩამორთმევის უხერხულობისგან ამან იხსნა.

– დედა, გაიცანი, ეს უილია. უილ, ჯოზეფინა.

– ჯოზი დამიძახეთ, – შესცინა დედაჩემმა. იდაყვებამდე სამზარეულოს ხელთათმანები ეცვა, – მიხარია, რომ როგორც იქნა, გაგიცანით, უილ.

– ჩემთვისაც სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, – თქვა უილმა, – უკაცრავად, რომ ხელი შეგიშალეთ.

დედამ ქვაბი დადო და თმაზე ხელი გადაისვა. დედაჩემის შემთხვევაში ეს ყოველთვის კარგის ნიშანი იყო, მაგრამ ამჯერად აჯობებდა, რომ ჯერ ხელთათმანი მოეძრო.

– უკაცრავად, ხორცს ვწვავ და... ყველაფერი დროულად უნდა მოვასწრო. თვითონაც იცით, როგორ ხდება...

– არადა, არა, – უპასუხა უილმა, – დიდი კულინარი მე არ ვარ, მაგრამ კარგი საჭმელი მიყვარს. ამიტომაც, ერთი სული მქონდა, სანამ აქ მოვიდოდი.

– აბა... – მამამ მაცივარი გამოაღო, – რას დალევთ, უილ? სპეციალური ლუდის... კათხა ხომ არ გაქვთ?

ვუთხარი, თქვენს ადგილზე მამაჩემი რომ ყოფილიყო, პირველ რიგში ლუდის კათხის ადაპტირებაზე იზრუნებდა, სანამ ეტლში ჩაჯდებოდა-მეთქი.

– აბა რა, პრიორიტეტები სწორად უნდა გადაანაწილო, – თქვა მამამ. უილის ჩანთაში ჩავიხედე და მისი თასი ამოვიღე.

– ლუდი კარგი იქნება. მადლობა.

უილი ლუდს სვამდა, სამზარეულოში ვიდექით და უცებ, თითქოს, ახლა დავინახე ჩვენი პატარა, ღარიბული სახლი, 80-იანი წლების შპალერითა და სამზარეულოს ჩაზნექილი განჯინებით. უილის სახლი ელეგანტურად იყო მოწყობილი, სადად, თავისუფლად და გემოვნებით. ჩვენს სახლში ნივთების ოთხმოცდაათი პროცენტი იმ მაღაზიებიდან გამოტანილს ჰგავდა, ყველაფერი რომ ერთი ფუნტი ღირს. კედლებზე ყველა თავისუფალი ადგილი ტომასის ნახატებს ეთმობოდა. შეიძლება, მიაქცია ყურადღება, შეიძლება – არც. ყოველ შემთხვევაში, უილს არაფერი უთქვამს. მან და მამაჩემმა უცებ გამონახეს საერთო ენა და, რა თქმა უნდა, მთავარი სასაუბრო თემა ჩემი დაუდევრობა გახდა. სულაც არ მწყენია. ორივე ხალისიანი ჩანდა და ეს მახარებდა.

– იცით, სახლის წინ საფოსტო ყუთს დაეჯახა და მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა, რომ ეს საფოსტო ყუთის ბრალი იყო.

– ის რომ განახათ, მანქანიდან პანდუსს როგორ დაუშვებს ხოლმე. ასე მგონია, მანქანიდან კი არა, მთის წვერიდან ვეშვები.

მამას ხმამაღალი სიცილი წასკდა.

ახითხითებულები დავტოვე და ოთახიდან გამოვედი. დედა აფორიაქებული გამომყვა. ჭიქები მაგიდაზე დაალაგა და საათს ახედა.

– პატრიკი სად არის?

– პირდაპირ ვარჯიშიდან მოვა, – ვუთხარი მე, – ალბათ, შეყოვნდა.

– შენი დაბადების დღისთვის მაინც რომ გადაედო, არ შეიძლებოდა? ქათმის ხორცი ისეთი წვნიანი აღარ იქნება, კიდევ თუ გავაჩერეთ.

– დედა, ყველაფერი კარგად იქნება.

ვადროვე, რომ ლანგარი დაედო. ხელები მოვხვიე და მაგრად ჩავეხუტე. შფოთვისგან გახევებულიყო. უცბად, რატომღაც, შემებრალა. ჩემი დედობა ადვილი არ იქნებოდა.

– მართლა, ყველაფერი კარგად იქნება. აი, ნახავ.

თავიდან მომიცილა, თავზე მაკოცა და ხელები წინსაფარზე შეიწმინდა.

– ნეტავ, შენი დაც აქ იყოს. მის გარეშე რომ ვზეიმობთ, გული მეთანაღრება.

მე არაფერიც არ მეთანაღრებოდა. ამ ერთხელ მაინც, მე რომ ვყოფილიყავი ყურადღების ცენტრში, არაფერი დაშავდებოდა. ეს, ალბათ, ახლა ბავშვურად ჟღერს, მაგრამ მართლა ასე იყო. მომწონდა, რომ უილი და მამაჩემი ერთად ისხდნენ და ჩემზე იცინოდნენ. მომწონდა, რომ ყველაფერი, რაც სადილისთვის იყო მომზადებული, დაწყებული შემწვარი ქათმიდან, დამთავრებული შოკოლადის მუსით, ჩემი საყვარელი საჭმელები იყო. მომწონდა, რომ შემეძლო ვყოფილიყავი ის, ვინც მინდოდა და ჩემი და არ შემახსენებდა, ვინ ვიყავი სინამდვილეში.

შემოსასვლელიდან ზარის ხმა გაისმა და დედამ ხელები შემოჭკრა.

– აი, მოვიდა. ლუ, მოდი, საჭმელი შემოვიტანოთ.

პატრიკი ვარჯიშისგან ჯერ კიდევ აწითლებული იყო.

– დაბადების დღეს გილოცავ, საყვარელო, – მითხრა და საკოცნელად გამოიწია.

გაპარსვის შემდეგ წასასმელი კრემისა და დეზოდორანტის სუნი ასდიოდა, თბილი, რბილი და ახლად შხაპმიღებული კანი ჰქონდა.

– შემოდი, შემოდი, – თავით პირდაპირ მისაღები ოთახისკენ მივანიშნე, – თორემ დედაჩემი უკვე ეკლებზე ზის, რომ დაწყებას ვაგვიანებთ.

– ოჰ... – საათზე დაიხედა პატრიკმა, – მაპატიე, დროის შეგრძნება დამეკარგა.

– მაგრამ არა შენი დროის.

– რა?

– არაფერი.

მამას მისაღებ ოთახში დიდი მაგიდა შემოეტანა. ასევე, ჩემი დაჟინებით, ერთ დივანს ადგილი უცვალა, რომ უილს ოთახში დაუბრკოლებლად შესძლებოდა შემოსვლა. უილი ეტლით მოთავსდა იმ ადგილზე, სადაც მივუთითე, მერე კი სკამი ოდნავ მაღლა ასწია, რომ სხვებთან თანაბარ სიმაღლეზე ყოფილიყო. მე მის მარცხნივ დავჯექი, პატრიკი – მოპირდაპირე მხარეს. უილმა, პატრიკმა და ბაბუამ ერთმანეთს მისალმების ნიშნად თავი დაუკრეს. პატრიკი უკვე გაფრთხილებული მყავდა, რომ უილისთვის ჩამოსართმევად ხელი არ გაეწოდებინა. ვგრძნობდი, როგორ სწავლობდა უილი პატრიკს. ვიფიქრე, ნეტავ, ჩემი მშობლების მსგავსად, ამის მოხიბვლასაც თუ ეცდება-მეთქი.

უილმა ჩემკენ თავი გადმოხარა.

– ეტლის საზურგეზე რაღაც მაქვს. სადილზე გამოგვადგება.

გადავიხარე და ჩანთაში რომ ხელი ჩავყავი, ლორენპერიეს შამპანურის ბოთლი შემრჩა.

– დაბადების დღის აღნიშვნას შამპანური უხდება, – მითხრა მან.

– აბა, შეხედეთ, – წამოიძახა დედაჩემმა, როცა თეფშები შემოიტანა, – რატომ წუხდებოდით, უილ... მაგრამ შამპანურის ბოკლები რომ არ გვაქვს?

– რაც არის, ესეც სრულიად საკმარისია.

– მე გავხსნი, – წამოდგა პატრიკი. მავთული შემოხსნა და ცერა თითები საცობს მიაბჯინა. უილს თვალს არ აშორებდა, თითქოს ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც ელოდა.

– ასე, შეიძლება, ამოასხას, – შენიშნა უილმა და ეტლის სახელურზე ხელის მტევანი ოდნავ წამოსწია, – აღმოვაჩინე, რომ თუ საცობს მყარად დაიჭერთ და ბოთლს დაატრიალებთ, ასე უფრო უსაფრთხო გახსნით.

– აგერ, იცის კაცმა, რასაც ამბობს, – თქვა მამამ, – აბა, პატრიკ, ბოთლი უნდა დაატრიალოს, არა? რას არ გაიგებ, როგორ წარმოვიდგენდი.

– მეც ვიცოდი, – თქვა პატრიკმა, – ზუსტად ასე ვაპირებდი.

შამპნური უსაფრთხოდ გავხსენით და ჩამოვასხით, ყველამ ჩემი სადღეგრძელო შესვა. ბაბუამაც რაღაც წაიბუტბუტა, როგორც გავარჩიე, მომისმინეო. ფეხზე წამოვდექი და თავი დავუკარი. ყვითელი, წელში გამოყვანილი, მოკლე კაბა მეცვა 60-იანი წლების სტილში. ესეც მეორეული ტანსაცმლის მაღაზიაში ვიყიდე.

გამყიდველმა მითხრა „ბიბას“ ფირმააო, მაგრამ ეტიკეტი ვიღაცას მოეჭრა.

– დაე, ეს იყოს წელი, როცა ლუ, ბოლოს და ბოლოს გაიზრდება, – თქვა მამამ, – მინდოდა მეთქვა, ცხოვრებას აიწყობს-მეთქი, მაგრამ, მგონი, უკვე აიწყო. უნდა გითხრათ, უილ, მას შემდეგ, რაც თქვენთან დაიწყო მუშაობა, თავის თავს უკვე აღარ ჰგავს.

– ძალიან ამაყები ვართ, – დაამატა დედაჩემმა, – და დიდ მადლობას გიხდით, რომ ლუ სამსახურში აიყვანეთ.

– მადლობა მე უნდა ვთქვა, – აღნიშნა უილმა და გადმომხედა.

– ლუს გაუმარჯობს, – ჭიქა ხელში ასწია მამამ, – და მის უწყვეტ წარმატებას.

– გაუმარჯოთ იმ ოჯახის წევრებსაც, ვინც ახლა აქ არ არიან, – თქვა დედამ.

– უყურე შენ! – წამოვიძახე მე, – დაბადების დღე უფრო ხშირად უნდა გადავიხადო. თორემ ისე, ოღონდ მე დამცინოთ, მეტი არაფერი გინდათ ხოლმე.

საუბარში ყველა ჩაერთო. მამა კიდევ ერთ ამბავს მოჰყვა ჩემ შესახებ და დედასთან ერთად ბევრი იცინა. ისეთი სასიამოვნო იყო მათი ყურება, როცა იცინოდნენ. ბოლო კვირებში მამა ძალიან დათრგუნული იყო, დედასაც სულ თვალები ამოღამებოდა და შეშფოთებული ჩანდა. თითქოს, გონებით სულ სხვაგან ჰქროდა. მინდოდა გამეხანგრძლივებინა ასეთი მომენტები, როცა ახერხებდნენ და პრობლემებს ივიწყებდნენ, ხუმრობდნენ და ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ. უცებ მივხვდი, რომ ახლა ტომასის დანახვა გამახარებდა. ტრინასიც კი.

ფიქრებში ისე ჩავიძირე, რომ პატრიკის გამომეტყველება უცებ ვერც შევამჩნიე. ბაბუას რაღაცას ვუყვებოდი, თან შებოლილი ორაგული მეჭირა და თითებით უილს ვაჭმევდი. ეს

ისეთი ბუნებრივი და ჩვეულებრივი ნაწილი გახდა ჩემი ყოველდღიურობის, რომ მსგავსი ქმედებების ინტიმურობა მხოლოდ მაშინღა გავაცნობიერე, როცა პატრიკის გაოგნებული მზერა დავინახე.

უილმა მამას რაღაც უთხრა, მე პატრიკს მივაჩერდი და თვალს ვუბრიალებდი, რომ ასე ყურება შეეწყვიტა. მის მარცხნივ თეფშს ბაბუა ჩასჩერებოდა და მთელი მონდომებით აქუცმაცებდა საჭმელს. ამას სადილობის ხმაურს ვეძახდით – ჩანგალს არაკუნებდა და სიამოვნებისგან კრუტუნებდა.

– გემრიელი ორაგულია, – უთხრა უილმა დედაჩემს, – საოცარი გემო აქვს.

– ყოველდღე ამას ნამდვილად არ ვამზადებთ, – უპასუხა დედაჩემმა ღიმილით, – მაგრამ გვინდოდა, რომ დღევანდელი დღე განსაკუთრებული ყოფილიყო.

– ნუ აშტერდები, – ტუჩების მოძრაობით, ხმის ამოუღებლად ვუთხარი პატრიკს.

როგორც იქნა, მიხვდა, რა მინდოდა და გვერდზე გაიხედა. გააფთრებული ჩანდა. უილს კიდევ ერთი ნაჭერი გადმოვუღე და პურიც, როცა დავინახე, რომ გახედა. ამ მომენტში მივხვდი, რომ იმდენად მგრძნობიარე გავხდი უილის საჭიროებების მიმართ, ზოგჯერ შეხედვაც არ მინდოდა, რომ მივმხვდარიყავი, რა სურდა.

– პატრიკ, – თქვა უილმა, შესაძლოა, ჩემი დისკომფორტი იგრძნო და მაგიტომაც, – ლუისა ამბობს, რომ პერსონალური ტრენერი ხართ. ეგ რას მოიცავს?

ნეტავ არ ეკითხა. პატრიკმა გუდას პირი მოხსნა და აღარ გაჩერდა, გადმოალაგა და გადმოალაგა, რომ მთავარი მოტივაციაა, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. დაწვრილებით განიხილა თავისი სავარჯიშო პროგრამა და განრიგი ვიკინგების შეჯიბრებისთვის. ამის მოსმენას შეჩვეული კი ვიყავი, მაგრამ ახლა, როცა გვერდით უილი მეჯდა, ამაზე უადგილოს ვერაფერს მოვისმენდი. არ შეიძლებოდა, რაღაც ზოგადი ფრაზით ეპასუხა და ამით დაემთავრებინა?

– სინამდვილეში, როცა ლუმ თქვა, რომ თქვენც მოხვიდოდით, გადავწყვიტე ჩემი წიგნები გადამეთვალიერებინა და თქვენთვის ფიზიოთერაპიული რჩევები მომეცა.

სასულეში კინაღამ გადამცდა.

– ამას სპეციალისტის ცოდნა უნდა, პატრიკ. არა მგონია, რომ შენ იცოდე, რაც უილს სჭირდება.

– მე სწორედაც რომ სპეციალისტი ვარ. სპორტულ ტრავმებთან მაქვს საქმე. სამედიცინო კურსებიც გავლილი მაქვს.

– ეს კოჭის დაბუჟება ხომ არ გგონია, პატ! გეყოფა!

– ორიოდე წლის წინ ერთ კაცთან ერთად ვმუშაობდი. პარაპლეგიის მქონე კლიენტი ჰყავდა. ის კაცი თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა. ტრიატლონებში იღებს მონაწილეობას და რას აღარ აკეთებს.

– საოცარია, – თქვა დედაჩემმა.

– მან მითხრა ზუსტად, კანადელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ კუნთები შეიძლება ისე გავწვრთნათ, რომ მოძრაობები დაიმახსოვრონ. თუ საკმარისად ავარჯიშებთ ყოველდღე, ტვინის სინაპსივითაა, – კუნთს ეს ამახსოვრდება. სანაძლეოს ჩამოვალ, მე და თქვენ რომ

მართლა სერიოზულ რეჟიმში გვემუშავა, განსხვავებას მალე დაინახავდით. ბოლოს და ბოლოს, ლუმაც მითხრა, რომ ადრე საკმაოდ მოძრავი ტიპი ყოფილხართ.

– პატრიკ, – დავიძახე ხმამაღლა, – შენ ამ საქმეში არაფერი გაგეგება.

– მე უბრალოდ მინდოდა, რომ...

– არ არის საჭირო, მართლა.

სუფრასთან სიჩუმე ჩამოვარდა. მამამ ჩაახველა და ბოდიში მოიხადა. ბაბუამ შეშფოთებით მოავლო თვალი მაგიდას.

დედა პურის შემოთავაზებას აპირებდა თითქოს, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა. როდესაც პატრიკმა ისევ დაილაპარაკა, მის ტონში იგრძნობდით, რომ სიტყვებს ნაძალადევად ამბობდა.

– ეს უბრალოდ კვლევაა, რაც ვიფიქრე, სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ ამაზე ხმას აღარ ამოვიღებ.

უილმა შეხედა და გაუღიმა. არაფერი ეწერა სახეზე თავაზიანობის გარდა.

– აუცილებლად გავითვალისწინებ.

წამოვდექი, რომ სუფთა თეფშები შემომეტანა. სინამდვილეში კი, ოთახიდან გასვლა მინდოდა. მაგრამ დედამ გამაჩერა, შენ იჯექიო.

– დღეს შენი დაბადების დღეა, – ისე მითხრა, თითქოს სხვა დროს მისცემდა ვინმეს ნებას, საახლში რამე გაეკეთებინა, – ბერნარდ, მგონი, დროა, ქათამი შემოვიტანოთ.

სუფრაზე სიმშვიდემ დაისადგურა. ჩემი მშობლები უილით აშკარად მოხიბლულები იყვნენ. პატრიკი – ნაკლებად. მას და უილს სიტყვა აღარ უთქვამთ ერთმანეთისთვის. როცა დედამ თეფშებზე ქათმის გარნირად კარტოფილი დაგვიდო, მამამ კი ტრადიციულად სცადა, რომ კარტოფილი კიდევ მოეპარა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და ღელვა შევწყვიტე. მამა ათას კითხვას უსვამდა უილს მისი ძველი ცხოვრების შესახებ. ავარიის შესახებაც ჰკითხა. თუმცა, უილი თავს იმდენად კომფორტულად გრძნობდა, გულღიად და გულწრფელად პასუხობდა. ისეთი რამეებიც კი მოვისმინე, რაც მანამდე არ ვიცოდი. მაგალითად, როგორც ჩანს, თანამდებობრივად მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა, ეს აშკარა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა, ხაზი არ გაესვა და თავისი საქმიანობა უმნიშვნელოდ წარმოეჩინა. ყიდულობდა და ყიდდა კომპანიებს და ცხადია, აქედან სარგებელიც რჩებოდა. რამდენიმე მცდელობა დასჭირდა მამას, რომ დაეტყუა, უილისეული გაგებით, სარგებელი ექვს და შვიდნულიანი რიცხვებით თუ იზომებოდა. უილს ვუყურებდი და ვცდილობდი, ერთმანეთთან დამეკავშირებინა მამაკაცი, რომელსაც მე ვიცნობდი და ის უგულო ფინანსისტი, რომელზეც ახლა ყვებოდა. მამამ იმ კომპანიის შესახებ ჰკითხა, რომელიც ავეჯის ქარხნის შესყიდვას აპირებდა. უილმა თითქოს ბოდიშს უხდისო, ისე დაუქნია თავი და უპასუხა, რომ ამ კომპანიის შესახებ სმენოდა, რომ მათ ადგილას, ისიც ასე მოიქცეოდა. მისი მონაყოლი კარგს არაფერს უქადდა მამას მომავალს ავეჯის ქარხანაში.

დედა უილს ტკბილად ეჭუკჭუკებოდა და სულ თავს ევლებოდა. მისი ღიმილით მივხვდი, რომ რაღაც მომენტში, სადილობის რომელიღაც ეტაპზე, უილი უბრალოდ ჭკვიან

ახალგაზრდა მამაკაცად იქცა, რომელიც მის მიერ მომზადებულ კერძს მიირთმევდა. რა გასაკვირია, რომ პატრიკი გაცოფებული იყო.

– დაბადების დღის ტორტი? – იკითხა ბაბუამ, როგორც კი დედამ თეფშების ალაგება დაიწყო.

ბაბუამ ეს ისე გარკვევით, ისე მოულოდნელად თქვა, რომ მე და მამა გაოგნებულები მივაჩერდით ერთმანეთს. სუფრასთან ყველა გაჩუმდა.

– არა, არა, ბაბუ, – ავდექი, ბაბუასთან მივედი და ვაკოცე, – გვაპატიე, ტორტი არ გვაქვს, მაგრამ სამაგიეროდ, შოკოლადის მუსი გვაქვს. დარწმუნებული ვარ, მოგეწონება.

თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. დედაჩემი სიხარულისგან ბრწყინავდა. ამაზე დიდ საჩუქარს დედას ვერცერთი ჩვენგანი გაუკეთებდა.

სუფრაზე მუსი მოიტანეს და მასთან ერთად დიდი, ოთხკუთხედის ფორმის საჩუქარი, დაახლოებით ტელეფონის აპარატის ზომის, რომელიც ფერად ქაღალდში იყო გადახვეული.

– საჩუქრების დრო მოვიდა? – იკითხა პატრიკმა, – აი, ჩემიც, – გამიღიმა და თავისი საჩუქარიც მაგიდის შუაში დადო.

იძულებით გავუღიმე. კამათისთვის შესაფერისი დრო და ადგილი ნამდვილად არ იყო.

– მიდი, მიდი, გახსენი, – მითხრა მამამ.

მშობლების საჩუქარი პირველი გავხსენი, ქაღალდი ფრთხილად შემოვაცალე, რომ არ გამეხია. ფოტოების ალბომი იყო. ყოველ გვერდზე ჩემი ფოტო ჩაეკრათ, დაბადებიდან დღემდე, ყოველი წლის. აქ იყო ჩემი ჩვილობის ფოტო, მე და ტრინა სადღესასწაულო სამოსში და ფუმფულა ლოყებით, ჩემი პირველი დღე სკოლაში, როცა თავზე უამრავი თმის სამაგრი მეკეთა და რამდენიმე ზომით დიდი ტანსაცმელი მეცვა. აქვე იყო არც ისე დიდი ხნის წინანდელი ჩემი და პატრიკის ფოტო, რომლის გადაღების მომენტშიც პატრიკს ვლანძღავდი სინამდვილეში. კიდევ ერთი ფოტო, სადაც რუხი ქვედაბოლო მეცვა და ჩემი პირველი დღე იყო ახალ სამსახურში. შიგადაშიგ ჩაკრული იყო ტომასის ნახატებიც, სადაც მთელი ოჯახი დავეხატეთ, ჩემი წერილები სასკოლო ბანაკებიდან და ექსკურსიებიდან, რომელიც დედას შეენახა და სადაც ბავშვური კალიგრაფიით ვუყვებოდი პლაჟზე გატარებული დროის შესახებ, დაკარგულ ნაყინზე, ქურდბაცაცა გოგოებზე. გადავშალე და შევცბი, როდესაც მომდევნო ფოტოზე დავინახე გოგონა, რომელსაც მუქი, გრძელი, უკან გადავარცხნილი თმა ჰქონდა. მომდევნო გვერდზე გადავშალე.

– შეიძლება ვნახო? – მკითხა უილმა.

– საუკეთესი წელი... არ ყოფილა, – უთხრა დედამ უილს, როცა მის წინ ალბომს ვფურცლავდი, – ყველაფერი კარგად გვაქვს, რა გვიჭირს, მაგრამ ხომ იცით, რა ცხოვრებაც დადგა, – მერე მე მომიბრუნდა, – ერთ დღეს ბაბუა ტელევიზორში ხელნაკეთი ნივთების შესახებ გადაცემას უყურებდა და ვიფიქრე, რომ... არ ვიცი... მნიშვნელოვანი იქნებოდა შენთვის.

– ასეც არის, დედა, – თვალები ცრემლებით ამევსო, – ძალიან მომწონს, დიდი მადლობა.

– ზოგიერთი ფოტო ბაბუამ აარჩია.

– შესანიშნავი საჩუქარია, – თქვა უილმა.

– ძალიან მომწონს, – გავიმეორე ისევ.

დედამ შვებით ამოისუნთქა და მამას უსიტყვოდ გადახედა. ეს იყო, ალბათ, ყველაზე სევდიანი სცენა, რაც კი ოდესმე მინახავს.

– შემდეგი მე ვარ, – პატრიკმა პატარა კოლოფი გამომიცურა მაგიდაზე.

ნელა გავხსენი, წამიერად პანიკამ შემიპყრო, ვაითუ, ნიშნობის ბეჭედი იყო... ამისთვის მზად არ ვიყავი. ჯერ ისიც ძლივს გავიაზრე, რომ საკუთარი საწოლი ოთახი მქონდა. კოლოფი გავხსენი და მუქ ლურჯ ველვეტზე თხელი ოქროს ძეწკვი დავინახე, ზედ დაკიდებული ვარსკვლავის ფორმის კულონით. ძალიან ლამაზი, ნაზი და სრულიად არასაჩემო ნივთი. ასეთი ტიპის სამკაულს არ ვატარებდი და არც არასდროს მიტარებია. ცოტა ხანს დავაკვირდი და თან ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა.

– რა ლამაზია, – ვთქვი ბოლოს. პატრიკი მაგიდაზე გადმოიხარა და ძეწკვი ყელზე შემაბა.

– მიხარია, რომ მოგეწონა, – მითხრა და ტუჩებში მაკოცა. შემიძლია, დავიფიცო, ჩემი მშობლების თვალწინ ასე არასდროს უკოცნია ჩემთვის.

უილი მიყურებდა, სახე მშვიდი და უემოციო ჰქონდა.

– მგონი, დროა, პუდინგი შემოვიტანოთ, – ხელები მოიფშვნიტა მამამ, – თორემ ოთახში ძალიან დაცხა, – საკუთარ ხუმრობაზე თვითონვე გაეცინა. შამპანური მოჰკიდებოდა და უფრო მეტად ხალისიანი გამხდარიყო.

– მეც მაქვს ჩანთაში რაღაც თქვენთვის, – მითხრა უილმა მშვიდად, – ეტლის უკან ჩანთაშია, ნარინჯისფერ შეფუთვაში.

უილის ჩანთიდან საჩუქარი ამოვიღე. დედაჩემი კოვზით ხელში გაშეშდა.

– ლუს საჩუქარი მოუტანეთ, უილ? რა კეთილი და ყურადღებიანი ხართ. ასე არაა, ბერნარდ?

– ნამდვილად.

შესაფუთ ქაღალდზე ჩინური კიმონოები ეხატა. გადავწყვიტე, რომ ქაღალდი შემენახა. შეიძლება ამ ნახატის შთაგონებით მოგვიანებით რამე შემეკერა. ლენტი მოვხსენი და გვერდით გადავდე. საჩუქარს ქაღალდი შემოვაცალე, შიდა შეფუთვაც და თვალებს ვერ ვუჯერებდი, არც მეტი, არც ნაკლები, ასე ნაცნობი და ასე საყვარელი ყვითელი და შავი ზოლები დავინახე. კოლოფიდან ქსოვილი ამოვიღე, ორი წყვილი შავ და ყვითელ ზოლიანი კოლგოტი აღმოჩნდა. ზრდასრული ადამიანის ზომა, გაუმჭვირვალე, ნატურალური ქსოვილის, ისეთი რბილი, რომ თითებს შორის მისრიალებდა.

– არ მჯერა, არ არსებობს! – ვიკივლე და თავშეუკავებელი სიცილი ამიტყდა, – ღმერთოჩემო! სად იშოვეთ?

– სპეციალური შეკვეთა მივეცი. სხვათა შორის, ალბათ, გაგიხარდებათ და ზუსტად ახალი ხმის ამომცნობი პროგრამის საშუალებით გავაკეთე ეს.

– კოლგოტები? – ერთხმად იკითხეს მამამ და პატრიკმა.

– მსოფლიოში საუკეთესო კოლგოტები, – ვთქვი მე.

დედაჩემი თვალებმოჭუტული მიაჩერდა.

– იცი რა, ლუისა, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი კოლგოტები ადრეც გქონდა, პატარა რომ იყავი.

მე და უილმა ერთმანეთს გადავხედეთ.
ისეთი ბედნიერი ვიყავი, სიტყვებით გამოთქმა მიჭირდა.
– ახლავე უნდა ჩავიცვა!
– ღმერთო ჩემო, ახლა მაქს უოლს (მაქს უოლი – ინგლისელი კომიკოსი.) დაემსგავსება ბზიკის კოსტიუმში, – თქვა მამაჩემმა და თავი გადააქნია.
– შეეშვი, ბერნარდ. რაც უნდა, ის ჩაიცვას. თავისი დაბადების დღეა.
ოთახიდან გამოვვარდი და დერეფანშივე ამოვიცვი ჩემი ახალი კოლგოტი. ფეხის თითები ავათამაშე. გული ამოხტომაზე მქონდა. არ მახსოვს, რომელიმე საჩუქარი ოდესმე ასე გამხარებოდა.
ოთახში შევბრუნდი. უილმა გაიღიმა. ბაბუამ ხელის გულები მაგიდაზე დაჭკრა. დედა და მამა საერთოდ ჩაბჟირდნენ სიცილისგან. პატრიკი უხმოდ მიყურებდა.
– არც კი ვიცი, როგორ გითხრა, რა ძალიან გამიხარდა, – ვუთხარი უილს, – მადლობა, მადლობა! – მასთან მივედი და მხარზე ხელი დავადე, – დიდი მადლობა.
– მანდ ბარათიც არის, – მითხრა პასუხად, – მერე, მოგვიანებით გახსენით.

* * *

უილი რომ წასასვლელად გაემზადა, ჩემი მშობლები ისევ დაფაცურდნენ. მამა ნასვამი იყო. დაუსრულებლად უხდიდა უილს მადლობას ჩემი სამსახურში აყვანის გამო და პირობას ართმევდა, რომ კიდევ გვწვეოდა.
– აი, მე თუ სამსახური დავკარგე, თვითონ შემოგივლით და ერთ დღეს ფეხბურთს ვუყუროთ, – უთხრა უილს.
– კარგი აზრია, – დაეთანხმა უილი, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს მინახავს, ფეხბურთის მატჩისთვის ეყურებინოს.
დედამ შოკოლადის მუსი კონტეინერში გადაიტანა, გადაახვია და უილს გაატანა. რაკი ასე მოგეწონა, სახლშიც ისიამოვნებო.
უილის წასვლის მერე, მთელი ერთი საათი აღფრთოვანებულები ლაპარაკობდნენ მასზე. როგორი ჯენტლმენიაო.
უილი პატრიკმაც გამოაცილა, ხელები შარვლის ჯიბეში ჩაეწყო, თითქოს ასე იკავებდა თავს, რომ უილისთვის ხელი ჩამოსართმევად არ გაეწოდებინა. ეს იყო ყველაზე კეთილშობილური დასკვნა, რაც მისი ქცევის შესახებ გამოვიტანე.
– სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, პატრიკ, – უთხრა უილმა, – და გმადლობთ... რჩევებისთვის.
– არაფერს. მე უბრალოდ ჩემს შეყვარებულს მინდა დავეხმარო, რომ სამსახურში კომფორტულად იყოს. სულ ესაა, – უპასუხა პატრიკმა და აშკარად შესამჩნევი მახვილი გააკეთა სიტყვებზე – „ჩემს შეყვარებულს“.
– იღბლიანი კაცი ხართ, პატრიკ, – უთხრა უილმა. ნათანი უკვე მანქანასთან ელოდებოდა, – რბილი და მარჯვე ხელები აქვს – ეს სიტყვები ისე სწრაფად წარმოთქვა და მანქანის კარიც ისე სწრაფად დაიხურა, რომ პატრიკმა ვერც მოასწრო გააზრება, რა უთხრა უილმა.

* * *

– არასდროს გითქვამს, რომ შენ ასუფთავებ.

პატრიკის სახლში მივედით. ახალაშენებულ კორპუსში ქალაქის განაპირას. კორპუსს ტყუილად ეძახდნენ. გვერდით პარკს ესაზღვრებოდა და სულ სამსართულიანი იყო.

– და საერთოდ ეგ რას ნიშნავს. ყველებსაც შენ უწმენდ?

– ყველებს არ ვუწმენდ. დაწყნარდი, – სააბაზანოში სახის გამწმენდი ავიღე, ერთ-ერთი იმ იშვიათ პირად ნივთთაგანი, რისი უფლებაც მქონდა, რომ პატრიკთან დამეტოვებინა. გაცხარებულმა დავიწყე სახიდან მაკიაჟის მოშორება.

– მაგრამ თვითონ ასე თქვა.

– გაღიზიანებდა. მას მერე, რაც ტვინი წაუღე, ადრე მოძრავი კაცი იყავიო, რა გეგონა. არ მიკვირს.

– მაშინ რას უკეთებ? ფაქტია, რომ ჩემთვის ყველაფერი არ გითქვამს.

– ხანდახან ვწმენდ და ვასუფთავებ, მაგრამ მხოლოდ ქვედა საცვლებამდე.

პატრიკმა უხმოდ შემომხედა, მაგრამ მისი მზერა ყველაფერს ამბობდა. როგორც იქნა, გაიხედა. წინდები გაიხადა და სარეცხის კალათაში მოისროლა.

– შენი საქმე ეგ არ არის. სამედიცინო მომსახურება არაო, ხომ გითხრეს. არანაირი ინტიმური საჭიროებები. ამაზე ხაზგასმით ეწერა შენი სამუშაოს აღწერილობაში, – უეცრად რაღაც აზრმა გაუელვა, – შეგიძლია, უჩივლო. ეს იქნება სამართლებრივად გონივრული გადაწყვეტილება. ასე ხდება, როცა შრომის პირობებს შეუთანხმებლად გიცვლიან.

– ნუ სულელობ. ამას მაშინ ვაკეთებ, როცა ნათანს არ შეუძლია. უილისთვის აუტანელია სააგენტოს სრულიად უცხო ადამიანებთან ურთიერთობა. თანაც, უკვე მივეჩვიე. ნამდვილად არ მიქმნის მე ეს პრობლემას.

როგორ უნდა ამეხსნა მისთვის ის, რომ სხვისი სხეული შენთვის ახლობელი და ბოლომდე ნაცნობი ხდება. უილს კათეტერს ისე მარჯვედ ვუცვლიდი, პროფესიონალს შეშურდებოდა, წელზემოთ ღრუბლით ვწმენდდი და ამ დროს საუბარსაც კი არ ვწყვეტდით. მისი ნაიარევებისკენაც კი აღარ გამირბოდა თვალი. არადა იყო დრო, მათი დანახვისას თვალწინ მხოლოდ პოტენციური თვითმკვლელი მედგა. ახლა ეს უბრალოდ უილი იყო. ჭირვეული, ლაღი, ჭკვიანი, სასაცილო უილი, რომელსაც მოსწონდა ჩემთან პროფესორ ჰიგინსის თამაში და ქედმაღლური მზრუნველობა, თითქოს მე ელაიზა დულიტლი ვყოფილიყავი. მისი სხეული მთელი ამ კომპლექტის ერთი ნაწილი იყო მხოლოდ, რომელზეც პერიოდულად უნდა მეზრუნა, შუალედებში, საუბრიდან საუბრამდე. ეს მისი... როგორ ვთქვა, ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი ნაწილი გამხდარიყო.

– ვერ დამიჯერებია... იმ ყველაფრის მერე, რაც ერთად გამოვიარეთ... რამდენი დრო დაგჭირდა, რომ ახლოს მოგეშვი... ახლა კიდევ უცებ ჩნდება სრულიად უცხო ადამიანი, რომელთანაც ისე ახლოს ხარ და მის გვერდით ისეთი ბედნიერი ხარ, რომ...

– არ შეიძლება, რომ ამაზე ახლა არ ვილაპარაკოთ, პატრიკ? ბოლოს და ბოლოს, ჩემი დაბადების დღეა.

– ეს მე არ დამიწყია... მარჯვე ხელებსა და ინტიმზე ლაპარაკი.

– ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ სიმპათურია? – ჩავაცივდი, – მითხარი, ასეა? შენთვის უფრო მარტივი იქნებოდა, რაღაც, არ ვიცი... მოძველებული ბოსტნეულივით მომჩვარული და უშნო ტიპი გენახა?

– ესე იგი, ფიქრობ, რომ სიმპათიურია, არა?

თავზემოთ კაბა ავიძრე. ფრთხილად გავიხადე კოლგოტები. ხასიათი საბოლოოდ გამიფუჭდა.

– წარმოუდგენელია... არ მჯერა, რომ მასზე ასე ეჭვიანობ.

– მასზე სულაც არ ვეჭვიანობ, – მომიგდო გაღიზიანებულმა, – ხეიბარზე როგორ უნდა ვიეჭვიანო?

იმ ღამით პატრიკის სიყვარულის ღირსი გავხდი. უფრო სწორად, შესაძლოა, სიყვარულზე ლაპარაკი არც იყოს სწორი. სექსი გვქონდა, ერთგვარი მარათონი, სადაც მთელი მონდომებით ცდილობდა, საკუთარი ათლეტური სხეულის, ძალისა და ენერგიის დემონსტრირებას. მთელი ოთხი საათი გაგრძელდა ეს ყველაფერი. რომ შესძლებოდა, ალბათ, ჭაღზეც ჩამომკიდებდა. ერთი მხრივ სასიამოვნო იყო, თავს რომ ასე სასურველად ვგრძნობდი. ამდენთვიანი გაუცხოების შემდეგ, მთელი მისი ყურადღება ახლა ჩემზე იყო მომართული. მაგრამ მეორე მხრივ, რომელიღაც ჩემი მე მთელი ამ დროის განმავლობაში გულგრილი იყო და ეჭვობდა, რომ ამ მგზნებარებას ჩემთან არაფერი ჰქონდა საერთო. მალევე მივხვდი, რომ მთელი ეს შოუ პატრიკმა უილის გამო დადგა.

– როგორი იყო? – მომეხვია, როცა ყველაფერს მორჩა და შუბლზე მაკოცა. ოფლიანი კანით ერთმანეთს ვეწებებოდით.

– საოცარი, – ვუთხარი მე.

– მიყვარხარ, ჩემო პატარავ.

ამის შემდეგ, დაკმაყოფილებული და ბედნიერი გადაბრუნდა, თავქვეშ ხელი ამოიდო და რამდენიმე წუთში დაიძინა.

ძილი არ მეკარებოდა. საწოლიდან ავდექი და ჩემი ჩანთის ასაღებად დაბლა ჩავედი. ხელი ჩავყავი, რომ ფლანერი ო'კონორის მოთხრობების კრებული ამომეღო. წიგნს ჩანთიდან კონვერტი აჰმოყვა და ძირს დავარდა.

დავაჩერდი. უილის ბარათი. სუფრასთან არ გავხსენი. გული გამითბა და სასწრაფოდ დავწვდი. ბარათი კონვერტიდან ფრთხილად ამოვიღე. კონვერტში კიდევ ათი ცალი ორმოცდაათფუნტიანი ბანკნოტი იდო. ორჯერ გადავთვალე გაოგნებულმა, რამე ხომ არ მეშლება-მეთქი. ბარათზე კი ეწერა:

„პრემია დაბადების დღისთვის.
არ იუაროთ.
ეს ჩემი კანონიერი მოთხოვნაა.
უილი“

მაისი უცნაური თვე გამოდგა. გაზეთები და სატელევიზიო გადაცემები გაჯერებული იყო თემით, რომელსაც „სიკვდილის უფლებად“ მოიხსენიებდნენ. ქალმა, რომელსაც დეგენერაციული დაავადება ჰქონდა, საკანონმდებლო ცვლილება მოითხოვა, რაც მის ქმარს დაიცავდა, თუ იგი გადაწყვეტდა, რომ, როცა ქალის მდგომარეობა გაუსაძლისი გახდებოდა, მეუღლეს დიგნიტასში გაჰყოლოდა. ახალგაზრდა ფეხბურთელმა მას შემდეგ, რაც მოახერხა მშობლების დარწმუნება, რომ დიგნიტასში თან წაეყვანათ, თავი მოიკლა. საქმეში პოლიცია იყო ჩარეული. ლორდთა პალატაში ამ თემაზე დებატები დანიშნულიყო. ახალი ამბების გამოშვებებს ვუყურებდი, ვუსმენდი სამართლებრივ არგუმენტებს, რაც ჰქონდათ სიცოცხლის მხარდამჭერებს, ვაფასებდი ფილოსოფოსების ნააზრევს, რომლებიც მორალზე მსჯელობდნენ. ჯერჯერობით მაინც ვერ გამეცნობიერებინა, მე თვითონ სად ვიყავი. ეს ყველაფერი ჯერ, თითქოს, უილს არ ეხებოდა.

ამასობაში, გასეირნებების რაოდენობა გავზარდეთ, მანძილიც, რაც ამ გასვლებისას ფლიგელს გვაშორებდა. ვიყავით თეატრში, მორისის ცეკვებიც ვნახეთ (უილი მოცეკვავეების ტრიუკებს გმირულად უყურებდა, მაგრამ სანახაობის ამ იძულებითი ცქერისგან სახე წამოუწითლდა), ვიყავით კონცერტზე ღია ცის ქვეშ, რომელიც შემოგარენში გაიმართა (მუსიკა უფრო უილისეული იყო და ნაკლებად საჩემო), ერთხელ კი კინოშიც წავედით, სადაც ჩემი წინდაუხედავი არჩევანის წყალობით, ვნახეთ ფილმი გოგოზე, რომელსაც მომაკვდინებელი დაავადება სჭირდა.

ვიცოდი, რომ საგაზეთო სტატიებს ისიც ნახულობდა. ახალი პროგრამა რაც დავაყენეთ, კომპიუტერის გამოყენება დაიწყო. ცერა თითის გამოყენებით მაუსის ხმარებას მიეჩვია. მისგან ეს ძალისხმევას მოითხოვდა, მაგრამ ამ გზით მიეცა შესაძლებლობა, რომ ინტერნეტსივრცეში გაზეთები ეკითხა. ერთ დილით, ჩაი რომ მივუტანე, დავინახე, ფეხურთელ ბიჭზე კითხულობდა სტატიას. დეტალურად იყო გაანალიზებული ის გზა, რაც მან გაიარა სიცოცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. როგორც კი მიხვდა, რომ ზურგს უკან ვედექი, ეკრანი გათიშა. შეიძლება წვრილმანი იყო, მაგრამ ყელში ბურთი რომ მომებჯინა, ნახევარ საათს აღარ გაუვლია.

ბიბლიოთეკაში წავედი და იგივე სტატია მოვძებნე. გაზეთების კითხვა დავიწყე. ვეძებდი ისეთ მასალას, სადაც საკითხს სიღრმისეულად განიხილავდნენ. მივხვდი, რომ ინფორმაცია მხოლოდ მშრალი, გამოშიგნული ფაქტების სახით ყოველთვის ყველაზე ღირებული ალტერნატივა არ იყო.

ფეხბურთელის მშობლებს დაუნდობლად ამათრახებდა ბულვარული პრესა. როგორ დაუშვეს შვილის სიკვდილი?! – იწერებოდა მყვირალა სათაურები. თავს ვერაფერს ვუხერხებდი, მეც იმავეს ვგრძნობდი. ლეო მაკინერნი სულ ოცდაოთხი წლის იყო. თითქმის, სამი წელი იცხოვრა ტრავმით – ცოტა უფრო მეტი, ვიდრე უილმა. რა თქმა უნდა, ძალიან ახალგაზრდა იყო საიმისოდ, რომ გადაეწყვიტა, სიცოცხლე აღარაფრად უღირდა. მერე კი ის სტატია წავიკითხე, რომელსაც უილი კითხულობდა – არა ვიღაცის სუბიექტური თვალსაზრისი, არამედ ყურადღებითა და გულდასმით მომზადებული მასალა – ნაკვლევი, რა დატრიალდა სინამდვილეში ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში. ავტორს, როგორც ჩანს, მის მშობლებთანაც ჰქონდა წვდომა.

ამბობდნენ, რომ ლეო სამი წლიდან თამაშობდა ფეხბურთს. ფეხბურთი მთელი მისი ცხოვრება იყო. ტრავმა შერკინებაში მიიღო, ასეთ ვითარებიდან, მილიონში ერთი შემთხვევა შეიძლება დასრულდეს მსგავსი შედეგით. ყველაფერი სცადეს, რომ გადაერწმუნებინათ, ჩაენერგათ განცდა, რომ მის ცხოვრებას ახლაც ჰქონდა და მომავალშიც ექნებოდა ფასი. მაგრამ დეპრესიისგან ვერ განიკურნა. ის იქცა სპორტსმენად, რომელსაც არათუ სპორტული ცხოვრება, დახმარების გარეშე სუნთქვაც კი აღარ შეეძლო. ვეღარაფრისგან იღებდა სიამოვნებას. მისი ცხოვრება სავსე იყო ტკივილით, განადგურებული იყო ინფექციებისგან და ყოველ წვრილმანში მუდმივად სხვების დახმარებაზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები ენატრებოდა, მათ არ ნახულობდა. შეყვარებულს უთხრა, რომ მისი დანახვაც არ უნდოდა. ყოველდღიურად უმეორებდა მშობლებს, რომ სიცოცხლე აღარ სურდა. უთქვამს კიდეც მათთვის, სხვა ადამიანებისათვის თვალის დევნება, როგორ ცხოვრობენ იმ ცხოვრებით, რომელიც შეიძლება იმის ნახევარიც არ იყოს, რაც მე მქონდა დაგეგმილი, ჩემთვის აუტანელი წამებაა.

ორჯერ სცადა თავის მოკვლა, როცა იქამდე შიმშილობდა, სანამ იძულებით საავადმყოფოში არ გადაიყვანეს. როდესაც სახლში დაბრუნდა, მშობლებს ევედრებოდა, ძილში გაეგუდათ. ვკითხულობდი ამ ყველაფერს და ტირილი მინდოდა. თვალებზე ხელის გულები მივიჭირე და იქამდე არ მომიშორებია, სანამ არ დავრწმუნდი, რომ სლუკუნის გარეშე სუნთქვას შევძლებდი.

* * *

მამა სამსახურიდან გამოუშვეს. ამ ამბავს მტკიცედ შეხვდა. შუადღით სახლში დაბრუნდა, პერანგი გამოიცვალა, ჰალსტუხი გაიკეთა და მომდევნო ავტობუსით ქალაქში წავიდა, რომ დასაქმების ცენტრში დარეგისტრირებულიყო.

დედას უთხრა, უკვე გადაწყვეტილი მაქვს, ნებისმიერ შემოთავაზებას დავთანხმდები, მიუხედავად იმისა, რომ მრავალწლიანი გამოცდილების მქონე და პროფესიონალი ხელოსანი ვარო.

– ჭირვეულობის და არჩევანში შესვლის დრო არ გვაქვს, – უთხრა დედას და მის წინააღმდეგობას ყურადღებაც არ მიაქცია.

იმის ფონზე, რომ სამსახურის პოვნა მეც ძალიან გამიჭირდა, ორმოცდათხუთმეტი წლის კაცისთვის, რომელსაც ცხოვრებაში მხოლოდ ერთ ადგილას ემუშავა, ეს მით უფრო ძნელი იქნებოდა. მესაწყობედ და დარაჯადაც კი არავის უნდა ჩემი დაქირავებაო, თქვა, როცა მორიგი ინტერვიუს შემდეგ სახლში სასოწარკვეთილი დაბრუნდა. დამსაქმებლებს ერჩივნათ, არასაიმედო, ცხვირმოუხოცავი ჩვიდმეტი წლის ლაწირაკები დაექირავებინათ, რადგან ასე მთავრობა მათთვის ხელფასად გადასახდელი თანხის წილში შემოვიდოდა. აღარავინ ინტერესდებოდა მოწიფული მამაკაცით, რომელსაც მუშაობის დიდი სტაჟი და გამოცდილება ჰქონდა. ორი კვირის განმავლობაში ზედიზედ რამდენჯერმე მიღებული უარის შემდეგ, მან და დედამ გადაწყვიტეს, სოციალური შემწეობის მისაღებად განაცხადი შეევსოთ. ამის შემდეგ საღამოებს რაღაც გაუგებარი ორმოცდაათგვერდიანი კითხვარის

კირკიტში ატარებდნენ. პასუხი უნდა გაეცათ ისეთ კითხვებზე, როგორიცაა – რამდენი ადამიანი სარგებლობდა საერთო სარეცხი მანქანით, ან ბოლოს როდის იყვნენ საზღვარგარეთ (მამამ გაიხსენა, რომ ბოლოს ეს 1988 წელს უნდა ყოფილიყო). უილის მიერ დაბადების დღისთვის მოცემული თანხა სამზარეულოს კარადაზე თუნუქის ქილაში ჩავდე. ჩემი მშობლები აქ ფულს ინახავდნენ. ვიფიქრე, თავს უფრო მშვიდად იგრძნობდნენ, თუ ეცოდინებოდათ, რომ საგანგაშო მდგომარეობაში არ იყვნენ და ფული ჰქონდათ. დილით რომ გავიღვიძე დავინახე, ფული კონვერტში ჩაედოთ და კარის ქვეშ შემოეცურებინათ.

ტურისტები მატულობდნენ, ქალაქი ივსებოდა. მისტერ ტრეინორი სულ უფრო ცოტა დროით ჩერდებოდა სახლში. მისი სამუშაო საათები ციხე-სიმაგრის სტუმართა რაოდენობის შესაბამისად გაიზარდა. ხუთშაბათ საღამოს ქალაქში დავინახე, როდესაც სახლში მივდიოდი და გზად ქიმწმენდაში შევიარე. ამაში თავისთავად ცხადია, უცნაური არაფერი იქნებოდა, რომ არა ის ფაქტი, რომ ხელი გადაეხვია წითელთმიანი ქალისთვის, რომელიც ნამდვილად არ ყოფილა მისის ტრეინორი. რომ დამინახა, ქალს ხელი ისე გაუშვა, თითქოს ცხელი კარტოფილი ყოფილიყო.

შევბრუნდი და თავი ისე დავიჭირე, ვითომ მაღაზიის ვიტრინის თვალიერებით ვიყავი გართული. სულაც არ მინდოდა სცოდნოდა, რომ დავინახე და ვეცადე ეს ამბავი მაშინვე დამევიწყებინა.

პარასკევს, იმ დღით, როდესაც მამამ სამსახური დაკარგა, უილმა მოსაწვევი მიიღო – მოსაწვევი ქორწილში ალისიასა და რუპერტისგან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოსაწვევი ალისიას მშობლებისგან, პოლკოვნიკ და მისის ტიმოთი დიუარისგან მოვიდა – მოწოდებით უილისადმი, რომ მათი ქალიშვილის რუპერტ ფრეშველთან ქორწინება მათთან ერთად საზეიმოდ აღენიშნა. მოსაწვევი პერგამენტის დიდ კონვერტში იდო, თან ერთვოდა ღონისძიებების ნუსხა და სქელი, რამდენჯერმე გაკეცილი ჩამონათვალი ნივთებისა, რომელთა წყვილისთვის საჩუქრად ყიდვა სტუმრებს ისეთ მაღაზიებში შეეძლოთ, გაგონილიც რომ არ მქონდა.

– რა თავხედობაა, – ვთქვი მე და ბარათზე წყვილის ოქროსფრად მოვარაყებულ ინიციალებს დავაკვირდი, – გადავაგდო?

– როგორც გინდათ, – უილი გულგრილობას მთელი სხეულით გამოხატავდა. ნივთების ჩამონათვალს დავაკვირდი.

– კუსკუსიერი რაღა ჯანდაბაა?

არ ვიცი, რა იყო მიზეზი... ის, რომ სწრაფად შეტრიალდა და კომპიუტერით დაკავდა, თუ ის, რომ იყო რაღაც ისეთი... მის ხმასა და ტონში... მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, მოსაწვევი არ გადავაგდე და სამზარეულოში, მის საქაღალდეში შევინახე. უილმა მოთხრობების კიდევ ერთი კრებული მომცა, რომელიც „ამაზონზე“ შეუკვეთა – „წითელი დედოფალი“. ვიცოდი, რომ საჩემო წიგნი არ იყო.

– სიუჟეტიც კი არ აქვს, – ვთქვი, როდესაც თვალი ანოტაციას შევავლე.

– მერე რა? – მიპასუხა უილმა, – ეცადეთ და გამოგივათ.

ვცადე. იმიტომ არა, რომ გენეტიკის ინტერესი მკლავდა, არამედ იმიტომ, რომ თუ არ ვცდიდი, უილის გამოჯავრებების მოგერიება მომიწევდა. ცოტა არ იყოს და, საერთოდაც, მჩაგრავდა. მართლა შემაწუხებელი იყო, დაკითხვას რომ მომიწყობდა ხოლმე, რამდენი გვერდი წავიკითხე და რა გავიგე.

– თავი ჩემი მასწავლებელი ნუ გგონიათ, – ვუთხარი ბუზღუნით.

– ღმერთმა დამიფაროს! – მიპასუხა დაუყოვნებლივ.

წიგნი, რომელიც, სხვათა შორის, კარგი წასაკითხი აღმოჩნდა, გადარჩენისთვის ბრძოლას ეხებოდა. ავტორი წერდა, რომ ქალები მამაკაცს ირჩევდნენ არა იმიტომ, რომ უყვარდათ, არამედ იმიტომ, რომ შთამომავლობის დასატოვებლად, მდედრობითი სქესისსახეობები ყველაზე ძლიერ პარტნიორს ეძებენ. რა გაეწყობოდა, ასე მუშაობდა ბუნება.

მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმებოდი. უილთან კამათიც არ მინდოდა. ამ ყველაფერში სხვა ქვენააზრი იდო, რაშიც ცდილობდა, რომ დავერწმუნებინე. ავტორისეული ამ შეფასებით, უილი ფიზიკურად სუსტი და გაფუჭებული ეგზემპლარი გახლდათ. შესაბამისად, ბილოგიურად უსარგებლო და მის სიცოცხლეს ფასი არ ჰქონდა. ეს თემა გაშალა და მთელი შუადღე ამაზე საუბრობდა, სანამ მოთმინებადაკარგულმა არ შევაწყვეტინე.

– არის რაღაც, რაც მეტ რიდლის აზრად არ მოსვლია და არ დაუწერია, – ვთქვი მე.

უილმა კომპიუტერის ეკრანს თვალი მოაცილა.

– ნუთუ?

– რა ხდება მაშინ, როცა გენეტიკურად და ბიოლოგიურად ძლიერი მამრი სინამდვილეში ერთი ხისთავიანი ცხოველია?

* * *

მაისის მესამე შაბათს ტრინა და ტომასი სახლში მოვიდნენ. დედა კარის გასაღებად მაშინ გავარდა, სახლისკენ ქუჩაზე როგორც კი შემოუხვიეს. ტომასი გულში ჩაიკრა და ამტკიცებდა, რაც არ მინახავს, რამდენიმე დიუიმით გაიზარდაო. მართლა შეცვლილიყო, გაზრდილიყო და უკვე პატარა კაცს ჰგავდა. ტრინას თმა მოკლედ შეეჭრა და თითქოს, უფრო დაბრძენებულს ჰგავდა. ქურთუკი ეცვა, რომელიც აქამდე არასდროს მენახა, და თასმებიანი სანდლები. ვიფიქრე, ნეტავ, ფული სად იშოვა-მეთქი.

– როგორ მიდის შენი საქმეები? – ვკითხე ტრინას, როცა დედამ ტომასი ბაღის დასათვალიერებლად წაიყვანა და პატარა გუბურაში ბაყაყების ცქერით ერთობოდნენ. მამა ბაბუასთან ერთად ფეხბურთის მატჩს უყურებდა. დროდადრო, მორიგი ვერგამოყენებული შესაძლებლობის შემდეგ, იმედგაცრუებული ამოიხვნეშებდა ხოლმე.

– კარგად, ძალიან კარგად. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია, როცა ტომასის მოვლაში არავინ მეხმარება. თან საბავშვო ბაღს ადვილად ვერ შეეგუა, – წინ გადმოიხარა და დაამატა, – ოღონდ დედას არ უთხრა. მე ვეუბნები, რომ ყველაფერი შესანიშნავადაა.

– მაგრამ კურსი ხომ მოგწონს?

ტრინას სახეზე ღიმილი გადაეფინა.

– ძალიან მომწონს. ვერც კი წარმოიდგენ, ლუ, როგორ მიხარია, რომ ისევ ტვინით ვმუშაობ. ასე მგონია, დიდი ხნის განმავლობაში დაკარგული საკუთარი თავი ხელახლა ვიპოვე და ახლიდან აღმოვაჩინე. სიგიჟე არაა?

თავი გავაქნიე, მისი ამბავი მართლა მიხაროდა. მინდოდა მომეყოლა, ბიბლიოთეკაში რომ დავდიოდი, კომპიუტერს რომ ვიყენებდი, რა გავაკეთე უილისთვის. მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ ახლა ამის დრო არ იყო. ეს მისი დღე იყო. მზისგან დამცავი დიდი და დახეული ქოლგის ქვეშ დასაკეც სკამებზე ვისხედით და ჩაის ვყლუპავდით. მის თითებს ნორმალური ფერი დაბრუნებოდა.

– დედას ძალიან ენატრები.

– ახლა შაბათკვირას ხშირად ჩამოვალთ ხოლმე. მეც მჭირდებოდა... ლუ, მარტო ტომასის გამო არ იყო, რომ არ მოვდიოდით. მეც მჭირდებოდა დრო, რომ ყველაფერს მოვშორებოდი. მჭირდებოდა დრო, რომ თავი სხვა ადამიანად მეგრძნო.

მართლა სხვა ადამიანს ჰგავდა. უცნაურია. რამდენიმე კვირა სახლიდან შორს და ჩემთვის ასეთ ახლობელ ადამიანს ნაცნობი მახასიათებლები დაეკარგა. ქცეულიყო ადამიანად, რომელსაც ჯერ კარგად არ ვიცნობდი. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მიმატოვეს.

– დედამ მითხრა, რომ სადილად შენი ხეიბარი გყავდა მოყვანილი

– ის ჩემი ხეიბარი არ არის. უილი ჰქვია.

– ბოდიში, უილი. ესე იგი, საქმე ცუდად არ მიდის. სია ამართლებს?

– ისე რა... ზოგიერთი გასეირნება უფრო შედეგიანი გამოდის, ზოგიერთი – ნაკლებად, – მოვუყევი, რა კატასტროფა გადაგვხდა იპოდროზე და მოვუყევი სრულიად მოულოდნელი ტრიუმფის შესახებაც, სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე. ჩვენს პიკნიკებზეც ვუთხარი და ძალიან ბევრი იცინა, როცა ჩემი დაბადების დღის ამბების მოყოლაზე გადავედი.

– შენ გგონია, რომ... – ვხედავდი, როგორ ცდილობდა, სწორი ფორმულირება მოეძებნა, – გგონია, რომ გაიმარჯვებ?

თითქოს, ეს რაღაც შეჯიბრი ყოფილიყო.

ცხრატყავას ყვავილი მოვწყვიტე და ფურცლების შემოპუტვა დავიწყე.

– არ ვიცი. მგონი, დროა, ტემპს მოვუმატო.

მოვუყევი, რა მითხრა მისის ტრეინორმა საზღვარგარეთ წასვლაზე.

– ვერ დამიჯერებია, რომ სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე იყავი. არც მეტი, არც ნაკლები, შენ... მთელი შენი სიგრძე-სიგანით.

– მომეწონა.

წარბი ზემოთ აუვიდა.

– არა, მართლა... მართლა მომეწონა. ეს... ეს ძალიან ემოციური იყო.

დაკვირვებით შემომხედა.

– დედამ თქვა, სასიამოვნო ბიჭიაო.

– მართლა ასეა.

– და ძალიან სიმპათიურიო.

– ზურგის ტვინის ტრავმა ადამიანს კვაზიმოდოდ არ აქცევს, ტრინა.

„ოღონდ ახლა არ თქვა, რომ ეგ არის ყველაზე დიდი და ტრაგიკული დანაკარგი ადამიანისთვის“, – ვიფიქრე გულში. მაგრამ ჩემი და ხომ ჭკვიანი იყო.

– ჰო, მაგრამ ფაქტია, რომ გაკვირვებული დარჩა. ალბათ, კვაზიმოდოს ნახვას ელოდა.

– საქმეც ეგაა, ტრინ, – ვთქვი მე და ჩაის ნარჩენი ყვავილებში გადავასხი, – ყველას ეგ მოლოდინი აქვს.

* * *

დედა ვახშმობისას მხიარული იყო. ტრინას საყვარელი ლაზანია მოამზადა და ტომასსაც ნება დავრთეთ, გვიანობამდე ჩვენთან ერთად ყოფილიყო. ვჭამდით, ვიცინოდით და ვსაუბრობდით ისეთ უსაფრთხო თემებზე, როგორიცაა ფეხბურთი, ჩემი სამსახური და ტრინას თანაკურსელები. დედამ, ალბათ, ასჯერ მაინც ჰკითხა ტრინას, ნამდვილად არაფერში გჭირდება ჩვენი დახმარებაო? ნამდვილად ართმევ თავს ტომასის მარტო გაზრდასო? თითქოს, ტრინას რომ ეთქვა, დახმარება სჭირდებოდა, გასაყოფად რამე ებადათ. კმაყოფილი ვიყავი, რომ ტრინას გაფრთხილება მოვასწარი, მშობლები ცარიელზე არიან დარჩენილები-მეთქი. მანაც მშვიდად და დამაჯერებლად თქვა უარი დახმარებაზე. მხოლოდ გვიან მოვისაზრე, რომ მეკითხა, ნამდვილად ასე იყო თუ არა.

შუაღამისას ტირილის ხმამ გამაღვიძა. ჩემს ძველ კოლოფა ოთახში ტომასი ტიროდა. მესმოდა, მის დამშვიდებას ტრინა როგორ ცდილობდა და ეფერებოდა. შუქი ინთებოდა და ქრებოდა. სიბნელეში ვიწექი, ვუყურებდი გარე განათების გაცრეცილ სინათლეს, რომელიც ჩემი ოთახის ფარდებიდან აღწევდა და ჩემს ახლად შეღებილ ჭერს ეცემოდა. ველოდი, როდის შეწყდებოდა ტირილი. მაგრამ ბავშვის სლუკუნი ღამის ორ საათზე ისევ გაისმა. ამჯერად დერეფანში დედაჩემის ნაბიჯების ხმაც გავიგე. ამას დაბალ ხმაზე ჩურჩული მოჰყვა და ტომასი,როგორც იქნა, დაწყნარდა.

ოთხ საათზე ჩემი ოთახის კარის ჭრიალმა გამაღვიძა. თვალები დავახამხამე და გაჭირვებით აღვიქვი, რა ხდებოდა სინათლეზე. კარებში ტომასის სილუეტი იდგა, დიდი ზომის პიჟამა ძირს დასთრევდა, პლედი შემოეხვია და ისიც თითქმის ჩამოვარდნოდა. მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ ისეთი დაურწმუნებელი ჩანდა საკუთარ თავში... ალბათ, ვერ ხვდებოდა, რა უნდა ექნა.

– მოდი ჩემთან, ტომას, – ხმამაღლა დავიჩურჩულე. ჩემკენ წამოვიდა. შევამჩნიე, რომ ნახევრად ეძინა, პლედი ცალ მხარეს მოეგდო. საბანი ავწიე, ლოგინში შემოძვრა, გაბურძგნული თავი მეორე ბალიშზე დადო და მოიკუნტა. საბანი ამოვუკეცე, ვიწექი და ვუყურებდი, უცებ როგორ ღრმად და მშვიდად ჩაეძინა.

– ტკბილად იძინე, ჩემო პატარავ, – ჩავჩურჩულე და შუბლზე ვაკოცე. პატარა ფუმფულა ხელი ამოყო და მაისურზე მუჭი ჩამავლო, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არსად გავეპარებოდი.

* * *

– რომელია საუკეთესო ადგილი, სადაც კი ყოფილხართ?

ციხესიმაგრესთან ახლოს წვიმას შევეფარეთ და ველოდით, გადაეღო, რომ მიმდებარე ბაღებში გაგვესეირნა. უილს ქალაქის ტერიტორიაზე გასვლა არ უყვარდა. მეტისმეტად ბევრი ადამიანი აშტერდებოდა. მაგრამ ეს სხვადასხვაგვარი ბოსტნეულით სავსე ბაღები ამ ქალაქის ერთგვარი ფარული საგანძური იყო, რომელსაც ცოტა ადამიანი სტუმრობდა. ხეხილი და ბაღჩეული ერთმანეთისგან თაფლისფერი წვრილკენჭოვანი ბილიკებით იყო გამოყოფილი, სადაც უილი ეტლით თავისუფლად მანევრირებდა.

– რა თვალსაზრისით? ეგ რა არის?

თერმოსიდან წვნიანი გადმოვასხი და კოვზი პირთან მივუტანე.

– პომიდვრისაა.

– კარგი. ღმერთო ჩემო, ცხელია! ერთი წუთით... – შორს გაიხედა, – ოცდაათი წლის რომ გავხდი, კილიმანჯაროს მთაზე ავედი. განუმეორებელი შთაბეჭდილება იყო.

– ძალიან მაღლაა?

– უჰურუს მწვერვალამდე ცხრამეტი ათასზე ოდნავ მეტი ფუტია. ბოლო ათასი ფუტი ცოცვით ავიარე. ასეთ სიმაღლეს ორგანიზმიც გრძნობს და რეაქციას გაძლევს.

– ციოდა?

– არა, – გამიღიმა, – ევერესტივით არ არის. ყოველ შემთხვევაში წელიწადის იმ დროს, როცა მე ვიყავი.

შორს, უსასრულობაში იყურებოდა, თითქოს აქ აღარ არისო.

– ძალიან ლამაზი იყო. აფრიკის სახურავს ეძახიან. იქ რომ ადიხარ, ისეთი შეგრძნება გიჩნდება, რომ სამყაროს ბოლოსაც ხედავ.

უილი ცოტა ხანს დადუმდა. ვუყურებდი და ვფიქრობდი სინამდვილეში სად ქროდა მისი გონება. ასეთი საუბრების დროს იმ ჩემს კლასელ ბიჭს ემსგავსებოდა, რომელიც ჩვენ ყველასგან შორს თავგადასავლების საძიებლად გაეშურა.

– კიდევ სად მოგეწონათ?

– მავრიკის კუნძულები, ტრუდოდუსის ყურე, სასიამოვნო ხალხი, ულამაზესი პლაჟები, დაივინგი... ცავოს ეროვნული პარკი კენიაში, მთლიანად წითელი მიწა და ველური ცხოველები. იოსემიტი. ეს კალიფორნიაშია. კლდეები იმდენად მაღალია, რომ უყურებ და თვალს ვერ აუწვდენ და ვერც კი გაიაზრებ, სადამდე შეიძლება აღწევდეს. მომიყვა, როგორ შემოაღამდა კლდეზე საცოცავად წასულს და რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე როგორ მოუწია რიფზე ღამის გათენება, როგორ მიაბა საძილე ტომარა კლდეზე, რადგან ძილში გვერდის შეცვლა შეიძლება სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა.

– ფაქტობრივად, ჩემი ყველაზე საზარელი კოშმარი აღწერეთ ახლა.

– ქალაქებიც მომწონს. სიდნეი შემიყვარდა. ჩრდილოეთის ტერიტორია. ისლანდია. ერთი ადგილია, აეროპორტთან ახლოს, სადაც ვულკანური წარმოშობის წყაროებში შეგიძლიათ იბანაოთ. სრულიად უჩვეულო პეიზაჟია. ოჰ, ცენტრალურ ჩინეთში მოგზაურობაც... სიჩუანის პროვინციის ცენტრის დედაქალაქიდან ორი დღის სავალზე არის ერთი დასახლება... იქ რომ ჩავედი, ადგილობრივები გაოგნებულები მიყურებდნენ. თეთრკანიანი ადამიანი მანამდე თვალით არ ენახათ.

– დარჩა ადგილი დედამიწაზე, სადაც არ ყოფილხართ?

სუპი კიდევ მოსვა.

– ჩრდილოეთი კორეა? – თქვა ვარაუდით, – ჰო, დისნეილენდშიც არასდროს ვყოფილვარ. ეს ითვლება? პარიზის დისნეილენდშიც კი.

– ერთხელ ავსტრალიაში წასვლა გადავწყვიტე და თვითმფრინავის ბილეთიც ვიყიდე, მაგრამ არ წავედი.

გაკვირვებული მომიბრუნდა.

– მოხდა რაღაც. ეგ არაფერი. იქნებ ერთ დღეს მაინც წავიდე.

– რას ნიშნავს „იქნებ“ და „მაინც“. აქედან უნდა გააღწიოთ, კლარკ. დამპირდით, რომ მთელი ცხოვრება აქ არ ჩარჩებით... ამ საცოდავ მიწის ნაგლეჯზე.

– დაგპირდეთ? რატომ? – ვცადე როგორღაც ხალისიანი ხმით მეკითხა, – სადმე მიდიხართ?

– მე უბრალოდ... აუტანელია იმაზე ფიქრი, რომ შეიძლება სამუდამოდ აქ ჩაიკეტოთ, – ნერწყვი გადაყლაპა, – მეტისმეტად ლაღი ხართ ამისთვის, მეტისმეტად საინტერესო, – შორს გაიხედა, – მხოლოდ ერთხელ ცხოვრობთ. სინამდვილეში, ვალდებულიც კი ხართ, სავსე ცხოვრებით იცხოვროთ.

– კარგი, – ვთქვი ფრთხილად, – მაშინ თქვენ მირჩიეთ, სად შეიძლება, რომ წავიდე. სად წახვიდოდით, ნებისმიერ ადგილას რომ შეგეძლოთ წასვლა?

– ახლავე?

– ჰო, ახლავე. ოღონდ კილიმანჯარო გამორიცხეთ. ისეთი ადგილი მითხარით, სადაც მართლა შემეძლება, რომ წავიდე.

როცა სახე უმშვიდდებოდა, უილი თითქოს სხვა ადამიანი ხდებოდა. ღიმილი გადაეფინა. თვალები სიამოვნებისგან მოჭუტა.

– პარიზი. ლა’მარეის რომელიმე კაფეშიჩამოვჯდებოდი, ყავას დავლევდი, კარაქიან და მარწყვის ჯემიან თბილ კრუასანს შევჭამდი.

– ლა’მარეი?

– ჰო, პატარა უბანია პარიზის ცენტრში. სავსეა ქვებით მოკირწყლული ვიწრო ქუჩებით, გადმოკიდული საცხოვრებელი სახლებით, გეი მამაკაცებით, ორთოდოქსი ებრაელებით და ასაკშეპარული ქალებით, რომლებიც ოდესღაც ბრიჯიტ ბარდოს ჰგავდნენ. ესაა ის ადგილი, სადაც უნდა გაჩერდე, პარიზში თუ მოხვდები.

მივუტრიალდი, რომ სახეზე შემეხედა.

– შეგვიძლია, წავიდეთ, – ვუთხარი დაბალ ხმაზე, – მაგალითად, ევროსტარით. სულ არ იქნება ძნელი. ისიც კი არ დაგვჭირდება, რომ ნათანს ვთხოვოთ, წამოგვყვეს. პარიზში არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ სიამოვნებით წავიდოდი. ძალიან დიდი სიხარულით. განსაკუთრებით იმ ადამიანთან ერთად, იქაურობას ხუთი თითივით რომ იცნობს. რას იტყვით, უილ?

თავი უილის აღწერილ კაფეში წარმოვიდგინე. ზუსტად იქ ვიჯექი, მაგიდასთან. ახალი ფრანგული ფეხსაცმელი მეცვა, რომელიც პატარა კოპწია ბუტიკში შევიძინე და აღფრთოვანებული დავხედავდი ხოლმე. ან შეიძლება ფუნთუშას ვიტეხდი პარიზულად,

სისხლისფერმანიკურიანი თითებით. ყავის გემოც კი ვიგრძენი და მეზობელი მაგიდიდან სიგარეტ „გალუაზის“ სუნი.

– არა.

– რა? – უცბად ვერც გამოვერკვიე ოცნებებიდან.

– არა.

– მაგრამ ხომ მითხარით, რომ...

– არ გესმით, კლარკ. არ მინდა იქ წასვლა ამ.... ამ რაღაცით, – ეტლზე მიმანიშნა და ხმა დაუდაბლდა, – მინდა, პარიზში რომ წავალ, საკუთარ თავს ვგავდე, ჩემს ძველ მეს. სკამზე ჩამოვჯდე, საზურგეს გადავაწვე, ჩემი საყვარელი ტანსაცმელი მეცვას, ლამაზ ლამაზმა ფრანგმა გოგოებმა ჩამიარონ და ისე გამომხედონ, როგორც ნებისმიერ მამაკაცს შეხედავდნენ, ვინც იქ იჯდებოდა და არა სწრაფად ამარიდონ მზერა, იფიქრონ, რომ ბავშვის ეტლში ჩარჩენილი კაცი ვარ.

– მაგრამ ხომ შეგვიძლია, რომ ვცადოთ, – შევეწინააღმდეგე მე, – რა აუცილებელია, რომ...

– არა. არა. არ შეგვიძლია. იმიტომ, რომ ახლა მხოლოდ შემიძლია, თვალები დავხუჭო და ზუსტად წარმოვიდგინო, რუ დე ფრანბურჟუა... ხელში სიგარეტი მიჭირავს, წინ მაღალი ჭიქით კლემენტინის ცივი წვენი მიდგას. ჰაერში სტეიკის სუნი ტრიალებს და სადღაც შორიახლოს მოპედის ხმა ისმის. ყველა ეს შეგრძნება ცხადად ვიცი და მახსოვს, – ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა, – იმავე წუთს, როგორც კი იქ ამ სიმახინჯით მოვხვდები, ყველა ეს მოგონება, ყველა ეს შეგრძნება წაიშლება და დარჩება ბრძოლა, როგორ მივუდგე მაგიდას, ბრძოლა პარიზულ ტროტუარებთან, ტაქსის მძღოლებთან, რომლებიც უარს იტყვიან ჩვენს წაყვანაზე და ჩემი ეტლის დამტენი პარიზულ შტეპცელებშიც კი არ მოთავსდება. ახლა გასაგებია?

ხმა გაუმკაცრდა. თერმოსს თავსახური დავაფარე. საკუთარ ფეხსაცმელებს ჩავაჩერდი და ერთხანს თვალი არ მომიშორებია, რადგან არ მინდოდა, რომ ჩემი სახე დაენახა.

– გასაგებია, – ვთქვი ბოლოს.

– კარგია, – თქვა უილმა და ღრმად ამოისუნთქა.

ჩვენთან ახლოს გიდი გაჩერდა და ტურისტების მორიგ ნაკადს ციხე-სიმაგრის ჭიშკრისკენ გაუძღვა. ჩუმად ვუყურებდით, როგორ ჩამოლაგდნენ ავტობუსიდან და ერთ ზოლში დაწყობილები ძველი ციხესიმაგრისკენ, სხვა ეპოქის ნარჩენებისათვის თვალის შესავლებად მორჩილად გაეშურნენ.

შეიძლება მიხვდა, რომ ცუდ გუნებაზე დავდექი, იმიტომ, რომ ჩემკენ ოდნავ გადმოიხარა. ხმა შეურბილდა.

– აბა, კლარკ... წვიმა შეწყდა. დღეს შუადღით რა გეგმები გვაქვს, ლაბირინთში შევალთ?

– არა, – ისე სწრაფად და ხმამაღლა წამოვიძახე, რომ გააზრება ვერ მოვასწარი.

უილმა დაკვირვებით, ოდნავ გაოცებულმა შემომხედა.

– კლაუსტროფობია გაქვთ?

– რაღაც მაგდაგვარი, – ვუპასუხე და ჩვენი ნივთების შეგროვება დავიწყე, – მოდით, სახლში დავბრუნდეთ.

* * *

მომდევნო შაბათს, შუაღამისას წყლის დასალევად დაბლა ჩავედი. ცუდად მეძინა. აღმოჩნდა, რომ ადგომაც ვერაფერი შეღავათი იყო. დიდად არ სჯობდა ლოგინში გაჭიმულ წოლასა და აბურდულ აზრებში გარკვევის მცდელობას.

არ მიყვარდა, როცა ღამით მეღვიძებოდა. ძალაუნებურად ვიწყებდი ფიქრს, ამ დროს, ციხე-სიმაგრის მეორე მხარეს, უილსაც ეღვიძა თუ არა. ვცდილობდი, მისი აზრების სამყოფელში შემეღწია, რომელიც ყველაზე ბნელ ადგილად წარმომედგინა სამყაროში. სიმართლე ისაა, რომ წინსვლა საერთოდ არ ჩანდა... დრო კი მიდიოდა. მისი დაყოლიება პარიზში

წასვლაზეც კი ვერ შევძელი. როდესაც მითხრა, ეს რატომ არ უნდოდა, შეწინააღმდეგებაც არ გამომივიდა. ყოველ ჯერზე, როდესაც შედარებით გრძელ მანძილზე წასვლას ვთავაზობდი, საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა, რომ უარი ეთქვა. შანსი, თითქმის, არ მქონდა, იმას ხომ ვერ ვეტყოდი, ასე ძალიან მის სადმე წაყვანაზე რატომ ვშფოთავდი... ჩვენი სახლის მისაღებ ოთახთან რომ ჩავიარე, რაღაც ხმა მომესმა – შეკავებული ხველის, თუ ამოხვნეშის. უკან დავიხიე და ოთახში შესასვლელთან გავჩერდი. კარი ფრთხილად შევაღე. იატაკზე დივნის ბალიშებით სახელდახელო საწოლი იყო გამართული და ზედ ჩემი მშობლები იწვნენ. სტუმრებისთვის განკუთვნილი დალიანდაგებული საბანი ეფარათ. თავები ზუსტად ბუხრის გასწვრივ ედოთ. ნახევრად განათებულ ოთახში რამდენიმე წამი ერთმანეთს შეცბუნებულები ვუყურებდით. ხელში წყლის ჭიქა გამშეშებოდა.

– აქ... აქ რას აკეთებთ?

დედაჩემი იდაყვზე წამოიწია.

– შშშ... არ იხმაურო. ჩვენ... – მამაჩემს გადახედა, – ადგილები გავცვალეთ.

– რა?

– ადგილები გავცვალეთ, – მამაჩემს ისევ შეხედა, თითქოს დახმარებას სთხოვდა.

– ტრინას ჩვენი საწოლი დავუთმეთ, – მითხრა მამამ. ძველი ლურჯი მაისური ეცვა, რომელიც მხარზე გამოხეოდა და ცალ მხარეს დატკეპნილი თმა ყალყზე ედგა, – ის და ტომასი კოლოფა ოთახში ვერ ეტეოდნენ. ამიტომ ჩვენი დავუთმეთ.

– მაგრამ აქ ხომ არ იწვებით იატაკზე. ასე როგორ მოისვენებთ.

– არაფერი გვიჭირს, საყვარელო, – მიპასუხა მამამ, – მართლა.

მერე კი, ერთხანს ისევ გაშეშებული რომ ვიდექი და ადგილიდან ვერ ვიძვროდი, დაამატა:

– ეს ხომ მხოლოდ შაბათ-კვირასაა. იმ ოთახში შენც ვერ გაჩერდები. გამოძინება და დასვენება გჭირდება. მით უმეტეს, რომ... – ნერწყვი გადაყლაპა, – მით უმეტეს, რომ შენ ხარ ერთადერთი ადამიანი ოჯახში, რომელიც მუშაობს და ასე შემდეგ...

ამხელა კაცი იატაკიდან მიყურებდა და თან თვალს ვერ მისწორებდა.

– წადი, დაწექი, ლუ. ჩვენ მართლა კარგად ვართ, – ფაქტობრივად გამომაგდო დედაჩემმა.

კიბეს ავუყევი. ხალიჩაზე ჩემი ფეხშველა ნაბიჯების ხმა საერთოდ არ ისმოდა და ვცდილობდი, ყური დამეგდო მოგუდული ბუტბუტისთვის, ქვემოდან რომ ამოდიოდა. ჩემი მშობლების ოთახთან შევჩერდი და ტომასის მშვიდ ფშვინვას დავუგდე ყური, რაც მანამდე არ გამიგია. საკუთარ ოთახში დავბრუნდი და კარი ფრთხილად მივიხურე. დიდ საწოლში ვიწექი და მივჩერებოდი ფანჯარას, საიდანაც ღამის სუსტი განათების შუქი

შემოდიოდა. გამთენიისას მადლობა ღმერთს, რომ, როგორც იქნა, ძილის რამდენიმე ძვირფასი საათი მომგვარა.

* * *

კალენდარზე სამოცდაცხრამეტი დღე დამრჩა. ნერვიულობა ისევ დავიწყე.

მხოლოდ მე არა.

მისის ტრეინორმა დაიცადა, სანამ ნათანი უილთან საქმეს მორჩებოდა, მერე კი მთხოვა, სახლის ძირითად ნაწილში გავყოლოდი. მისაღებ ოთახში დამსვა და მკითხა, რას ფიქრობ, საქმე როგორ მიდისო.

– ახლა გარეთ უფრო ხშირად გავდივართ, – ვუპასუხე მე.

თავი დამიქნია, თითქოს დამეთანხმა.

– უფრო მეტსაც ლაპარაკობს, ვიდრე ადრე.

– თქვეთან, ალბათ, კი, – ჩაიცინა, მაგრამ ეს სიცილს სულაც არ ჰგავდა, – საზღვარგარეთ წასვლაზე ხომ არაფერი გითქვამთ?

– ჯერ არა, მაგრამ ვეტყვი. უბრალოდ... ხომ იცით, როგორია.

– მე მართლა არ ვარ წინააღმდეგი, – მიპასუხა მისის ტრეინორმა, – თუ სადმე წასვლა მოგინდებათ, მითხარით. ვიცი, თავიდან ამ იდეას ენთუზიაზმით არ შევხვედრივართ, მაგრამ მას მერე ამაზე ბევრი ვილაპარაკეთ და გეთანხმებით...

ცოტა ხანს სიჩუმეში ვისხედით. ლამბაქიანი ფინჯნით ყავა მომიტანა. მოვსვი და დავდგი. მუხლებზე ლამბაქი როცა მედო, თავი სამოცი წლის მოხუცი მეგონა.

– უილმა მითხრა, რომ თქვენთან სახლში ყოფილა.

– დიახ, ჩემს დაბადების დღეზე. ჩემმა მშობლებმა განსაკუთრებული ოჯახური სადილი მოაწყვეს.

– თავი როგორ ეჭირა?

– კარგად. ძალიან კარგად. დედაჩემის მიმართ განსაკუთრებით თბილი იყო, – იმ დღის გახსენება ღიმილის გარეშე არ შემეძლო, – დედა ძალიან დარდობს, რადგან ჩემი და და მისი პატარა ბიჭი გადავიდნენ. ორივე ძალიან ენატრება. უილს... უნდოდა, რომ ყურადღება გადაეტანინებინა.

მისის ტრეინორი გაოცებული იყურებოდა.

– ეს... ყურადღება და მზრუნველობაა მისი მხრიდან.

– დედაჩემმაც ასე ჩათვალა.

ყავის ფინჯანზე თვალი გაუშტერდა.

– არც კი მახსოვს, უილმა ჩვენთან ერთად ბოლოს როდის ივახშმა.

ცოტა ხანს კიდევ მელაპარაკა. პირდაპირ კითხვებს არ მისვამდა, რა თქმა უნდა. ეს მისი სტილი არ იყო. მაგრამ მე ვერ ვაძლევდი პასუხებს, რომელთა მოსმენაც მას უნდოდა. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ უილი უფრო ბედნიერი იყო, ბუზღუნის გარეშე მომყვებოდა გარეთ, მაბრაზებდა, მკბენდა, უფრო მეტად ურთიერთობდა გარესამყაროსთან, რომელიც მის ფლიგელს მიღმა არსებობდა. მაგრამ რა ვიცოდი, სინამდვილეში რა ხდებოდა? ფასადს მიღმა ვგრძნობდი, რომ შინაგანად უზარმაზარი უფსკრული სჭამდა, სადაც შეხედვის

უფლებასაც კი არ მაძლევდა. ეს უკანასკნელი კვირები სულ მაწუხებდა განცდა, რომ ეს უფსკრული იზრდებოდა.

– ახლა უფრო ხალისიანი ჩანს, – მითხრა მისის ტრეინორმა. ეს ისე თქვა, თითქოს, თავს იმშვიდებსო.

– მეც ასე მგონია.

– ვერ წარმოიდგენთ, რას ნიშნავს, როცა... – მისი მზერა სხეულში მივლიდა, – როცა ვხედავ, როგორ გამოკრთება ხოლმე მასში ძველებული უილი. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს თქვენი დამსახურებაა.

– არა მხოლოდ ჩემი.

– მე ვერ მოვახერხე, რომ მის სულში შემეღწია. ახლოსაც კი ვერ მივედი, – ფინჯანი და ლამბაქი მუხლებზე დაიდო, – უილი სხვანაირი ადამიანია. რაც მოიზარდა, იმ დროიდან ვერ დავაღწიე თავი განცდას, რომ მის თვალში რაღაცას სულ არასწორად ვაკეთებ. თუმცა, არასდროს ვიცოდი დანამდვილებით, სად ვუშვებდი შეცდომას, – სცადა გაეცინა, მაგრამ არც ახლა გამოუვიდა. წამიერად გამომხედა და მზერა ისევ ამარიდა. თავს ვიკატუნებდი, რომ ყავას ვსვამდი, არადა, ჭიქაში აღარაფერი მქონდა დარჩენილი.

– დედათქვენთან კარგი ურთიერთობა გაქვთ, ლუისა?

– დიახ, – ვუთხარი მე და დავამატე, – სამაგიეროდ, ჩემს დას ჭკუიდან გადავყავარ.

მისის ტრეინორი ფანჯრებს მიღმა იყურებოდა, სადაც ჩანდა, მისი მოვლილი და ლამაზი ბაღი დღედღეზე ერთიანად აყვავდებოდა. ყვავილებს კვირტები დასკდომაზე ჰქონდა და მკრთალი ვარდისფერი, იისფერი და ლურჯი ფურცლები უკვე კრთებოდა.

– სულ ორთვენახევარი დაგვრჩა, – ჩაილაპარაკა ისე, რომ თავი არ მოუტრიალებია.

ყავის ფინჯანი მაგიდაზე დავდგი. ფრთხილად, რომ ხმა არ გაეღო.

– მე რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ, მისის ტრეინორ.

– ვიცი, ლუისა, – თავი დამიქნია.

ოთახიდან გამოვედი.

* * *

ლეო მაკინერნი 22 მაისს გარდაიცვალა, შვეიცარიის უცნობი ბინის უცნობ ოთახში. თავისი საყვარელი ფეხბურთის მაისური ეცვა. მშობლები გვერდით ედგნენ. უმცროსმა ძმამ უარი თქვა, დასწრებოდა, მაგრამ განცხადება გაავრცელა, რომ მის ძმას ყველაზე ახლობლებისგან დიდი მხარდაჭერა და სიყვარული ჰქონდა. ლეომ საღამოს სამ საათსა და ორმოცდაშვიდ წუთზე მომაკვდინებელი მჟავის რძისებრი ხსნარი დალია. მისმა მშობლებმა თქვეს, რომ რამდენიმე წუთში თვალები დახუჭა და, თითქოს, ღრმა ძილით დაიძინა. ოთხ საათს რომ ცოტა გადასცდა, დამკვირვებელმა, რომელიც პროცესის მოწმე იყო, მისი გარდაცვალება გამოაცხადა. ვიდეოკამერამ გადაიღო ყველა წუთი, რათა შემდგომში დადასტურებულიყო, რომ ყველაფერი სწორად გაკეთდა.

– როგორც იქნა, სიმშვიდე ჰპოვა, – როგორც ჰყვებოდნენ, უთქვამს დედამისს, – ესაა ერთადერთი ნუგეში ჩემთვის. ლეოს დედაცა და მამაც პოლიციამ სამჯერ დაჰკითხა. არსებობდა საფრთხე, რომ სასამართლოს ბრალი წაეყენებინა. მათ წინააღმდეგ

სიძულვილის უზარმაზარი ტალღა აგორდა. ოჯახი აგრესიულ წერილებს ვეღარ აუდიოდა. ლეოს დედა ოცი წლით უფრო ხნიერს დამსგავსებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. და მაინც... როცა საუბრობდა, კიდევ რაღაც იყო მის თვალებში... სასოწარკვეთის, ბრაზის, ტკივილის, შფოთვის, დაქანცულობის მიღმა – რაღაც, რაც ღრმად, გულის სიღრმეში დაკიდებული ლოდისგან გათავისუფლებაზე მეტყველებდა.

– ბოლოს ის მაინც კვლავ ლეოს დაემსგავსა.

XV

– აბა, კლარკ, მოგვიყევით, ამ საღამოს როგორ გეგმავთ დროის გატარებას?

ბაღში ვიყავით, ნათანი უილთან ფიზიოთერაპიის სეანსით იყო დაკავებული, ფრთხილად სწევდა მის მუხლებს მაღლა, მკერდზე იდებდა და მერე ქვემოთ უშვებდა. უილი გაშლილ საბანზე იწვა. სახე მზისთვის მიეფიცხებინა, ხელები განზე ჰქონდა გაშლილი და რომ შეგეხედათ, იფიქრებდით, რუჯს იღებსო. ბალახზე მათთან ახლოს ვიჯექი და ჩემს სენდვიჩებს ვჭამდი. ქალაქში საჭმელად უკვე ძალიან იშვიათად გავდიოდი.

– რატომ მეკითხებით?

– ისე, ცნობისმოყვარეობის გამო. მაინტერესებს, დროს როგორ ატარებთ, როცა აქ არ ხართ.

– ალბათ... ჯერ საბრძოლო ხელოვნების გაკვეთილზე შევივლი. მერე ვერტმფრენი მომაკითხავს და სავახშმოდ მონტეკარლოში გადავფრინდები. მერე შეიძლება, სახლისკენ გზად კანში კოქტეილის დასალევად გავიარო. ღამის დაახლოებით ორ საათზე რომ ცაში ამოიხედოთ, ხელს დაგიქნევთ, – ვუთხარი მე, – სენდვიჩი შუაზე გადავხსენი, მაინტერესებდა, შიგნით რა იყო, – ისე კი, ალბათ, ჩემს წიგნს დავამთავრებ. უილმა ნათანს შეხედა.

– მოგებული ჩამბარდეს, – უთხრა და დაეჯღანა.

ნათანმა ჯიბეში ხელი ჩაიყო.

– როგორც ყოველთვის, – თქვა და ამოიოხრა.

– როგორც ყოველთვის, რა? – ვკითხე და ორივეს შევხედე. ნათანმა უილს გაშლილ მუჭში ფული ჩაუდო.

– უილმა თქვა, რომ წიგნს წაიკითხავდი. ჩემი ვერსია ტელევიზორის ყურება იყო. ყოველთვის უილი იგებს.

სენდვიჩის ლუკმა ყელში გამეჩხირა.

– ყოველთვის? ესე იგი, სანამლეოს დებთ ხოლმე, რამდენად მოსაწყენია ჩემი ცხოვრება?

– ჩვენ ასე არ ვიტყოდით, – მითხრა უილმა, მაგრამ ოდნავი სინდისის ქენჯნისებრი გამომეტყველებით. თვალებში ეწერა, რომ საპირისპიროს ფიქრობდა.

წელში გავსწორდი.

– მოდით, დავაზუსტებ. თქვენ ორნი ფულს დებთ და ამტკიცებთ, რომ პარასკევ საღამოს ვიჯდები სახლში და ან წიგნს წავიკითხავ, ან ტელევიზორს ვუყურებ?

– არა, – თქვა უილმა, – ზოგჯერ სხვა ვერსიაც მაქვს ხოლმე – მორბენალთან ბილიკზე შეხვედრის.

ნათანმა უილის ფეხს ხელი გაუშვა. ახლა მკლავი აიღო და მაჯიდან ზემოთ მასაჟის კეთება დაიწყო.

– სულ სხვა რაღაც რომ მეთქვა, რის გაკეთებასაც დღეს დავგეგმავდი, მაშინ?

– ასე ხომ არასდროს ხდება, – მიპასუხა ნათანმა.

– მაგრამ ამას მე ავიღებ, – ვთქვი და უილის ხელიდან ათგირვანქიანი ავიტაცე, – იმიტომ, რომ ამ საღამოს ორივე შეცდით.

– ხომ თქვით, წიგნი უნდა წავიკითხოო, – გააპროტესტა უილმა.

– ახლა ფული მაქვს, – ვთქვი და ათგირვანქიანი გავატკაცუნე, – ჰოდა, კინოში წავალ. აბა, როგორ გინდათ?.. ასეთია განუზრახველი შედეგების კანონი (განუზრახველი შედეგები – სოციალურ მეცნიერებებში: ტერმინი, რომელიც გულისხმობს მოქმედებათა იმ შედეგებს, რაც არ იყო ნაგულისხმევი და განზრახული მოქმედების განხორციელებამდე. განიხილავენ სოციალური ქმედებების სამი ტიპის განუზრახველ შედეგს: მოულოდნელი სარგებელი, მოულოდნელი ზიანი და საპირისპირო განუზრახველი შედეგები.) ან რაც გინდათ, დაარქვით.

ავდექი, ფული ჯიბეში ჩავიდე და ლანჩის ნარჩენები ქაღალდის ყავისფერ ტოპრაკში მოვათავსე. ნათანსა და უილს რომ გავშორდი, მართალია, ვიღიმოდი, მაგრამ თვალები ცრემლებით მქონდა სავსე. იმ მომენტში მეგონა, რომ სრულიად უმიზეზოდ. დილით, სანამ გრანტა ჰაუსში მოვიდოდი, მთელი საათი კალენდარს ვუკირკიტებდი. ხანდახან უბრალოდ ვიჯექი და საწოლიდან მივშტერებოდი ხოლმე. ხელში ფლომასტერი მეჭირა და ვცდილობდი, მომეფიქრებინა, კიდევ სად შეიძლებოდა, უილი წამეყვანა. დანამდვილებით ჯერ არ შემეძლო მეთქვა და არც მქონდა საკუთარი თავის რწმენა, რომ მის შორ გზაზე წაყვანას მოვახერხებდი. ნათანის დახმარების შემთხვევაშიც კი სადმე ღამის თევით წასვლის იდეა მაშინებდა.

ადგილობრივი გაზეთები შესწავლილი მქონდა, თვალს ვადევნებდი სად ფეხბურთის მატჩი იმართებოდა, სად – სოფლის დღესასწაულები, მაგრამ იპოდრომზე განცდილი ტოტალური მარცხის შემდეგ, უკვე ვიცოდი, რომ უილის ეტლი ბალახით დაფარულ ზედაპირზე სანდო არ იყო. ისიც მაფიქრებდა, რომ ხალხის დიდი რაოდენობა შეაწუხებდა და თავს ისე იგრძნობდა, თითქოს შიშველი ყოფილიყო. მომიწია, ყველა აქტივობა გამომერიცხა, სადაც ცხენის ჭაჭანება იქნებოდა, რაც იმის გათვალისწინებით თუ სად ვცხოვრობდით, ნიშნავდა, რომ შესაძლო ალტერნატივების უმრავლესობაზე უარი უნდა მეთქვა. ვიცოდი, არც მორბენალი პატრიკის ყურება ესიამოვნებოდა, არც კრიკეტისა და რაგბის სიყვარულით იკლავდა თავს. ზოგჯერ თავს ხეიბრად მე თვითონ ვგრძნობდი, რომ არ შემეძლო ახალი იდეები მომეფიქრებინა.

იქნებ უილი და ნათანი მართლები იყვნენ. მოსაწყენი ადამიანი ვიყავი და, ალბათ, ყველაზე შეუფერებელი ადამიანიც სამყაროში, ვისაც შეეძლო ისეთი გეგმების დასახვა, რაც უილს ცხოვრების ხალისსა და გემოს დაუბრუნებდა.

წიგნი ან ტელევიზორი.

კაცმა რომ თქვას, სხვა რამ როგორ უნდა მეფიქრა?!

* * *

ნათანის წასვლის შემდეგ, უილმა სამზარეულოში მომაგნო. პატარა მაგიდასთან ვიჯექი და მისთვის ვახშმის მოსამზადებლად კარტოფილს ვთლიდი. შემოსასვლელში გაჩერდა. მე არ ამიხედავს. იმდენ ხანს მიყურებდა, რომ მისმა დაჟინებულმა მზერამ ყურები ამიწვა.

– იცით რა... – ვთქვი, ბოლოს და ბოლოს, – მეც შემეძლო, რომ მწარედ მეპასუხა. მაგალითად, მეთქვა, რომ არც თავად აკეთებთ რამე საინტერესოს ცხოვრებაში.

– ეჭვი მაქვს, ნათანი სანაძლეოს დადებას არ შემოგთავაზებდათ და ფსონს არ ჩამოვიდოდა, რომ ამ საღამოს საცეკვაოდ წავალ, – მიპასუხა უილმა.

– ვიცი, რომ ხუმრობაა, – განვაგრძე, თან კარტოფილის თლას არ ვწყვეტდი, – მაგრამ თავი ძალიან ცუდად მაგრძნობინეთ. თუ გასართობი სხვა არაფერი გაქვთ, რომ სანაძლეოები დადოთ ჩემს ერთფეროვან ცხოვრებაზე, შეგეძლოთ, ეს ისე გაგეკეთებინათ, რომ ვერც გამეგო. არ შეიძლებოდა, რომ თქვენ და ნათანს ეს ხუმრობა თქვენთვის შეგენახათ? ერთხანს არაფერი უთქვამს. როცა, ბოლოს და ბოლოს, შევხედე, ისევ მიყურებდა.

– ბოდიში.

– არ გეტყობათ, რომ განიცდიდეთ.

– კარგი... ნუ... შეიძლება, მინდოდა კიდევაც, რომ მოგესმინათ. მინდოდა დაფიქრებულიყავით, რას უშვრებით თქვენს ცხოვრებას.

– მაინც რას? ვკარგავ წლებს და ერთ ადგილს ვტკეპნი?

– დიახ, ზუსტად.

– ღმერთო ჩემო, უილ. მადლობელი დაგრჩებით, თუ აღარ მასწავლით ჭკუას, რა ვაკეთო ცხოვრებაში. იქნებ, მომწონს ტელევიზორის ყურება? იქნებ, სხვა არაფრის კეთება მინდა და სწორედაც წიგნის წაკითხვა მირჩევნია? – ხმას ავუწიე, – იქნებ, დაღლილი ვარ, სახლში რომ მივდივარ? იქნებ, ეს აქტიური გართობა არ მაინტერესებს?

– შეიძლება, მაგრამ ერთ დღესაც ინანებთ, რომ ასე ცხოვრობდით, – მიპასუხა მშვიდად, – იცით, რას ვიზამდი თქვენს ადგილას?

– არ ვიცი, მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ თქმისა არ მოგერიდებათ, – სათლელი მაგიდაზე დავდე.

– დიახ. სულაც არ მომერიდება. მაგალითად, ღამის კურსებზე ვივლიდი. სამკერვალო, თუ დიზეინერულ კურსებზე, ან როგორც ჰქვია, მოკლედ, რისი კეთებაც მართლა გიყვართ, – ჩემს მოკლე ქვედაბოლოზე მიმანიშნა, რომელიც ბაბუას ძველი ფარდებისგან მე თვითონ შევკერე სამოციანი წლების მოდის გავლენით და ემილიო პუჩის სტილში.

მამამ რომ პირველად ამ კაბაში დამინახა, წამოიძახა: „ლუ, თავი ხელში აიყვანე, შვილო“ და ხუთი წუთი ხარხარებდა.

– ვიფიქრებდი, რისი გაკეთება შემეძლო, რაც ძვირი არ დამიჯდებოდა, ვივარჯიშებდი, ცურვაზე ვივლიდი, მოხალისედ ვიმუშავებდი, არ ვიცი, ნებისმიერ რამეს ვიზამდი, – განაგრძო უილმა, – მუსიკას შევისწავლიდი, ვინმეს ძაღლს გავასეირნებდი შორს, ან...

– კარგი, კარგი, გასაგებია, – შევაწყვეტინე შეწუხებული ტონით, – მაგრამ მე თქვენ არ ვარ, უილ.

– გაგიმართლათ, რომ არ ხართ.

ცოტა ხანს ჩუმად ვისხედით. უილი სამზარეულოში შემოვიდა, სკამი წამოსწია, რომ ერთ სიმაღლეზე ვყოფილიყავით.

– კარგი, – ვთქვი მე, – თქვენ რას აკეთებდით სამსახურის მერე? რა იყო ასეთი ღირებული და მნიშვნელოვანი?

– სამსახურის შემდეგ დიდი დრო არ მრჩებოდა, მაგრამ ვცდილობდი, რომ რაღაც ყოველდღე გამეკეთებინა. მეკლდეურთა ცენტრში მივდიოდი და ვცოცავდი, ვთამაშობდი სკვოშს, დავდიოდი კონცერტებზე, ახალ რესტორნებს ვეძებდი...

– როცა ბევრი ფული გაქვს, ეგ ძალიან მარტივია, – გავაპროტესტე მე.

– დავრბოდი. ჰო, მართლა, – მიპასუხა, როცა გაოცებულმა წარბი ავწიე, – ახალი ენების სწავლას ვცდილობდი, იმ ქვეყნებისას, სადაც ერთ დღეს წასვლა მომინდებოდა. ვხვდებოდი მეგობრებს.... ან ადამიანებს, ვინც ჩემი მეგობრები მეგონა... – ერთხანს შეიცადა, – ვგეგმავდი მოგზაურობებს. ვეძებდი ადგილებს, სადაც ნამყოფი არ ვიყავი. ისეთი რამ მინდოდა, რაც შესაძლებლობების ზღვარზე გამატარებდა, გამომიწვევდა. ერთხელ ლამანში გადავცურე. დიახ... – თქვა, როცა შეწყვეტა დავაპირე, – ვიცი, რომ ამათგან ბევრი რამ ფულს მოითხოვს, მაგრამ ყველაფერი არა. თანაც, რა გგონიათ, ფული როგორ ვიშოვე?

– საკუთარი საქმიანობით, ხალხის ძარცვითა და გლეჯით.

– მივხვდი, ბედნიერებას რა მომანიჭებდა, ვკითხე საკუთარ თავს, რისი გაკეთება მინდოდა და გავწვრთენი თავი, რომ მეკეთებინა საქმე, რაც საშუალებას მომცემდა, ოცნებები ამეხდინა.

– ისე ლაპარაკობთ, თითქოს ძალიან ადვილია.

– ადვილია, – მიპასუხა უილმა, – საქმე ისაა, რომ ბევრი შრომაა საჭირო. ადამიანებს კიდევ შრომა ეზარებათ.

კარტოფილის გათლა დავამთავრე. ნაფრცქვენები ურნაში ჩავყარე, ღუმელში საღამოსთვის ტაფაც გავამზადე. მოვბრუნდი, სკამზე წელში გავიმართე და მაგიდას მის პირისპირ მივუჯექი.

– ესე იგი, სავსე ცხოვრება გქონდათ, ასე არაა?

– ჰო, მქონდა, – მანაც ახლოს მოიწია, სკამი ისევ წამოწია და თვალი თვალში გამიყარა, – ამიტომაა, რომ წყობიდან გამოგყავართ, კლარკ. იმიტომ, რომ ვხედავ თქვენში ნიჭს... – შეიშმუშნა, – ენერგიას, სილაღეს და...

– არ თქვათ, რომ პოტენციალს...

– პოტენციალს. ზუსტად, პოტენციალს. ვერაფრით გამიგია, აქ, ასეთი საცოდავი ცხოვრებით კმაყოფილი როგორ ხართ... ცხოვრებით, რომელიც ხუთი მილის რადიუსში

ეტევა და კაციშვილი არ მოიპოვება, რომ რაღაცით გაგაკვირვოთ, ბიძგი მოგცეთ, გაჩვენოთ რაღაც ისეთი, რაც თავბრუს დაგახვევთ, ღამით მოსვენებას დაგიკარგავთ.

– ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გინდათ, დამიმტკიცოთ, რომ რაღაც სხვას და უფრო ღირებულს უნდა ვაკეთებდე და არა თქვენ გიფრცქვნიდეთ აქ კარტოფილს.

– იმის თქმა მინდა, რომ თქვენი ცხოვრების მიღმა უზარმაზარი სამყაროა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ ჯერ კარტოფილს მომიმზადებთ, – გამიღიმა და თავი ვერ შევიკავე, რომ საპასუხოდ, მეც არ გამეღიმა.

– არ გგონიათ, რომ... – დავიწყე და აღარ დავამთავრე.

– მითხარით.

– არ გგონიათ, რომ ასე უფრო ძნელია თქვენთვის... ანუ... შეგუება უფრო ამიტომ გაგიჭირდათ? იმიტომ, რომ... ეს ყველაფერი გქონდათ ადრე...

– ვნანობ თუ არა, რომ მსგავსი ცხოვრებით ვიცხოვრე?

– უბრალოდ ვფიქრობ... უფრო ხომ არ გაგიმარტივდებოდათ, თუ... უფრო მოკრძალებულად იცხოვრებდით, სადად. როგორც ახლა ცხოვრობთ.

– არასდროს, არასდროს ვინანებ, რაც გამიკეთებია. იმიტომ, რომ როდესაც ამ ეტლში ხარ გაჭედილი მთელი დღეები, მეტწილად მხოლოდ მოგონებები დაგრჩენია, – გამიღიმა, მაგრამ, თითქოს, ნაძალადევად, – ასე რომ, თუ მკითხავთ, ხომ არ მირჩევნია, რომ მოგონებებად მხოლოდ ამ ქალაქის ციხესიმაგრის ხედები მებადოს რომელიმე პატარა მაღაზიიდან, ან თუნდაც ხელნაკეთი ნივთების კოხტა დახლები ღია ცის ქვეშ, გეტყვით, რომ არა. შესანიშნავად ვიცხოვრე, მადლობა.

მაგიდას მოვშორდი. არ ვიცი, ეს როგორ და რატომ ხდებოდა, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, რომ კუთხეში მიმაწყვდიეს. ჭურჭლის სალაგიდან კარტოფილის დასაჭრელად დაფა და დანა ავიღე.

– და კიდევ, ლუ, ბოდიში. სანაძლეოს გამო.

– კარგი, მიღებულია, – შევბრუნდი და დაფა წყლის ჭავლს მივუშვირე, – მაგრამ იმის იმედი ნუ გექნებათ, რომ ათგირვანქიანს დაგიბრუნებთ.

* * *

ორი დღის შემდეგ უილი ინფექციის გამო საავადმყოფოში აღმოჩნდა. მხოლოდ პროფილაქტიკის მიზნით, როგორც ამბობდნენ. მაგრამ ყველასთვის ცხადი იყო, რომ აუტანელი ტკივილი სტანჯავდა. კვადრიპლეგიის მქონე ზოგიერთი ადამიანი შეგრძნებებს მთლიანად კარგავს, მაგრამ უილი უგრძნობელი მხოლოდ ტემპერატურის მიმართ იყო, მკერდს ქვემოთ ტკივილსაც გრძნობდა და შეხებასაც. მის სანახავად ორჯერ მივედი, მუსიკალური დისკები და გემრიელი საჭმელი მივუტანე. შევთავაზე დავრჩები-მეთქი, მაგრამ უარი მივიღე და მალევე მივხვდი, უილს დამატებითი ყურადღება არ სჭირდებოდა. მითხრა, სახლში წადი და დრო საკუთარ თავს დაუთმეო.

ერთი წლით ადრე ამ რამდენიმე თავისუფალ დღეს დაუნანებლად გავფლანგავდი, შეიძლება ერთ-ორ მაღაზიაში შემევლო, ან პატრიკთან ერთად მესადილა. ვუყურებდი შუადღის გადაცემებს ტელევიზორში, შეიძლება ტანსაცმლის დალაგებაც მეცადა. ბევრს

ვიძინებდი. ახლა კი, მოუსვენრობამ შემიპყრო და ადგილს ვერ ვპოულობდი. მიზეზი მჭირდებოდა, რომ ადრე წამოვმხტარიყავი და საქმე მეკეთებინა.

ნახევარი დილა გავიდა, სანამ მივხვდი, რომ დროის გამოყენება უფრო სასარგებლოდაც შემეძლო. ბიბლიოთეკაში წავედი და მოკვლევა დავიწყე. ვნახე ყველა საიტი, რომელთაც მივაგენი კვადრიპლეგიის შესახებ. ვეძებდი იდეებს, რა შეიძლებოდა გვექნა, როცა უილი უკეთესად გახდებოდა. ვადგენდი სიებს, თითოეულ პუნქტს ვუწერდი რა აღჭურვილობა დაგვჭირდებოდა, ან რა დაბრკოლებებს შეიძლებოდა გადავყროდით. აღმოვაჩინე ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ადამიანების ფორუმები და მივხვდი, რომ უილის მდგომარეობაში ათასობით ქალი და კაცი იყო, მიკარგულები სადღაც ლონდონის, სიდნეის, ვანკუვერის ხმაურიან რიტმში, ან სადღაც აქვე, გზის გადაღმა სახლში. მათ ეხმარებოდენ მეგობრები, ოჯახის წევრები, ზოგიერთი კი, სამწუხაროდ, ხანდახან სრულიად მარტო იყო.

მე ერთადერთი მომვლელი არ ვიყავი, ვინც მსგავსი ფორუმების საშუალებით ინფორმაციის მოძიებას ცდილობდა. აქ იყვნენ შეყვარებული გოგოები, რომლებიც კითხულობდნენ, როგორ დახმარებოდნენ პარტნიორებს, რომ საკუთარი თავის რწმენა დაებრუნებინათ, აქ იყვნენ ქმრები, რომლებიც ითხოვდნენ რჩევებსა და რეკომენდაციებს უკანასკნელი ტექნოლოგიების შესახებ. აქვე იყო უამრავი ფოტო და ვიდეო, რომელიც რეკლამას უწევდა სხვადასხვა ტიპის ეტლებს – სოფლისა თუ მთის გზებზე მავალთ, პროგრამირებულ სმარტ-ეტლებს, საბანაო ეტლებსა და ა.შ.

საუბარში კოდებს იყენებდნენ, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ „ზტდ“ არის ზურგის ტვინის დაზიანება, „შშმ“ – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, შბი – შარდის ბუშტის ინფექცია. გავიგე, რომ C45 მალების არეში მიღებული ტრავმა უფრო მძიმეა, ვიდრე C1112 ტრავმა, რომლის შემთხვევაშიც მკლავებისა და გულმკერდის მობილობა ნარჩუნდება. აქ იყო უამრავი ისტორია დიდი სიყვარულისა და დიდი დანაკარგებისა; პარტნიორებისა, რომლებიც ცდილობდნენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეუღლეებს გამკლავებოდნენ; მშობლებისა, რომელთაც ასეთი შვილები ჰყავდათ. აქ ვნახე ცოლები, რომლებიც თავს დამნაშავედ გრძნობდნენ იმის გამო, რომ ღმერთს ეხვეწებოდნენ, ქმარს მათთვის ხელი ვეღარასდროს დაეკარებინა და ლოცვა ასე აუხდათ. აქ იყვნენ ქმრები, რომელთაც უნდოდათ, რომ ტრავმირებული ცოლები მიეტოვებინათ, მაგრამ საზოგადოების რეაქციისა ეშინოდათ. აქ იყო სასოწარკვეთა, დაღლა და ბევრი შავი იუმორი – ხუმრობები კათეტერიდან გამომავალი შარდის პაკეტების გასკდომაზე, იმ ადამიანების სულელურ ქცევებზე, ვისაც კეთილი განზრახვები ამოძრავებდა, ისტორიები სიმთვრალეზე. არც ეტლიდან გადმოვარდნა უკვირდა ვინმეს. იყო თემები თვითმკვლელობაზე: წერდნენ ადამიანები, რომელთაც თავის მოკვლა უნდოდათ და წერდნენ ისინიც, ვინც მათ არწმუნებდნენ, რომ მეტი დრო მიეცათ საკუთარი თავისთვის, ესწავლათ სხვაგვარად ცხოვრება. ვკითხულობდი თითოეულ ამ თემას და ვგრძნობდი, რომ უილის ტვინში ოდნავ შეხედვა უკვე შემეძლო.

ღრმად ჩავისუნთქე და ტექსტი ავკრიფე:

„გამარჯობა. ჩემი მეგობარი, რომელსაც ვუვლი, კვადრიპლეგიის მქონეა, 35 წლის არის და C56 მალების ტრავმა აქვს. ადრე წარმატებული ადამიანი იყო და ცხოვრების დინამიკური სტილი ჰქონდა. თავის ახლანდელ მდგომარეობასთან შეგუება ძალიან უჭირს. უფრო სწორად, ვიცი, რომ სიცოცხლე არ უნდა. ვცდილობ, ვიპოვო გზა, რომ გადავაფიქრებინო. შეგიძლიათ ვინმეს, რომ რამე მირჩიოთ? ნებისმიერი იდეა, ნებისმიერი რამ, რაც შეიძლება, რომ მოეწონოს. აზრი როგორ შევაცვლევინო? ველი თქვენს გამოხმაურებას. ნებისმიერი რჩევა ძალიან გამომადგება.“

ფორუმზე „მუშა ბზიკი“ დავირქვი. სკამის საზურგეს გადავაწექი და ერთხანს ფრჩხილებს ვიკვნეტდი, სანამ ბოლოს და ბოლოს გავბედე, რომ ტექსტი ფორუმზე დამედო.

* * *

მომდევნო დილით კომპიუტერს რომ მივუჯექი, ჩემს თემაში 14 გამოხმაურება დამხვდა. ავტორიზაცია გავიარე და თვალებს არ დავუჯერე, როცა დავინახე სახელები, რომელთა უკან იდგნენ რეალური ადამიანები და რომელთაც, გასული დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში, მთელი მსოფლიოდან მოეწერათ თავისი მოსაზრებები. პირველი გამოხმაურება ასეთი იყო:

„ძვირფასო მუშა ფუტკარო,

კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩვენს ფორუმზე. დარწმუნებული ვარ, შენი მეგობრისთვის ისიც დიდი ნუგეშია, რომ ჰყავს ადამიანი, რომელიც მასზე ასე ზრუნავს“, – ვერ დაგეთანხმები, ვიფიქრე ჩემთვის, – „უმეტესობა ჩვენგანისთვის ეს უცხო არ არის. ადრე თუ გვიან, სასოწარკვეთილებაში ყველა ვვარდებით. შენს მეგობარსაც ასე მოუვიდა. არ მისცე უფლება, რომ ხელი გკრას. შეინარჩუნე კარგი განწყობა. შეახსენე, რომ მისი და არცერთი ჩვენგანის გადასაწყვეტი არ არის, როდის მოვალთ ამ სამყაროში და როდის წავალთ. ეს ღმერთის საქმეა. შეუცნობელ არიან გზანი უფლისა, მან თქვენს მეგობარს ასეთი განსაცდელი მოუვლინა და შესაძლოა, ეს არის გაკვეთილი, რომ მან“...

კითხვა აღარ გამიგრძელებია, შემდეგ გამოხმაურებაზე გადავედი:

„ძვირფასო ბზიკო,

ვერაფერს გააწყობთ, კვადრიპლეგიით ცხოვრება ძნელია. თუ თქვენი მეგობარი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა და ბედთან თამაში უყვარდა, მისთვის ეს კიდევ უფრო ძნელი იქნება. აი, მე რა დამეხმარა: მეგობრებთან ერთად ყოფნა (მაშინაც კი, როცა ეს არ მინდოდა), გემრიელი საჭმელი, კარგი ექიმები, კარგი მედიკამენტები, ანტიდეპრესანტებიც, როცა ეს საჭირო იყო. არ გითქვამთ, სად ცხოვრობთ, მაგრამ მსგავსი დაზიანების მქონე სხვა ადამიანებს თუ გაიცნობს და დაელაპარაკება, ესეც შეიძლება, დაეხმაროს. თავიდან ყველაფერზე მეც უარს ვამბობდი (გულის სიღრმეში შეიძლება იმის აღიარებაც არ მინდოდა, რომ მეც შეზღუდული შესაძლებლობა მქონდა), მაგრამ როცა იცი, რომ შენ ერთი არ ხარ ამ მდგომარეობაში, ეს ძალიან გეხმარება. და კიდევ... არავითარ შემთხვევაში აყურებინოთ ფილმები, როგორიცაა, მაგალითად, „სკაფანდრი და პეპელა“. ხასიათს გაუფუჭებს და მეტი არაფერი!

მოგვიყევით, მომავალში რა მოხდება.

საუკეთესო სურვილებით,
რიჩი“

„სკაფანდრი და პეპელა“ მოვძებნე. „ამბავი კაცისა, რომელმაც ინსულტი გადაიტანა, რის შემდეგაც პარალიზებული დარჩა და ამბავი მისი მცდელობებისა, არ გაეწყვიტა კავშირი გარესამყაროსთან“, – ეწერა ვებგვერდზე. ფილმის სათაური ბლოკნოტში ჩავინიშნე. არ ვიცი იმიტომ, რომ არ დამვიწყებოდა, უილს ეს ფილმი არ უნდა ენახა, თუ პირიქით, მე თავად რომ მენახა.

მომდევნო ორი გამოხმაურებიდან ერთი მეშვიდე დღის ადვენტისტისგან იყო და მეორე – მამაკაცისგან, რომელიც უილის გამოცოცხლებას და გახალისებას ისეთი საშუალებებით მირჩევდა, რაც ნამდვილად არ შედიოდა ჩემს შრომით ხელშეკრულებაში. გავწითლდი და სასწრაფოდ გადავედი მომდევნო გამოხმაურებაზე, თითქოს ვინმე ეკრანს შეხედავდა ჩემს ზურგს უკნიდან და წაიკითხავდა, რაც იქ ეწერა. მომდევნო წერილზე შევჩერდი:

„გამარჯობა, მუშა ბზიკო,

რატომ გგონია, რომ შენმა მეგობარმა, თუ პაციენტმა, თუ რაც არის, აუცილებლად აზრი უნდა შეიცვალოს? მე რომ შემეძლოს, გამოვნახო გზა, სიცოცხლე ღირსეულად დავასრულო და ზიანი არ მივაყენო ოჯახს, აუცილებლად ვიზამდი ამას. უკვე რვა წელია, ამ ეტლს ვარ შეწებებული. მთელი ჩემი ცხოვრება მუდმივი დამცირებებისა და იმედგაცრუებების ჯაჭვია. შენ გგონია, რომ მისი გაგება, მის ადგილას თავის წარმოდგენა შეგიძლია? იცი, რას ნიშნავს, რომ შენს ნებაზე მოფსმაც არ გამოგდის? იცი, რას ნიშნავს, როცა სანამ არ აგაყენებენ, საწოლში უნდა იწვე და ვეღარასდროს შეჭამ, ჩაიცვამ, ან გექნება კონტაქტი ვინმესთან სხვისი დახმარების გარეშე? იცი, რას ნიშნავს, აღარ გქონდეს სექსი? იცი, რას ნიშნავს, უყურო ნაწოლებს, მუდმივად ავად ხდებოდე... სასუნთქი აპარატებიც რომ აუტანელი ხდება, იცი? კარგი ადამიანი ჩანხარ და დარწმუნებული ვარ, მისთვის კარგი გინდა. მაგრამ წარმოიდგინე, მომავალ კვირას შეიძლება შენ არ იყო მისი დამხმარე. შეიძლება, ეს სამსახური ისეთმა ადამიანმა შეასრულოს, ვინც მას დეპრესიაში აგდებს, ან უბრალოდ, არ მოსწონს. ისევე, როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში, აქაც ვერაფერს გააწყობს. მას არ აქვს არჩევანი. ჩვენ, ადამიანებმა ზურგის ტვინის დაზიანებით, ვიცით, რომ ჩვენ ხელთ ძალიან ცოტა რამეა, ჩვენ არ ვირჩევთ, ვინ გვაჭმევს, ჩაგვაცმევს, დაგვბანს, წამალს დაგვალევინებს. როცა ეს იცი, ცხოვრება ძალიან ძნელია. ასე რომ, მე მგონია, შენ კითხვას საერთოდ არასწორად სვამ. რა იცით თქვენ, ვინც შეზღუდვის გარეშე ცხოვრობთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება? თუ შენს მეგობარს ასე ცხოვრება აღარ უნდა, მაშინ სწორი კითხვა იქნებოდა, როგორ შეგიძლიათ თქვენ დაეხმაროთ, რომ ამას ბოლო მოუღოს?
საუკეთესო სურვილებით,
რაკეტა, მისური, აშშ“

თითები კლავიატურაზე გამიშეშდა. მერე ქვემოთ ჩავუყევი. მომდევნო რამდენიმე გამოხმაურება სხვა კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებისგან იყო, რომლებიც „რაკეტას“ მისი უიმედო მიდგომების გამო აკრიტიკებდნენ. პროტესტს გამოთქვამდნენ, რომ მათ განაგრძეს ცხოვრება და ეს ნამდვილად ღირდა. მოკლე შეკამათება იყო, რასაც უილთან საერთოდ არ ჰქონდა კავშირი. მერე კი მსჯელობა ისევ ჩემს თხოვნას უბრუნდებოდა. იყო

შემოთავაზებები ანტიდეპრესანტებზე, მასაჟზე, საუბრობდნენ სასწაულებრივ გამოჯანმრთელებაზე, ფორუმის კონკრეტულ მომხმარებლებზე, რომლთაც ცხოვრებას ახლებურად შეხედეს და ახალი ფასი შესძინეს მას. იყო რამდენიმე პრაქტიკული წინადადებაც: ღვინის დეგუსტაცია, მუსიკა, ხელოვნება... განსაკუთრებით კი – ადაპტირებული კლავიატურები.

„შეყვარებული...“ – წერდა ვინმე „გრეის-31“ ბირმინგემიდან, – „თუ შეუყვარდება, სიცოცხლეზე გული მოუბრუნდება. ამის გარეშე, მე პირადად, ვერ გადავრჩებოდი.“

ეს ფრაზა დიდხანს მიტრიალებდა თავში მას მერეც, რაც ბიბლიოთეკა დავტოვე.

* * *

უილი საავადმყოფოდან ხუთშაბათს გამოწერეს. ადაპტირებული მანქანით დავხვდი და სახლში წამოვიყვანე. ფერმკრთალი იყო და დაღლილი, მთელი გზა ფანჯრიდან თითქმის უხმოდ იყურებოდა.

– საავადმყოფოში გამოძინება შეუძლებელია, – მიპასუხა, როცა ვკითხე, ხომ ყველაფერი რიგზე ჰქონდა, – როგორც კი ჩაგთვლემს, სადღაც გვერდით ვიღაც აუცილებლად დაიწყებს კვნესას.

ვუთხარი, შაბათ-კვირის ჩათვლით დაისვენეთ და მერე დიდი გეგმები გვაქვს-მეთქი. ვუთხარი ისიც, რომ მის რჩევას ვითვალისწინებდი და ახალი გამოცდილებების მიღება მინდოდა. ამიტომ, მოუწევდა, რომ გამომყოლოდა. მიდგომა ოდნავ შევცვალე, მაგრამ ვიცოდი, ეს იყო ერთადერთი გზა, რომ დამეთანხმებინა.

სინამდვილეში კი მომდევნო ორი კვირისთვის დეტალურად გაწერილი გეგმა მქონდა. თითოეული გასვლა კალენდარზე შავად მქონდა აღნიშნული, წითლად მქონდა მიწერილი, რა უნდა გამეთვალისწინებინა წინასწარ, ხოლო მწვანედ – აღჭურვილობა და დამხმარე საშუალებები. ყოველ ჯერზე, როცა ჩემი ოთახის კარს შევხედავდი, კმაყოფილების გრძნობა მეუფლებოდა, იმიტომ, რომ ასეთი ორგანიზებული ვიყავი და კიდევ იმიტომ, რომ რომელიმე ამ დღეს შეეძლო უილის ცხოვრებასთან დამოკიდებულება შეეცვალა. როგორც მამაჩემი ამბობს ხოლმე, ჩემი და ჩვენი ოჯახის ტვინია.

სტუმრობა სახელოვნებო გალერეაში ოც წუთსაც არ გაგრძელდა. გაითვალისწინეთ, ამ დროში შედიოდა წრიალი სამ შენობას შორის მანქანის დასაყენებელი ადგილის საპოვნელად. შევედით. კარებიც არ მქონდა მიხურული, რომ წამოიძახა, ყველა ნამუშევარი საზიზღრობაა. როცა ვკითხე, რატომ-მეთქი, მიპასუხა, თავად თუ ვერ ამჩნევთ, მე ვერ აგიხსნითო. კინოში წასვლის იდეაზეც უარი ვთქვით, რადგან პერსონალმა ბოდიშის მოხდით შეგვატყობინა, რომ ლიფტი გაფუჭებოდათ. კიდევ იყო წარუმატებელი მცდელობა საცურაოდ წასასვლელად, რომელიც, ერთი მხრივ, მეტ დროს მოითხოვდა დასაგეგმად (წინასწარ უნდა დამერეკა აუზზე, შევთანხმებოდი ნათანს, რომ ჩვენთვის დამატებით დრო დაეთმო). მერე კი, როცა, ბოლოს და ბოლოს, მივედით ძვირადღირებულ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრთან, სადაც აუზი იყო, უილმა მანქანაში ცხელი შოკოლადი უხმოდ დალია და მანქანიდან გადმოსვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

მომვალ ოთხშაბათ საღამოს ერთი მომღერლის კონცერტზე წავედით, რომელიც უილს ერთხელ ადრე ნიუ-იორკში მოესმინა. ეს კარგი საღამო გამოგვივიდა.

მომდევნო დღეს ღვინის სადეგუსტაციოდ წავიყვანე. ღონისძიება სარეკლამო იყო და მოაწყო ღვინის ცნობილმა მაღაზიამ, რომელსაც საკუთარი ვენახები და მარნები ჰქონდა. ნათანს დავპირდი, არ დავათრობ-მეთქი. ჭიქა უილის ცხვირთან მიმქონდა და ისიც იქამდე ხვდებოდა, რა ღვინო იყო, სანამ გასინჯავდა. ძლივს შევიკავე თავი, ხარხარი არ ამეტეხა, როცა უილმა ღვინის ფიალაში გადმოაფურთხა (მერწმუნეთ, მართლა სასაცილო სანახავი იყო), მან კი შემომხედა და მითხრა, ნამდვილი ბავშვი ხართო. მაღაზიის მეპატრონე თავს არაადეკვატურად და შოკირებულად აღარ გრძნობდა, ეტლით მოსარგებლე კლიენტი რომ ეწვია და ახლა უკვე შთაბეჭდილების ქვეშ იყო. უილს ჩამოუჯდა და ახალი ბოთლები გახსნა, განიხილავდნენ რეგიონს, საიდან იყო ღვინო, რომელი ყურძნისგან დაემზადებინათ და ა.შ. მე აქეთ-იქით დავბოდიალობდი და ეტიკეტებს ვათვალიერებდი. მართალი გითხრათ, უკვე გაბეზრებული ვიყავი.

– მოდით, კლარკ, და ისწავლეთ, – დამიძახა უილმა და თავით მანიშნა გვერდით მივჯდომოდი.

– არ შემიძლია, დედაჩემმა მასწავლა, ფურთხება უზრდელობაა.

მამაკაცებმა ერთმანეთს ისე გადახედეს, თითქოს გიჟი ვიყავი. ყოველ ჯერზე ნამდვილად არ აფურთხებდა. ვუყურებდი. მთელი დარჩენილი დღე უჩვეულოდ ენაწყლიანი იყო, იცინოდა, უფრო მეტადაც მკბენდა.

მერე კი, სახლისკენ გზად, როცა ერთ პატარა ქალაქზე გამოვიარეთ, რომლისთვისაც ჯერ გვინდოდა, გვერდი აგვევლო, ახლა კი საცობში ვიყავით გაჭედილები, გზის გადაღმა ტატუსა და პირსინგის სალონი დავინახე.

– სულ მინდოდა, რომ ტატუ გამეკეთებინა, – ვთქვი მე.

აქამდეც უნდა მივმხვდარიყავი, რომ უილის თანდასწრებით რაღაცის ასე წამოროშვა არ შეიძლება. თვითონ შემთხვევით არაფერს ამბობდა სიტყვის მასალად და არც შენ მოგცემდა ამის საშუალებას. მაშინვე დაინტერესდა, მაშ, რატომ არ მქონდა ტატუ.

– ალბათ, იმან შემაჩერა, რომ შემეშინდა, რას იტყოდნენ სხვები, – ვუპასუხე მე.

– რატომ? რას იტყოდნენ?

– მამაჩემი ვერ იტანს სვირინგებს.

– შემახსენეთ, რამდენი წლის ხართ?

– ვერც პატრიკი იტანს.

– და თვითონაც არასდროს აკეთებს რამეს, რაც თქვენ არ მოგწონთ, არა?

– შეიძლება, კლაუსტროფობია დამემართოს. ან ხომ შეიძლებოდა, ჯერ გამეკეთებინა და მერე გადამეფიქრებინა.

– ლაზერით მოიშორებდით, რა პრობლემაა?

მანქანის სარკეში გავხედე. თვალები ეშმაკურად უციმციმებდა.

– კარგი, როგორ ტატუს გაიკეთებდით?

– გველს არა, ყოველ შემთხვევაში, არც ვინმეს სახელს, – მივხვდი, რომ ყურებამდე ვიღიმოდი.

– ალბათ, არც გულის ფორმაში დაწერილ „დედას“. და მაინც?
– მპირდებით, რომ არ გაიცინებთ?
– ხომ იცით, რომ მაგას ვერ დაგპირდებით. ღმერთო ჩემო, ახლა არ მითხრათ, რომ რაიმე ანდაზა გინდათ სანსკრიტზე ან მსგავსი, მაგალითად, „რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს.“
– არა, ბზიკს ამოვისვირინგებდი. პატარა შავყვითელ ბზიკს. მიყვარს ეგენი.
თავი დამიქნია, თითქოს ამაში ნამდვილად იყო გონივრულობის მარცვალი.
– რა ადგილზე გაიკეთებდით? თუ ეს აღარ უნდა მეკითხა?
მხრები ავიჩეჩე.
– არ ვიცი. მხარზე?.. თეძოზე?..
– შეუხვიეთ.
– რატომ? ცუდად ხომ არ ხართ?
– შეუხვიეთ უბრალოდ. აი, შეხედეთ, მანქანის დასაყენებელი ადგილია. შეხედეთ, მარცხნივ.
მანქანა ტროტუარზე შევაყენე და გავხედე.
– წავედით. დღეს მაინც არ გვაქვს სხვა გეგმები.
– სად წავედით?
– ტატუს სალონში.
სიცილი ამიტყდა.
– ჰო, როგორ არა.
– რატომაც არა?
– რაღაც ითაღლითეთ დღეს, მგონი, ღვინოს კი არ აფურთხებდით, ყლაპავდით.
– კითხვაზე არ მიპასუხეთ.
შემოვუტრიალდი. ნამდვილად არ ხუმრობდა.
– არ შემიძლია, ასე უბრალოდ ავდგე და ტატუ გავიკეთო. ვითომც არაფერიაო.
რატომ არა?
– იმიტომ, რომ...
გზის გადაღმა ტატუს სალონის ვიტრინას შევხედე. გასაწმენდ მინაზე დიდი ნეონის გული ციმციმებდა. რამდენიმე ფოტოც მიეკრათ, ანჯელინა ჯოლისა და მიკი რურკის მოჩარჩოებული გამოსახულებით.
ვფიქრობდი, მაგრამ უილმა შემაწყვეტინა.
– კარგი, მეც გავიკეთებ, თუ თქვენც გაიკეთებთ.
თვალებში შევხედე.
– ტატუს გაიკეთებთ?
– თუ ამით დაგარწმუნებთ, რომ ერთხელ მაინც ცხოვრებაში საკუთარი ნაჭუჭიდან ამოძვრეთ, ნამდვილად გავიკეთებ.
ძრავი გამოვრთე. ვისხედით და მის ტკაცუნს ვუსმენდით, ფანჯრებიდან მანქანების გზაზე ჩუმი ზრიალი შემოდიოდა.
– ტატუ ხომ საკმაოდ მუდმივია.
– „საკმაოდ“ რა შუაშია. ნამდვილად მუდმივია.

– პატრიკი გაგიჟდება.
– ეგ უკვე მითხარით.
– ამ საეჭვო სალონში ბინძური ნემსები ექნებათ, ჰეპატიტს ავიკიდებთ და ნელა, ტანჯვითა და ტკივილით დავიხოცებით, – მივუბრუნდი უილს, – არა მგონია, რომ ახლა ტატუს გაკეთება შეძლონ, აი, ასე ახლავე.
– შეიძლება, მაგრამ შევიდეთ და ვსინჯოთ.

* * *

ორი საათის შემდეგ ტატუს სალონიდან გამოვედით, ჩემი საფულე ოთხმოცი ფუნტით შემსუბუქდა, მენჯზე კი, სადაც ჯერ კიდევ შესაშრობი იყო საღებავი, ქირურგიული სალბუნი მედო. პატარა ტატუ გვაქვს გასაკეთებელი, პრობლემა არ არისო, მითხრა არტისტმა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დღესვე, ერთი სტუმრობის ფარგლებში, შეიძლებოდა ჩემი ბზიკის კონტურების მოხაზვაც და შეფერვაც. ასე იყო ეს ამბავი, დავიწყეთ, დავამთავრეთ და მე გავხდი სვირინგიანი გოგო. ან, როგორც, ეჭვი მაქვს, პატრიკი იტყოდა, სამუდამოდ დავიმახინჯე თავი. თეთრი სალბუნის ქვეშ პატარა მსუქანა ბზიკი მყავდა, რომელიც იმ კატალოგიდან ავარჩიე, მხატვარმა შესვლისთანავე რომ მოგვაჩეჩა. გული საგულეში აღარ მეტეოდა, ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი. წარამარა სალბუნს მაღლა ავწევდი და შევხედავდი ხოლმე, სანამ უილმა არ მითხრა, გეყოფა, თორემ ასე თუ გააგრძელე, გადადღაბნიო.
უილი სალონში მშვიდი და ხალისიანი ჩანდა. თანაც საკმაოდ. ზედმეტი ყურადღებით არავის შეუწუხებია. როგორც აღმოჩნდა, მანამდე ჰყოლიათ კვადრიპლეგიის მქონე კლიენტები, რითაც აიხსნებოდა უილთან ეს ძალდაუტანებელი დამოკიდებულება. გაუკვირდათ, როცა უილმა უთხრა, რომ ნემსის ჩხვლეტას გრძნობდა. ექვსი კვირით ადრე დაესრულებინათ დიდ სვირინგზე მუშაობა პარაპლეგიის მქონე ადამიანთან, რომელსაც ფეხი მთლიანად ისე მოეხატა, ვითომ მექანიკური კიდური ჰქონდა.
მხატვარმა, რომელსაც ყურში საყურედ ჭანჭიკი ჰქონდა გაყრილი, უილი სხვა ოთახში გაიყვანა და ჩემი არტისტის დახმარებით სპეციალურ მაგიდაზე დააწვინა. ასე რომ, ღია კარიდან მხოლოდ მის წვივებს ვხედავდი. ნემსის ბზუილთან ერთად მამაკაცების ხმადაბალი საუბარი და სიცილი მესმოდა. ნესტოებს ანტისეპტიკური საშუალებების სუნი მიღიზიანებდა.
როდესაც პირველად მიჩხვლიტეს ნემსი, ტუჩებს კბილებით ჩავაფრინდი. ჩემს კრუსუნს უილს არ მოვასმენინებდი. თან იმაზე ვფიქრობდი, მასთან რა ხდებოდა. ვცდილობდი ყური დამეგდო, მაინტერესებდა, რას იკეთებდა.
– ჩემზე საშინელ გავლენას ახდენთ, უილ ტრეინორ, – ვუთხარი, როდესაც მანქანის კარი გავაღე და პანდუსი გადმოვუშვი. ისევ აღტაცებული ვიყავი.
– მაჩვენეთ.
ქუჩას გავხედე, მერე შევბრუნდი და მენჯზე დაკრული სალბუნი ცოტა ჩამოვწიე.
– კარგია. მომწონს თქვენი ბზიკი. მართლა.

– ამიერიდან მომიწევს მთელი ცხოვრება მშობლების თანდასწრებით მაღალწელიანი შარვლები ვატარო.

დავეხმარე, რომ ეტლით პანდუსზე მოხერხებულად მოთავსებულიყო და ავწიე.

– დედათქვენი რომ გაიგებს, რომ ტატუ თქვენც გაიკეთეთ...

– ვეტყვი, რომ ერთმა გოგომ გზას ამაცდინა.

– კარგი, ტრეინორ, ახლა თქვენიც მაჩვენეთ.

ცალყბა ღიმილით დაჟინებით შემომხედა.

– სახლში რომ მივალთ, სალბუნის გამოცვლა მოგიწევთ.

– თითქოს, მსგავსი ჯერ არაფერი მიქნია. მიდით. მაჩვენეთ. სანამ არ მაჩვენებთ, აქედან არსად წავალთ.

– მაისური ამიწიეთ, მარჯვნივ, თქვენგან მარჯვნივ.

მანქანის წინა სავარძლებზე გადმოვიხარე, მაისური ავუწიე და სალბუნი მოვაშორე. მის ფერდაკარგულ კანთან კონტრასტულად მუქი წარწერით სამკუთხედი იყო შეკრული იმდენად წვრილად ეწერა, მომიწია კარგად დავკვირვებოდი, რომ წამეკითხა.

„ვარგისია: 2007 წლის 19 მარტამდე“

თვალი ვეღარ მოვაშორე. გამეცინა და თან თვალები ცრემლებით ამევსო.

– ეს თარიღი...

– ჰო, როცა უბედური შემთხვევა მოხდა, – თვალები ზემოთ აღაპყრო, – ო, ღმერთო ჩემო. ნუ იწირპლებით, კლარკ. ეს ხომ სასაცილოა.

– სასაცილოა. შავი, მაგრამ მაინც სასაცილო ხუმრობაა.

– ნათანს მოეწონება. გეყოფათ, ისე ნუ იყურებით, თითქოს, იდეალური სხეული დავიმახინჯე.

მაისური ჩამოვუწიე, შევბრუნდი და მანქანა დავქოქე. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მეთქვა. ვერ ვხვდებოდი, მაინც რას ნიშნავდა მისი სვირინგი. იმას, რომ თავის მდგომარეობას ეგუებოდა და იუმორით უყურებდა, თუ ეს საკუთარ სხეულთან შეურიგებელი მტრობის მორიგი გამოხატულება იყო.

– კლარკ, რაღაც მინდა გთხოვოთ, – მითხრა, როცა ის იყო, მანქანა უნდა დამეძრა, – ჩემს ზურგჩანთაში, წინა ჯიბეში ხელი ჩაყავით.

სარკეში გავხედე. კიდევ ერთხელ მივტრიალდი და უკანა სავარძლებზე გადავიწიე. ხელი მის ჩანთაში ჩავყავი. იმ ჯიბეში, რომელზეც მიმითითა.

– ტკივილგამაყუჩებელი ხომ არ გინდათ? – მის სახეს რამდენიმე დიუიმი მაშორებდა. რაც საავადმყოფოდან გამოწერეს, სახეზე ასეთი კარგი ფერი ჯერ არ ჰქონია, – მეც მაქვს ჯიბეში...

– არა, კარგად ნახეთ.

რაღაც ქაღალდი ამოვიღე და სავარძელზე გავსწორდი. გაკეცილი ათგირვანქიანი იყო.

– ესეც კიდევ ერთი განუზრახველი შედეგი.

– ანუ?

– თქვენია.

– რისთვის?

– ტატუსთვის, – გულიანად გაეცინა, – სანამ ნემსი არ დაგადეს, მანამ არ მჯეროდა, რომ ამის გაკეთებას მართლა გაბედავდით.

XVI

გამოსავალს მაინც ვერ მივაგენით. ჩვენი ოჯახის ძილის მენეჯმენტი და საწოლებზე გადანაწილების გეგმა არ მუშაობდა. ყოველ ჯერზე, როცა ტრინა სახლში მოდიოდა, კლარკების ოჯახი საძინებლების მონაცვლეობის ღამისეულ ფერხულში ებმეოდა. პარასკევ საღამოს ვაშმობის შემდეგ დედა და მამა ტრინას საკუთარ საძინებელს სთავაზობდნენ, ტრინაც თანხმდებოდა, მას შემდეგ, რაც მშობლები მთელი გულმოდგინებით დაასაბუთებდნენ, რომ ეს მათ დისკომფორტს არ შეუქმნიდა, ტომასი კი მისთვის ნაცნობ ოთახში თავს კარგად იგრძნობდა. ასე ყველა კარგად გამოვიძინებთო, დააყოლებდნენ ხოლმე იმედიანად.

მაგრამ დედას და მამას ქვემოთ ოთახში დაძინება თავისთავად გულისხმობდა, რომ მათ საკუთარი საბანი, საკუთარი ბალიშები სჭირდებოდათ და კიდევ ზეწრებიც. იმიტომ, რომ თუ საწოლი ისე არ იქნებოდა გამართული, როგორც წესი და რიგი იყო, დედა ვერ დაიძინებდა. შესაბამისად, ვახშმის შემდეგ ის და ტრინა დედასა და მამას საწოლს თეთრეულს გადააძრობდნენ და ახალს დააგებდნენ ხოლმე, მატრასის დამცავის თანხლებით – თუ ვინიცობაა და ტომასს მარცხი მოუვიდოდა. ამასობაში, დედას და მამას ქვეშაგები, რამდენჯერმე გაკეცილი და ერთმანეთზე ახორხლილი, მისაღები ოთახის კუთხეში იყო განთავსებული. ტომასს თეთრეულში შეძრომა უყვარდა, ხან ზედ ხტუნავდა, ხან კიდევ ზეწარსა და კონვერტებს სკამებზე გადაჰფენდა, ქვეშ შეძვრებოდა და სათამაშო კარავს იწყობდა.

ბაბუამაც შემოგვთავაზა თავისი ოთახი, მაგრამ მისი დიდსულოვნებით არავის უსარგებლია. იქაურობა „რეისინგ სპორტის“ გაყვითლებული გაზეთებისა და „ოლდ ჰოლბორნის“ თამბაქოს სუნით იყო გაჟღენთილი. რამდენიმე დღე იქნებოდა საჭირო, რომ სუნი ოთახიდან გაგვეყვანა. თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. ყველაფერი ჩემი დაჟინების გამო ხდებოდა. მაგრამ ისიც ზუსტად ვიცოდი, რომ იმ კოლოფივით ოთახში ჩემი ფეხი აღარ იქნებოდა. ეს პატარა უფანჯრო ოთახი და მასში გატარებული წლები ლამის აჩრდილივით დამდევდა და ღამით მესიზმრებოდა. როცა წარმოვიდგენდი, რომ ისევ იქ შეიძლებოდა დამეძინა, მკერდის არეში რაღაც მომფხოჭნიდა ხოლმე. ოცდაშვიდი წლისა ვიყავი, ოჯახის მთავარი მარჩენალიც, ბოლოს და ბოლოს. ოთახში, რომელიც კარადას უფრო ჰგავდა, ვერ დავიძინებდი.

ერთხელ ოჯახს შევთავაზე, მოდით, ამჯერად მე პატრიკთან დავრჩები-მეთქი. ყველამ შვებით შემომხედა. თუმცა, ჩემ არყოფნაში ტომასმა ახალი ფარდები ტკბილეულით გაწებილი ხელებით ჩამოგლიჯა და ახალი საბანი პერმანენტული ფლომასტერით დამიჯღაბნა. ამის მერე მამამ და დედამ გადაწყვიტეს, რომ ჩემს ოთახში თვითონ დაეძინათ, ტრინას და ტომასს კი – მათ ოთახში, სადაც პერმანენტული ფლომასტერით შექმნილი ნახატები დიდად არავის დასწყვეტდა გულს.

იმის გათვალისწინებით, რომ საწოლიდან საწოლში და ოთახიდან ოთახში მოგზაურობა არ შეწყვეტილა, პლუს დამატებით სარეცხი მაინც გროვდებოდა, მე კიდევ სახლში არ ვიყავი, რაკი პარასკევ და შაბათ ღამეს პატრიკთან ვატარებდი, დედამ აღიარა, რომ ასეთი გამოსავალი დიდი ვერაფერი შეღავათი იყო ოჯახისთვის.

მერე კიდევ პატრიკი... პატრიკი ახლა მთელი არსებით მომავალ შეჯიბრზე იყო გადართული. იღვიძებდა, ჭამდა, სვამდა თუ სუნთქავდა, სულ „ექსტრემალური ვიკინგების“ იდეით იყო შეპყრობილი. მისი ბინა, სადაც ისედაც ცოტა ავეჯი იდგა და სულ გაწკრიალებული იყო, მოფენილიყო ფურცლებით, სადაც ან სავარჯიშო პროგრამა იყო გაწერილი, ან კვების რეჟიმი. ახალი სუპერმსუბუქი ველოსიპედი ჰყავდა, რომელიც შემოსასვლელში ეყენა. მისთვის ხელის მოკიდების უფლებაც არ მქონდა, შემთხვევით რომ იდეალურად ბალანსირებული შესაძლებლობები არ დამერღვია.

თვითონაც სახლში ძალიან იშვიათად იყო. პარასკევ და შაბათ საღამოსაც კი. მისი სავარჯიშო და ჩემი სამუშაო საათების გამო მივეჩვიეთ, რომ ერთად ძალიან ცოტა დროს ვატარებდით. შემეძლო, ან ბილიკზე გავყოლოდი და თვალი მედევნებინა, წრეზე როგორ დარბოდა, სანამ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის მილს არ გაირბენდა, ან სახლში უნდა დავრჩენილიყავი, მის ტყავის დივანზე ფეხებაკეცილი კუთხეში მივმჯდარიყავი და მარტოს ტელევიზორისთვის მეყურებინა. მაცივარში არასდროს ჰქონდა საჭმელი, გარდა ინდაურის გულმკერდის ხორცისა და ენერგეტიკული სასმელებისა, რომელთაც ბაყაყის ქვირითის გემო უფრო ჰქონდათ. ერთხელ მე და ტრინამ მოვსვით და ბავშვებივით ხელების სავსავით გადმოვაფურთხეთ უკან.

საქმე ის იყო, რომ პატრიკის ბინა საერთოდ არ მომწონდა. ერთი წლის წინ, როცა ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, რომ დედამისი მის გარეშეც გაიტანდა თავს, მაშინ იყიდა. ბიზნესის საქმე კარგად მისდიოდა და მითხრა, მნიშვნელოვანია, რომელიმე ჩვენგანმა მაინც თავის მომავალსა და ქონებაზე იზრუნოსო. ვიფიქრე, რომ ამას, ჩემი ვარაუდით, საცხოვრებლად ერთად გადასვლაზე საუბარი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. არცერთი ჩვენგანი ჰგავდა ადამიანს, რომელიც სასაუბროდ მისთვის არც ისე კომფორტულ თემას წამოსწევდა. შედეგად, ამ ბინაში ჩემს ნივთებს თვალსაც ვერ მოჰკრავდით, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელი გასულიყო, რაც ერთმანეთს ვხვდებოდით. მისთვის ეს არასდროს მითქვამს, მაგრამ მერჩივნა ჩემს სახლში მეცხოვრა, მთელ იმ ხმაურსა და ალიაქოთში, ვიდრე ამ მარტოხელა კაცისეულ უსულო და უსიცოცხლოსამყოფელში, მანქანებისთვის ინდივიდუალურად გამოყოფილი სადგომებითა და ნაქები ხედით ციხე-სიმაგრეზე.

თანაც, იქ თავს მარტოსულად ვგრძნობდი.

„რეჟიმს უნდა მივყვე, ფისო“ – მეუბნებოდა პატრიკი, თუ რამეზე დავიწუწუნებდი, – „ახლა რომ ამოვვარდე კალაპოტიდან და ოცდასამ მილზე ნაკლები ვირბინო, ძალიან გამიჭირდება.“ მერე მოაყოლებდა, როგორ ეჭიმებოდა წვივები და კუნთებში წვის შესამსუბუქებლად მალამოს მიწოდებას მთხოვდა.

როცა არ ვარჯიშობდა, თავისი გუნდის წევრებთან შეხვედრებზე დადიოდა, ერთმანეთის აღჭურვილობას ადარებდნენ და გასამგზავრებლად ბოლო დეტალებს ათანხმებდნენ. მათ მაგივრად, კორეელებთან რომ ვმჯდარიყავი, რომლებიც თავის ენაზე ილაპარაკებდნენ,

სხვაობას ვერც ვიგრძნობდი. წარმოდგენა არაფერზე მქონდა, რაზეც ეს ხალხი ლაპარაკობდა და არც იმის სურვილი მკლავდა, რომ გავრკვეულიყავი. არადა, შვიდ კვირაში ნორვეგიაში მათთან ერთად უნდა წავსულიყავი. ჯერ არ ვიცოდი, პატრიკისთვის როგორ მეთქვა, რომ ტრეინორები ამის შესახებ გაფრთხილებულები არ მყავდნენ. რა დროს შვებულება იყო? იმ პერიოდისათვის, ვიკინგების ექსტრემალური შერკინება რომ დასრულდებოდა, ჩემი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთ კვირაზე ნაკლები დრო იქნებოდა დარჩენილი. ამ საკითხზე ფიქრსაც კი, ბავშვივით ვარიდებდი თავს. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, როცა დავფიქრდებოდი, უილისა და მოწიკწიკე საათის მეტს ვერც ვხედავდი რამეს. სხვა ყველაფერმა მნიშვნელობა დაკარგა. ბედის ირონია კიდევ ის იყო, რომ პატრიკის სახლში ვერც კი ვიძინებდი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ როცა სამსახურში წასვლა იქიდან მიწევდა, მთელი დღე აღარც ხმა მიგავდა საკუთარს და თვალებიც ნაცემივით ჩამშავებოდა. სახელდახელო გამოსავალი ვიპოვე და ჩავარდნილ უპეებზე კონსილერის წასმა დავიწყე.

* * *

– რა ხდება კლარკ? – მკითხა უილმა.

თვალები გავახილე. ახლოს მოსულიყო, თავი ცალ მხარეს გადაეხარა და გვერდიდან დაკვირვებით მიყურებდა. მომეჩვენა, რომ ასე დიდხანს ვიყავით, მეც და ისიც. შევცბი და ხელით ავტომატურად ტუჩები მოვისინჯე, ძილში დორბლი ხომ არ წამომივიდა-მეთქი. ფილმისთვის უნდა გვეყურებინა. ეკრანზე კი უკვე ტიტრები ამოდიოდა.

– არაფერი, უკაცრავად. ძალიან თბილა აქ და...

წელში გავსწორდი.

– ბოლო სამ დღეში უკვე მესამედ დაგეძინათ, – სახეზე ისევ ყურადღებით მაკვირდებოდა, – საერთოდაც, საშინლად გამოიყურებით.

ავდექი და მოვუყევი. ვუამბე ჩემს დაზე, ოჯახურ პრობლემაზე – ვინ სად დაწვებოდა და დაიძინებდა, იმაზეც, რომ წუწუნს თავს ვარიდებდი, რადგან ყოველ ჯერზე, როცა მამას შევხედავდი, მის სახეზე ცუდად შენიღბული სასოწარკვეთა და თვითგვემა ჩანდა, რაკი საკუთარი ოჯახის უზრუნველყოფა ისე არ შეეძლო, რომ ყველას ნორმალურად დაეძინა.

– სამსახური ჯერ ვერ იშოვა?

– ვერა. ალბათ, ასაკის ბრალია. მაგრამ სახლში ამაზე არ ვლაპარაკობთ. ეს... – მხრები უმწეოდ ავიჩეჩე, – ამაზე ლაპარაკი ყველას გვეუხერხულება.

ისიც მეუხერხულებოდა, რომ უილს ჩემი პრობლემების შესახებ ვუყვებოდი. მის პრობლემებთან შედარებით, ეს ყველაფერი ისეთი წვრილმანი ჩანდა, რომ მცხვენოდა.

– მივეჩვევი, – დავამატე ცოტა ხანში, – არაფერი მიჭირს, მართლა.

მთელი შუადღე ჩაფიქრებული იყო. ხელ-პირი დავიბანე და კომპიუტერი გავუმართე. თავისი სასმელი რომ მივუტანე, ეტლი მკვეთრი მოძრაობით მოატრიალა.

– ძალიან მარტივად შეიძლება ყველაფრის მოგვარება, – ისე თქვა, თითქოს ეს წამია, ვსაუბრობდით, – შაბათ-კვირას შეგიძლიათ, აქ დარჩეთ ხოლმე. თავისუფალი ოთახიც გვაქვს, რომელიც სულ ცარიელია. ასე რამე ფუნქციას მაინც შეიძენს.

გავშრი და ფიალა ხელში გამიშეშდა.
– არ შემიძლია.
– რატომც არა? აქ ყოფნისთვის დამატებით ხელფასს კი არ გადაგიხდით.
ფიალა ეტლის დამჭერზე დავუდე.
– მაგრამ დედათქვენი რას იფიქრებს?
– წარმოდგენა არა მაქვს.
ეტყობა, ძალიან შეფიქრიანებული სახე მქონდა, რაკი მაშინვე დაამატა.
– შეგიძლიათ, არაფერზე იღელვოთ. საშიში არ ვარ.
– რა?
– თუ ის გაბრკოლებთ, რომ შემთხვევით რაიმე მზაკრული ჩანაფიქრი არ მქონდეს თქვენ შესაცდენად, შეგიძლიათ, უბრალოდ ეტლის დამტენი დამიმალოთ ხოლმე და ეგეც მოგვარდება.
– ნუ მაცინებთ.
– არა, მართლა. იფიქრეთ ამაზე. თუნდაც, როგორც სარეზერვო ვარიანტზე. ყველაფერი იმაზე სწრაფად იცვლება, ვიდრე შეიძლება გეგონოთ. მაგალითად, შეიძლება, ცოტა ხანში თქვენმა დამ სახლში ყოველი შაბათ-კვირის გატარება აღარ მოინდომოს. ან შეყვარებული გაიჩინოს. მილიონი რამ შეიძლება მოხდეს.
„მაგალითად, ორ თვეში თქვენც აღარ იყოთ“ – ვიფიქრე ჩემთვის, მაგრამ იმავე წამს საკუთარი თავი შემზიზღდა ამ ფიქრის გამო.
– მაგრამ ერთი რამ მითხარით, – მითხრა, სანამ ოთახიდან გავიდოდა, – თქვენმა მორბენალმა რატომ არ შემოგთავაზათ თავისი ბინა?
– შემომთავაზა, – ვუპასუხე მე.
შემომხედა. თითქოს, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მერე, როგორც ჩანს,გადაიფიქრა.
– ყოველ შემთხვევაში, – თქვა მან და მხრები შეარხია, – ჩემი წინადადება ძალაშია.

* * *

– ამას წინათ ქალაქში მამაჩემი გინახავთ.
– აჰ, დიახ, –სარეცხს ვფენდი. თოკები ბაღის იმ ნაწილში იყო, რომელსაც მისის ტრეინორი სამზარეულოს ეზოს ეძახდა. თავისი ნალოლიავები მცენარეების ფონი, ალბათ, არ უნდოდა, რომ ისეთ მიწიერ სანახაობას გაეფუჭებინა, როგორიც მზეზე გასაშრობად გაკიდული სარეცხია. დედაჩემი, მაგალითად, თეთრეულს ისე ამაყად და დემონსტრაციულად ფენდა, თითქოს, მთელი მისი ღირსება ამაში იყო ჩაქსოვილი. ეს თითქოს მეზობლების გამოწვევაც იყო. „ აბა, შეხედეთ და დამეწიეთ!“ მამას რომ არ გაეჩერებინა, შეიძლება, პირდაპირ ქუჩაშიც გაეფინა.
– მკითხა თქვენზე, რამე ხომ არ უთქვამსო.
– ოჰ.. – ვცადე სახეზე არაფერი დამტყობოდა. მერე კი, რაკი, როგორც ჩანს, ჩემგან რაღაც პასუხს ელოდა, დავამატე, – როგორც ხედავთ, არ მითქვამს.
– ვინმესთან ერთად იყო?

ბოლო სამაგრი უკან მათ შესანახ ტოპრაკში ჩავაბრუნე, გამოვკარი და სარეცხის ცარიელ კალათში ჩავდე. უილისკენ შევბრუნდი.

– დიახ.

– ქალთან ერთად.

– დიახ.

– წითელთმიანთან.

– დიახ.

ერთ წუთს ჩაფიქრდა.

– მაპატიეთ, თუ ფიქრობთ, რომ ეს თქვენთვის უნდა მომეყოლა, – ვუთხარი მე, – მაგრამ მე... მე ჩავთვალე, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო.

– ასეთ თემაზე საუბრის დაწყებაც არ არის ადვილი.

– დიახ.

– ეს თუ განუგეშებთ, კლარკ, პირველი შემთხვევა არ არის, – მითხრა უილმა და სახლში შევიდა.

* * *

ყოველდღე, როცა ტელევიზორს უყურებდა, ან რამე სხვა საქმით იყო დაკავებული, უილის კომპიუტერთან ვჯდებოდი. აქაც ვცდილობდი, რამე მეპოვა ისეთი, რაც უილს ბედნიერებას მიანიჭებდა. დრო მიდიოდა, მე კი უფრო და უფრო მიგრძელდებოდა სია ისეთი რამეებისა, რასაც ვერ გავაკეთებდით, ისეთი ადგილებისა, სადაც ვერ წავიდოდით. ამ სიამ უკვე დიდი ხანი იყო, გადააჭარბა იმ იდეებს, რისი განხორციელებაც რეალურად შეგვეძლო. თავიდან, როცა ეს მოხდა, ისევ ფორუმს მივმართე და მომხმარებლებს რჩევა ვთხოვე.

„ჰო, გამარჯობა!“ – მწერდა რიჩი – „კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს სამყაროში, მუშა გზიკო.“

მომდევნო გამოხმაურებებიდან გავიგე, რომ ეტლით მოსარგებლეებისთვის დათრობა დიდ რისკებს შეიცავდა – არასასურველ შემთხვევებს კათეტერებთან დაკავშირებით, ეტლიდან გადმოვარდნებს, სხვა მთვრალი მეგობრებისგან მოწყობილ უსიამოვნო სიურპრიზებს, მაგალითად, მისამართის არევას. გავიგე, რომ არ არსებობდა ადგილი, სადაც კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებისთვის ბოლომდე მოსახერხებელი სივრცე იქნებოდა, მაგრამ, აი, მაგალითად, პარიზი დედამიწის ზურგზე ყველაზე არამეგობრული გარემოთი გამოირჩეოდა ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის. ამან გული დამწყვიტა, რადგან სადღაც, გულის სიღრმეში, მაინც მქონდა იმედი, რომ იქ წასვლას მოვახერხებდით. ახალი სიის შედგენა დავიწყე – რა არ შეგიძლიათ გააკეთოთ კვადრიპლეგიის მქონე ადამიანთან ერთად:

ჩასვლა მეტროში (მეტროს სადგურების უმრავლესობას ლიფტი არ გააჩნდა. შესაბამისად, გამორიცხული იყო უამრავი რამ, რაც ლონდონის ნახევარში შეიძლებოდა გვეკეთებინა, თუ სულ ტაქსით არ ვიმოძრავებდით. გამორიცხული იყო დედაქალაქის უბრალოდ შემოვლა და გასეირნებაც).

წასვლა საცურაო აუზზე დახმარების გარეშე, ან თუ წყალი საკმარისად თბილი არ არის (წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიმე წუთში უილს სხეულის უნებლიე კანკალი დაეწყებოდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის განკუთვნილი გამოსაცვლელი ოთახებიც კი საწეველას გარეშე არ იყო გამოყენებადი კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებისთვის. ამის გარეშე წყალში ჩასვლაც წარმოუდგენელი იყო, თუმცა, უილი მაგ საწეველათი აუზში ისედაც არ ჩავიდოდა).

წასვლა კინოში (ესეც კი შეუძლებელი იყო, თუ გარანტირებულად არ გველოდა ადგილი სულ წინ, ან თუ უილს იმ დღით სპასტიკა (სპასტიკა – ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ადამიანებს სხვადასხვა მიზეზით, პერიოდულად აღენიშნებათ კუნთების მაღალი ტონუსი ტრავმის ადგილიდან ქვემოთ, რაც კიდურების მკვეთრი, უნებლიე მოძრაობებით გამოიხატება.) არ ჰქონდა შესუსტებული. როცა კინოში „ეზოში გამავალ ფანჯარას“ (ალფრედ ჰიჩკოკის 1954 წელს გადაღებული ფილმი.) ვუყურებდით, სულ მცირე, ოცი წუთი მუხლებზე დაჩოქილმა გავატარე და პოპკორნის მარცვლებს ვაგროვებდი, რადგან უილმა მოულოდნელად მუხლი აჰკრა და კოლოფი ჰაერში აისროლა.

პლაჟზე წასვლა (ესეც შეუძლებელია, თუ ეტლი შესაბამისი ე.წ. მსხვილი საბურავებით არ არის აღჭურვილი, უილის ეტლი კი არ იყო).

წასვლა საყიდლებზე (თუ ყველა მაღაზიის შესასვლელში შესაბამისი პანდუსი არ არის. ციხე-სიმაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შენობები, სადაც მაღაზიების უმრავლესობა იყო, ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსს ატარებდა. შესაბამისად, მეპატრონეები ამას ასახელებდნენ მიზეზად, რომ პანდუსით შენობის იერსახის შეცვლა არ შეეძლოთ. ზოგიერთი ნამდვილად მართალს ამბობდა, მაგრამ არა ყველა. განსაკუთრებით თბილ ან ცივ ადგილას წასვლა (ტემპერატურის მგრძნობელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო).

სპონტანურად სადმე წასვლა (წინასწარ ჩასალაგებელი იყო ჩანთები, ყველა მარშრუტი და შესაძლებლობა – გადასამოწმებელი, რომ ბარიერები არ დაგვხვედროდა).

საჭმელად სადმე წასვლა (გარდა იმისა, რომ უილს ხელით ვაჭმევდი, ამას ემატებოდა კათეტერთან დაკავშირებული საკითხიც. რესტორნებში საპირფარეშოებამდე მისასვლელად ერთი სართულის კიბით ჩასვლა იყოხშირად საჭირო).

მეგობართან სტუმრობა (თუ მას ადაპტირებული სახლი არ აქვს. ამ დროს, სახლების სრულ უმრავლესობაში მოსახვედრად კიბეა ასავლელი და მოსახლეობას არ აქვს პანდუსები. თანაც უილს მაინც არც არავის მონახულება არ უნდოდა).

წვიმიან ამინდში აღმართზე ასვლა (მუხრუჭებს ყოველთვის ვერ ენდობოდი, ეტლი კი მეტისმეტად მძიმე იყო და რამე რომ მომხდარიყო, მის შეკავებას ვერ შევძლებდი).

წასვლა ნებისმიერ ადგილას, მთვრალ ადამიანებთან შეხვედრის შანსია (უილი მაგნიტივით იზიდავდა ნასვამ ადამიანებს. მუხლებზე ჩამოფორთხდებოდნენ, სახეზე ალკოჰოლის ოხშივარს მიაფრქვევდნენ, თვალებს გაიფართოებდნენ, სიბრალულის გამომხატველ სახეს აიკრავდნენ და შეიძლებოდა, ერთი წაესრუტუნებინათ კიდეც. ხანდახან კი ეტლს ხელს დაავლებდნენ, უნდა გაქანაოთო).

წასვლა ნებისმიერ ადგილას, სადაც ბევრი ხალხია (ზაფხულის მოახლოებასთან ერთად, გარეთ მეტი და მეტი ხალხი გამოეფინებოდა, მეტი და მეტი ღონისძიება დაიგეგმებოდა ქუჩაში. შედეგად, იმ ადგილების დიდი ნაწილიც კი, სადაც სხვა დროს დავდიოდით – ბაზრობები, თეატრი ღია ცის ქვეშ, კონცერტები – უკვე გამორიცხული იქნებოდა).

როცა ახალი იდეების საპოვნელად ფორუმს მივმართავდი და იქაურ კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებს ვეკითხებოდი, რას ისურვებდნენ ყველაზე მეტად დედამიწის ზურგზე, სექსი ხმათა უმრავლესობით ლიდერობდა. სულ რომ არ მინდოდა, ბევრი ისეთი დეტალი გავიგე ამ თემაზე... ჩემდა უნებურად.

არსებითად რომ ვთქვათ, ფორუმი დიდად არაფერში დამხმარებია. სულ რვა კვირა დამრჩენოდა, მე კიდევ უკვე აღარ მქონდა იდეები.

* * *

სარეცხის თოკებქვეშ ჩვენი საუბრის შემდეგ ორიოდე დღე იყო გასული, როცა სახლში დავბრუნდი და მამა შესასვლელში დამხვდა. თავისთავად, ეს უკვე იყო უჩვეულო ამბავი, რადგან ბოლო კვირების განმავლობაში, მამა მთელი დღე დივანზე იწვა და ბაბუას კომპანიას უწევდა ხოლმე. ამჯერად საფუძვლიანად დაუთოვებული პერანგი ეცვა, საგულდაგულოდ გაპარსულიყო და მთელ სახლში მისი „ოლდ სპაისის“ სუნი იდგა, რომელიც ლამის მთელი ცხოვრება, 1974 წლიდან ჰქონდა.

– ესეც ასე, – კარი ზურგს უკან მივხურე, – მეც მოვედი.

დაღლილი ვიყავი და ვშფოთავდი. სახლამდე მთელი გზა ავტობუსში მობილური ტელეფონით ვსაუბრობდი და ტურისტული სააგენტოს ოპერატორს ვთხოვდი, მოეძიებინა ისეთი ადგილები, სადაც უილის წაყვანას შევძლებდი. მაგრამ ბოლოს ორივე მივხვდით, რომ არაფერი გამოგვდიოდა.

– წინააღმდეგი ხომ არ ხარ, შვილო, რომ ამ საღამოს შენ თავს თვითონ მიხედო?

– რა თქმა უნდა. მოგვიანებით ლუდის ბარში პატრიკთან გავალ. რა ხდება?

საკიდზე პალტო ჩამოვკიდე, ადგილი გათავისუფლებულიყო. რაც ტრინა და ტომასი წავიდნენ, სახლიც თითქოს დაცარიელდა.

– დედაშენს სადილად ვეპატიჟები.

უცებ ვერც გავიაზრე, რატომ...

– დაბადების დღე ხომ არ გამომრჩა?

– არა. უნდა აღვნიშნოთ, რომ... – ხმას დაუწია, თითქოს რაღაც საიდუმლოს მანდობდა, – სამსახურში ამიყვანეს.

– რას ამბობ?! – ახლა კი შევამჩნიე, ერთიანად ბრწყინავდა. წელში ძველებურად გამართულიყო. ღიმილად იღვრებოდა და რამდენიმე წლით ახალგაზრდას ჰგავდა.

– მამა, გადასარევი ამბავია!

– ვიცი. დედაშენიც მეცხრე ცაზეა. ხომ იცი, ბოლო თვეებში როგორ უჭირდა, აქეთ ტრინა, იქით ბაბუა და ა.შ. მინდა, ამ საღამოს სადმე წავიყვანო და ვახშმად დავპატიჟო, მოვეფერო.

– რა სამსახურია?

– სარემონტო სამუშაოების ზედამხედველი ვიქნები. ციხე-სიმაგრეში.

თვალები დავახამხამე.

– ანუ... ეგ ხომ...

– მისტერ ტრეინორი. ჰო. ასეა. დამირეკა და მითხრა, რომ თანამშრომელს ეძებდა, თურმე. ჰოდა, შენს უილს უთქვამს, ლუისას მამა უმუშევარიაო. შუადღით მივედი და ველაპარაკე, ვაჩვენე, რა შემიძლია. ერთი თვე გამოსაცდელი ვადით ამიყვანეს. შაბათიდან ვიწყებ.

– უილის მამა იქნება შენი უფროსი?

– ჰო, ასე მითხრა, ერთი თვე გამოსაცდელი ვადით უნდა აგიყვანოთ, წესი ასეთია, შესაბამისი პროცედურებია საჭირო და ასე შემდეგო, მაგრამ მიზეზს ვერ ვხედავ, რომ აქ არ დარჩებითო.

– ეს... ეს კარგია, – ვთქვი მე, თუმცა ამ ახალმა ამბავმა მაინც შემაფიქრიანა და წონასწორობა დამაკარგვინა, – ისიც არ ვიცოდი, ვაკანსია რომ ჰქონდათ.

– არც მე. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ისეთი კაცია, ხარისხის ფასი რომ იცის, ლუ. ხეზე სამუშაოებზე ველაპარაკებოდი და წინა თანამშრომლის ნახელავი მაჩვენა. თვალებს არ დაუჯერებდი, ისეთი საშინელება იყო. მითხრა, თქვენი მუშაობის სტილი ძალიან მომწონსო.

აღფრთოვანებული იყო. ასეთი უკვე რამდენიმე თვე იყო არ მენახა.

გვერდით დედა ამოუდგა. პომადა წაესვა და გამოსასვლელი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა.

– თავისი მანქანაც ეყოლება. წარმოიდგინე. მანქანას გამოუყოფენ. თან კარგად გადაუხდიან, ლუ. ეს იმაზე მეტია, რასაც ავეჯის ქარხანაში იღებდა.

მამას ისე ახედა, თითქოს ყოვლისშემძლე გმირი იყო. მერე მე მომიბრუნდა, თვალებით მთხოვდა, რომ მეც შესაბამისი აღფრთოვანება გამომეხატა. დედაჩემს სიტყვის ამოუღებლად, სხვადასხვა გამომეტყველებით, უამრავი რამის თქმა შეეძლო, მაგრამ ამჯერად ჩემგან მოითხოვდა, მეც ჩემი წვლილი შემეტანა, რომ მამა გამარჯვებით დამტკბარიყო.

– ძალიან მაგარია, მამა, მართლა! – გადავეხვიე და ჩავეხუტე.

– უილს უნდა გადაუხადო მადლობა, ლუ. არაჩვეულებრივი ბიჭია. მისი ვალიდან ვერასდროს ამოვალ, რომ სწორედ მე გავახსენდი.

* * *

ვუყურებდი, სახლიდან რომ გადიოდნენ. დედა ჯერ სარკის წინ ფორიაქობდა, მამა კი უმეორებდა და უმეორებდა, როგორც ყოველთვის, კარგად გამოიყურებიო. გავიგე გარეთ გასულმა ჯიბეები მოიქექა, გასაღების, საფულის, ხურდა ფულის ძებნაში, მერე გაიცინა. გავიგე მანქანისკარის მიჯახუნება. დაქოქეს და წავიდნენ. სახლში მხოლოდ ტელევიზორის ხმაღა ისმოდა, რომელიც ბაბუას ოთახიდან გამოდიოდა. კიბეზე ჩამოვჯექი. მერე ტელეფონი ამოვიღე და უილის ნომერი ავკრიფე. მაშინვე არ მიპასუხა. წარმოვიდგინე, თავის სპეციალურ, ტელეფონის მოსახმარებელ მოწყობილობაზე, როგორ ცდილობდა ცერა თითის გამოყენებით ღილაკისთვის დაეჭირა.

– ალო.

– ეს თქვენი ნამოქმედარია?
რამდენიმე წამს ხმა არ ამოიღო.
– კლარკ, თქვენ ხართ?
– თქვენ იზრუნეთ, რომ მამაჩემს მუშაობა დაეწყო.
მძიმედ სუნთქავდა, თავში გამიელვა, ნეტავ თუ მოხერხებულად ზის-მეთქი.
– მეგონა, გაგიხარდებოდათ.
– გამიხარდა. უბრალოდ... არ ვიცი. თავს უხერხულად ვგრძნობ.
– არ უნდა გრძნობდეთ. მამათქვენს სამსახური სჭირდებოდა, მამაჩემს – გამოცდილი თანამშრომელი.
– მართლა? – ჩემი ხმა სკეპტიკურად ჟღერდა.
– რა?
– ეს შემთხვევით იმასთან ხომ არ არის დაკავშირებული, იმ დღეს მამათქვენსა და იმ ქალზე რომ მკითხეთ?
ამჯერად დიდი პაუზა ჰქონდა. წარმოვიდგინე მისაღებ ოთახში ფანჯრებიდან როგორ იყურებოდა.
როცა დამელაპარაკა, ხმა სიფრთხილით უჟღერდა.
– თქვენ გგონიათ, რომ მამაჩემი დავაშანტაჟე, რომ მამათქვენისთვის სამსახური ეშოვა?
ასე ნათქვამი უკვე სასაცილოდ ჟღერდა.
– უკაცრავად. არ ვიცი. უბრალოდ უცნაურია. დროში დაემთხვა. ახლა ეს ყველაზე მეტად გვჭირდებოდა.
– მაშ, მოეშვით, კლარკ, და გაიხარეთ. ეს კარგი ამბავია. მამათქვენი თავს ყველაფერს კარგად გაართმევს. ეს კი ნიშნავს... – აქ შეჩერდა.
– რას ნიშნავს?
– ეს ნიშნავს, რომ ერთ დღესაც შეძლებთ, წახვიდეთ და ფრთები ისე გაშალოთ, თან არ ინერვიულოთ, თქვენ გარეშე რას აკეთებენ და როგორ გრძნობენ თავს მშობლები. თითქოს ხელი მკრესო. სუნთქვა შემეკრა.
– ლუ?
– დიახ?
– რატომ გაჩუმდით?
– მე... – ნერწყვი ჩავყლაპე, – უკაცრავად. ბაბუა მეძახის და ყურადღება გამეფანტა. მაგრამ დიახ.. მადლობა... მადლობა, რომ მამაჩემს სიტყვა შეაწიეთ.
ტელეფონი სასწრაფოდ უნდა გამეთიშა, თორემ ყელში ბურთი გამეჩხირა და ასე მეგონა, სიტყვასაც ვეღარ ვიტყოდი.

* * *

ბარში წავედი. ჰაერში ქუჩებში აყვავებული ხეების სუნი იდგა და გამვლელები მიღიმოდნენ. საპასუხოდ გაღიმებას ვერ ვახერხებდი. უბრალოდ ვიცოდი, რომ სახლში დარჩენა არ შემეძლო, საკუთარ ფიქრებთან მარტო ყოფნა არ მინდოდა. ტრიატლონის ტიტანები ბარის ეზოში ვიპოვე, კუთხეში ორი ჭრელგადასაფარებლიანი მაგიდ

შეეერთებინათ. დაძარღვული, აწითლებული კიდურები გადმოეკიდათ. რამდენიმემ ზრდილობიანად დამიკრა თავი (მათგან ქალი არცერთი იყო), პატრიკი წამოდგა და თავის გვერდით ადგილი გამომითავისუფლა, რომ დავმჯდარიყავი. ვიგრძენი, რომ ტრინა ძალიან მაკლდა.

– არ გელოდი, დალევ რამეს?

– ცოტა ხანში, – ვუთხარი და თავი მხარზე ჩამოვადე, მინდოდა, ერთხანს ასე ვყოფილიყავით. მინდოდა, თავი ისევ მეგრძნო მშვიდად, უსაფრთხოდ, ნორმალურად... არ მინდოდა სიკვდილზე ფიქრი.

– დღეს პირადი რეკორდი მოვხსენი. თხუთმეტი მილი სამოცდაცხრამეტ წუთსა და ორ წამში.

– მაგარია.

– ეგრე გააგრძელე, პატ! – წამოიძახა ვიღაცამ.

პატრიკმა მკლავები დაჭიმა, მტევნები მომუჭა და ამოიღმუვლა.

– ძალიან მაგარია, მართლა, – ვცადე თავი ისე დამეჭირა, რომ ძალიან ბედნიერი ვიყავი მის გამო.

ერთი კათხა დავლიე, მერე – მეორე. ვუსმენდი მათ საუბარს გარბენილ დისტანციაზე, გადაყვლეფილ მუხლებზე, ცურვის დროს ჰიპოთერმიის შეტევებზე. შევბრუნდი და ბარის სხვა კლიენტებსაც შევავლე თვალი. ვცადე, მათი ცხოვრება წარმომედგინა. თითოეულის ოჯახში ხომ, ალბათ, მათთვის რაღაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ხდებოდა – საყვარელი და დაკარგული ბავშვები, ბნელი საიდუმლოებები, დიდი სიხარულები და ტრაგედიები. რაკი მათ შეეძლოთ, რომ პრობლემებს განზე გასდგომოდნენ და ბარის ეზოში ჩამავლი მზის შუქით დამტკბარიყვნენ, მაშინ მეც შევძლებდი. პატრიკს მამას ახალ სამსახურზე მოვუყევი. ისეთი სახე მიიღო, როგორიც ალბათ, მეც მქონდა, როცა ეს ამბავი გავიგე. კიდევ ერთხელ გავუმეორე, რომ დავრწმუნებულიყავი, ნამდვილად სწორად მიხვდა.

– ოჰ... რა საყვარლობაა, ახლა ორივენი ტრეინორებთან მუშაობთ.

ისე მომინდა, რომ მეთქვა, მომეყოლა, ყველაფერი ამეხსნა, რაც უილის სიცოცხლისთვის ბრძოლაში თავს მატყდებოდა. მინდოდა, მეთქვა, როგორ მაძრწუნებდა და მაშფოთებდა უილის მცდელობა, ჩემი თავისუფლება გამოესყიდა. მაგრამ ვიცოდი, რომ ვერაფერს ვეტყოდი. სამაგიეროდ, სხვა დანარჩენი მოვყევი.

– ჰო... ეს ყველაფერი არ არის. კიდევ მითხრა, შეგიძლია, აქ დარჩე ხოლმე თავისუფალ ოთახშიო. ეს იქამდე, სანამ ჩვენთან საწოლებს და საძინებლებს ვერ ვიყოფთ.

პატრიკმა შემომხედა.

– მის სახლში უნდა იცხოვრო?

– ვითომ, რატომაც არა. მშვენიერი შემოთავაზებაა, პატ. ხომ იცი, ჩვენთან რა ამბავია. შენც არასდროს ხარ სახლში. მიყვარს შენ ბინაში მოსვლა, მაგრამ... გულახდილად რომ გითხრა, იქაურობა მყუდრო საცხოვრებელ სახლს არ ჰგავს.

თვალს არ მაშორებდა.

– მაშინ... მოდი და შენ აქციე ასეთად.

– რა?

– გადმოდი და სიმყუდროვე შენით შექმენი. შენი ნივთები გადმოიტანე, ტანსაცმელი წამოიღე. მგონი, უკვე დროა, რომ ერთად ვიცხოვროთ.

იმ მომენტში ვერ, მაგრამ მოგვიანებით, გონებაში ამ საუბარს რომ ვიხსენებდი, მაშინღა მივხვდი, როცა ამას ამბობდა, სინამდვილეში ძალიან მოწყენილი სახე ჰქონდა. სულაც არ ჰგავდა კაცს, რომელმაც გააცნობიერა, რომ შეყვარებული ახლოს, გვერდით თუ არ ეყოლება, ცხოვრება აღარ შეუძლია და ამიტომ მას ერთად გადასვლას, გაერთიანებას სთავაზობს. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც ტრიუკით ხაფანგში გააბეს.

– მართლა გინდა, რომ გადმოვიდე?

– ჰო, რა თქმა უნდა, – ყური მოიფხანა და ისე მიპასუხა პატრიკმა, – მე იმას არ გეუბნები, რომ დავქორწინდეთ და რაღაც... მაგრამ ასე უკეთესი იქნება, არა?

– რა რომანტიკაა.

– მართლა გეუბნები, ლუ. დროა. ალბათ, დიდი ხანია, დროა, მაგრამ ხან რაზე ვიყავით გადართულები და ხან – რაზე. გადმოდი. ეს კარგი იქნება, მართლა ძალიან გამიხარდება, – მითხრა და ჩამეხუტა.

ჩვენ გარშემო პატრიკის გუნდის წევრები ერთმანეთში საუბარს დიპლომატიურად მიუბრუნდნენ. მოკლე შეძახილები და სიცილი გაისმა, როდესაც იაპონელი ტურისტების ჯგუფმა ფოტო გადაიღო. ჩიტები ჭიკჭიკებდნენ, მზე თითქმის ჩასულიყო, დედამიწა ისევ ბრუნავდა. ისე მინდოდა, თავი ამ ყველაფრის ნაწილად მეგრძნო... აღარ მინდოდა გამოკეტვა ჩუმ ოთახში და ნერვიულობა მამაკაცზე, რომელიც ეტლში იჯდა.

– ჰო, – ვუთხარი პატრიკს, – კარგი იქნება.

XVII

ყველაზე უარესი, რაც მომვლელობას უკავშირდება, სულაც არაა ის, რაც შეიძლებოდა, აქამდე გეფიქრათ. არ არის ეს არც ადამიანის აწევა, არც დაბანა, აქეთ – წამლები, იქით – ხელსაწმენდები, არც სადეზინფექციო საშუალებების სუსტი, მაგრამ მაინც მკაფიო სუნი, სულ ცხვირში რომ გიღიტინებს. არც ისაა ყველაზე უარესი, როცა ხალხს ჰგონია, ამას იმიტომ აკეთებ, რომ ტვინი სხვა არაფერზე გყოფნის. ყველაზე უარესი, ამ დროს, ის ფაქტია, როდესაც ვიღაცასთან ერთად მთელ დღეს ატარებ, ვერც შენ გაექცევი მისი განწყობების გავლენას და ვერც ის – შენსას.

უილი მთელი დილა, მას მერე, რაც ჩემი გეგმები გავანდე, ჩემთან თავშეკავებული და ცივი იყო. გარეშე თვალი, ალბათ, ვერაფერს შეამჩნევდა, მაგრამ მე ვხედავდი, რომ ნაკლებს ხუმრობდა. საერთოდ, ნაკლებად მელაპარაკებოდა. დილის გაზეთები რაზე წერდნენ, ეგეც კი არ უკითხავს.

– ეს... ეს მართლა გინდათ? – თვალები კი უელავდა, მაგრამ სახეზე არაფერს იმჩნევდა. მხრები ავიჩეჩე. მერე კი მტკიცედ დავუქნიე თავი. მომეჩვენა, რომ ჩემი პასუხი დანაშაულზე წასწრებული ბავშვის პასუხივით მიკიბულმოკიბულად ჟღერდა.

– უკვე დროა, მართლა, – ვთქვი მე, – ოცდაშვიდი წლის ვარ ბოლოს და ბოლოს. სახეზე ყურადღებით მაკვირდებოდა. ყბა დასჭიმვოდა.

უცებ ვიგრძენი, როგორ აუტანლად დავიღალე. თავს ძლივს მოვერიე, ისე მომინდა მეთქვა, მაპატიე-მეთქი, მაგრამ რისთვის უნდა მეთხოვა პატიება, ეგ არ ვიცოდი. თავი დამიქნია და გაიღიმა.

– მიხარია, რომ ყველაფერში გაერკვიეთ, – მითხრა და სამზარეულოსკენ წავიდა.

უკვე ვბრაზობდი. არასდროს მიგრძვნია, ვინმეს ასე განვესაჯე, თითქოს დამნაშავე ვიყავი, როგორც ახლა უილისგან ვგრძნობდი ამას. თითქოს, რაკი ჩემს შეყვარებულთან ერთად ცხოვრება გადავწყვიტე, ამის გამო ნაკლებად საინტერესო გავხდი მისთვის. თითქოს, ახლა მის გასაწვრთნელ ფინიად აღარ გამოვდგებოდი. ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ხმამაღლა ვერ ვეტყოდი, მაგრამ მეც ისევე ცივად მეჭირა თავი, როგორც მას – ჩემთან. გულახდილად რომ ვთქვა, ეს დამღლელი იყო.

შუადღით უკანა კარზე კაკუნი გაისმა. კორიდორში გამოვვარდი, ახალდაბანილი ხელები ჯერ კიდევ სველი მქონდა. კარი გავაღე და მუქ შარვალ-კოსტუმში გამოწყობილი მამაკაცი დავინახე, პორტფელით ხელში.

– არა, არა, ჩვენ ბუდისტები ვართ, – ვუთხარი მტკიცედ და კარი იქამდე მივუხურე, სანამ რაღაცის გაპროტესტებას მოასწრებდა.

ორი კვირის წინ იეჰოვას მოწმეებმა უილი 15 წუთით უკანა კართან დააყუდეს, სანამ ცდილობდა ეტლი კართან დაგებულ აჩეჩილ ხალიჩაზე მოებრუნებინა. მერე, როცა, როგორც იქნა, კარი მივუხურე, გარედან აყვირდნენ, რომ უილი „ისე, როგორც არავინ სხვა“, დაინტერესებული უნდა ყოფილიყო, რა ხდება სიკვდილის შემდეგ.

– იცით... აქ მისტერ ტრეინორის სანახავად მოვედი, – თქვა მამაკაცმა და მეც ცნობისმოყვარეობამ მძლია. კარი ისევ გავაღე. მთელი იმ თვეების განმავლობაში, რაც გრანტა ჰაუსში გავატარე, უკანა კარიდან უილის სანახავად ჯერ არავინ მოსულიყო.

– შემოუშვით, – მითხრა უილმა, რომელიც, ამასობაში, უკნიდან მოგვდგომოდა, – მე ვთხოვე, რომ მოსულიყო.

რაკი მაინც გაოგნებული ვიდექი, დაამატა:

– ყველაფერი რიგზეა, კლარკ... ჩემი მეგობარია.

მამაკაცმა ზღურბლს გადმოაბიჯა, ხელი გამომიწოდა და ჩამომართვა.

– მაიკლ ლოულერი, – გამეცნო თავაზიანად.

კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უილი ჩვენ შორის ეტლით ჩადგა და საუბარი მოხერხებულად გაგვაწყვეტინა.

– მისაღებ ოთახში ვიქნებით. თუ შეიძლება, ყავა მოგვიმზადეთ და მერე ცოტა ხნით მარტო დაგვტოვეთ.

– მმმ... კარგი.

მისტერ ლოულერმა გამიღიმა, ცოტა უხერხულად და უილს მისაღებ ოთახში შეჰყვა. როცა რამდენიმე წუთის შემდეგ შევედი და ლანგრით ყავის ფინჯნები შევიტანე, კრიკეტზე საუბრობდნენ. იქამდე არჩევდნენ თამაშის დეტალებს, სანამ ყველა საფუძველი არ ამომეწურა, რომ ოთახში დავრჩენილიყავი.

ქვედაბოლოდან უხილავი მტვრის ნაწილაკები ჩამოვიბერტყე და წელში გავსწორდი.
– კარგი. მე დაგტოვებთ.
– გმადლობთ, ლუისა.
– რამე ხომ არ გნებავთ კიდევ, მაგალითად, ორცხობილა?
– გმადლობთ, ლუისა.
როგორც წესი, უილი ლუისას არ მეძახდა და აქამდე არც ოთახიდან მივუბრძანებივარ, როცა ვინმეს ესაუბრებოდა.
მისტერ ლოულერი თითქმის ერთ საათს დარჩა. დღიური რუტინა მოვამთავრე, სამზარეულოსაც მივედ-მოვედე. მინდოდა, გამზედაობა მომეკრიბა და მათი საუბრისთვის ყური დამეგდო, მაგრამ ვერ შევძელი. დავჯექი, ორი ცალი ბურბონის ორცხობილა შევჭამე, ფრჩხილებიც დავიკვნიტე, მაგრამ მისაღები ოთახიდან გამომავალი დაბალი დუდუნის გარჩევა ვერ მოვახერხე. ტვინს მიბურღავდა იმაზე ფიქრი, რატომ დაიბარა უილმა ეს კაცი უკანა კარიდან.
ექიმს არ ჰგავდა, არც კონსულტანტს. შესაძლოა, მრჩეველი ყოფილიყო ფინანსურ საკითხებში, მაგრამ რატომღაც მეგონა, რომ ესეც არ იყო. ცალსახად არ ჰგავდა ფიზიოთერაპევტს, ოკუპაციურ თერაპევტს ან დიეტოლოგს, ერთი სიტყვით, მთელ იმ ლეგიონს, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დასაქმებულ პროფესიონალებს წარმოადგენდნენ, დროდადრო და სავალდებულოდ რომ შემოივლიდნენ ხოლმე უილის მუდმივად ცვალებადი საჭიროებების შესაფასებლად. ამ ადამიანებს ერთი მილის დაშორებიდანაც კი იცნობდით. ყოველთვის დაღლილი სახეები ჰქონდათ, მაგრამ მარდები და ხალისიანები იყვნენ. უსიცოცხლო ფერის შალის სამოსი და პრაქტიკული ფეხსაცმელები ეცვათ. სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მტვრიანი მანქანებით დადიოდნენ, რომელიც საქაღალდეებითა და სხვადასხვა აღჭურვილობით ჰქონდათ სავსე. მისტერ ლოულერს სერია 5-ის ზღვისფერი ლურჯი BMW ჰყავდა, რომელსაც მზეზე ლაპლაპი გაუდიოდა და ნამდვილად არ ჰგავდა ადგილობრივი საჯარო მოხელის ავტომობილს.
როგორც იქნა, მისტერ ლოულერი გამოვიდა. პორტფელი დაკეტა, პიჯაკი მკლავზე ჰქონდა გადაფენილი. უხერხულად აღარ იყურებოდა.
დერეფანში კისრისტეხით გავვარდი.
– უკაცრავად, იქნებ მიმასწავლოთ, საპირფარეშო სად არის?
მივასწავლე – ხმის ამოუღებლად ხელით მივანიშნე და სანამ არ გამოვიდა, ერთ ადგილას მოუსვენრად ვცმუკავდი.
– კარგი, დღეისთვის მოვრჩით.
– გმადლობთ, მაიკლ, – უილი არ მიყურებდა, – მაშ, თქვენს გამოხმაურებას დაველოდები.
– მოგვიანებით, კვირის ბოლოსკენ შემოგეხმიანებით, – უპასუხა მისტერ ლოულერმა.
– წერილს ელექტრონული ფოსტა მირჩევნია. ჯერჯერობით მაინც.
– დიახ, ცხადია.
მისტერ ლოულერს უკანა კარი გავუღე და გასაცილებლად მოვემზადე. მერე კი, როდესაც უილი მისაღებ ოთახში შებრუნდა, ეზოშიც გავყევი.

– შორი გზა გაქვთ? – ვკითხე სასხვათაშორისოდ.

საუცხოოდ შეკერილი სამოსი ეცვა. სტილს ქალაქური პეწი ეტყობოდა, ქსოვილს კი – სიძვირე და ფუფუნება.

– სამწუხაროდ, დიახ. ლონდონში მივდივარ. მაგრამ, იმედი მაქვს, რომ შუადღით საცობების გავლა არ მომიწევს.

მზე ისე კაშკაშებდა, თვალებს ძლივს ვახელდი.

– და... აი... ლონდონში სად?

– რეჯენტ-სტრიტზე.

– იმ ცნობილ რეჯენტ-სტრიტზე? სასიამოვნოა.

– დიახ. ნამდვილად არაა ცუდი ადგილი. კარგი... გმადლობთ ყავისთვის, მის...

– კლარკი, ლუისა კლარკი.

შეჩერდა და წამიერად დამაკვირდა, ალბათ, ყურადღება მიაქცია, რა არაადექვატურად ვცდილობდი დამეცინცლა, ვინ იყო და რას წარმოადგენდა.

– დიახ. მის კლარკ, – მითხრა და სახეზე ისევ პროფესიონალური ღიმილი გადაეფინა, – გმადლობთ.

პორტფელი მანქანის უკანა სავარძელზე ფრთხილად დადო, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. იმ საღამოს, სანამ პატრიკთან სახლში მივიდოდი, ჯერ ბიბლიოთეკაში შევიარე. რა თქმა უნდა, მისი კომპიუტერის გამოყენებაც შემეძლო, მაგრამ თავს ჯერ კიდევ ვალდებულად ვთვლიდი, ნებართვა ამეღო ხოლმე და ამიტომ, მაინც ბიბლიოთეკა მერჩივნა. დავჯექი და საძიებო ველში ავკრიფე „მაიკლ ლოულერი, რეჯენტსტრიტი, ლონდონი“. „ცოდნა ძალაა, უილ“, – ვუთხარი გონებაში. ძიების 3290 შედეგი ამომიგდო. პირველივე სამიდან გაირკვა მისი ვინაობა. „მაიკლ ლოულერი, იურისტი, პრაქტიკოსი ადვოკატი, მემკვიდრეობის, ანდერძისა და მეურვეობის საკითხების სპეციალისტი“, რომელიც რეჯენტ-სტრიტზე მუშაობდა.

რამდენიმე წუთს ეკრანს მივშტერებოდი, მერე მისი სახელი კიდევ ერთხელ, ამჯერად ფოტოსურათების მოსაძებნად ავკრიფე. აი, ისიც, მრგვალ მაგიდასთან, მუქ კოსტიუმში – მაიკლ ლოულერი ანდერძისა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების სპეციალისტი, ზუსტად იგივე მამაკაცი, რომელიც მთელი საათი უილთან ერთად იყო შეკეტილი.

პატრიკთან იმ საღამოს გადავედი. ზუსტად საათნახევარი დაგვჭირდა, ანუ ის შუალედი, რაც ჩემი სამსახურის დამთავრებიდან მისი ვარჯიშის დაწყებამდე გვქონდა. ყველაფერი წავიღე საწოლისა და ახალი ფარდების გარდა. არც სკოლის დროინდელი სახელმძღვანელოები ჩამომიტანია სხვენიდან. მანქანით მომაკითხა. ჩემი ნივთები ტომრებში მოვათავსეთ და ორ გზაზე გადავზიდეთ.

დედა ტიროდა. ასე მგონია, სახლიდან გაგდებო.

– თუ ღმერთი გწამს, საყვარელო, დამშვიდდი. დროა. ოცდაშვიდი წლისაა, – ეუბნებოდა მამაჩემი.

– მერე რა, მაინც ჩემი პატარა გოგოა, – არ შეეპუა დედა, თან ხელებში ორი ცალი ხილის კექსი და სარეცხი საშუალებებით სავსე ჩანთა მომაჩეჩა.

არ ვიცოდი, მისთვის რა მეთქვა. ხილის კექსი არც კი მიყვარდა.

ჩემდა გასაკვირად, პატრიკის ბინაში ყველაფერი ძალიან მარტივად დავატიე. თვითონ თითქმის არაფერი ჰქონდა. ჩემს პაწია ოთახში გატარებული წლებიდან მეც არ მომყოლია ნაგროვები ნივთები. ერთადერთი, რაზეც წავკამათდით, ჩემი დისკების კოლექცია იყო, რომელიც მხოლოდ მაშინ მოიპოვებდა უფლებას, მისას შერეოდა, თუ უკანა მხარეს მიეკვრებოდა ნიშანი, რომ ჩემი იყო და ანბანის მიხედვით დალაგდებოდა.

– თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლში, – მიმეორებდა შეუჩერებლად, თითქოს სტუმარი ვიყავი.

ვღელავდით და თავს ისე უხერხულად ვგრძნობდით, თითქოს პირველი პაემანი გვქონდა. სანამ ჩემს ნივთებს ვალაგებდი, ჩაი მომიტანა და მითხრა, თუ გინდა, ამიერიდან ეს შენი ჭიქა იყოსო. მაჩვენა სამზარეულოში რა სად იდო, თან რამდენჯერმე გამიმეორა, როგორც გენდომება, ისე გადაალაგე, მე წინააღმდეგი არ ვარო.

ორი უჯრა გამომითავისუფლა და გარდერობიც სათადარიგო ოთახში. მეორე ორი უჯრა მისი სპორტული ტანსაცმლით იყო სავსე. რას წარმოვიდგენდი ლიკრისა და ბაიკის ამდენი სახესხვაობა თუ არსებობდა. მას შემდეგ, რაც ჩემი ჭრელაჭრელა ტანსაცმელი დავაბინავე, გარდერობში მაინც უამრავი ადგილი დარჩა. ცარიელი საკიდები სევდიანად კონწიალობდა.

– ახალი ტანსაცმელი უნდა ვიყიდო, რომ აქაურობა შევავსო, – ჩავილაპარაკე, როცა ნახევრად ცარიელ გარდერობს თვალი მოვავლე.

ნერვიულად გაიცინა.

– ეს რა არის? – მკითხა და ჩემს კალენდარს დააკვირდა, რომელიც სათადარიგო ოთახის კედელზე გამეკრა. იდეები – მწვანედ, გეგმები – შავად. როდესაც გეგმა წარმატებით სრულდებოდა (კონცერტი, ღვინის დეგუსტაცია) გვერდზე ღიმილს ვუხატავდი, როცა წარუმატებლად (დოღი, სახელოვნებო გალერეები) – ხელს არ ვკიდებდი. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ბევრი არაფერი იყო აღნიშნული. უილს ახლომდებარე ადგილები მობეზრებოდა, მე კი ჯერ ვერ მომეხერხებინა მისი დარწმუნება, რომ შორს წავსულიყავით. პატრიკს შევხედე. აგვისტოს 12-ს დააკვირდა. დღეს, რომელიც შავად იყო აღნიშნული.

– მაგ დღეს მთავრდება ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

– გგონია, კონტრაქტს არ გაგიგრძელებენ?

– არ ვიცი, პატრიკ.

პატრიკმა ფლომასტერი აიღო, თავი მოხსნა და 12 აგვისტოს შემდეგ, მომდევნო ორ კვირაში, 28 აგვისტომდე, მიმიწერა: „ნადირობა ახალ სამსახურზე.“

– ასე ყველაფრისთვის მზად იქნები, – მითხრა, მერე მაკოცა და გამშორდა.

სააბაზანოში ჩემი კრემები და საპარსი დავალაგე. სახის დამატენიანებელი და ტამპონები სარკის უკან სათავსოში აკურატულად მოვათავსე. წიგნები სათადარიგო ოთახში, ფანჯრის ქვეშ ჩავამწკრივე. მათ შორის ახალი წიგნებიც, რომლებიც უილმა ჩემთვის „ამაზონიდან“ გამოიწერა. პატრიკი დამპირდა, თავისუფალი დრო რომ გამომიჩნდება, თაროებს გავაკეთებო.

მერე კი სარბენად წავიდა. დავჯექი, ინდუსტრიული ზონის მიღმა ციხე-სიმაგრეს შევყურებდი და ჩუმად, სუნთქვაშეკრული ვიმეორებდი: „სახლი, სახლი, სახლი...“

* * *

საიდუმლოს შენახვა მაინცდამაინც არ მეხერხება. ტრინა მეუბნება ხოლმე, მაშინვე ცხვირს ჰკიდებ ხელს, როგორც კი ტყუილის თქმას დააპირებო. მართლა ასეა. ჩემი მშობლები დღემდე სიცილით იხსენებენ იმ დროს, როდესაც მათ მაგივრად ბარათებს ვწერდი ჩემი მასწავლებლებისთვის, სკოლას რომ გავაცდენდი. მაგალითად: „ძვირფასო, მის ტროუბრიჯ, გთხოვთ, ლუისა კლარკს დღეს გაკვეთილების გაცდენა აპატიოთ, რამდენადაც ქალური პრობლემები შემექმნა.“ მამა სიცილისგან ვერ იკავებდა თავს, მაშინაც კი, როდესაც დედაც და მასწავლებლებიც ჩემს დასჯას სთხოვდნენ. ჩემი ოჯახისთვის უილის გეგმების დამალვა ცალკე საკითხი იყო. მშობლებისთვის რაიმეს დამალვა ასე თუ ისე, მიადვილდებოდა (ამას ბავშვობიდან ვსწავლობთ ბოლოს და ბოლოს), მაგრამ შფოთვის დამალვა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მიჭირდა.

მომდევნო ორი ღამე იმაზე ფიქრში გავატარე, რას აპირებდა უილი და მე როგორ შემეძლო მისი შეჩერება. ამ ფიქრებს თავს მაშინაც ვერ ვაღწევდი, როცა მე და პატრიკი სრულიად სხვა თემაზე ვსაუბრობდით, ან პატარა სამზარეულოში სადილს ერთად ვამზადებდით. (ამასობაში, მის შესახებ ახალი რაღაცებიც გავიგე, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ინდაურის გულმკერდის ხორცისგან მარტო ასი სხვადასხვა რაღაცის მომზადება შეეძლო). ღამღამობით სექსი გვქონდა, როგორც აუცილებელი და სავალდებულო ამოცანა, რაც მოპოვებული თავისუფლებით სრულად ტკბობისათვის უნდა შეგვესრულებინა. ისეთი გრძნობა მქონდა, რაკი მთელი დღე უილთან ვიყავი, პატრიკი ფიქრობდა, რომ მისი რაღაც მემართა. როგორც კი პატრიკს ჩაეძინებოდა, მეც მაშინვე ჩემს ფიქრებს ვუბრუნდებოდი. სულ შვიდი კვირა დარჩენილიყო.

უილს ჰქონდა გეგმები, მე – არა.

მომდევნო კვირა რომ დადგა, არ ვიცი, რამდენად შეამჩნია უილმა, რომ ჩვეულებრივზე მეტად შეფიქრიანებული ვიყავი, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

მონოტონურად მივყვებოდით დღიურ რუტინას, ქალაქგარეთ გავდიოდით, საჭმელს ვუმზადებდი, ყურადღებას ვაქცევდი, როცა სახლში ვიყავით. მისი ხუმრობები ჩემს „მორბენალზე“ სადღაც გაქრა.

წიგნებზე ველაპარაკებოდი, ბოლოს რომ მირჩია. განვიხილეთ „ინგლისელი პაციენტი“ (რომელიც ძალიან მომეწონა) და შვედური თრილერი (რომელიც არ მომეწონა). ერთმანეთთან ყურადღებიანები ვიყავით, გადაჭარბებულად ზრდილობიანებიც კი. არადა, მაკლდა მისი გამუდმებული კბენა და სიჯიუტე, ამის გარეშე განგაშის განცდა და მოახლოებული საფრთხის შეგრძნება კიდევ უფრო მემატებოდა.

ნათანი ხან ერთს გვიყურებდა და ხან – მეორეს, თითქოს რაღაც ახალი სახეობის არსებები ვყოფილიყავით.

– ხომ არ იჩხუბეთ? – მკითხა ერთ დღეს სამზარეულოში, როცა ჩანთებიდან სურსათს ვალაგებდი.

– იმას ჰკითხე, – მივუგე მე.
– მანაც ზუსტად ეგ მითხრა.
შეფარვით შემომხედა და აბაზანაში უილის წამლების ასაღებად შევიდა.
სამი დღე გავძელი მაიკლ ლოულერის სტუმრობის შემდეგ, სანამ მისის ტრეინორს დავურეკავდი. ვთხოვე, სადმე სახლგარეთ შემხვედროდა. შევთანხმდით პატარა კაფეზე, რომელიც ციხე-სიმაგრის ძირში გაეხსნათ – ბედის ირონიით, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ადრე მე ვმუშაობდი.
„ბათერდ ბანთან“ შედარებით, აქაურობა უფრო კარგად იყო მოწყობილი. მოპირკეთებული მუხისა და თეთრად შეღებილი ხის მაგიდები და სკამები იდგა. ნატურალური ბისტნეულისგან მომზადებული ოჯახური წვნიანი ჰქონდათ და კიდევ საუცხოო ნამცხვრები. მაგრამ წესიერ ყავას ვერ დალევდით – მხოლოდ ლატეს, კაპუჩინოსა და მაკიატოს ამზადებდნენ. კლიენტებს შორის აღარ ჩანდნენ მშენებლები, საპარიკმახეროს გოგოები. ერთ-ერთ მაგიდას მივუჯექი და ჩაი შევუკვეთე. ლედი ბაბუაწვერაზე ვფიქრობდი. ნეტავ აქაც თუ იგრძნობდა თავს კომფორტულად, რომ მთელი დილა ნებიერად მჯდარიყო და გაზეთები ეკითხა.
– ლუისა, მაპატიეთ, დამაგვიანდა, – კამილა ტრეინორი კაფეში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა. ჩანთა იღლიაში ამოედო, ნაცრისფერი აბრეშუმის პერანგი და მუქი ლურჯი შარვალი ეცვა.
კინაღამ ფეხზე წამოვუდექი. ყოველთვის, როცა ველაპარაკებოდი ხოლმე, მეგონა, რომ ისევ გასაუბრება მქონდა მასთან.
– სასამართლოში შევყოვნდი.
– უკაცრავად... სამუშაოს რომ მოგწყვიტეთ. მე... ჩავთვალე, რომ მეტის მოცდა აღარ ღირდა.
ხელი ზემოთ ასწია და ოფიციანტს ტუჩების მოძრაობით რაღაც ანიშნა. მერე კი ჩემ პირდაპირ დაჯდა. ისე მიყურებდა, თითქოს გამჭვირვალე ვიყავი.
– უილთან იურისტი იყო მოსული, – ვთქვი მე, – გავარკვიე, რომ ანდერძისა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების სპეციალისტია, – ვერაფრით მოვიფიქრე, საუბარი სხვანაირად როგორ დამეწყო.
ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, სახეში გავარტყი. გვიანღა მივხვდი, ჩემთან შესახვედრად რომ მოდიოდა, კარგი ამბების მოსმენის მოლოდინი ჰქონდა.
– იურისტი? დარწმუნებული ხართ?
– ინტერნეტით მოვძებნე. რეჯენტ-სტრიტზე მუშაობს, ლონდონში, – საჭირო არ იყო, მაგრამ მაინც დავამატე, – მაიკლ ლოულერი ჰქვია.
თვალები დაახამხამა, ცდილობდა, მოსმენილი გაეაზრებინა.
– ეს უილმა გითხრათ?
– არა. ალბათ, არც უნდოდა, რომ გამეგო. მე... უბრალოდ მისი სახელი გავიგე და მერე ინტერნეტით მოვძებნე.
ოფიციანტმა ყავა მოუტანა. თუმცა, მისის ტრეინორს ეს არც კი შეუმჩნევია.
– კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ? – იკითხა გოგონამ.

– არა, გმადლობთ.

– სტაფილოს ღვეზელი გვაქვს, დღის სპეციალური შემოთავაზებაა. ჩვენ თვითონ ვამზადებთ. საოცრად გემრიელი კრემის შიგთავსი აქვს, რომელიც...

– არა, – უკმეხად თქვა მისის ტრეინორმა, – გმადლობთ.

გოგონა წამიერად შეყოვნდა, ეს საკმარისი იყო, გამოეხატა, რომ თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, მერე კი გაგვშორდა. ბლოკნოტს ცალი ხელით დემონსტრაციულად მიაქნევდა.

– მაპატიეთ, – ვთქვი მე, – ადრე მითხარით, რომ თქვენთვის ყველაფერი მეთქვა, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა. ნახევარი ღამე არ მეძინა და ვფიქრობდი, ამის თქმა ღირდა, თუ არა.

სახეზე ფერი ერთიანად დაკარგა.

ვხვდებოდი, თავს როგორ გრძნობდა.

– თვითონ როგორ არის?.. რამე... რამე ახალი იდეა ხომ არ მოგიფიქრებიათ? სადმე წასვლა...

– არ უნდა, – ვუთხარი და პარიზის შესახებ მოვუყევი. სხვა აქტივობების შესახებაც, რომელთა გამორიცხვა მომიწია.

ვლაპარაკობდი და ვხედავდი, როგორ გამალებით მუშაობდა მისი გონება, ითვლიდა, აფასებდა...

– რა ადგილიც გინდათ, იყოს, – თქვა ბოლოს, – მე გადავიხდი. ნებისმიერი მოგზაურობისთვის. თქვენთვის, ნათანისთვის. ოღონდ... ოღონდ კი დაითანხმოთ.

თავი დავუქნიე

– რამე თუ მოგაფიქრდათ... დრო უნდა მოვიგოთ, ლუისა. ცხადია, ექვსი თვის შემდეგაც გადაგიხდით.

– მაგაში არაა საქმე... მართლა.

ყავა მდუმარედ დავლიეთ. ორივე ჩვენჩვენს ფიქრებს გავყევით. მალვით ვუყურებდი. ახლა შევამჩნიე, მის საუცხოო ვარცხნილობაში ჭაღარა გამორეულიყო, თვალის უპეები ჩაშავებოდა, ჩემსავით. მივხვდი, რომ მასთან ლაპარაკით, ოდნავადაც არ მომეშვა. შფოთვის ტვირთი მასაც გადავუნაწილე, მაგრამ ამით მე არ შევმსუბუქებულვარ. მაინც უნდა მეთქვა, სხვა არჩევანი არ მქონდა. ფსონები დღიდან დღემდე იზრდებოდა. კედლის საათმა ორჯერ ჩამოჰკრა. მისის ტრეინორი ფიქრებიდან გამოერკვა.

– სამსახურში უნდა დავბრუნდე. გამაგებინეთ ყველაფერი... რასაც გაარკვევთ, ლუისა. უმჯობესი იქნება, თუ ეს საუბრები სახლში არ გვექნება.

ფეხზე წამოვდექი.

– ოჰ, – შევაჩერე მისის ტრეინორი, – ჩემი ახალი ნომერიც დაგჭირდებათ. ახლახან გადავედი, – ჩანთაში კალამს დაუწყო ძებნა. მე კი დავამატე, – პატრიკთან გადავედი... ჩემს შეყვარებულთან.

რატომღაც, ამან ძალიან გააკვირვა. შეცბუნებულმა შემომხედა და კალამი გამომიწოდა.

– არ ვიცოდი, შეყვარებული თუ გყავდათ.

– მეც არ ვიცოდი, თუ ეს უნდა მეთქვა.

ფეხზე იდგა, ერთი ხელით მაგიდას ეყრდნობოდა.

– უილმა იმდღეს მითხრა, რომ თქვენ... შეიძლებოდა, ჩვენთან გადმოსულიყავით. ოღონდ შაბათ-კვირას.

ფურცელზე პატრიკის ნომერი დავუწერე.

– ჩავთვალე, რომ ყველასთვის აჯობებდა, თუ პატრიკთან გადავიდოდი, – ფურცელი გავუწოდე, – მაგრამ შორს არსად წავსულვარ. ინდუსტრიულ ზონაში ვცხოვრობთ. ეს არ მოახდენს გავლენას ჩემი სამუშაოს ხანგრძლივობაზე და არც ჩემს პუნქტუალობაზე იმოქმედებს.

ერთხანს უხმოდ ვიდექით. მისის ტრეინორი შეძრული ჩანდა, ხელით თმას ისწორებდა, მერე ყელზე შებმულ ძეწკვზე გადავიდა. როგორც იქნა, მთელი ამ დროის განმავლობაში ჭოჭმანისა და საკუთარ თავთან ბრძოლის მერე, გამოსცრა:

– რა მოხდებოდა, ცოტა ხანს რომ კიდევ დაგეცადათ? სულ რამდენიმე კვირა?

– უკაცრავად?

– უილი... უილი ძალიან მოგეჩვიათ, – ტუჩზე იკბინა, – ეს, ეს, მე მგონია, რომ არაფერში წაგვადგება.

– ერთი წუთით. იმას მეუბნებით, რომ ჩემს შეყვარებულთან არ უნდა გადავსულიყავი?

– მე იმას ვამბობ, რომ ახლა შესაფერისიდრო არ არის. უილი ძალიან დათრგუნულ მდგომარეობაშია. ყველა იმას ვცდილობთ, რომ ოპტიმიზმი შევინარჩუნოთ... თქვენ კი...

– მე, რა? – დავინახე, მიმტანი გვიყურებდა. ხელში ისევ ბლოკნოტი ეკავა, – რა, მე? როგორ გავბედე, რომ სამსახურს მიღმა ჩემი ცხოვრება მაქვს?

ხმას დაუწია.

– მე ყველაფერს ვაკეთებ, ლუისა, რაც შემიძლია, რომ უილი შევაჩერო... იცით, რა ამოცანის წინაშე ვდგავართ. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ, თუ გავითვალისწინებთ, როგორ მოგეჩვიათ, აჯობებდა, ცოტა ხანს მოგეთმინათ და ეს თქვენი ბედნიერება... უილისთვის სახეში არ აგერტყათ.

ყურებს არ ვუჯერებდი. ვიგრძენი, როგორ მომაწვა სისხლი სახეში და სანამ ხმას ამოვიღებდი, ღრმად ამოვისუნთქე.

– როგორ ბედავთ, დაუშვათ, რომ რამეს გავაკეთებ ისეთს, რაც უილს გულს ატკენს, – ვთქვი სისინით, – მე ყველაფერს ვაკეთებ... სრულიად ყველაფერს, რაც შესაძლებელია. ვიგონებ იდეებს, გამყავს გარეთ, ვსაუბრობთ, ვუკითხავ, ვუვლი.

სიტყვები გულიდან მსკდებოდა.

– ვბან, დაწყველილი კათეტერს ვუცვლი, ვაცინებ... იმაზე მეტს ვაკეთებ, რასაც ოჯახის დანარჩენი წევრები ერთად აღებულიც არ აკეთებთ.

მისის ტრეინორი ერთხანს ჩუმად იდგა. წელში გაიმართა, გაიჭიმა და ჩანთა იღლიაში ამოიდო.

– საუბარი, მგონი, უკვე დავასრულეთ, მის კლარკ.

– დიახ, დიახ, მისის ტრეინორ. მგონი, დავასრულეთ.

შეტრიალდა და კაფედან მკვეთრი ნაბიჯებით გავიდა.

კარები რომ გაიხურა, მაშინღა მივხვდი, როგორ ვკანკალებდი.

* * *

მომდევნო რამდენიმე დღე მისის ტრეინორთან საუბარი თავიდან ვერ ამოვიგდე. მისი სიტყვები კვლავ ჩამესმოდა. კვლავ ჩამესმოდა, რომ „ჩემს ბედნიერებას უილს სახეში ვურტყამდი“. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ უილზე გავლენას ახდენდა, მე რას ვაკეთებდი. როცა შევამჩნიე, ჩემი პატრიკთან გადასვლის იდეა არ მოეწონა, ვიფიქრე, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ პატრიკი თვალში არ მოსდიოდა და არა ჩემდამი გრძნობების გამო. თანაც, ძალიან მეეჭვება, მაინცდამაინც ბედნიერი სახე მქონოდა, როცა ამას ვეუბნებოდი. ამ მოუსვენრობისგან განტვირთვას სახლშიც ვერ ვახერხებდი. განწყობა, რომელსაც ვატარებდი, გადმოდიოდა და ჩემ გარშემო ყველაფერს მსჭვალავდა, ყველაფერს, რაც არ უნდა მეთქვა და გამეკეთებინა.

– ჩემს დას რომ სახლში ჩემი ოთახი არ დასჭირვებოდა, ერთად საცხოვრებლად მაინც გადმოვიდოდით? – ვკითხე პატრიკს.

ისე შემომხედა, თითქოს გიჟი ვიყავი. გადმოიხარა, გულზე მიმიკრა და თავზე მაკოცა. მერე თვალებში შემომხედა.

– ეს პიჟამა გაიხადე, რა. ვერ ვიტან, პიჟამა რომ გაცვია.

– სამაგიეროდ, კომფორტულია.

– მაგას დედაჩემიც არ ჩაიცვამს.

– ბოდიში, მაგრამ ყოველ საღამოს კორსეტითა და ჩულქებით ვერ ვივლი, რომ შენ კმაყოფილი იყო. კითხვაზე არ მიპასუხე.

– არ ვიცი. ალბათ. ჰო.

– მაგრამ ამაზე მანამდე არ გვილაპარაკია, ხომ ასეა?

– ლუ, ძალიან ბევრი ადამიანი ერთად საცხოვრებლად გადადის, იმიტომ, რომ ასე უფრო მოსახერხებელია. თან გიყვარს, თან ერთად ცხოვრებას თავისი ფინანსური და პრაქტიკული უპირატესობები აქვს.

– მაგრამ... არ მინდა, იფიქრო, რომ ეს მე გაიძულე. არ მინდა, მე თვითონ მქონდეს განცდა, რომ მე დავიჟინე.

გაიღიმა და ზურგზე გადაწვა.

– რატომ იცით ქალებმა ყველაფრის იქამდე ჩიჩქვნა, სანამ მართლა პრობლემად არ გადააქცევთ? მე მიყვარხარ, შენც გიყვარვარ, შვიდი წელია, ერთად ვართ, შენი მშობლების სახლში უკვე ვეღარ ეტევით. ყველაფერი გაცილებით მარტივია.

მე ყველაფერი ნამდვილად არ მემარტივებოდა ასე.

მეგონა, ვცხოვრობდი იმ ცხოვრებით, რომელიც მე არ დამიგეგმავს.

პარასკევს მთელი დღე წვიმდა. თბილი, შხაპუნა წვიმა მოდიოდა, თითქოს ტროპიკულ ზონაში ვყოფილიყავით. წვიმის წყალი ნაკადულებად მოჩუხჩუხებდა. ყვავილების ბუჩქები წელში მოხრილიყვნენ, თითქოს რაღაცას ივედრებიანო. უილი ფანჯრიდან ლეკვივით იყურებოდა, რომელსაც გარეთ გასვლა აუკრძალეს. ნათანი მოვიდა და რომ მიდიოდა, გასვლამდე თავზე ცელოფანი დაიფარა. უილმა დოკუმენტურ ფილმს უყურა პინგვინების შესახებ, მერე კი თავის კომპიუტერს მიუჯდა. ვცდილობდი, რამე საქმე გამომეძებნა, რომ მასთან საუბრისთვის თავი ამერიდებინა. ვგრძნობდი, ერთად

დისკომფორტს განვიცდიდით და მასთან ერთად ერთ ოთახში ყოფნა ამას კიდევ უფრო ამძაფრებდა. როგორც იქნა, დალაგებისას შვების მიღება ვისწავლე. იატაკები მოვრეცხე, ფანჯრები ჩამოვწმინდე, თეთრეული გამოვცვალე. ციბრუტივით ვტრიალებდი. ჩემს თვალს უკვე მტვრის ერთი ნაწილაკიც არ გამოეპარებოდა, ორცხობილას ერთი ნამცეციც კი. აბაზანაში კირის ნადების მოცილება გადავწყვიტე. ქაღალდის ხელსახოცები მოვიმარაგე, რომელთაც ძმარში ვალბობდი და ისე ვწმენდდი (დედაჩემისგან ნასწავლი მეთოდით). ზურგს უკნიდან უილის ეტლის ხმა მომესმა.

– რას აკეთებთ?

აბაზანაში ვიყავი ჩაკიდებული. თავიც არ ამიწევია.

– ონკანებს გიწმენდთ კირის ნადებისგან.

ვგრძნობდი, როგორ მიყურებდა.

– გაიმეორეთ, თუ შეიძლება, – მითხრა რამდენიმე წამის შემდეგ.

– რა?

– გამიმეორეთ.

გავსწორდი.

– რატომ? ყურთ დაგაკლდათ? ონკანებს გიწმენდთ კირის ნადებისგან.

– არა, მინდა, საკუთარ თავს თავადაც კარგად მოუსმინოთ. მერედა, რატომ მიწმენდთ ონკანებს კირის ნადებისგან, კლარკ? დედაჩემი მაგას ვერასდროს შეამჩნევს. მე არ მაინტერესებს. სამაგიეროდ, აბაზანა თევზისა და ჩიპსის იაფფასიანი მაღაზიის სუნად ყარს. თანაც, გარეთ გასვლა მინდა.

სახეზე ჩამოვარდნილი თმა ხელის ზურგით გადავიწიე. მართალი იყო. ჰაერში ვირთევზას სუნი იდგა.

– წამოდით. წვიმამ გადაიღო. მამაჩემს ველაპარაკე. ხუთი საათის მერე, როცა ტურისტები წავლენ, ციხე-სიმაგრის გასაღებს მოგვცემს.

ნამდვილად არ აღვუფრთოვანებივარ ციხე-სიმაგრეში სეირნობისა და ზრდილობიანი მიეთმოეთის იდეას. მაგრამ ფლიგელიდან გაღწევის შესაძლებლობა კი ნამდვილად მომეწონა.

– კარგი, ხუთი წუთით მადროვეთ. იქნებ ხელებიდან ძმრის სუნი მოვიშორო.

* * *

სხვაობა უილის ბავშვობასა და ჩემს ბავშვობას შორის ის იყო, რომ უილი თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას ისე იღებდა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. როდესაც მისნაირი ბავშვობა გაქვს – მდიდარი მშობლები, ლამაზი სახლი... როდესაც სწავლობ საუკეთესო სკოლებში და დადიხარ საუკეთესო რესტორნებში, ცხადია, გექნება განცდა, რომ ყველა ეს სიკეთე თავისთავად ხდება, ყოველთვის ასე იქნება და შენი მდგომარეობაც ბუნებრივი კანონზომიერებაა.

უილი მთელი ბავშვობა ციხე-სიმაგრეში დარბოდა, აქ იმალებოდა და აქ თამაშობდა. მამა ამის ნებას აძლევდა და ენდობოდა, რომ არაფერს დააზიანებდა. ხუთ საათსა და ოცდაათ წუთზე, როდესაც ციხე*სიმაგრეს უკანასკნელი ტურისტიც დატოვებდა, როცა მებაღეები

ბუჩქებზე ხელის შევლებასა და დასუფთავებას დაიწყებდნენ, დამლაგებლები დაცლიდნენ ურნებს, წამოკრეფდნენ წვენის ცარიელ კოლოფებსა და კანფეტების ქაღალდებს, იქაურობა მის სათამაშო მოედნად იქცეოდა ხოლმე.

– პირველად გოგოს ციხე-სიმაგრის ასაწევ ხიდთან ვაკოცე, – მითხრა და ხიდის შესათვალიერებლად შედგა, როცა ქვიშის ბილიკს მივუყვებოდით.

– უთხარით, ჩემი სასახლეაო?

– არა, მაგრამ, ალბათ, ჯობდა, მეთქვა. ერთ კვირაში სხვა ბიჭზე გამცვალა, რომელიც მინიმარკეტში მუშაობდა.

მივუტრიალდი და გაოცებულმა შევხედე.

– ტერი როულენდზე ხომ არ ამბობთ? მუქი ფერის უკან გადავარცხნილი თმა აქვს და სვირინგები იდაყვებამდე.

ცალი წარბი ზემოთ ასწია.

– დიახ, ზუსტად ეგ.

– ისევ იქ მუშაობს. მინიმარკეტში. თუ ეს შვებას მოგგვრით.

– არც იმას შეშურდება ჩემი, ეჭვი მაქვს, – მითხრა უილმა და ლაპარაკი ისევ შევწყვიტეთ. უცნაური სანახავი იყო ასეთ დროს ციხე-სიმაგრე – სიჩუმეში ჩაძირული. მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით და სადღაც შორიახლოს კიდევ ერთი მებაღე საქმიანობდა. ნაცვლად იმისა, რომ ტურისტები მეთვალიერებინა, როგორც სხვა დროს, მათი აქცენტისთვის და უცხო გარეგნობისთვის მიმექცია ყურადღება, ახლა ციხესიმაგრის კედლებს ვუყურებდი და ისეთი განცდა მქონდა, პირველად ვხედავდი, პირველად მოვახერხე, რომ მისი ისტორია დამენახა. მისი კაჟის ქვის კედლები აქ რვაას წელზე მეტი იყო, ურყევად იდგა. მის კედლებში ადამიანები იბადებოდნენ და იხოცებოდნენ, უყვარდათ და სტკიოდათ. ახლა კი, ამ სიჩუმეში, თითქოს მათი ხმაც კი ისმოდა, მათი ნაბიჯების ხმა ბილიკებზე...

– კარგი, გამოტყდით, – ვუთხარი უილს, – რამდენჯერ ყოფილა, რომ აქ თამაშისას წარმოგიდგენიათ, ვითომ რომელიმე მეომარი უფლისწული იყავით?

გვერდულად გამომხედა.

– გულახდილად გითხრათ?

– რა თქმა უნდა.

– ნამდვილად ასე იყო. ერთხელ დიდი დარბაზის კედლიდან ერთ-ერთი ხმალი ჩამოვხსენი. ერთ ტონას იწონიდა. გული გამისკდა, მეგონა, უკან დაკიდებას ვეღარ შევძლებდი.

გორაზე ავედით, თხრილთან შევჩერდით. ვუყურებდით ბალახით დაფარულ მდელოებს, დაზიანებულ გალავანს, რომელიც ციხე-სიმაგრეს გარს შემორტყმოდა. მის მიღმა ყრუდ გუგუნებდა ქალაქი, ნეონის შუქებითა და საცობებში გაჭედილი მანქანების რიგებით – პიკის საათი იდგა. აქ კი, ზემოთ, სიმშვიდეს მხოლოდ ჩიტების ჭიკჭიკი და უილის ეტლის ჩუმი ზუზუნი არღვევდა.

უილი მკვეთრად გაჩერდა და ეტლი ისე მოაფხოჭიალა, ორივემ მიწას დავხედეთ.

– საკვირველია, რომ ერთმანეთს ადრე არ შევხვედრივართ. ბავშვობაში. წესით, ჩვენი გზები უნდა გადაკვეთილიყო.

– როგორ? სხვადასხვა წრეში ვიზრდებოდით. თანაც, მე, ალბათ, საბავშვო ეტლით მატარებდნენ, თქვენ რომ აქ ხმლებით დარბოდით.

– აჰ, დამავიწყდა, მე ხომ თქვენთან შედარებით ბებერი ვარ.

– რვაწლიანი სხვაობა საკმარისი იქნებოდა, რომ ჩემთვის „დიდი ბიჭი“ ყოფილიყავით, – ვუპასუხე მე, – პატარაობაში კი არა, მერეც, როცა წამოვიზარდე, მამა უფროს ბიჭთან ურთიერთობის უფლებას არ მომცემდა.

– საკუთარი სასახლე რომ ჰქონოდა, მაშინაც?

– ჰო... ეგ ვითარებას ნამდვილად შეცვლიდა.

მივდიოდით და ბალახის ტკბილი სუნი მოგვყვებოდა, უილის ეტლის ბორბლები ბილიკზე დამდგარ პატარა გუბეებში სისინებდა. გულზე მომეშვა. ჩვენი საუბარი მთლად ისეთი არ იყო, როგორიც ადრე, მაგრამ შეიძლება ამის მოლოდინი აღარც უნდა მქონოდა. მისის ტრეინორი მართალი იყო. უილს ყოველთვის უჭირდა მშვიდად ეყურებინა, როგორ მართავდნენ სხვა ადამიანები მის ცხოვრებას. გონებაში თავს პირობა მივეცი, რომ უფრო ყურადღებით ვიქნებოდი და დავფიქრდებოდი, ჩემი ესა თუ ის ქმედება მასზერა გავლენას მოახდენდა. აღარ მინდოდა, გაბრაზებული ვყოფილიყავი.

– მოდით, ლაბირინთში შევიდეთ. საუკუნეა, არ შევსულვარ.

ფიქრებიდან უცბად გამოვერკვიე.

– არა, არა, გმადლობთ, – მიმოვიხედე და ახლაღა შევამჩნიე, რომ ლაბირინთს მივახლოებოდით.

– რატომ? დაკარგვის გეშინიათ? კარგით, რა, კლარკ. ეს იქნება თქვენი პატარა გამოწვევა. ვნახოთ, გზას თუ დაიმახსოვრებთ და უკან გამოაგნებთ. მე დროს დავინიშნავ. ადრე სულ ასე ვიქცეოდი ხოლმე.

სახლს გავხედე.

– რაღაც არ მინდა, – მარტო ამის გაფიქრებაზეც კი კუჭი ამეწვა.

– ესე იგი, გეშინიათ, რისკზე არ მიდიხართ.

– სულაც არა.

– კარგით, რა პრობლემაა. გავაგრძელოთ მოსაწყენი სეირნობა და დავბრუნდეთ მოსაწყენ პატარა ფლიგელში.

ვიცოდი, რომ ხუმროობდა. მაგრამ რაღაც იყო კიდევ მის ტონში, რამაც ჩემზე იმოქმედა. გამახსენდნენ ჩემი მშობლები, ჩემი და, თავისი ახალი ცხოვრებითა და დიდი მომავლით. მე პატარა ცხოვრება მერგო, ამბიციები უნდა ჩამეკლა. ლაბირინთს გავხედე, მის მრუმე, ხშირ ბუჩქებს. კაცმა რომ თქვას, სასაცილო ვიყავი. წლების განმავლობაში სასაცილოდ ვიქცეოდი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერმა ჩაიარა. ცხოვრება ხომ გავაგრძელე...

– უბრალოდ დაიმახსოვრეთ, საით გაუხვევთ ხოლმე და უკანა გზაზე საპირისპირო მოსახვევებით იარეთ. არც ისე ძნელია, როგორც ჩანს. მართლა.

უილი ლაბირინთის შესასვლელში დავტოვე და შევედი ისე, რომ აღარც დავფიქრებულვარ. ღრმად ჩავისუნთქე და უკან მოვიტოვე ნიშნული, რომელიც გვაფრთხილებდა: „ბავშვები დაიშვებიან მხოლოდ უფროსების თანხლებით“. ცოცხლად

შევაბიჯე მუქ, სქელ და გაუვალ ბუჩქებში, რომლებზეც წვიმის წვეთები ჯერ კიდევ კიაფობდა.

„ეს არც ისე ცუდია, არც ისე ცუდია," – ვუმეორებდი საკუთარ თავს ბუტბუტით, – „უბრალოდ ძველი სქელი ბუჩქების გალავნებია". მარჯვნივ შევუხვიე, მერე მარცხნივ, მერე გაჭრილ ხვრელში გავედი. ისევ მარჯვნივ, ისევ მარცხნივ. თან გონებაში ვიმეორებდი, – „მარჯვნივ, მარცხნივ, ხვრელი, მარჯვნივ, მარცხნივ."

გულისცემა ამიჩქარდა. ყურებში სისხლის შხუილს ვგრძნობდი. თავი ვაიძულე, უილზე მეფიქრა, რომელიც ბუჩქნარს იქით იდგა და საათს დაჰყურებდა. ეს ხომ სულელური გართობა იყო, მეტი არაფერი. თამაში. მე ხომ ის პატარა გულუბრყვილო და ტუტრუცანა გოგო აღარ ვიყავი. ახლახან ოცდაშვიდი წლის გავხდი. ჩემს შეყვარებულთან ერთად ვცხოვრობდი. საპასუხისმგებლო სამსახური მქონდა. სხვა ადამიანი ვიყავი, ერთი სიტყვით. შევუხვიე, გზა პირდაპირ გავაგრძელე, მერე ისევ შევუხვიე.

მერე უცებ, თითქოს არსაიდან, პანიკამ ყელში ისე წამიჭირა, როგორც ნაღველმა იცის ხოლმე. მომეჩვენა, რომ ბუჩქის კედლის ბოლოს კაცმა გაირბინა. თავის დარწმუნებაში, რომ სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა, ის დამავიწყდა, რომ მიმართულებები უნდა დამემახსოვრებინა. „მარჯვენა, მარცხენა, ხვრელი, მარჯვენა. მარჯვენა?" გზა ხომ არ ამერია?! სუნთქვა მიჭირდა. თავს ვაიძულებდი, არ გავჩერებულიყავი. მაგრამ სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ გზა დამებნა. გავჩერდი და გარშემო მიმოვიხედე, ჩრდილებს ვაკვირდებოდი და ვცდილობდი, გამომეცნო, დასავლეთი საით იყო.

ვიდექი და ვხვდებოდი, რომ მეტი აღარ შემეძლო. აღარ შემეძლო იქ გაჩერება. შევბრუნდი და წავედი იმ მიმართულებით, რომელიც სამხრეთი მეგონა. აქედან უნდა გამეღწია. რა თქმა უნდა, გავაღწევდი. მე ხომ ოცდაშვიდი წლისა ვიყავი. ყველაფერი რიგზე იყო. მერე მათი ხმები გავიგე. დამცინავად მეძახდნენ. დავინახე კიდევაც, ბუჩქის კედლებს შორის გარბოდნენ და გამორბოდნენ, წამიერად გამიელვებდნენ ხოლმე. ვგრძნობდი, რომ თავბრუ მეხვეოდა და ნაბიჯიც მერეოდა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ბალახში მეფლობოდა. კედლებს რომ ვეყრდნობოდი, ბუჩქები მჩხვლეტდა. ვცდილობდი, თავი შემემაგრებინა.

– აქედან გასვლა მინდა, – ვუთხარი მათ. ხმა მიკანკალებდა და ბგერები მეყლაპებოდა,

– საკმარისია, ბიჭებო. წასვლა მინდა.

ყველა გაქრა. ლაბირინთში სიჩუმე ჩამოწვა. შორიახლოდან რაღაც ჩუჩუნის ხმა ისმოდა, ან ისინი ჩურჩულებდნენ ბუჩქის კედლის მეორე მხარეს, ან ქარი ფოთლებს აშრიალებდა.

– გასვლა მინდა, ახლავე, – ვთქვი ჩემთვისვე არადამაჯერებელი ხმით. ცას ავხედე, ჩემ ზემოთ ჩამოწოლილმა შავმა სივრცემ წონასწორობა უფრო დამაკარგვინა. შევხტი, ვიღაცამ წელზე ხელი მომხვია – მუქთმიანმა. იმან, აფრიკაში რომ იყო ნამყოფი.

– ჯერ რა დროს წასვლაა. გართობას ახლა ვიწყებთ, – მითხრა.

წელზე მისი ხელები რომ ვიგრძენი, მაშინ მივხვდი. მაშინ გავაცნობიერე, რომ ბალანსი დაირღვა. აქ და ახლა აღარ არსებობდა ზღვარი, რა შეიძლებოდა და რა – არა. ხელი ვკარი და გავიცინე, თითქოს ხუმრობა იყო. არ მინდოდა, მეგრძნობინებინა, რომ მივხვდი. მეგობრებს გასძახა. ადგილიდან მოვწყდი და გავიქეცი. მინდოდა, გასასვლელამდე გზა გამეკვალა. ფეხები რბილ და ნოტიო მიწაში მეფლობოდა. მათი ხმა ყველა

მიმართულებიდან მიახლოვდებოდა. ჯერ ვერ ვხედავდი. სუნთქვა მეკვროდა. მეტისმეტად დაბნეული და თავდაკარგული ვიყავი საიმისოდ, რომ გზა გამომეგნო. მაღალი ბუჩქნარი არ მთავრდებოდა, მეჩვენებოდა, რომ ირხეოდა და გასასვლელები ვიწროვდებოდა. არ ვჩერდებოდი, ვუხვევდი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ვბორძიკობდი, ნაბიჯი მერეოდა, ვცდილობდი, მათ ხმებს გავქცეოდი, მაგრამ გასასვლელი არსად ჩანდა. სადაც არ უნდა შემეხვია, ბუჩქების ახალი რიგი მხვდებოდა და დამცინავი სიცილი მესმოდა. რაღაც გასასვლელთან წავბორძიკდი, იმის გაფიქრება მოვასწარი, რომ უკვე სამშვიდობოს ვიყავი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პირიქით, ლაბირინთის ცენტრთან დავბრუნებულიყავი – იქ, საიდანაც დავიწყე. თავბრუ დამეხვა, როცა ყველა ერთად დავინახე, თითქოს მე მელოდებოდნენ.

– აი, შენც მოხვედი, – მითხრა ერთ-ერთმა და ხელი გადამხვია, – ხომ გითხარით, თვითონაც მოსწონს-მეთქი. მოდი, ლულუ, მაკოცე და გეტყვი, როგორ გახვიდე, – ხმა რბილი და შემპარავი ჰქონდა.

– ყველას გვაკოცე და გზას ყველა გაჩვენებთ.

სახეებს ვეღარ ვარჩევდი.

– მე... მე უბრალოდ მინდა, რომ...

– მიდი, ლუ. შენც ხომ მოგწონვარ? თავს ნუ იკატუნებ. მთელი საღამო კალთაში არ მეჯექი? ერთი კოცნა. რა მოგივიდა. გენანება?

გავიგე, როგორ ჩაიხითხითეს სხვებმა.

– და მერე მაჩვენებ, როგორ გავიდე? – მე თვითონვე მივხვდი, როგორი საცოდავი ხმა მქონდა.

– ჰო, მარტო ერთი კოცნა.

მომიახლოვდა.

მისი ტუჩების შეხება ვიგრძენი, ხელით თეძოზე მომიჭირა.

გამშორდა და გავიგე, როგორ დაუმძიმდა სუნთქვა.

– ახლა ჯეკის რიგია.

არ მახსოვს, რა ვთქვი. ვიღაცამ ხელი მომკიდა. სიცილი გავიგე, მერე თმაში წამავლეს, ვიღაც ისევ მკოცნიდა, ჟინით, აგრესიულად, მერე კი...

„უილ...“

ავსლუკუნდი, ძირს დავჯექი და მუხლებს მოვეხვიე. „უილ...“ ვიმეორებდი მის სახელს კიდევ და კიდევ, ხმა გამბზარვოდა და სადღაც გულის სიღრმიდან ძლივს ამომდიოდა. მისი

ხმა სადღაც ახლოდან მომესმა.

– ლუისა? ლუისა, სად ხართ? რა მოხდა?

კუთხეში მივმჯდარიყავი, ბუჩქნარს ავკვროდი – რამდენადაც მოვახერხე, სიღრმეში. ცრემლები ხედვას მიშლიდა და გამოსახულებას მიდღაბნიდა. მკლავები მუხლებისთვის მჭიდროდ შემომეხვია. აქ ჩავრჩებოდი, სამუდამოდ ჩავრჩებოდი. ვერავინ მიპოვიდა.

– უილ...

– სად ხართ...

გამოჩნდა, ჩემ წინ იდგა.

– ბოდიში, – ვითქვი და არეული სახით შევხედე, – მე... ბოდიში. არ შემიძლია... არ შემიძლია.

ეტლის სახელურზე ხელი რამდენიმე დიუიმით ასწია – მაქსიმალურად, როგორც შეეძლო.

– ღმერთო ჩემო, ეს... მოდით ჩემთან, კლარკ.

წინ წამოიწია და ხელებზე იმედგაცრუებით დაიხედა.

– ჯანდაბა... ყველაფერი კარგად არის. ისუნთქეთ. მოდით ჩემთან. ისუნთქეთ. ნელა.

თვალები მოვიწმინდე. მის დანახვაზე პანიკის შეტევამ გამიარა. ავდექი, ჯერ კიდევ მაკანკალებდა, ვცადე სახე გამესწორებინა.

– მაპატიეთ, მე... არ ვიცი, რა დამემართა.

– კლაუსტროფობია გაქვთ? – მის სახეს რამდენიმე დიუიმი მაშორებდა. ნერვიულობისგან ერთიანად დაჭიმულიყო, – ხომ ვხედავდი, რომ შესვლა არ გინდოდათ. მე მეგონა... მეგონა, რომ უბრალოდ...

თვალები დავხუჭე.

– აქედან გასვლა მინდა.

– ხელი მომკიდეთ. ახლავე გავალთ.

რამდენიმე წუთში გამოვედით. ლაბირინთს ხუთი თითივით ვიცნობო, გზად მეუბნებოდა. მშვიდად და დამაჯერებლად მელაპარაკებოდა. ბავშვობაში ლაბირინთის შესწავლა ამოცანა იყო, რომელიც აუცილებლად უნდა ამომეხსნაო. ხელი მის ხელს ჩავკიდე. მისი თითების სითბომ დამამშვიდა. შემრცხვა, როცა გავაცნობიერე, სინამდვილეში, გასასვლელთან რა ახლოს ვიყავი. ლაბირინთს გარეთ, მერხთან შევჩერდით. მისი ეტლის საზურგეზე ჯიბეში ცხვირსახოცი ვიპოვე. ერთხანს ჩუმად ვისხედით. მე სკამზე, მისი ეტლის გვერდით ჩამოვჯექი. ორივე ველოდით, სლოკინნარევი ქვითინი როდის გადამივლიდა. მშვიდად იჯდა და პერიოდულად გვერდიდან შეპარვით გამომხედავდა ხოლმე.

– აბა? – მითხრა ბოლოს, როცა, ალბათ, შემამჩნია, რომ ლაპარაკი უკვე ქვითინის გარეშე შემეძლო, – არ მეტყვით, რა ხდება?

ცხვირსახოცი ხელში მოვმუჭე.

– არ შემიძლია.

პირი მოკუმა და გვერდზე გაიხედა.

– თქვენ არაფერ შუაში ხართ, – დავამატე საჩქაროდ, – ამაზე არავისთან მილაპარაკია. ეს... ეს... სისულელეა. დიდი ხნის წინ მოხდა. მე არ მგონია, რომ... მე...

მის მზერას ვგრძნობდი. არადა, მერჩივნა, არ შემოეხედა. ხელები მიცახცახებდა და ვერაფრით ვჩერდებოდი. ასე მეგონა, კუჭზე მარწუხები მიჭერდა. თავი გავაქნიე, ვცადე, მეთქვა, რომ არის რაღაცები, რაზე ლაპარაკიც არ შემიძლია. მინდოდა, მისთვის ხელი ისევ ჩამეკიდა, მაგრამ მომერიდა. მის მზერას ვგრძნობდი, მესმოდა კითხვები, რომელიც გონებაში უტრიალებდა და არ მისვამდა.

ჩვენ ქვემოთ, ჭიშკართან ორი მანქანა გაჩერდა. ორი ფიგურა გადმოვიდა, არ ჩანდა, ვინ იყვნენ. ერთმანეთს გადაეხვივნენ და რამდენიმე წუთს იდგნენ. ალბათ, საუბრობდნენ. მერე თავის მანქანებში ჩასხდნენ და საპირისპირო მიმართულებებით წავიდნენ. თვალს ვადევნებდი, მაგრამ ფიქრი არ შემეძლო. თითქოს ტვინი გამეყინა. არ ვიცოდი, რაღა უნდა მეთქვა.

– კარგი. მაშინ მე მომისმინეთ, მითხრა ბოლოს. მივუტრიალდი, მაგრამ მე არ მიყურებდა, – რაღაცას გეტყვით, რაზეც არასდროს არავის ველაპარაკები. კარგი?

– კარგი, – მისი ცხვირსახოცი ხელებში ნოტიო ბურთად ვაქციე, სანამ ველოდი, რას მეტყოდა.

ღრმად ჩაისუნთქა.

– მე მართლა... მართლა ძალიან მეშინია, რა იქნება, – ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე დაბალი, მშვიდი ხმით განაგრძო, – ვიცი, ხალხი ფიქრობს, რომ ჩემს მდგომარეობაში ყოფნა ყველაზე უარესია, რაც ადამიანს შეიძლება, დაემართოს. მაგრამ სინამდვილეში, ამაზე უარესიც არსებობს. შეიძლება, ისე მოხდეს, რომ დამოუკიდებლად სუნთქვაც ვეღარ შევძლო, ლაპარაკიც ვეღარ მოვახერხო. შეიძლება, სისხლის მიმოქცევის პრობლემა შემექმნას და ბოლოს ოთხივე კიდური მომკვეთონ. შეიძლება, სულ საავადმყოფოში წოლამ მომიწიოს. ეს რა ცხოვრებაა, როგორც მე ვცხოვრობ, კლარკ, მაგრამ როცა ვფიქრობ, რამდენად უარესადაც შეიძლება, რომ აღმოვჩნდე... ზოგჯერ, როცა ღამით საწოლში უძრავად ვწევარ. სუნთქვაც კი მეკვრის.

ნერწყვი გადაყლაპა და რამდენიმე წამს გაჩუმდა.

– იცი, რა? ამის მოსმენა არავის უნდა. არავის უნდა მოგისმინოს, რომ გეშინია, რომ გტკივა, რომ გზარავს იმაზე ფიქრი, რაღაც სულელურ ინფექციას შეიძლება შენი სიცოცხლე გადაჰყვეს. არავის უნდა იცოდეს, რას გრძნობ, როცა იცი, რომ აღარასდროს გექნება სექსი, ვეღარასდროს შეჭამ საკუთარი ხელით მომზადებულ საჭმელს, ვერასდროს აიყვან ხელში საკუთარ შვილს. არავის აინტერესებს, რომ ხანდახან ამ ეტლში სული მეხუთება და ღრიალი მინდა, როცა წარმოვიდგენ, რომ მომდევნო დღესაც ამაში უნდა ვიჯდე. დედაჩემი ცხოვრობს შეგრძნებით, რომ ხელში ასაფეთქებლად გამზადებული ყუმბარა უჭირავს და ვერაფრით მპატიობს, მამაჩემი რომ მაინც მიყვარს. ჩემი და სიამოვნებით მიმახრჩობდა, რომ შეეძლოს, რადგან ახლაც თავს ჩემ ჩრდილქვეშ გრძნობს. ჩემი ტრავმის გამო კი თავს უფლებას ვერ აძლევს, ისე ვძულდე, როგორც ბავშვობაში. მამაჩემს უბრალოდ უნდა, რომ ამ ყველაფერმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს. ყველას უნდა, რომ რეალობა ნათელ ფერებში დაინახოს. მათ სჭირდებათ, რომ მე ნათელ ფერებში ვხედავდე სამყაროს, – რამდენიმე წამით ისევ გაჩუმდა, – უნდათ, სჯეროდეთ, რომ არსებობს ეს ნათელი მხარე. დაბნელდა, თვალები დავახამხამე.

– მეც? – ვკითხე ჩუმად.

– შენ, კლარკ, მას შემდეგ, რაც ამ დამპალ ეტლში ვზივარ, ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისთანაც ლაპარაკი შემიძლია, – მითხრა და ხელებს დააცქერდა.

მეც ყველაფერი მოვუყევი.

ხელი ჩავკიდე – იმავე ხელში, რომლითაც ლაბირინთიდან გამომიყვანა. დაბლა დავიხედე, საკუთარ ფეხსაცმელებს დავაცქერდი, ღრმად ჩავისუნთქე და ყველაფერი მოვუყევი. რა მოხდა იმ ღამეს, როგორ დამცინოდნენ, როგორ აბუჩად მიგდებდნენ, რომ მთვრალი ვიყავი, გაბრუებული და უმწეო... როგორ გამოვაღწიე ლაბირინთიდან და როგორ მითხრა ჩემმა დამ, რომ ასე სჯობდა, კიდევ გამიმართლა, რომ ყველაფერი არ მახსოვდა, რაც ჩაიდინეს... რომ მეხსიერებიდან ამოვარდნილი ის ნახევარი საათი მთელი ცხოვრება მოსვენებას არ მაძლევდა. ეს დრო მათი სიცილით, სხეულებით, სიტყვებით შევავსე – ჩემი დამცირებით. მოვუყევი, რომ როგორც კი ქალაქს გავცდებოდი, მათი სახეები ახლაც მელანდებოდა. ამიტომ მაკმაყოფილებდა პატრიკი, დედა, მამა და ჩემი უღიმღამო ცხოვრება, მთელი თავისი პრობლემებითა და შეზღუდვებით. ასე თავს უფრო დაცულად და უსაფრთხოდ ვგრძნობდი.

საუბარს რომ მოვრჩით, უკვე გვარიანად ჩამობნელებულიყო. ტელეფონზე თოთხმეტი შეტყობინება დამხვდა კითხვით, სად ვიყავით ამდენ ხანს.

– ჩემ გარეშეც უნდა იცოდე, რომ ეს შენი ბრალი არ იყო, – მითხრა მშვიდად.

ცა ისეთი უძირო და უსასრულო ჩანდა, როგორც მარადისობა.

ხელში ცხვირსახოცს ვაწვალებდი.

– ჰო. კი. მაგრამ... მე... მეც მაქვს ჩემი პასუხისმგებლობა. ბევრი დავლიე, გამომწვევად ვიქცეოდი. მეც ხომ ვეფლირტავებოდი. ეს...

– არა. პასუხისმგებლები ისინი არიან.

ეს ხმამაღლა არასდროს არავის უთქვამს ჩემთვის. ტრინას მზერაშიც კი, რომელიც თანაგრძნობით იყო სავსე, ამის უკან მაინც ბრალდება იკითხებოდა – „ასე იცის დათრობამ და ცერცეტობამ უცხო კაცებთან...“.

თითები მომიჭირა. ოდნავ, ძლივს შესამჩნევად, მაგრამ ვიგრძენი.

– ლუისა, ეს არ იყო შენი ბრალი.

ავტირდი. ამჯერად ქვითინი არ ამვარდნია, არ მისლუკუნია. ცრემლები უხმოდ ჩამომდიოდა და ვგრძნობდი, მათთან ერთად მტოვებდა დანაშაულის გრძნობა, შიში. კიდევ სხვა რაღაცები, რომელთათვის ჯერ სახელიც არ დამერქმია. თავი მხარზე მივადე. მანაც გადმოხარა თავი და დამადო.

– კარგი. მისმენ?

თანხმობის ნიშნად ჩავიბუტბუტე.

– მაშინ ერთ კარგ რამეს გეტყვი, – მითხრა და ცოტა ხანს შეიცადა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად ყურადღებით ვუსმენდი, – ზოგიერთ შეცდომას... უფრო სერიოზული შედეგები მოსდევს. მაგრამ არ უნდა დაუშვა, რომ იმ ღამემ განგისაზღვროს, ვინ ხარ, რა ხარ და რა გინდა.

თავი ისევ ჩემზე ჰქონდა მოდებული.

– კლარკ, შენ გაქვს არჩევანი, რომ ეს ასე არ მოხდეს.

გამეღიმა. დიდხანს ვიღიმოდი და ვთრთოდი. ჩუმად ვისხედით. მისი ნათქვამის გააზრებას ვცდილობდი. შემეძლო, მთელი ღამე ასე ვმჯდარიყავი, ყველასგან შორს, ხელში

უილის თბილი ხელი მჭეროდა და დავკვირვებოდი, როგორ მტოვებდა შავბნელი აზრები და შეგრძნებები.

– ახლა დროა, სახლში წავიდეთ,– თქვა წყნარად, – სანამ ჩვენზე ქალაქის მასშტაბით ძებნა გამოუცხადებიათ.

ხელი გავუშვი და წამოვდექი – ცოტა უხალისოდ. კანზე ღამის სიგრილე ვიგრძენი. მერე კი, შვებითა და სიამოვნებით, მკლავები თავზემოთ გავჭიმე. თითები ჰაერში გავშალე და კვირების, თვეების დაძაბულობა, ალბათ, წლებისაც, მოვკრიბე და ღრმად ამოსუნთქვას ამოვაყოლე.

ჩვენ ქვემოთ ქალაქში შუქები ციმციმებდა, როგორც ციცინათელები ბნელ ღამეში. შევბრუნდი.

– უილ...

– ჰო.

ბნელოდა, სუსტ განათებაზე მის სახეს ვეღარ ვარჩევდი, მაგრამ ვიცოდი, მიყურებდა.

– მადლობა. მადლობა, რომ გამომიყვანე.

თავი დააქნია, ეტლი შეაბრუნა და ბილიკს დაადგა.

XVIII

– „დისნეის სამყარო“ (Disney World – გასართობი და დასასვენებელი კომპლექსი ფლორიდის შტატში. ეს არაა დისნეილენდი, რომელიც კალიფორნიის შტატში მდებარეობს. ნ.ბ.) გადასარევი არჩევანი იქნება.

– ხომ გითხარით, თემატური პარკები გამორიცხულია.

– ვიცი, რომ მითხარით, მაგრამ იქ მხოლოდ სასრიალოები და მბრუნავი კარუსელები კი არ არის. ფლორიდაში დაგხვდებათ კინოსტუდიები, სამეცნიერო ცენტრი... საგანმანათლებლო მიზნებისთვის შესანიშნავი ადგილია.

– არა მგონია, 35 წლის მამაკაცს, რომელიც მსხვილ კომპანიას ხელმძღვანელობდა, ახლა განათლება აინტერესებდეს.

– ყოველ კუთხეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის ადაპტირებული ტუალეტებია. მომსახურე პერსონალი ძალიან ყურადღებიანია. არაფერზე შეგექმნებათ პრობლემა.

– ახლა იმასაც მეტყვით, რომ ხეიბრებისთვის სპეციალური ტურებია, არა?

– ყველას ხელგაშლილი და მეგობრულად ხვდებიან. რატომ არ გინდათ, რომ ფლორიდა სცადოთ, მის კლარკ? „დისნეის სამყარო“ თუ არ მოგეწონებათ, „ზღვის სამყაროში“ წახვალთ. ამინდებიც გადასარევი იცის.

– უილსა და მკვლელ ვეშაპს შორის არჩევანს ნუ გამაკეთებინებთ. ვიცი, რომელია უარესი.

მგონი, არ მისმენდა.

– იქ არის ასევე ერთი კომპანია, რომელსაც ყველაზე მაღალი შეფასებები აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების ინტერესებთან გამკლავების

თვალსაზრისით. ფონდი აქვთ, რომლის საშუალებითაც მომაკვდავ ადამიანებს სურვილებს უსრულებენ.

– უილი მომაკვდავი არ არის! – ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარი მაშინვე გავწყვიტე, როგორც კი უილის ხმა მომესმა. ყურმილი მოუხერხებლად დავახეთქე და ბლოკნოტი სასწრაფოდ დავხურე.

– ყველაფერი რიგზეა, კლარკ?

– დიახ, – ყურებამდე გავიღიმე.

– კარგი. ლამაზი გამოსასვლელი ტანსაცმელი ხომ გაქვს?

– რა?

– შაბათს რას აკეთებ?

მოლოდინით მიყურებდა. ტვინში ისევ ტურისტული სააგენტოს თანამშრომელი და მკვლელი ვეშაპი მიტრიალებდა.

– აჰ... არაფერს. პატრიკი, ალბათ, მთელი დღე ივარჯიშებს. რატომ მეკითხები?

რამდენიმე წამს შეიცადა, სანამ მიპასუხებდა, თითქოს ჩემი გაოგნებული სახის დანახვა ესიამოვნა.

– ქორწილში უნდა წავიდეთ.

* * *

ვერაფრით მივხვდი, უილს აზრი რამ შეაცვლევინა და ალისიასა და რუპერტის ქორწილში წასვლა რამ გადააწყვეტინა. ეჭვი მაქვს, ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა, დიდწილად, წინააღმდეგობისკენ მისმა შინაგანმა სწრაფვამ მოახდინა. მის ქორწილში მისვლას ხომ არავინ ელოდა. ყველაზე ნაკლებად კი ამას თავად ალისია და რუპერტი წარმოიდგენდნენ. შესაძლოა, უნდოდა, რომ ყველაფერი ასე დაესრულებინა. მაგრამ, მე მგონია, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში ალისიას დაეკარგა უნარი, უილისთვის ტკივილი მიეყენებინა.

გადავწყვიტეთ, რომ ნათანის დახმარების გარეშეც გავიდოდით იოლას. დავრეკე და ვიკითხე, ტენტის კონსტრუქცია, სადაც ქორწილი ჩატარდებოდა, უილის ეტლზე მორგებული თუ იქნება-მეთქი. როცა მიხვდა, მოწვევაზე უარს არ ვამბობდით, ალისიას ისეთი შეშფოთებული ხმა ჰქონდა, მაშინღა გავაცნობიერე, ეს მოჩუქურთმებული მოსაწვევი მხოლოდ და მხოლოდ ზრდილობის გამო გამოეგზავნათ.

– ჰმმ... იცით... ტენტში შესასვლელად ერთი ძალიან პატარა საფეხური იქნება, მაგრამ იმ ხალხმა, ვინც ეს უნდა ააწყოს, გვითხრა, რომ პანდუსის გაკეთებაც შეუძლიათ... – მითხრა და დადუმდა.

– ძალიან კარგი, შესანიშნავი იქნება. გმადლობთ. მალე შევხვდებით, – ვუთხარი და დავემშვიდობე.

საქორწილო საჩუქარი ინტერნეტით შევარჩიეთ. უილმა 120 გირვანქა სტერლინგი სურათის ვერცხლის ჩარჩოში გადაიხადა, კიდევ 60 გირვანქა – ვაზაში, რომელზეც თქვა, „სრული საზიზღრობაა“. გაოგნებული ვიყავი, რომ ამდენ ფულს ხარჯავდა ადამიანებისთვის, რომლებიც არც კი მოსწონდა. მაგრამ როგორც ტრეინორებთან

გატარებული კვირების განმავლობაში მივხვდი, ამ ხალხს ფულზე ჩემგან სრულიად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა.

გადავწყვიტე, რომ წითელი კაბა ჩამეცვა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ვიცოდი, უილს მოსწონდა (ჩავთვალე, რომ მხარდაჭრისთვის ახლა ყველა შესაძლო წვრილმანი დასჭირდებოდა), მაგრამ ასევე იმიტომ, რომ სინამდვილეში, სხვა არაფერი მქონდა, რის ჩაცმასაც მსგავს თავყრილობაზე გავბედავდი. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა უილს, მაღალი საზოგადოების წარმომადგენელთა ქორწილში წასვლის როგორ მეშინოდა, თანაც, „დამხმარეს“ სტატუსით. რომ წარმოვიდგენდი, როგორ შემფასებლურად შემოგვხედავდნენ და ერთმანეთში ამრეზით გადაიჩურჩულებდნენ, ამისთვის ოღონდ კი თავი დამეღწია, თანახმა ვიყავი, მთელი შაბათი მეყურებინა, როგორ დარბოდა პატრიკი წრეზე. ამაზე ფიქრი ჩემი მხრიდან შეიძლება სისულელეც იყო, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებდი. მათი ზემოდან მოცქირალი სახეების წარმოდგენაზე მაინც კუჭი მეწვოდა. უილისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ მის გამო ვღელავდი. ყველაზე მსუბუქ შემთხვევაშიც კი, წახვიდე ყოფილი შეყვარებულის ქორწილში – ნამდვილი მაზოხიზმია, მაგრამ ამას დამატებული, წახვიდე ასეთ მასშტაბურ შეკრებაზე, სადაც იქნება ყველა შენი ძველი მეგობარი და კოლეგა, უყურო, როგორ მიყვება ცოლად შენი ყოფილი შეყვარებული შენს ყოფილ მეგობარს... ეს უკვე ცალსახად პირდაპირი და მოკლე გზაა დეპრესიისკენ. ქორწილის წინა დღეს ვცადე, ამაზე სიტყვა ჩამომეგდო, მაგრამ თავიდან მომიცილა.

– მე არ ვნერვიულობ ამაზე, კლარკ, და შენ მით უმეტეს არ უნდა იღელვო, – მითხრა მან.

ტრინას დავურეკე და მოვუყევი.

– გირჩევ, ეტლი შეამოწმო. ან საწამლავი ეყრება, ან ბომბი ექნება მიმაგრებული, – ეს იყო სულ ტრინას კომენტარი.

– ამხელა მანძილზე სახლიდან პირველად მიმყავს და ესეც სრული კატასტროფა იქნება.

– იქნებ, უნდა თავს შეახსენოს, რომ სიკვდილზე უარესი რამეებიც არსებობს.

– არაა სასაცილო.

– კარგი. აბა, შენ იცი, გაერთე. და ის წითელი კაბა არ ჩაიცვა. ნამეტანი გადმოყრილი გაქვს ყველაფერი.

* * *

ქორწილის დღეს, მზიანი და მშვიდი დილა გათენდა. გული მიგრძნობდა, ასე იქნებოდა. ალისიასნაირ გოგოებს ღმერთთანაც ჩაწყობილი აქვთ საქმე.

– რა ენამწარე ხარ, კლარკ, – მითხრა უილმა.

– საუკეთესო მასწავლებელი მყავს ამ საქმეში.

ნათანი ადრიანად მოვიდა, რომ უილს გამზადებაში მიხმარებოდა და სახლი დროულად, ცხრა საათისთვის დაგვეტოვებინა. ორი საათის გზა გვქონდა. ამას გარდა, გზად შესასვენებლად გაჩერებებიც გათვალისწინებული მქონდა. მგზავრობა ყურადღებით დავგეგმე, რომ მაქსიმალურად კომფორტულად ჩავსულიყავით. სააბაზანოში მოვემზადე. ახლად გაპარსულ ფეხებზე წინდები ამოვიცვი, მაკიაჟი გავიკეთე და მერე ისევ მოვიშორე. ჩავთვალე იმ არისტოკრატებს გოგონა ვეგონები გამოძახებით-მეთქი. კისერზე შარფი არ

მომიხვევია, მაგრამ შალი წამოვიღე იმ შემთხვევისთვის, თუ თავს ნამეტანი უხერხულად ვიგრძნობდი.

– ცუდი არაა, ჰო? რას იტყვი? – ნათანმა უკან დაიხია. უილს მუქი პიჯაკი, ღიღილოსფერი ლურჯი პერანგი ეცვა და შესაფერისი ჰალსტუხი ეკეთა. სუფთად იყო გაპარსული და სახეზე ოდნავ შესამჩნევი რუჯი დასტყობოდა. პერანგის ფერი მის თვალებს უფრო ხაზს უსვამდა. განსაკუთრებულად უბრწყინავდა, თითქოს მზის სხივებს ირეკლავენო.

– ცუდი არაა, – ვუპასუხე მოკლედ, რადგან რატომაღაც მომერიდა მეთქვა, რომ სინამდვილეში, ძალიან მიმზიდველი და სიმპათიური იყო, – ნამდვილად ინანებს, რომ ცოლად იმ ყროყინა ქონის გროვას მიჰყვება.

თვალები ზემოთ აღაპყრო.

– ნათან, ჩანთა მზად არის?

– დიახ. ყველაფერი ჩალაგებულია, – ნათანი უილს მიუბრუნდა, – მეჯვარეებს კოცნა-პროშნა არ დაუწყოთ, უილ.

– არა მგონია, მოახერხოს, – გამოვეპასუხე მე, – დარწმუნებული ვარ, ყელამდე შეკრული პერანგები ეცმევათ და ცხენის სუნი ექნებათ.

უილის მშობლები მის გასაცილებლად გამოვიდნენ. ვიეჭვე, რომ ნაჩხუბრები იყვნენ. მისის ტრეინორი ქმრისგან იმდენად შორს დადგა, თითქოს მოქიშპე საგრაფოების წარმომადგენლები იყვნენ. ხელები გულზე დაეკრიფა. ჩემთვის არ შემოუხედავს. მანქანა მოვატრიალე.

– ძალიან არ დაათროთ, ლუისა, – მითხრა და უილს მხრიდან წარმოსახვითი ბურძგლი მოაშორა.

– რატომ? – გამოეპასუხა უილი, – საჭესთან მე კი არ ვზივარ.

– მართალი ხარ, უილ, – თქვა მისტერ ტრეინორმა, – ქორწილებში ერთი-ორი ჭიქა მაგარი სასმლის გარეშე მეც ვერასდროს ვძლებდი.

– საკუთარ ქორწილშიც კი, – ჩაილაპარაკა მისის ტრეინორმა და მერე უფრო ხმამაღლა დაამატა, – ძალიან ელეგანტური ხარ, ძვირფასო, – ჩაიმუხლა და უილს შარვლის ბოლოები გაუსწორა, – გადასარევად გამოიყურები.

– თქვენც, ლუისა, – მითხრა მისტერ ტრეინორმა, უილის ჩასაჯდომად მანქანა რომ მოვაყენე და გადმოვედი, – თვალს იტაცებთ. აბა, დატრიალდით.

უილმა ეტლი მოაბრუნა.

– ამის დრო არ აქვს, მამა. გზას გავუდგეთ, კლარკ. პატარძალთან ერთად ხომ არ შევგორდებით ტაძარში, არა მგონია, ეს კარგ ტონად ჩაგვითვალონ.

მანქანაში ჩავჯექი. უილიც საიმედოდ იჯდა უკან. მისი პიჯაკი საგულდაგულოდ ისე მოვათავსე, რომ გზად არ დაჭმუჭნულიყო. წავედით.

* * *

ალისიას მშობლების სახლი იქამდევე ვიცოდი, როგორი იქნებოდა, სანამ ადგილზე ჩავიდოდით. საერთოდაც, წარმოსახული რეალობას იმდენად ზუსტად დაემთხვა, რომ უილმა გაოცებით შემომხედა, როცა მანქანა სიცილით შევანელე. ეს იყო ტრადიციული

სამღვდლო სახლი გეორგიანული ეპოქიდან. მაღალი ფანჯრები სანახევროდ დაეფარათ ფერმკრთალ გლიცინიებს. გზა სახლამდე ოქროცერცვას კარამელისფერ რიგებში გადიოდა. იდეალური სახლი უნდა ყოფილიყო პოლკოვნიკის ოჯახისთვის. წარმოვიდგინე ალისია ბავშვობაში – თმა, ალბათ, ორ სქელ ნაწნავად გაეყო და მინდორს აღმა-დაღმა თავის პუტკუნა პონისთან ერთად მიუყვებოდა ხოლმე.

ღია ფერის ლაბადებში გამოწყობილი ორი მამაკაცი მანქანებს მიმართულებას აძლევდნენ, რომ მინდორზე გაჩერებულიყვნენ სახლსა და ტაძარს შორის. მანქანის შუშა ჩავწიე.

– ტაძართან სადგომი არის?

– სტუმრები აქეთ უნდა მობრძანდეთ, მადამ.

– ეტლით ვართ, რომელიც შესაძლოა, ბალახში ჩაეფლას – ვუთხარი მათ, – ზუსტად ტაძართან უნდა მივიდეთ. პირდაპირ იქით წავალ.

მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს და ერთმანეთში რაღაც ჩაიბუტბუტეს. სანამ რამეს კიდევ იტყოდნენ, მანქანა ექსკლუზიურად ზედ ტაძართან მივაყენე. „დაიწყო“ – ვიფიქრე გულში, როცა მანქანის სარკეში უილის მზერა დავინახე.

– დამშვიდდი, კლარკ. ყველაფერი კარგად იქნება, მითხრა უილმა.

– ძალიან მშვიდად ვარ. რატომ გგონია, რომ არ ვარ?

– ყველაფერი შუბლზე გაწერია და იმიტომ. სანამ გზაში ვიყავით, ოთხი ფრჩხილის დაკვნეტაც წარმატებით მოასწარი.

– კარგი... აბა, რა გეგმები გვაქვს დღეს?

უილმა ჩემს მზერას თვალი გააყოლა.

– პირდაპირ გითხრა?

– ჰო. უნდა ვიცოდე. ოღონდ არ მითხრა, რომ ოპერაცია „შოკი და შიში“ („შოკი და შიში“ – იგივე „სწრაფი დომინირების დოქტრინა“, სამხედრო დოქტრინა, შემუშავებული 1996 წელს აშშს თავდაცვის ნაციონალურ უნივერსიტეტში. გულისხმობს მტრის დაბნევასა და პარალიზებას მაქსიმალური ძალის დემონსტრირებით. ნ.ბ.) უნდა ჩაატარო. რაღაც საშინელებას აპირებ, არა? ლურჯ, უძირო თვალებში შევხედე. მუცელში პეპლები ამიფარფატდნენ.

– სამაგალითოდ კარგად მოვიქცევით, კლარკ.

პეპლებმა მოსვენება დაკარგეს, თითქოს გალიიდან თავის დაღწევა უნდათო. ლაპარაკი დავიწყე, მაგრამ გამაწყვეტინა.

– დამშვიდდი, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კარგად გავერთოთ.

„გავერთოთ“... თითქოს ყოფილი შეყვარებულის ქორწილში გასართობად წასვლაზე უკეთესს ვერაფერს მოვიფიქრებდით, რომ ისეთი განცდა არ მქონოდა, თითქოს, სტომატოლოგის კაბინეტში, ბურღის ქვეშ ვიჯექი. მაგრამ ასეთი იყო უილის არჩევანი. ეს მისი დღე იყო. ღრმად ჩავისუნთქე და შევეცადე, აზრები მომეკრიბა.

– მხოლოდ ერთი პირობით, – ვთქვი და შალი მხრებზე მეათასედ გავისწორე.

– აბა?

– კრისტი ბრაუნს არ განასახიერებ! იცოდე, ისევ ეგ ჯღანვა და ღმუილი რომ დაიწყო, სახლში გავიქცევი და ამ გაფხორილ ინდაურებში მარტოს დაგტოვებ.

უილი შებრუნდა და ტაძრისკენ წავიდა. თითქოს მომესმა, რომ საყვედურით ჩაიბუტბუტა, ყველაფერი ჩაშალაო.

მთელმა ცერემონიამ ინციდენტის გარეშე ჩაიარა. ალისია დაუჯერებლად და უკვე თითქმის ღიმილისმომგვრელად ლამაზი იყო. რასაც, რა თქმა უნდა, ველოდი. კანი ღია კარამელისფრად უბრწყინავდა, აბრეშუმის თეთრი კაბა თხელ სხეულზე ჩამოჰღვროდა – თითქოს ბოდიშის მოხდით, რომ მის ნატიფ სხეულს ეხებოდა. ვუყურებდი, როგორ შემოლივლივდა და ჩემთვის ვფიქრობდი, ნეტავ როგორი გრძნობაა, როცა მაღალი და გრძელფეხება ხარ – ზუსტად ისეთი, დანარჩენ კაცობრიობას რომ გვგონია, ადამიანი მხოლოდ დაფოტოშოპებულ პოსტერზე რომ შეიძლება არსებობდეს. ნეტავ ბანდაჟი თუ აცვია-მეთქი, ესეც გავიფიქრე, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ ეცვა. მას მხოლოდ უთხელესი მაქმანიანი წინდები შეიძლებოდა სცმოდა – თეთრეული უნაკლო ქალებისა, რომელთაც არაფერი აქვთ დასამალი, ასაწევი, შესაკუმში და ა.შ. ასეთი წინდები უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე ჩემი მთელი კვირის ხელფასი.

სანამ ვიკარიუსი რაღაცას ბურტყუნებდა და პატარძლის პაწია მეჯვარეები სკამებზე ფეხებს აქანავებდნენ, სტუმრების თვალიერება დავიწყე. ერთ ქალს ვერ ნახავდით ისეთ ფორმაში და ისეთი გარეგნობით, რომ გლამურული ჟურნალების მოდელებად არ ჩაგეთვალათ. ფეხსაცმელები, რომლებიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს პირველად ეცვათ, იდეალურად ჰქონდათ შეხამებული სამოსთან. უფრო ახალგაზრდები მოხდენილად იდგნენ ოთხ-ხუთ დიუიმიან ქუსლებზე და საუცხოო პედიკიური მოუჩანდათ. უფრო ასაკიან ქალებს შედარებით დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვათ, შედარებით მკაცრი პიჯაკები, ოთხკუთხედი მხრებითა და კონტრასტული ფერის აბრეშუმის სარჩულებით. მათი შლაპები კი სიმძიმის ძალის არსებობას უარყოფდნენ, თითქოს.

მამაკაცები შესახედავად ნაკლებად საინტერესონი ჩანდნენ, მაგრამ ყველას დაჰყვებოდა ის აურა, რაც ხანდახან უილისთვისაც შემინიშნავს – სიმდიდრის, ძალაუფლების, რწმენის, რომ ცხოვრება ისე აეწყობა, როგორც მათ მოესურვებათ. დამაინტერესა, ნეტავ რომელი რომელ კომპანიას მართავდა, რომელ სამყაროს ატრიალებდა თავის ჭკუაზე. იმაზეც ვფიქრობდი, ნეტავ საერთოდ თუ ამჩნევენ ჩემნაირ ადამიანებს, რომლებიც მათი შვილების ძიძებად მუშაობენ, ან რესტორნებში ემსახურებიან-მეთქი. ან სულაც მათი ბიზნესკოლეგებისთვის ბოძზე ცეკვავენ – დასაქმების ცენტრში ჩემი ერთ-ერთი ინტერვიუ გამახსენდა. ქორწილებში, სადაც აქამდე ვყოფილვარ, ნეფისა და პატარძლის ოჯახები ცალ-ცალკე სხდებოდნენ, თითქოს ეშინოდათ, რომ ვიღაცას მათ შორის დადებული ზავი არ დაერღვია. ცერემონია დამთავრდა. უილი უკვე ტაძრის გასასვლელისკენ მიდიოდა. უკან მივდევდი და ვუყურებდი, თავი როგორ ჰქონდა აწეული და ერთგვარი ღირსებით ეჭირა. მინდოდა მეკითხა, ხომ არ ფიქრობ, რომ აქ მოსვლა შეცდომა იყო-მეთქი. მინდოდა მეთქვა, რომ მეტისმეტად კარგი იყო ამ სულელი კარამელისფერი ქალისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცა, მათი შემხედვარე, სხვანაირად იფიქრებდა, მინდოდა, მეთქვა, რომ... არ ვიცი, კიდევ რისი თქმა მინდოდა.

ყველაზე მეტად კი ის მინდოდა, რომ თავი უკეთესად ეგრძნო.

– ხომ კარგად ხარ? – ვკითხე, როცა წამოვეწიე.

(ეს ხომ შეიძლებოდა, რომ მისი ქორწილი ყოფილიყო...)

თვალები რამდენჯერმე დაახამხამა.

– მშვენივრად, – მიპასუხა და ისე ამოისუნთქა, თითქოს მანამდე იკავებდა. ამომხედა და მითხრა, – წავიდეთ, ახლა რამე დავლიოთ.

ტენტი შემოღობილ ბაღში გაემართათ, შესასვლელადაც ღია ვარდისფერი ყვავილებისგან დაწნული გირლანდებით შემკული რკინის ჭიშკარი უნდა გაგევლოთ. ტენტის ბოლოში მოწყობილ ბართან უკვე ბევრი ხალხი იდგა. უილს შევთავაზე გარეთ დამლოდებოდა, მე კი სასმელს მოვიტანდი. გვერდს ვუვლიდი მაგიდებს, რომელზეც ტილოს თეთრი სუფრები იყო გადაფარებული და იმდენი ჭურჭელი ელაგა, ცხოვრებაში რომ არ მენახა. სკამებს მოოქრული საზურგეები ჰქონდა, მოდის ჩვენებებზე რომ გინახავთ, ეგეთი. თითოეული მაგიდის თავზე ფრეზიებითა და ლილიებით შემკული თეთრი ფარანი ეკიდა, ჰაერში ყვავილების სურნელი დაგუბებულიყო, იმდენად, რომ იქაურობა დახუთულიც მომეჩვენა.

– პიმსს (პიმსი – (pimm’s) – ხილით მომზადებული მსუბუქი ალკოჰოლური სასმელი. ნ.ბ.) ინებებთ? – მკითხა ბარმენმა, როცა, როგორც იქნა, მივაღწიე.

– ჰმმ... – გარშემო მიმოვიხედე და რაკი დავინახე, რომ სხვა არჩევანი არც არსებობდა, ვუპასუხე, – დიახ, ორი ჭიქა, თუ შეიძლება.

გამიღიმა.

– სხვა სასმელებს მოგვიანებით შემოიტანენ, რა თქმა უნდა. მაგრამ მის დიუარმა დაიჟინა, რომ პიმსით დაგვეწყო.

ცოტა არ იყოს, კონსპირაციულად გადმომხედა და მისი წარბის აწევით მივხვდი, ალისიას ამ არჩევანზე რა აზრისაც იყო.

ვარდისფერ, ლიმონათივით სასმელს დავაკვირდი. მამაჩემი ყოველთვის ამბობდა, ეს მდიდრები წუწურაქი ხალხიაო, მაგრამ ქორწილი ალკოჰოლის გარეშე? ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი.

– რა გაეწყობა, იყოს კომპოტი, – ვთქვი და უილისკენ წავედი.

უილი ვიღაც კაცთან საუბარში გართული ვიპოვე. ახალგაზრდა იყო, სათვალე ეკეთა, ნახევრად წელში მოხრილიყო და ერთი ხელით უილის ეტლის სახელურს ეყრდნობოდა. მზე ისე კაშკაშებდა, შევიჭმუხნე, რომ მათთვის თვალი გამესწორებინა. უცებ მივხვდი, იმ ფართოფარფლიან შლაპებს რა დანიშნულებაც ჰქონდა.

– როგორ მიხარია შენი ნახვა, უილ, – ამბობდა ახალგაზრდა მამაკაცი, – კომპანია ისეთი აღარ არის, როგორიც შენ დროს იყო. შეიძლება, ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ... სულ სხვანაირია. უბრალოდ, ის აღარ არის.

ბუღალტერს ჰგავდა. აი, იმ ტიპის ადამიანებს, თავს კომფორტულად მარტო შარვალ-კოსტუმში რომ გრძნობენ.

– სასიამოვნოა ამის მოსმენა.

– ეს ისეთი უცნაური იყო, ისე მოულოდნელად დაგვატყდა თავს. ერთ დღეს იყავი, ყველაფერს შენ განაგებდი, მერე უცებ...

შეამჩნია, რომ მეც მივუახლოვდი და შემომხედა.

– ოჰ... – თქვა და თვალები ჩემი მკერდისკენ გაექცა, – გამარჯობა.
– ლუისა კლარკ, გაიცანით ფრედი დერვენტი.
უილის ჭიქა მისი ეტლის დამჭერში მოვათავსე და ახალგაზრდა კაცს ხელი ჩამოვართვი.
როგორც იქნა, სახეზე შემომხედა.
– ოჰ... – თქვა კიდევ ერთხელ, – და...
– მე უილის მეგობარი ვარ, – ვთქვი და მე თვითონაც არ ვიცოდი, რატომ, უილს მხარზე ხელი ჩამოვადე.
– ცხოვრება ურიგოდ არ მიდის, ესე იგი, – თქვა ფრედი დერვენტმა და ისე ჩაიცინა, ჩახველებას უფრო ჰგავდა, ცოტა წამოწითლდა და დაამატა, – კარგი.. ხალხს შევერევი. ხომ იცით, ასეთი თავყრილობები ხალხთან სასაუბროდ უნდა გამოიყენო ადამიანმა. მაგრამ ძალიან მიხარია შენი ნახვა, უილ. მართლა. სასიამოვნო იყო... თქვენი გაცნობა, მის კლარკ.
– რა სასიამოვნო ადამიანია, – ვთქვი, როცა დერვენტი წავიდა. უილის მხრიდან ხელი ავიღე და ჩემი პიმსი მოვსვი. იმაზე გემრიელი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. კიტრის ნაზი არომატი ვიგრძენი და ამან ცოტა გამაკვირვა.
– ჰო, არაა ცუდი ბავშვი.
– სულ არაა ტლანქი და დაბნეული.
– ჰო, კლარკ, – უილმა ამომხედა, – საერთოდ არ არის ტლანქი და დაბნეული.
თითქოს ფრედი დერვენტის ქცევამ გაათამამაო, მომდევნო ერთი საათის განმავლობაში უილთან მისასალმებლად და მოსაკითხად სხვებიც მოვიდნენ. ზოგი ოდნავ მოშორებით ჩერდებოდა, რაც თითქოს ხელის ჩამორთმევის უხერხული დილემისგან ათავისუფლებდა მათ. სხვები მუხლებში იხრებოდნენ და თითქმის მის ფეხებთან იცუცქებოდნენ. მე უილის გვერდით ვიდექი და ძალიან ცოტას ვლაპარაკობდი. შევამჩნიე, მორიგი ორი მამაკაცის მოახლოებისას როგორ დაიჭიმა.
ერთ-ერთი მაღალი, ჩაფსკვნილი კაცი იყო სიგარით ხელში. ეტყობოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა უნდა ეთქვა, როცა უილის წინ აღმოჩნდა და ზოგადი ფრაზით შემოიფარგლა: „ლამაზი ქორწილია, არა? პატარძალი საუცხოოდ გამოიყურება.“ როგორც ჩანს, უილისა და ალისიას რომანტიკულ ურთიერთობაზე არაფერი იცოდა.
მეორემ, რომელზეც გულმა მიგრძნო, რომ უილის ბიზნეს-კონკურენტი უნდა ყოფილიყო, უფრო დიპლომატიური კომენტარი გააკეთა. მაგრამ რაღაც იყო ისეთი მის ჯიქურ მზერაში, პირდაპირ კითხვებში უილის მდგომარეობის შესახებ, რამაც უილი შესამჩნევად დაძაბა. ის და უილი ძაღლებს ჰგავდნენ, ერთმანეთს რომ უვლიან, ჩუმად იღრინებიან და ვერ გადაუწყვიტავთ, ერთმანეთს კბილებით ჩააფრინდნენ, თუ არა.
– ჩემი ძველი კომპანიის ახალი აღმასრულებელი დირექტორია, – მითხრა უილმა, როცა მამაკაცები, როგორც იქნა, გაგვშორდნენ და დამშვიდობების ნიშნად ხელი დაგვიქნიეს, – კბილს მისინჯავდა, შემთხვევით უკან დაბრუნებას ხომ არ ვაპირებ.
ალისია ბაღში დაფარფატებდა, ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა სტუმრებს, მაგრამ ჩვენთან არ მოსულა.
უილმა პიმსის ორი ჭიქა ჩაცალა. რითაც, გულის სიღრმეში, კმაყოფილი ვიყავი.

* * *

სადილი მოსაღამოებულზე, ოთხ საათზე მოიტანეს. ჩემი აზრით, ცოტა უცნაური დრო იყო საამისოდ, მაგრამ, როგორც უილმა მიმითითა, ეს ხომ ქორწილი იყო. დრო ძალიან გაიწელა და უაზროდ ნელა გადიოდა. ხალხი სვამდა და უმიზნოდ ლაყბობდა. არ ვიცი, სიცხის გამო, თუ რა მიზეზით, მაგრამ ჩვენს მაგიდასთან რომ მივედით, მთვრალივით ვგრძნობდი თავს. გვერდით მჯდომ ასაკოვან მამაკაცთან რომ უთავბოლო ტლიკინი დავიწყე, მივხვდი, რომ შეიძლება, ეს არც მეჩვენებოდა.

– პიმსში ალკოჰოლი არის? – ვკითხე უილს, როცა მოვახერხე და კალთაში სამარილე ჩავიპირქვავე.

– დაახლოებით იმდენივე, რამდენიც ღვინოში.

უილს შეძრწუნებულმა შევხედე.

– ხუმრობ? კომპოტივით იყო. მეგონა, უალკოჰოლო იქნებოდა. ახლა სახლში როგორ წაგიყვანო?

– დამხმარეც ასეთი უნდა, – მიპასუხა უილმა და წარბი ასწია, – მგონი, აჯობებს, დედაჩემს არ ვუთხრათ.

უილის თავდაჭერით მთელი დღე განცვიფრებული ვიყავი. მანამდე ველოდი, რომ ან იჭირვეულებდა, ან ჩვეულ ენამწარობას მოჰყვებოდა, ბოლოს და ბოლოს, თუნდაც, მდუმარედ იჯდებოდა, მაგრამ უილი ყველასთან საოცრად მომხიბვლელი იყო. სადილად წვნიანი რომ შემოიტანეს, ამაზეც კი არ შესცვლია ნირი. მხოლოდ თავაზიანად იკითხა, ვინმე წვნიანში პურს ხომ არ გამიცვლითო. მაგიდის ბოლოში მჯდომმა ორმა გოგონამ, რომელთაც გამოაცხადეს, რომ „მარცვლეულს არ იღებდნენ“, თავისი ფუნთუშები გადმოაწოდეს.

რაც უფრო მეტად ვღელავდი იმაზე, როგორ უნდა მომესწრო გამოფხიზლება, მით უფრო ლაღი და უდარდელი ხდებოდა უილი. მარჯვენა მხარეს ასაკოვანი ქალი ეჯდა, რომელიც აღმოჩნდა, რომ პარლამენტის ყოფილი წევრი იყო და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების უფლებებზე მუშაობდა. ის იყო ერთ-ერთი იმ ძალიან მცირეთაგან, ვინც უილთან ურთიერთობაში ოდნავადაც კი არ განიცდიდა დისკომფორტსა და უხერხულობას. რაღაც მომენტში თვალიც შევასწარი, რულეტის ლუკმა როგორ ჩაუდო პირში. როცა ცოტა ხნით ადგა, უილმა გადმომიჩურჩულა, რომ ეს ქალი კილიმანჯაროზეც იყო ნამყოფი. „მომწონს ასეთი ბებერი ჩიტები. მეღიმება, როცა მწვერვალზე მათარითა და გამხმარი სენდვიჩებით წარმოვიდგენ. ისეთი კერკეტი და გამძლეა, როგორც კარგი ძველი სამხედრო ჩექმა.“

ჩემ მარცხნივ მჯდომთან მე ასე არ გამმართლებია. დაახლოებით ოთხი წუთი დასჭირდა, რომ რამდენიმე ბლიცკითხვა დაესვა (ვინ ვიყავი, სად ვცხოვრობდი, ვის ვიცნობდი მასპინძლებიდან) და მიმხვდარიყო, მისთვის საინტერესოს მეტს ვერაფერს ვეტყოდი. მერე თავის მარცხნივ მჯდომ ქალს მიუბრუნდა და მეც ისღა დამრჩენოდა, რომ ჩემი სადილის ნარჩენები ჩუმად მეჩიჩქნა. ის იყო, უკვე ვწუხდებოდი უხერხულობისგან, ვიგრძენი, გვერდით ეტლის სახელურიდან უილის ხელი როგორ ჩამოცურდა და ჩემს მკლავზე გაჩერდა. როცა ავხედე, თვალი ჩამიკრა. მისი ხელი ავიღე და მადლობის ნიშნად, რომ ჩემი

მოწყენა შეამჩნია, ოდნავ მოვუჭირე. ეტლი რამდენიმე დუიმით უკან დახია და მერი როლინსონთან საუბარში ჩამრთო.

– უილმა თქვა, რომ მას ეხმარებით, – მითხრა მისის როლინსონმა. კამკამა ლურჯი თვალები ჰქონდა და ირგვლივ ნაოჭები, რაც მიანიშნებდა, რომ თავისი ბობოქარი ცხოვრების განმავლობაში ამ ქალს კანის მოსავლელად არ ეცალა.

– ვცდილობ, – ვუპასუხე და უილს გავხედე.

– ადრეც ამ სფეროში მუშაობდით?

– არა. მე... კაფეში ვმუშაობდი, – ეჭვი მეპარება, ამ ქორწილში ეს ვინმე სხვისთვისაც მეთქვა. მერი როლინსონმა თავი კეთილგანწყობით დამიქნია.

– სულ მგონია, რომ ეგ ძალიან საინტერესო საქმე უნდა იყოს. თუ, რა თქმა უნდა, ადამიანებთან ურთიერთობა გიყვარს და ისეთივე ცნობისმოყვარე ხარ, როგორც, მაგალითად, მე, – გულღიად გამიღიმა.

უილმა ხელი ისევ ეტლის სახელურზე დადო.

– ვცდილობ, ლუისა დავარწმუნო, რომ რაღაც სხვაც სცადოს, ჰორიზონტი გაიფართოოს.

– რისი კეთება გინდათ? – მკითხა მისის როლინსონმა.

– არ იცის, – გამოეპასუხა უილი, – ლუისა ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გონების ადამიანია, ვისაც კი შევხვედრივარ, მაგრამ საკუთარ შესაძლებლობებს არ აღიარებს.

მერი როლინსონმა მკაცრად შეხედა.

– მის მაგივრად ნუ მპასუხობ, ძვირფასო. თავის სათქმელს, თვითონაც მშვენივრად იტყვის.

თვალები გაოცებულმა დავახამხამე.

– ვინ, ვინ და შენ კარგად იცი, ეგ რას ნიშნავს, – დაამატა უილის მისამართით.

უილს თითქოს რაღაცის თქმა კიდევ უნდოდა, მაგრამ არაფერი თქვა. მაგიდას მიაჩერდა, თავი ოდნავ გადააქნია და გაიღიმა.

– ლუისა, წარმომიდგენია ეს სამუშაო შენგან რამდენ მხნეობასა და გამძლეობას მოითხოვს. გული მიგრძნობს, ეს ვაჟბატონი ადვილად საურთიერთო ადამიანი არ იქნება შენთვის.

– ოჰ, არ თქვათ.

– მაგრამ უილი მართალია, რომ საკუთარ შესაძლებლობებს უნდა ხედავდეთ და აფასებდეთ. აი, ჩემი სავიზიტო ბარათი. საქველმოქმედო ორგანიზაციის გამგეობის წევრი ვარ. ორგანიზაცია რეგულარულად აირს დაკავებული კადრების გადამზადებით. იქნებ, მომავალში დაინტერესდეთ.

– გმადლობთ. უილთან მუშაობით კმაყოფილი ვარ.

შემოთავაზებული ბარათი ავიღე, თუმცა, ვერ გამეგო, რატომ დაინტერესდა ეს ქალი, რას გავაკეთებდი მე ცხოვრებაში. ბარათი კი გამოვართვი, მაგრამ ამის გამო თავი გაიძვერა თვითმარქვია მეგონა. გამორიცხული იყო, რომ მუშაობა მიმეტოვებინა. რომც მცოდნოდა, რისი შესწავლა მინდოდა, მაშინაც კი. ვერ დამარწმუნებდნენ, რომ მე ის ადამიანი ვიყავი, ვისაც ყველაფერი გვერდით უნდაგადაედო და ესწავლა. თანაც, ჩემთვის ახლა

პრიორიტეტი ის იყო, უილს ეცოცხლა. ისე ჩავიძირე ჩემს ფიქრებში, რომ მათ საუბარს ცოტა ჩამოვრჩი კიდეც.

– მიხარია, რომ ასე ვთქვათ, ყველაფერი გადააგორე. ვიცი, არ იქნებოდა ადვილი ახალ ცხოვრებას შეგუებოდი, რადიკალურად განსხვავებულს, სრულიად ახალი მოლოდინებით სავსეს.

ჩემს თეფშზე ორაგულის ნაჭერს დავაცქერდი. არასდროს შევსწრებივარ, უილთან ვინმეს ასე ელაპარაკა.

უილმა წარბი შეიკრა და მაგიდას მიაჩერდა, მერე კი მერი როლინსონს მიუბრუნდა.

– დარწმუნებული არა ვარ, რომ რამე გადავაგორე, – თქვა მშვიდად.

ქალი რამდენიმე წამს უხმოდ უყურებდა, მერე მე გამომხედა.

ასე მეგონა, რომ ჩემმა გამომეტყველებამ გამცა.

– დროა საჭირო, უილ, – თქვა და ხელზე ხელი დაადო, – შენი თაობის ადამიანებს ეს განსაკუთრებით უჭირთ. თქვენ ხომ იმ რწმენით გაიზარდეთ, რომ ყველაფერი თქვენ ხელთ იყო. მიეჩვიეთ, რომ გექნებოდათ ისეთი ცხოვრება, როგორსაც თავად აირჩევდით. განსაკუთრებით, ეს წარმატებულ ახალგაზრდებს გეტყობათ. მაგრამ... რას იზამ. დრო გჭირდება.

– მისის როლინსონ... მერი... მე არ გამოვჯანმრთელდები, – თქვა უილმა.

– ფიზიკური მდგომარეობა მე არც მიგულისხმია, – უპასუხა ქალმა, – მე ახალ ცხოვრებასთან შეგუებასა და მის მიღებაზე გელაპარაკები.

მაინტერესებდა, უილი რას უპასუხებდა, მაგრამ ვიღაცამ კოვზით ჭიქაზე დააკაკუნა და სადღეგრძელოების დრო მოვიდა.

გაჭირვებით მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ. პინგვინებივით გამოწყობილი გაპრანჭული მამაკაცები ერთმანეთის მიყოლებით გამოდიოდნენ, ახსენებდნენ ადამიანებს, რომელთაც არ ვიცნობდი, ადგილებს, რომელთა შესახებ არ გამეგო და ზრდილობიანად იცინოდნენ. ვიჯექი გაბეზრებული და შავი შოკოლადისგან დამზადებულ ტრიუფელებს ვღეჭავდი, რომელიც სუფრაზე ვერცხლის თასებით მოიტანეს. ზედიზედ სამი ჭიქა ყავა დავლიე, გამოფხიზლების იმედით. მაგრამ არ მიშველა და ახლა არა უბრალოდ მთვრალი, არამედ ერთდროულად მთვრალიც, ნერვიულიც და დაჭიმულიც ვიყავი. უილი კი, თავად სიმშვიდისა და კმაყოფილების განსახიერება იყო. თვალს ადევნებდა სტუმრებს, რომლებიც მის ყოფილ შეყვარებულს აპლოდისმენტებით აჯილდოებდნენ, უსმენდა რუპერტს, რომელიც ლუღლუღებდა, როგორ გაუმართლა, ასეთი შესანიშნავი ქალი რომ არგუნა ღმერთმა. უილს არავინ უყურებდა. არ ვიცი იმიტომ, რომ ანგარიშს უწევდნენ, თუ იმიტომ, რომ თავს უხერხულად გრძნობდნენ. პერიოდულად მერი როლინსონი გადმოიხრებოდა და უილს ყურში რაღაცას უჩურჩულებდა ხოლმე, ის კი თანხმობის ნიშნად თავს უკრავდა.

როცა სადღეგრძელოები, როგორც იქნა, დამთავრდა, მომსახურე პერსონალი შემოვიდა და ცენტრი მოათავისუფლა. ცეკვები იწყებოდა. უილი ჩემკენ მოტრიალდა.

– მერიმ გამახსენა, რომ აქვე გზის გადაღმა ძალიან კარგი სასტუმროა. დაურეკე და გაარკვიე, ნომრები თუ აქვთ.

– რა?

მერიმ ხელსახოცი გადმომაწოდა, რომელზეც სასტუმროს სახელი და ტელეფონის ნომერი დაეწერა.

– ყველაფერი რიგზეა, კლარკ, – მითხრა უილმა ჩუმად, რომ მერის ვერ გაეგო, – მე გადავიხდი. მიდი, დარეკე და შეწყვიტე ნერვიულობა ორი ჭიქის გამო. ჩემი საკრედიტო ბარათი აიღე, სავარაუდოდ, ნომერს გკითხავენ.

ბარათი ავიღე და მობილური ტელეფონით ხელში ბაღის ყველაზე შორეული და ჩუმი კუთხისკენ წავედი. სასტუმროში მითხრეს, რომ ორი ნომერი ჰქონდათ, ერთი ერთკაციანი და მეორე ორკაციანი – პირველ სართულზე. ნომრები ხელმისაწვდომი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვისაც.

– ძალიან კარგი, – ვთქვი მე, მაგრამ მერე კინაღამ სასულეში გადამცდა, როცა ფასი მითხრეს. უილის საკრედიტო ბარათის ნომერი ვუკარნახე. ციფრებს რომ ვკითხულობდი, თავი ცუდად ვიგრძენი.

– აბა? – მკითხა უილმა, როცა მაგიდასთან დავბრუნდი.

– დავრეკე, ნომრები აქვთ, მაგრამ...

ვუთხარი ეს ორი ნომერი რა კოლოსალური თანხა ღირდა.

– არა უშავს, – მიპასუხა უილმა, – ახლა შენთან დარეკე და უთხარი პატრიკს, რომ ამაღამ არ დაბრუნდები. მერე კი, შეგიძლია, ისევ დალიო. რამდენიც გენდომება. ძალიან მესიამოვნება, თუ დავინახავ, რომ ალისიას მამის ხარჯზე გემრიელად ილხენ.

* * *

ასეც მოვიქეცი.

რაღაც უცნაური ხდებოდა. შუქები ჩაქრა. ჩვენი პატარა მაგიდა ყურადღებას აღარ მიიქცევდა. ყვავილების სურნელს საღამოს სუსტი სიო შეერია. მუსიკა, სასმელი, ცეკვა... და ჩვენც, იქ და იმ დროს, სადაც და როდესაც ყველაზე ნაკლებად ველოდით, მართლა დავიწყეთ გართობა და სიამოვნების მიღება. უილი ასეთი მოშვებული და ლაღი არასდროს მენახა. ჩემსა და მერის შორის იჯდა. ესაუბრებოდა, უღიმოდა და ბედნიერი გამოხედვა ჰქონდა. ასეთი იყო იმ ადამიანებთან, ვინც ალმაცერად ან სიბრალულით არ უყურებდნენ. შალი მომახსნევინა და წელში გასწორდიო, შენიშვნა მომცა. მე პიჯაკი გავხადე და ჰალსტუხი ოდნავ მოვუშვი. მოცეკვავეებს რომ ვუყურებდით, სიცილს ძლივს ვიკავებდით. ვერც კი აღგიწერთ, გულზე როგორ მომეშვა, როცა დავინახე ამ ცხვირაწეული არისტოკრატების ცეკვა. გეგონებოდათ, მამაკაცებს დენმა დაარტყათო. ქალებს საჩვენებელი თითები ზემოთ აებზიკათ, ადგილზე ტოკავდნენ და საშინლად უხერხულად გრძნობდნენ თავს, მაშინაც კი, როცა ტრიალებდნენ.

მერი როლინსონს რამდენჯერმე აღმოხდა: „ღმერთო ჩემო!“. მერე მე გადმომხედა. ყოველი მომდევნო ჭიქის მერე უფრო მეტად ენამწარობდა.

– არ გინდათ, გახვიდეთ და უჩვენოთ კლასი, ლუისა?

– ღმერთო ჩემო, არა.

– მგონი, მართალი ხართ. ახალგაზრდა ფერმერების კლუბში ათასჯერ უკეთეს მოცეკვავეებს ნახავ, ვიდრე აქ.

ცხრა საათზე ნათანისგან შეტყობინება მივიღე:

„ყველაფერი რიგზეა?“

მე კი მივწერე:

„ჰო. გადასარევად. არც კი დაიჯერებ, მაგრამ უილი მაგრად ერთობა.“

ასეც იყო. ვუყურებდი, როგორ გულიანად იცინოდა მერის ნათქვამზე და გულზე რაღაცამ უჩვეულოდ მომიჭირა. ახლა დავინახე, ახლა მივხვდი... უილსაც შეეძლო ბედნიერება განეცადა, თუ მისცემდნენ საშუალებას, რომ უბრალოდ უილი ყოფილიყო და არა მამაკაცი ეტლში, სიბრალულის ობიექტი, სიმპტომების მთელი ჩამონათვალით.

ღამის ათ საათზე ნელი ცეკვები დაიწყო. თვალს ვადევნებდით, როგორ გამოიყვანა რუპერტმა ალისია, რომელმაც სტუმრებს თავი ნაზად დაუკრა. თმა ჩამოშლოდა, მკლავები ქმრისთვის კისერზე ისე შემოეხვია, თითქოს საყრდენი სჭირდებოდა. რუპერტმაც შემოჰხვია ხელები და ზურგზე ოდნავ შეეხო. ალისია თვით მშვენიერება და ფუფუნების განსახიერება იყო, მაგრამ რატომღაც მის მიმართ სიბრალული ვიგრძენი. ვფიქრობდი, გვიან იქნება, როცა გააცნობიერებს, რა დაკარგა-მეთქი.

სიმღერა ჯერ არ დამთავრებულიყო, ახალდაქორწინებულებს სხვა წყვილებიც შეუერთდნენ. რუპერტი და ალისია მხედველობის არედან თითქმის დავკარგე და მერის მივუბრუნდი, რომელიც მომვლელების სერვისზე საუბრობდა. უცებ ავიხედე და დავინახე, ალისია თავზე წამოგვდგომოდა – სუპერმოდელი თეთრი აბრეშუმის კაბაში. გული ყელში მომებჯინა.

მისალმების ნიშნად მერის თავი დაუკრა და წელში ოდნავ მოიხარა, რომ მუსიკის ხმაურში უილს მისი სიტყვები გაეგო. სახე დასძაბვოდა, თითქოს აქ მოსვლა დიდ ძალისხმევად დაუჯდაო.

– გმადლობ, რომ მოხვედი, უილ. მართლა დიდი მადლობა, – აქ მეც გამომხედა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს.

– რაა სამადლობელი, – უპასუხა მშვიდად უილმა, – კარგად გამოიყურები, ალისია. შესანიშნავი დღე გამოვიდა.

ალისიას სახეზე გაოცებამ გადაურბინა. მერე კი ოდნავ დაფიქრებით იკითხა:

– მართლა? მართლა ასე ფიქრობ? მე მგონია... მე... იმდენი რამის თქმა მინდა...

– არ არის საჭირო, – უპასუხა უილმა, – ლუისა ხომ გახსოვს?

– მახსოვს.

რამდენიმე წამს ორივე გაჩუმდა.

ვხედავდი, რუპერტი შორიახლოს ტრიალებდა და თვალი ჩვენკენ ეჭირა. ალისიამ გახედა, რუპერტმა ხელი დაგვიქნია.

– კიდევ ერთხელ დიდი მადლობა. ძალიან გამახარე, რომ მოხვედი. გმადლობ, ასევე...

– სარკისთვის.

– ჰო, სარკისთვის. შესანიშნავია, ძალიან მომეწონა.

წელში გასწორდა, დაგვემშვიდობა და ქმარს დაუბრუნდა.

თვალი გავაყოლე.
– კი, მაგრამ სარკე არ გიჩუქებია.
– ვიცი.
წყვილი ერთმანეთში ლაპარაკობდა. დროდადრო, რუპერტი ჩვენკენ იყურებოდა. როგორც ჩანს, დაუჯერებლად ეჩვენებოდა, რომ უილი ალისიას თავაზიანად ელაპარაკა. მართალი გითხრათ, მეც ძალიან მიჭირდა ამის დაჯერება.
– თავს... ცუდად ხომ არ გრძნობ? – ვკითხე უილს.
ალისიას და რუპერტს თვალი მოაშორა, არაო და გამიღიმა. ალკოჰოლმა ღიმილი ცოტა მოუბრიცა. თვალები ერთდროულად სევდითა და ფიქრით ჰქონდა სავსე.
მერე კი საცეკვაო მოედანი შეთხელდა და სანამ მომდევნო სიმღერა დაიწყებოდა, საკუთარმა ხმამ მე თვითონვე შემაცბუნა.
– რას იტყვი, უილ ტრეინორ? ჩემთან ერთად არ იცეკვებ?
– რა?
– მოდი რა... ეს საცოდავები ცოტა გავართოთ. სალაპარაკო ხომ უნდა მივცეთ?
– ღმერთო ჩემო, – მითხრა მერიმ და ჭიქა ამიწია, – დიდი ოხერი ვინმე ხართ.
– წამოდი, სანამ ნელი მუსიკაა, თორემ რაღაც ეჭვი მეპარება მაგ ეტლით ხტუნვა შეძლო. არჩევანი არ დავუტოვე. მუხლებზე ჩამოვუჯექი, მკლავები კისერზე შემოვხვიე და მოხერხებულად მოვთავსდი. ერთხანს თვალებში მიყურა, თითქოს ფიქრობდა, თავი როგორ დაეძვრინა. მერე კი, ჩემდა გასაოცრად, პირდაპირ საცეკვაო მოედნისკენ გაგორდა და ათასფრად მოციმციმე დისკობურთების ქვეშ პატარა წრეებზე მოძრაობა დაიწყო.
თავს სასტიკად უხერხულად ვგრძნობდი და, ამავდროულად, ცოტა არ იყოს და, ისტერიკულადაც. ისე ვიჯექი, რომ კაბა ზემოთ მეწეოდა.
– შეეშვი კაბას, – ჩამჩურჩულა ყურში.
– მაგრამ...
– გეყოფა, კლარკ. იმედს ნუ გამიცრუებ.
თვალები დავხუჭე და კისერზე ხელები შემოვხვიე, ლოყა ლოყაზე მქონდა მიდებული, პარსვის შემდგომ წასასმელი კრემის ციტრუსის სურნელს ვგრძნობდი. მესმოდა, პირმოკუმული როგორ ღიღნებდა მელოდიას, რომელზეც ვცეკვავდით.
– საკმარისად შოკირებულნი არიან, თუ ჯერ არა? – მკითხა.
ცალი თვალი გამოვახილე და გარშემო მიმოვიხედე.
რამდენიმე ადამიანი წამახალისებლად იღიმოდა, მაგრამ უმეტესობა დაბნეული ჩანდა და ვერ გაეგოთ, რა რეაქცია უნდა ჰქონოდათ. მერიმ ჭიქა ამიწია. მერე კი ალისია დავინახე, რომელიც თვალს არ გვაშორებდა და სახე ჩამოზეთვოდა. რომ შემამჩნია, შევხედე, მაშინვე შეტრიალდა და რუპერტს რაღაც გადაულაპარაკა. მან თავი გადააქნია, თითქოს, რაღაც საზიზღარს და ამორალურს ჩავდიოდით.
სახეზე მზაკვრული ღიმილი გადამეფინა.
– მერედა, როგორი შოკირებულები?.. – ვუთხარი უილს.
– აჰ... მოიწიე, საოცარი სურნელი აგდის.
– შენც ასევე. მაგრამ ასე თუ კიდევ დიდხანს იტრიალებ, შეიძლება გული ამერიოს.

უილმა მიმართულება შეცვალა. ხელები ისევ მის კისერზე მქონდა შემოხვეული. ოდნავ უკან დავიწიე და თვალებში შევხედე. უხერხულობას აღარ ვგრძნობდი. მკერდზე დამხედა. გულახდილად რომ ვთქვა, ისე ვიჯექი, სხვაგან ვეღარაფერს ხედავდა. ამომხედა და წარბები ასწია.

– აღიარე, კლარკ, ეტლში რომ არ ვიჯდე, ძუძუებს წინ ასე გულუხვად არ ამიფრიალებდი

თვალებში შევხედე.

– შენც აღიარე, უილ ტრეინორ, რომ ამ ძუძუებს არც კი შეხედავდი, ეტლში რომ არ იჯდე.

– რას ამბობ? რა თქმა უნდა, შევხედავდი.

– არ შეხედავდი. სამაგისოდ არ გეცლებოდა, მეტისმეტად დაკავებული იქნებოდი მაღალი, ქერათმიანი გოგოებით, რომელთაც ხშირი გრძელი თმა აქვთ, ფეხები კისრიდან ეწყებათ და სქელი ჯიბის სუნს კილომეტრიდან გრძნობენ. და სხვათა შორის, აქ კი არ ვიჯდებოდი, აი, სასმელს რომ ატარებენ, უჩინარი გოგო-ბიჭები, ერთ-ერთი მათგანი ვიქნებოდი.

თვალები დაახამხამა.

– რა? არ ვარ მართალი?

უილმა ბარისკენ გაიხედა და მერე ისევ მე შემომხედა თვალებში.

– მართალი ხარ, მაგრამ ეს თუ გამამართლებს, ვაღიარებ, რომ იდიოტი ვიქნებოდი.

ისეთი სიცილი ამიტყდა, ახლა უფრო მეტმა ადამიანმა დაგვიწყო ცქერა. ვეცადე, სახე გამესწორებინა.

– ბოდიში, – ჩავილაპარაკე ჩუმად, – მგონი, უკვე ისტერიკაში გადამდის.

– გინდა, რაღაც გითხრა?

შემეძლო მისი სახისთვის მთელი ღამე მეყურებინა... მისი პატარა ღიმილიანი ნაოჭებისთვის თვალის კუთხეებში, ადგილისთვის ყელზე, რომელიც მხრებში გადადიოდა.

– მინდა.

– ხანდახან, კლარკ, მგონია, რომ შენ ხარ ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დილით აღვიძება და საწოლიდან ადგომა მინდება.

– მაშ, წავიდეთ სადმე, – ისე მომწყდა ბაგეებიდან ეს სიტყვები, სანამ გავიაზრებდი, ისი თქმა მინდოდა.

– რა?

– სადმე წავიდეთ. ერთი კვირით, გავერთოთ, მე და შენ. და მოვშორდეთ ამ... ამ...

– ინდაურებს?

– ინდაურებს, დიახაც, ინდაურებს. უილ. მიდი, რა...

თვალს არ მაშორებდა.

არც კი მესმოდა, რას ველაპარაკებოდი. არც ვიცი, საიდან ამომდიოდა ეს სიტყვები. აგრამ ვიცოდი ერთი რამ: იმ ღამეს თუ ვერ დავითანხმებდი, ვარსკვლავების ქვეშ, ფრეზიებისა და ლილიების სურნელში, მხიარულებაში... როცა სადღაც გვერდით, იქვე იყო მერი როლინსონი, მაშინ ამას ვერც ვერასდროს შევძლებდი.

– გთხოვ.

ის რამდენიმე წამი, სანამ მიპასუხებდა, საუკუნედ მომეჩვენა.
– კარგი, – მიპასუხა ბოლოს.

XIX ნათანი

ეგონათ, ვერაფერს შევამჩნევდით. ქორწილიდან, როგორც იქნა, მომდევნო დღეს სადილობისას დაბრუნდნენ. მისის ტრეინორი ისეთი გაცოფებული იყო, რომ ლაპარაკიც კი უჭირდა.
– შეგეძლოთ, დაგერეკათ მაინც, – თქვა მან.
სამსახურში არ წავიდა, რომ ჩამოსულებს სახლში დახვედროდა და დარწმუნებულიყო, ყველაფერი რიგზე ჰქონდათ. ტრეინორებთან დილის რვა საათზე მივედი. მესმოდა მთელი ეს დრო, მათ დაბრუნებამდე, მისის თი დერეფანს როგორ აუყვებოდა და ჩაუყვებოდა.
– თვრამეტჯერ მოგწერეთ, გირეკეთ ორივეს! ბოლოს, როგორც იქნა, დიუარების სახლში დავრეკე და იქ მითხრეს, „ვიღაც ეტლიანი კაცი“ სასტუმროში წავიდაო. მაშინღა მოვახერხე თავი დამერწმუნებინა, რომ გზაზე რაღაც საშინელ ავტოკატასტროფაში არ მოყოლილხართ.
– „ვიღაც ეტლიანი კაცი“, რა თავაზიანობაა, – შენიშნა უილმა.
თუმცა, ადვილად შეატყობდით, რომ ეს სულაც არ ადარდებდა. მოშვებული და მშვიდი ჩანდა. ნაბახუსევი იუმორით გადაჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ გული მიგრძნობდა, ტკივილები აწუხებდა. მაგრამ მაშინ, როცა დედამისი ლუისასაც მისდგა, ღიმილი სახიდან ჩამოერეცხა. მისის თის ლაპარაკი გააწყვეტინა და თქვა, პრეტენზია თუ გაქვს რამე, მე მელაპარაკე, რადგან გადაწყვეტილება მე თავად მივიღე, ლუისა კი იძულებული იყო, დამთანხმებოდაო.
– თანაც, დედა, შეგახსენებ, რომ ოცდათხუთმეტი წლის მამაკაცი ვარ და არავისთან ვარ ანგარიშვალდებული, როცა გადავწყვეტ, ღამე სასტუმროში გავატარო. არავისთან, მათ შორის, მშობლებთან.
მისის ტრეინორმა ორივეს ხმის ამოუღებლად შეხედა, მერე რაღაც ჩაილაპარაკა „თავაზიანობასა და მზრუნველობაზე“ და ოთახიდან გავიდა. ლუისა შეწუხებული ჩანდა, მაგრამ უილი მიუახლოვდა, რაღაც ჩასჩურჩულა და, აი, აქ გამინათდა გონება. ლუისა გაწითლდა და გაიცინა. როგორც იცინის ადამიანი, რომელმაც იცის, რომ ახლა გაცინება არ შეიძლება. ეს შეთქმული ადამიანების სიცილი იყო. ცოტა ხნის მერე უილმა ლუისას უთხრა, რომ სახლში წასულიყო, გამოეცვალა, დაესვენა და თავისი საქმეებისთვის მიეხედა, ან თუნდაც, გამოეძინა.
– ციხე-სიმაგრის ირგვლივ ხომ ვერ ვისეირნებ ადამიანთან ერთად, რომელსაც შუბლზე აწერია, რომ ბობოქარი ღამე ჰქონდა, – თქვა უილმა.
– ბობოქარი ღამე? – ისეთი გაოცებული ვიყავი, ხმაზეც მეტყობოდა.
– იმ გაგებით არა, – მითხრა ლუისამ და წასვლისას შარფი გადმომაწნა, როცა საკიდიდან მოსაცმელს იღებდა.
– მანქანით წადი, – გამოსძახა უილმა, – უკანაც უფრო მარტივად დაბრუნდები.

დავინახე, როგორი თვალებით გააცილა. მარტო ამ გამოხედვითაც კი ყველაფერი ნათელი იყო.

როგორც კი ლუისა გავიდა, ამოისუნთქა. თითქოს, სანამ ლუისა და დედამისი აქ იყვნენ, სუნთქვას იკავებდა. ყურადღებით ვაკვირდებოდი. სახიდან ღიმილი რომ ჩამოშორდა, მივხვდი, რაღაც რიგზე არ ჰქონდა. კანზე პატარა და ძლივს შესამჩნევი ლაქები ეტყობოდა, ორჯერ შეიჭმუხნა. ეგონა, რომ არავინ უყურებდა. შორს ვიყავი, მაგრამ იქიდანაც კი ვამჩნევდი, რომ კანი დაჰბურძგვლოდა. თავში თითქოს განგაშის სიგნალი ჩამერთო, ჯერ სუსტად, მაგრამ უკვე ვიცოდი, რა პრობლემასთან გვქონდა საქმე.

– უილ, თავს კარგად გრძნობ?

– კარგად ვარ, დამშვიდდი.

– მითხარი, სად გტკივა.

აქ უკვე მორჩილად ამომხედა, თითქოს დამნებდა, რადგან მიხვდა, რომ მაინც ვერაფერს გამომაპარებდა. დიდი ხანია იყო, ერთმანეთს ვიცნობდით.

– კარგი. თავი ცოტათი მტკივა. და... კათეტერი უნდა გამომიცვალო, ნათან. რაც შეიძლება, სწრაფად.

ეტლიდან საწოლზე გადავაწვინე და საჭირო ნივთები მოვილაგე.

– დილით რომელი საათი იყო, ლუმ რომ გამოგიცვალა?

– არ გამოუცვლია, – შეკრთა და დამნაშავე სახით შემომხედა, – არც წუხელ.

– რა?

პულსი გავუსინჯე და წნევის აპარატი მოვიმარჯვე. რა გასაკვირი იყო, ძალიან მაღალი ჰქონდა. ხელისგული რომ შუბლზე დავადე, ოფლის სინოტივე ამყვა. წამლების მოსატანად გავიქეცი და სისხლძარღვების გამაფართოებელი მედიკამენტებიც წამოვიღე. წყალში გახსნილი მივეცი და თავზე ვადექი, სანამ უკანასკნელ წვეთამდე არ გამოცალა. საწოლზე წამოვსვი, ფეხები გავუსწორე და კათეტერი ფრთხილად, ძალიან ნელა გამოვცვალე.

– ეიდი? (ეიდი (AD) – აუტონომიური დისრეფლექსია, იგივე ავტონომიური ჰიპერრეფლექსია, სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა, რომელიც ძირითადად ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ადამიანებს ემართებათ და მოითხოვს ექიმის დაუყოვნებლივ ჩარევას. ნ.ბ.)

– ჰო. ეს როგორ დაუშვი, უილ?

აუტონომიური დისრეფლექსია ჩვენი ყველაზე საშინელი კოშმარი იყო. ვლინდებოდა, როგორც უილის სხეულის გადაჭარბებული რეაქცია ტკივილზე, დისკომფორტზე – თუნდაც, დიდი ხნის განმავლობაში გამოუცვლელ კათეტერზე. მისი დაზიანებული ნერვული სისტემა ორგანიზმზე კონტროლის მოპოვებას ამაოდ და არასწორად ცდილობდა. დისრეფლექსია შეიძლება სრულიად მოულოდნელად, არსაიდან აღმოცენებულიყო და მისი სხეული ფაქტობრივად, შოკში ჩაეგდო. უილს ფერი დაჰკარგვოდა, სუსტად სუნთქავდა.

– კანზე რას გრძნობ?

– მჩხვლეტს.

– მხედველობა?

– ჩვეულებრივ.
– ღმერთო ჩემო... როგორ გგონია, დახმარება დაგვჭირდება?
– ათი წუთი მომეცი, ნათან. დარწმუნებული ვარ, რაც საჭირო იყო, შენ ისედაც ყველაფერი გააკეთე. მარტო ათი წუთი მადროვე.
თვალები დახუჭა. სისხლის წნევა ისევ შევუმოწმე. ვფიქრობდი, რამდენ ხანს შეიძლებოდა მომეთმინა, სანამ სასწრაფოს გამოვიძახებდი. დისრეფლექსია შიშის ზარს მცემდა, რადგან არასდროს იცოდი ადამიანმა, როგორ დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. მსგავსი რამ ადრეც დაემართა, მასთან მუშაობა მაშინ ახალი დაწყებული მქონდა. ორი დღე საავადმყოფოში იწვა.
– მართლა, ნათან, გეტყვი, თუ ვიგრძნობ, რომ საქმე არ არის კარგად.
გაიღიმა და მივეხმარე, გადაწოლილიყო, რომ მოესვენა.
მითხრა, ლუისა ისე დათვრა, რომ არ მინდოდა გამერისკა და კათეტერი გამომეცვლევინებინაო.
– ღმერთმა იცის, ამ მილებს სად გამიყრიდა.
სიცილი აუტყდა. ნახევარი საათი დასჭირდა, სანამ ეტლიდან საწოლზე გადაყვანას მოახერხებდაო. ორჯერ იატაკზეც დავარდნილან.
– კიდევ კარგი, ისეთი მთვრალები ვიყავით, ვერაფერს ვგრძნობდით.
საბედნიეროდ, მოუფიქრებია და მერე სასტუმროს მიმღებში დაურეკავს. დახმარება პორტიესთვის უთხოვიათ.
– გულისხმიერი ბიჭი იყო. ბუნდოვნად მახსოვს, დავიჟინე და ლუისას ვთხოვდი, პორტიესთვის ორმოცდაათი გირვანქიანი მიეცა. აი, მანდ მივხვდი, როგორი მთვრალი იყო, როცა დამთანხმდა.
მეშინოდა, ჩემი ოთახიდან რომ გავიდოდა, თავისი ნომერი არ არეოდა და წარმოვიდგინე, მთელ ღამეს წითელხალიჩიან კიბეზე ბურთივით მოკუნტული როგორ გაატარებდაო.
მე კიდევ, ისეთი გაბრაზებული ვიყავი, იმას უფრო ადვილად წარმოვიდგენდი, ლუისას როგორ ვლანძღავდი.
– უილ, მეგობარო, შემდეგში უფრო მეტად საკუთარ თავზე იფიქრე, კარგი?
– მე არაფერი მიჭირს, ნათან. ყველაფერი რიგზეა, მართლა. თავს უკეთ ვგრძნობ.
დაჟინებით მიყურებდა, როცა პულსს ვუსინჯავდი.
– მართლა გეუბნები. ლუისა არაფერ შუაშია.
წნევამ დაუწია. სახეზე ფერი დაუბრუნდა. ამოვისუნთქე და მივხვდი, რომ მთელი ეს დრო, სუნთქვა თითქმის შეკრული მქონდა.
ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკეთ. დრო გაგვყავდა, სანამ ყველაფერი ნორმაში ჩადგებოდა და წინა დღის ამბებს განვიხილავდით. ყოფილი შეყვარებულის გამო დარდი ოდნავადაც არ ეტყობოდა. ბევრი არ ულაპარაკია, მაგრამ თუ არ ჩავთვლით, რომ დაღლილი იყო, თავს მშვენივრად გრძნობდა.
მაჯას ხელი გავუშვი.
– საინტერესო ტატუ გაგიკეთებიათ, სხვათა შორის.
ალმაცერად გამომხედა.

– ვადა გასულია, ფრთხილად იყავი.

მიუხედავად ოფლიანობისა, ტკივილისა და ინფექციისა, სახეზე კიდევ რაღაც ეწერა, კვალი იმისა, რაც ახალისებდა და აბედნიერებდა. ეს რომ მისის ტრეინორს შეემჩნია, დარწმუნებული ვარ, ისე აღარ იჩხუბებდა.

* * *

ლუისასთვის არ მოგვიყოლია, რაც სადილობის დროს გადავიტანეთ. უილმა დამაფიცა, რომ არ მეთქვა. მაგრამ, როცა ლუ მოგვიანებით, საღამოს პირზე მოვიდა, უჩვეულოდ წყნარი ჩანდა და თვითონაც თითქმის არ ლაპარაკობდა. სახეზე ფერი დაეკარგა, თმა დაებანა და უკან გადაეწია, თითქოს უფრო მოკრძალებულად უნდოდა, გამოჩენილიყო. მოგვინებით მივხვდი, რომ ეს ნაბახუსევის ბრალი არ იყო.

უილი დაჟინებით ჩააცივდა, რა მოგივიდაო.

– აღმოჩნდა, რომ არც ისე გონივრული იდეაა ღამით სახლში არმისვლა, როცა შეყვარებულთან საცხოვრებლად ახალი გადასული ხარ, – უპასუხა ბოლოს.

ღიმილით თქვა, მაგრამ ეს ნაძალადევი ღიმილი იყო. მეც და უილმაც შესანიშნავად ვიცოდით, ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის უკან, საქმე სერიოზულად იყო. ლუისას შეყვარებულისა მესმოდა. არც მე მესიამოვნებოდა, ჩემი გოგო მთელი ღამით სადღაც წასულიყო ვიღაც ტიპთან ერთად. თუნდაც, ეს ტიპი კვადრიპლეგიის მქონე ყოფილიყო. თან მან ჯერ ისიც კი არ იცოდა, როგორ უყურებდა ხოლმე უილი ლუისას.

იმ დღეს ბევრი არაფერი გვიკეთებია. ლუისამ უილის ზურგჩანთა დაცალა და ერთმანეთის მიყოლებით ამოალაგა სასტუმროს უფასო შამპუნები, თმის კონდიციონერები, ნემსისა და ძაფების პატარა კომპლექტი, ქუდი საშხაპისთვის.

– რა გაცინებთ? იმ ფულით, რაც უილმა სასტუმროში გადაიხადა, შამპუნის ქარხანას გახსნიდა.

იაპონურ ანიმაციურ ფილმს ვუყურეთ. როცა უილმა თქვა, რომ ეს საუკეთესო საშუალება იქნებოდა ნაბახუსევის მოსახსნელად, ვთქვი, მეც დავრჩები-მეთქი. ნაწილობრივ იმიტომ, რომ მინდოდა მისი სისხლის წნევა მეკონტროლებინა და კიდევ იმიტომაც, გულახდილად რომ ვთქვა, მისმა გამოხედვებმა მეც ეშმაკობის ხასიათზე დამაყენა. მინდოდა მენახა, რა რეაქცია ექნებოდა, როცა ვეტყოდი, რომ მეც მათთან ერთად ვრჩებოდი.

– მართლა? – მკითხა გაოცებით, – მიაძაკი (ჰაიაო მიაძაკი – იაპონელი რეჟისორი, სცენარისტი, ანიმატორი. ნ.ბ.) შენც მოგწონს?

თავი დაუყოვნებლივ აიყვანა ხელში და მითხრა, დარწმუნებული ვარ, მოგეწონება... ძალიან კარგი ანიმაციაა... მოკლედ, ბლა-ბლა-ბლა. საქმე ისაა, რომ ძალიან მიხაროდა, ცალსახად მიხაროდა მისი გამოცოცხლება. თავისი შავბნელი აკვიატებების გარდა, რა დრო გასულიყო, რომ აღარაფერზე ეფიქრა.

ფილმს ვუყურეთ. შტორები ჩამოვაფარეთ, ტელეფონი გადავდეთ და ვუყურეთ ამ უცნაურ ანიმაციას გოგონას შესახებ, რომელიც პარალელურ სამყაროში აღმოჩნდება და უამრავ უცნაურ არსებას ხვდება. ამ უცნაური არსებების ნახევარს, ვერც კი მიხვდებით, კეთილები არიან, თუ ბოროტები. ლუ წელში გამართული უილთან ახლოს იჯდა, სასმელს

აწვდიდა. რაღაც მომენტში, უილს თვალში რაღაც ჩაუვარდა და ლუისამ ამოუწმინდა. ძალიან თბილი და საყვარელი სანახაობა კი იყო, მაგრამ იქვე გავიფიქრე, ნეტავ, სადამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი-მეთქი.

ფილმი დამთავრდა. ლუისამ შტორები ასწია და ყველასთვის ჩაი მოამზადა. ერთმანეთს ისე უყურებდნენ, თითქოს თვალებით საუბრობდნენ, გაენდოთ ჩემთვის საიდუმლო, თუ არა. ბოლო მითხრეს. წასვლას აპირებდნენ. ათი დღით. არ იცოდნენ, სად, მაგრამ შორს და დარწმუნებულები იყვნენ, რომ შესანიშნავ დროს გაატარებდნენ. მეც ხომ არ გავყვებოდი?.. ღმერთო ჩემო, რა კითხვა უნდოდა.

მზად ვიყავი ლუისასთვის მუხლმოდრეკილს ხელზე მეკოცნა. ოთხი თვით ადრე რომ გეთქვათ, უილი შორ მანძილზე დასასვენებლად და გასართობად წავაო... ღმერთო ჩემო, დასასვენებლად წავა კი არა... საერთოდ, ამ სახლიდან გაყვანას მოახერხებთო, რომ გეთქვათ, გიპასუხებდით, ჭკუა დაგიკარგავთ, ან არც გქონიათ-მეთქი. თუმცა, უილის სამედიცინო საჭიროებებზე ლუისას მაინც დაველაპარაკებოდი. მსგავს შეცდომას კიდევ ერთხელ ვერ დავუშვებდით. რა გველოდა, უცებ, სადმე რომ გავჭედილიყავით?

საღამოს, სანამ ლუისა წავიდოდა, მისის ტრეინორმა შემოიარა. უილმა ეს ამბავი ისე, სასხვათაშორისოდ უთხრა დედამისს, თითქოს ციხესიმაგრის ირგვლივ სასეირნოდ აპირებდა წასვლას.

მე ბედნიერი ვიყავი. ინტერნეტით პოკერის თამაშმა ნულზე დამსვა. აღარც მეგონა, ზაფხულში შვებულება თუ მეღირსებოდა. ლუისას ისიც კი ვაპატიე, რომ უილს სულელივით დაუჯერა და კათეტერი არ გამოუცვალა. არადა, მერწმუნეთ, ამის გამო გაცოფებული ვიყავი. ყველაფერი იმაზე კარგად იყო, ვიდრე მანამდე წარმოვიდგენდი. ხალისიანად ვუსტვენდი და წასვლისას ქურთუკში რომ მკლავი გავუყარე, თვალწინ უკვე თეთრი ქვიშა და ლურჯი ზღვა მედგა. იმაზეც კი დავიწყე ფიქრი, ნეტავ ცოტა ხნით ჩემს მშობლიურ ოკლენდშიც ხომ არ მოხერხდება, რომ შევიარო-მეთქი.

მერე კი ისინი დავინახე – მისის ტრეინორი ლუისას წინ, კარებში იდგა და ეღობებოდა. არ ვიცი, რაზე საუბრობდნენ მანამდე, მაგრამ ორივე აღრენილი ჩანდა. მარტო ბოლო ფრაზას მოვკარი ყური, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვა, ესეც სრულიად საკმარისი იყო.

– იმედი მაქვს, იცით, რასაც აკეთებთ, ლუისა.

XX

– რა თქვი?

ქალაქგარეთ გორაკებზე ვიყავით გასულები, როცა ვუთხარი. პატრიკი ვარჯიშობდა, თექვსმეტმილიანი დისტანციის ნახევარი უკვე გაევლო. მე მისთვის დროს ვინიშნავდი და უკან ველოსიპედით მივყვებოდი. იმდენად, რამდენადაც ველოსიპედს კიდევ უფრო ცუდად ვატარებდი, ვიდრე ბირთვულ ფიზიკაში ვერკვეოდი, ეს ჩემგან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. შიგადაშიგ ვყირავდებოდი, რასაც ჩემგან ლანძღვაგინება და გაანჩხლებული შეკივლებები მოჰყვებოდა ხოლმე.

შიპქოუთ-ჰილზე რომ ავედით, უკვე ვქოშინებდი, ფეხები მტკიოდა და გადავწყვიტე, სასაუბროდ სწორედ შესაფერისი დრო და ადგილი იყო. უკან სახლამდე ათი მილი უნდა გაგვევლო, რაც საკმარისი იქნებოდა, რომ კარგი განწყობა დაბრუნებოდა.

– ექსტრემალი ვიკინგების შერკინებაზე მე ვერ წამოვალ.

სირბილი არ შეუწყვეტია, მაგრამ ახლოს მოვიდა. თვალებში შემომხედა, ფეხებს, ადგილზე დარბოდა და ისეთი შოკირებული სახე ჰქონდა, რომ კინაღამ ხეს შევასკდი.

– რა? რატომ?

– მე... ვმუშაობ.

გზაზე დაბრუნდა და ტემპს მოუმატა. გორაკის წვერს მივაღწიეთ და ახლა დაღმართზე ვეშვებოდით. მიწევდა მუხრუჭები გამომეყენებინა, რომ მისთვის არ გამესწრო.

– ეს როდის გადაწყვიტე?

შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები დააჯდა, კუნთებზე მყესები დაებერა. დიდხანს რომ მეყურებინა, გადავიფიქრებდი.

– შაბათ-კვირას. უბრალოდ, უნდა დავრწმუნებულიყავი, სანამ გეტყოდი.

– შენთვის თვითმფრინავის ბილეთები და ყველაფერი უკვე შევუკვეთეთ.

– ეს ხომ „იზიჯეტია“. (იზიჯეტი – ბრიტანეთის იაფი ავიახაზები. ნ.ბ.) 39 გირვანქას დაგიბრუნებთ, თუ ეს პრობლემაა.

– საქმე ფულში არ არის. მეგონა, რომ ჩემს მხარდასაჭერად წამოხვიდოდი. ხომ მითხარი ვაპირებ, წამოვიდე და გიგულშემატკივროო.

უილს ბუტიაობა კარგად გამოსდიოდა. შეხვედრები რომ დავიწყეთ, ამის გამო სულ დავცინოდი. მისტერ კუანა ბუზღუნას ვეძახდი. მე სიცილისგან ვბჟირდებოდი, ისე კიდევ ისე მწარდებოდა, მარტო იმიტომ წყვტდა ბუტიაობას, რომ მე გავეჩუმებინე.

– კარგი, რა. აბა, ახლა რას ვაკეთებ? მეზიზღება ველოსიპედი, პატრიკ. შენც კარგად იცი, მაგრამ აქ იმიტომ ვარ, რომ გგულშემატკივრობ.

კიდევ ერთი მილი ისე გავიარეთ, ხმა არ ამოუღია. შეიძლება მე მეჩვენებოდა ასე, მაგრამ მეგონა, რომ სირბილისას პატრიკი ფეხებს უფრო გაბრაზებით ურტყამდა მიწას და მის ნაბიჯებს სწორედ ასეთი ხმა ჰქონდა. პატარა ქალაქიდან საკმაოდ ზემოთ ვიყავით ასულები. გაჭირვებით ვძლევდი აღმართს და მანქანის ყოველ ჩავლაზე გული ხელით მეჭირა. დედას ძველ ველოსიპედზე ვიჯექი (პატრიკი თავის ახალ სუპერ ველოსიპედზე თითსაც არ მაკარებინებდა), რომელსაც სიჩქარის მარეგულირებელი არ ჰქონდა და ძალიან მიჭირდა.

უკან მოიხედა, ტემპი შეანელა, რომ მეც წამოვწეოდი.

– სააგენტოდან დამხმარეს რატომ არ ქირაობენ? – მკითხა პატრიკმა.

– სააგენტოდან?

– ჰო, ტრეინორებთან სახლში რომ მივიდეს. ექვსი თვეა უკვე იქ ხარ. შვებულება არ გეკუთვნის?

– ყველაფერი ასე მარტივად არ არის.

– ვერ ვხვდები, რატომ. იქ რომ დაიწყე მუშაობა, შენც არაფრის კეთება იცოდი.

სუნთქვა შევიკავე. ეს კიდევ უფრო ძნელი იყო იმის გათვალისწინებით, რომ ველოსიპედის გამო ისედაც ძლივსღა ვსუნთქავდი.

– იმიტომ, რომ უნდა გაემგზავროს.

– რა?

– ჰო, გასამგზავრებლად ემზადება და მე და ნათანიც იქ დავჭირდებით.

– ნათანი? ნათანი ვინღაა?

– მისი მედ. მომვლელი. შენც იცნობ, მაშინ ნახე, როცა უილი ჩემი მშობლების სახლში მოვიდა, ჩემს დაბადების დღეზე. და კიდევ, სანამ თვითონ მკითხავ, – დავამატე თითქმის მაშინვე, – ჩემსა და ნათანს შორის არაფერი ხდება.

სვლა შეანელა და გზას დააკვირდა. ადგილზე ხტუნვას არ წყვეტდა.

– ეს რას ნიშნავს, ლუ? მე მეჩვენება, რომ შენ... ვეღარ გაერკვიე, სად გადის ზღვარი სამსახურსა და... – მხრები აიჩეჩა, – არ ვიცი... სიგიჟეს შორის.

– ეს არ არის ჩვეულებრივი სამუშაო, შენც ხომ იცი.

– მაგრამ აღმოჩნდა, რომ შენთვის ყველაზე პრიორიტეტული უილ ტრეინორია.

– აჰა... და მაგაზე რას იტყვი? – ხელით ფეხებზე მივანიშნე, ისევ ადგილზე შეუჩერებლად რომ ხტუნავდა.

– ეს სხვა ამბავია. არ მესმის. ერთი რომ დაგირეკოს, მაშინვე მისკენ გარბიხარ.

– ესე იგი, შენ დარბიხარ, მეც დავრბივარ, – ვეცადე გამეღიმა.

– ჰო, ძალიან სასაცილოა, – მითხრა და ზურგი მაქცია.

– ექვსი თვე, პატ, სულ რაღაც ექვსი თვე. შენ არ იყავი, რომ მარწმუნებდი, ამ სამსახურზე უარი არ უნდა თქვაო. ახლა კიდევ მსაყვედურობ, რომ სერიოზულად ვეკიდები?

– მე არა მგონია... მე არა მგონია, რომ აქ საქმე სამსახურშია. მე.... მე მგონია, რომ ყველაფერს ბოლომდე არ ამბობ.

მაშინვე ვერ ვუპასუხე. პაუზა, ალბათ, საჭიროზე დიდი გამომივიდა.

– არ არის ეგ მართალი.

– მაგრამ შეჯიბრებაზე მაინც არ მოდიხარ.

– ხომ გითხარი, მე...

თავი გადააქნია, თითქოს ჩემი მოსმენა აღარ უნდოდა და გაიქცა. ზურგზევე ვატყობდი, როგორი გაბრაზებული იყო.

– კარგი რა, პატრიკ. არ შეიძლება ერთი წუთით გავჩერდეთ და ადამიანურად დავილაპარაკოთ?

– არა. დრო ამერევა, – მიპასუხა გაჯიუტებით.

– მაშინ და საათი გავაჩეროთ. სულ ხუთი წუთი.

– არა, რეალურ პირობებში უნდა ვივარჯიშო.

უფრო სწრაფად გაიქცა, თითქოს ახალი სუნთქვა გაეხსნა.

– პატრიკ! – შევძახე და ვცადე, როგორმე წამოვწეოდი. ტერფები პედალს ამიცდა. შევიგინე. თავიდან ვცადე, – პატრიკ! პატრიკ!

მის ზურგს ვუყურებდი და უცებ სიტყვები სრულიად დაუფიქრებლად აღმომხდა.

– კარგი. უილს სიკვდილი უნდა. თავის მოკვლას აპირებს. ეს მოგზაურობა ჩემი უკანასკნელი შანსია, რომ გადავაფიქრებინო.

პატრიკმა ნაბიჯი შეანელა და მერე საერთოდ გაჩერდა. იდგა, ბეჭებში გაშლილი, ჩემგან ისევ ზურგით. მოტრიალდა. მეშველა – ადგილზე აღარ დარბოდა.

– ვერ გავიგე...

– „დიგნიტასში“ მიდის. აგვისტოში. ვცდილობ, რომ გადავაფიქრებინო. ეს არის ჩემი უკანასკნელი შანსი.

ისე მიყურებდა, თითქოს ვერ გარკვეულიყო, ჩემთვის დაეჯერებინა, თუ არა.

– ვიცი, რომ ეს სიგიჟეა. მაგრამ უნდა გადავაფიქრებინო. ამიტომ... მე ამიტომ ვერ წამოვალ შეჯიბრებაზე.

– აქამდე რატომ არ მითხარი?

– მის ოჯახს სიტყვა მივეცი, რომ არავის ვეტყოდი. საშინელება იქნებოდა მათთვის, ამაზე ხალხში ხმა რომ დარხეულიყო. საშინელება... მისმინე, უილმაც კი არ იცის, მე რომ ეს ვიცი. ძალიან რთული ამბავია, პატრიკ. მაპატიე, – ხელი ჩავკიდე, – რომ შემძლებოდა, გეტყოდი. არაფერი მიპასუხა. განდგურებული ჩანდა. თითქოს, რაღაც საზარელი დანაშაული ჩავიდინე. სახეზე რაღაც გაურკვეველი, ფარული მუქარა ეწერა. ნერწყვი ორჯერ გაჭირვებით ჩაყლაპა, სანამ მოახერხებდა, რომ რამე ეთქვა.

– პატ...

– არა. მე... უნდა ვირბინო, ლუ. მარტომ, – უკანსვლით გაიქცა, თმაში ხელი შეიცურა, – კარგი?

– კარგი, – მეც ძლივს ამოვთქვი.

არადა, რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ საერთოდ დაავიწყდა, იმ ადგილას რატომ წავედით. მერე კი საკუთარ თავს დაუბრუნდა. ვიდექი და ვუყურებდი, ჩვენ წინ გზას სირბილით როგორ მიუყვებოდა. თავი წინ წაეწია, მტკიცედ, მიზანდასახულად... ფეხები გზას ყოველწუთიერად ამოკლებდნენ.

* * *

ქორწილიდან რომ დავბრუნდით, ფორუმზე მეორე დღესვე განვათავსე ტექსტი, რომლითაც მომხმარებლებს დახმარებას ვთხოვდი:

„შეგიძლიათ მირჩიოთ ადგილი, სადაც კვადრიპლეგიის მქონე ადამიანი კარგ დროს გაატარებს? ისეთი თავგადასავლები ექნება, როგორიც ტრავმის მიღებამდე ექნებოდა. ყველაფერი მაინტერესებს, რაც ჩემს მეგობარს, რომელიც დეპრესიაშია, ცოტა ხნით დაავიწყებს, რომ მისი ცხოვრება ახლა შეზღუდულია. დანამდვილებით არ ვიცი, რას ვეძებ, მაგრამ ნებისმიერი იდეისთვის მადლობელი ვიქნები. თან ეს სასწრაფოა. მუშა ბზიკი“ როცა მეორე დღეს ფორუმზე შევიხედე, გაოცებისგან თვალებს არ დავუჯერე. ოთხმოცდაცხრა გამოხმაურება დამხვდა. პასუხებს აღმა-დაღმა დავყვებოდი. ეჭვიც კი შემეპარა, ეს ყველა გამოხმაურება ჩემს თხოვნას მოჰყვა-მეთქი? მერე ბიბლიოთეკაში სხვა კომპიუტერებთან მიმსხდარ ადამიანებს გავხედე. რომელიმეს რომ შემოეხედა,

აღფრთოვანებას და გაოცებას გავუზიარებდი. ოთხმოცდაცხრა გამოხმაურება! ღმერთო ჩემო! სულ ერთ პატარა კითხვაზე!

მათ შორის იყო ამბები ბანჯი-ჯამფინგზე კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებისთვის, ცურვაზე, კანოეთი ცურვაზე, ცხენის ჭენებაზე დამხმარე საშუალებების გამოყენებით. ვუყურე ვიდეოს, რომლის ბმულიც გამომიგზავნეს და ცოტა გავბრაზდი კიდეც, რომ უილს ცხენები არ უყვარდა. არადა, ესეც გადასარევი შესაძლებლობა იყო. შემომთავაზეს ცურვა დელფინებთან ერთად, აკვალანგით ყვინთვა დამხმარეებთან ერთად. თურმე, არსებობდა სპეციალური მოტივტივე ეტლები, რაც ამ ადამიანებს საშუალებას აძლევდა, რომ სათევზაოდ ევლოთ. არსებობდა სპეციალური ადაპტირებული კვადროციკლები, რომლითაც ოფროუდში იღებდნენ მონაწილეობას. ზოგიერთმა მომხმარებელმა თავისი ფოტოები და ვიდეობიც დამიდო, რომლებიც მათ მსგავს აქტივობებს ასახავდნენ. ზოგიერთ მათგანს, მათ შორის, რიჩის, ჩემი წინა პოსტები ახსოვდა და მეკითხებოდნენ, როგორ მიდიოდა უილის საქმე.

„მგონი, კარგი ამბებია თქვენკენ. თავს ახლა უკეთესად გრძნობს?“

იქვე მოკლედ ვუპასუხე:

„შეიძლება. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს მოგზაურობა მართლა ყველაფერს შეცვლის.“

რიჩი მაშინვე გამომეხმაურა:

„ყოჩაღი გოგო ხარ! თუ ფინანსურად შეზღუდულები არ ხართ, შესაძლებლობებს ბოლო არ აქვს.“

სკუტერ-გოგომ დამიწერა:

„აუცილებლად გამოაქვეყნე მისი ბანჯი-ჯამფინგის ფოტოები. ვგიჟდები, ისეთი სახეები აქვთ ტიპებს, თავდაყირა რომ ჩაეკიდებიან.“

მე კიდევ ამ ხალხზე ვგიჟდებოდი. კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებსა და მათ დამხმარეებზე. მათი გამბედაობის, ჩემ მიმართ გამოჩენილი გულისხმიერების, მათი ფანტაზიის გამო. ორი საათი ვიჯექი იმ საღამოს და მათ შემოთავაზებებს ვიწერდი. გადავდიოდი შესაბამისი ვებ-გვერდების ბმულებზე, რომელთაც მიგზავნიდნენ და რამდენიმეს ჩატშიც ვესაუბრე. იმ დროისათვის, როცა ბიბლიოთეკიდან წამოვედი, უკვე ვიცოდი, სად იყო ჩვენი დანიშნულების ადგილი და რის გაკეთებას ვგეგმავდით იქ. წავიდოდით კალიფორნიაში, „ოთხმხრივი ქარის რანჩოზე, სპეციალიზებულ ცენტრში, რომელიც კვალიფიციურ დახმარებას გვთავაზობდა ისე, რომ „საერთოდ დაგვავიწყდებოდა, დახმარება თუ გვჭირდებოდა“, – როგორც იუწყებოდა მათი ვებ-გვერდი. თვითონ რანჩო დაბალი ხისგან ნაშენი ნაგებობა იყო ტყეში, იოსემიტის ეროვნულ პარკთან ახლოს. აშენებული იყო ყოფილი კასკადიორის მიერ, რომელმაც ტრავმას არ მისცა საშუალება, მისი შესაძლებლობები შეეზღუდა. სტუმრების გამოხმაურებების განყოფილება სავსე იყო მადლიერების გამომხატველი წერილებით, სადაც ხალხი ირწმუნებოდა, რომ რანჩომ მთლიანად შეცვალა მათი დამოკიდებულება საკუთარი მდგომარეობისადმი და, ზოგადად, საკუთარი თავისადმი. სულ მცირე, ექვსი ადამიანი მათგან, ვინც ჩემს თხოვნას გამოეხმაურა ფორუმზე, იქ ნამყოფი იყო და თითოეული ამბობდა, რომ იქაურობამ მათი ცხოვრება შეატრიალა. რანჩო მთლიანად მისაწვდომი იყო

ეტლით მოსარგებლე ადამიანებისთვის და ჰქონდა ყველაფერი, რასაც ძვირადღირებული სასტუმროსგან უნდა ელოდეს ადამიანი. აქ იყო ღია ცის ქვეშ გამართული აბაზანები, თავისი საწეველებით, და პროფესიონალი მასაჟისტებით. იქვე იყო სათანადოდ მომზადებული სამედიცინო პერსონალი. კინოთეატრი, სადაც ეტლისათვის სხვა სკამების გვერდით იყო ადგილი. კიდევ ღია ცის ქვეშ ცხელი აბაზანა, წარმოიდგინეთ, ნებივრობ და თავზემოთ ვარსკვლავებს შესცქერი. ერთ კვირას აქ გავატარებდით, მერე კი, რამდენიმე დღეს – ზღვისპირა სასტუმროს კომპლექსში, სადაც უილი იცურავებდა და მეჩხერ სანაპიროზე გაირუჯებოდა. ყველაზე კარგი, რაც ამ მოგზაურობისას ელოდა და რასაც უილი ვერასდროს დაივიწყებდა, სქაიდაივინგი იყო სპეციალისტებთან ერთად, რომელნიც სწორედ კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებთან სამუშაოდ იყვნენ გაწვრთნილები. რაღაც სპეციალური აღჭურვილობა ჰქონდათ, უილის სხეულს თავისზე მიიმაგრებდნენ. მთავარი აქ კიდევ იყო ის, რომ უილს მუხლები ფიქსირებული უნდა ჰქონოდა. ვარდნისას ასე დაცული იქნებოდა, რომ ფეხები სახეში არ აერტყა.

სასტუმროს ბროშურას ვაჩვენებდი, მაგრამ სქაიდაივინგის ამბავი სიურპრიზად მინდოდა, დამეტოვებინა. ჩავიდოდით და მის რეაქციას იქვე ვნახავდი. ამ რამდენიმე ძვირფასი წუთის განმავლობაში, უილი უწონო და ჩიტივით თავისუფალი იქნებოდა. ეტლიდან ადგებოდა, იფრენდა და მიზიდულობის ძალას გაექცეოდა.

ყველა საჭირო ინფორმაცია ამოვბეჭდე. ზემოდან ეს მთავარი ფურცელი დავადე. რომ დავხედავდი, გული სიხარულით მევსებოდა, ეს იქნებოდა ჩემი პირველი მოგზაურობა ამხელა მანძილზე და თან ასეთი ზღპარული.

და ყველაზე მთავარი – ამ მოგზაურობას შეეძლო უილის ცხოვრება მთლიანად შეეცვალა.

* * *

მომდევნო დილას ნათანს ყველაფერი ვაჩვენე. სამზარეულოში ყავას ვხვრეპდით, ნაჩქარევად და მალვით, თითქოს საიდუმლო შეთქმულებას ვაწყობდით. ჩემ მიერ ამობეჭდილ ინფორმაციას თვალი გადაავლო.

– სხვა კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებს ვკითხე. არ არსებობს სამედიცინო საფუძველი, რომ სქაიდაივინგი ვერ შეძლოს. ან ბანჯი-ჯამფინგი. სპეციალური აღჭურვილობა აქვთ, რაც მის ხერხემალზე ნებისმიერ პოტენციურ დაწოლას ანეიტრალებს.

სახეზე ყურადღებით ვაკვირდებოდი. ვიცოდი, როცა საქმე უილის ჯანმრთელობას ეხებოდა, ნათანს ჩემი იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რას ფიქრობდა ამ გეგმაზე.

– ყველაფერი აქვთ, რაც კი შეიძლება, დაგვჭირდეს. წანასწარ თუ დავურეკავთ და ექიმის დანიშნულებასაც თან ჩავიტანთ, ნებისმიერ მედიკამენტს დაგვახვედრებენ, რაც დაგვჭირდება. ასე რომ, ისიც გამორიცხულია, წამალი დაგვჭირდეს და დაგვიმთავრდეს, ვერ ვიშოვოთ, ან მსგავსი.

შეიჭმუხნა.

– ყველაფერი კარგად მოგიფიქრებია, – თქვა ბოლოს, – ყოჩაღ, ლუისა.

– როგორ გგონია, მოეწონება?

– არ ვიცი. აბა, რა გითხრა, – მხრები აიჩეჩა ნათანმა და ფურცლები დამიბრუნა, – მაგრამ... შენ ერთხელ უკვე გაგვაოცე, ლუ, – მის ღიმილში იყო რაღაც ეშმაკური, – არ მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ გაგიჭირდება, კიდევ გაგვაოცო.

ჩემი ქაღალდები, სანამ საღამოს სახლში წავიდოდი, მისის ტრეინორსაც ვაჩვენე. სამსახურიდან მოვიდა, მანქანით გრანტა ჰაუსისკენ შემოუხვია და მეც იქვე შორიახლოს დავხვდი. ვცდილობდი, ისეთი ადგილი შემერჩია, უილის ფანჯრიდან რომ არ გამოვჩენილიყავით.

– ვიცი, რომ ძვირია, – ვუთხარი მე, – მაგრამ ეს საოცარი შესაძლებლობაა. მართლა მგონია, რომ უილი საუკეთესო დროს გაატარებს. ხომ... ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ.

ქაღალდებს მდუმარედ გადახედა. მერე ჩემს გაანგარიშებებს დააკვირდა.

– ჩემს ხარჯს მე თვითონ დავფარავ, თუ ეს გაფიქრებთ. მგზავრობისასაც და იქ ცხოვრებისასაც. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ...

– ყველაფერი რიგზეა, – გამაწყვეტინა მისის ტრეინორმა, – გააკეთეთ ყველაფერი ისე, როგორც წესია. თუ ფიქრობთ, რომ დაითანხმებთ, ადგილები უკვე დაჯავშნეთ.

გასაგები იყო, რასაც გულისხმობდა. დრო ძალიან ცოტა რჩებოდა.

– როგორ გგონიათ, მის დარწმუნებას შეძლებთ? – მკითხა მან.

– ნუ... თუ მე... იმ შემთხვევაში, თუ ვეტყვი... – ნერწყვი ძლივს ჩავყლაპე, – თუ ვეტყვი, რომ ეს ჩემთვის არის კარგი. სულ მეუბნება, რომ მნიშვნელოვანს და საინტერესოს არაფერს ვაკეთებ. სულ ჩამჩიჩინებს, რომ უნდა ვიმოგზაურო. ყველაფერი ვცადო...

დაკვირვებით შემომხედა და თავი დამიქნია.

– ჰო... ეგ მისი სტილია, – ქაღალდები მომაწოდა.

– მე... – ჩავისუნთქე და, ჩემდა გასაკვირად, მივხვდი, რომ ლაპარაკი არ შემეძლო. ორჯერ გადავყლაპე ნერწყვი. ხმას ვერ ვიღებდი, – იმდღეს რაც მითხარით. მე არასდროს გამივლია აზრად... უილის ბედნიერება ჩემთვის მნიშვნელოვანია. მე...მე...

აშკარად არ აპირებდა იქ დიდხანს დგომას, სანამ მე ამოვღერღავდი, რისი თქმაც მინდოდა. თავი დახარა, თხელი თითებით ძეწკვს მისწვდა.

– კარგი. შიგნით შევალ. ხვალ შევხვდებით. გამაგებინეთ, რას გეტყვით.

* * *

იმ საღამოს პატრიკთან პირდაპირ არ წავსულვარ. თავიდან ასეც ვაპირებდი, მაგრამ მერე ინდუსტრიალ პარკიდან თითქოს რაღაცამ უკუმაგდო. გზა გადავჭერი, ავტობუსში ავედი და ჩემი სახლისკენ წავედი. გაჩერებიდან სახლამდე ასოთხმოცი ნაბიჯი გავიარე და შიგნით შევედი. თბილი საღამო იდგა. ყველა ფანჯარა ღია იყო, რომ სახლში ნიავი შემოსულიყო. დედა სამზარეულოში ვახშამს ამზადებდა და თან ღიღინებდა. მამა, ჩაის ჭიქით ხელში, დივანზე იწვა. ბაბუა თავის სავარძელში თვლემდა და თავი გვერდზე გადაეგდო. ტომასი შავი ფლომასტერით ფეხსაცმელებს იფერადებდა. ოჯახის წევრებს მივესალმე და ზემოთ ავედი. უცნაური განცდა მქონდა. განა რამდენი ხანი იყო, რაც გადავედი და თავს უკვე უცხოდ ვგრძნობდი.

ტრინა ჩემს ოთახში მუშაობდა. კარზე დავაკაკუნე, შევედი და დავინახე, მაგიდას მისჯდომოდა, რომელზეც უამრავი წიგნი და სამუშაო რვეული ჰქონდა გაშლილი. ცხვირზე სათვალე დაეკოსებინა. პირველად ვხედავდი. უჩვეულო განცდა დამეუფლა, როდესაც იმ ნივთებით გარემოცული დავინახე, რაც ჩემთვის მქონდა შერჩეული. კედლებზე, რომელიც საკუთარი ხელით შევღებე, უკვე ტომასის ნახატები იყო მოფენილი, მისი ნაჯღაბნები ისევ აჩნდა ფარდებს, გამიჭირდა აზრები მომეკრიბა, რომ ინსტინქტურად წყენა არ დამტყობოდა.

ტრინამ მხარს უკნიდან გამომხედა.

– დედა მეძახის? – მკითხა და საათს ახედა, – მეგონა, ჯერ ტომასისთვის უნდა ეჭმია.

– ასეც აპირებს. თევზის ჩხირებს ამზადებს.

შემომხედა და სათვალე მოიხსნა.

– ხომ კარგად ხარ? საშინლად გამოიყურები.

– შენც.

– ვიცი. რაღაც იდიოტურ სადეტოქსიკაციო დიეტაზე ვარ. ჰოდა, დამაყარა, – ხელი ნიკაპზე მიიდო.

– რაში გჭირდება შენ დიეტა...

– ჰო, მაგრამ... ერთი ტიპი მომწონს. ბუღალტერიას ერთად გავდივართ. ვიფიქრე, ცუდი არ იქნება, ცოტას თუ მოვინდომებ-მეთქი. სახეზე გამონაყარი ათმაგად უფრო გამშვენებს, ასე არაა?

საწოლზე ჩამოვჯექი. ჩემი გადასაფარებელი ეფარა. ვიცოდი, პატრიკს არ მოეწონებოდა, ამიტომ არ წამიღია. ჭრელი, გეომეტრიული ნახატი ჰქონდა. ისიც გამიკვირდა, ტრინას რომ მოეწონა.

წიგნი დახურა და სკამზე გადმოწვა.

– აბა, მითხარი, რა ხდება?

ტუჩზე ვიკბინე და ხმა არ გამიცია, სანამ კითხვა არ გამიმეორა.

– ტრინ, როგორ გგონია, შემიძლია, რომ გადამზადება გავიარო?

– გადამზადება? რაში?

– არ ვიცი... რამე ისეთში, რაც მოდასთან, დიზაინთან იქნება დაკავშირებული, ან თუნდაც... უბრალოდ კერვასთან.

– რა გითხრა... ბევრი კარგი კურსია. დარწმუნებული ვარ, ჩემს უნივერსიტეტშიც არის. გინდა გაგირკვიო?

– მაგრამ ჩემნაირ ხალხს მიიღებენ? ვისაც კვალიფიკაცია არ აქვს.

ჰაერში კალამი ააგდო და ისევ დაიჭირა.

– რას ამბობ, გიჟდებიან მოწიფულ სტუდენტებზე. განსაკუთრებით ისეთებზე, ვისაც მუშაობის გამოცდილება აქვს. შეიძლება რაღაც მოსამზადებელი კურსის გავლა დაგჭირდეს, მაგრამ რატომაც არა? რატომ მოინდომე ისე? რამე მოხდა?

– არ ვიცი. უბრალოდ ამას წინათ უილმა რაღაც მითხრა და... მირჩევდა, როგორ უნდა წარვმართო ჩემი ცხოვრება.

– მერე?

– მერე მეც დავფიქრდი... იქნებ დროა, რომ მეც შენს კვალს გავყვე. მამამ მუშაობა დაიწყო და ჩემი დახმარება აღარ სჭირდება. იქნებ მეც შემიძლია, რომ რაღაცას მივაღწიო.

– მაგრამ სწავლისთვის ფულის გადახდა რომ მოგიწევს?

– ვიცი. დანაზოგი მაქვს.

– არა მგონია, ეგ გეყოს, ლუ. განა რამდენი უნდა გადაგენახა.

– იქნებ გრანტი ავიღო. ან, ბოლოს და ბოლოს, სესხს ავიღებ. საკმარისად მაქვს, რომ თავიდან იოლას გავიდე. ერთი ქალი გავიცანი. ყოფილი პარლამენტარია. მითხრა რაღაც სააგენტოებთან მაქვს კავშირები და შემიძლია, დაგეხმაროო. თავისი სავიზიტო ბარათიც მომცა.

– მოიცადე, – მითხრა კატრინამ და სკამზე შემოტრიალდა, – რაღაც მთლად არ მესმის. შენ არ ამბობდი, უილთან მინდა დარჩენაო? მეგონა, შენი მიზანი ის იყო, რომ მას ეცოცხლა და შენც ტრეინორებთან გემუშავა.

– ჰო, ასეა, მაგრამ... – ჭერს მივაჩერდი.

– მაგრამ... რა?

– რთულია.

– არც რაოდენობრივი გამარტივებაა ადვილი, მაგრამ გაწიე-გამოწიე, ბოლოს მაინც ფულის ბეჭდვას ნიშნავ

სკამიდან წამოდგა, ოთახის კარები მიხურა და ხმას დაუწია, თითქოს ვიღაცას ჩვენი ლაპარაკის მოსმენა შეეძლო.

– გგონია, რომ დამარცხდები? გგონია, მაინც აპირებს, რომ...

– არა, – შევაწყვეტინე სასწრაფოდ, – იმედი მაქვს, რომ არა. გეგმები მაქვს. თან დიდი გეგმები. მერე მოგიყვები.

– მაგრამ...

თავზემოთ ხელები ავჭიმე და თითები ერთმანეთს გადავაჭდე.

– მაგრამ უილი მომწონს. ძალიან მომწონს.

ტრინა ყურადღებით მაკვირდებოდა. ჩაფიქრებული სახე ჰქონდა. არაფერია იმაზე შემაძრწუნებელი, ვიდრე ტრინას ჩაფიქრებული სახე, რომელიც თან პირდაპირ შენკენ არის მომართული.

– ჯანდაბა...

– არ გინდა...

– ეს უკვე საინტერესოა, – თქვა ტრინამ.

– ვიცი, – მკლავები ჩამომიცვივდა.

– შენ სხვა სამსახური გჭირდება, რადგან...

– სხვა კვადრიპლეგიის მქონე ადამიანებმა მითხრეს. ვისაც ჩეთში ველაპარაკებოდი. არ შეიძლება, რომ ორივე იყო. მომვლელიც და... – სახეზე ხელები ავიფარე.

ვგრძნობდი, როგორ მიყურებდა ტრინა.

– იცის?

– არა. იმაშიც კი არ ვარწმუნებული, რომ მე ვიცი. უბრალოდ...

საწოლზე პირქვე გადავბრუნდი და სახე ჩავრგე. გადასაფარებელს ტომასის სუნი ასდიოდა, ლუდის სოუსის სუნთან შერეული.

– არც ვიცი, რას ვგრძნობ. ერთი ის ვიცი, რომ მის გვერდით ყოფნა ნებისმიერ სხვა ადამიანთან ყოფნას მირჩევნია.

– პატრიკის ჩათვლით.

აი, ისიც. სიმართლე, რომელსაც საკუთარ თავთანაც არ ვაღიარებდი. ვიგრძენი, როგორ ამიწითლდა ლოყები.

– ჰო, – ვთქვი ისე, რომ საწოლიდან თავი არ ამიწევია, – ხანდახან ჰო.

– აი, დაგერხა, – თქვა ცოტა ხნის შემდეგ, – მე კიდევ მეგონა, ცხოვრებაში პრობლემების შექმნა თავად უკეთ გამომდიოდა.

საწოლზე გვერდით მომიწვა და ორივე ჭერს შევაჩერდით. ქვემოდან ისმოდა, როგორ უსტვენდა ბაბუა უსმენოდ, რასაც ერთვოდა ტომასის დისტანციური მართვის მანქანის ხათქა-ხუთქი პლინტუსებზე და მისი ჭყლოპინი. კაცმა არ იცის, რატომ, მაგრამ თვალები ცრემლებით ამევსო. ვიგრძენი, ჩემმა დამ ხელი როგორ მომხვია.

– არ ხარ შენ ნორმალური, – მითხრა და ორივეს სიცილი აგვიტყდა.

– არ ინერვიულო, – ვუთხარი და სახე მოვიწმინდე, – სისულელეს არ ჩავიდენ

– კარგია. იმიტომ, რომ ამაზე რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო მგონია, რომ სიტუაციის დაძაბულობის ბრალია. არ არის ეს რეალობა... ეს არის წმინდა წყლის მელოდრამა.

– როგორ?

– როგორ და... სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგას, ბოლოს და ბოლოს. ჩაყირავებული ხარ ამ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, იხრჩობი მის ამ უცნაურ საიდუმლოში. ეს აუცილებლად შექმნიდა ინტიმური სიახლოვის ილუზიას. ან არ ვიცი... თუ ასე არაა, მაშინ ფლორენს ნაიტინგეილის (ფლორენს ნაიტინგეილი – ინგლისელი მოწყალების და, სოციალური რეფორმატორი და ვიქტორიანული კულტურის ერთ-ერთი სახე. მან დაუდო დასაბამი ავადმყოფი მოვლის თანამედროვე სისტემას. გახსნა მსოფლიოში პირველი სასწავლებელი ექთნებისთვის და ექთნების საერთაშორისო დღეც მის დაბადების დღეს აღინიშნება. ნ.ბ.) კომპლექსი შეგყრია.

– აი, ეგ, ნამდვილად არ შემყრია.

ვიწექით და ჭერს შევცქეროდით.

– მაგრამ მაინც რა სიგიჟეა, შეგიყვარდეს კაცი, რომელსაც არ შეუძლია, რომ... ნუ, შენც ხომ ხვდები, არ შეუძლია, რომ თავადაც შეგიყვაროს. შეიძლება, ეს სულაც პანიკური რეაქციაა იმ ფაქტზე, რომ ბოლოს და ბოლოს, შენ და პატრიკი ერთად გადახვედით.

– ვიცი. მართალი ხარ.

– თან ამდენი ხანია ერთად ხართ. ბუნებრივია, რომ სხვა ადამიანმა დაგაინტერესოს.

– თან იმისაც თუ გავითვალისწინებთ, რომ პატრიკი სულ თავისი მარათონებით არის შეპყრობილი.

– მალე შეიძლება მიხვდე, რომ უილი სულაც არ მოგწონს. მახსოვს, როგორ ლანძღავდი და ნაბიჭვარს ეძახდი ხოლმე.

– ხანდახან ახლაც ვეძახი.

ჩემმა დამ ცხვირსახოცი აიღო და თვალები მომწმინდა, მერე კი ლოყაზე მიჩქმიტა.

– მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, კოლეჯი გადასარევი იდეაა. იმიტომ, რომ მოდი, პირდაპირ ვთქვათ, როგორც არ უნდა მოიქცეს უილი, გაფშეკს ფეხებს, თუ არა, ახალი და შესაფერისი სამსახური მაინც დაგჭირდება. მთელი ცხოვრება მომვლელი ხომ არ იქნები?!

– ფეხებს არ გაფშეკს, როგორც შენ ამბობ, ტრინა. ის... ის... კარგად იქნება. ყველაფერი კარგად იქნება.

– რა თქმა უნდა, იქნება.

დედა ტომასს ეძახდა. სამზარეულოში იყო და შვილიშვილს სიმღერით უხმობდა: „ტომას, ტომტომტომტომტომ ტომას...“

ტრინამ გაიღიმა და თვალები მოიფშვნიტა.

– ამაღამ პატრიკთან წახვალ?

– ჰო.

– მაშინ მანამდე „სპოტიდ დოგში“ შევიაროთ, ცოტა დავლიოთ და შენს გეგმებზე მომიყევი. კარგი? დედას ვთხოვ, რომ ტომასი ჩემ მაგივრად დააძინოს. წამოდი, წამოდი, შენ დამპატიჟებ, კოლეჯში წასასვლელად თუ გაქვს ფული, ესეც არ გაგიჭირდება.

* * *

ათს თხუთმეტი აკლდა პატრიკთან რომ მივედი.

ყველა გეგმამ, რაც უილთან ერთად სამოგზაუროდ მქონდა დასახული, ჩემდა გასაკვირად, ტრინას მოწონება დაიმსახურა. როგორც სჩვეოდა, თავისებური კორექტივების შეტანაც არ დაუწყია: „ჰო, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ...“ რაღაც მომენტში, კიდევაც ეჭვი შემეპარა, ამას იმიტომ ხომ არ აკეთებს, რომ მთლად გიჟად მთვლის და გაღიზიანებას ერიდებამეთქი. მაგრამ ფაქტია, რომ მოსწონდა.

– მაგარია! დაუჯერებელია, რომ ასეთ რამეს მიაგენი. აუცილებლად ბევრი ფოტო გადაუღე ბანჯი-ჯამფინგის დროს, – ცოტა ხანს გაჩუმდებოდა და დააყოლებდა, – წარმოიდგინე მისი სახე, როცა ეტყვი, რომ სქაიდაივინგზე მიდიხართ. გაგიჟდება. ლუდის ბარში რომ ვინმეს ჩვენთვის შემოეხედა, იფიქრებდა, რომ ორი მეგობარი ვიყავით, რომელთაც ერთმანეთი ძალიან უყვარდათ.

ტრინასთან ერთად გატარებულ საღამოზე ვფიქრობდი, როცა ბინაში ფეხაკრეფით შევედი. ფანჯრებიდან შუქი არ გამოდიოდა და ვიფიქრე, ვარჯიშის ინტენსიური პროგრამის გამო, პატრიკი დასაძინებლად ადრე დაწვა. შესასვლელში ჩანთა იატაკზე დავაგდე და მისაღები ოთახის კარი შევაღე. თან ვიფიქრე, რა საყვარელია, ჩემთვის შუქი ანთებული დაუტოვებია-მეთქი.

მაგრამ მერე თვითონ დავინახე. მაგიდასთან იჯდა, რომელიც ორ ადამიანზე იყო გაწყობილი და შუაში სანთლები ენთო. კარები რომ მივიხურე, ადგა. სანთელი სანახევროდ იყო ჩამწვარი.

– მაპატიე, – მითხრა პატრიკმა.

გაოგნებული მივაჩერდი.

– იდიოტი ვიყავი. შენ მართალი ხარ. ეს სამსახური სულ ექვს თვეს გრძელდება, მე კიდევ პატარა ბავშვივით გავჭირვეულდი. პირიქით, ამაყი უნდა ვიყო, რომ ასეთ მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო რაღაცას აკეთებ, შენ საქმეს მთელი სერიოზულობით ეკიდები. უბრალოდ... წონასწორობა დავკარგე. მაპატიე. მართლა ვწუხვარ.

ხელი გამომიწოდა, მეც ჩავკიდე.

– კარგია, რომ მის დახმარებას ცდილობ. ეს ძალიან დასაფასებელია.

– მადლობა, – ვუთხარი და ხელი მოვუჭირე.

ჩაისუნთქა და როცა ლაპარაკი ისევ დაიწყო, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ წინასწარ მომზადებული ტექსტის წარმატებით თქმის მერე ამოისუნთქა.

– ვახშამი მოვამზადე. ბოდიში, რომ ისევ სალათია.

მაცივართან მივიდა და ორი თეფში გამოიღო.

– სიტყვას გაძლევ, ვიკინგების შერკინება რომ დამთავრდება, სადმე წავალთ და გემრიელად შევჭამთ. ან მაშინაც შეიძლება, ნახშირწყლების მიღებაზე რომ გადავალ. მე უბრალოდ... – სახეზე წამოწითლდა, – ბოლო დროს ბევრზე არაფერზე მიფიქრია. ეს ჩემი პრობლემაა. მართალი ხარ. რატომ უნდა გამომყვე. ეს ჩემი საქმეა. ყველა უფლება გაქვს, რომ მაგ დროს შენი საქმე აკეთო.

– პატრიკ...

– შენთან კამათი არ მინდა, ლუ. მაპატიებ?

თვალები უელავდა და ოდეკოლონის სუნი ასდიოდა. ეს ორი პატარა წვრილმანი გულზე ლოდად დამაწვა.

– დაჯექი, – მითხრა პატრიკმა, – ვივახშმოთ და მერე... არ ვიცი. უბრალოდ ვისაუბროთ. რამე სხვაზე, ვარჯიშზე და სირბილზე – არა, – ნაძალადევად გაიცინა.

დავჯექი და მაგიდას დავხედე.

– რა კარგია, – ვუთხარი ღიმილით.

პატრიკმა ინდაურის გულმკერდის ხორცით ას ერთი კერძის მომზადება იცოდა. ვახშმად მწვანე სალათი, პასტის სალათი, ზღვის პროდუქტების სალათი და ბოლოს ეგზოტიკური ხილის სალათი მივირთვით, რომელიც პატრიკს დესერტად პუდინგისთვის მოემზადებინა. მე ღვინოს ვსვამდი, ის – მინერალურ წყალს. ცოტა დრო დაგვჭირდა, მაგრამ მაინც მალე მოვეშვით. ჩემ წინ იჯდა პატრიკი, როგორიც უკვე, დიდი ხანი, იყო აღარ მენახა. ხუმრობდა, იცინოდა, ყურადღებიანი იყო. თავს მკაცრად აკოტროლებდა, რომ ვარჯიშთან და მარათონებთან დაკავშირებით არაფერი წამოსცდენოდა და სიცილი უტყდებოდა, როგორც კი თავს დაიჭერდა, რომ საუბარი მანდეთ მიჰყავდა. მაგიდის ქვეშ ფეხები ერთმანეთში გვქონდა გადახლართული და ვიგრძენი, თანდათან ის სიმძიმე და დაძაბულობა, რაც მაწუხებდა, როგორ მომეშვა.

ჩემი და მართალი იყო. ჩემი ცხოვრება შეიცვალა, ყველას ჩამოვშორდი, ვისაც ვიცნობდი, მთლიანად მშთანთქა უილმა და მისმა საიდუმლოებებმა. უნდა მეზრუნა, რომ საერთოდ საკუთარი თავიც არ დამეკარგა.

იმ საუბრის გამო, რაც მანამდე ჩემს დასთან მქონდა, თავი დამნაშავედ ვიგრძენი. პატრიკმა მაგიდაც არ ამალაგებინა და ჭურჭლის გარეცხვაშიც არ დამიხმარა. თორმეტის

თხუთმეტ წუთზე ადგა, თეფშები და ფიალები ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჩაალაგა და ჩართო. მე ვიჯექი და ვუსმენდი, ის კი სამზარეულოდან მელაპარაკებოდა. თავი გვერდზე გადავწიე, კისერმა გაიტკაცუნა, მოვეშვი, თვალები დავხუჭე და გავირინდე. რამდენიმე წუთში მივხვდი, რომ საუბარი შეწყდა.

თვალები გავახილე, თავზე პატრიკი მადგა და ხელში ჩემი საქაღალდე ეჭირა, სადაც უილთან ერთად მოგზაურობის შესახებ ამობეჭდილი მასალა მქონდა.

– ეს რა არის?

– ეგ... ეგ არის მოგზაურობის დეტალები. რაზეც გეუბნებოდი.

ფურცლავდა ქაღალდებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ ჩემს დასაც დავათვალიერებინე. თვალი უშტერდებოდა სურათებზე, კალიფორნიის სანაპიროს ამსახველ ფოტოებზე.

– მე მეგონა... – ხმა გაბზარვოდა, – მე მეგონა, ლურდესს (ლურდესი – პატარა ფრანგული ქალაქი პირენეს ნახევარკუნძულზე. პილიგრიმებისა და რელიგიური ტურიზმის ერთერთი ცენტრი. ნ.ბ.) გულისხმობდი.

– რას?

– ჰო... ან... არ ვიცი, სტოკმენდევილს (სტოკმენდევილი – სოფელი ინგლისში, ბაქინგემშირის საგრაფოში. აქ მდებარეობს სტოკმენდევილის ჰოსპიტალი, რომელიც უდიდესია ევროპაში ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ადამიანებთან სამუშაოდ. აქ გამართული სპორტული თამაშები ეტლით მოსარგებლეებისა და ამპუტანტებისათვის დაედო საფუძვლად პარაოლიმპიურ თამაშებს 1960 წლიდან. ნ.ბ.). ნებისმიერ სხვა ადგილს. როცა მითხარი, ვერ წამოვალ, იმიტომ, რომ სამუშაო მაქვს და მას უნდა დავეხმაროო, მეგონა, მართლა სამუშაოს გულისხმობდი. ფიზიოთერაპიას, თუნდაც, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვას, მაგრამ არა ამ... – პატრიკმა თავი გადააქნია, თითქოს, თვითონაც არ სჯეროდა, რას ამბობდა,– ამ ზღაპრულ და საოცნებო შვებულებას.

– ჰო... ნუ, ასეც არის, მაგრამ ჩემთვის კი არა, მისთვის.

პატრიკი დაიჯღანა.

– ჰო, შენთვის არა, – მითხრა და თავი გადააქნია, – შენ საერთოდ არ მოგეწონება ეს ყველაფერი. ჯაკუზი ღია ცის ქვეშ, ცურვა დელფინებთან ერთად... „ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსი“ და „ოცდაოთხსაათიანი სერვისი ნომრებში“, – თვალებში შემომხედა, – ეს არ არის სამუშაო ვიზიტი, ლუისა. ეს თაფლობის თვეა.

– ნუ მაცინებ.

– ჰო, ასეა. შენ... შენ მართლა გგონია, რომ მე აქ გულხელდაკრეფილი ვიჯდები, სანამ შენ სხვა კაცთან ერთად ასეთ შვებულებას იწყობ?

– მისი მომვლელიც მოდის.

– ჰო, ჰო, აბა, რა, ნათანი. ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

– პატრიკ, გეყოფა... ყველაფერი უფრო რთულადაა.

– მაშინ ამიხსენი, – ფურცლები მომაყარა, – ამიხსენი, ლუ. ისე ამიხსენი, რომ გავიგო.

– ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ უილმა იცოცხლოს, სიცოცხლე უხაროდეს, დაინახოს, რომ წინ ბევრი კარგი რამ ელოდება.

– ამ ბევრ კარგ რამეში შემთხვევით შენც ხომ არ იგულისხმები?

– უსამართლო ხარ. მე არასდროს მითხოვია შენთვის, რომ თავი დაგენებებინა საქმისთვის, რომელიც გიყვარს.

– ჩემი საქმე ნამდვილად არ მოიაზრებს სხვა კაცებთან ერთად ჯაკუზიში წოლას.

– და რა პრობლემაა, რომ მოიცავდეს? სულ არ ვარ წინააღმდეგი, რომ სხვა კაცებთან ერთად ჯაკუზიში ჩაწვე. მერე რა მოხდა, რამდენჯერაც გინდა, – შევეცადე გამეღიმა, იმედი მქონდა, რომ მასაც გაეცინებოდა.

მაგრამ პატრიკს არ გაუღიმია.

– ლუ, შენ რას იგრძნობდი? რას იგრძნობდი, რომ მეთქვა, სპორტსმენების ყრილობაზე მივდივარ, მაგალითად... არ ვიცი... „ტრიატლონის ტიტანების“ ლინთან ერთად, რადგან მას ცოტა გახალისება სჭირდება ახლა ცხოვრებაში-მეთქი?

– გახალისება? – ლინი გამახსენდა, თავისი გრძელი ფუმფულა ქერა თმითა და სექსუალური ფეხებით. დავფიქრდი, მაინცდამაინც მისი სახელი პირველი რატომ მოადგა ენაზე.

– ჰო, აი, რას იგრძნობდი, რომ მეთქვა, რომ მე და ლინი ერთად წავალთ, სულ ერთად ვიქნებით, ჯაკუზიში ჩავწვებით, გარეთ ვისეირნებთ. აქედან ექვსი ათასი მილის დაშორებით, იმიტომ, რომ, იცი, რა... ცხოვრებაში ახლა ცოტა რთული პერიოდი აქვს. მითხარი, რას იგრძნობდი, ეს რომ მეთქვა?

– უილს ცხოვრებაში ახლა ცოტა რთული პერიოდი კი არ აქვს, პატ, ეს ადამიანი თავის მოკვლას აპირებს. დიგნიტასში მიდის, რომ ცხოვრება იქ დაასრულოს, – ვიგრძენი, ყურებში როგორ მომაწვა სისხლი, – ახლა ატრიალებ ასე არა? შენ ეძახდი უილს საცოდავ ინვალიდს. შენ იყავი, სიცილით რომ ამბობდი, მანდ თუ იმუშავებ, სანერვიულო არაფერი მექნებაო. შენთვის ის საფრთხეს არ წარმოადგენდა. „იდეალური ბოსი“ – შენი სიტყვებია! ადამიანი, ვის გამოც თავის შეწუხებაც კი არ ღირს!

საქაღალდე მაგიდაზე დადო.

– იცი, რა, ლუ... ახლა ვნერვიულობ.

სახეზე ხელები ავიფარე და რამდენიმე წამს შევიცადე. გავიგე დერეფანში სახანძრო გასასვლელის კარი გაიღო. ადამიანების ხმა ჯერ შემოიჭრა და მერე ერთბაშად გაქრა, ეტყობა, კარის დახურვასთან ერთად.

პატრიკი მაგიდის კიდეს ხელს უსვამდა. ყბა უკანკალებდა.

– იცი, როგორი გრძნობა მაქვს, ლუ? თითქოს, მივრბივარ, მივრბივარ და მაინც მუდმივად სულ ერთი ნაბიჯით ჩამოვრჩები დანარჩენებს, – ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს სიტყვებს ეძებდა, – ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ჩემ თავს რაღაც ცუდი ხდება და ჩემ გარდა ყველამ იცის – რა.

თვალებში შემომხედა.

– არა მგონია, სისულელე იყოს, რასაც ახლა ვამბობ. მაგრამ არ მინდა, რომ წახვიდე. არ მაღელვებს ის, რომ ნორვეგიაში არ მოდიხარ. მაგრამ არ მინდა, რომ ამ... ამ მოგზაურობაში წახვიდე. მასთან ერთად.

– მაგრამ მე...

– თითქმის შვიდი წელია, ერთად ვართ. ამ კაცს რაც იცნობ... რაც ამ სამსახურში ხარ, სულ ხუთი თვეა. ხუთი თვე. ახლა თუ მასთან ერთად წახვალ, ეს ბევრის მანიშნებელი იქნება, თუ რას ფიქრობ ჩვენზე და რას გრძნობ ჩემდამი.

– არაფერ შუაშია ეს ჩვენს ურთიერთობასთან, – გავაპროტესტე მე.

– ამ ყველაფრის მერე, რაც გითხარი, რაც ვილაპარაკეთ, თუ მაინც ადგები და წახვალ, ნამდვილად შუაში იქნება.

გარშემო აუტანელი სიჩუმე ჩამოწვა. ასეთი მზერა, როგორც მიყურებდა, პატრიკის სახეზე არასდროს მინახავს.

როცა დავილაპარაკე, მომეჩვენა, რომ ვჩურჩულებდი

– მაგრამ ვჭირდები.

როგორც კი ეს ვთქვი, როგორც კი საკუთარი ხმა გავიგე, გავიგონე სიტყვები, რომლებიც ჰაერში გაიბნა, შეკავშირდა და აზრი შეიძინა, მაშინვე მივხვდი, რას ვიგრძნობდი, პატრიკს რომ იგივე რამ ჩემთვის ეთქვა.

XXI სტივენი

გოგონა შაბათ-კვირას ჩვენთან გადმოვიდა. უილს არაფერი უთქვამს, არც კამილასთვის და არც ჩემთვის. მაგრამ შაბათ დილით პიჟამაში გამოწყობილი, ფლიგელში რომ შევედი, (ნათანი აგვიანებდადა უილისთვის რომ, მეკითხა, ჩემი დახმარება ხომ არ სჭირდებოდა რამეში), ლუისაც იქ დამხვდა. დერეფანში მოდიოდა, ერთ ხელში ფაფით სავსე ჯამი ეჭირა, მეორეში – გაზეთი. გაწითლდა, როცა დამინახა. არ ვიცი, რატომ. პიჟამაზე ზემოდან ხალათი მეცვა – ყველაფერი ნორმისა და ზრდილობის ფარგლებში. მერე დავფიქრდი, იყო დრო, როცა დილაობით, უილის საწოლი ოთახიდან მორიდებით გამოძურწული გოგოცუნების დანახვა სულ არ მიკვირდა, პირიქით.

– უილს ფოსტა მოვუტანე, – ვუთხარი და წერილები ვაჩვენე.

– ჯერ სძინავს. ხომ არ შევძახო? – ხელი მკერდისკენ წაიღო და გაზეთი აიფარა. მინი მაუსის გამოსახულებიანი მაისური ეცვა და ნაქარგებიანი ფართხუნა შარვალი, როგორსაც, ალბათ, მხოლოდ ჩინელ ქალებზე თუ ნახავთ ჰონგკონგში.

– არა, არა. თუ სძინავს, იყოს. ეძინოს.

როდესაც კამილას ვუთხარი, მეგონა, ესიამოვნებოდა. ისე საშინლად ბრაზობდა მანამდე ეს გოგო თავის შეყვარებულთან რომ გადავიდა საცხოვრებლად, – ეს ამბავი წესით უნდა გახარებოდა. მაგრამ რატომღაც გაუკვირდა. მერე სახეზე თავისი ჩვეული დაძაბული გამომეტყველება გადაეფინა, რაც იმას ნიშნავდა, რომ უკვე ფიქრობდა, რა შესაძლო და არასასურველი შედეგი მოჰყვებოდა ამ ყველაფერს. ამ თემაზე ბევრს არ ლაპარაკობდა, მაგრამ, დარწმუნებული ვიყავი, ლუისა კლარკი თვალში არ მოსდიოდა. პრინციპში, კაცმა რომ თქვას, საერთოდ ვინ მოსდიოდა თვალში ბოლო დროს. მუდმივად უარყოფისა და ზიზღის რეჟიმში უმუშავებდა გონება.

საბოლოოდ, მაინც ვერ გავიგეთ, ლუისა ჩვენთან დასარჩენად რამ მოიყვანა. უილმა უბრალოდ აღნიშნა, ოჯახური პრობლემებიაო. რაც არ უნდა იყოს, ამ გოგოს ერთ ადგილზე

გაჩერებულს ვერ ნახავდით. როდესაც უილის მოვლით არ იყო დაკავებული, ალაგებდა, ასუფთავებდა, რეცხავდა, დარბოდა წინ და უკან ტურისტულ სააგენტოსა და ბიბლიოთეკაში. სადაც არ უნდა მენახა, ყველგან თვალში მხვდებოდა – ყველასგან გამოირჩეოდა და ყველა ჩემს ნაცნობს შორის ყველაზე ნათელ ფერებში გადაწყვეტილი ჭრელი ტანსამცლის ჩაცმა უყვარდა. სულ ეს მოკლე კაბები და უცნაური ფეხსაცმელები ეცვა.

მინდოდა, მეთქვა კამილასთვის, რომ ამ გოგომ ჩვენი სახლი გამოაცოცხლა-მეთქი, მაგრამ კამილასთან მსგავს კომენტარებს ვეღარასდროს გავაკეთებდი.

ვიცოდი, უილმა ნამდვილად შესთავაზა, ჩემი კომპიუტერი გამოიყენეო, მაგრამ უარი თქვა, ბიბლიოთეკაში მირჩევნიაო. არ ვიცი, იმიტომ, რომ მოერიდა, სამსახურეობრივი დროის ბოროტად გამოყენებაში არ დაედო ვინმეს ბრალი, თუ უბრალოდ არ უნდოდა, უილს დაენახა, რას აკეთებდა.

ყოველ შემთხვევაში, უილიამის გვერდით უფრო ბედნიერი ჩანდა. რამდენჯერმე ღია ფანჯრიდან მათი საუბარი მომესმა. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ უილი იცინოდა. ბერნარდ კლარკს დაველაპარაკე, მაინტერესებდა, როგორ მოეწყო. მითხრა, ცოტა რთული სიტუაცია გვაქვს, ლუისა თავის დიდი ხნის შეყვარებულს დაშორდა და სახლში ცოტა დაძაბულობაა. ისიც ახსენა, რაღაც კურსებზე სწავლის გასაგრძელებლად განცხადება შეიტანაო. გადავწყვიტე, ამაზე კამილასთვის არაფერი მეთქვა. არ მინდოდა, ახლა იმაზე დაეწყო ფიქრი და ვარაუდი, ეს რას ნიშნავდა. უილმა მითხრა, მოდა და ეგეთი რამეები აინტერესებსო. თვალში აუცილებლად მოგხვდებოდათ, მშვენიერი ფიგურაც ჰქონდა, მაგრამ, მოდით, პირდაპირ ვიტყვი, დედამიწის ზურგზე ადამიანი არ მეგულებოდა, მისი სტილის სამოსი ეყიდა.

ორშაბათ საღამოს, მე, კამილასა და ნათანს ფლიგელში თავმოყრა გვთხოვა. მაგიდაზე ბროშურები დაელაგებინა, ამოებეჭდა დროის განრიგი, სადაზღვევო დოკუმენტები და სხვა დანარჩენი. თითოეული ჩვენგანისთვის გაეკეთებინა ასლი და საქაღალდეებში გადაენაწილებინა. უკიდურესად ორგანიზებული და მომზადებული იყო. გვითხრა, რომ ჩვენთვისაც და უილისთვისაც სამოგზაურო გეგმების პრეზენტაცია უნდოდა. მანამდე კამილა გააფრთხილა, ისე ვილაპარაკებ, თითქოს ეს ყველაფერი ჩემთვის არისო, მაგრამ მაინც შევამჩნიე, როცა ისმენდა, რა შეეკვეთა და დაეჯავშნა ლუისას მათი მოგზაურობისთვის, კამილას წარბები შუბლზე რომ აუვიდა. ეს უნდა ყოფილიყო საოცარი მოგზაურობა ყველა იმ უცნაური აქტივობით, რომლებიც, მეეჭვებოდა, უილს ტრავმის მიღებამდეც კი განეცადა. ყოველ ჯერზე, როცა ამ მორიგ საოცრებას ახსენებდა, მაგალითად, ჯომარდობას ან ბანჯი-ჯამფინგს, ლუისა უილს ფოტოს აჩვენებდა, სადაც მსგავს რამეს ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ახალგაზრდა ადამიანები აკეთებდნენ. თან ეუბნებოდა, მე თუ ის ყველაფერი უნდა გამოვცადო, რასაც მირჩევ, მაშინ შენც ჩემთან ერთად უნდა იყოო.

უნდა ვაღიარო, შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი. დიდი ოხერი და კუდრაჭა ვინმე იყო ეს გოგო.

ვუსმენდით. უილი თან დოკუმენტებს კითხულობდა, რომელთაც წინ უდებდა.

– სად იპოვე ეს ყველაფერი? – იკითხა ბოლოს. ლუისამ წარბი ასწია.
– ცოდნა ძალაა, უილ, – უპასუხა.
ჩემს შვილს ისე გაეღიმა, გეგონებოდათ, რაღაც განსაკუთრებული სიბრძნე მოისმინა.
– ასე რომ, – თქვა ლუისამ, როცა კითხვები ამოგვეწურა, – რვა დღეში წავალთ. მისის ტრეინორ, რას იტყვით?
ეს ისე იკითხა, თითქოს, თავდაცვისთვის ემზადებოდა. თითქოს, იწვევდა კამილას, აბა, თქვი, რომ არ მოგწონსო.
– თუ თქვენ ყველას მოგწონთ და ეს გინდათ, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, – თქვა კამილამ.
– ნათან, ხომ არ გადაგიფიქრებია, ჩვენთან ერთად წამოსვლა?
– აბა, გამოიცანი.
– და... უილ?
ყველამ უილს შევხედეთ. იყო დრო, არც ისე დიდი ხნის წინ, როცა ნებისმიერი ის გეგმა, რაზეც ლუისა ლაპარაკობდა, წარმოუდგენელი მოგვეჩვენებოდა. იყო დრო, როცა უილი სიამოვნებას იღებდა უარის თქმისგან მარტო იმიტომაც, რომ ამით დედამისს ამწარებდა. ყოველთვის ასეთი იყო... ჩვენი ბიჭი. ყოველთვის აკეთებდა იმის საპირისპიროს, რასაც მისგან ველოდით, რაც სწორი იქნებოდა. იმიტომ, რომ მორჩილებას ვერ იტანდა. არ ვიცი, ეს თვისება საიდან ჰქონდა... წინაღმდეგობისკენ ეს თავდაუზოგავი ლტოლვა. შეიძლება, მისი წარმატების გარანტიც ბიზნესმოლაპარაკებებზე სწორედ ეს იყო.
შემომხედა, ვერ მივხვდი, თვალებში რა ეწერა. ვიგრძენი, ყბა დამეჭიმა. მერე გოგონას შეხედა და გაიღიმა.
– რატომაც არა? ერთი სული მაქვს დავინახო კლარკი თავით ქვიშაში რომ წაერჭობა.
ლუისამ ამოისუნთქა, ფიზიკურად მოეშვა. თითქოს მაინც ჰქონდა ეჭვი, რომ უილი უარს იტყოდა.
სასაცილოა. ვაღიარებ, ჩვენს ცხოვრებაში პირველად რომ შემოიჭრა, არ ვენდობოდი. რაც არ უნდა ბობოქარი ხასიათი ჰქონოდა უილს, ახლა მისთვის ტკივილის მიყენება ძნელი არ იყო. მეშინოდა, რომ მანიპულაციების მსხვერპლი აღმოჩნდებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ახალგაზრდა, მდიდარი კაცი იყო. მას შემდეგ, რაც ის საძაგელი ალისია მის მეგობართან ერთად გაიქცა, ამან უკვე დარწმუნებით ჩათვალა, რომ უვარგისი, გამოუსადეგარი გახდა. როგორ განმესაჯა ამის გამო. მის ადგილას ნებისმიერი იფიქრებდა ასე.
მაგრამ ვხედავდი, როცა ლუისა სამოგზაურო გეგმების შესახებ გვიყვებოდა, უილს როგორ უყურებდა – სახეზე ერთდოულად ერთგვარი სიამყისა და მადლიერების გრძნობა ეწერა. უცბად გამიხარდა, რომ ეს ადამიანი ჩვენთან იყო. ჩემი შვილი გრძნობდა და განიცდიდა, რომ ამა თუ იმ სიტუაციაში სრულიად დაუცველი იყო. ლუისას კი რაც არ უნდა გაეკეთებინა, ვხედავდი, რომ მის გვერდით ყოფნა უილს შვებას ჰგვრიდა და სულს მოათქმევინებდა.
რამდენიმე დღე სახლში საზეიმო აურა იდგა. კამილას იმედი ჩაესახა, თუმცა ამას ჩემთან არ აღიარებდა. ვიცოდი, ქვეტექსტი რა იყო: ბოლოს და ბოლოს, საზეიმო რა გვქონდა?

გავიგე, გვიან ღამით ჯორჯინას ტელეფონით რომ ელაპარაკებოდა. თავს იმართლებდა, ამ იდეას რატომ დათანხმდა. აი, ჯორჯინა ჭეშმარიტად მისი ქალიშვილი იყო – ძალღონეს არ იშურებდა, გამოეძებნა საბაბი, რომ ლუისაში ეჭვი შეეტანა და დაესკვნა, რომ ეს გოგო უილის მდგომარეობით ბოროტად სარგებლობდა.

– შემომთავაზა, ჩემს ხარჯებს მე თვითონ დავფარავო, ჯორჯინა, – ეუბნებოდა კამილა, – არა, საყვარელო. მე მგონია, რომ არჩევანი არ გვაქვს. დრო ძალიან ცოტა დაგვრჩა. უილი თანახმაა, ასე რომ, მომავალს იმედით ვუყურებ. შენც იმავეს გირჩევ.

ვხვდებოდი, რად უჯდებოდა კამილას ლუისას დაცვა, მასთან თავაზიანობა. მაგრამ გოგონას იმიტომ იტანდა, ჩემსავით კარგად იცოდა, ლუისა ჩვენი ერთადერთი შანსი იყო, რომ ჩვენს შვილს ოდნავ მაინც უკეთესად და ბედნიერად ეგრძნო თავი. იმისდა მიუხედავად, რომ ამას არცერთი ჩვენგანი ამბობდა ხმამაღლა, ლუისა კლარკი იყო ჩვენი ერთადერთი იმედი, რომ უილისთვის სიცოცხლის ხალისი დაგვებრუნებინა.

* * *

საღამოს დელასთან ერთად წავედი. კამილა თავის დასთან იყო სტუმრად. ამიტომ მე და დელა სახლისკენ გზად მდინარის ნაპირზე სასეირნოდ ჩავედით.

– უილი სამოგზაუროდ მიდის, – ვთქვი მე.

– რა კარგია, შესანიშნავია, – მიპასუხა დელამ.

საწყალი დელა... ვხედავდი, როგორ ებრძოდა თავს, რომ ჩვენს მომავალზე კითხვა არ დაესვა. ხომ ვგრძნობდი, ფიქრობდა, სიტუაციის ასეთ მოულოდნელ განვითარებას რა გავლენა შეეძლო, მოეხდინა. მაგრამ არაფერს მეკითხებოდა და არც მეტყოდა, სანამ ეს ყველაფერი არ დამთავრდებოდა.

ვსეირნობდით, ვუყურებდით გედებს, ვუღიმოდით ტურისტებს, რომლებიც ჩამავალი მზის შუქზე სურათებს იღებდნენ და მდინარეზე ნავებით სეირნობდნენ. დელა ლაპარაკობდა, ამ მოგზაურობას უილზე რა კარგი გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა, რომ ეს იმას ნიშნავდა, რომ უილი თავის მდგომარეობასთან ადაპტირებას სწავლობდა. სასიამოვნო იყო მისი მხრიდან ამის მოსმენა, რადგან ვფიქრობდი, რომ გარკვეულწილად, მას უნდა ჰქონოდა იმედი, ამ ყველაფრის მალე დასრულების იმედი. ბოლოს და ბოლოს, სწორედ უილის უბედურმა შემთხვევამ ჩაშალა ჩვენი გეგმები, რომ ერთად საცხოვრებლად გადავსულიყავით. გულის სიღრმეში მას უნდა ჰქონოდა მოლოდინი, რომ ერთ დღესაც, უილის მიმართ პასუხისმგებლობების ტვირთი მომეხსნებოდა და მე თავისუფალი კაცი ვიქნებოდი.

მის მხარდამხარ მივდიოდი, ვგრძნობდი მისი მკლავის სითბოს, რომელიც ჩემთვის გაეყარა და მის ტკბილ ხმას ვუსმენდი. სიმართლეს ვერ ვეტყოდი. იმ სიმართლეს, რომლის გაცნობიერება ჩემთვისაც არ იყო ადვილი. თუ გოგონას არაფერი გამოუვიდოდა მთელი ამ თავისი რანჩოებით, ბანჯი-ჯამფინგებით, ჯაკუზებითა და ა.შ. მტკივნეული პარადოქსია, მაგრამ ამით მე გავთავისუფლდებოდი. რადგან ერთადერთი გზა, რომ მე ოდესმე ოჯახი მიმეტოვებინა, გამოჩნდებოდა მაშინ, თუ უილი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გადაწყვეტდა, რომ მისი ადგილი შვეიცარიაში, იმ ჯოჯოხეთურ ადგილას იყო.

მე ამას ვაცნობიერებდი. კამილაც ხვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამას არ ვაღიარებდით. მხოლოდ ჩემი შვილის სიკვდილი ამხსნიდა ბორკილებს და მომცემდა საშუალებას, რომ საკუთარი არჩევანის შესაბამისად მეცხოვრა.

– არ გინდა... – მითხრა დელამ, როცა ჩემი სახის გამომეტყველება დაიჭირა. ჩემი ძვირფასი დელა. სიტყვის უთქმელად ესმოდა ჩემი. მაშინაც კი, როცა თავად ვერ ვხვდებოდი, ჩემ თავს რა ხდებოდა.

– ეს გადასარევი ამბავია, სტივენ, მართლა. შეიძლება, ეს მოგზაურობა უილის ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრების საწინდარი გახდეს.

ხელი ხელზე მოვიკიდე. მე რომ უფრო მეტი სიმამაცე მქონოდა, ვეტყოდი, რას ვფიქრობდი სინამდვილეში. მე რომ მშიშარა არ ვყოფილიყავი, დიდი ხნის წინ გავუშვებდი, მივცემდი საშუალებას, რომ გამცლოდა. მასაც და ვინ იცის... ალბათ ჩემს ცოლსაც.

– მართალი ხარ, – ვუთხარი და თავს ძალა დავატანე, რომ გამეღიმა, – იმედი ვიქონიოთ, რომ უკან დაბრუნებისას აღსავსე იქნება თავგადასავლებით, ამ ბანჯი-ჯამფინგებით და რა ვიცი კიდევ, რა საშინელებებს ეტანება ეს ახალგაზრდობა.

მოფერებით მუჯლუგუნი გამკრა.

– ბანჯის თოკი ციხე-სიმაგრეშიც არ დაგამაგრებინოს, ფრთხილად იყავი.

– თხრილში კიდევ ჯომარდობა მომაწყობინოს. მერმის ზაფხულისთვის ახალი ატრაქციონების მოსაწყობად ჩავინიშნავ.

ამ წარმოუდგენელ სანახაობაზე გაგვეცინა. გზა ნავების სადგომამდე ხითხითით გავაგრძელეთ.

მერე კი უილს პნევმონია შეეყარა.

XXII

სასწრაფოს განყოფილებაში აქოშინებული შევვარდი. სამჯერ ვიკითხე, საით წავსულიყავი, სანამ ვიღაცამ სწორი მიმართულებით არ გამიშვა. როგორც იქნა, მივაგენი, C12 განყოფილების კარი რომ შევგლიჯე, ძლივსღა ვსუნთქავდი. კორიდორში ნათანი დავინახე. იჯდა და გაზეთს კითხულობდა. რომ მივუახლოვდი, მაშინღა ამომხედა.

– როგორ არის?

– სასუნთქ აპარატზეა. სტაბილურადაა.

– არ მესმის... პარასკევ საღამოს მშვენივრად იყო. შაბათ დილით ცოტას ახველებდა, მაგრამ... ასე? რა მოხდა?

გული ამოვარდნაზე მქონდა. ცოტა ხნით ჩამოვჯექი, ვცდილობდი, სუნთქვა აღმედგინა. რაც ნათანის შეტყობინება მივიღე ერთი საათით ადრე, მას მერე ბევრი ვირბინე. გვერდით მომიჯდა და გაზეთი დაკეცა.

– ეს პირველად არ ხდება, ლუ. ფილტვებში ბაქტერია ხვდება, მის ორგანიზმში ხველის მექანიზმი ისე არ მუშაობს, როგორც საჭიროა. ელვის უსწრაფესად ხდება ყველაფერი. შაბათ შუადღით შევეცადე, რომ ფილტვების გაწმენდის პროცედურები ჩამეტარებინა,

მაგრამ უკვე ძალიან სტკიოდა. კაცმა არ იცის, საიდან, ცხელება შეეყარა. მკერდის არეში ძალიან დიდ ტკივილს გრძნობდა. შაბათ საღამოს სასწრაფო გამოვიძახეთ. მაპატიე, შენთვის უნდა დამერეკა, მაგრამ უილმა დაიჟინა, არ შეაწუხოთო.

– ჯანდაბა, – ვთქვი და შევბრუნდი, – ჯანდაბა, ჯანდაბა, ჯანდაბა! შეიძლება, შევიდე?

– გათიშულია. არა მგონია, საერთოდ გაიგოს, რომ შეხვალ. თან მისის ტრეინორიც შიგნითაა.

ჩანთა ნათანს დავუტოვე, ხელები ანტიბაქტერიული ლოსიონით გავიწმინდე, კარს მივაწექი და შევედი.

უილი საავადმყოფოს საწოლზე იწვა. ტანზე ლურჯი საბანი ეფარა. ათასი მოციმციმე და მოწიკწიკე აპარატი ედგა გარშემო და სადენებში იყო გახვეული. სახეს სასუნთქი აპარატი სანახევროდ უფარავდა. თვალები დახუჭული ჰქონდა. კანი თითქმის განაცრისფერებოდა, ალაგ-ალაგ მოლურჯო თეთრი ედო. გული შემეკუმშა. მისის ტრეინორი გვერდით ეჯდა, ხელი მის მკლავზე ედო. მოპირდაპირე კედელს ცარიელი თვალებით მიშტერებოდა.

– მისის ტრეინორ, – ვთქვი მე.

შემკრთალმა შემომხედა.

– ოჰ... ლუისა.

– როგორ... როგორ არის? – მინდოდა, მივსულიყავი და უილის მეორე ხელი მე ამეღო ხელში, მაგრამ ჩავთვალე, რომ მე იქ დაჯდომის უფლება არ მქონდა. კარებში უხერხულად ვიდექი. ისეთი სასოწარკვეთილი გამომეტყველება ჰქონდა, რომ მისის ტრეინორთან ერთად პალატაში ყოფნაც კი მეუხერხულებოდა.

– უკეთესად. ძალიან ძლიერი ანტიბიოტიკები მისცეს.

– მე... მე რა შემიძლია?

– არაფერი, ლუისა. უბრალოდ... უბრალოდ უნდა დაველოდოთ. დაახლოებით ერთ საათში ექიმი შემოივლის. ის უფრო მეტ ინფორმაციას მოგვაწვდის. იმედია...

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ დედამიწა გაჩერდა. ცოტა ხანს კიდევ ვიდექი, აპარატების მონოტონურ ხმას და მოკლე სიგნალებს ვუსმენდი, რომლებიც თავში აზრების რიტმს მირღვევდა.

– ხომ არ გინდათ, რომ ცოტა ხნით შეგცვალოთ? თქვენც შეისვენებდით.

– არა, გმადლობ. აქ ყოფნა მირჩევნია.

იმედი მქონდა, რომ უილი ჩემს ხმას გაიგონებდა. იმედი მქონდა, რომ თვალებს გამოახელდა, ჟანგბადის ნიღაბს ზემოდან გამომხედავდა და ჩაიბუტბუტებდა: „კლარკ. ღვთის გულისათვის, მოდით და დაჯექით. რა აურზაური აგიტეხავთ აქ.“

მაგრამ უილი ჩუმად იწვა.

სახე მოვიწმინდე.

– მაშინ... მაშინ რამეს მოგიტანთ დასალევად.

მისის ტრეინორმა შემომხედა.

– რომელი საათია?

– ათს თხუთმეტი წუთი აკლია.

– მართლა? – თავი გადააქნია, თითქოს დაჯერება უჭირდა, – გმადლობ, ლუისა. მართლა კარგი იქნებოდა. დრო როგორ გამპარვია.

უკვე რამდენი ხანია, აქ ვარ. პარასკევს სამსახურიდან გავეთავისუფლე. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ტრეინორებმა დაიჟინეს, დასვენება გეკუთვნისო. მაგრამ უფრო მეტად იმიტომ, რომ სხაგვარად პასპორტს ვერ ავიღებდი, თუ მატარებლით ლონდონში არ წავიდოდი და პეტი ფრანსის ქუჩაზე რიგში არ ჩავდგებოდი. პარასკევ საღამოს ტრეინორებთან ისევ შევირბინე, უილს ჩემი მონაგარი ვაჩვენე და გადავამოწმე, მისი პასპორტი თუ ისევ ძალაში იყო. მომეჩვენა, რომ ცოტა გაყუჩებულიიყო, მაგრამ ამაში უჩვეულო არაფერი გახლდათ. ზოგიერთ დღეს უფრო მეტ დისკომფორტს განიცდიდა, ვიდრე სხვა დღეებში და მეც მეგონა, ესეც ერთ ერთი ასეთი დღე იყო. გულახდილად რომ ვთქვა, გონებაში სულ ჩვენი მოგზაურობა მიტრიალებდა და სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდი.

შაბათი დილა, მამაჩემთან ერთად, პატრიკის სახლიდან ჩემი ნივთების გადმოტანას მოვანდომე. მერე კი ჩვენი ქალაქის მთავარ ქუჩაზე, სადაც ყველაზე მეტი მაღაზიაა, დედასთან ერთად წავედი, რომ საცურაო კოსტუმი და სხვა საჭირო ნივთები მეყიდა, რაც მოგზაურობისას დამჭირდებოდა. შაბათი და კვირა ჩემი მშობლების სახლში გავატარე. საკმაოდ ვიწროდ კი ვიყავით, ტრინა და ტომასიც იქ იყვნენ. ორშაბათ დილით შვიდ საათზე ავდექი, რომ რვისთვის უკვე ტრეინორებთან ვყოფილიყავი. მივედი და მთელი სახლი ჩაგმანული დამხვდა. წინა და უკანა კარები ჩაკეტილი იყო. არც რაიმე მინიშნება ჩანდა სადმე. პარმაღთან გავჩერდი. ნათანს სამჯერ დავურეკე, მაგრამ არ მიპასუხა. მისის ტრეინორის ტელეფონზე ავტომოპასუხე ირთვებოდა. კიბის საფეხურებზე ჩამოვჯექი და ორმოცდახუთი წუთი ასე ვიყავი. მერე კი ნათანის შეტყობინება მივიღე:

„საგრაფოს მთავარ საავადმყოფოში ვართ. უილს პნევმონია აქვს. C12 განყოფილება.“

საავადმყოფოში რომ მივედი, ნათანი მალე წავიდა. უილის პალატასთან, გარეთ ჩამოვჯექი და ერთი საათი იქ ვიყავი. გადავათვალიერე 1982 წლის ძველი ჟურნალები, რომლებიც იქვე მაგიდაზე ელაგა. მერე ჩანთიდან წიგნი ამოვიღე, მაგრამ კონცენტრირებას ვერ ვახერხებდი.

მალე ექიმიც მოვიდა, მაგრამ ვერ გავბედე, რომ პალატაში შევყოლოდი, სადაც უილის დედა იჯდა. როცა ექიმი გამოვიდა, თხუთმეტ წუთში მისის ტრეინორიც გამოჰყვა. არ ვიცი, შეიძლება ჩემთან ლაპარაკი იმიტომ გააბა, რომ იქ ჩემ გარდა არავინ იყო, მას კი ვიღაცასთან საუბარი სჭირდებოდა, მაგრამ დამშვიდებული და შვებით სავსე ხმით მითხრა, ექიმი დარწმუნებულია, რომ ინფექცია კონტროლს დაექვემდებარაო. თურმე, განსაკუთრებით ვირულენტურ ბაქტერიულ შტამთან გვქონდა საქმე. უილს გაუმართლა, რომ საავადმყოფოში დროულად გადმოიყვანეთო, თორემ...

ეს „თორემ“ ჩვენ შორის ჰაერში ავისმომასწავებლად ჩამოეკიდა.

– ახლა რა უნდა ვქნათ?

– უნდა დავიცადოთ, – მხრები აიჩეჩა მისის ტრეინორმა.

– გინდათ ლანჩი მოგიტანოთ? ან თუ გინდათ, უილთან მე დავრჩები, თქვენ ცოტა გაიარეთ და ენერგია მოიკრიბეთ.

ჩვენ ორს შორის ურთიერთგაგების წუთი ჩამოდგა. სახე შეურბილდა. იმ თავისი მკაცრი და შეუვალი გამომეტყველების გარეშე რომ დავინახე, მივხვდი რა გულის შემაღონებლად გასავათებული სახე ჰქონდა. იმ რამდენიმე თვის განმავლობაში, რაც მათ სახლში გავატარე, ალბათ, ათი წლით დაბერებულიყო.

– გმადლობ, ლუისა, – მითხრა მისის ტრეინორმა, – სახლში შევივლი და გამოვიცვლი, თუ წინააღმდეგი არ ხართ, რომ მასთან დარჩეთ. ახლა უილის მარტო დატოვება არ მინდა.

მისის ტრეინორი რომ წავიდა, პალატაში შევედი და კარი ზურგს უკან მივიხურე. უილს გვერდით მივუჯექი. უცნაური სანახავი იყო. თითქოს უილი, რომელსაც მე ვიცნობდი, სადღაც სხვაგან წასულიყო და თავის მაგივრად ფუტლიარი დაეტოვებინა. ვიფიქრე, ალბათ, ასე კვდებიან ადამიანები-მეთქი. მერე თავი ვაიძულე, რომ სიკვდილზე აღარ მეფიქრა.

ვიჯექი და საათის წიკწიკს ვუსმენდი. კორიდორიდან პერიოდულად ადამიანების ჩურჩული და ლინოლეუმის იატაკზე ნაბიჯების მსუბუქი ხმები შემოდიოდა. ორჯერ ექთანმა შემოიარა. ხან რა შეამოწმა, ხან – რა. რამდენიმე ღილაკს დააჭირა, ტემპერატურა გაუზომა, მაგრამ უილი თვალსაც არ ახამხამებდა.

– ხომ კარგად არის? – ვკითხე ექთანს.

– უბრალოდ სძინავს, – მიპასუხა მშვიდად, – ახლა ყველაზე მეტად ეს სჭირდება. შეეცადეთ, რომ არ ინერვიულოთ.

სათქმელად ადვილი იყო. მაგრამ დრო კი საკმარისად მქონდა პალატაში, რომ ბევრ რამეზე მეფიქრა. ვფიქრობდი უილზე და დროის იმ შემაძრწუნებლად მოკლე მონაკვეთზე, როცა ასე სახიფათოდ ავად გახდა. ვფიქრობდი პატრიკზე. იმაზე, რომ თუმცა ჩემი ნივთები ერთიანად მოვხვეტე მის ბინაში, ჩამოვხსენი და დავახვიე ჩემი კალენდარი, დავკეცე და ჩავალაგე ტანსაცმელი, რომელიც მანამდე მთელი მონდომებით გავანაწილე მის უჯრებსა და გარდერობში, სულაც არ მაწუხებდა ნაღველი ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. თავს დათრგუნულად არ ვგრძნობდი – განსაკუთრებით შეძრულად, როგორც უნდა გრძნობდეს ადამიანი, როდესაც ამდენი წლის შეყვარებულს შორდება. საკმაოდ მშვიდად ვიყავი, ცოტა სევდიანად, შეიძლება ცოტა დანაშაულის გრძნობაც მქონდა – ერთი მხრივ, დაშორების და, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ ამას სათანადოდ არ განვიცდიდი. პატრიკს ორი შეტყობინება გავუგზავნე, ვუთხარი, რომ ძალიან ვწუხდი და ექსტრემალური ვიკინგების შერკინებაზე წარმატება ვუსურვე, მაგრამ პასუხი არ მოუწერია.

ამასობაში, ერთი საათი გავიდა. გადავიხარე, უილს მკლავზე საბანი გადავხადე და თეთრი ზეწრის ფონზე მის ღია ყავისფერ ხელს დავაკვირდი. მტევანზე ქირურგიული ლენტით კანულა მიემაგრებინათ. მაჯებზე მკვეთრად აჩნდა გალურჯებული ნაიარევები. ვიფიქრე, ნეტავ არასდროს გაფერმკრთალდება, არასდროს გაივლის და მთელი ცხოვრება, რამდენჯერაც დახედავს, იმდენჯერ უნდა გაახსენდეს, რომ თავის მოკვლა სცადა-მეთქი? მისი თითები ხელში ავიღე და ზემოდან ჩემი დავაფარე. თბილი ხელი ჰქონდა, სიცოცხლით სავსე ადამიანივით. ალბათ, უცნაური იყო, მაგრამ მის ხელთან შეხებამ დამამშვიდა და დიდხანს აღარ გამიშვია. დავყურებდი მაზოლებს, რომლებიც

მიანიშნებდა, რომ მთელი ცხოვრება ოფისის მერხთან მიმჯდარს არ გაეტარებინა. დავყურებდი მის ფრჩხილებს, რომელთაც თავისით ვერასდროს მოიჭრიდა.

უილს ლამაზი ხელები ჰქონდა, მამაკაცური, პროპორციული, ოთხკუთხედად დაბოლოებული თითებით. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ მათში ძალა საერთოდ არ იყო და უილი მაგიდიდანაც კი ვერასდროს შეძლებდა ნივთის აღებას, ვერასდროს ჩამოართმევდა ადამიანს ხელს, ვერასდროს შეკრავდა მუშტს.

სახსრებს ჩემი თითი გავაყოლე. თან ვფიქრობდი, ახლა რომ უცებ გაეღვიძოს და შემომხედოს, რას ვიგრძნობ, თუ შევცბები-მეთქი. მაგრამ რატომ უნდა შევმცბარიყავი? მჯეროდა, მისთვის კარგი იყო, მისი ხელი რომ ხელში მეჭირა. იმედი მქონდა, რომ ღრმა ძილშიც კი გრძნობდა ამას. თვალები მეც დავხუჭე და ლოდინი დავიწყე.

* * *

ხუთის წუთებზე გაიღვიძა. კორიდორში, სკამებზე გავწოლილიყავი, იქვე მიგდებულ გაზეთს ვკითხულობდი და დაფეთებული წამოვხტი, როგორც კი მისის ტრეინორი გამოვიდა და ეს ამბავი მითხრა. გახალისებული ჩანდა, მითხრა ლაპარაკობს და თქვენი ნახვა უნდაო, შედით, მე დაბლა ჩავალ და მისტერ ტრეინორს დავურეკავო. მერე კი, თითქოს თავის თავს ბოლომდე მაინც ვერ მოერია, დაამატა:

– გთხოვთ, ძალიან არ გადაღალოთ.

– არა, რა თქმა უნდა, – ვუპასუხე მე.

მომხიბვლელად გავიღიმე.

– ჰეი... – ვთქვი და პალატაში თავი შევყავი.

სახე ჩემკენ ნელა მოატრიალა.

– სალამი.

ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. თითქოს ბოლო ოცდათექვსმეტი საათი ძილში კი არა, ყვირილში გაატარაო. გვერდით ჩამოვუჯექი. თვალები დახარა.

– გინდა, ცოტა ხნით ნიღაბი მოგხსნა?

თავი დამიქნია. მოვხსენი და ფრთხილად თავზე გადავუწიე. კანზე, სადაც ებჯინებოდა, ნოტიო კვალი დარჩა. ხელსახოცი ავიღე და ფრთხილად მოვწმინდე.

– როგორ ხარ?

– უკეთესადაც ვყოფილვარ.

ყელში დიდი ბურთი მომებჯინა. შევეცადე გადამეყლაპა.

– არ ვიცი... რას აღარ მოიმოქმედებ, რომ ყურადღების ცენტრში აღმოჩნდე, უილ ტრეინორ. სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ეს...

თვალები დახუჭა და გამაწყვეტინა. როცა გაახილა, თითქოს ბოდიშს მიხდიდა, ისეთი მზერა ჰქონდა.

– მაპატიე, კლარკ. მაგრამ დღეს ენაკვიმატობაში ვერ აგყვები.

ვიჯექი ამ პატარა ღია მწვანე ოთახში და ველაპარაკებოდი, რას აღარ მივედმოვედე. მოვუყევი, როგორ წამოვიღე ჩემი ნივთები პატრიკისგან, რა ადვილი იყო დისკების

კოლექციის გამორჩევა, რადგან თავიდანვე მკაცრად მომთხოვა, რომ კატალოგიზაცია გამეკეთებინა.

– თავს კარგად გრძნობ? – მკითხა, როცა მოყოლა დავამთავრე. თანაგრძნობით მიყურებდა. ეტყობა, ელოდა, რომ ჩემთვის ეს იმაზე მტკივნეული იქნებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

– ჰო, ნორმალურად, – მხრები ავიჩეჩე, – მშვენივრად. სხვა საფიქრალიც ბევრი მაქვს.

უილი გაჩუმდა.

– საქმე ისაა, რომ... – თქვა მცირე პაუზის შემდეგ, – არა მგონია, მალე ბანჯი-ჯამფინგი შევძლო.

ვიცოდი. ამას იმ მომენტიდან ველოდი, როცა ნათანის შეტობინება მივიღე, საავადმყოფოში ვართო. მაგრამ ხმამაღლა ამის მოსმენა მაინც დარტყმა იყო ჩემთვის.

– არა უშავს, – ვთქვი მე და შევეცადე, ხმაზე არაფერი დამტყობოდა, – მერე რა მოხდა. სხვა დროს წავალთ.

– მაპატიე. ვიცი, ამ მოგზაურობას როგორ ელოდი.

შუბლზე ხელი დავადე და თმა უკან გადავუწიე.

– შშშ... მართლა. ყველაფერი რიგზეა. ეგ არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია, შენ გამოჯანმრთელდე.

თვალები დახუჭა და ოდნავ შესამჩნევად შეიჭმუხნა. ვიცოდი, რისი მანიშნებელი იყო ეს წვრილი ხაზები თვალებგარშემო, ეს დაღლილი გამომეტყველება. შეიძლებოდა ეს „სხვა დრო“ არც დამდგარიყო. უილი ფიქრობდა, რომ კარგად აღარასდროს გახდებოდა.

* * *

საავადმყოფოდან რომ წამოვედი, გრანტაჰაუსში შევიარე. კარი უილის მამამ გამიღო. მასაც ისეთივე დაღლილი სახე ჰქონდა, როგორც მისის ტრეინორს. საწვიმარი მოეცვა, ალბათ, გარეთ გასვლას აპირებდა. ვუთხარი, რომ მისის ტრეინორი უილთან იყო, ანტიბიოტიკები კარგად მოქმედებდა და მთხოვა მისთვის გადამეცა, რომ იმ ღამესაც საავადმყოფოში დარჩებოდა. თვითონ რატომ არ უთხრა და მე რატომ დამაბარა, არ ვიცი. შეიძლება იმიტომ, რომ მისი გონება სულ სხვაგან ჰქროდა.

– უილი როგორ გამოიყურება?

– უკეთესად, ვიდრე დილით, – ვუპასუხე მე, – სანამ იქ ვიყავი, თავისი სასმელიც მიიღო. ჰო, და კიდევ, ერთ-ერთი ექთნის შესახებ მწარე კომენტარიც გააკეთა.

– ვერ იზამდა.

– ჰო, გაუჭირდებოდა.

რაღაც მომენტში შევამჩნიე, როგორ მომუწა ტუჩები და თვალებში თითქოს ცრემლმა გაუელვა. ფანჯარასთან მივიდა და მერე ისევ მე მომიბრუნდა. შეიძლება, ჯობდა, თვალი ამერიდებინა.

– მესამე შემთხვევა ორ წელიწადში.

მაშინვე ვერ გავიაზრე, რა მითხრა,

– პნევმონია?

თავი დამიქნია.

– საშინელი რამეა. უილი მაგარი ბიჭია... მიუხედავად ამ ყველაფრისა, რაც თავზე დაატყდა, – ნერწყვი გაჭირვებით გადაყლაპა და თავი დამიქნია, თითქოს საკუთარ თავს დაეთანხმა, – მიხარია, რომ ამას თქვენც ამჩნევთ, ლუისა.

არ ვიცოდი, რა მექნა, მხარზე ხელი დავადე.

– მე ამას ვხედავ, მისტერ ტრეინორ.

თავი ოდნავ დამიკრა, შემოსასვლელში საკიდიდან პანამის შლაპა ჩამოხსნა. რაღაც ჩაიბუტბუტა, გმადლობთ, ან ნახვამდისო, ალბათ, და სახლიდან გავიდა. ფლიგელში უილის გარეშე საშინელი სიჩუმე ჩამოვარდნილიყო. ახლაღა მივხვდი, როგორ მივეჩვიე ეტლის შორეულ და დაბალ ზუზუნს, ნათანთან დაბალ ხმაზე ბუტბუტს გვერდით ოთახიდან, რადიოს ხმას. დაცარიელებულ ფლიგელში ახლა სრული მდუმარება იდგა. ჩანთაში ყველაფერი ჩავალაგე, რაც შეიძლებოდა, მომდევნო დღემდე დასჭირვებოდა, მათ შორის, სუფთა ტანსაცმელი, კბილის ჯაგრისი, სავარცხელი, წამლები, ყურსასმენები. იქნებ, იმდენად მომჯობინებულიყო, რომ მუსიკის მოსმენა მოენდომებინა. უეცრად პანიკის გრძნობამ შემიპყრო. სადღაც ჩემ შიგნით ამოიზარდა ხმა, რომელიც მეუბნებოდა: „ყველაფერი ასე იქნება, როცა მოკვდება.“ ეს ხმა რომ ჩამეხშო, რადიოს ბოლო ხმაზე ავუწიე. შევეცადე ფლიგელი გამომეცოცხლებინა. იქაურობა ცოტა მივალაგე, უილის საწოლზე თეთრეული გამოვცვალე. ბაღში ყვავილები დავკრიფე და მისაღებ ოთახში ვაზით დავდგი. მერე კი, როცა ყველაფერს მოვრჩი, სამზარეულოს მაგიდაზე მიგდებული საქაღალდე მომხვდა თვალში, სადაც ჩვენი მოგზაურობის შესახებ ყველა დოკუმენტი იდო. მომდევნო დღეს მომიწევდა დავმჯდარიყავი და ყველა ჯავშანი, ყველა შეკვეთა გამეუქმებინა. ვინ იცოდა, უილი როდის მომჯობინდებოდა იმდენად, რომ ეს მოგზაურობა მოგვეხერხებინა. ექიმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უილს ახლა დასვენება სჭირდებოდა, ანტიბიოტიკებით მკურნალობის კურსი ბოლომდე უნდა მიეყვანა, თბილად და მშრალად ყოფილიყო. მეეჭვება, ჯომარდობასა და აკვალანგით ყვინთვას ახლა მისი მორჩენა შესძლებოდა.

საქაღალდეს დავაჩერდი, თვალწინ გამირბინა მთელმა იმ შრომამ, ძალისხმევამ, ოცნებებმა, რაც მას დავახარჯე. დავხედე პასპორტს, რომლის ასაღებადაც ვიდექი რიგში და ის აღმაფრენა გამახსენდა, მარტო ლონდონისკენ მატარებელში ჯდომისასაც კი რომ ვყავდი ატანილი. პირველად, მას შემდეგ, რაც ამ გეგმის შემუშავება დავიწყე, გული მართლა ძალიან მეტკინა. 6 თვის გასვლას სამი კვირა აკლდა და მე დავმარცხდი. ჩემი კონტრაქტის მოქმედების ვადა უკვე იწურებოდა. მე კი მაინც ვერ მოვახერხე, რამე შემეცვალა. მეშინოდა კიდევაც მისის ტრეინორისთვის მეკითხა, ახლა რა გველოდა წინ. უცებ, ძალა გამომეცალა, ვიგრძენი, რომ დავიღალე. თავი ხელებში ჩავრგე და სახლის სიჩუმეს ყური მივუგდე.

– საღამო მშვიდობისა.

თავი ავწიე. სამზარეულოს პატარა სივრცე ნათანს თავისი მასიური სხეულით თითქოს გაევსო. მხარზე ზურგჩანთა მოეგდო.

– რაღაც წამლების დასატოვებლად მოვედი, საავადმყოფოდან რომ დაბრუნდება, დასჭირდება. შენ... კარგად ხარ?

თვალები ნაჩქარევად მოვიწმინდე.

– ჰო, რა თქმა უნდა. მაპატიე. უბრალოდ... ჩვენი მოგზაურობის ჩაშლის გამო ცოტა გული დამწყდა.

ნათანმა ზურგჩანთა მოიხსნა და მაგიდასთან ჩემ პირდაპირ დაჯდა.

– გულდასაწყვეტია, რა თქმა უნდა.

საქაღალდე აიღო და დანანებით ჩახედა.

– გინდა, ხვალ მოგეხმარო? საავადმყოფოში მე საჭირო არ ვიქნები. ასე რომ, დილით ერთი საათით შემიძლია, რომ შემოვიარო და დავრეკო, სადაც მეტყვი.

– გმადლობ, ნათან. მაგრამ არაა საჭირო. ყველაფერი რიგზეა. ალბათ, უფრო გამიადვილდება, თუ ყველაფერს მე თვითონ მივხედავ.

ნათანმა ჩაი მოამზადა. ერთმანეთის პირისპირ ვისხედით, ჩაის ვსვამდით და ვსაუბრობდით. მგონი, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მე და ნათანი ერთმანეთან ვსაუბრობდით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შორის უილი არ იდგა. თავის ძველ კლიენტზე მომიყვა. მასაც კვადრიპლეგია ჰქონდა, C34 მალები ჰქონდა დაზიანებული. ვენტილატორის (ვენტილატორი – იგულისხმება აპარატული ხელოვნური სუნთქვა. ნ.ბ.) დახმარებით სუნთქავდა და თვეში ერთხელ მაინც მწვავედ ხდებოდა ავად. ის შემთხვევებიც გაიხსენა, როცა უილს პნევმონია ჰქონდა. პირველად ეს კინაღამ სიცოცხლის ფასად დასჯდომია. კვირები დასჭირვებია გამოსაჯანმრთელებლად.

– ისეთი მზერა აქვს ხოლმე... – თქვა ნათანმა, – როცა სერიოზულად ავად ხდება. შემაძრწუნებელი. თითქოს... არ ვიცი, სადღაც მიდის. თითქოს სხეულიდან გადის.

– ვიცი... ძარღვებში სისხლი მეყინება მაგ მზერაზე.

– ის... – რაღაცის თქმა დააპირა ნათანმა, მაგრამ მერე თვალი ამარიდა და პირი მოკუმა. ხმის ამოუღებლად კიდევ ცოტა ხანს ვისხედით. თითები ორივეს ჩაის ჭიქებისთვის გვქონდა შემოხვეული. ერთმანეთს სახეში არ ვუყურებდით, მაგრამ თვალის კუთხიდან ვაკვირდებოდი. ვუყურებდი მის გულღია, კეთილ სახეს, რომელიც ახლა უჩვეულოდ მოღუშვოდა. მინდოდა, მეკითხა, მაგრამ პასუხი ისედაც მქონდა.

– შენც იცი, ხომ?

– რა?

– რა და... რასაც აპირებს.

აუტანელი სიჩუმე ჩამოწვა.

ნათანი ყურადღებით მაკვირდებოდა. ფიქრობდა, რა პასუხი გაეცა.

– მეც ვიცი, – ვთქვი მე, – წესით, არ უნდა მცოდნოდა, მაგრამ ასე მოხდა. ამიტომ... ამიტომ მინდოდა ასე ძალიან ეს მოგზაურობა. ამიტომ ვექაჩებოდი გარეთ სასეირნოდ და სხვადასხვა ღონისძიებაზე. მინდოდა, რომ გადამეფიქრებინა.

ნათანმა ჩაის ჭიქა მაგიდაზე დადო.

– მიკვირდა... შენ კი... თურმე მისია გქონია.

– ჰო, მქონდა. მაქვს.

თავი გააქნია, არ ვიცი, ეს რისი მანიშნებელი იყო, იმის, რომ არ უნდა დავნებებულიყავი, თუ იმის, რომ თავზემოთ ძალა მაინც აღარ იყო. არ ვიცი.

– ახლა რა იქნება, ნათან?

ერთიორი წუთი ხმა არ ამოუღია.

– იცი, რა, ლუ?.. მე მართლა ძალიან მომწონს უილი. პირდაპირ გეტყვი. მიყვარს ეს ადამიანი. ორი წელია, უკვე მასთან ვმუშაობ. მოწმე ვარ ამ ხნის განმავლობაში მისი ყველაზე ცუდი და საუკეთესო დღეებისაც. ერთადერთი, რისი თქმაც ახლა შემიძლია შენთვის, ისაა, რომ მის ადგილზე ყოფნას დედამიწის ზურგზე არაფრის ფასად ვისურვებდი.

ჩაი მოსვა და ცოტა ხანს გაჩერდა.

– იყო პერდიოდი, როდესაც ღამითაც აქ ვრჩებოდი. შუაღამისას ღრიალით იღვიძებდა, როცა ესიზმრებოდა, რომ ისევ დადიოდა, თხილამურებით სრიალებდა და მოკლედ... ძველებურად ცხოვრობდა. იმ რამდენიმე წუთის მანძილზე, როცა ბოლომდე გონებაში ვერ ვარდებოდა, როცა თავდაცვის მექანიზმები ყველაზე მეტად ჰქონდა შესუსტებული, მას უბრალოდ ფიზიკურად არ შეეძლო იმის ატანა, რომ ეს ყველაფერი უკან დარჩა, რომ ვეღარასდროს იქნებოდა ისეთი, როგორიც იყო. ვერ უძლებდა. გვერდით ვეჯექი და სიტყვას ვერ ვამბობდი, რომ დამემშვიდებინა. ბედმა ამ ადამიანს საშინლად დასცინა. ჰოდა... იცი, რა... წუხელ ვუყურებდი და ჩემთვის ვფიქრობდი, ვფიქრობდი მის ცხოვრებაზე, მის მომავალზე. მე კი არაფერი მინდა იმის მეტი, რომ ამ ბიჭმა იცოცხლოს და ბედნიერი იყოს, მაგრამ... მე არ შემიძლია მისი განსჯა ამ გადაწყვეტილების გამო. ეს მისი არჩევანია. ეს უნდა იყოს მისი არჩევანი.

სუნთქვა შემეკრა.

– მაგრამ... ეს ადრე იყო. ყველამ აღიარეთ, რომ ეს იქამდე იყო, სანამ მე მოვიდოდი. უილი ახლა სხვანაირია. სხვანაირია, ხომ ასეა?

– ჰო, მაგრამ...

– თუ ჩვენ თვითონ არ გვჯერა, რომ უკეთ გახდება, თავს უკეთ იგრძნობს, მაშ, მას როგორ დავეხმაროთ, რწმენა შეინარჩუნოს... დაიჯეროს, რომ მასაც შეიძლება წინ ბევრი კარგი რამ ელოდეს?

ნათანმა ჩაის ჭიქა მაგიდაზე დადგა და თვალებში პირდაპირ შემომხედა.

– ლუ, უილი უკეთ არ გახდება.

– შენ რა იცი...

– ვიცი. თუ ნერვული უჯრედების კვლევაში რაღაც სენსაციური გარღვევა არ მოხდა, უილი კიდევ ათი წელი ამ ეტლში იჯდება. მინიმუმ. მან ეს იცის. შეიძლება, მის ახლობლებს ამის აღიარება არ უნდათ, მაგრამ მან ხომ იცის. და ეს ხომ კიდევ ყველაფერი არ არის. დედამისს უნდა, რომ უილმა ნებისმიერ ფასად იცოცხლოს. მისტერ ტრეინორი ფიქრობს, რომ საბოლოო ჯამში ეს თვითონ უილმა უნდა გადაწყვიტოს.

– რა თქმა უნდა, გადაწყვეტს, ნათან. მაგრამ მანამდე უნდა იცოდეს, რა არჩევანი აქვს სინამდვილეში.

– უილი ჭკვიანი კაცია, ლუ. მან ზუსტად იცის, რა არჩევანის წინაშე დგას.

ხმას ავუწიე.

– არა. ცდები. მითხარი, რომ ახლა ისეთივეა, როგორიც ჩემ მოსვლამდე იყო. აბა, მითხარი, რომ იმ დროის განმავლობაში, რაც მის გვერდით ვარ, ოდნავადაც არ შეცვლილა.

– მე არ ვიცი, რა ხდება მის თავში, ლუ.

– არა, შენც იცი, რომ მე მისი აზროვნება შევცვალე.

– არა. მე ვიცი... ყველაფერს გააკეთებს, შენ რომ ბედნიერი იყო.

თვალებში შევხედე.

– შენ გგონია, ამ ყველაფერს იმიტომ აკეთებდა, რომ მე თავი ბედნიერად მეგრძნო?

ნათანზე ვბრაზობდი, ვცოფდებოდი. ყველაზე ვცოფდებოდი.

– თუ არ გჯეროდა, რომ ეს ყველაფერი შედეგს გამოიღებდა, რატომ მოდიოდი მაშინ? რატომ გადაწყვიტე, რომ ამ მოგზაურობაში წამოსულიყავი? უბრალოდ სასიამოვნო შვებულების ხათრით?

– არა. მეც მინდა, რომ უილმა იცოცხლოს.

– მაგრამ...

– მინდა... მაგრამ, თუ მას თავად ენდომება, რომ იცოცხლოს. თუ ამას არ მოინდომებს, თუ ჩვენ დავატანთ ძალას, შენ, მე... არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად გვიყვარს უილი... ჩვენც იმ ადამიანებს დავემსგავსებით, რომლებიც მას არჩევანის უფლებას ართმევენ.

ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ნათანის სიტყვები ჰაერში ჩამოეკიდნენ და სიჩუმეში ვიბრირებდნენ. ლოყაზე ცრემლები მოვიწმინდე. გული მიბაგუნებდა. შევეცადე დავმშვიდებულიყავი. ნათანი ჩემმა ცრემლებმა შეაცბუნა, კისერი მოიფხანა. მერე ხელსახოცი გამომიწოდა უხმოდ.

– მე ამას ვერ შევეგუები, ნათან.

არაფერი უთქვამს.

– არ შემიძლია.

ჩემს პასპორტს დავაჩერდი, რომელიც სამზარეულოს მაგიდაზე იდო. საშინელი ფოტო იყო. თითქოს მე არც ვიყავი. ეს ვიღაც სხვა ადამიანი იყო, რომლის ცხოვრებასაც შეიძლება, არც ჰქონდა რამე საერთო.ვუყურებდი და ვფიქრობდი.

– ნათან.

– ჰო.

– თუ ახალ მოგზაურობას მოვიფიქრებ... რამე ისეთს, რაზეც ექიმები დაგვთანხმდებიან, წამოხვალ? დამეხმარები?

– რა თქმა უნდა, დაგეხმარები.

ადგა, ჩაის ჭიქა გარეცხა. ზურგჩანთა მხარზე მოიგდო. სანამ გავიდოდა, მომიბრუნდა და თვალი გამისწორა.

– მაგრამ გულახდილად უნდა გითხრა, ლუ. ეჭვი მეპარება, რომ საქმის ასე შემოტრიალება შეძლო. შენც კი...

XXIII

ზუსტად ათი დღის შემდეგ უილის მამამ მანქანიდან გეტვიკის აეროპორტში გადმოგვსხა. ნათანმა ჩვენი ბარგი ურიკაზე შეყარა. მე კი უილს იქამდე ვეკითხებოდი შეუსვენებლად, თავს როგორ გრძნობ-მეთქი, სანამ ყელში არ ამოვუყვანე.

– თავს მიხედეთ. კარგი დრო ატარეთ, – გვითხრა მისტერ ტრეინორმა და უილს მხარზე ხელი ჩამოადო, – ნამეტანიც ნუ იცუღულტებთ, – არ მომჩვენებია, ნამდვილად თვალი ჩამიკრა, ამას რომ ამბობდა.

მისის ტრეინორმა სამსახურიდან გამოსვლა ვერ შეძლო. მაგრამ მე უფრო იმის ეჭვი მქონდა, რომ ქმართან ერთად მანქანაში ორი საათით ჯდომას აარიდა თავი. უილმა მამამისს თავი დაუქნია და არაფერი უთქვამს. მანქანაში სულ ჩუმად იჯდა. ფანჯრიდან იყურებოდა და სახეზე თავისი ჩვეული, შეუვალი გამომეტყველება ეფინა. მე და ნათანს ყურადღებასაც არ გვაქცევდა, შეუსვენებლად რომ ვლაქლაქებდით, ხან გზებზე მანქანების მოძრაობას განვიხილავდით და ხან მორიგი ნივთი გვახსენდებოდა, რისი წამოღებაც დაგვავიწყებოდა.

აეროპორტში ისე მივედით, ჯერ კიდევ ეჭვი მეპარებოდა, რომ სწორად ვიქცეოდი. მისის ტრეინორს ჩვენი წასვლა საერთოდ არ უნდოდა, მაგრამ, როცა უილი ჩემს განახლებულ გეგმას დათანხმდა, ვიცოდი, რომ დედამისი ამ ბოლო კვირაში მისთვის წინააღმდეგობის გაწევას შეუშინდებოდა. უილის გვერდით ხმის ამოუღებლად იჯდა და მხოლოდ ექიმებს ელაპარაკებოდა. ან ბაღში ფუსფუსებდა და შესაშური პედანტურობით კრეჭდა ბუჩქებს.

– აეროპორტის თანამშრომელი უნდა დაგვხვედროდა. ვინმე უნდა მოსულიყო და დაგვხვედროდა, – ვთქვი მე, როცა სარეგისტრაციო მერხთან ვიდექით და ქაღალდებში ვიქექებოდი.

– დამშვიდდი, მოვლენ. შემოსასვლელშივე ბანერებითა და პლაკატებით ხომ არ დაგვხვდებოდნენ, – მითხრა ნათანმა.

– მაგრამ უილის ეტლი უნდა წავიღოთ, როგორც „მტვრევადი სამედიცინო ინსტრუმენტი.“ ტელეფონით ეს სამჯერ გადავამოწმე. ერთ ქალს ველაპარაკე. თანაც, გარანტია გვჭირდება, რომ როცა სალონში უილის სამედიცინო აღჭურვილობას შევიტანთ, პირს არ დააღებენ.

ფორუმელებმა ზღვა ინფორმაცია მომაწოდეს – ათასი გაფრთხილება,

სამართლებრივი უფლებები, აუცილებელი საჭიროებები... საკონტროლო სია გავაკეთე. ყველაფერი სამსამჯერ გადავამოწმე. სალონში ადგილს ტიხართან მოგვცემდნენ, უილი პირველი ავიდოდა თვითმფრინავში და სანამ გეითთან არ დავდგებოდით, თავის ეტლში იჯდებოდა. ჩვენ სანამ თვითმფრინავში ავიდოდით, ნათანი ქვემოთ დარჩებოდა, მოაშორებდა ეტლს ჯოისტიკს, გადაიყვანდა ხელით მართვის რეჟიმზე, ყურადღებით დაკეცავდა, გადაახვევდა, ფეხსადგამებს დაუფიქსირებდა. პირადად იზრუნებდა, რომ საბარგო განყოფილებაში შეტანისას სიფრთხილით მოჰკიდებოდნენ. ფარდისფერი სანიშნი ექნებოდა, რაც მტვირთავებს მანიშნებდა, რომ განსაკუთრებით საფრთხილო ნივთი იყო. სამი ადგილი გვერდიგვერდ მოგვცეს. ასე რომ, ნათანს ნებისმიერი სამედიცინო პროცედურის შესრულება ხალხის ყურადღების მიპყრობის გარეშე შეეძლო. ავიაკომპანია

დამპირდა, სახელურებსაც ისე ასწევდნენ, რომ, როცა ეტლიდან თვითმფრინავის სავარძელზე გადავსვამდით, უილს ბარძაყებს არ დავულურჯებდით. ჩვენ შორის იჯდებოდა. თვითმფრინავიდანაც პირველები ჩამოვიდოდით.

ეს ყველაფერი აღნიშნული მქონდა ცალკე საკონტროლო სიაში, რომელსაც „აეროპორტი“ ეწერა. შემდეგი ფურცელი ეთმობოდა „სასტუმროს“ საკონტროლო სიას, მანამდე კი იყო „წასვლის წინა დღე“ და კიდევ „საჭირო დოკუმენტები“. მიუხედავად იმისა, რომ მრავალგზის დაზღვეულები ვიყავით, ისე ვნერვიულობდი, გული მაინც ცუდად მქონდა. ყოველთვის, როცა უილს შევხედავდი, ისევ ის მიტრიალებდა თავში, ნეტავ სწორად თუ ვიქცევი-მეთქი. წინა ღამეს იყო, რომ მისმა ექიმმა ბოლოს და ბოლოს დაგვრთო ნება, გავმგზავრებულიყავით. ცოტას ჭამდა და თითქმის სულ ეძინა. მარტო ავადმყოფობისგან გაწამებულს კი არა, ცხოვრებისგან დაღლილს ჰგავდა. ჩვენი ზედმეტი აქტიურობაც აცლიდა არაქათს, როცა საუბრის გაჩაღება, მისთვის მდგომარეობის შემსუბუქება გვინდოდა. ჩემს ატანას ახერხებდა, მაგრამ ვგრძნობდი, ხშირად მარტო ის უნდოდა, რომ თავი დამენებებინა. მაგრამ უილმა არ იცოდა, რომ ეს ერთადერთ რამ იყო, რასაც ვერ გავაკეთებდი.

– აი, ავიაკომპანიის ქალი გამოჩნდა, – ვთქვი მე უნიფორმაში გამოწყობილი გოგონას დანახვაზე, რომელიც გულღიად გვიღიმოდა და დოკუმენტებით ხელში, ჩვენკენ მოდიოდა.

– არა მგონია, ეს გოგო უილის ტრანსფერში დაგვეხმაროს, – ჩაიბუტბუტა ნათანმა, – რას ჰგავს, გაყინულ კრევეტსაც ვერ მოერევა.

– ყველაფერი გამოგვივა, – ვუპასუხე მე, – ყველაფერს მოვაგვარებთ.

იმ მომენტიდან მოყოლებული, რაც გავარკვიე, რა მინდოდა, ამ სიტყვებს მანტრასავით ვიმეორებდი. ფლიგელში ნათანთან ჩემი საუბრის მერე ახალი სუნთქვა გამეხსნა. ყველასთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ ცდებოდნენ. რაც თავიდან დაგეგმილი გვქონდა, ის რომ ვერ განვახორციელეთ, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ უილს საერთოდ არაფრის გაკეთება შეეძლო.

ჩეთში ცალკე ვესაუბრებოდი ხალხს და კითხვებს ტყვიასავით ვაყრიდი. სად შეიძლებოდა, წავსულიყავით, რომ ჩვეულებრივზე უფრო დასუსტებულ უილს ამით ესიამოვნა? მაინც? აბა, კიდევ ხომ არ ეგულებოდა ვინმეს რომელიმე ადგილი? ტემპერატურა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო, რისი გათვალისწინებაც მიწევდა. ინგლისური კლიმატი ძალიან ცვალებადია (ვერაფერს ნახავთ იმაზე უფრო გულის გამაწვრილებელს, როგორიც ინგლისის ზღვისპირეთია წვიმაში). ევროპის უმეტეს ნაწილში ივლისის ბოლოს ძალიან ცხელოდა. შესაბამისად, გამოვრიცხე წასვლა იტალიაში, საბერძნეთში, საფრანგეთის სამხრეთში და სხვა ზღვისპირა ადგილებში. არადა, ფაქტობრივად ხილვა მქონდა, იცით?.. თვალნათლივ ვხედავდი უილს, ზღვის პირას რომ ნებივრობდა. პრობლემა ის იყო, რომ სულ რამდენიმე დღე მრჩებოდა და დღითიდღე იკლებდა გეგმის რეალობად ქცევის შანსი.

ფორუმის წევრები მითანაგრძნობდნენ. ძალიან ბევრი ისტორია წავიკითხე პნევმონიაზე. როგორც ჩანს, მისი შიში თითოეულ ამ ადამიანს აჩრდილივით დაჰყვებოდა. რამდენიმე

ადგილი შემომთავაზეს, მაგრამ არცერთს შთავუგონებივარ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დარწმუნებული ვიყავი, უილის აღფრთოვანება არცერთ მათგანს შეეძლო. წარმოდგენა არ მქონდა, რას ვეძებდი, მაგრამ ვუყურებდი მათ შემოთავაზებებს და ზუსტად ვიცოდი, არცერთი გამომადგებოდა.

ბოლოს ისევ რიჩიმ, ჩეთის მეუფემ, შემომთავაზა დახმარება. უილის საავადმყოფოდან გამოწერის დღეს მომწერა:

„თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი მჭირდება. ჩემი ბიძაშვილი ტურაგენტია. საქმის კურსში უკვე ჩავაყენე. გელოდებათ.“

იმ ნომერზე დავრეკე, რომელიც მომცა და შუახნის მამაკაცს ვესაუბრე, რომელსაც მკვეთრად იორკშირული აქცენტით საუბრობდა. როდესაც მითხრა, რა ჰქონდა გუნებაში, თავში თითქოს პატარა ზანზალაკმა გაიწკარუნა და მამცნო, რომ ეს სწორედ ის იყო, რაც მჭირდებოდა. ორ საათში ყველაფერი დავგეგმეთ. ისეთი მადლობელი ვიყავი, რომ ცოტაც მაკლდა და ვიტირებდი.

– არაფერზე ინერვიულო, გოგონი, – მითხრა მან, – შენი საზრუნავი მხოლოდ ის იქნება, რომ შენი მეგობარი კარგად გაერთოს.

როცა, ბოლოს და ბოლოს, მართლა წავედით, მეც ისეთივე დაღლილ-დაქანცული ვიყავი, როგორც უილი. ბოლო დღეები კვლევა-ძიებაში გავატარე, რა უნდა გამეთვალისწინებინა კვადრიპლეგიის მქონე ადამიანის მგზავრობისთვის. იმ დილამდე, როცა სახლიდან გავედით, ბოლომდე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, უილი საამისოდ საკმარისად მოძლიერებული იყო თუ არა. ახლა, როცა, ჩანთებით გარემოცული, აერპორტში ვიჯექი, ისევ ვუყურებდი, გაფითრებულს და ჩაკარგულს ხალხის ყაყანში და კიდევ და კიდევ ვუსვამდი თავს კითხვას, სწორად ვიქცეოდი, თუ არა. უცებ პანიკამ ამიტანა. კვლავ ავად რომ გამხდარიყო? თითოეული წუთი რომ აუტანელი ყოფილიყო მისთვის, როგორც ეს დოღზე დაგვემართა? იქნებ ყველაფერი არასწორად გავიგე, იქნებ ყველაფერი ავურიე, იქნებ უილს ახლა მოგზაურობა და თავგადასავლები კი არა, ზუსტადაც, რომ ათი დღე საწოლში მშვიდად წოლა უნდოდა?

მაგრამ სად გვქონდა ათი დღე გასაფლანგად. რაც იქნებოდა, იქნებოდა. ეს იყო ჩემი ერთადერთი შანსი.

– ჩვენი რეისი გამოაცხადეს, – თქვა ნათანმა, როცა დუთიფრიდან დაბრუნდა.

შემომხედა და წარბი ზემოთ ასწია. ღრმად ამოვისუნთქე.

– კარგი, – ვთქვი მე, წავედით.

* * *

თავად ფრენა, მიუხედავად თორმეტი გრძელი საათისა, რაც ჰაერში გავატარეთ, ისეთი მტანჯველიც არ ყოფილა, როგორსაც ველოდი. ნათანმა პროფესიონალიზმი კიდევ ერთხელ დაამტკიცა. პლედქვეშ მკვირცხლად და ოსტატურად ახერხებდა, რომ უილისთვის კათეტერი გამოეცვალა. ავიაკომპანიის პერსონალი გულისხმიერებითა და ყურადღებით გვეპყრობოდა ჩვენ და დიდი სიფრთხილით – ეტლსაც. როგორც

დაგვპირდნენ, უილი თვითმფრინავში პირველი ავიდა, უპრობლემოდ გადავიყვანეთ თვითმფრინავის სავარძელზე და ჩვენ შორის დავისვით.

ერთი საათის მერე, რაც ავფრინდით, გავაცნობიერე, რომ იქ, ღრუბლებს ზემოთ, როცა სავარძელზე იყო გადაწოლილი და სიმყარისთვის ღვედი გადაეჭირა, უილი თანასწორი იყო ყველა მგზავრისა, ვინც სალონში ვისხედით. ეკრანის წინ გაშეშებულს, წასასვლელი და გასაქანი რომ არავის არსად გვქონდა, სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე უილს სხვა მგზავრებისგან ვერ გამოარჩევდით. ვჭამდით და ფილმებს ვუყურებდით. უილს კი უმეტესად ეძინა.

მე და ნათანი ერთმანეთს გადავხედავდით და გავუღიმებდით ხოლმე. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, საუკეთესოდაც კი. ილუმინატორის ფანჯრიდან ვიყურებოდი, ფიქრები ისევე ამბურდვოდა, როგორც ღრუბლები ჩვენ გარშემო. ჯერ კიდევ ვერ ვიაზრებდი, რომ ეს მოგზაურობა ლოჯისტიკური ამოცანა კი აღარ იყო, არამედ იყო ჩემი რეალური თავგადასავალი. და მე, ლუ კლარკი, უკვე ნამდვილად დავდგომოდი გზას დედამიწის მეორე მხარეს მოსახვედრად. ვერ ვხვდებოდი... ჯერ ვერა. უილის იქით ჯერ ვერაფერს ვხედავდი. ისეთი განცდა მქონდა, როგორიც ჩემს დას, როცა ტომასი გააჩინა. „თითქოს სამყაროს ძაბრიდან ვუყურებ," – თქვა მაშინ, როცა ხელში ახალშობილი ტომასი აიყვანა, – „თითქოს ყველაფერი შეიკუმშა და მხოლოდ მე და ჩემი შვილი დავრჩით."

აეროპორტში რომ ვიყავი, ტრინამ მაშინ მომწერა:

„ყველაფერი გამოგივა. ძალიან ვამაყობ შენით. გკოცნი."

თვითმფრინავში გამახსენდა და ტელეფონს დავხედე. გული ამიჩუყდა. შეიძლება მისმა სიტყვებმა იმოქმედა ასე, შეიძლება ძალიან დაღლილი ვიყავი, მეშინოდა და ჯერ კიდევ მიჭირდა დაჯერება, სად გავყავი თავი მე თვითონაც და ავიყოლიე უილი და ნათანიც. როგორც იქნა, ფიქრებს მოვერიე, ჩემი სავარძლის წინ პატარა ტელევიზორი ჩავრთე და რომელიღაც ამერიკული კომედიური სერიალის ყურება დავიწყე. გარეთ ბნელდებოდა. გამეღვიძა და დავინახე, თავზე სტიუარდესა გვადგა – საუზმე მოეტანა. უილი ნათანს ელაპარაკებოდა ფილმზე, რომელსაც ერთად უყურეს და რაც ყველაზე სასიამოვნო იყო, მიუხედავად ჩემი შფოთვებისა, მავრიკის კუნძულებზე დაშვებამდე სულ ერთ საათზე ნაკლები დაგვრჩენოდა.

სანამ სერ სივუსაგარ რამგულამის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში ფეხი არ დავდგი, მანამდე კიდევ მიჭირდა დაჯერება, რომ ეს ყველაფერი ჩვენ თავს ნამდვილად ხდებოდა. ახალჩამოსულებს შორის გზას მივიკვლევდით, ჰაერში ამდენი საათის გატარების შემდეგ, აზრზე მოსვლა ჯერ კიდევ გვიჭირდა.სპეციალური ადაპტირებული ტაქსის დანახვაზე, რომელიც სააგენტომ დაგვახვედრა, შვებით ამოვისუნთქე. ესეც ჩვენი პირველი დილა... როცა ტაქსი სასტუმროსკენ მიგვაქანებდა, გარემოს თვალი ოდნავ შევავლე. ნამდვილად ასე იყო, ფერები აქ უფრო ნათელი ჩანდა, ვიდრე ინგლისში, ცაც უფრო ლურჯი იყო – ლაჟვარდოვანი ფირუზისფერის გრადაცია უსასრულობისკენ. კუნძული დაფარული იყო ხასხასა მწვანე მცენარეებითა და გარს მობიბინე შაქრის ლერწმები ერტყა. ზღვა ვულკანური წარმოშობის ქანებს შორის ვერცხლისწყალივით ლაპლაპებდა. ჰაერი კვამლისა და ჯანჯაფილის სურნელით იყო გაჯერებული. მზე ისე

კაშკაშებდა, რომ თვალის გახელა მიჭირდა. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს გავიღვიძე და პირდაპირ გლამურული ჟურნალების ფურცლებზე ამოვყავი თავი.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უცხო და ჩემთვის უცნობი სამყარო თვალს მტაცებდა, თვალთახედვის არეში მაინც სულ უილი მყავდა, მისი დაღლილი და გაფითრებული სახით. თავი გვერდით, მხარზე გადაეგდო. როცა მძღოლმა პალმებჩარიგებულ გზატკეცილზე გაგვიყვანა, მაშინღა ამოიხედა. მალე დაბალ შენობასთან აღმოვჩნდით. მძღოლი თვალის დახამხამებაში საბარგულთან გაჩნდა და სანამ მანქანიდან გადმოვედით, ჩვენი ბარგიც გადმოღებული ჰქონდა.

ყინულიან ჩაიზე უარი ვთქვით, სასტუმროს დათვალიერებაზეც. უილის ნომერი ვიპოვეთ, მისი ჩანთები შევყარეთ და თვითონ საწოლზე გადავაწვინეთ. სანამ ფარდებს ჩამოვაფარებდით, უკვე ეძინა. აი, ისიც, ჩვენი დანიშნულების ადგილი, უკვე იქ ვიყავით. მე ეს გამომივიდა. უილის ოთახის კართან ვიდექი და როგორც იქნა, თავისუფლად ვსუნთქავდი. ნათანი ფანჯრიდან ზღვის ტალღებს გასცქეროდა, მარჯნის რიფებს რომ თეთრად აქაფებულები ეხეთქებოდა. არ ვიცი, რა დამემართა, მგზავრობისა და დაღლილობის ბრალი იყო, თუ იმის, რომ მანამდე ცხოვრებაში ასეთ ლამაზ ადგილზე არ ვყოფილვარ, – ცრემლები მომერია.

– ყველაფერი კარგად იქნება, – მითხრა ნათანმა, როცა დამინახა. სრულიად მოულოდნელად, მომიახლოვდა და დათვივით გულში ჩამიკრა, – დამშვიდდი, ლუ. ყველაფერი კარგად იქნება. მართლა. შენ ეს შეძელი.

* * *

სამი დღე დამჭირდა, რომ ნათანისთვის დამეჯერებინა. პირველი ორმოცდარვა საათი უილს თითქმის სულ ეძინა. მერე კი, ჩემდა გასაკვირად და გასახარად, გამომჯობინება დაიწყო. კანი შეეფერა და თვალებქვეშ ლურჯი წრეები გაუქრა. კუნთების დაჭიმულობა შეუმცირდა, ჭამა დაიწყო. ეტლით ჩაუვლიდა ხოლმე უგრძეს ბუფეტს, სადაც ექსტრავაგანტური საჭმელები ელაგა და მითითებებს მაძლევდა, მისთვის თეფშზე რა გადმომედო. მივხვდი, რომ თავის თავს უბრუნდებოდა – დამცინოდა და მაძალებდა გამესინჯა კერძები, რომლებიც აქამდე არც კი გამეგო, უცნაური ცხარე საწებლები თუ ზღვის პროდუქტები. ჩემზე ადრე, მიეჩვია აქაურობას და თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდა. სულ არ გამკვირვებია. ასეთი იყო მთელი მისი ცხოვრება, ასეთი იყო მისი სამყარო – მთელი დედამიწა, ეს თვალუწვდენელი ზღვები და არა პატარა ფლიგელი, ერთი ინგლისური ციხე-სიმაგრის ჩრდილში.

როგორ დაგვპირდნენ, სასტუმროში სპეციალური განიერბორბლებიანი ეტლი დაგვახვედრეს. დილაობით ნათანს უილი ამ ეტლში გადაჰყავდა და სამივე პლაჟზე გავდიოდით. მე ქოლგა მიმქონდა. მზე თუ ძალიან დააჭერდა, უილი მისი მწველი სხივებისგან რომ დაგვეცვა. მაგრამ ეს არცერთხელ დამჭირვებია. კუნძულის ეს სამხრეთი ნაწილი ზღვიდან მონაბერი ბრიზით გრილდებოდა და წლის არცერთ დროს, ტემპერატურა ფარენჰეიტით 75 გრადუსს (ფარენჰეიტით 75 გრადუსი – თითქმის 24 გრადუსი ცელსიუსით. ნ.ბ.) არ სცდებოდა. კლდოვან შვერილთან ახლოს პატარა პლაჟზე

ვჩერდებოდით ხოლმე. სასტუმროს შორიახლოს. შეზლონგს გავშლიდი, პალმის ხის ქვეშ, უილს გვერდით მივუჯდებოდი და ორივე ნათანს ვადევნებდით თვალს, რომელიც ხან სერფინგს ცოდვილობდა, ხან წყალზე სრიალს და შიგადაშიგ ქვიშაში რომ წაერჭობოდა, გამწარებული წამოიყვირებდა ხოლმე.

თავიდან სასტუმროს პერსონალი გადაჭარბებულად მონდომებულიც კი იყო. უილს ხან ეუბნებოდნენ, ეტლს მოვაწვებითო, ხან – უნდოდა, თუ არ უნდოდა, – ცივ სასმელებს სთავაზობდნენ. თუმცა, უარს ვეუბნებოდით, თავაზიანად გვშორდებოდნენ. როცა მის გვერდით არ ვიყავი და დავინახავდი, როგორ ევლებოდნენ თავს პორტიეები, ესაუბრებოდნენ, ან ურჩევდნენ ადგილებს, სად წასულიყო, მსიამოვნებდა. ერთი ახალგაზრდა ავარა კაცი იყო, ნადილი. როცა ნათანს ვერ დაინახავდა, უილის არაოფიციალური მომვლელის როლს შეითავსებდა ხოლმე. ერთხელ უილის მოსაძებნად გამოვედი და დავინახე ნადილს თავის მეგობართან ერთად ხელში ჰყავდა აყვანილი და „ჩვენი“ ხის ქვეშ შეზლონგზე გადაჰყავდა.

– ასე უკეთესია, – თქვა და ჰაერში აწეული ცერა თითები მიჩვენა, ქვიშაში მომავალი რომ დამინახა, – მისტერ უილს ეტლში გადაჯდომა რომ მოუნდება, დამიძახეთ და ეგარის. დავაპირე, გამეპროტესტებინა, მეთქვა, რომ არ იყო საჭირო მისთვის ხელი ეხლოთ, მაგრამ უილის სახეს რომ შევხედე, თვალდახუჭული და სიამოვნებისგან გაბადრული რომ იწვა შეზლონგზე, ტუჩზე ვიკბინე და ნადილს თავი დავუქნიე.

როცა თანდათან უილის ჯანმრთელობაზე შფოთვამ და ფორიაქმა გადამიარა, ნელ-ნელა იმის გაცნობიერებაც დავიწყე, რომ მიწიერ სამოთხეში ვიყავი. ჩემს ცხოვრებაში ვერასდროს წარმოვიდგენდი, ოდესმე ასეთ ადგილას თუ მოვხვდებოდი. ყოველ დილით, ნაპირზე ტალღების დგაფუნის ხმა მაღვიძებდა და ჩემთვის უცნობი ჩიტების ჭიკჭიკი ჩამესმოდა, ერთმანეთს ხიდან ხეზე რომ გადასძახოდნენ. ჭერს ავხედავდი და ერთხანს ფოთლებს შორის მზის სხივების ლაციცს ვადევნებდი თვალს. მეზობელი ნომრიდან დაბალ ხმაზე საუბარი ისმოდა – უილს და ნათანს ჩემზე დიდი ხნით ადრე გაღვიძებოდათ. საცურაო კოსტუმზე სარონგს შემოვიკრავდი და ნომრიდან გავრბოდი. მსიამოვნებდა, როცა მხრებსა და ზურგზე მზის სხივების სიმხურვალეს ვგრძნობდი. კანზე ჭორფლები დამეტყო, ფრჩხილები გამიღიავდა. ამ პატარაპატარა ბედნიერებებით ვტკბებოდი, რომელიც აქ მქონდა – პლაჟზე სეირნობით, უცხო საკვებით, თბილ, სუფთა წყალში ცურვით, როცა ვულკანურ კლდეებს ქვემოდან პატარა შავი თევზები მომჩერებოდნენ. ვუყურებდი შორს, ჰორიზონტზე მეწამულისფრად ჩამავალ მზეს და სუნთქვა მეკვროდა. თანდათან სადღაც გაქრა ის მძიმე ხუთი თვე, აქ ჩამოსვლას რომ უძღოდა. ჩემდა სამარცხვინოდ, ისიც უნდა ვაღიარო, რომ პატრიკი არც კი მახსენდებოდა.

გარკვეული დღის წესრიგი ჩამოგვიყალიბდა. აუზის ირგვლივ ჩრდილქვეშ შეფარულ მაგიდებთან სამივე ერთად ვსაუზმობდით. უილი, როგორც წესი, ხილის სალათს მოინდომებდა ხოლმე, რომელსაც მე ვაჭმევდი. ხანდახან, როცა მადა გაეღვიძებოდა, სალათს ბანანის ალადებს დააყოლებდა. მერე პლაჟზე ჩავდიოდით. მე ვკითხულობდი, უილი მუსიკას უსმენდა, ნათანი კი წყლის სპორტის სახეობებში სცდიდა თავს. უილი მეც მეჩიჩინებოდა, ნათანს მიბაძეო, მაგრამ ვუარობდი. მის გვერდით ჯდომა მსიამოვნებდა.

ძალიან რომ დაიჟინა, ერთ დილას სერფინგი და კაიაკინგი ვცადე, მაგრამ მაინც ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, მის გვერდით რომ ვნებივრობდი. ხანდახან, როცა ნადილიც იქვე იყო და სასტუმროშიც სიმშვიდე იდგა, მას და ნათანს უილი პატარა აუზში, თბილ წყალში შეჰყავდათ. ნათანს ისე ეკავა უილი, რომ წყალში ეტივტივა. ამ დროს თითქმის არაფერს ამბობდა, მაგრამ ისეთი უხმო კმაყოფილება ეწერა სახეზე, რომ ვფიქრობდი, ალბათ, ძველი შეგრძნებები ახსენდება-მეთქი. მისი ფერმკრთალი, გაფითრებული სხეული ოქროსფრად შეიფერა. მაჯებზე ნაიარევები გაუღიავდა. მაისურის გარეშე ყოფნა აღარ ეუხერხულებოდა. ლანჩის დროს სასტუმროს სამი რესტორნიდან ერთ-ერთში შევივლიდით ხოლმე. მთელ სასტუმროში იატაკზე ფილები იყო დაგებული, საფეხურების გარეშე, და უილს თავისი ეტლით გადაადგილება სრულიად დამოუკიდებლად შეეძლო. თითქოს წვრილმანია, მაგრამ დალევა როცა მოუნდობოდა, ამისათვის რომელიმე ჩვენგანის გაყოლა არ სჭირდებოდა. ეს მე და ნათანის დასვენება კი არ იყო, არამედ დიდი თავისუფლება უილისთვის. თავისუფლება მისი ყოველდღიური იმედგაცრუებებისა და ტკივილისაგან, როცა ყველაფერში სხვა ადამიანებზე დამოკიდებულად უწევდა ცხოვრება. სადმე წასვლა არც გვჭირდებოდა. სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, აუზზე, პლაჟზე თუ სპა-სალონში, სასტუმროს პერსონალიდან რომელიმე მოღიმარი თანამშრომელი უცებ თითქოს მიწიდან ამოიზრდებოდა და ყველაფერს მოგვართმევდა, რასაც მოვისურვებდით – აუცილებლად არომატული ვარდისფერი ყვავილის დეკორაციით. პლაჟზეც რომ ვიწექით, ოფიციანტი პატარა ურიკით ჩამოივლიდა და წყალს, ხილის წვენს ან რამე უფრო მაგარს შემოგვთავაზებდა.

შუადღით, როდესაც ტემპერატურა მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწევდა, უილი ნომერში ბრუნდებოდა და ორიოდე საათით წაუძინებდა. მე ან აუზზე ვცურავდი, ან წიგნს ვკითხულობდი. მერე კი, საღამოს, ყველა ისევ ერთად ვიკრიბებოდით და ზღვისპირა რესტორანში ვვახშმობდით. კოქტეილებში გემოვნება დამეხვეწა. ნადილმა შეამჩნია, რომ უილს შესაბამისი ზომის ლუკმას თუ მიაწვდიდა და მაღალ ჭიქას ეტლის დამჭერში მოუთავსებდა, მე და ნათანი საერთოდ აღარც ვჭირდებოდით. შებინდებულზე უილს შემოვუსხდებოდით და სამივე ჩვენს ბავშვობას ვიხსენებდით, ჩვენს პირველ შეყვარებულებს, პირველ სამსახურს, ჩვენ ოჯახებს და არდადეგებს. ვამჩნევდი, ისევ როგორი ლაღი და ხალისიანი ხდებოდა უილი.

თუმცა, უილი, რომელსაც აქ ვხედავდი, მაინც სხვანაირი იყო. აქაურობამ სიმშვიდე დაუბრუნა, რომელიც მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც ვიცნობდი და უფრო ადრეც, დაკარგული ჰქონდა.

– როგორ ყოჩაღად იქცევა, არა? – მკითხა ნათანმა, როცა ერთმანეთს ბუფეტთან შევხვდით.

– ჰო, მეც ასე მგონია.

– იცი რა... – ნათანი ფრთხილად გადმოიხარა, რომ უილს ეჭვი არ გასჩენოდა, მის შესახებ ვლაპარაკობდით, – რა თქმა უნდა, რანჩო და ის ყველაფერი, რა თავგადასავლებიც დაუგეგმე, არაჩვეულებრივი იქნებოდა, მაგრამ ახლა აქ რომ ვართ და რომ ვუყურებ, რატომღაც მაინც მგონია, რომ ეს ადგილი უფრო მეტად წაადგება.

ნათანისთვის აღარ მითქვამს, აქ ჩამოსვლის პირველივე დღიდან რა ფიქრები მაწუხებდა. რომ ნერვიულობისგან კუჭი მეწვოდა, სასოწარკვეთილი დღეებს ვითვლიდი, სახლში დაბრუნებამდე რამდენი დაგვრჩენოდა. ყოველდღე უნდა მეცადა და დამევიწყებინა, აქ რატომ ვიყავით, დამევიწყებინა ჩემი ექვსთვიანი კონტრაქტი, დეტალურად გაწერილი კალენდარი, ყველაფერი, რაც მანამდე იყო. უნდა დავმტკბარიყავი ყოველი წუთით და უილიც დამერწმუნებინა, ასე მოქცეულიყო. ბედნიერი უნდა ვყოფილიყავი იმედით, რომ უილიც ბედნიერი იქნებოდა.

ნესვის კიდევ ერთი ნაჭერი ავიღე და გავიღიმე.

– კარგი, მოგვიანებით რა ვქნათ? კარაოკეზე რას იტყვი? თუ წუხანდელს შემდეგ ყურები ისევ გიბჟუის?

* * *

მეოთხე ღამეს ნათანმა ოდნავ შემცბარმა გამოგვიცხადა, რომ პაემანი ჰქონდა. კარენი ახალგაზრდა ქალი იყო, ისიც ახალი ზელანდიიდან, რომელიც გვერდით სასტუმროში ცხოვრობდა. ნათანი დაჰპირებოდა, ქალაქში გამოგყვებიო.

– უბრალოდ რომ დავწრმუნდე, მშვიდობით ჩავა. ხომ ხვდებით... რა ვიცი, იქნებ აქ მარტო სიარული უსაფრთხო არ არის.

– რა თქმა უნდა, – უთხრა უილმა, – შენ ხომ ნამდვილი რაინდი ხარ, ნათან.

– ჰო, ჭეშმარიტად ცივილური, თანამედროვე მამაკაცი ასე უნდა მოიქცეს, – დავამატე მე.

– ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი ნათანით მისი დიდსულოვნების გამო. განსაკუთრებით, როცა საქმე მშვენიერ სქესს ეხება.

– გეყოფათ ახლა ორივეს! – შემოგვიღრინა ნათანმა და გაიქცა.

ამის მერე კარენი ყოველდღე გამოწერილი გვყავდა. ნათანი მასთან ერთად ყოველ საღამოს იკარგებოდა და მიუხედავად იმისა, რომ უილის პროცედურების ჩასატარებლად ყოველთვის ბრუნდებოდა, ჩვენ ვცდილობდით, საშუალება მიგვეცა, მეტი თავისუფალი დროით დამტკბარიყო.

თანაც, სიმართლე რომ ვთქვა, გულის სიღრმეში ამით ძალიანაც კმაყოფილი ვიყავი. ნათანი ძალიან მომწონდა. მისი ძალიან მადლიერი გახლდით, რომ წამოგვყვა, მაგრამ უილთან ერთად მარტო რომ ვრჩებოდი, ნამდვილად მერჩივნა. მომწონდა ის სიახლოვე, რაც ჩვენ შორის იყო, როცა გვერდით არავინ გვყავდა. მომწონდა ის ინტიმი, ჩვენს შორის ახლა რომ იბადებოდა. მომწონდა, თავს რომ მოაბრუნებდა და აღტაცებული მიყურებდა ხოლმე. თითქოს, რასაც ელოდა, ჩემში იმაზე ბევრად მეტი რამ აღმოაჩინა.

ბოლოს წინა საღამოს ნათანს ვუთხარი, რომ წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, თუ კარენს ჩვენს სასტუმროში მოიყვანდა. მანამდე ღამეებს კარენთან ატარებდა და ვიცოდი, უილის პროცედურების გამო სასტუმროებს შორის წინ და უკან სირბილი მისთვის ადვილი არ იყო.

– კარგი იქნება, აქ თუ მოიყვან. ასე... როგორ გითხრა... უფრო მოხერხებულად და თქვენთვის მყუდროდ იქნებით.

გაუხარდა, იმდენად, რომ აღტაცებულმა ერთი მადლობა მეგობაროო, ზურგს უკნიდან მომაძახა და გაიქცა.

– კარგად მოქცეულხარ, – მითხრა უილმა, როცა მოვუყევი.

– შენ უფრო, – ვუპასუხე მე, – შენი ნომერი დავუთმე.

იმ ღამეს ნათანმა უილი ჩემს ნომერში გადმოიყვანა. საწოლში დააწვინა და წამლებიც მისცა. კარენი მისი და უილის ნომერში ელოდებოდა. სააბაზანოში გამოვიცვალე, მაისური და ბრიჯები ამოვიცვი, იღლიაში ბალიში ამოვიდე და დივანზე მივწექი. უილის მზერას ვგრძნობდი და თავი რატომღაც უხერხულად ვიგრძენი. თითქოს, მთელი ეს დღეები მის წინ ბიკინიში გამოწყობილი რომ დავტანტალებდი, მე არ ვყოფილიყავი. ბალიში დაბლა ჩამოვწიე.

– კლარკ.

– რა?

– დივანზე დაძინება მართლა არაა საჭირო. ამ საწოლზე მთელი ფეხბურთის გუნდი დაეტევა.

ამაზე ნამდვილად არ მეფიქრა. არადა, ძალიან ბუნებრივი რამ იყო ეს მაშინ. შეიძლება პლაჟზე ნახევრად შიშველ მდგომარეობაში გატარებულმა დღეებმა შეზღუდვები ცოტა მომიხსნა. შეიძლება ისიც მოქმედებდა, რომ ვიცოდი, კედლის იქით კარენი და ნათანი ერთმანეთში ჩახვეულები იწვნენ და კრუტუნებდნენ. შეიძლება, უბრალოდ მის გვერდით, მასთან ახლოს ყოფნა მინდოდა. საწოლისკენ წავედი, როცა უეცრად განათდა და ჭექა-ქუხილმა დაიგრუხუნა. სასტუმროში სინათლე აციმციმდა. ვიღაცამ იკივლა. მეზობელი ოთახიდან ნათანისა და კარენის ხარხარი გავიგეთ.

ფანჯარასთან მივედი და ფარდა გადავწიე. ზღვიდან ცივმა ჰაერმა დამიბერა, ტემპერატურა უცებ დავარდნილიყო. ზღვაზე შტორმი აბობოქრდა. დროდადრო ელვა ცას ანათებდა და ნაპერწკლებს ყრიდა, რასაც ისეთი გამაყრუებელი ხმაური მოყვებოდა, ყველა სხვა ხმას ახშობდა. ჩვენი პატარა ბუნგალოს სახურავზე ისეთი წვიმა დაუშვა, თითქოს ვიღაც დოლს უკრავსო.

– დარაბებს დავხურავ, – ვთქვი მე.

– არ გინდა.

უილისკენ შევტრიალდი.

– კარი ღია დატოვე, – თავით გარეთ მიმანიშნა, – მინდა ვხედავდე.

ერთხანს შევყოვნდი, მერე ტერასაზე გამავალი მინის კარი გავაღე. წვიმის მსხვილის წვეთები შენობის კედლებს ჩაქუჩივით ურტყამდა, სახურავიდან წყალი ასხამდა, ტერასაზე მდინარესავით მიედინებოდა და თითქოს ზღვისკენ მიილტვოდა. სახე დამისველდა. ჰაერი დამუხტული იყო. ტანზე დავიბურძგლე.

– გრძნობ? – გავიგე მისი ხმა უკნიდან.

– სამყაროს აღსასრულს ჰგავს.

ვიდექი და თითქოს ვიმუხტებოდი ენერგიით, რომელსაც ჩემი სხეული ჰაერიდან ისრუტავდა. ელვა თვალის გუგებზე თეთრ ანაბეჭდს მიტოვებდა. სუნთქვა შემეკრა. მოვტრიალდი, საწოლთან მივედი და კიდეზე ჩამოვჯექი. მიყურებდა. წინ გადავიხარე და

მისი მზისგან გარუჯული კისერი ჩემკენ მოვაბრუნე. ახლა უკვე ვიცოდი, როგორ უნდა მემოქმედა,როგორ დამეძლია მისი სხეულის წონა, მოცულობა, როგორ დამემორჩილებინა სიმძიმე. ერთი ხელით თითქმის მიკრული მყავდა, მეორე ხელით მხრებქვეშ დიდი თეთრი ბალიში შევუცურე და გადავაწვინე. მზის სუნი ასდიოდა, თითქოს, სხივები კანქვეშ შესახლებოდა. ღრმად ვისუნთქვადი, როგორც რამე ძალიან გემრიელსა და ძვირფასს. წვიმის შხეფებისგან ჯერ კიდევ სველი ვიყავი, როცა საწოლზე, საბანქვეშ, მის გვერდით, საბანქვეშ შევძვერი. იმდენად ახლოს ვიყავით, მისი ფეხების შეხებას ვგრძნობდი. ვუყურებდით თეთრად აქაფებულ მუქ ლურჯ ტალღებს, რომელთაც ელვა ანათებდა და ამ შუქზე წვიმაც ციდან ჩამოკიდულ ვერცხლისფერ ბაწრებს ჰგავდა. ასი ფუტის დაშორებით უზარმაზარი ფირუზისფერი მასა ბორგავდა. სამყარო ჩვენ ირგვლივ შეიკუმშა. დარჩა შტორმი, დოლბანდის მოფრიალე ფარდები და ჩემი ზედაპირული სუნთქვა. ღამის ბრიზს ლოტოსის ყვავილების სურნელი მოჰქონდა, საიდანღაც ისმოდა ჭიქების წკრიალის ხმა, სკამების ხმაური. რომელიღაც რესტორნიდან სადღესასწაულო მუსიკა მოდიოდა. ბუნების ენერგიას ვგრძნობდი. უილის ხელი ხელში ავიღე. დავფიქრდი. ისეთ მჭიდრო კავშირს სამყაროსთან, სხვა ადამიანთან, როგორსაც იმ მომენტში ვგრძნობდი, ალბათ, ვეღარასდროს განვიცდიდი.

– ცუდი არაა, არა, კლარკ? – დუმილი დაარღვია უილმა. ამ შტორმის ფონზე მისი სახე სიმშვიდეს ასხივებდა. თავი მოაბრუნა და გამიღიმა, რაღაც იყო მის თვალებში კიდევ... გამარჯვებით ტკბობისებრი.

– ჰო, სულაც არაა ცუდი, – ვუთხარი მე.

უსიტყვოდ ვიწექი, ვუსმენდი მის ნელ და ღრმა სუნთქვას, წვიმის შხაპუნს და მთელი არსებით შევიგრძნობდი მისი თითების სითბოს, რომელიც ჩემს თითებს გადახლართვოდა. როგორ არ მინდოდა სახლში დაბრუნება. ასე მეგონა, რომ არასდროს მომინდებოდა. აქ უსაფრთხოდ ვიყავით... მე და უილი, ჩვენს პატარა სამოთხეში. ყოველ ჯერზე, როცა ინგლისში დაბრუნებაზე ვფიქრობდი, სადღაც შიგნიდან შიში ამოიზრდებოდა და გულზე მარწუხებს მომიჭერდა ხოლმე.

„ყველაფერი კარგად იქნება“, – ვუმეორებდი საკუთარ თავს ნათანის სიტყვებს, – „ყველაფერი კარგად იქნება.“

გვერდზე გადავბრუნდი, ზღვას ზურგი ვაქციე და უილს შევხედე. მანაც თავი გადმოატრიალა და ღამის სუსტ განათებაზე თვალებში შემომხედა. ვიგრძენი, მასაც იმავეს თქმა უნდოდა ჩემთვის. „ყველაფერი კარგად იქნება.“ ცხოვრებაში პირველად, ვცდილობდი, მომავალზე არ მეფიქრა. ვცდილობდი, შემეგრძნო წამი და ეს შეგრძნებები სხეულის თითოეულ უჯრედში გამეტარებინა. არ ვიცი, ასე ერთმანეთს მიჩერებულები კიდევ რამდენ ხანს ვიწექით. მაგრამ თანდათან უილს ქუთუთოები დაუმძიმდა. ხმადაბლა ჩაიბუტბუტა, თითქოს ბოდიშს იხდისო, „ახლა მე, ალბათ...“ სუნთქვა უფრო ღრმა გაუხდა და ძილის საუფლოში გადაინაცვლა. ახლა უკვე მარტო მე ვუყურებდი. ვაკვირდებოდი გაპრეხილ წამწამებს თვალის კუთხეებში, ვსწავლობდი ახალ ჭორფლებს მის ცხვირზე. საკუთარ თავს გავუმეორე, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. ეს სიმართლე იყო. ეს უნდა ყოფილიყო სიმართლე.

ღამის პირველი საათის მერე შტორმმა გადაიარა და სადღაც ზღვის უსასრულობაში დაინთქა. ბუნებას ბრაზი ჯერ გაუნელდა, მერე კი სულაც ერთიანად წამოიკრიფა და ეს მეტეოროლოგიური ტირანია, ალბათ, ახლა დედამიწის სხვა კუთხეს მიავლინა. თანდათან სიმშვიდე ჩამოდგა, ფარდები უშფოთველად დაეფინნენ, მიწაზე წვიმის უკანასკნელი წვეთიც გაიბნა. დილაადრიან გამეღვიძა, უილის ხელისგან ხელი ფრთხილად გავითავისუფლე. ეძინა ისე, როგორც არასდროს სახლში – მშვიდად და ტკბილად. მე ვეღარ დავიძინე. ვიწექი, ვუყურებდი და ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა.

* * *

ბოლო დღეს ორი რამ მოხდა. ერთი ის იყო, რომ დაჟინებული ზეწოლის შემდეგ უილს დავთანხმდი, წყალში ჩამეყვინთა. მთელი ის დღეები, რაც იქ გავატარეთ, ჩამჩიჩინებდა, რომ ამ ადგილიდან წყალქვეშა სამყაროსთან უზიარებლად წასვლა, დანაშაულის ტოლფასი იქნებოდა. სერფინგი არ გამომივიდა. ტალღებში თავს ვერ ვიმაგრებდი და წყალზე სრიალის ყველა ჩემი მცდელობაც ქვიშაში წაყირავებით სრულდებოდა. მაინც არ მომეშვა და წასვლამდე ერთი დღით ადრე, ლანჩის დროს გამომიცხადა, ნახევარი დღით დამწყები მყვინთავების კურსზე ჩაგწერეო.

პირველ მცდელობები წარმატებისგან ძალიან შორს იყო. უილი და ნათანი აუზის კიდესთან ისხდნენ, ინსტრუქტორი კი უშედეგოდ ცდილობდა ჩემს დარწმუნებას, რომ წყალქვეშ სუნთქვას მოვახერხებდი. უილისა და ნათანის მზერა, მათი მოლოდინი კიდევ უფრო მეტად მაგდებდა პანიკაში. სულელი კი არ ვარ. გასაგებია, რომ ჟანგბადის ბალონები, ზურგზე რომ მქონდა მიმაგრებული, ჩემს ფილტვებს ჰაერით მოამარაგებდა, რომ კარგი აღჭურვილობა მქონდა, რომ არ ჩავიძირებოდი და ა.შ. მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა წყალქვეშ თავს ჩავყოფდი, პანიკაში ვვარდებოდი და ზედაპირისკენ ვიწევდი. თითქოს ორგანიზმს არაფრით უნდოდა დაეჯერებინა, რომ მავრიკის კუნძულების ქლორით გაწმენდილი ათასობით გალონი წლის ქვეშ სუნთქვა შეეძლო.

– არაფერი გამომივა. არ შემიძლია, – ვთქვი, როცა მეშვიდე უშედეგო ცდის მერე წყლის ზედაპირზე ავდგაფუნდი.

ჯეიმსმა, ჩემმა ინსტრუქტორმა უკან უილსა და ნათანს გახედა.

– არ შემიძლია, – ვთქვი გაბრაზებით, – არაა ეს საჩემო საქმე.

ჯეიმსმა მამაკაცებს ზურგი შეაქცია, მხარზე ხელი დამკრადა გაშლილი ზღვისკენ მიმითითა.

– ზოგიერთს იქ უფრო უადვილდება, – მითხრა წყნარად.

– ზღვაში?

– ჰო, რაც უფრო ღრმაა წყალი, ზოგიერთისთვის მით უფრო ადვილია. წავედით. ნავი დაგვჭირდება.

ორმოცდახუთი წუთის შემდეგ წყალქვეშა სამყაროს აქამდე უხილავი ხასხასა პეიზაჟით ვტკბებოდი და სულ აღარ მახსოვდა ჩემი შიშები. ვიღას აღელვებდა, რომ შეიძლებოდა აღჭურვილობას ემტყუნა, რომ შეიძლებოდა ჩავძირულიყავი, დავმხრჩვალიყავი და ა.შ. საერთოდ დამავიწყდა, თუ რაიმესი მეშინოდა ამქვეყნად. ახლად აღმოჩენილი სამყაროს

საიდუმლომ ერთიანად წამიღო. სიჩუმეში, რასაც მხოლოდ საკუთარი სუნთქვა მირღვევდა, ჩემ თვალწინ და ირგვლივ გუნდგუნდად დაცურავდნენ პატარპატარა და ნაირფერი, ან მოზრდილი შავ-თეთრი თევზები, რომლებიც ცნობისმოყვარე სახეებით დამტრიალებდნენ გარშემო, პატარა მტაცებელი ანემონები თავისი პაწაწუნა უხილავი ნადავლით. წყალქვეშა სამყარო ორჯერ უფრო ფერადი და მშვენიერი იყო, ვიდრე სამყარო მიწის ზემოთ. პატარა ქვაბულებსა და ორმოებში ჩემთვის უცნობი არსებები დალივლივებდნენ და წყალქვეშ ჩამომავალ მზის სხივებს ეთამაშებოდნენ. ზემოთ ასვლა აღარ მინდოდა. რომ შემძლებოდა, ამ მდუმარე ულამაზეს წყალქვეშეთში სამუდამოდ დავრჩებოდი. მაგრამ ჯეიმსმა რომ ხელებით მაჯაზე შებმულ საათზე მიმანიშნა, მივხვდი, არჩევანი არ მქონდა. პლაჟზე როცა ავედი და უილსა და ნათანს მივუახლოვდი, ლაპარაკის უნარიც კი დაკარგული მქონდა. თვალწინ ისევ ის სურათი მიტრიალებდა, რაც ცოტა ხნის წინ ვიხილე. ხელ-ფეხს ვაქნევდი, თითქოს, ისევ წყალქვეშ ვიყავი.

– მოგეწონა? – მკითხა ნათანმა.

– რატომ აქამდე არ მითხარი? – იქით ვუსაყვედურე უილს და ქვიშაზე მის წინ ფარფლები დავყარე, – რატომ აქამდე არ მაიძულე? ეს... ეს ყველაფერი ამდენ ხანს, თურმე, იქ იყო, ცხვირწინ მქონდა და მე არ ვიცოდი.

უილი თვალებში მიყურებდა. არაფერს ამბობდა, მაგრამ გულღიად მიღიმოდა.

– არ ვიცი, კლარკ. ზოგიერთ ადამიანს ვერაფერს შეასმენ.

* * *

იმ საღამოს თავს უფლება მივეცი, დამელია. მარტო იმიტომ არა, რომ მეორე დღეს უკან ვბრუნდებოდით. პირველად ვიგრძენი, რომ უილი მართლა კარგად იყო და უკვე შემეძლო თავისთვის მოდუნების უფლება მიმეცა. თეთრი კოტონის კაბა ჩავიცვი. ჩემს კანს უკვე ჯანსაღი ფერი ედო და თეთრი ტანსაცმელი საფლავიდან წამომდგარ სუდარაში გახვეულ მოჩვენებას აღარ მამსგავსებდა. ფეხზე ვერცხლისფერი ზონრებით გაწყობილი სანდლები მეცვა. როცა ნადილმა ალისფერი ყვავილი გამომიწოდა და თან ინსტრუქციაც მოაყოლა, თმაში როგორ უნდა დამემაგრებინა, მორჩილად გამოვართვი და დაცინვა აზრადაც არ მომსვლია, როგორც ამას ერთი კვირით ადრე ვიზამდი.

– ოჰ, მოგესალმებით, კარმენ მირანდა, – მითხრა უილმა, როცა ბართან შევხვდი, – ერთიანად ბრწყინავ.

დავაპირე, რამე სარკასტული კომენტარი გამეკეთებინა, მაგრამ მერე დავაკვირდი, რომ გულწრფელად ნასიამოვნები მზერით მიყურებდა.

– მადლობა. შენც არა გიშავს, სხვათა შორის, – ვუპასუხე მე.

სასტუმროს მთავარ შენობაში დისკოთეკა მოეწყოთ. ასე რომ, როცა ნათანი კარენთან ერთად წავიდა, ჯერ საღამოს ათიც არ იყო, მე და უილი რომ პლაჟისკენ გავეშურეთ. მუსიკამ ყურებში, ზღვიდან მონაბერმა სიომ სახეზე და სამმა ჭიქა კოქტეილმა მოძრაობაშემირბილა და მომადუნა.

ისეთი სილამაზე იყო ქვემოთ... თბილი ღამე იდგა, ნიავს ხან ბარბექიუს სუნი მოჰქონდა, ხან მზისგან გახურებულ, ზღვის მარილიან კანზე შეზელილი არომატული ზეთების. მე და

უილი ჩვენს ხესთან გავჩერდით. ვიღაცას მანამდე სანაპიროზე კოცონი დაენთო, მინავლებული ნაკვერჩხლები ქარის დაბერვაზე წითლად ელავდა.

– არ მინდა სახლში, – შევჩივლე ღამის სიბნელეს.

– ძნელია აქედან წასვლა

– არც კი მეგონა, ფილმების გარდა, ასეთი ადგილები სადმე მართლა თუ არსებობდა, – ვთქვი მე და უილისკენ სახით შევტრიალდი, – ხანდახან იმასაც კი ვფიქრობდი, რომ რაღაცას მატყუებდი, როცა შენს მოგზაურობებზე მიყვებოდი.

მიღიმოდა. მშვიდი და ბედნიერი ჩანდა. რომ მიყურებდა, თვალები უციმციმებდა. თვალებში ჩავხედე და პირველად მოხდა, რომ შინაგანად შიშს არ ავუტანივარ.

– ხომ გიხარია, რომ აქ ვართ? – ვკითხე გამომცდელად.

– ჰო, ძალიან, – თავი დამიქნია.

– ჰაჰ! – შევძახე ხმამაღლა და ჰაერში შეკრული მუშტი ავიქნიე.

მერე კი ვიღაცამ ბარში მუსიკა ჩართო. ფეხსაცმელები გავიხადე და ცეკვა დავიწყე. ვიცი, სასაცილო ვიყავი, ეს ისეთი წუთები იყო, მეორე დილით შეცბუნებულს საკუთარ თავის გამო თან რომ შეგრცხვება და თან გაგეღიმება. მაგრამ იქ, იმ მელნისფერ სიბნელეში, უძილობითა თუ ალკოჰოლით გაბრუებულს, მინავლებულ ნაკვერჩხლებთან, უძირო ზღვასთან და უსასრულო ცის ქვეშ, როცა ყურებში მუსიკა მიგუგუნებდა და მოღიმარ უილს ვხედავდი, როცა გულში რაღაც ჩქეფდა, რაღაც ძალიან ტკბილი, რასაც სახელსაც ვერ ვარქმევდი... არაფერი მინდოდა, ცეკვის გარდა. ვცეკვავდი, ვიცინოდი და ოდნავადაც არ მერიდებოდა, ოდნავადაც არ მეუხერხულებოდა, არ მაინტერესებდა, ვინმე თუ დაგვინახავდა. ვგრძნობდი უილისმზერას და ვიცოდი, მანაც იცოდა, რომ ეს იყო ჩემი ერთადერთი სწორი პასუხი გასულ ათ დღეზე. ჯანდაბა... გასულ ექვს თვეზე.

სიმღერა დამთავრდა და სუნთქვაშეკრული მის ფეხებთან ქვიშაში ჩავჯექი.

– შენ...

– რა, მე? – ეშმაკურად გამეღიმა, – არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, რა ენერგია, რა ძალა მმართავდა.

თავი გადააქნია.

ავდექი. ისევ ფეხშიშველა ვიყავი. ეტლს მარჯვენა მხრიდან მივუდექი და მუხლებზე დავუჯექი. ჩვენს სახეებს ერთმანეთისგან რამდენიმე დუიმი აშორებდა. წინა ღამის მერე ამაში თითქოს განსაკუთრებულიც არაფერი იყო.

– შენ... – მის ლურჯ თვალებში გაღვივებული ცეცხლის ალი ირეკლებოდა. მზის, კოცონის, ციტრუსისა და კიდევ რაღაცის მკვეთრი სურნელი ასდიოდა.

ჩემ შიგნით რაღაც დაიძრა. რაღაც დიდი, რაღაც ღრმა.

– შენ... რაღაც სასწაული ხარ, კლარკ.

გავაკეთე ის ერთადერთი რამ, რაზეც იმ მომენტში ფიქრი შემეძლო. გადავიხარე და ტუჩები ტუჩებზე მივადე. შედრკა, სულ რამდენიმე წამით და მერე მანაც მაკოცა. იმ რამდენიმე წამით დამავიწყდა ყველაფერი... მილიონ ერთი მიზეზი, ეს რატომ არ უნდა მექნა, ჩემი შიშები, დამავიწყდა, რატომაც ვიყავით იქ. ვკოცნიდი, ვსუნთქავდი მისი კანის სუნს, ვგრძნობდი მის რბილ თმას ჩემ თითებქვეშ და როდესაც მანაც მაკოცა, საერთოდ

ყველაფერი გაქრა, აორთქლდა. დავრჩით მხოლოდ ჩვენ, მე და უილი... სადღაც გადაკარგულ კუნძულზე, ათასობით მოკიაფე ვარსკვლავით თავზე.

უცებ უკან დაიხია.

– მე... მაპატიე. არა...

თვალები გავახილე. ხელი ავწიე და თითები ყვრიმალებს გავაყოლე. კანზე ზღვის მარილი ვიგრძენი.

– უილ... შენ შეგიძლია, შენ...

– არა, – ხმაში ფოლადი შეერია, – არ შემიძლია.

– არ მესმის.

– მე არ მინდა... ამის დაწყება.

– მე კი მგონია, რომ უნდა დაიწყო.

– არ შემიძლია... იმიტომ, რომ... არ შემიძლია, – ნერწყვი გადაყლაპა, – მე არ შემიძლია ვიყო ის მამაკაცი, ვინც მინდა, რომ შენ გვერდით იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ... – თვალებში შემომხედა, – ეს იქნება... ეს კიდევ ერთი შეხსენებაა იმისა, რაც არ ვარ, რაც არ შემიძლია. თვალს არ ვაშორებდი. შუბლი შუბლზე მივადე, ჩვენი სუნთქვა ერთმანეთში აირია. ჩუმად, ძალიან ჩუმად ვლაპარაკობდი. ისე, რომ მხოლოდ მას შეეძლო ჩემი გაგება.

– არ მაინტერესებს... რა გგონია, რომ შეგიძლია და რა – არა. ეს სამყარო არ იყოფა მხოლოდ თეთრ და შავ ფერებად. მე... მართლა... სხვა ადამიანებს ველაპარაკე, ვინც შენნაირ მდოგმარეობაშია და... იცი, რამდენი შესაძლებლობა არსებობს? რამდენი გზა, რომ ორივე ბედნიერები ვიყოთ?.. – ხმა ამიკანკალდა. თვალი გავუსწორე, – უილ ტრეინორ, – ვთქვი ისევ ჩუმად, – საქმე ესაა. მე მგონია, რომ ჩვენ...

– არა, ლუ... – წამოიწყო, მაგრამ შევაწყვეტინე.

– მე მგონია, რომ ჩვენ ყველაფერიც შეგვიძლია. ვიცი, რომ ეს არ არის სიყვარულის სტანდარტული ისტორია. ვიცი, რომ უამრავი მიზეზი არსებობს, რატომაც არ უნდა გეუბნებოდე იმას, რასაც ახლა გეუბნები. მაგრამ მიყვარხარ. გესმის? მიყვარხარ. პატრიკისგან რომ მოვდიოდი, ეს უკვე ვიცოდი. და მე მგონია, რომ ცოტათი შენც გიყვარვარ.

არაფერი უთქვამს, უხმოდ მიყურებდა და თვალებში უზარმაზარი ნაღველი ჩასდგომოდა. საფეთქლებიდან თმა გადავუწიე, თითქოს მინდოდა, რომ ამ ტკივილისგან გამეთავისუფლებინა. თავი მოატრიალა და შუბლი ხელისგულზე მომადო, თითქოს ისვენებსო ასე.

ნერწყვი ჩაყლაპა.

– მე რაღაც მაქვს შენთვის სათქმელი.

– ვიცი, – ვთქვი ჩურჩულით, – ყველაფერი ვიცი.

ბაგე მოკუმა. ჩვენ ირგვლივ თითქოს დრო გაჩერდა.

– ვიცი შვეიცარიაზე... ვიცი, სამსახურში მარტო ექვსი თვით რატომ ამიყვანეს.

ჩემი ხელისგულიდან თავი აიღო. შემომხედა და მერე ცას ახედა. მხრები უთრთოდა.

– მე ყველაფერი ვიცი, უილ. უკვე თვეებია, ვიცი. უილ... გთხოვ, მომისმინე, – მისი მარჯვენა ხელი ხელში ავიღე და გულთან მივიტანე, – ვიცი, რომ ჩვენ ამას შევძლებთ.

ვიცი, რომ ეს არ არის შენი არჩევანი, მაგრამ მე ვიცი, ბედნიერი როგორ გაგხადო. ერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ შენ... შენ მე სრულიად სხვა ადამიანად მაქციე. ისეთად, როგორადაც საკუთარი თავის წარმოდგენა არ შემეძლო. შენ მე მაბედნიერებ, უილ, მაშინაც კი მაბედნიერებ, როცა საზიზღრად იქცევი. მირჩევნია, შენ გვერდით ვიყო... შენ გვერდით, ანუ ადამიანთან, რომელიც, შენი აზრით, საამისოდ არ გამოდგება, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადამიანთან დედამიწის ზურგზე.

ვგრძნობდი, როგორ დაეძაბა თითები, როგორ მიჭერდა და ეს გამბედაობას მმატებდა.

– თუ ის გეხამუშება, რომ შენთან ვმუშაობ, მაშინ წავალ და სხვაგან ვიმუშავებ. სულ მინდოდა, რომ შენთვის მეთქვა – კოლეჯში სწავლის გაგრძელებას ვაპირებ. განაცხადი უკვე შევავსე. ინტერნეტში, იცი, რამდენირამ მოვიძიე? სხვა ადამიანებსაც ველაპარაკე, ვისაც კვადრიპლეგია აქვს, მათ მომვლელებსაც... იმდენი რამ ვიცი, იმდენი რამ ვიცი, როგორ გამოგვივიდეს ყველაფერი ისე, როგორც გვენდომება.... მე ეს შემიძლია... მე შენთან მინდა. გესმის? უკვე ყველაფერზე ნაფიქრი მაქვს, ყველაფერი გარკვეული მაქვს. ესაა, რასაც ვგრძნობ ახლა. შენი ბრალია... შენ შემცვალე, – ცრემლნარევი სიცილი წამსკდა, – ჩემ დას დამამსგავსე. უბრალოდ, მე უკეთესად მაცვია.

თვალები დახუჭა. ხელები ჩავკიდე, მისი თითები ჩემს ტუჩებთან მივიტანე და ვაკოცე. ვეხებოდი მის კანს, ვგრძნობდი მის სითბოს და ვიცოდი, რომ ამას ვერაფრის ფასად დავთმობდი. შემეძლო, მის თვალებში უსასრულოდ მეცქირა.

– რას იტყვი? – ვკითხე ჩურჩულით.

იმდენად ჩუმად თქვა რაღაც, რომ, მეგონა, მომესმა.

– რა?

– არა, კლარკ.

– არა?

– მაპატიე. ეგ არ არის საკმარისი.

მისი ხელი დავუშვი.

– არ მესმის.

ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია. თავს ებრძოდა, წვალობდა, სიტყვებს არჩევდა.

– ეგ არ არის ჩემთვის საკმარისი. ეს... არ არის ჩემი სამყარო, თუნდაც შენთან ერთად. მერწმუნე, ლუ... ჩემი ცხოვრება ბევრად უკეთესი გახდა, რაც შენ შემოხვედი მასში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ეს არ არის ის ცხოვრება, რომელიც მე მინდა.

ახლა მე დავიხიე უკან.

– ჰო, მესმის... მე შეიძლება მქონდეს კარგი ცხოვრება. შენ რომ ჩემ გვერდით იქნები, ეს ძალიან კარგი ცხოვრებაც შეიძლება იყოს, მაგრამ... ეს მაინც არ არის ჩემი ცხოვრება. მე იმ ადამიანებს არ ვგავარ, ვისაც შენ ელაპარაკე, ლუ. მე არ მინდა ასეთი ცხოვრება, არ შემიძლია ამის ატანა, – ხმა გაბზარვოდა, უწყდებოდა. მისი სახის გამომეტყველება მაშინებდა.

ნერწყვი ძლივს გადავყლაპე.

– შენ... შენ ხომ ერთხელ მითხარი, რომ ციხე-სიმაგრის ლაბირინთში იმ ერთ ღამეს არ უნდა განესაზღვრა, ვინ ვიყავი, რა ვიყავი და რა მინდოდა. შენ მითხარი, რომ მე თავად

უნდა გამეკეთებინა არჩევანი. შენ... შენც ნუ მისცემ უფლებას ამ ეტლს, რომ განგისაზღვროს, ვინ ხარ და რა გინდა, უილ.

– მაგრამ ის მე მაინც განმსაზღვრავს, ლუ. შენ მე არ მიცნობ. მართლა არ მიცნობ. მანამდე არასდროს გინახავვარ. მე მიყვარდა ჩემი ცხოვრება. ძალიან მიყვარდა. მიყვარდა ჩემი საქმე, მოგზაურობა, ყველაფერი, რასაც ვაკეთებდი. მიყვარდა ვარჯიში, მოტოციკლის ტარება, სიმაღლეების დაპყრობა, მოწინააღმდეგეების დამარცხება ბიზნესში. მიყვარდა სექსი. ბევრი სექსი. მე მქონდა ცხოვრება, – ხმა ჩაუვარდა, – მე ამ ეტლისთვის არ ვარ შექმნილი, მაგრამ მიუხედავად ჩემი სურვილებისა, მაინც ის განმსაზღვრავს. ესაა ახლა ერთადერთი რამ, რაც მე განმსაზღვრავს.

– შანსიც კი არ მომეცი, – ვთქვი ჩურჩულით. ჩემი ხმა თითქოს მე არც მეკუთვნოდა, – ერთი შანსიც კი არ მომეცი.

– შანსის მიცემაში არაა საქმე. ექვსი თვე თვალს გადევნებდი და ვხედავდი, როგორ იცვლებოდი, სხვა ადამიანად გარდაისახებოდი – ადამიანად, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერებას ახლაღა იწყებს. შენ ვერ წარმოიდგენ, ეს რამხელა ბედნიერებას მანიჭებდა. არ მინდა, რომ ჩემზე იყო მოჯაჭვული, ჩემს გეგმიურ ვიზიტებზე საავადმყოფოებში, ჩემს ცხოვრებისეულ შეზღუდვებზე. არ მინდა, რომ გაუშვა ხელიდან ყველაფერი, რაც სხვა შენთვის შესაფერის ადამიანს შეუძლია, რომ მოგცეს. და იცი, რა... ყველაზე მეტად არ მინდა, ერთ დღესაც შემომხედო და თუნდაც სულ ოდნავ მაინც ინანო შენი არჩევანი, შეწუხდე, რომ...

– ეგ არასდროს მოხდება.

– რა იცი, კლარკ. წარმოდგენა არ გაქვს, როგორ წარიმართება ჩვენი ცხოვრება. რა იცი, რას იგრძნობ აქედან ექვს თვეში? არ მინდა, გიყურებდე ყოველდღე, შიშველს გხედავდე, შენს გიჟურ კაბებში გამოწყობილს... ყოველდღე... მე კიდევ არ შემეძლოს, გიქნა ის, რაც მინდა, რომ გიქნა. ოჰ, კლარკ... შენ რომ წარმოდგენა მაინც შეგეძლოს რას მინდა ვაკეთებდე ახლა, ამ წუთას, შენთან ერთად... მე... მე არ შემიძლია ამ ფიქრებით ცხოვრება. არ შემიძლია. ეს ადამიანი მე არ ვარ. მე ვერ ვიქნები ადამიანი, რომელიც უბრალოდ იღებს იმას, რასაც აძლევენ.

ეტლს დახედა. ხმა უთრთოდა.

– მე ვერასდროს მივიღებ ამას.

ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა.

– გთხოვ, უილ. გთხოვ... ამას ნუ ამბობ. უბრალოდ, შანსი მომეცი. ჩვენ თავს მიეცი ერთი შანსი.

– შშშ... მისმინე. კარგად მომისმინე, რას გეტყვი. ეს... ეს ღამე... ეს არის ყველაზე დიდი რამ, რაც შეგეძლო, ჩემთვის მოგეცა. ის, რაც შენ მითხარი, რაც გააკეთე, რომ აქ ჩამოგეყვანე... ის, რომ იმ ნაბიჭვარ ადამიანში, როგორიც გამიცანი, დაინახე რაღაც, რაც შეიყვარე... ეს მე მაბედნიერებს, ლუ. მაგრამ... – თითებზე მისი თითების შეხება ვიგრძენი, – ეს აქვე უნდა დასრულდეს. აღარ მინდა ეს ეტლი, აღარ მინდა პნევმონია, წვა კიდურებში. ტკივილი, დაღლილობა... აღარ მინდა ვიღვიძებდე ყოველ დილით და ვნატრობდე, რომ ყველაფერი მალე დასრულდეს. როცა ინგლისში დავბრუნდებით, შვეიცარიაში წავალ. და

თუ შენ მართლა გიყვარვარ, ლუ, თუ მართლა ამბობ, რომ გიყვარვარ, ყველაზე მეტად ბედნიერს ის გამხდის, თუ ჩემთან ერთად წამოხვალ.

თავბრუ დამეხვა.

– რა?

– ამაზე უკეთესად მე ვერ გავხდები. თანდათან ჩემი მდგომარეობა სულ უფრო მეტად დამძიმდება და ჩემი უბადრუკი ცხოვრება კიდევ უფრო უბადრუკი გახდება. ამას ექიმებიც ადასტურებენ. წინ კიდევ ბევრი ცუდი რამ მელის. ვგრძნობ. აღარ მინდა მტკიოდეს, აღარ მინდა ამ ეტლში ჯდომა, აღარ მინდა სხვაზე ვიყო დამოკიდებული, აღარ მინდა შიშში ცხოვრება... ამიტომ გთხოვ... თუ შენ მართლა გრძნობ იმას, რაც მითხარი... მაშინ გააკეთე ეს. იყავი ჩემ გვერდით. შეხვდი ჩემთან ერთად იმ დასასრულს, რაზეც ყველაზე მეტად ვოცნებობ.

შეძრწუნებულმა შევხედე. ყურებში სისხლი ისე მიშხუოდა, მისი ხმა ძლივს მესმოდა.

– ამას როგორ მთხოვ?

– ვიცი, ვიცი, ეს...

– მე გითხარი, რომ მიყვარხარ, რომ შენთან ერთად მომავლის გეგმებს ვაწყობ. შენ კიდე მეუბნები, რომ წამოვიდე და გიყურო, თავს როგორ იკლავ?

– მაპატიე. არ მინდოდა, რომ ეს ასე უხეშად მეთქვა. მაგრამ დრო აღარ მაქვს, ლუ.

– რა? რატომ? თვითმფრინავის ბილეთები უკვე დაჯავშნე? რამე შეხვედრა გაქვს დანიშნული და ვერ გააცდენ, თუ?

სასტუმროსთან ხალხი იდგა და ჩვენკენ იყურებოდა. შეიძლება ჩვენი ყვირილში გადასული ლაპარაკი ესმოდათ კიდეც, მაგრამ ეს სულ არ მადარდებდა.

– ჰო, – თქვა უილმა მცირედი პაუზის შემდეგ, – ასეა. კონსულტაციები უკვე გავიარე. კლინიკამ მიიღო ჩემი განაცხადი და დამიდასტურა, რომ პირობებს ვაკმაყოფილებ. ჩემი მშობლებიც დათანხმდნენ. 13 აგვისტო... წინა დღით უნდა გავფრინდეთ.

გონება ამერია. იქამდე ერთი კვირაც კი აღარ იყო დარჩენილი.

– არ მჯერა...

– ლუისა...

– მე... მე მეგონა, რომ გადაგაფიქრებინებდი.

თავი გვერდზე გადასწია და ისე შემომხედა. ხმა მშვიდი ჰქონდა, მზერა – თბილი.

– ლუისა, ამას ვერავინ და ვერაფერი გადამაფიქრებინებდა. ჩემს მშობლებს ექვს თვეს დავპირდი და პირობა შევასრულე. ეს ექვსი თვე მივეცი. შენ ეს დრო ჩემთვის ისეთი ძვირფასი გახადე, რომ ამას ვერც კი წარმოიდგენ. შენ მიეცი აზრი ამ თვეებს...

– არ გინდა!

– რა?

– აღარაფერი მითხრა! – ვგრძნობდი, სული მეხუთებოდა, – ისეთი ეგოისტი ხარ, უილ. ისეთი სულელი. თუნდაც დაგეშვა, რომ შვეიცარიაში გამოგყვებოდი... თუნდაც ფიქრობდე, რომ ამის გაკეთება შემიძლია... იმ ყველაფრის მერე, რაც შენთვის გავაკეთე, რაზეც გელაპარაკე, სათქმელი მეტი არაფერი გაქვს? გული ამოვიგლიჯე, წინ დაგიდე და მეუბნები, რომ „იცი რა? არა, შენ არ ხარ საკმარისი. ამიტომ ახლა წამოდი და მიყურე,

როგორ ჩავიდენ ყველაზე დიდ საშინელებას, რისი წარმოდგენაც კი შენს ძალებს აღემატება.“ ამის მეშინოდა, ამას გავურბოდი იმ დღიდან, როცა გავიგე. ხვდები მაინც? ოდნავ მაინც შეგიძლია წარმოიდგინო, რას მთხოვ?

საკუთარ თავს აღარ ვგავდი. შევიშალე, მის წინ ვიდექი და ვკიოდი.

– თავში ქვა გიხლია, უილ ტრეინორ! თავში ქვა გიხლია! ნეტავ შენთან მუშაობა არასდროს დამეწყო, ნეტავ არასდროს გამეცანი!

ცრემლები წამსკდა, პლაჟზე გავიქეცი, სასტუმროში, ჩემ ნომერში მინდოდა, მისგან შორს. მისი ხმა, ძახილი, ჩემი სახელი დიდხანს რეკდა ყურებში მას შემდეგაც, რაც ოთახის კარი მივიჯახუნე.

XXIV

არაფერი აცბუნებს რიგით გამვლელს იმაზე მეტად, ვიდრე მამაკაცი ეტლში, რომელიც ქალს, წესით, მისი მოვლა რომ ევალება, პატიებას ევედრება. სახალხოდ გაუბრაზდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს, სარისკო საქმეა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას მოძრაობა არ შეუძლია და მშვიდად, მოფერებით გეუბნება: „კლარკ, გთხოვ, მოდი ჩემთან, გთხოვ.“

მაგრამ არ შემეძლო. მისთვის შეხედვაც კი არ შემეძლო. უილის ბარგი ნათანმა ჩაალაგა და ორივეს დილით, სასტუმროს ლობიში შევხვდი. ნათანი ნაბახუსევი და დარეტიანებული იყო. იმ მომენტიდან, როგორც კი ისევ ერთმანეთის კომპანიაში აღმოვჩნდით, უარი ვთქვი, უილთან რამე საერთო მქონოდა. გაცოფებული და სასტიკად გულნატკენი ვიყავი. თითქოს შინაგანი ხმა დაჟინებითა და რისხვით, მკაცრად მოითხოვდა ჩემგან, რომ მისგან თავი შორს დამეჭირა. წავსულიყავი სახლში. აღარასდროს მენახა.

– კარგად ხარ? – მკითხა ნათანმა ჩურჩულით.

აეროპორტში რომ მივედით, მაშინვე ჩამოვშორდი და სარეგისტრაციო მერხთან მივედი.

– არა, – ვუპასუხე ნათანს, – მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ მინდა.

– ნაბახუსევის ბრალია?

– არა.

ციტა ხანს სიჩუმე ჩამოწვა.

– ეს ის არის, რაც მე მგონია? – ისეთი სახით მკითხა, ეტყობოდა, უცებ გამოფხიზლდა. ლაპარაკიკს თავიც არ მქონდა. თავი დავუქნიე. თვალებში ვუყურებდი. შევამჩნიე, როგორ გაუქვავდა ნიკაპი. მაგრამ ნათანი მაინც უფრო მეტად ძლიერი იყო, ვიდრე მე. პროფესიონალი იყო ბოლოს და ბოლოს. რამდენიმე წუთში უილთან დაბრუნდა. ვხედავდი, ჟურნალში რაღაცას აჩვენებდა და რომელიღაც მათთვის ნაცნობი საფეხბურთო გუნდის პერსპექტივებზე ელაპარაკებოდა. ვუყურებდი და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, მათი შემხედვარე, ვერავინ მიხვდებოდა, სინამდვილეში რა ხდებოდა. მთელი ის დრო, აეროპორტში მოცდა რომ გვიწევდა, ვდილობდი თავი რაღაცით დამეკავებინა. რა აღარ დავივალე. ყურადღებას ვაქცევდი ბარგის სანიშნებს, შევისწავლე გაზეთები, ვიყავი ტუალეტში. რას არ ვიზამდი, ოღონდ ის არ დამენახა. მაგრამ ხანდახან

ნათანი სადღაც გაუჩინარდებოდა ხოლმე. ერთმანეთთან მარტოები ვრჩებოდით. გვერდიგვერდ ვისხედით, ჰაერი ჩვენ გარშემო გამოუთქმელი ურთიერთბრალდებებით ივსებოდა.

– კლარკ... – რაღაცის თქმა დააპირა.

– არ გინდა, – მაშინვე გავაწყვეტინე. – შენთან ლაპარაკი არ მინდა.

საკუთარი თავის თვითონვე მიკვირდა. თურმე, რა ცივი, შემეძლო, ვყოფილიყავი. სტიუარდესები ყველაზე მეტად გავაოცე. რამდენჯერმე თვალი მოვკარი, ერთმანეთში როგორ ჩურჩულებდნენ, როცა უილს ზურგს ვაქცევდი, ყურსასმენებს ვიკეთებდი და დემონსტრაციულად ვიყურებოდი ფანჯარაში.

პირველად ცხოვრებაში არაფერზე გაბრაზებულა. ეს ყველაზე უარესი იყო. არც ბრაზობდა, არც სარკასტულ კომენტარებს აკეთებდა, უბრალოდ, უფრო ჩუმი გახდა და ბოლოს თითქმის სულ დადუმდა. საწყალი ნათანი საუბრის გაბმას უშედეგოდ ცდილობდა, გვეკითხებოდა, რას დავლევდით, გვაწვდიდა ჩაის პაკეტებს, მიწის თხილს. მორიდებით გვთხოვდა, ტუალეტში გამატარეთო.

ახლა ეს ყველაფერი, ალბათ, ბავშვურად ჟღერს, მაგრამ მე მხოლოდ სიამაყე კი არ შემბღალვია. ამის ატანა არ შემეძლო. არ შემეძლო იმ აზრთან შეგუება, რომ ვკარგავდი, რომ ასეთი ჯიუტი იყო, რომ არაფრით შეეძლო კარგის დანახვა, რომ არ გადაიფიქრებდა. ვერც ის გამეგო, ამ თარიღს, ასე რატომ ჩააცივდა და ისე რატომ მიიჩქაროდა, თითქოს რაღაც კასტინგზე აგვიანებდა. თავში მილიონი კითხვა და მილიონი სავარაუდო პასუხი მიტრიალებდა. „რატომ არ არის შენთვის ეს საკმარისი, მე რატომ არ ვარ საკმარისი? რატომ არ შეგიძლია, რომ უბრალოდ მენდო. უფრო მეტი დრო რომ გვქონოდა, ეს მაინც მოხდებოდა?“ საკუთარ თავს წარამარა ვიჭერდი, რომ მის მამაკაცურ, გარუჯულ ხელებს დავყურებდი, ჩემი ხელებს რამდენიმე დიუიმი რომ აშორებდათ. ჩვენი ერთმანეთში გადახლართული თითები მახსენდებოდა, მისი სითბო... ილუზია, რომ ამ უმოძრაო მდგომარეობაშიც კი მის ხელებიდან ძალა მოდიოდა. ყელში ბურთი გამეჩხირა. მივხვდი, რომ ვეღარ ვსუნთქავდი. ტუალეტში შევიკეტე და ხელსაბანზე თავჩახრილმა ჩუმად ვიტირე.

დროდადრო ფიქრი იმაზე, რის გაკეთებას აპირებდა, მთელი სიმწვავით თავიდან შემომიტევდა და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ მეყვირა. ასე მეგონა, ჭკუიდან ვიშლებოდი. ცოტა მაკლდა სკამებს შორის გასასვლელში ჩავმჯდარიყავი და ყმუილი დამეწყო, სანამ ვინმე ძალით არ ამაგდებდა, ან არ დამარწმუნებდა, რომ უილი ამას არ გააკეთებდა.

ბავშვივით ვიქცეოდი – ასე ჩანდა. რომ მხედავდნენ უილს არ ველაპარაკებოდი, არ ვუყურებდი, არც კი ვაჭმევდი, სტიუარდესები საერთოდ უგულო და სასტიკ ადამიანად მიმიჩნევდნენ, ალბათ. მაგრამ ერთადერთი გზა მეგულებოდა, რომ მასთან ამ იძულებითი სიახლოვისთვის გამეძლო – თავს თუ ისე დავიჭერდი, ვითომ იქ საერთოდ არ იყო. დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, ნათანი თავს ყველაფერს მარტო გაართმევდა, თვითმფრინავის ბილეთსაც გადავცვლიდი. საერთოდ გავქრებოდი, სანამ არ

დავრწმუნდებოდი, რომ ჩემსა და უილ ტრეინორს შორის მთელი კონტინენტი ჩამოწოლილიყო და არა რამდენიმე აუტანელი დიუიმი.

უილს და ნათანს რომ ჩაეძინათ, ოდნავი შვება მაშინ ვიგრძენი. დაძაბულობა სულ ოდნავ მომეხსნა. ტელევიზორის ეკრანს მივაჩერდი. ყოველი მილი, რაც ინგლისთან გვაახლოებდა, გულს უფრო მიმძიმებდა და შფოთვას მიძლიერებდა. ახლა დავიწყე ფიქრი, რომ ეს ჩემი მარცხი მხოლოდ მე კი არ მიღებდა ბოლოს, უილის მშობლებსაც. ისინი, ალბათ, მე დამადანაშაულებდნენ. უილის დას, შეიძლება, საერთოდაც სასამართლოში ეჩივლა. მე ვერ შევძელი, რომ უილი გადამერწმუნებინა. ყველაფერი შევთავაზე, რაც შემეძლო, საკუთარი თავის ჩათვლით, მაგრამ არაფერი... ერთი მიზეზიც კი ვერ მივეცი, რომ ეცოცხლა.

ვფიქრობდი, იქნებ ვინმე ჩემზე უკეთესს იმსახურებდა და იმიტომ. ვინმეს... უფრო ჭკვიანს. მაგალითად, ჩემი დისნაირს... ადამიანს, რომელიც რაღაც უკეთესს მოიფიქრებდა, რომელიღაც იშვიათ სამედიცინო კვლევას გამოძებნიდა, რაღაცას იპოვიდა, რაც უილს დაეხმარებოდა. აი, ასეთი ადამიანი შეძლებდა, რომ გადაერწმუნებინა. ძარღვებში სისხლი მეყინებოდა იმის წარმოდგენაზე, რომ მთელი ცხოვრება ამ აზრით, ამ რწმენით უნდა მეცხოვრა.

– წყალი გინდა, კლარკ? – ფიქრებს უილის ხმა მაწყვეტინებდა.

– არა, გმადლობ.

– იდაყვით ძალიან ხომ არ გაწვები?

– არა.

მხოლოდ ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში, სიბნელეში, მივეცი თავს უფლება, რომ მისთვის შემეხედა. ეკრანიდან მზერა გვერდით გავაპარე, ტელევიზორების სუსტი სხივების ფონზე ჩუმად ვუყურებდი. ვუყურებდი მის გარუჯულ, ლამაზ სახეს, ძილში დამშვიდებულს. ლოყაზე ერთადერთი ცრემლი ჩამომიგორდა. თითქოს ჩემი მზერა იგრძნოო, ძილში შეიშმუშნა, მაგრამ არ გაღვიძებია. ახლა ვერავინ მხედავდა, ვერც სტიუარდესები, ვერც ნათანი. საბანი ავუწიე, ყელამდე მივაფარე და გვერდებში შევუკეცე, რომ სალონის კონდიციონერქვეშ არ გაციებულიყო.

* * *

ტრეინორები ჩამომსვლელთა დარბაზის შესასვლელთან დაგვხვდნენ. ასეც ვიცოდი. არ ვიცი, რატომ. გულის რევის შეგრძნება მიწაზე ფეხის დადგმისთანავე დამეუფლა. პასპორტის კონტროლი რამდენიმე წუთში და უპრობლემოდ გავიარეთ. არადა, ვნატრობდი შევფერხებულიყავით, საათობით რიგში ვმდგარიყავით. თუნდაც, დღეები ვმდგარიყავით. მაგრამ ყველაფერი ძალიან მალე დასრულდა. მე ბარგი მიმქონდა. ნათანი უილს ეხმარებოდა. მინის კარი გაიღო. იქვე იდგნენ, რკინის ბარიერთან, გვერდიგვერდ, შეხმატკბილებული ოჯახივით. დავინახე, მისის ტრეინორს უილის დანახვაზე სახე წამიერად როგორ გაუნათდა. „რა თქმა უნდა, ისე კარგად გამოიყურება“, – ვიფიქრე მე. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიარო, სასწრაფოდ მზის სათვალე გავიკეთე. ცხადია,

დაღლილობის დასამალად არა. არ მინდოდა, მაშინვე, ერთი შეხედვით ამოეკითხა ჩემს სახეზე ის საშინელება, რისი თქმაც მომიწევდა.

– ერთი შეხედეთ! – წამოიყვირა აღტაცებით, – უილ, გადასარევად გამოიყურები. მართლა გადასარევად.

უილის მამაც შედგა, სახეზე ღიმილი გადაეფინა, შვილს ეტლზე და მუხლზე ხელი დაჰკრა.

– დაჯერებაც კი გვიჭირდა, ნათანი რომ გვეუბნებოდა, ყოველდღე პლაჟზე გადის და ირუჯებაო, ცურავსო! წყალი როგორი იყო, თბილი და კამკამა, არა? რაც წახვედით, აქ სულ კოკისპირულად წვიმს. ტიპური ინგლისური აგვისტო!

რა თქმა უნდა! ნათანი ყველაფერს სწერდა, ურეკავდა და ელაპარაკებოდა. აბა, უამისოდ რას გაგვიშვებდნენ.

– საოცარი ადგილია, – თქვა ნათანმა. ისიც გაყუჩებული იყო, მაგრამ ახლა ცდილობდა გაეღიმა, ისეთი ყოფილიყო, როგორიც ჩვეულებრივ.

თითქოს სხეული გამეყინა. პასპორტს ისე ჩავფრენოდი, გეგონებოდათ, კიდევ სადმე წასვლას ვაპირებდი. ძალდატანებით ვსუნთქავდი.

– ვიფიქრეთ, რომ განსაკუთრებული სადილი მოგიხდებოდათ, – თქვა უილის მამამ. – შესანიშნავი რესტორანია „ინტერკონტინენტალი“. შამპანური ჩვენზეა. აბა, რას იტყვით? მე და დედაშენმა ვიფიქრეთ, რომ გესიამოვნებოდათ.

– რა თქმა უნდა, – თქვა უილმა.

დედას უღიმოდა და ისიც ისეთი სიყვარულითა და სითბოთი უყურებდა, თითქოს ეს წამი სამუდამოდ უნდოდა, რომ გაეჩერებინა. „როგორ არ გცხვენია? როგორ შეგიძლია, ასე უნამუსოდ თვალებში უყურებდე და ცოტა ხანში ასეთ რამეს უმზადებდე?!“ – თავს ძლივს ვიკავებდი, რომ არ მეყვირა.

– მაშ, წავედით. მანქანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის განკუთვნილ პარკირების ადგილზე მიყენია. აქვე ახლოს არის. დარწმუნებული ვიყავი, რომ დაღლილები იქნებოდით. ნათან, ხომ არ მოგეხმარო, ჩანთების ნაწილს მე წამოვიღებ. ჩემმა ხმამ საუბარი გააწყვეტინათ.

– იცით... – ვთქვი და ჩემი ბარგი ურიკიდან ჩამოვიღე, – მე წავალ. მაგრამ დიდი მადლობა შემოთავაზებისთვის.

ყურადღება ჩანთაზე გადავიტანე, მათ მზერას ვარიდებდი, მაგრამ აეროპორტის გუგუნშიც კი ვიგრძენი ის სიჩუმე, რაც ჩემს სიტყვებს მოჰყვა.

ხმა პირველმა მისტერ ტრეინორმა ამოიღო.

– კარგით, რა, ლუისა. მოდით, თქვენი დაბრუნება აღვნიშნოთ. მოგვიყევით, როგორ დაისვენეთ. ამ კუნძულის შესახებ ყველაფერი მაინტერესებს. პირობას გაძლევთ სულ-სულ ყველაფერს არ მოგაყოლებთ, – ჩაიხითხითა.

– რა თქმა უნდა, – მკაცრი ხმით დაამატა მისის ტრეინორმა, – წამოდით, ლუისა.

– არა, არა, – ნერწყვი ძლივს გადავყლაპე და გაჭირვებით გავიღიმე. მზის სათვალე ფარივით მიცავდა, – გმადლობთ, მაგრამ მართლა მირჩევნია, წავიდე.

– სად? – მკითხა უილმა.

მივხვდი, რას გულისხმობდა. წასასვლელი, რეალურად, არსად მქონდა.

– ჩემი მშობლების სახლში მივალ, – ვთქვი მე.

– არ წახვიდე, კლარკ, გთხოვ, – თბილი ხმა ჰქონდა.

ტირილი მინდოდა. მაგრამ დარწმუნებით ვიცოდი, მის გვერდით ყოფნა არ შემეძლო.

– არა, გმადლობთ. სასიამოვნო დღეს გისურვებთ, – ჩანთა მხარზე გადავიკიდე. სანამ რომელიმე კიდევ რამეს იტყოდა, სწრაფად გავშორდი და ხალხს შევერიე. თითქმის უკვე ავტობუსის გაჩერებასთან ვიყავი, მისი ხმა რომ გავიგე. კამილა ტრეინორი ასფალტზე ქუსლების კაკუნით მომდევდა, ხან მოდიოდა, ხან ნაბიჯს სირბილით აუჩქარებდა.

– ლუისა, შეჩერდით, გთხოვთ, შეჩერდით.

შევბრუნდი. ზურგჩანთიან მოზარდებს მსუბუქად ხელით გვერდზე უბიძგებდა, ხალხის ნაკადში გზას ისე მოიკვლევდა, როგორც მოსე – ზღვის ტალღებში. თმაზე აეროპორტის სინათლეს სპილენძისფრად ირეკლავდა. დიდი ნაცრისფერი შარფი მოეხვია, რომელიც ცალ მხარზე ელეგანტურად ჰქონდა გადაგდებული. დაბნეულად გავიფიქრე, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ რა ლამაზი ქალი იქნებოდა-მეთქი.

– გთხოვთ, შეჩერდით. დამელოდეთ.

გავჩერდი. ზურგს უკან ხალხს გავხედე, ავტობუსის გაჩერებას. ვიფიქრე, ნეტავ მალე მოვიდეს, რომ აქედან გავაღწიო და შორს წავიდე-მეთქი. ვნატრობდი, რამე მომხდარიყო, რაც ამ საუბარს ამარიდებდა. თუნდაც ეს მიწისძვრა ყოფილიყო.

– ლუისა.

– მშვენიერი დრო გაატარა, – მოკლედ მოვუჭერი, მჭახედ. კიდევაც ვიფიქრე, რა უცნაურია, მისნაირად ვლაპარაკობ-მეთქი.

– კარგად გამოიყურება. გადასარევად, – დაჟინებით მომაჩერდა. ჩუმად იდგა, მტკიცედ, უძრავად... ირგვლივ ტალღებად მოძრავი ხალხის ნაკადში.

არ ვლაპარაკობდით.

დუმილი მე დავარღვიე.

– მისის ტრეინორ. მინდა, იცოდეთ. მე არ შემიძლია... აღარ შემიძლია ეს ბოლო რამდენიმე დღე კიდევ თქვენთან მუშაობა. ჩემი არაფერი გმართებთ. ფული არ მჭირდება. ეგ კი არადა, ამ თვის ანაზღაურებაც არ მინდა. არაფერი მინდა. უბრალოდ...

გაფითრდა. დავინახე, როგორ ერთბაშად დაეკარგა სახიდან ყველა ფერი და ნაცრისფერი დაედო. მისტერ ტრეინორი შევამჩნიე, მის უკან ხალხში აჩქარებით რომ მოდიოდა. ერთი ხელით თავზე პანამა ეჭირა, რომ სიარულში არ მოხდოდა. გზას მუჯლუგუნებითა და ბოდიშის მოხდით მოიკვლევდა. მე და მისის ტრეინორი რამდენი ფუტის დაშორებით ვიდექით. თვალს არ გვაშორებდა.

– თქვენ... თქვენ ხომ თქვით, თავს ბედნიერად გრძნობსო. ფიქრობდით, რომ ეს მოგზაურობა გადაწყვეტილებას შეაცვლევინებდა, – სასოწარკვეთილი ხმა ჰქონდა, თვალებით მევედრებოდა, რომ რაღაც კიდევ მეთქვა, რაღაც, რაც იმედს მისცემდა. მაგრამ მე ლაპარაკი არ შემეძლო. უხმოდ შევყურებდი და ერთადერთი, რაც მოვახერხე ის იყო, რომ თავი ძლივს შესამჩნევად გავაქნიე.

– მაპატიეთ, – ისე ჩუმად ჩავიჩურჩულე, ალბათ, ვერც გაიგო.

მის ქმარს ჩვენამდე ერთი ნაბიჯი აშორებდა, როცა მუხლი მოეკვეთა. თითქოს ფეხებმა უმტყუნა. მისტერ ტრეინორმა მარცხენა ხელის შეშველება მოასწრო და დაიჭირა, რომ არ დაცემულიყო. მისის ტრეინორს პირი დაეღო, ალბათ, ფილტვებში ჰაერი აღარ გადასდიოდა.

მისტერ ტრინორს პანამა ძირს დაუვარდა. გაოცებით ამომხედა, ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა.

თვალს ვერ ვუსწორებდი. შევბრუნდი და ხმის ამოუღებლად წავედი. ნაბიჯებს ისე ვდგამდი, ვერც ვაცნობიერებდი, თითქოს, ეს მე არ ვიყავი. შორს, აეროპორტისგან შორს უნდა წავსულიყავი. არ ვიცოდი, სად, მაგრამ აქედან შორს.

XXV კატრინა

მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა, ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში ლუისა

თავისი ოთახიდან არ გამოსულა. აეროპორტიდან სახლში კვირას, გვიან საღამოს მოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ გარუჯული იყო, ისე გაფითრებულიყო, აჩრდილს ჰგავდა. მაგრამ როცა გამოგვიცხადა, დილით გნახავთო, ამას თავიდან ვერ მივხვდით. „გამოძინება მინდა“,

– მხოლოდ ეს გვითხრა, ოთახში შეიკეტა და ლოგინში ჩაწვა. ცოტა უცნაურად კი მოგვეჩვენა, მაგრამ რას წარმოვიდგენდით? ბოლოს და ბოლოს, ლუ დაბადებიდანვე თავისებური იყო.

დილით დედამ ჩაი აუტანა, მაგრამ არც კი განძრეულა. ვახშმობის დრო რომ დადგა, დედა უკვე ანერვიულდა და საწოლში შეანჯღრია, ხომ ცოცხალიაო. მართალია, ზოგადად, მელოდრამატული ქალი იყო, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, იმ საღამოს თევზის ღვეზელი გაეკეთებინა და არ უნდოდა, ლუს ეს გამოეტოვებინა. მაგრამ მან საჭმელზეც უარი თქვა. არ ლაპარაკობდა და არც ქვემოთ ჩამოდიოდა.

– ცოტა ხანს ასე მინდა ყოფნა, დედა, – თქვა ბალიშში თავჩარგულმა და დედამაც თავი დაანება.

– თავის თავს არ ჰგავს, – მითხრა, როცა ლუს ოთახიდან გამოვიდა, – როგორ გგონიათ, პატრიკთან დაშორებაზე ხომ არ აქვს დაგვიანებული რეაქცია?

– პატრიკი სულ ფეხებზე ჰკიდია. ვუთხარი, რომ დარეკა. იმ თავის ვიკინგების შერკინებაზე ას ორმოცდამეჩვიდმეტე ადგილზე გასულა. გინდ ცარიელი კედელთან მეთქვა და გინდა, მაგისთვის. რეაქცია არ ჰქონია, – თქვა მამამ და ჩაი მოსვა, – ისე, რაღა დაგიმალოთ და, ას ორმოცდამეჩვიდმეტე ადგილით მეც ვერ აღვფრთოვანდებოდი.

– ავად ხომ არ არის? ასე ძილად მივარდნილს პირველად ვხედავ. რამე ტროპიკული დაავადება ხომ არ შეეყარა?

– ბიორიტმი აქვს დარღვეული, – გამოვაცხადე ავტორიტეტული ტონით. დედა და მამა ისე მიყურებდნენ, როგორც ექსპერტს, რომელმაც ყველაფერი იცის ისეთ რამეებზეც კი, რაზეც სინამდვილეში არცერთ ჩვენგანს აქვს წარმოდგენა.

– ბიორიტმი! მოგზაურობა თუ ამ დღეში აგდებს ადამიანს, მირჩევნია, მთელი ცხოვრება ტენბის არ გავცდე. რას იტყვი, ჯოზი, საყვარელო?

– რა ვიცი... რას წარმოვიდგენდი, რომ შვებულებამ ადამიანი ასე შეიძლება დააავადმყოფოს, – თავი გააქნია დედამ.

ვახშმის შემდეგ ზემოთ ავედი. კარზე არ დამიკაკუნებია. ბოლოს და ბოლოს, ვთქვათ სიმართლე, ეს ჩემი ოთახი იყო, მისი კი არა, თანაც, მთელი ის პერიოდი, რაც წასული იყო, ამ ოთახში მე ვცხოვრობდი. ასე რომ, იქ ყოფნის სრული უფლება მქონდა. ოთახში ჩახუთული და დაგუბებული ჰაერი იდგა. ფარდა გადავწიე და ფანჯარა გამოვაღე. ლუმ სინათლეს თვალი მოარიდა და საბანქვეშ გადაბრუნდა. შემოვარდნილ მზის სხივებზე მტრის ნაწილაკები ცეკვავდნენ.

– არ მეტყვი, რა მოხდა? – ჩაის ჭიქა საწოლის გვერდით ტუმბოზე დავუდგი.

თვალები დაახამხამა.

– დედას ჰგონია, რომ ებოლას ვირუსი შეგეყარა. მეზობლებს აფრთხილებს, ბინგო კლუბიდან პორტავენტურაში რომ აპირებდნენ წასვლას, ეგ არ ქნათო.

არაფერი მიპასუხა.

– ლუ.

– სამსახურიდან წამოვედი, – მითხრა ჩუმად.

– რატომ?

– შენი აზრით? – თავი აიძულა, წამომჯდარიყო. ჩაის ფინჯანს მისწვდა და დიდი ყლუპი მოსვა.

იმ ადამიანის კვალობაზე, რომელმაც თითქმის ორი კვირა მავრიკის კუნძულებზე გაატარა, საშინლად გამოიყურებოდა. თვალები დასიებოდა და დაწითლებოდა, მიუხედავად რუჯისა, ეტყობოდა, როგორ აჭრელებოდა კანი. თითქოს რამდენიმე წლის უძილო იყო. მაგრამ ამაზე უარესი სევდა იყო მის თვალებში. არასდროს მინახავს ჩემი და ასეთი სევდიანი.

– გგონია, რომ მაინც გააკეთებს... იმას?

თავი დამიქნია და ნერწყვი დიდი ძალისხმვით გადაყლაპა.

– ჯანდაბა... ლუ... ძალიან ვწუხვარ. ლოგინში შევძვერი და გვერდით მივწიე. ჩაი კიდევ მოსვა და მხარზე თავი დამადო.

ჩემი მაისური ეცვა. არაფერი მითქვამს. ახლა ხომ ხვდებით, როგორ განვიცადე მისი ამბავი.

– როგორ მოვიქცე, ტრინ?

ისეთი გაპარული ხმა ჰქონდა, როგორიც ტომასს აქვს ხოლმე, როცა რაღაცას იტკენს და ცდილობს, თავი გაიმაგროს. გარედან მეზობლის ძაღლის ყეფა ისმოდა. ღობის გაყოლებაზე დარბოდა და უბნის კატებს ერჩოდა. პერიოდულად ისტერიკულ ყეფას იწყებდა, ღობეზე ამოიტოტებოდა და ქუჩაში გაავებული იყურებოდა.

– არ ვიცი, რა შეგიძლია, რომ ქნა, ლუ. ღმერთო ჩემო. რამდენი რამ გააკეთე მისთვის, რამდენი ეცადე...

– ვუთხარი, რომ მიყვარს, – თქვა ჩურჩულით, – იმან კიდევ, ეგ საკმარისი არ არისო, – თვალები გაფართოებოდა. მზერა ცარიელი ჰქონდა, – ახლა როგორ უნდა ვიცხოვრო?

ოჯახში მე იმ ადამიანად ვითვლები, ვისაც ყველაფერზე აქვს პასუხი. ყველაზე მეტს ვკითხულობ. უნივერსიტეტში ვსწავლობ. მე ყველაფერი უნდა ვიცოდე. მაგრამ ჩემს უფროს დას შევხედე და პასუხად მხოლოდ თავი გავაქნიე.

– წარმოდგენა არა მაქვს.

* * *

მეორე დღეს ჩამოვიდა. შხაპი მიიღო და ტანსაცმელი გამოიცვალა. დედა და მამა გავაფრთხილე, არაფერი ეთქვათ. დაახლოებითმივანიშნე, შეყვარებულის ამბებია-მეთქი. მამამ ისე ასწია წარბები, თითქოს ამით ყველაფერი ნათქვამი იყო და ახლა ერთი ღმერთმა თუ უწყოდა, სად გავყავით თავი. დედა გაიქცა და ბინგოს კლუბში დარეკა, საჰაერო მოგზაურობასთან დაკავშირებულ რისკებზე მაქვს ახლა ეჭვიო. ლუმ გახუხული პური შეჭამა. ლანჩზე უარი თქვა. განიერფარფლებიანი საზაფხულო შლაპა დაიხურა და ციხესიმაგრისკენ ტომასის გასასეირნებლად წავედით, რომ იხვებისთვის გვეჭმია. გარეთ გასვლა სულაც არ უნდოდა, მაგრამ დედამ დაიჟინა, რომ სუფთა ჰაერი გვჭირდებოდა. დედაჩემის ენაზე ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთი სული ჰქონდა, საწოლ ოთახში ავარდნილიყო, გაენიავებინა და თეთრეული გამოეცვალა. ტომასი ჩვენ წინ ხტუნვა-ხტუნვით მიდიოდა და პატარა პარკით პურის ქერქებს მიაქანავებდა. ჩვენ წლების განმავლობაში გამომუშავებული მანერით ვუქცევდით მხარს ტურისტებს, გზებზე დაბნეულები რომ დააბოტებდნენ და ზურგჩანთებს მიათრევდნენ, ერთმანეთს სურათებს უღებდნენ და ემალებოდნენ, იცინოდნენ. ციხე-სიმაგრე ზაფხულის მზის ქვეშ ხურდა, მიწა დამსკდარიყო და მეჩხერი ბალახი მელოტი კაცის თავზე შემორჩენილ თმას ჰგავდა. ყვავილებს ჭკნობა შეპარვოდა. ბუნება უკვე ემზადებოდა შემოდგომისთვის. მე და ლუ ბევრს არ ვლაპარაკობდით. ან კი რა უნდა გვეთქვა?

მანქანების ტურისტულ სადგომს რომ ჩავუარეთ, შევამჩნიე, ფარფლებქვემოდან ტრეინორების სახლს როგორ გახედა. წითელი აგურით ნაშენი გრანტა ჰაუსი, თავისი მაღალი ფანჯრებით, ისევე გოროზად იდგა და საგულდაგულოდ მალავდა დრამას, რაც მის კედლებს მიღმა თამაშდებოდა, შეიძლება, აი, სწორედ ამ მომენტშიც კი.

– მიდი და დაელაპარაკე. მე აქ დაგიცდი, – ვუთხარი ჩემს დას.

მიწას ჩააჩერდა, გულზე ხელები დაიკრიფა და სიარული ასე განაგრძო.

– აზრი არ აქვს, – თქვა ჩუმად. ვიცოდი, გულში სხვა რამის თქმა უნდოდა, რაც ხმამაღლა არ გაუჟღერებია – „ალბათ, მანდ უკვე აღარ არის.“

ციხე-სიმაგრეს წრე დავარტყით. ვუყურებდით ტომასს, რომელიც ჩვენ წინ დამრეც ფერდობებზე დაკუნტრუშებდა და იხვებს საჭმელს უყრიდა. წლის ამ დროს ეს ფრინველები ისეთი გაზულუქებულები იყვნენ, თავის შეწუხება და პურის ნამცეცებზე ახლოს მოსვლაც ეზარებოდათ. ჩემს დას თვალს ჩუმად ვადევნებდი, მის შოკოლადისფერ ზურგს, კისერზე ზონრით შეკრული ბლუზში რომ მოეშიშვლებინა, მის ჩამოყრილ მხრებს. შეიძლება ამას ახლა თვითონაც ვერ ხვდებოდა, მაგრამ ვხედავდი, რომ მისთვის ყველაფერი შეიცვალა. რაც არ უნდა დამართნოდა უილ ტრეინორს, ჩემი და აქ აღარ

გაჩერდებოდა. ახალი ცოდნის, ახალი სამყაროს შეცნობის აურა დაჰყვებოდა. როგორც იქნა, მისთვისაც გაიხსნა ახალი ჰორიზონტები.

– ჰო, მართლა, – ვუთხარი როცა უკან, სახლის გზას დავადექით, – სანამ აქ არ იყავი, კოლეჯიდან წერილი მოგივიდა. მაპატიე, რომ გავხსენი. ჩემი მეგონა.

– გახსენი?

იმედი მქონდა, რომ გრანტის თანხა მოვიდა.

– გასაუბრება დაგინიშნეს.

თვალები დაახამხამა, თითქოს სადღაც შორეული წარსულიდან აცნობეს რაღაც.

– მთავარი ამბავი კი ისაა, რომ გასაუბრება ხვალ არის დანიშნული, – დავამატე მე, – ასე რომ, მოდი. ამ საღამოს გავიაროთ, რა კითხვები შეიძლება, დაგისვან.

თავი გააქნია.

– ხვალ გასაუბრებაზე ვერ წავალ.

– რას ჰქვია, ვერ წახვალ?

– არ შემიძლია, ტრინა, – მითხრა ნაღვლიანად, – ასეთ დროს ახლა სხვა რამეზე ფიქრი არ შემიძლია.

– მისმინე, ლუ. ინტერვიუებს ასე პურის ნამცეცებივით კი არ აპნევენ, ჩვენ რომ ვუყრით იხვებს. ეს უმნიშვნელო ამბავი არ არის. იციან, რომ პატარა არ ხარ, წლის შეუფერებელ დროს შეიტანე განაცხადი, მაგრამ მაინც გადაწყვიტეს, რომ შეგხვდნენ და გაგესაუბრონ. არ შეიძლება, ასე ადგე და გადააგდო.

– არ მაინტერესებს. ამაზე ფიქრი ახლა არ შემიძლია.

– მაგრამ...

– თავი დამანებე ტრინა, რა. გეუბნები, რომ არ შემიძლია.

– მისმინე, – ვუთხარი დაჟინებით და წინ გადავუდექი. შორიახლოს ტომასი ჩაცუცქულიყო და მტრედს ელაპარაკებოდა, – ამაზე სწორედ ახლა მოგიწევს დაფიქრება. მოგწონს შენ ეს თუ არა, მოგიწევს გაარკვიო, ბოლოს და ბოლოს, რა გინდა ცხოვრებაში. შუა გზაზე ვიდექით და ხალხს ვუშლიდით. ტურისტების ჯგუფები, შუაზე იყოფოდნენ, აქეთ-იქიდან გვივლიდნენ და ორ მოჩხუბარ დას ცნობისმოყვარე მზერას შეავლებდნენ ხოლმე.

– არ შემიძლია.

– მოგიწევს, რომ შეძლო. რადგან შენ თუ დაგავიწყდა, მე შეგახსენებ, რომ სამსახური აღარ გაქვს. აღარც პატრიკი გყავს, რომ ნაწილ-ნაწილ შეგაკოწიწოს. ამ შანსს თუ არ გამოიყენებ, დაგინახავ ორ დღეში, დასაქმების ცენტრისკენ გზას რომ დაადგები. აქედანვე იფიქრე, აბა, ქათმების პუტვა გირჩევნია, ბოძზე ცეკვა თუ ვიღაცის ტრაწების წმენდა, რომ ლუკმა-პურის ფული იშოვო. გინდ დაიჯერე, გინდ არა, ოცდაათი წლის რომ გახდები, ხელში არაფერი გეჭირება. ეს ყველაფერი, რაც გასული ექვსი თვის განმავლობაში ისწავლე, ფუჭად დაკარგული დრო ყოფილა მაშინ და მეტი არაფერი.

თვალი თვალშიგამიყარა, თვალები სიმწრით უელავდა, როგორც ყოველთვის, როცა იცოდა, რომ მართალი ვიყავი და საწინააღმდეგოდ სათქმელი არაფერი ჰქონდა. გვერდით ტომასი ამოგვიდგა და ხელზე წამეტანა.

– დედა... შენ თქვი „ტრაწები“?

ჩემი და თვალს ისევ არ მაშორებდა, მაგრამ დავინახე, რომ ჩაფიქრდა.
ჩემი შვილისკენ მივტრიალდი.
– არა, საყვარელო, მე ვთქვი „ტორტები“. ახლა ჩვენ სახლში წავალთ, ჩაის დავლევთ, არა, ლუ? გზად საკონდიტროში გავივლით და ტორტს ვიყიდით. მერე ბებიკო გაბანავებს, მე კიდევ დეიდა ლუს საშინაო დავალების მომზადებაში დავეხმარები.

* * *

მეორე დღეს ტომასი დედას დავუტოვე, მე ავტობუსით ლუ გავაცილე. მისი გასაუბრებიდან ბევრს არაფერს ველოდი. ასე რომ, მთელი დღე ბიბლიოთეკაში გავატარე და დრო ჩემი დის ნაცვლად, საკუთარ მომავალზე ზრუნვას დავუთმე. საღამოს პირს სახლში რომ მივედი და სადილად დავსხედით, ლუს დავაკვირდი. ჩუმად იჯდა, თეფშს ჩაშტერებოდა და ჩანგლით ქათმის ნაჭერს აწვალებდა. ვიფიქრე, რომ საქმე ცუდად იყო.
– არ გშია, საყვარელო? – ჰკითხა დედამ, როცა ჩემს მზერას თვალი გააყოლა.
– არც ისე, – უპასუხა ლუმ.
– შემწვარი ქათმის კერძებისთვის ახლა ძალიან ცხელა, მაგრამ მეგონა, გესიამოვნებოდა, – თქვა დედამ დათმობით.
– გვითხარი, აბა, როგორ ჩაიარა გასაუბრებამ? – ჰკითხა მამამ და ჩანგლიანი ხელი პასუხის მოლოდინში ჰაერში გაუშეშდა.
– ოჰ, გასაუბრება, – ისეთი დაბნეული სახე ჰქონდა ლუისას, თითქოს ხუთი წლის წინანდელი ამბის გახსენებას სთხოვდნენ.
– ჰო, როგორ ჩაიარა?
ჩანგალი ქათმის ნაჭერს ჩაარჭო.
– არა უშავდა.
მამამ მე გამომხედა.
მხრები ავიჩეჩე.
– არა უშავდა? არ გითხრეს, როგორ მოეწონე ან რა პასუხს უნდა ელოდო?
– მითხრეს.
– რაო?
ერთხანს უსიტყვოდ ისევ თეფშს ჩასჩერებოდა. ლუკმა ყელში გამეჩხირა.
– მითხრეს, ზუსტად ის ადამიანი ხართ, როგორსაც ვეძებთო. მოსამზადებელ კურსს გავივლი, ერთწლიანს. მერე ესეც საუნივერსიტეტო წლად ჩამეთვლება.
მამა სკამის საზურგეს გადააწვა.
– ფანტასტიკური ამბავია!
დედამ მხარზე ხელი მოჰხვია.
– ყოჩაღი გოგო ხარ, საყვარელო, რა კარგი რამე გვითხარი!.
– არა მგონია. ოთხი წელი სწავლის ფუფუნება მე არ მაქვს.
– ამაზე ახლა ნუ ნერვიულობ. სერიოზულად გეუბნები. აბა, ტრინას შეხედე. იცი, რა? – მუჯლუგუნი წაჰკრა ლუს, – რამეს მოვიფიქრებთ. ჩვენ გამოსავალს ყოველთვის

ვპოულობთ, ხომ ასეა? – მამამ ორივეს ხელი მოგვხვია, – მგონი, ყველაფერი ჩვენ სასიკეთოდ ტრიალდება, გოგოებო. აი, ნახავთ, ჩვენ ოჯახს როგორი კარგი დრო დაუდგება. უცებ, ყველასათვის მოულოდნელად, ლუს ცრემლების წასკდა. ნამდვილი ცრემლები. ტომასივით გულამომჯდარი ტიროდა, ცხვირიდან ცინგლი მოსდიოდა და ქვითინებდა. ცრემლები ღვარღვარით მოსდიოდა და აღარ ადარდებდა, ვინ უსმენდა, ვინ უყურებდა. პატარა ოთახში სიჩუმეს მხოლოდ მისი ხმა არღვევდა.

ტომასმა პირი დააღო და თვალებგაფართოებული მიაჩერდა. სასწრაფოდ კალთაში გადმოვისვი და მის გართობას შევეცადე, რომ ისიც არ აღნავლებულიყო. სანამ მე კარტოფილის ნაჭრებსა და მუხუდოს მარცვლებს ერთმანეთში ვალაპარაკებდი და სასაცილო ინტონაციებით ვახმოვანებდი, ლუმ ყველაფერი მოყვა. ყველაფერი – უილისა და ექვსთვიანი კონტრაქტის შესახებ, იმის შესახებ, რა მოხდა მავრიკის კუნძულებზე. დედამ პირზე ხელები აიფარა. ბაბუა მოიღუშა. ვახშმისთვის ხელი აღარავის უხლია. ქათამი გაცივდა, სოუსი შესქელდა.

მამას მოსმენილის დაჯერება უჭირდა თითქოს და თავს აქნევდა. მერე კი, როცა ჩემმა დამ დეტალურად აღწერა ინდოეთის ოკეანის სანაპიროებიდან გზა უკან ინგლისამდე, როცა ხმა სულ ჩაუწყდა და თითქმის ჩურჩულით გაიმეორა თავისი ბოლო სიტყვები, რაც მისის ტრეინორს უთხრა, მამამ სკამი გასწია, ლუსთან მივიდა და გულში ჩაიკრა. ზუსტად ისე, როგორც ადრე, როცა პატარები ვიყავით. დიდხანს იდგა ასე და ლუს ეხუტებოდა.

– ღმერთო ჩემო, საცოდავი ბიჭი. ჩემი საცოდავი გოგო. ღმერთო...

არ მახსოვს ოდესმე მამა ასე შეძრული მენახა.

– ეს რა უბედურებაა.

– ამ ყველაფერს ასე ჩუმად ატარებდი? არავისთვის არაფერი გითქვამს? ღია ბარათი გამოგვიგზავნე მარტო, წყალში როგორ ჩაყვინთე? – უნდობლად იკითხა დედამ, – ჩვენ კიდევ გვეგონა, რომ შენ ცხოვრებაში საუკეთესო დღეებს ატარებდი.

– მარტო არ ვყოფილვარ. ტრინამ ყველაფერი იცოდა, – თქვა ლუმ და მე შემომხედა, – ისიც მეხმარებოდა.

– მე არაფერში დაგხმარებივარ, – ვუთხარი და ტომასს ჩავეხუტე. დედამ კანფეტები მისცა და უფროსების საუბარი აღარ აინტერესებდა, – მე უბრალოდ გისმენდი. ყველაფერი თავად გააკეთე, გასაოცარი იდეები მოიფიქრე.

– როგორც აღმოჩნდა, ეგ არ იყო საკმარისი, – თავი გადასწია და ტირილნარევი ხმით თქვა ლუმ.

მამამ ნიკაპი აუწია და თვალებში ჩახედა.

– შენ ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო.

– მაგრამ დავმარცხდი.

– ვინ თქვა, რომ დამარცხდი? – მამამ სახიდან თმა გადაუწია. ნაზად და სიყვარულით უყურებდა, – ახლა ვიხსენებ ყველაფერს, რაც უილ ტრეინორის... რაც მისნაირი ადამიანების შესახებ ვიცი. ჰოდა, ერთ რამეს გეტყვი. ერთხელ რომ რაღაც გადაწყვიტა, დედამიწის ზურგზე აზრს ვერავინ და ვერაფერი შეაცვლევინებდა. რას იზამ, ის ასეთია. ადამიანებს შენ ვერ შეცვლი, ლუ.

– მაგრამ მისი მშობლები? ამის საშუალებას როგორ აძლევენ?! ეს რა ხალხია?! – თქვა დედამ.

– ჩვეულებრივი ხალხია, დედა. მისის ტრეინორმა უბრალოდ აღარ იცის, მეტი რა ქნას.

– რა და... დასაწყისისთვის იმ დაწყევლილ კლინიკაში არ წაიყვანოს. აი, რა უნდა ქნას! – დედა ძალიან გაბრაზდა, ლოყები აუწითლდა, – მე, მაგალითად, სანამ პირში სული მიდგას, თქვენთვის, ტომასისთვის ბოლომდე ვიბრძოლებდი.

– და თუ თავის მოკვლა ერთხელ უკვე სცადა, თან სასტიკი გზით? – ვთქვი მე.

– ეს ბიჭი ავად არის, კატრინა. დეპრესიაშია. როგორ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მისცე საშუალება, გადაწყვიტოს ისეთი რამ, რაც... – ხმა ჩაუწყდა და თვალები ხელსაწმენდით შეიმშრალა, – ამ ქალს... ამ მისის ტრეინორს, ქვის გული უდევს, ალბათ, საგულეში. ქვის გული! თან ამაში ლუისა როგორ გარიეს... და ეს ქალი არის მოსამართლე. ღმერთო ჩემო. მოსამართლეც ვეღარ უნდა არჩევდეს რა სწორია და რა არა? ყველა სხვა ადამიანზე უკეთესად არ უნდა ესმოდეს ეს? მინდა ახლა მაგათ სახლში

წავიდე და ის ბიჭი ჩვენთან წამოვიყვანო.

– ყველაფერი უფრო რთულადაა, დედა.

– არაფერიც არაა რთულად. ბიჭი ცუდად არის. დედამისს კიდევ უფლება არ აქვს ამას დათანხმდეს. შოკში ვარ. საცოდავი ბიჭი. ეს საცოდავი ბიჭი, – მაგიდიდან ადგა, სადილის ნარჩენები წამოკრიფა და სამზარეულოდან გავიდა. ლუისამ თვალი გააყოლა. ცოტა გაოცებული სახე ჰქონდა. დედა ხმას არასდროს უწევდა. ბოლოს გაბრაზებული რომ ვნახეთ, ალბათ, 1993 წელი იდგა.

მამამ თავი გადააქნია. გონებით თითქოს სხვაგან ჰქროდა.

– მეც არ ვფიქრობდი, სად არის მისტერ ტრეინორი, სად დაიკარგამეთქი? ჩავთვალე,

რომ სამოგზაუროდ მთელი ოჯახი წავიდა.

– სად... როგორ... წავიდნენ?

– ბოლო ორი დღეა, არ მინახავს. ლუ ჯერ წამოდგა, მერე ისევ დაჯდა და სკამზე ჩამოეღვენთა.

– ფუ შენი... – კინაღამ რაღაც უარესი წამომცდა და ტომასს ყურზე ხელები ავაფარე.

– ხვალ... ეს ხვალ მოხდება. ლუმ მე შემომხედა, მე კედელზე დაკიდებულ კალენდარს გავხედე.

– ცამეტი აგვისტო. ხვალ ცამეტი აგვისტოა.

* * *

ლუს იმ ბოლო დღეს არაფერი გაუკეთებია. ჩემზე ადრე ადგა. სამზარეულოს ფანჯრიდან გარეთ იყურებოდა. მთელი დღე წვიმდა, მერე მოიწმინდებოდა, მერე ისევ დაუშვებდა. ბაბუას გვერდით დივანზე იწვა, დედას მომზადებულ ჩაის სვამდა და ვხედავდი, ყოველ ნახევარ საათში მზერას ბუხრის თავზე საათისკენ აპარებდა. საშინელება იყო მისი ჩუმი ტანჯვის ყურება. ტომასი ცურვაზე წავიყვანე. ვცადე, ისიც დამერწმუნებინა, რომ წამოგვყოლოდა. შევთავაზე, ტომასი დედას დავუტოვოთ და მე და შენ მოგვიანებით

მაღაზიებში გავიაროთ, ან პაბში წავიდეთ, მარტო ჩვენ ორნიმეთქი, მაგრამ ყველაფერზე უარს მეუბნებოდა.

– იქნებ შეცდომა დავუშვი ტრინ? – ისე ჩუმად მკითხა, მისი სიტყვები ძლივს გავიგე. ბაბუას გავხედე, მაგრამ მთელი გულისყურით ტელევიზორში დოღს უყურებდა. ხანდახან მეგონა, რომ მამა ფსონებს დებდა, მიუხედავად იმისა, რომ დედას სულ ეუბნებოდა, არა, ასეთ რამეს აღარ ვშვრებიო.

– რას გულისხმობ?

– იქნებ მასთან ერთად უნდა წავსულიყავი?

– მაგრამ... ხომ თქვი, რომ არ შეგეძლო ამის გაკეთება?

ცა მოქუფრულიყო. დედას იდეალურად გაწმენდილი ფანჯრიდან გარეთ უნუგეშოდ გაიხედა.

– ჰო, მაგრამ არ შემიძლია ასე ჯდომა, როცა არაფერი ვიცი, – სახე შეეჭმუხნა, – როცა არ ვიცი, რას გრძნობს. არც კი გამოვმშვიდობებივარ. არ შემიძლია იმის გაძლება.

– ახლა ვეღარ წახვალ? იქნებ სცადო და აეროპორტში ფრენას მიუსწრო?

– უკვე გვიანია, – მითხრა და თვალები დახუჭა, – ვერ ჩავასწრებ. ორი საათია დარჩენილი, სანამ... სანამ მათი სამუშაო დღე დამთავრდება. ყველაფერი მოვძებნე. ინტერნეტში ვნახე. ხმა არ ამომიღია.

– ისინი... ისინი ექვსის ნახევრის მერე აღარ მუშაობენ, – თავგზაარეული ლაპარაკობდა, – რომელიღაც თანამდებობის გამო. ამას ჩინოვნიკებიც ესწრებიან და... არასამუშაო საათებში ამას არ აკეთებენ.

კინაღამ გამეცინა. არ ვიცოდი, მისთვის რა მეთქვა. ვერ წარმომედგინა ჩემი თავი, გულხელდაკრეფილი ვმჯდარიყავი, როცა მეცოდინებოდა, რომ სადღაც შორს ასეთი რამ ხდებოდა. მე არასდროს მყვარებია კაცი ისე, როგორც ლუს ეტყობოდა, უილი უყვარდა. ჰო, მომწონებია, ლტოლვა მქონია, მაგრამ ხანდახან ვფიქრობდი, რაღაც მაკლდა, რომელიღაც მიკროსქემა, რომელიც მგრძნობიარობაზე იყო პასუხისმგებელი. ვერ წარმომედგინა, რომ ვიღაც კაცის გამო მეტირა. შეიძლება ეს ჰგავდა... დავუშვათ, აი, იმას, რომ მცოდნოდა, სადღაც სხვა ქვეყანაში ტომასი კვდებოდა?.. მარტო ამის გაფიქრებაზეც კი ჩემ შიგნით რაღაც გადაბრუნდა. ისეთი უცნაური და საზარელი რამ იყო, ეს აზრიც გონების შორეულ და მიმალულ უჯრაში გამოვკეტე, სხვა „წარმოუდგენელ მოვლენებთან“ ერთად.

ჩემს დას დივანზე გვერდით მივუჯექი. ოთხის ნახევარზე ერთ რბოლას ვუყურეთ, ოთხ საათზე – მეორეს, მერე კიდევ. ისეთი დაჟინებით შევცქეროდით ეკრანს, თითქოს მთელ ჩვენ ქონებას ფსონად ჩავსულიყავით.

კარზე ზარმა დარეკა. ლუისა წამოხტა, წამებში კარებთან გაჩნდა და კარი ისე გამოგლიჯა, რომ მეც კი გული გამიჩერდა კინაღამ.

მაგრამ კარში უილ ტრეინორი არ დახვედრია. ახალგაზრდა ქალი იყო, მაკიაჟი უხვად და ოსტატურად დაედო სახეზე. აკურატულად შეჭრილი კარე და ნიკაპისკენ მომრგვალებული თმა ჰქონდა. ხელში ქოლგა ეჭირა და იღიმოდა. მხარზე დიდი ჩანთა შეისწორა. რაღაც მომენტში ვიფიქრე, რომ უილ ტრეინორის და შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო.

– ლუისა კლარკი თქვენ ბრძანდებით?
– დიახ.
– მე „გლოუბიდან“ ვარ. შეიძლება ცოტა ხნით გაგესაუბროთ?
– „გლოუბიდან“? – ლუს დაბნეული ხმა ჰქონდა.
– გაზეთიდან? – ჩემს დას უკან ამოვუდექი. ახალგაზრდა ქალის ხელში ბლოკნოტი შევნიშნე.
– შეიძლება, შემოვიდე? სულ ცოტა დროს წაგართმევთ და უილიამ ტრეინორზე რამდენიმე კითხვას დაგისვამთ. თქვენ ხომ უილიამ ტრეინორთან მუშაობთ?
– კომენტარის გარეშე! – ვთქვი მე და სანამ ის ქალი კიდევ რამის თქმას მოასწრებდა, კარი ცხვირწინ მივუჯახუნე.
ჩემი და შემოსასვლელში გაოგნებული და ხელფეხშეკრული იდგა. კარზე ზარი ისევ გაისმა.
– ხმა არ გასცე, – გამოვცერი კბილებში.
– მაგრამ როგორ...
კიბეზე ხელის კვრით ავიყვანე. ღმერთო, ფეხები წართმეული ჰქონდა. თითქოს ნახევრად ეძინა.
– ბაბუა, კარი არ გააღო, – ჩავძახე ქვემოთ, – ვინმესთვის ხომ არ გითქვამს? – ვკითხე, როცა მეორე სართულზე ავედით, – ვიღაც ეტყოდა, აბა, ამ ქალს თავისით ხომ არ დაესიზმრებოდა. ვინ იცის ეს ამბავი კიდევ?
– მის კლარკ, – წერილების ჩასაგდები ღრიჭოდან ისმოდა ჟურნალისტის ხმა, – სულ ათი წუთი დამითმეთ... ჩვენ გვესმის, რომ ეს ძალიან დელიკატური საკითხია. გვინდა, რომ თქვენეული ხედვაც გაგვიაზიაროთ...
– ეს იმას ნიშნავს, რომ უილი უკვე მკვდარია? – ლუისას თვალები ცრემლებით აევსო.
– არა, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაც დამპალ ნაბიჭვარს ამ ამბით ფულის შოვნა უნდა, – ვუთხარი ჩაფიქრებულმა.
– გოგოებო, ვინ იყო? კიბიდან დედაჩემის ხმა გაისმა.
– არავინ, დედა, მაგრამ კარი არ გააღო.
მოაჯირიდან გადავიხედე. დედას ხელზე ჩაის ტილო გადაეფინა და წინა კარის პლასტმასის პანელს მიღმა ადამიანის ლანდს გაოცებული უყურებდა.
– კარი არ გავაღო?..
ჩემს დას იდაყვში ხელი წავავლე.
– ლუ, პატრიკისთვის ხომ არაფერი გითქვამს?
არაფრის თქმა არ იყო საჭირო. პასუხი სახეზე ეწერა.
– კარგი. არ გატუტუცდე და კართან არ მიხვიდე. ტელეფონს არ უპასუხო. ერთი სიტყვაც არ დაგცდეს მათთან, გასაგებია?

* * *

დედა ნერვიულობდა. ტელეფონმა რომ დაუსრულებლად დაიწყო რეკვა, კიდევ უფრო გაღიზიანდა. მეხუთე ზარის შემდეგ ავტომოპასუხეზე გადავრთეთ, მაგრამ მაინც გვიწევდა, მათთვის მოგვესმინა. ეს ხმები ჩვენს პატარა შემოსასვლელში დაუპატიჟებლად იჭრებოდნენ. ოთხი თუ ხუთი ადამიანი სახლთან ტრიალებდა. ერთი და იმავე ტექსტით. ყველა ამბობდა, რომ შანსს აძლევდნენ ლუისას „ამ ისტორიის“ თავისი ვერსია ეამბნა. თითქოს უილ ტრეინორი ახლა რაღაც საქონელი იყო, რომლის ხელში ჩასაგდებადაც ერთმანეთს პორჭყნიდნენ. ტელეფონი ცალკე სკდებოდა რეკვით, ზარი კარზე – ცალკე ფანჯრებზე ფარდები ჩამოვაფარეთ და ხმაგაკმენდილები ვუსმენდით ჟურნალისტების ფუთფუთს ჩვენი სახლის წინ, ხან ერთმანეთში და ხანაც მობილურ ტელეფონებზე რომ ლაპარაკობდნენ.

თითქოს ალყაში ვიყავით მოქცეულები. დედა მუშტებს შეკრავდა და როგორც კი რომელიმე ჟურნალისტი ბაღში შემოიძურწებოდა, წერილების ჩასაგდები ღრიჭოდან უყვიროდა, რომ წათრეულიყვნენ ჩვენი სახლიდან და ჯოჯოხეთის ალში დანთქმულიყვნენ. ტომასი მეორე სართულის სააბაზანო ოთახის ფანჯრიდან იყურებოდა და ვერაფრით გაეგო, ჩვენს ბაღში ამდენ ხალხს რა ესაქმებოდა. ოთხმა მეზობელმა დაგვირეკა, რა ხდებაო. მამა მანქანას აივისტრიტზე აჩერებდა და უკანა ეზოს გამოვლით შემოდიოდა სახლში. ჩემი მშობლები სრული სერიოზულობით იხსენებდნენ ძველად ციხე-სიმაგრეებში გამაგრებული ხალხი თავს მტერზე ადუღებული ზეთის გადასხმით რომ იცავდა. მერე, ბევრი ვიფიქრე, თუ ცოტა ვიფიქრე, პატრიკს დავურეკე და ვკითხე, რამდენი გადაგიხადეს რომ ამ სვავებისთვის ნიშანი მიგეცა-მეთქი. ის პატარა პაუზა, სანამ ყველაფრის უარყოფას დაიწყებდა, ყველაფრის მთქმელი იყო ჩემთვის.

– შე საცოდავო ნეხვის გროვა! – ვყვიროდი წყობიდან გამოსული, – კოჭებში რომ გადაგიმტვრევ ფეხებს და ნეკნებს გაგიერთიანებ,მერე ეგ შენი ას ორმოცდამეჩვიდმეტე ადგილიც კი დიდ მიღწევად მოგეჩვენება.

ლუ სამზარეულოში იჯდა და ტიროდა. არ ქვითინებდა, არ სლუკუნებდა, ცრემლები უხმოდ ჩამოსდიოდა ლოყებზე, რომელთაც დროდადრო შიშველი ხელით იწმენდდა. არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა მისთვის, რომ ოდნავ მაინც დამემშვიდებინა. სამაგიეროდ, იმდენი რამის თქმა მინდოდა სხვებისთვის...

რვის ნახევრისთვის, ერთის გარდა, ყველა რეპორტიორი წავიდა. შეიძლება, ხელი ჩაიქნიეს, ან ტომასის ლეგოს სათამაშოები მობეზრდათ, ლუისასთვის შემოცურებული ფურცლების პასუხად რომ უყრიდა. ლუისას ვთხოვე, ტომასი ებანავებინა. მინდოდა, რომ სამზარეულოდან გამეყვანა, მაგრამ უფრო კი იმიტომ, რომ ასე ტელეფონზე დატოვებული შეტყობინებების მოსმენას და წაშლას შევძლებდი მას რომ არ მოესმინა. ოცდაექვსი შეტყობინება დამხვდა. ოცდაექვსი პედერასტი! თან ყველა ვითომ ისეთი გულისხმიერი იყო, ხმა ისე დაეტკბოთ... ზოგიერთი ლუისას ფულსაც კი სთავაზობდა.

ერთმანეთის მიყოლებით ვშლიდი. მათაც, ფულს რომ სთავაზობდნენ. თუმცა, ვაღიარებ, ცდუნება კი დიდი იყო, გამერკვია, მაინც რამდენს იძლეოდნენ. ზემოთ სააბაზანოდან ლუს ხმა გამოდიოდა. ტომასს ელაპარაკებოდა. შიგადაშიგ წყლის დგაფუნის ხმა ისმოდა. ეს

ტომასი იყო – თავისი მანქანით წყლით სავსე ქაფიან აბაზანას ბომბავდა. შვილი თუ არ გყავს, ვერასდროს მიხვდები, ეს რა არის – ბავშვის დაბანა, ლეგოს სათამაშოები და მისი საყვარელი საჭმელი, თევზის ჩხირები. რამეზე სადარდებლად დრო და ენერგია აღარ დაგრჩება. ამასობაში ბოლო შეტყობინებამდეც მივედი.

– ლუისა. კამილა ტრეინორი ვარ. დამირეკეთ, გთხოვთ. როგორც კი შეძლებთ.

ტელეფონს ენაჩავარდნილი დავყურებდი. თავიდან მოვუსმინე. მერე მაღლა ავირბინე და ტომასი აბაზანიდან ისე სწრაფად ამოვსვი, ბავშვი ვერ მიხვდა, მის თავს რა ხდებოდა. პირსახოცშემოხვეული და გაოგნებული დავტოვე აბაზანაში, დაბნეული ლუ კი, ფაქტობრივად, კინწისკვრით ჩავარბინე დაბლა.

– იქნებ ვძულვარ, იქნე ჩემი გალანძღვა უნდა?

– ხმაზე სამაგისო არაფერი ეტყობოდა.

– იქნებ ჟურნალისტები იმათაც მიადგნენ და ჰგონიათ, ეს ყველაფერი ჩემი მოწყობილია?

– შეძრწუნებისგან თვალები გაუფართოვდა, – იქნებ იმიტომ მირეკავს, მითხრას, რომ... ცოცხალი აღარ არის?

– ღმერთო ჩემო, ლუ! ერთხელ ცხოვრებაში აზრზე მოდი და თავი ხელში აიყვანე. სანამ არ დარეკავ, ვერაფერს გაიგებ. მორჩი მკითხაობას და დარეკე. აიღე ყურმილი და დარეკე. სხვა არჩევანი არ გაქვს.

მე ისევ სააბაზანოში ავირბინე, რომ ტომასისთვის მიმეხედა. გავამშრალე, პიჟამა ჩავაცვი და ვუთხარი, ბებო ნამცხვარს გაჭმევს, სასწრაფოდ სამზარეულოში თუ გაიქცევი მეთქი. სააბაზანოდან გამოვედი და ჩემს დას გადმოვხედე, რომელიც ტელეფონით ხელში შემოსასვლელში გაშეშებულიყო.

ჩემგან ზურგით იდგა, ერთი ხელი კეფაზე ედო და თმა ჩაებღუჯა, თითქოს თავს კისერზე ასე იმაგრებდა.

– დიახ, – გავიგე მისი ხმა, – გასაგებია, კარგი, – ისევ პაუზა, – კარგი.

ტელეფონი დადო და გაუნძრევლად საკუთარ ფეხებს დააჩერდა. მთელი წუთი არ შერხეულა.

– აბა?

ისე შემომხედა, თითქოს ახლაღა დამინახაო და თავი გადააქნია.

– ჟურნალისტები არაფერ შუაშია, – ხმა უკანკალებდა, – ის... ის ჯერ ცოცხალია, – შეშლილივით გაიღიმა, – მთხოვა... შემეხვეწა, შვეიცარიაში ჩამოდიო. თვითმფრინავის ბილეთები უკვე უყიდია. ფრენა ამ საღამოსაა.

XXVI

სხვა დროს, ალბათ, თვითონვე უცნაურად მომეჩვენებოდა, რომ მე, ლუ კლარკი, გოგო, რომელიც ოცი წლის განმავლობაში თავისი ქალაქიდან ავტობუსით თუ გასულა რამდენჯერმე, ახლა, ბოლო ერთ კვირაში, უკვე მესამე ქვეყანაში მიფრინავდა. სტიუარდესას სისწრაფითა და ეფექტურობით პატარა ჩემოდანში მხოლოდ უკიდურესად აუცილებელ ნივთებს ვალაგებდი. ტრინა უხმოდ დარბოდა ოთახში და მაწვდიდა

ნივთებს, რაც, მისი აზრით, დამჭირდებოდა. მერე ორივე ქვემოთ ჩავედით და შუა კიბეზე გავჩერდით

– დედა და მამა შემოსასვლელში იდგნენ, ერთმანეთის გვერდიგვერდ და ავის მომასწავებელი სახეებით, როგორც მაშინ, როცა მე და ჩემი და გასართობად გაცვენილები დაგვიანებით, შუაღამისას სახლში შემოვიძურწებოდით ხოლმე.

– რა ხდება? – დედა ჩემოდანს მიაჩერდა.

ტრინა ჩემ წინ შეჩერდა.

– ლუ შვეიცარიაში მიდის, – თქვა მან, – ეჩქარება. ერთი რეისი დარჩა.

ის იყო, უნდა დავძრულიყავით, დედაჩემმა წინ ნაბიჯი წამოდგა.

– არა, – ტუჩები მკაცრად მოეკუმა და სახეზე ჩემთვის უცნობი გამომეტყველება ჰქონდა. მკლავები უხერხულად წამოეწია წინ და გულზე დაეკრიფა, – მე არ ვხუმრობ. მე არ მინდა, რომ ამაში ჩაერიო. თუ ეს ის არის, რაც მე მგონია, არა. არა და არა.

– მაგრამ... – წარმოიწყო ტრინამ და მე გამომხედა.

– არა, – გაიმეორა დედამ. მის ხმაში უჩვეულოდ მჭახედ ჟღერდა ფოლადი, – არავითარი „მაგრამ“. ვიფიქრე ამაზე, ყველაფერზე, რაც მოგვიყევი. ეს არ არის სწორი. ეს არ არის მორალურად სწორი. შენ თუ ამაში მიიღებ მონაწილეობას, თუ ამ ბიჭს დაეხმარები, რომ თავი მოიკლას... ძალიან ბევრი პრობლემა შეგექმნება.

– დედაშენი მართალია, – თქვა მამამ.

– ამაზე საინფორმაციო გამოშვებებში ადრეც ულაპარაკიათ. ეს მთელ შენ ცხოვრებას თავდაყირა დააყენებს, ლუ. გასაუბრებას კოლეჯში... ყველაფერს. კრიმინალური წარსულით ვერც ხარისხს მიიღებ და ვერც ნორმალურ სამსახურს იშოვი ოდესმე... და საერთოდ...

– მან თვითონ სთხოვა ჩამოდიო. ასე უბრალოდ ამ თხოვნას იგნორირებას ვერ გაუკეთებს, – ჩაერია ტრინა.

– გაუკეთებს. გაუკეთებს და მერე როგორ გაუკეთებს. თავისი ცხოვრების ექვსი თვე ამ ოჯახს შესწირა. რა მოუტანა ამან? კარზე ჩამოკიდული უცხო ხალხი, მეზობლები, რომელთაც ჰგონიათ, რომ რაღაც თაღლითობაში ან რაღაც მაგდაგვარში ვართ გარეულები. ბოლოს და ბოლოს, ახლა მიეცა შანსი, რომ რაღაცას მიაღწიოს ცხოვრებაში და ახლა უნდა წავიდეს იმ წყეულ ადგილას, შვეიცარიაში, რომ ღმერთმა იცის, რა საშინელებაში გაყოს თავი? არა. ვიმეორებ, არა. არა, ლუისა.

– მაგრამ მაინც მოუწევს, რომ წავიდეს, – თქვა ტრინამ.

– არ მოუწევს. უკვე საკმარისად იწვალა. თვითონვე თქვა წუხელ, რომ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, – დედამ თავი გადააქნია, – რა უბედურებასაც არ უნდა უმზადებდნენ ტრეინორები თავის თავს ამ... ამ საშინელებით... რასაც არ უნდა უპირებდნენ თავის შვილს, მე არ მინდა, რომ ლუისა ამაში გაერიოს. არ მინდა მთელი ცხოვრება დაინგრიოს.

– გადაწყვეტილების მიღება თავადაც შემიძლია, დედა, – ვთქვი მე.

– მე არ მგონია, რომ შეგიძლია. ეს ბიჭი შენი მეგობარია, ლუისა. ამ ახალგაზრდა კაცს წინ მთელი ცხოვრება უნდა ჰქონოდა. შენ ვერ იქნები ამის თანამონაწილე. მე... მე გაოგნებული

ვარ... საერთოდ, ფიქრადაც როგორ გაივლე მსგავსი რამე, – ხმა კიდევ უფრო გაუმკაცრდა, – ლუისა, მე შენ იმისთვის არ გამიზრდიხარ, რომ ვიღაცას სიცოცხლე მოუსწრაფო. მითხარი, ბაბუას ამას გაუკეთებდი? შემთხვევით ხომ არ ფიქრობ, რომ ისიც „დიგნიტასში“ უნდა გავუშვათ?

– ბაბუა სხვა საქმეა.

– არა, იგივეა. მასაც არ შეუძლია ძველებურად ცხოვრება. მაგრამ მისი სიცოცხლე ძვირფასია. ისევე, როგორც უილის ცხოვრებაა ძვირფასი.

– ეს ჩემი გადასაწყვეტი არაა, დედა. ეს უილის გადასაწყვეტია. აქ საქმე იმაშია, რომ უილს უნდა დავუჭირო მხარი.

– მხარი დაუჭირო? რაში? ასეთი სისულელე ცხოვრებაში არ მომისმენია. შენ ჯერ კიდევ ბავშვი ხარ, ლუისა. არაფერი გინახავს ცხოვრებაში, არაფერი გაგიკეთებია. წარმოდგენაც კი არ გაქვს, რა მოყვება ამ ყველაფერს. ღმერთო ჩემო, მითხარი, ამის მერე ღამით ძილს როგორ აპირებ? ახალგაზრდა ადამიანს ეხმარები, რომ მოკვდეს?! შენ საერთოდ გესმის, რას ლაპარაკობ? უილს, ამ საყვარელ, ჭკვიან ბიჭს უნდა დაეხმარო, რომ მოკვდეს?

– არა, დედა, ღამით იმაზე ფიქრში დამეძინება, რომ მე ვენდე უილს. ვენდე, რომ მას თავად გადაეწყვიტა, მისთვის სწორი რა იქნებოდა. მისთვის ყველაზე უარესი და აუტანელი ყოველთვის ის იყო, რომ გადაწყვეტილებების მიღების საშუალება დაკარგა, დამოუკიდებლობა დაკარგა... – ჩემს მშობლებს შევხედე. მინდოდა, სწორად გაეგოთ, რისი თქმაც მინდოდა, – მე ბავშვი არ ვარ. მე მიყვარს უილი. მიყვარს და მარტოსარ დავტოვებ. არ შემიძლია აქ ვიჯდე და წარმოდგენა არ მქონდეს, ამ დროს ის... ის... – ნერწყვი გადავყლაპე, – ასე რომ, ჰო, მე მაინც წავალ. არ მინდა თქვენი მხარდაჭერა. თუ ვერ გამიგებთ, ამასაც გადავიტან. მაგრამ შვეიცარიაში მაინც წავალ. რაც არ უნდა მითხრათ, მაინც წავალ.

შემოსასვლელში სიჩუმე ჩამოწვა. დედა ისე მიყურებდა, თითქოს ველარც მცნობდა. ერთი ნაბიჯი წინ გადავდგი. მინდოდა, როგორმე დამერწმუნებინა. მაგრამ საპასუხოდ მან პირიქით, უკან დაიხია.

– დედა... მე უილთან ვალში ვარ. ვალდებული ვარ, წავიდე. როგორ გგონია, ვინ მაიძულა, რომ კოლეჯში განაცხადი შემეტანა? როგორ გგონია, ვინ შთამინერგა, რომ რაღაცისთვის უნდა მიმეღწია ცხოვრებაში, ახალი ადგილები მენახა, ამბიციები შემეძინა? ვინ შეცვალა ჩემი აზროვნება, სამყაროს აღქმა, საკუთარი თავის აღქმაც კი? უილმა. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში უფრო მეტი ვიცხოვრე, უფრო მეტი გავაკეთე, ვიდრე მანამდე მთელი 27 წლის პერიოდში. ასე რომ, ჰო! თუ მას უნდა, რომ მე შვეიცარიაში ჩავიდე, ჩავალ. რაც არ უნდა მოყვეს ამას.

ყველა ერთმანეთს შევჩერებოდით. მამა და ტრინა ერთმანეთს უყურებდნენ, თითქოს ელოდებოდნენ, რომ რომელიმე რამეს იტყოდა.

მაგრამ სიჩუმე დედამ დაარღვია.

– თუ შენ მაინც წახვალ, ლუისა, შეგიძლია, უკან აღარც დაბრუნდე.

მისი სიტყვები მწარე კენჭებივით მომხვდა. დედაჩემს გაოგნებულმა შევხედე. მზერა შეუვალი ჰქონდა. კიდევ უფრო მეტად დაიძაბა და ჩემს რეაქციას აკვირდებოდა. თითქოს, ჩვენ შორის კედელი ამოიმართა.

– დედა...

– მე არ ვხუმრობ. ეს მკვლელობაზე ნაკლები ცოდვა არ არის.

– ჯოზი...

– ეს ასეა, ბერნარდ. მე არ ვიქნები ამის თანამონაწილე.

მახსოვს, სადღაც გონებაში გამიელვა, რომ კატრინა ასეთი დაბნეული ცხოვრებაში არ მენახა. ვუყურებდი, როგორ ასწია მამამ ხელი და დედას მკლავზე შეახო, არ ვიცი საყვედურის თუ გამხნევების ნიშნად. გონება თითქოს გამეთიშა. სრულიად ანგარიშმიუცემლად ჩავიარე კიბის დარჩენილი საფეხურები, მშობლებს გვერდი ავუარე და გარეთ გავედი. ორ წამში ჩემი და მომყვა.

მამას ტუჩის კუთხეები ჩამოეშვა, თითქოს თავს ძლივს იკავებდა, რომ ცრემლები არ წამოსვლოდა. მერე დედას მიუბრუნდა და მხარზე ხელი მოხვია. დედა მზერით მის თვალებს ეძებდა. იცოდა, მისი ქმარი რასაც იტყოდა.

მამამ გასაღებების აცმა გადმოგვიგდო. ტრინამ ცალი ხელით დაიჭირა.

– აიღეთ, უკანა კარიდან გადით, მისის დოჰერტის ბაღზე გადადით და ფურგონი წაიყვანეთ. ფურგონში ვერავინ დაგინახავთ. ახლავე თუ წახვალთ, საცობებს თავს აარიდებთ და აეროპორტში დროულად მიასწრებთ.

* * *

– გიფიქრია, რითი დამთავრდება ეს ყველაფერი? – მკითხა ტრინამ.

გზატკეცილზე მივქროდით. გვერდულად გამომხედა.

– არა.

მზერა ვერ გავუსწორე. ჩანთაში ჩავძვერი და ვფიქრობდი, რამე ხომ არ დამრჩენოდა. მისის ტრეინორის ხმა ყურებში მედგა. „ლუისა, შეგიძლიათ, რომ ჩამოხვიდეთ? ვიცი, რომ ერთმანეთთან ყველაფერზე ვერ ვთანხმდებით, მაგრამ... გთხოვთ... ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.“

– ჯანდაბა. დედა ასეთი არასდროს მინახავს, – განაგრძო ტრინამ.

„პასპორტი, საფულე, გასაღები“. გასაღები? რაღად მინდოდა გასაღები? სახლი აღარ მქონდა.

კატრინამ ისევ გამომხედა.

– ვიცი, ახლა გაგიჟებულია, მაგრამ შოკშია და მაგიტომ. ხომ იცი, ბოლოს მაინც გაუვლის. არ გახსოვს? სახლში რომ მოვედი და ვუთხარი, ფეხმძიმედ ვარ-მეთქი, ასე მეგონა, ცხოვრების ბოლომდე ხმას არ გამცემდა, მაგრამ რამდენი დღე გავიდა? ორი. ორ დღეში შემირიგდა.

ტრინა რაღაცებს მელაპარაკებოდა, მაგრამ ყურადღებას უკვე ვეღარ ვაქცევდი. ყურადღების კონცენტრირებას ვეღარაფერზე ვახერხებდი. ჩემი ნერვული უჯრედები თითქოს გაცოცხლდნენ და მოუსვენრად ხტოდნენ. უილი უნდა მენახა. რაც არ უნდა

მოჰყოლოდა ამას, უილს უნდა შევხვედროდი. ფიზიკურად ვგრძნობდი, როგორ ილეოდ მანძილი, რომელიც ერთმანთს გვაშორებდა. თითქოს ერთი უხილავი ძაფის ორი ბოლო ვყოფილიყავით.

– ტრინ.

– ჰო.

ნერწყვი გადავყლაპე.

– თვითმფრინავზე არ უნდა დავაგვიანო.

ჩემ დას ფრთები გამოესხა თითქოს. საჭეს ჩაფრენილი აწყვეტილი მიჰქროდა. ვძვრებოდით მანქანების რიგებში, გადავდიოდით ზოლიდან ზოლში, დასაშვებ სიჩქარეს რახანია გადავაჭარბეთ, რადიო სადგურებზე ვეძებდით ინფორმაციას საცობებზე, ბოლოს კი აეროპორტიც გამოჩნდა. მანქანა ღრჭიალით გააჩერა. ჯერ გაჩერებულიც არ იყო, კარი რომ გავაღე და გავვარდი, მისი ხმა გზაში დამეწია.

– ჰეი! ლუ!

– მაპატიე, – მოვბრუნდი და უკან, მასთან მივირბინე.

გულში ჩამიკრა და მაგრად ჩამეხუტა.

– შენ ყველაფერს სწორად აკეთებ, – მითხრა და ცრემლები მოერია, – მოშორდი ახლა აქედან. შენთვის აქ მოყვანა მართვის მოწმობად რომ დამიჯდეს და შენ მაინც თვითმფრინავზე დააგვიანო, ხმას აღარასდროს გაგცემ, იცოდე.

უკან აღარ მიმიხედავს. „სვის ეარის“ ჯიხურთან მივირბინე. სამი ცდა დამჭირდა, გვარი რომ გარკვევით მეთქვა და ბილეთები მიმეღო.

* * *

შუაღამე ჯერ არდამდგარიყო, ციურიხში რომ ჩავფრინდი. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ დროს ჩავდიოდი, მისის ტრეინორმა, როგორც დამპირდა აეროპორტის სასტუმროში ნომერი დაჯავშნილი დამახვედრა. მეორე დილით ცხრა საათზე მანქანა მომაკითხავდა. მეგონა, არ დამეძინებოდა, მაგრამ არა, რამდენიმე საათის განმავლობაში უჩვეულოდ მძიმე, ღრმა და მშვიდი ძილით მეძინა. დილით შვიდ საათზე გამეღვიძა. აზრზე ვერ მოვედი, სად ვიყავი.

დაბნეულმა შევათვალიერე უცნობი ოთახი, მძიმე, ბორდოსფერი ფარდები, რომელიც ოთახში სინათლეს არ უშვებდა, დიდი ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი, ჩემი ჩანთა, რომელიც არც კი გამიხსნია. საათს შევხედე. შვეიცარიის დროით, შვიდ საათზე ოდნავ მეტი იყო. გამახსენდა სად ვიყავი და უეცრად ვიგრძენი, გული შიშით შემეკუმშა. საწოლიდან წამოვძვერი და ძლივს შევასწარი სააბაზანოში, რომ გული ოთახშივე არ ამრეოდა. სააბაზანოს ფილებიან იატაკზე ჩავჯექი. თმა შუბლზე ჩამომყროდა, ლოყით ცივ ფაიფურს ვეყრდნობოდი. დედაჩემის ხმა ჩამესმოდა, მისი პროტესტი. ვიგრძენი, როგორ წამიჭირა ყელში ხელები შავბნელმა შიშმა. ამის ატანა არ შემეძლო. აღარ მინდოდა, კიდევ დავმარცხებულიყავი. არ მინდოდა, უილის სიკვდილისთვის მეყურებინა. ამოვიკვნესე და ძლივს წამოვიწიე. გული კიდევ მერეოდა.

ყელში ლუკმა არ გადამივიდა. რამდენიმე ყლუპი მაგარი ყავა მოვსვი. შხაპი მივიღე და ჩავიცვი. ამასობაში, დილის 8 საათი გახდა. ღია ფერის მწვანე კაბას ვუყურებდი, წინა საღამოს ჩანთაში რომ ჩავიგდე და ვფიქრობდი, ნეტავ ამის ჩაცმა შეუფერებელი ხომ არ იქნება-მეთქი. სხვებს შავები ეცმეოდათ? იქნებ პირიქით, რამე უფრო შთამბეჭდავი და ცოცხალი უნდა ჩამეცვა, მაგალითად წითელი კაბა, რომელიც უილს მოსწონდა? რატომ ჩამომიყვანა მისის ტრეინორმა? მობილურ ტელეფონს დავხედე. კატრინასთან ხომ არ დამერეკა? ახლა იქ დილის შვიდი საათი იქნებოდა, მაგრამ, ალბათ, უკვე ფეხზე იყო და ტომასს აცმევდა. დედასთან ლაპარაკზე ფიქრიც არ შემეძლო. მსუბუქი მაკიაჟი გავიკეთე და ფანჯარასთან ჩამოვჯექი. დრო ნელა გადიოდა.

არასდროს მიგრძვნია თავი ასე მარტოსულად.

ამ პატარა ოთახში ყოფნა აღარ შემეძლო. ჩანთაში ბოლო ნივთებიც ჩავალაგე და გამოვედი. გაზეთს ვიყიდდი და ლობიში მოვიცდიდი. ოთახში ჩუმად ჯდომაზე, საინფორმაციო გამოშვებების ძებნასა და შუქგაუმტარი ფარდების ყურებაზე უარესი იქ არაფერი მელოდა. რეგისტრატორს რომ ჩავუარე, კომპიუტერის მაგიდა დავინახე, კუთხეში მოკრძალებულად რომ მიედგათ. „განკუთვნილია ჩვენი სტუმრებისათვის. გამოყენებისთვის მიმართეთ რეგისტრატორს“.

– შეიძლება, კომპიუტერით ვისარგებლო?

რეცეპციაში თავი დამიქნიეს და ერთი საათით კომპიუტერით სარგებლობისთვის ჟეტონი შევიძინე. მაშინვე მივხვდი, ვისთან საუბარი მჭირდებოდა ახლა. ვიცოდი, ვინ იყო ერთ-ერთი იმ ძალიან მცირე ადამიანთაგან, ვისაც შემეძლო, რომ მივნდობოდი. ვიცოდი, რომ ადგილზე დამხვდებოდა. ჩეთში შევედი და შეტყობინება ავკრიფე:

„რიჩი, აქ ხარ?“

„დილა მშვიდობისა, ბზიკო. დღეს რა ადრიანად ამდგარხარ.“

ცოტა შევიცადე, სანამ შემდეგ შეტყობინებას ავკრეფდი.

„ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უცნაური დღე იწყება. შვეიცარიაში ვარ.“

რიჩიმ იცოდა, ეს რას ნიშნავდა. ფორუმზე ეს ყველამ იცოდა. ეს კლინიკა დიდი და გაცხარებული დებატების თემა იყო. წერა განვაგრძე:

„მეშინია.“

„რატომ წახვედი?“

„არ შემეძლო, არ წამოვსულიყავი. თვითონ მთხოვა. სასტუმროში ვარ და მალე მის სანახავად წავალ.“

ცოტა ხანს ისევ შევიცადე და მივწერე:

„არ ვიცი, ეს დღე როგორ დამთავრდება“.

„ოჰ... ბზიკო...“

„რა ვუთხრა? როგორ გადავაფიქრებინო?“

სანამ მიპასუხებდა, რამდენიმე წუთი გავიდა. ტექსტს ჩვეულებრივზე ნელა კრეფდა. თითქოს სიტყვებს დიდი სიფრთხილით არჩევდა.

„რაკი უკვე შვეიცარიაშია, ბზიკო... არა მგონია, რომ ახლა რამემ გადააფიქრებინოს.“

ყელში ბურთი გამეჩხირა და ძლივს გადავყლაპე. რიჩი ისევ რაღაცას კრეფდა:

„მე არ გავაკეთე ასეთი არჩევანი. ვინც აქ ვართ ფორუმზე, ასეთი არჩევანი ჩვენ არ გაგვიკეთებია. მე მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს ჩემი ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ მინდოდა სხვანაირი ყოფილიყო. მაგრამ მე მესმის, რატომ ჩათვალა შენმა მეგობარმა, რომ მეტის ატანა აღარ შეეძლო. დამღლელია. ძნელია ასე ცხოვრება. ვისაც შესაძლებლობები შეზღუდული არ გაქვთ, ამას ბოლომდე ვერასდროს გაიგებთ. თუ მან ასე გადაწყვიტა, თუ ის ვეღარ ხედავს გზას, რომ იცხოვროს, მაშინ საუკეთესო რამ, რაც მისთვის შეგიძლია გააკეთო, ისაა, რომ მის გვერდით დადგე. შენ არ ხარ ვალდებული, გაამართლო მისი არჩევანი. მაგრამ ვალდებული ხარ, რომ მხარში ამოუდგე.“

მივხვდი, რომ სუნთქვაშეკრული ვიჯექი.

„აბა, შენ იცი, ბზიკო. შემოიარე მერე. ამის შემდეგ შენი ცხოვრება, ალბათ, ცოტა ხანს გართულდება. შენნაირ მეგობარს თუ რამით დავეხმარები, ეს მე თვითონაც გამიხარდება.“ თითები კლავიატურაზე გამშეშებოდა. მერე კი პასუხად ავკრიფე:

„შემოვივლი.“

რეგისტრატორმა მითხრა, რომ მანქანამ მომაკითხა და გარეთ მელოდებოდა.

* * *

არ ვიცი, რისი მოლოდინი მქონდა. შეიძლება თეთრი შენობის ნახვას ველოდი, რომელიც ტბის პირას იდგებოდა, შორს კი მთებზე თოვლი იდებოდა... ან შეიძლება საავადმყოფოს მსგავსი მარმარილოს ფასადიანი შენობის ნახვასაც, ოქროსფერი აბრით კედელზე. ყოველ შემთხვევაში, იმას არ ველოდი, რომ მანქანა ინდუსტრიულ უბანში მიმიყვანდა, ერთ არაფრით გამორჩეულ, ჩვეულებრივ სახლთან, გარშემო ქარხნებითა და, რაც არ უნდა უცნაური იყოს, საფეხბურთო სტადიონით. ეზოში ოქროსთევზებიან გუბურაზე გადებულ ხის ხიდზე გადავიარე და სახლთან მივედი.

ქალი, რომელმაც კარი გამიღო, მაშინვე მიხვდა, ვისთან და რატომ ვიყავი.

– აქ არის. გზას გაჩვენებთ.

გავშეშდი. კარი, რომელიც ჩემ უკან დაიხურა, ზუსტად ისეთი იყო, როგორც უილის ფლიგელის კარი, რომლის წინაც ექვსი თვის წინ გულაფანცქალებული ვიდექი. ღრმად ჩავისუნთქე და ქალს თავი დავუქნიე.

სანამ თვითონ უილს დავინახავდი, თვალში ჯერ საწოლი მომხვდა. წითელი ხის საწოლი ყვავილებიანი საბნითა და ბალიშებით ამ უფერულ ოთახში ძალიან გამოირჩეოდა. მისის ტრეინორი ერთ მხარეს ჩამომჯდარიყო, მისტერ ტრეინორი კი – მეორე მხარეს.

მისის ტრეინორს სახეზე ფერი არ ედო. რომ დამინახა, ფეხზე წამოდგა.

– ლუისა.

ჯორჯინა კუთხეში ხის სკამზე იჯდა. იდაყვებით მუხლებს ეყრდნობოდა და ხელები ისე მიეტყუპებინა ერთმანეთისთვის, თითქოს ლოცულობსო. რომ შევედი, ამომხედა. თანაგრძნობით გული შემეკუმშა მისი ჩაშავებული, დარდისა და ტირილისგან ჩაწითლებული თვალები რომ დავინახე.

ნეტავ, მე რას ვიზამდი, კატრინას რომ ასე დაჟინებით მოეთხოვა სიკვდილის უფლებით სარგებლობა?

ოთახი ნათელი და დიდსივრციანი იყო, პრესტიჟული სააგარაკო სახლივით. იატაკზე ფილები ეგო და ძვირადღირებული ხალიჩა ეფინა. ოთახის ბოლოში მიმდგარი დივანი პატარა ბაღს გაჰყურებდა. არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. ეს ისეთი უცნაური და დამთრგუნველი სანახაობა იყო... სამივე ისე იჯდა, თითქოს ოჯახური თათბირი ჰქონდათ, ამ დღით რომელი ღირსშესანიშნაობა მოენახულებინათ.

საწოლისკენ შევბრუნდი და მხარზე ჩანთა შევისწორე.

– ეჭვი მაქვს, ნომერში მომსახურების დახვეწაზე აქ თავს დიდად არ იწუხებენ.

უილმა თვალებში შემომხედა და მიუხედავად ყველაფრისა... მიუხედავად ჩემი შიშებისა, მიუხედავად იმისა, რომ აქ მოსვლამდე ორჯერ ამერია გული, მიუხედავად იმისა, რომ თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ერთი წლის უძილო ვიყავი, უცებ მივხვდი, მიხაროდა, რომ აქ ვიყავი. არა.. კი არ მიხაროდა, შვება ვიგრძენი. თითქოს ჩემი რომელიღაც მტკივნეული, დათრგუნული ნაწილი ამოვიგლიჯე და მოვიშორე.

გამიღიმა. თბილად, ნელა. ეს ჩემი დანახვით გამოწვეული სიხარულის ღიმილი იყო. უცნაურია, მაგრამ მეც გავუღიმე.

– ლამაზი ოთახია, – ვთქვი და მაშინვე მივხვდი, რა იდიოტური იყო ჩემი კომენტარი.

დავინახე, როგორ დახუჭა თვალები ჯორჯინა ტრეინორმა და გავწითლდი.

უილმა თავი დედამისისკენ მიატრიალა.

– დედა, ლუსთან ლაპარაკი მინდა. გთხოვ.

მისის ტრეინორი შეეცადა, გაეღიმა. იმდენი რამ ეწერა სახეზე, როცა შემომხედა... შვებაც, მადლიერებაც, წყენაც, რომ რამდენიმე წუთში ოთახიდან უნდა მიებრძანებინათ, სადღაც იმედის ნატამალიც, რომ ჩემი ჩამოსვლა რაღაცას ნიშნავდა... იქნებ, ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი დაკარგული და მისი შემოტრიალება შეიძლებოდა.

– რა თქმა უნდა.

ოთახიდან გასვლამდე, როცა გვერდით ჩამიარა, უკან დავიხიე, რომ მისთვის გზა დამეთმო. მომიახლოვდა და ხელი მხარზე შემახო. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. მზერა რბილი ჰქონდა, ამ რამდენიმე წამის განმავლობაში მასში სულ სხვა ადამიანი დავინახე. ზურგი შემაქცია და უილის დას მიმართა.

– წამოდი, ჯორჯინა, – უთხრა ქალიშვილს, რომელიც თითქოს ადგილიდან დაძვრას არ აპირებდა.

ჯორჯინა ნელა წამოდგა და ჩუმად გაჰყვა. პროტესტს მთელი არსებით გამოხატავდა. მისტერ ტრეინორმა ზურგზე ხელი დაადო, როცა ოთახიდან გადიოდნენ. მხოლოდ ჩვენ დავრჩით.

უილი საწოლში წამომჯდარ მდგომარეობაში იწვა. ასე შეეძლო, მის მარცხნივ ფანჯარაშიც გაეხედა, საიდანაც პატარა ბაღი და გუბურა ჩანდა, კამკამა წყლის ჭავლითა და ხის ხიდით. კედელზე საშინელ ჩარჩოში ჩასმული ნახატის რეპროდუქცია ეკიდა გეორგინებით. მახსოვს, გავიფიქრე, შენი ცხოვრების ბოლო საათები ამ ნახატის საყურებლად როგორ უნდა გაიმეტომეთქი.

– ჰოდა...

– ხომ არ...

– არა, არ ვაპირებ, რომ შენი გადარწმუნება ვცადო.

– რაკი მოხვედი, ესე იგი, მიიღე ჩემი არჩევანი. ავარიის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა კონტროლის სადავეები ჩემ ხელშია.

– ვიცი.

ასე იყო. ეს მანაც იცოდა და მეც ვიცოდი. რაღა დამრჩენოდა.

იცით, რა ძნელია, რომ არაფერი თქვა? როდესაც შენი სხეულის ყველა უჯრედს პირიქით უნდა? აეროპორტიდან აქეთ რომ მოვდიოდი, ვვარჯიშობდი – როგორ შემეკავებინა თავი და არაფერი მეთქვა. ეს მკლავდა. თავი დავუქნიე. როცა, როგორც იქნა, ხმა ამოვიღე, ხმა გაბზარული მქონდა. ერთადერთი, რისი თქმაც შემეძლო, ის ვთქვი.

– მომენატრე.

გულზე მოეშვა.

– მოდი ჩემთან, – წამიერად შეიცადა, – გთხოვ. მოდი ჩემთან. საწოლზე ჩამოჯექი. ჩემ გვერდით.

მივხვდი, რომ მის ხმაში შვება იგრძნობოდა. მართლა იმაზე მეტად ბედნიერი იყო ჩემი დანახვით, ვიდრე ამის გამოთქმა შეეძლო. საკუთარ თავს ვუთხარი,რომ ჩემგან მხოლოდ ეს იყო საჭირო. მე გავაკეთებდი იმას, რასაც მთხოვდა... და ეს საკმარისი იქნებოდა.

საწოლზე მის გვერდით დავწექი, მოვეხვიე. თავი მკერდზე დავადე. მთელი სხეულით ავეკარი, რომ სუნთქვასთან ერთად მისი აღმა და დაღმა მშვიდი მოძრაობა მეგრძნო. ზურგზე უილის თითების სუსტი დაწოლა ვიგრძენი... მისი თბილი სუნთქვა ჩემს თმაში. თვალები დავხუჭე, მის სურნელს ვსუნთქავდი, კედრის ხის სუნთან და ოთახის სუფთა ჰაერთან შერეულს. ძლივს შესამჩნევად სადეზინფექციო საშუალებების სპეციფიკური სუნიც იგრძნობოდა. შევეცადე, რომ არაფერზე მეფიქრა. შევეცადე უბრალოდ... ვყოფილიყავი. კანით შემესუნთქა მამაკაცი, რომელიც მიყვარდა, სხეულის უჯრედებით შემეწოვა, ჩემზე აღმებეჭდა და სამუდამოდ ჩემთან დამეტოვებინა. არაფერს ვამბობდი. მერე მისი ხმა გავიგე. იმდენად ახლოს ვიყავით, მისი სიტყვები თითქოს ჩემში ვიბრირებდა.

– კლარკ, მითხარი რამე კარგი.

ფანჯრიდან შვეიცარიის ღია ლურჯ ცას გავხედე და ორი ადამიანის ისტორია მოვუყევი. იმ ორი ადამიანისა, რომლებიც, წესით, ერთმანეთსაც კი არ უნდა შეხვედროდნენ და რომელთაც ერთმანეთი გაცნობისას სულაც არ მოსწონებიათ. მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ ის ორადორი ადამიანი იყვნენ ამ სამყაროში ერთმანეთისთვის, რომელთაც ერთმანეთის გაგება შეეძლოთ. მოვუყევი, რა თავგადასავლები გადახდათ, რა ადგილები მოიარეს, რა ნახეს, რა განიცადეს, ყველაფერი, რასაც მანამდე ვერასდროს წარმოიდგენდნენ. მის წინ ჰაერში ვხატავდი დამუხტული ნაწილაკებით მოციმციმე ცას, ნაირფერ ზღვებსა და საღამოებს, რომლებიც ხმამაღალი სიცილითა და სულელური ხუმრობებით იყო სავსე. ვხატავდი სამყაროს, რომელიც ახლა, შვეიცარიის ამ პატარა ინდუსტრიული უბნიდან ძალიან შორს იყო და სადაც ის ჯერ კიდევ ცოცხლობდა ადამიანად, როგორადაც უნდოდა, რომ დარჩენილიყო. ვხატავდი სამყაროს, რომელიც მან შექმნა ჩემთვის, საოცარსა და შესაძლებლობებით სავსეს. ვუთხარი, რომ სულის იარები ისე დამიამა, რომ ამას თავადაც

ვერ წარმოიდგენდა და მარტო ამისთვის, მხოლოდ ამის გამოც კი ცხოვრების ბოლომდე მისი მადლობელი ვიქნებოდი. ვლაპარაკობდი და ვიცოდი, რომ ეს იყო, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვები, რასაც კი ოდესმე ცხოვრებაში ვიტყოდი და როგორც არასდროს, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რომ სწორი სიტყვები მეთქვა. არ მექადაგა, მისი გადარწმუნება არ მეცადა, არა... უბრალოდ მისი სურვილი, მისი გადაწყვეტილება მიმეღო და პატივი მეცა.

მე მას ვუთხარი რაღაც კარგი.

დრო შენელდა. საერთოდ გაჩერდა. ვიყავით მხოლოდ ჩვენ ორნი და მე ვბუტბუტებდი ცარიელ, მზით განათებულ ოთახში. უილი ბევრს არაფერს ამბობდა. არაფერი უპასუხია, არაფერი დაუმატებია, არ დაუცინია. თავს თავზე დამადებდა და ხანდახან რაღაცას ჩაიბუტბუტებდა, რაიმე ბგერას ამოუშვებდა და დამანახვებდა, როგორ სიამოვნებდა მოგონებების გაცოცხლება.

– ეს... საუკეთესი ექვსი თვე იყო ჩემს ცხოვრებაში, – ვთქვი მე.

გრძელი პაუზა ჩამოწვა.

– გაგეცინება, მაგრამ... ჩემთვისაც, კლარკ.

და აქ, ამ დროს გამიტყდა გული. სახე დამეჭმუჭნა, სიმშვიდე სადღაც დამეკარგა, ვეხუტებოდი და აღარ მაფიქრებდა, რომ ჩემს ქვითინისგან აცახცახებულ სხეულთან ერთად ისიც ვიბრირებდა. ფიზიკურად ვგრძნობდი, როგორ მეგლიჯებოდა გული და მთელ სხეულს, მის ყველა ნაწილს, ყველა უჯრედს რაღაც დიდი მძიმე ტალღა შთანთქავდა. აღარ შემეძლო. მართლა მეგონა, რომ აღარ შემეძლო.

– არა, ლუ, – ჩურჩულებდა. თმაში მისი ტუჩების მოძრაობას ვგრძნობდი, – გთხოვ, შემომხედე.

თვალები მაგრად დავხუჭე და თავი გავაქნიე.

– გთხოვ, შემომხედე, გთხოვ.

არ შემეძლო.

– ბრაზობ... გთხოვ, ლუ. შენთვის ტკივილის მოყენება არ მინდა, არ მინდა, რომ...

– არა... – თავი ისევ გავაქნიე, – მაგიტომ არა. მე არ მინდა... – ლოყით მკერდზე ვეკვროდი, – არ მინდა, რომ უკანასკნელი, რასაც დაინახავ, ეს ჩემი გაწითლებული და დასიებული ცხვირპირი იყოს.

– კლარკ, შენ ისევ არაფერი გესმის... – ხმაში ვიგრძენი, როგორ იღიმოდა, – ეგ არ არის შენი გადასაწყვეტი.

ცოტა ხანი დამჭირდა, რომ ძალა მომეკრიბა. თავი ავიღე. ცხვირი მოვიხოცე და ღრმად, ღრმად ჩავისუნთქე. იდაყვზე წამოვიწიე და სახეზე შევხედე. თვალები რომელიც სულ დაძაბული და ნაღვლიანი ჰქონდა, ახლა უჩვეულოდ დაწმენდოდა და სიმშვიდე ჩასდგომოდა.

– ძალიან ლამაზი ხარ.

– ნუ მაცინებ.

– მოდი ჩემთან. მოიწიე.

ისევ დავწექი. სახეში ვუყურებდი. კარის თავზე საათი ეკიდა და უეცრად ამიტანა გრძნობამ, როგორ გარბოდა დრო. მისი მკლავი ავიღე და შემოვიხვიე, ყველა კიდურით და მთელი სხეულით ჩავეკარი. მჭიდროდ ჩახვეულები ვიწექით. ხელი ხელში ჩავკიდე, რომელსაც მეტად ამოძრავებდა, მის თითებში ჩემი თითები გადავხლართე. ვიგრძენი, როგორ მომიჭირა და ხელები დავუკოცნე. მისი სხეული ისეთი ნაცნობი და ახლობელი იყო ახლა ჩემთვის, როგორი ახლობელიც პატრიკისა არასდროს ყოფილა. ნაცნობი იყო თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით, ნაიარევებითა და სურნელით. სახე იმდენად ახლოს მივუტანე, ნაკვთები თვალებში გამედღაბნა.ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მასში უნდა გადავსულიყავი და დავკარგულიყავი. თითებით ვეხებოდი მის თმას, კანს, წარბებს. ცრემლები უსიტყვოდ ჩამომდიოდა, ცხვირი ცხვირზე მივადე. უხმოდ მიყურებდა, მსწავლობდა, თითქოს თითოეულ დეტალს ისრუტავდა და იმახსოვრებდა. ვიგრძენი, მშორდებოდა, სადღაც უკან დაიხია, იქ, სადაც ვეღარ ვწვდებოდი. ვკოცნიდი, ვცდილობდი უკან დამებრუნებინა. მის ტუჩებს დავეწაფე, ჩვენი სუნთქვა ერთმანეთში აირია, ჩემი ცრემლები მის ლოყებზე მარილიან კვალს ტოვებდა. ჩემ თავს დავპირდი, რომ თვალისგან უხილავი მისი ნაწილაკები ჩემი გახდებოდა, ჩემში შემოვიდოდა, გამჟღენთდა, ჩემში იცოცხლებდა, სამუდამოდ. მინდოდა, ჩემი სისხლის ფეთქვა მისთვის გამენაწილებინა, მინდოდა, ძალა შთამენერგა, ჩემი ენერგია ჩამებერა, მეიძულებინა, რომ ეცოცხლა. მივხვდი, რომ მის გარეშე ცხოვრებისა მეშინოდა. „შენ რატომ გაქვს უფლება, რომ დაანგრიო ჩემი ცხოვრება, მე კი არ შემიძლია, რომ შენსას შევეხო, რატომ...“ – როგორ მინდოდა, რომ ეს მეთქვა.

მაგრამ მე პირობა მივეცი.

ასეთი იყო ჩემ წინ ადამიანი, რომელსაც ჩავჭიდებოდი და ხელს ვერ ვუშვებდი. უილ ტრეინორი, ყოფილი ფინანსისტი და ვუნდერკინდი, ექსტრემალური სპორტის ყოფილი მოყვარული, მოგზაური, საყვარელი. გულში ვიკრავდი და არაფერს ვამბობდი. ჩემი სიჩუმე ყვიროდა, რომ მიყვარდა. ღმერთო, როგორ მიყვარდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიწექით ასე. თითქოს სადღაც შორიდან ჩამესმოდა კარს მიღმა საუბარი, ფეხსაცმელების ხმა, ეკლესიის ზარების რეკვა. ვიგრძენი, როგორ ღრმად ამოისუნთქა, თითქმის გააკანკალა. თავი ოდნავ უკან გადასწია, რომ ერთმანეთი კარგად დაგვენახა.

თვალები დავახამხამე.

გამიღიმა. თითქოს ბოდიში მომიხადა.

– კლარკ, – მითხრა ჩუმად, – ჩემს მშობლებს დაუძახე.

XXVII

სისხლისსამართლებრივ საქმეთა სახელმწიფო სამსახური

განკუთვნილია: მთავარი პროკურორისთვის

დასკვნა უილიამ ჯონ ტრეინორის საქმის თაობაზე

4/IX2009

მოგახსენებთ, რომ გამომძიებლების მიერ, ზემოთ ნახსენებ საქმესთან დაკავშირებით, ყველა მონაწილე პირი უკვე დაკითხულია. წინამდებარე წერილს თან ერთვის დოკუმენტაცია, რომელიც დაკითხვის ოქმებსა და საქმის მსვლელობისას დადასტურებულ ყველა ინფორმაციას მოიცავს. გამოძიების ინტერესის საგანი მისტერ უილიამ ტრეინორი გახდა, ოცდათხუთმეტი წლის, კომპანია „მედინგლი ლიუინსის“ ყოფილი პარტნიორი, მცხოვრები ქალაქ ლონდონში. 2007 წელს მისტერ ტრეინორმა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ზურგის ტვინის დაზიანება მიიღო. მას კვადრიპლეგიის დიაგნოზი დაუსვეს – C56 მალების დაზიანებით. მისტერ ტრეინორს უკიდურესად შეზღუდული მოძრაობის უნარი მხოლოდ ერთ ხელში ჰქონდა შენარჩუნებული და საჭიროებდა მუდმივ მზრუნველობას. წერილს თან ერთვის მისი ავადმყოფობის ისტორიაც.

დოკუმენტებით დასტურდება, რომ მისტერ ტრეინორმა, გარკვეული დროით ადრე შვეიცარიაში გამგზავრებამდე, მემკვიდრეობისა და სხვა სამართლებრივი საკითხების მოგვარებაზე იზრუნა. მისმა ადვოკატმა, მისტერ მაიკლ ლოულერმა გადმოგვცა მისი კლიენტის მიერ ხელმოწერილი და მოწმეების მიერ დადასტურებული დოკუმენტები, რომლებიც მისტერ ტრეინორის ნებას ასახავენ. ასევე ადვოკატისგან მივიღეთ ასლები ყველა იმ დოკუმენტისა, რომელიც უკავშირდება კლინიკაში განთავსებამდე გაწეულ კონსულტაციებს.

მისტერ ტრეინორის ოჯახი და მეგობრები ერთსულოვნად და დიდი ძალისხმევით ეწინააღმდეგებოდნენ მის მიერ დეკლარირებულ სურვილს, რომ სიცოცხლე ნებით დაესრულებინა. თუმცა, მისი სამედიცინო ისტორიისა და თვითმკვლელობის ერთხელ უკვე განხორციელებული მცდელობის გათვალისწინებით (რაც ასევე დეტალურად აღწერილია საავადმყოფოს მიერ მოწოდებულ ანგარიშში), მისი ინტელექტუალური მონაცემებისა და ხასიათის სიმტკიცის წყალობით, მათ მისი გადარწმუნება ვერ შეძლეს. იმ ექვსთვიან პერიოდშიც კი, რომელიც სწორედ ამ კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა და როდესაც მისტერ ტრეინორი დაჰყვა მშობლების თხოვნას, გადაედო მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება.

უნდა აღინიშნოს, რომ მისტერ ტრეინორის ანდერძის მიხედვით, ერთ-ერთი მემკვიდრე მისი მდედრობითი სქესის დამხმარე მის ლუისა კლარკია. მხედველობაში მიღებული იქნა რა მათი ხანმოკლე ნაცნობობა, გამოძიებას გარკვეული კითხვები გაუჩნდა მისტერ ტრეინორის ასეთ გულუხვობასთან დაკავშირებით. მაგრამ ყველა მხარე აცხადებს, რომ არაფერი აქვთ საწინააღმდეგო მისტერ ტრეინორის დეკლარირებულ ნებასთან, რაც ასევე სამართლებრივად დადასტურებული და დოკუმენტირებულია. მის კლარკი რამდენჯერმე საფუძვლიანად დაიკითხა და გამომძიებლები სრულიად დააკმაყოფილმა მისმა მონაყოლმა, როგორ ცდილობდა მისტერ ტრეინორის გადარწმუნებას, რაც დასტურდება მტკიცებულებით მისი „სათავგადასავლო კალენდრის“ სახით და რომელიც, ასევე, შეგიძლიათ, თანდართულ დოკუმენტებში იხილოთ. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისის კამილა ტრეინორმა, მისტერ უილ ტრეინორის დედამ, რომელიც პატივსაცემი მოსამართლე იყო წლების განმავლობაში, მისი შვილის საქმის გასაჯაროების შემდეგ განცხადება წარადგინა მოსამართლეობიდან გადადგომის შესახებ. ასევე, ჩვენთვის

ცნობილი გახდა, რომ ძალიან მალე შვილის გარდაცვალების შემდეგ, მისტერ და მისის ტრეინორები განქორწინდნენ.

ცხადია, სისხლის სამართლებრივი დევნის სახელმწიფო სამსახური მხარს არ უჭერს უცხოურ კლინიკებში მხარდაჭერით თვითმკვლელობის განხორციელებას. მაგრამ შეგროვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ მისტერ ტრეინორის ოჯახისა და დამხმარეების ქმედებები მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სამართალდარღვევად არ კვალიფიცირდება და არ ეწინააღმდეგება კანონს მხარდაჭერით მოკვდინებისა და გარდაცვლილის ახლობლების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

მისტერ ტრეინორი ცნობილ იქნა უფლებაუნარიანად, რომ „ნებაყოფილობით, მკაფიოდ, მტკიცედ და ინფორმირებულად“ მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება.

არ დასტურდება მენტალური გადახრა და არ იკვეთება რაიმე სახის იძულება.

მისტერ ტრეინორმა არაერთხელ და არაორაზროვნად დაადასტურა თავისი სურვილი, რომ ჩაედინა თვითმკვლელობა.

მისტერ ტრეინორის მდგომარეობა იყო პროგრესირებადად მწვავე და არ ექვემდებარებოდა მკურნალობას.

მისტერ ტრეინორის ახლობლების ქმედებებს მის ამ გადაწყვეტილებაზე წამახალისებელი გავლენა არ ჰქონიათ.

მისტერ ტრეინორის ახლობლების ქმედებები, მისი აღნიშნული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისას, შეიძლება, ჩაითვალოს როგორც გარდაცვლილის მხრიდან მოთხოვნის იძულებითი შესრულება.

ყველა მონაწილე მხარე თანამშრომლობდა გამოძიებასთან, რომელმაც ყველა კითხვაზე მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი.

ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტებზე დაყრდნობით, ყველა მხარის შეუბღალავი რეპუტაციისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ვასკვნით, რომ აღნიშნული საქმე არ წარმოადგენს საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და ინტერესის საგანს და არ საჭიროებს სისხლისსამართლებრივ წარმოებას.

ასევე, თუ/როცა ამ საქმესთან დაკავშირებით ადგილი ექნება საჯარო განცხადების გახმოვანებას პროკურატურის მხრიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მთავარი პროკურორის მიერ მკაფიოდ აღინიშნოს, რომ ტრეინორის საქმე არ წარმოადგენს პრეცედენტს და სისხლისსამართლებრივ საქმეთა სახელმწიფო სამსახური ნებისმიერ საქმეს ინდივიდუალურად განიხილავს.

საუკეთესო სურვილებით,
შეილა მაკინონი
სისხლისსამართლებრივ საქმეთა სახელმწიფო სამსახური

ეპილოგი

29 სექტემბერი

ინსტრუქციას მივყვებოდი.

კაფეს მუქმწვანე ტენტის ჩრდილქვეშ ჩამოვჯექი და რუ დე ფრან ბურჟუას ქუჩას გავხედე. სახეზე, ცალ მხარეს, პარიზული შემოდგომის ნელთბილი მზე მადგა. გალური მომხიბვლელობის მქონე ოფიციანტმა მაგიდაზე კრუასანები და დიდი ფინჯანი ინდურად მომზადებული ნალექიანი და რძიანი ყავა დამიდგა. ორი იარდის მოშორებით ქუჩაზე ორი მოტოციკლისტი შუქნიშანთან ახლოს ჩამომდგარიყო. ერთმანეთში საუბრობდნენ. ერთ-ერთს ლურჯი ზურგჩანთა ეკიდა, საიდანაც ორი დიდი ბაგეტი მოუჩანდა. ჰაერი იყო მშვიდი და ოდნავ ნესტიანი, გაჯერებული ყავისა და ნამცხვრების სურნელით, ვიღაცის სიგარეტის მკვეთრი სუნით.

ტრინას წერილი ჩავიკითხე. მწერდა, დაგირეკავდი კიდევაც, მაგრამ ზღვისიქითა კონტინენტზე დასარეკად დაწესებულ ტარიფს ვერ გავწვდებიო. ბუღალტერიის შემსწავლელი კურსის მეორე წელი ჯგუფში საუკეთესო მონაცემებით დაამთავრა და ახალი შეყვარებული ჰყავდა – სანდიპი. სანდიპს ტრინაზე უარესი მუსიკალური გემოვნება ჰქონდა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყო. უნდა მოეფიქრებინა, მამამისის შემოთავაზებას, ჰითროუს აეროპორტის მახლობლად, მის იმპორტ-ექსპორტიორ კომპანიაში მუშაობაზე, დათანხმებოდა თუ არა. ტომასი ახალი სასწავლო წლის დაწყებით იყო ბედნიერი. მამა კვლავინდებურად კმაყოფილი იყო თავისი სამსახურითა და კოცნას მიგზავნიდა. ტრინა დარწმუნებული იყო, რომ დედა მალე შემირიგდებოდა. „შენი წერილი ნამდვილად მიიღო. ზუსტად ვიცი, რომ წაიკითხა. დრო მიეცი.“

ყავა მოვსვი და წარმოსახვაში რენფრიუ როუდს გავუყევი სახლისკენ, რომელიც ახლა ჩემგან მილიონობით მილით იყო დაშორებული. გამახსენდა წერილი, რომელიც ერთი კვირით ადრე მისის ტრეინორისგან მივიღე:

„სასოწარკვეთილების განცდამ, ალბათ, ცოტა უმადურიც გამხადა. მაგრამ მინდა იცოდეთ, რომ სიცოცხლის ბოლომდე თქვენი მადლიერი ვიქნები იმის გამო, რასაც უილისთვის აკეთებდით, ლუისა. შვებას იმაზე ფიქრი მგვრის, რომ თქვენი სახით მას ჰყავდა ადამიანი, ვისთანაც შეეძლო, გახსნილიყო და ბოლომდე მინდობოდა. ვიცი, რომ თქვენც ისევე ტკივილამდე გენატრებათ, როგორც მე.“

ვიჯექი და გაცრეცილი მზის ქვეშ სახე ოდნავ შემჭმუხვნოდა. მოპირდაპირე მაღაზიის ვიტრინასთან მზის სათვალიანი ქალი გაჩერდა. საკუთარ გამოსახულებას გაეპრანჭა, წელში გაიმართა და გზა გააგრძელა.

ყავის ფინჯანი მაგიდაზე დავდგი, ღრმად ჩავისუნთქე და შემდეგი წერილი ავიღე. წერილი, რომელსაც ექვსი კვირა იყო, ჯიბით დავატარებდი.

კონვერტზე, ჩემი სახელის ქვეშ, ნაბეჭდი ასოებით ეწერა:

„წაიკითხე მხოლოდ კაფე „მარკიზში“ რუ დე ფრან ბურჟუას ქუჩაზე კრუასანებისა და ინდური ყავის გარემოცვაში“

გამეცინა. წერილი ჯერ გახსნილიც არ მქონდა. კონვერტზევე ჩანდა ტიპური უილი, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წუთამდე მბრძანებლობა უყვარდა.

ოფიციანტი, მაღალი, მკვირცხლი მამაკაცი, რომელსაც წინსაფრიდან უამრავი ფურცელი მოუჩანდა, ჩემკენ მოტრიალდა და თვალი შემასწრო.

– ყველაფერი რიგზეა? – მკითხა წარბების აწევით.

– დიახ, – ვუთხარი მე და მერე ოდნავი მორიდებით დავამატე, – Oui (Oui (ფრან.) – დიახ. ნ.ბ.).

წერილი ნაბეჭდი იყო. შრიფტი ვიცანი. ძველი ბარათი გამახსენდა, რომელიც უილმა ადრე გამომიგზავნა. სკამზე მოხერხებულად მოვკალათდი და კითხვა დავიწყე.

კლარკ,

ახლა, როცა ამ წერილს კითხულობ, უკვე რამდენიმე კვირა იქნება გასული. (მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზატორის ნიჭი აშკარად ძალიან განგივითრდა, ეჭვი მეპარება, რომ პარიზში სექტემბრამდე ჩაგეღწია). იმედი მაქვს, ყავა ძლიერი და არომატულია, კრუასანები – ახალი და გემრიელი. ჯერ კიდევ თბილა საიმისოდ, რომ გარეთ, მეტალის ერთერთ სკამზე ჩამოჯდე, რომელიც ქვაფენილზე სწორად არასდროს თავსდება. არაა „მარკიზი“ ცუდი კაფე. სხვათა შორის, ძალიან გემრიელი სტეიკი აქვთ, თუ ლანჩის მირთმევასაც მანდ გადაწყვეტ, გაითვალისწინე. თუ მარცხნივ გზას გაუყვები, რამდენიმე ნაბიჯში მაღაზია „ლ’არტისან პერფიუმერი“ შეგხვდება. როცა წერილის კითხვას დაასრულებ, წადი მაგ მაღაზიაში და აუცილებლად მოსინჯე სუნამო სახელით „პაპილლონს ეხტრêმე” (იმედია, სახელი არ მეშლება). სულ მეგონა, რომ ეგ სურნელი ზუსტად საშენო იყო.

კარგი. აქ ინსტრუქციებს მოვრჩი. არის რამდენიმე საკითხი, რაზეც შენთან დალაპარაკება მინდოდა და სიამოვნებით გეტყოდი ამ ყველაფერს პირისპირ, მაგრამ ა)ემოციებს ვერ მოერეოდი და ბ) სიტყვის თქმას მაინც არ დამაცდიდი და არ მომცემდი საშუალებას, რომ ბოლომდე მეთქვა. შენ ხომ ყოველთვის ძალიან ბევრს ლაპარაკობდი.

მოკლედ ასე: ჩეკი, რომელიც პირველ ეტაპზე მაიკლ ლოულერისგან მიიღე, ყველაფერი არ არის. ეგ უბრალოდ პატარა საჩუქარია, რომ უმუშევრობის პირველი კვირები გადააგორო და პარიზში ისიამოვნო.

როდესაც ინგლისში დაბრუნდები, ეს წერილი მაიკლთან მის ლონდონის ოფისში წაიღე. ის მოგცემს ყველა დოკუმენტს, რომ წვდომა გქონდეს ანგარიშთან, რომელიც მაიკლმა ჩემთვის შენ სახელზე გახსნა. ამ ანგარიშზე საკმარისი ოდენობით თანხა დევს, რომ საკუთარი სახლი იყიდო, სწავლის თანხა გადაიხადო და უზრუნველად იცხოვრო, სანამ განათლების მიღებას დაასრულებ.

ჩემი მშობლები ამის შესახებ სრულ საქმის კურსში იქნებიან. ამიტომ, იმედი მაქვს, რომ ესეც და მაიკლ ლოულერის სამართლებრივი დახმარებაც შფოთვას შეგიმსუბუქებს.

კლარკ, ფაქტობრივად, აქედანვე მესმის, როგორ გიჩქარდება სუნთქვა. პანიკაში ნუ ჩავარდები, ნურც ფულის დაბრუნებას შეეცდები. ეს არ არის საკმარისი თანხა იმისათვის, რომ ცხოვრების ბოლომდე ტრაკგაუნძრევლად იჯდე. მაგრამ ამ ფულით შეგიძლია, იყიდო თავისუფლება. თავისუფლება მაგ პატარა კლაუსტროფობული ქალაქისგან, რომელიც

ორივე ჩვენგანის სახლია და თავი დააღწიო იმ იძულებით გადაწყვეტილებებსაც, რომელთა მიღებაც მანდ გიწევდა.

ფულს იმიტომ არ გაძლევ, რომ დადარდიანდე, თავი დავალებულად იგრძნო, ან ჩათვალო, რომ ეს რაღაც სამახსოვროა ჩემგან.

იმიტომ გაძლევ, რომ მე ბედნიერებას ბევრი ვეღარაფერი მანიჭებს, მაგრამ შენ ეს შეგიძლია.

ვიცი, ვაცნობიერებ, რამხელა ტკივილი და სევდა მოგიტანე. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს, როდესაც ბრაზი ოდნავ გადაგივლის, როცა ოდნავ დამშვიდდები, შეხედავ ამ ყველაფერს და მხოლოდ იმას კი აღარ დაინახავ, რა ჩავიდინე, არამედ მიხვდები, რომ ჩემი დახმარებით შენ ახლა უკეთესი ცხოვრება შეგიძლია გქონდეს, ვიდრე მაშინ გექნებოდა, ერთმანეთს რომ არ შევხვედროდით.

შენთვის ახალ სამყაროში თავს ჯერ არაკომფორტულად და უჩვეულოდ იგრძნობ. კომფორტის ზონიდან გასვლა არასდროსაა ადვილი. მაგრამ მინდა მჯეროდეს, რომ აღმაფრენაც გეუფლება. შენი სახე, წყალში ჩაყვინთვის მერე რომ გქონდა, მაძლევს ამის რწმენას. ამ სახემ შენზე ყველაფერი ნათელი გახადა. შენში დიდი შიმშილი იმალება, კლარკ, შეუპოვრობა, უშიშრობა, რომელიც სულის სიღრმეში გქონდა ჩამარხული. ისევე, როგორც ადამიანების უმრავლესობას.

მე არ გუბნები, რომ მაღალი შენობებიდან გადმოხტე, ვეშაპებთან იცურაო ან რამე მსგავსი (თუმცა, არც ამათ წარმოდგენაზე ვიტყოდი უარს), მაგრამ იყავი თამამი, შეუპოვარი, დაუდგრომელი. სიამაყით ატარე შენი ზოლიანი კოლგოტები. და თუ ერთ დღესაც ვინმე ჭკუამხიარულ ტიპთან ერთად გადაწყვეტ დასახლებას, იზრუნე, რომ ფულის ნაწილი სადმე შენთვის გადაინახო. იმის ცოდნა, რომ გაქვს არჩევანი, გაქვს შესაძლებლობა – ფუფუნებაა. იმის ცოდნა, რომ ეს ფუფუნება მე გაჩუქე, შვებაა ჩემი სულისთვის.

სულ ეს არის. შენ სამუდამო ანაბეჭდი დატოვე ჩემს გულში, კლარკ. პირველივე დღიდან, როცა ჩემთან მოხვედი, შენი სასაცილო ტანსაცმლით, უადგილო ხუმრობებითა და გულწრფელობით, იმით, რომ არასდროს შეგეძლო, დაგემალა, რას გრძნობდი და განიცდიდი. შენ უფრო მეტად შეცვალე ჩემი ცხოვრება, ვიდრე ეს ფული შეცვლის შენსას. ჩემზე ძალიან ხშირად ნუ იფიქრებ. არ მინდა, წარმოვიდგინო, რომ ხშირად სევდიანი და თვალცრემლიანი იქნები. უბრალოდ კარგად იცხოვრე.

უბრალოდ იცხოვრე.

სიყვარულით,

უილი“

ქვაფენილზე მოყანყალებულ მაგიდაზე ცრემლი ჩამომივარდა. ლოყები ხელისგულით შევიმშრალე და წერილი მაგიდაზე დავდე. რამდენიმე წუთი დამჭირდა, რომ მხედველობა დამწმენდოდა.

– ყავას კიდევ ხომ არ ინებებთ? – მკითხა ოფიციანტმა, რომელიც უცებ ჩემ წინ გაჩნდა. თვალები დავახამხამე. იმაზე ახალგაზრდა იყო, ვიდრე მეგონა და ის ქედმაღლური იერიც

აღარ ედო. რა ვიცი... შეიძლება პარიზელ ოფიციანტებს კაფეებში მოსრუტუნე ქალების დასამშვიდებლად სპეციალურად წვრთნიან.

– იქნებ... კონიაკი? – წერილს თვალი შეავლო, გამიღიმა. თანაგრძნობითა და გაგებით მიყურებდა.

– არა, – ვუთხარი და საპასუხოდ მეც გავუღიმე, – გმადლობთ... მე... მე რაღაც საქმეები მაქვს.

ანგარიში გადავიხადე და წერილი ჯიბეში ფრთხილად ჩავიდე.

ქუჩაზე გავედი. მხარზე ჩანთა შევისწორე და მარცხნივ, ქვემოთ დავეშვი. წინ პარფიუმერიის მაღაზია და იმის იქით კი მთელი პარიზი მელოდა...

MWERALI.COM
ახალბედა მწერლები

Mwerali.com